ომარ ლანჩავა
OMAR LANCHAVA

ქუთაისის არქეოლოგია

THE ARCHAELOGY OF KUTAISI

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ომარ ლანჩავა

ქუთაისის არქეოლოგია

OMAR LANCHAVA

THE ARCHAEOLOGY OF KUTAISI

ქუთაისი 2015 KUTAISI

UDK (უაკ)902(479.222.1)
ლ-21

მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური არტეფაქტებისა და წერილობითი წყაროების შეჯერება-ანალიზის საფუძველზე ნაშრომში განხილულია ქუთაისის მიწა-წყალზე თავდაპირველი სამოსახლოების წარმოშობის საკითხი, მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის განვითარება, ურბანისტული პროცესები, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ქალაქის ტოპოგრაფია (გარეგნული სახე), კავშირები გარე სამყაროსთან, საფორტიფიკაციო, საერო და საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლები, ბაგრატის ტაძრის არქეოლოგიური კვლევის შედეგები. წიგნი ილუსტრირებულია და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
NATIONAL AGENCY FOR CULTURAL HERITAGE PRESERVATION OF GEORGIA
თაბუკაშვილის ქ. №5. 0105 თბილისი • Tabukashvili str. №5, 0105 Tbilisi
www.heritagesites.ge

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION OF GEORGIA
სანაპიროს ქ. №4. 0105 თბილისი • Sanapiro str. 4, 0105 Tbilisi
www.culture.gov.ge

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM
ქუთაისი, პუშკინის ქ. №18; • 18 Pushkini str. Kutaisi

მეორე განახლებული და შევსებული გამოცემა

ISBN 978-9941-0-8332-7

წინათქმა

თითქმის სამი ათეული წელია, რაც ქუთაისისა და მისი მიდამოების სისტემატური არქეოლოგიური კვლევა – ძიება მიმდინარეობს. შესაბამისად, უაღრესად საინტერესო აღმოჩენებით გამდიდრდა კიდეც ქართული ეროვნული კულტურის საგანძური. მათში თვალსაჩინოდაა ასახული ის უწყვეტი გზა, რომელმაც ჯერ კიდევ ათასი წლის წინათ ქუთაისი მიიყვანა ერთიანი საქართველოს დედაქალაქობამდე და შექმნა პირობები ქუთაისის ხელახალი აღზევებისა, მხოლოდ, ამჯერად სრულიად საქართველოს სატახტო ქალაქის როლში. ბუნებრივია, ყოველივე ეს კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს ამ ქალაქის კულტურული მემკვიდრეობისადმი და შესაბამისად არქეოლოგიური კვლევისადმი, რომელშიაც, როგორც იტყვიან, ლომის წილი ქართული არქეოლოგიის მამამთავარს, ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველ ხელმძღვანელს ბატონ ოთარ ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. სრულიად განსაკუთრებული მოვლენა იყო ქუთაისის მოსახლეობის დამოკიდებულება არქეოლოგიური გათხრების მიმართ. თითქმის მთელი ქალაქი ჩართული იყო დამხმარე სამუშაოებში და დიდი ენთუზიაზმით „თხრიდა" ქუთაისს. ალბათ ეს იყო უპრეცენდენტო შემთხვევა მსოფლიო არქეოლოგიის ისტორიაში და ყოველივე ამის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელი, სამწუხაროდ, ამ ცხოვრებიდან უდროოდ წასული ბატონი მამუკა ასლანიკაშვილი.

განუსაზღვრელია არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების შესაძლებლობანი. შეიძლება ითქვას, მან ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა ქალაქის ისტორიის შესახებ. სწორედ არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაგროვდა უდიდესი ინფორმაციის შემცველი ურიცხვი მასალა, რომლის საფუძველზე გახდა შესაძლებელი ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ქუთაისის ისტორიის რეკონსტრუქცია – აღდგენა განხორციელებულიყო. მარტო იმას ვინ იფიქრებდა, რომ ბაგრატის ტაძრის იატაკქვეშ კიდევ სამი სხვადასხვა დროის ტაძარი ან სამლოცველო აღმოჩნდებოდა, რომ აქ, შუარიონისპირეთში ე. წ. „ხორხის" მთაზე კულტმსახურებას თურმე სულ ცოტა სამიათასწლოვანი ისტორია მაინც აქვს. არქეოლოგიური ძეგლები სრულიად ახლებურად აშუქებენ ქალაქის წარმოშობა – განვითარების რეალურ სურათს, მის გარეგნულ სახეს, ისტორიულ ტოპოგრაფიას განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემით, საერო და საკულტო დანიშნულების ნაგებობათა კომპლექსებით, სანიტარულ – ჰიგიენური მეურნეობის ძეგლებით და უმდიდრესი არტეფაქტებით (კერამიკა, მინა, რკინა, მონეტები და სხვ.). ყველაფერი ეს ჩვენი მრავალწლიანი კვლევის წყალობით პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში და წინამდებარე მონოგრაფიის ძირითად წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს. ნაშრომში ქალაქის ისტორია განხილულია პერიოდების მიხედვით. არქეოლოგიური მასალები შესწავლილია კომპლექსურად, სტრატიგრაფიული კორელაციის და ტიპოლოგიური ანალიზის გამოყენებით. ნარკვევში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ისტორიული გეოგრაფიის, ტოპონომიკის, ნუმიზმატიკის და ეთნოლოგიის მონაცემებს. შეძლებისდაგვარად გაშუქებულია ქალა-

ქის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მნიშვნელობა და როლი სხვადასხვა ეპოქის საგარეო პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით. აღნიშნულ საკითხთა არამც თუ შესწავლა არამედ დაყენებაც კი სამი ათეული წლის წინათ მხოლოდ ოცნების სფეროს თუ განეკუთვნებოდა. ამდენად გასაგებია აღნიშნული მონოგრაფიის საჭიროება და მნიშვნელობა.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ეროვნული მუზეუმისა და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიმართ, რომელთა აქტიური მხარდაჭერითა და ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი ფართომასშტაბიანი სამუშაოების ჩატარება ნაქალაქარზე და ბაგრატის ტაძრის ინტერიერ – ექსტერიერში. დიდი თანადგომა გვქონდა აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, რაც გამოიხატა უნივერსიტეტში არქეოლოგიის დეპარტამენტის შექმნით, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებით და არქეოლოგიურ გათხრებზე სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით. უკვე დღის წესრიგში დადგა საკითხი მოპოვებული კულტურული მემკვიდრეობის სათანადო დაცვისა და გამოყენების უზრუნველყოფის შესახებ, რომლის წარმატებით გადაწყვეტაშიც მთავარი სიტყვა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმთან ერთად საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ეკუთვნის.

შესავალი

ქუთაისის ქვეყანა: (ისტორიის გეოგრაფიული ფონი)

„არს ქალაქი ქუთათისი რიონის გაღმა-გამოღმა, ჰავითა და წყლითა მშუენი, თუალთა ქუეშ შუენიერი ადგილი...”
(ვახუშტი ბაგრატიონი)

ქუთაისი დღევანდელ დასავლეთ საქართველოს შუაგულში მდებარეობს. როგორც დასახლებული პუნქტი, იგი აღმოცენდა სწორედ იქ, სადაც საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და წყალუხვი მდინარე რიონი თავისი ვიწრო და ღრმა ხეობიდან ფართო ვაკეზე გამოდის. ცენტრალური კოლხეთის აღნიშნულ არეალში უძველესი დროიდან საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულების დამაკავშირებელი გზები გადიოდა და წარმოქმნილი დასახლების განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას განაპირობებდა; (სურ.1). ქვეყნის უმნიშვნელოვანეს კომუნიკაციებზე კონტროლის მარჯვე შესაძლებლობა ხელს უწყობდა ირგვლივ მდებარე ტერიტორიებზე ქუთაისის პოლიტიკურ დაწინაურებას, დროდადრო კი მთელს დასავლეთ საქართველოზე მის გაბატონებას. მოუსმინოთ VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს: „მოხირისის მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე სახელად რეონი; მის სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე... მაშინ ამ ციხეს კოტიაიონს უწოდებდნენ ელინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთათისს ეძახიან... სხვები კი ამბობენ, ძველ დროში ამ ადგილას ქალაქი იყო და კვიტაიონი ეწოდებოდაო, აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს ეძახდნენ... კოლხეთის ქვეყანას კი კვიტატიდსო.”

ქუთაისის, როგორც დასახლებული პუნქტის, ისტორია ორგანულადაა დაკავშირებული მის ირგვლივ მდებარე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიასთან. მასთან ერთად ის იმ ერთიან ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს ქმნიდა, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში „ქვეყნის” სახელითაა ცნობილი.[1] საგულისხმოა, რომ

სურ. 1. საქართველოს რუკა



ქუთაისის კავშირი ირგვლივ მდებარე ტერიტორიასთან და მისი მოწინავეობა უძველესი დროიდანაა წარმოჩენილი წერილობით წყაროებში. ჯერ კიდევ ძვ. წ. III ს-ის ბერძენი მეცნიერისა და პოეტის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" (რომელიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ძველ წყაროებზეა დაფუძნებული) შემონახულია ასეთი ცნებები: „კუტაისის ხმელეთი" და „კუტაისის მხარე"[2] ქართულ წყაროებშიც არის ძალზე ნიშანდობლივი ტერმინი „ქუთაისის სამოქალაქო": „მატიანე ქართლისას" ცნობით, ბაგრატ IV-მ აფხაზეთიდან ამოიარა მოვიდა ქუთათისს და „მოიყენა **ქუთათისისა სამოქალაქოსა** ლაშქარი"[3]. **„სამოქალაქო"**,[4] – სრულიად უეჭვოდ ქუთაისის მხარეს („ქვეყანას") გულისხმობს[5] და სხვა ქართული „ქვეყნების" (აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, და ჭყონდიდი) გვერდით იხსენიება.

უეჭველია, რომ ამ ტერმინის („ქუთაისის სამოქალაქო") ქვეშ ქალაქის პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქვემდებარებული ტერიტორია ანუ „ქვეყანა" იგულისხმება[6]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან კი, უკვე იხსენიება „ქუეყანა ქუთათისისა"[7]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერძნულ წყაროებში (აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა") დადასტურებული „ქუთათისის ხმელეთი", „ქუთაისის მიწა", და ქართული წყაროების „ქუთაისის სამოქალაქო", „ქუთათისის ქვეყანა" ძირითადად სინონიმური ცნებებია[8] და გულისხმობს ქუთაისსა და მის ირგვლივ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიას, ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს, რომელიც ბიზანტიურ წყაროებში მუხურისის ან მოხირისის[9] სახელითაა ცნობილი[10]. დასავლეთიდან მას საზღვრავს მდინარე ცხენისწყალი, აღმოსავლეთიდან სკანდა-შორაპნის სასაზღვრო ხაზი, სამხრეთიდან მდ. რიონი, ხოლო ჩრდილოეთიდან ხვამლის მთისა და ნაქერალას ქედის ფერდობების ძირში გამავალი ხაზი[11].

ეს გეოგრაფიული არეალი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საკუთრივ ქალაქი გორაკ-ბორცვიან ზონაში მდებარეობს, რომელიც ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მთაგორებში გადადის, ხოლო სამხრეთითა და დასავლეთით კოლხეთის ნაყოფიერი ვაკე-დაბლობია გაშლილი. ქუთაისის მხარე საინტერესოა ბუნებათსარგებლობის თვალსაზრისით. იგი კლასიკურია გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური მოზაიკით კავკასიაში. მის პლასტიკას განსაზღვრავს მორფოსკულპტურული ფორმების სიუხვე და სპეციფიურობა[12]. კლიმატის თვალსაზრისით, ქუთაისი და მისი შემოგარენი („ქვეყანა") დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ოლქშია განლაგებული. ჰავა ხასიათდება ნაადრევი გაზაფხულით, შედარებით მშრალი და ცხელი ზაფხულით, ხანმოკლე გვალვიანი პერიოდით, ზომიერად თბილი ზამთრით. ჰავის თავისებურებანი და საერთო ტემპერატურული რეჟიმი (კერძოდ, ჰაერის მაღალი ტემპერატურა გაზაფხულზე) ხელსაყრელი პირობაა მიწათმოქმედებისა და სოფლის მეურნების (საადრეო მეხილეობის და მებოსტნეობის, საერთოდ, მებაღეობა – მევენახეობის) განვითარებისათვის, რასაც ხელს უწყობდა ატმოსფერული ნალექების სიუხვე და მდინარეთა სიხშირეც, რომელთაც კვებავს მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, აგრეთვე თოვლისა და წვიმის უხვი ნალექები. მთავარი საწყლო არტერიაა მდ. რიონი, რომელსაც ქალაქისა და მისი შემოგარენის ფარგლებში ერთვის პატარა მდინარეები. აქვე გადის მდინარე წყალწითელა თავისი პატარა შენაკადებით. ქუთაისის ქვეყანაზე მოედინება ყვირი-

ლა, ოღასკურა, ტყიბულა, ჭიშურა, გუბისწყალი... ეს მდინარეები უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სარწყავად, ხოლო ზოგიერთი კი (რიონის შუა წელი გეგუთამდე და ყვირილა) სანაოსნოდ და სატრანზიტო საშუალებადაც.

მდინარეებთან ერთად ქუთაისის მიდამოები საკმაოდ მდიდარია წყაროებით, რომელთაგან ზოგიერთი მინერალურია და სახელგანთქმულია თავისი სამკურნალო თვისებებით. ქუთაისი და მისი შემოგარენი ძალზე მდიდარი იყო ტყეებით. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი". ეს ტყეები (განსაკუთრებით აჯამეთისა) ნადირთ სიმრავლით გამოირჩეოდა, ამავე დროს ხე-ტყე უძველესი დროიდან გამოიყენებოდა კოლხეთში საშენ მასალად და სათბობ-საწვავად. დიდ როლს ასრულებდა აგრეთვე იგი მეტალურგიის განვითარებისთვისაც, რაც თვალსაჩინოდაა ასახული არქეოლოგიურ მონაპოვარშიც. კერამიკული წარმოების განვითარებისათვის კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თიხების სიმრავლეს ქუთაისის ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში.

ქუთაისის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მისმა ბუნებრივმა პირობებმა[13] უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ქალაქის მრავალსაუკუნოვან განვითარებაში. (სურ. 2).


92
წყალტუბო
Tsqaltubo
91
სათაფლია
Sataplia
90
გუმბრა
Gumbra
89
ბანოჯა
Banoja
კურსები
Kursebi
გელათი
Gelati
78
77
მოწამეთა
Motsameta
ქუთაისი
KUTAISI
Rioni
Tsqaltsitela
74
ოღასკურა
Oghaskura
76
ჭახათა
Tchakhata
Godogani
75
საღორია
Saghoria
88
ქვიტირი
Kvitiri
ზედა მესხეთი
Zeda Meskheti
87
ქვედა მესხეთი
Kveda Meskheti
ოდილაური
Odilauri
82
81
ჭოგნარი
Tchognari
Qvirila
84
გეგუთი
Geguti
ვარციხის წყალსაცავი
Vartsikhe Reservoir
N
W
E
S
85
პატრიკეთი
Patriketi
ტყაჩირი
Tqachiri
86
ვარციხე
Vartsikhe
83

ა) არქეოლოგიური შესწავლის მიმოხილვა

ქუთაისისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური ძეგლებისადმი ინტერესი ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ჩნდება. XIX ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში ქუთაისში იმოგზაურა შვეიცარიელმა მეცნიერმა დიუბუა დე მონპერემ, რომელმაც დაგვიტოვა ქუთაისისა და მისი ციხის საკმაოდ საინტერესო გეგმა – აღწერილობა, დღესაც რომ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, განსაკუთრებით ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე ქუთაისის ციხის ცალკეული ნაწილების იდენტიფიკაციისათვის[14]. (სურ. 3).

ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობა აღნიშნულია 1873 წელს კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების გახსნის დღეს ა. ბერჟეს მიერ კავკასიაში არქეოლოგიური კვლევა – ძიების პერსპექტივების შესახებ წარმოდგენილ მოხსენებაში[15].

ქუთაისში პირველი ნამდვილი არქეოლოგიური აღმოჩენის ავტორად უნდა ვაღიაროთ გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი, (სურ. 4), რომელსაც საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაზე (ყოფილი ბაღის, შემდეგ სევასტოპოლის ქუჩა) მიუკვლევია კერამიკული ფრაგმენტებისათვის და ისინი კერამიკული ქურის არსებობის მოწმობად მიუჩნევია.[16]. ამ აღმოჩენისა და ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლის დიდი მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ გიორგი წერეთელმა მოახსენა სრულიად რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომას 1880 წლის 18 ნოემბერს[17]. აქვეა ინფორმაცია დღევანდელ სოფელ ჭოგნარში ე. წ. „ნასაჯვარების" ბორცვზე (ბარონ ლონგეილის მამულში) აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებზე[18] (რკინის ისრისპირები, ბრინჯაოს ზანზალაკი, ვაზის სასხლავი დანა, ქალცედონისა და ლურჯი მინის მძივები, კერამიკა, რომელთა შორისაა ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევრის იონიური და აგრეთვე V საუკუნის ატიკური შავლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები და სხვ[19]. ამავე პერიოდში ქუთაისთან, მდ. წყალწითელას ხეობაში ე. წ. იაზონის მღვიმეში ე. ფავრისა და ა. უვაროვის მიერ (XIX ს. 70-იანი წლები) აღმოჩენი-



სურ. 2. ქუთაისისა და მისი მიდამოების სქემატური გეგმა

სურ. 3. 1833 წ. შედგენილი დიუბუას გეგმა

სურ. 4. გიორგი წერეთელი

ლი იქნა ქვის ხანის ადამიანის ცხოვრების ნაშთები[20]. 80-იან წლებში ქუთაისის მიდამოების პალეოლითური ძეგლების ძიება უწარმოებიათ რუს მკვლევარებს (ჩერნიავსკი, შტეინი, პოლიაკოვი, კომაროვი), რასაც მაშინ სასურველი შედეგი არ მოჰყოლია[21]. ამავე პერიოდში ბაგრატის ტაძარში არქეოლოგიური გათხრები ჩაუტარებია ქუთაისის გიმნაზიის დირექტორს ე. სტოიანოვს[22].

1914 წელს მდ. წყალწითელას ხეობაში საკაჟიასა და ორთვალა კლდის მღვიმეებში (თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანის მახლობლად) უცხოელმა არქეოლოგებმა რ. შმიდტმა და ლ. კოზლოვსკიმ ქვის ხანის ძეგლების წარმატებული აღმოჩენები გააკეთეს და ამით პირველად, დასაბუთებულად აუწყეს მსოფლიოს ქუთაისის მხარეში ქვის ხანის ძეგლების არსებობის ფაქტი. 1934 წელს კი წყალწითელას პალეოლითური ძეგლები მოიხილა და მათ შესახებ საყურადღებო ცნობები გამოაქვეყნა ლენინგრადელმა არქეოლოგმა ს. ზამიატნინმა[23]. შემდგომში გ. ნიორაძის მიერ 1936 და 1937 წლებში საკაჟიას მღვიმეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა ზედაპალეოლითის მძლავრი კულტურული ფენები[24] მოგვიანებით წყალწითელას ხეობაში ამავე დროის ნაშთები აღმოჩნდა ჭახათის ეხშიც[25]. უკანასკნელ წლებში მ. ნიორაძის ხელმძღვანელობით წყალწითელას ხეობაში ჩატარებული გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი და დადასტურებულია ქვის ხანის სხვადასხვა ეპოქის (აშელ-მუსტიე, ზედაპალეოლითი) ძეგლები[26].

ქუთაისის „ქვეყნის" ტერიტორიაზე ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობისაა ცნობილი ქუთაისელი მხარეთმცოდნის პეტრე ჭაბუკიანის მიერ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ უბანში გორა თეთრამიწაზე 1924 წელს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები[27] შემდგომმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ თეთრამიწა მრავალფენიანი ძეგლია, სადაც ადამიანის ცხოვრება ქვის ხანის ერთ-ერთი ადრეული საფეხურიდან – მუსტიეს ეპოქიდან დაწყებულა[28]. როგორც აღვნიშნეთ 1954 წელს გეოლოგ საღინაძის მიერ ჭახათას კლდეში მიკვლეული იქნა ადგილსაპოვებელი, რომელშიც შემდგომში მუსტიესა და მეზოლითის მძლავრი კულტურული ფენები იქნა გამოკვლეული[29].

ქვის ხანისა (ზედა პალეოლითის) და აგრეთვე ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძალზე საყურადღებო მასალებია აღმოჩენილი წყალტუბოს მახლობლად ე. წ. თეთრ მღვიმეში[30] და ტყიბულის მახლობლად ახალსოფლის მიდამოებში[31]. განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამოდგა, ბოლო წლებში, ყუმისთავში, ე. წ. „პრომეთეს მღვიმის" მახლობლად მდებარე „საწურბლიას" ეხში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევები თენგიზ მეშველიანის ხელმძღვანელობით ზედა პალეოლითური, მწარმოებლური კულტურის შესწავლისათვის.

ქუთაისსა და მის მიდამოებში ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევა – ძიების შედეგები ძალზე დიდი მნიშვნელობისაა საერთოდ მთელს საქართველოში ადამიანის განსახლების ადრეული ეტაპის ისტორიისათვის. კერძოდ, კი მონადირეობა-შემგროვებლობიდან – მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის პროცესების გარკვევისათვის[32]... საყურადღებო შედეგებია მიღწეული მომდევნო ეპოქების შესწავლის თვალსაზრისითაც. საკუთრივ ქალაქ ქუთაისსა და მისი ქვეყნის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვიანბრინჯაო – ადრერკინის, ანტიკური და საშუალო საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლთა შესწავლის შედეგები.

ქუთაისის „ქვეყნის" არქეოლოგიური შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს მოსკოვის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ე. კრუპნოვი) სოფ. ჭოგნარში ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოები, რომლის დროს შეგროვდა ძვ. წ. I ათასწლეულის კერამიკული ფრაგმენტები[33].

1944 წელს რიონის ქვემო წელზე ძველ ნამოსახლართა დაზვერვები ჩაატარეს ნ. ხოშტარიამ და ი. გრძელიშვილმა. ქუთაისის მახლობლად ნ. ხოშტარია მიუთითებს ძველ ნამოსახლარებს ბუნებრივ ბორცვებზე (ჭოგნარი, საღორია)[34]. 1949 წელს ჭოგნარში ე. წ. ფარნალის გორაზე გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალები შეკრიბა და ქუთაისის არქეოლოგიურ ექსპედიციას გადასცა არქეოლოგმა გ. ლომთათიძემ[35].

ქუთაისსა და მის მიდამოებში შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალები (მათ შორის ძვ. წ. VI-IV სს-ით დათარიღებული სამაროვნის ნაშთები) აღნუსხა და 1941 წელს გამოაქვეყნა მ. ივაშჩენკომ, მანვე შეისწავლა ქუთაისის მხარის ქვევრსამარხები[36].

1951 წელს ბორის კუფტინის ხელმძღვანელობით განხორციელებულმა სამარშრუტო ექსპედიციამ პეტრე ჭაბუკიანის მითითების საფუძველზე დაზვერა ქუთაისის მახლობლად სოფ. ბანოჯაში ადრერკინის ხანის ნამოსახლარი[37]. 1944 წელს სოფ. ფარცხანაყანევში პროფ. ალ. კალანდაძემ გათხარა ე. წ. რეხისტყის ელინისტური ხანის (ქვევრსამარხები) სამაროვანი[38]. ნინო კილაძის ხელმძღვანელობით 1968-69 წლებში განხორციელდა დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიცია თეთრამიწასა და მელოურის მიდამოებში[39]. ძალზე შედეგიანი გამოდგა აგრეთვე ცუცხვათის კარსტული მღვიმის არქეოლოგიური კვლევა, რომელსაც თავდაპირველად დ. თუშაბრამიშვილი ხელმძღვანელობდა[40]. სხვადასხვა დროს ეს მღვიმე მრავალმა უცხოელმა სპეციალისტმა მოიხილა ქართველ პალეოანთროპოლოგებთან ერთად. (დ. ლორთქიფანიძე, თ. მეშველიანი).

1960 წელს ქუთაისის მიდამოები ისტორიულ-გეოგრაფიული თვალთახედვით მოიხილა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა, რომელმაც აღნუსხა უძველესი სამოსახლო ბორცვები ე. წ. „გორიკები" (ჯიხაიში, პატრიკეთში, ტყაჩირში და სხვ.), გამოთქვა უაღრესად საინტერესო მოსაზრებანი მათი ფუნქციისა და ტოპოგრაფიის შესახებ[41].

1963-1965 წლებში ქ. ქუთაისსა და მის მიდამოებში ფართო მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები და მცირე საცდელი გათხრები (ქუთაისის ციხეზე, სოფ. ჭოგნარში „ფარნალის გორასა" და „ნასაჯვარების ბორცვზე", ბანოჯაში) განახორციელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ ოთ. ლორთქიფანიძის (სურ.5). ხელმძღვანელობით, რომელმაც აღნუსხა აგრეთვე ყველა ხელმისაწვდომი შემთხვევითი აღმოჩენაც და შეადგინა ქუთაისის ქვეყნის არქეოლოგიური რუკა.[42] სხვადასხვა დროს ქუთაისის მიდამოების არქეოლოგიური შესწავლისათვის მიმოხილვით, სადაზვერვო სამუშაოებს აწარმოებდა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ – ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპედიციები მ. ნიკოლეიშვილისა და ლ. ჯიქიას ხელმძღვანელობით. მათ მიერ ბევრი ძველი ნამოსახლარი და არქეოლოგიური ძეგლები იქნა ფიქსირებული („გორიკები", ქვევრსამარხები და სხვ.) და განადგურებას გადარჩენილი.

ქუთაისის ქვეყნის უძველესი ისტორიისათვის მეტად საყურადღებო მასალაა მოპოვებული სოფ. პატრიკეთის მიდამოებში ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით 1977 წ. განხორციელებული სამუშაოებისას. საკუთრივ გორაკზე აღმოჩნდა ამ რეგიონისათვის მაშინ უძველესი – ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების კერამიკა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მძლავრი კულტურული ფენები. ლაზიკის სამეფოს დროინდელი კულტურის ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვანია იქვე, პატრიკეთში „გორიკის" მახლობლად V – VI საუკუნეების აბანოსა და სხვა ნაშთების აღმოჩენა. ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობითვე ფართომასშტაბიანი სამუშაოები ჩატარდა გუბისწყლის ხეობაში ნამაშევის ბორცვზე, როდოპოლის – ვარდციხეში, შორაპანში[43].

ქუთაისისა და მისი მიდამოების გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევის საქმეში ახალი ეტაპი დაიწყო 1984 წლიდან. მას ახორციელებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიცია ოთ. ლორთქიფანიძის, ო. ლანჩავას, გ. კვირკველიას, ვ. ლიჩელის, ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით. არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა, როგორც საკუთრივ ქალაქ ქუთაისში, ასევე მის შემოგარენში (გელათში, რიონჰესის დასახლებასა და გეგუთ – პატრიკეთის მიდამოებში). ქალაქ ქუთაისის ისტორიისათვის განსაკუთრებით დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა „ქუთაისის ციხესა" და ე. წ. გაბაშვილის გორაზე აღმოჩენილი ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის ვრცელ ნამოსახლართა ნაშთები, საკუთრივ ციხის ტერიტორიაზე – ახ. წ. IV და შემდგომი საუკუნეების (გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით) საფორტიფიკაციო ნაგებობანი (გალავნის კედლები, კოშკები, „ცოტა კარი"), სასახლის, ტაძრებისა და ეკლესიების, აბანოების, წყალგაყვანილობისა და სხვ. ნაშთები, მათ შორის მძლავრი კულტურული ფენები, რომლებიც შეიცავენ სამშენებლო, სამეურნეო, სუფრის, სამზარეულო კერამიკას, მონეტებს, ლითონისა და მინის ნაწარმს და სხვა არტეფაქტებს[44], რაც უაღრესად დიდმ-

სურ. 5. მ.ასლანიკაშვილი, ო.ლორთქიფანიძე, ტიმ სევერინი, ო.ლანჩავა

ნიშვნელოვანი წყაროა აგრეთვე ხელოსნური წარმოებისა და სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიისათვის. მთლიანად კი ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის უკანასკნელი წლების მონაპოვარი სრულიად ახლებურად აშუქებს ქუთაისის მხარის აქამდე უცნობ პერიოდებს თავდაპირველი სამოსახლოს აღმოცენების და საქალაქო ცხოვრების ჩამოყალიბების ეტაპებს. განსაკუთრებით ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის, აგრეთვე, ახ. წ. IV-VIII საუკუნეების ისტორიის მრავალ ასპექტს, ამ ქალაქის როლსა და მნიშვნელობას არა მარტო კოლხეთის, არამედ ლაზიკის სამეფოს, ხოლო შემდეგ „აფხაზთა სამეფოს" ისტორიაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ამ პერიოდის ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი უმნიშვნელოვანესი წყაროა საერთოდ წინარეანტიკური, ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების საქართველოს საქალაქო ცხოვრების ისტორიისათვის.

1987-1989 წლებში ძვ. წ. I ათასწლეულის მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა მოიპოვა აგრეთვე წყალტუბოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კ. კალანდაძის ხელმძღვანელობით სოფ. საყულიაში[45] და ვ. ჩიხლაძემ ცხენისწყლის ხეობაში (გორდი, დიდღვაბუნა)[46]. ბოლო წლებში ქუთაისის მახლობლად საინტერესო აღმოჩენები აქვს თერჯოლის ექსპედიციას ზ. ბრაგვაძის ხელმძღვანელობით.

თუ მოკლედ შევაჯამებთ ზემოთქმულს, შეიძლება ითქვას შემდეგი:

ქუთაისსა და მისი „ქვეყნის" ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებისა და დაზვერვებისას, აგრეთვე, მიწის სამუშაოებისას შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა უთუოდ დიდმნიშვნელოვანი წყაროა ქუთაისის ისტორიისათვის[47]. სამწუხაროდ, ამ არქეოლოგიურ მონაპოვარში ჯერ კიდევ არაა ყველა ეპოქა სრულყოფილად წარმოდგენილი. კერძოდ, შედარებით მცირერიცხოვანია ადრე და შუაბრინჯაოს ამსახველი ეპოქის მასალები. ჯერჯერობით მცირერიცხოვანია, მაგრამ თანდათან ჩნდება გვიანელინისტური ხანის არტეფაქტებიც, ასევე სიხალვათეა ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან. სამაგიეროდ, მრავალფეროვანია ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც ასახავენ ქუთაისსა და მის მიდამოებში ადამიანთა თავდაპირველი განსახლების უაღრესად საინტერესო პროცესს. ასევე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია გვიანბრინჯაოსა და განსაკუთრებით ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, ისინი წარმოაჩენენ ქუთაისისა და მისი ქვეყნის სამეურნეო ათვისების, მსხვილი დასახლების ჩამოყალიბებას და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რთულ პროცესს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და განსაკუთრებით, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ძვ. წ. VI – IV საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებში წარმოდგენილია აგრეთვე ბერძნულ სამყაროსთან სავაჭრო კონტაქტების ამსახველი მასალები. ძვ. წ. IV-III საუკუნეების ქვევრსამარხებში, რომელნიც აგრე მრავლადაა აღმოჩენილი მთელ ქუთაისის ქვეყნის ტერიტორიაზე, ასახულია ეთნოკულტურული ინოვაციები ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში ადრეელინისტური ხანიდან და ა. შ. განსაკუთრებით მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია საშუალო საუკუნეების ყველა ეპოქის ძეგლები, ისინი საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ქუთაისის გარეგნული სახის, საფორტიფიკაციო სისტემის, ეკონომიკის ცალკეული დარგების (ხელოსნობა და საშინაო ვაჭრობა), უცხო ქვეყნებთან კონტაქტების, მატერიალური კულტურისა და ხელოვნების შესახებ. ამიტომ არქეოლოგიური ძეგლები ძველი

და საშუალო საუკუნეების ქუთაისის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ უნდა ვაღიაროთ, მით უფრო, რომ მათი რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და კიდევ მრავალი სიახლის მომცემი არქეოლოგიური აღმოჩენაა მოსალოდნელი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სულ უფრო და უფრო იზრდება არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების ინტერპრეტაციული შესაძლებლობანიც, კერძოდ, არქეოლოგიური არტეფაქტების სოციოლოგიური ატრიბუციის სფეროები.

ქუთაისის არქეოლოგიას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია შესძინა ბოლო ოცწლეულში არქეოლოგთა ახალი თაობის მიერ (რ. ისაკაძე, დ. ბერძენიშვილი, ნ. ქარციძე, მ. ჭუმბურიძე, შ. ბუაძე, დ. დვალიშვილი...) ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევებმა ბაგრატის ტაძრის ინტერიერ-ექსტერიერში, გელათის სამონასტრო კომპლექსსა და მოწამეთაში; ეს სამუშაოები განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით (ნ. ვაჩეიშვილი). აღმოჩენებმა სრულიად ახალი ფურცელი გადაშალეს საქართველოს ისტორიაში. დიახ, ათი წლის წინათ ვინ იფიქრებდა რომ ბაგრატის ტაძრის იატაკქვეშ აღმოჩნდებოდა ოთხი დიდი სამშენებლო ფენა სხვადასხვა ეპოქის ნაგებობათა ნაშთებით. აქედან ყველაზე უძველესი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნაგებობათა კომპლექსია, რომელიც სამარადჟამოდ გადაფარა და დააკონსერვა ახ. წ. IV საუკუნის დიდმა სამნავიანმა ბაზილიკამ, რომელიც ადრექრისტიანული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლად უნდა ვაღიაროთ. ახ. წ. VII საუკუნეში ამავე ადგილზე ახალი შვერილაბსიდიანი ბაზილიკა აუშენებიათ ე.წ. „ქუთათისის საყდარი", რომელიც სავარაუდოდ არაბთა გამანადგურებელ შემოსევას ემსხვერპლა VIII საუკუნის 30-იან წლებში. ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან (არჩილ-ლეონის) დროს „ქუთათისის საყდრის" განახლება და ძირეული რეკონსტრუქცია ჩაუტარებიათ და ზოგადად დიდი ძვრები ხდება ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში, ქართულ ხუროთმოძღვრებაში და სამეურნეო ყოფაში. სარეკონსტრუქციო სამუშაოები გრძელდება IX-X საუკუნეებშიც (საკურთხეველი....). ბაგრატის მშენებელმა წინარე ნაგებობათა დიდი ნაწილი გამოიყენა და ახალი ქსოვილით შეავსო. უპირატესად VIII-IX საუკუნეების ნაგებობათა საძირკვლებსა და კედლებზე დააშენა ახალი მაგ. სწორკუთხა, მკლავებსა და კონქებს შიგნიდან ოვალური ფორმა მისცა, გუმბათის საყრდენი სვეტებიც განაახლა და ა.შ.

ბ) წერილობითი წყაროები

ქუთაისის უძველესი ისტორიის რეკონსტრუქციის სრულყოფილად წარმოდგენისათვის არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება წერილობით წყაროებს. ქალაქის უძველესი ისტორიის წერილობითი წყაროები თითქმის არ მოგვეპოვება. ივარაუდება მხოლოდ რომ ქუთაისთან უნდა გავაიგივოთ ელინისტური ხანის ბერძნულ მწერლობაში (კალიმაქე კვირენელი, „მიზეზები", 1, 7, 25[48] ლიკოფრონ ქალკიდელი, „ალექსანდრა", ტ. 173[49]; აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა", 11, 399; II, 1267; IV, 511)[50] მოხსენიებული „ქალაქი კუტაია" (Kutaia polis), რომელიც კოლხეთის მეფის რეზიდენციად

და მაშასადამე, სახელმწიფოს დედაქალაქადაა წარმოდგენილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასახელებულ ავტორებთან „კუტაიას" მოხსენიება კოლხეთის დედაქალაქად უფრო ძველი წყაროებიდან მომდინარეობს და შესაბამისად, ელინისტურ ხანაზე უფრო ადრინდელ ვითარებას ასახავს (ამ თვალსაზრისით ბერძნულ წყაროებში ქუთაისის პირველმოხსენიების საკითხს დაწვრილებით განიხილავს აკად. ოთ. ლორთქიფანიძე და გამოთქვამს ვარაუდს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოპოლიტიკური სტრუქტურისა და გეოგრაფიული ფონის აღწერილობა ძირითადად უნდა მომდინარეობდეს ჰეკატე მილეტელისა და შესაძლოა, სკილაქს კარიანდელის თხზულებებიდან და ასახავს ძირითად სიტუაციას არაუგვიანეს ძვ. წ. VI საუკუნისა. ამ დროისათვის უნდა ვივარაუდოთ „არგონავტიკაში" მოხსენიებული „კუტაის"-ის არსებობაც. ამის არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ ჰეროდოტეს „ისტორიაში" (VII, 197) კოლხთა მეფე აიეტის შვილიშვილის კუტისორეს სახელის მოხსენიება თ. ყაუხჩიშვილის აზრით (რომელსაც სხვა ელინისტებიც იზიარებენ), ეს სახელი უკავშირდება ქალაქ „კუტაიას" („კუტაისის) სახელწოდებას. (კუტისოროს) ნიშნავს „კუტაიელს"[51]. თუ ძველი ბერძნული ენის სპეციალისტთა ეს მტკიცება სწორია, მაშინ შეიძლება ის განვიხილოთ, როგორც დოკუმენტური მოწმობა უკვე ძვ. წ. V საუკუნეში (და შესაბამისად უფრო ადრეც) „კუტაიას" (თუ „კუტაისის") სახელის მატარებელი ქალაქის კოლხეთში არსებობის შესახებ[52].

ამრიგად, შეიძლება გამოითქვას უაღრესად ჰიპოთეტური ვარაუდი: აპოლონიოს როდოსელთან და ელინისტური ხანის სხვა მწერლებთან (კალიმაქე, ლიკოფრონი) დადასტურებული ქალაქი „კუტაია"თუ „კუტაიის"-ი – კოლხეთის სამეფოსა და აიეტის სატახტო ქალაქი, მოიხსენიებოდა უფრო ადრეულ ბერძნულ წყაროებში, საფიქრებელია უკვე ძვ. წ. VI საუკუნეში, რაც თანხვდება კოლხეთში ქალაქების, როგორც ადმინისტრაციული ცენტრების წარმოქმნის ხანას – ასე ფიქრობდა აწ განსვენებული ბატონი ოთ. ლორთქიფანიძე[53]. კონკრეტულად თუ სად მდებარეობდა „კუტაიას" სახელით მოხსენიებული ქალაქი, მაშინ ამის თქმა ძნელი იყო, თუმცა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, შესაძლოა ეს საკითხიც გადაწყვეტილად ჩაითვალოს[54].

გვიანელინისტური, რომაული ხანის ბერძნულ და ლათინურენოვან მწერლობაში ქუთაისი (თუ „კუტაია") თითქოს აღარ იხსენიება[55], თუ არ ჩავთვლით გვიანანტიკური ხანის ფსევდოორფევსის (ანუ ე.წ. ორფიკულ) „არგონავტიკას",[56] რომელიც ძირითადად აპოლონიოს როდოსელის ნაწარმოებზეა დაფუძნებული[57].

ამის შემდგომ ქუთაისი მხოლოდ ახ. წ. VI საუკუნეში მოიხსენიება ბიზანტიასა და ირანს შორის დასავლეთ საქართველოს (ლაზიკის) ტერიტორიაზე მიმდინარე დიდი ომიანობის აღწერასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისაა VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსისა და დიპლომატის პროკოპი კესარიელის თხზულებანი („ომი სპარსელებთან", „ომი გუთებთან")[58]. აღსანიშნავია, რომ პროკოპი კესარიელი პირველია, ვინც სწორედ დღევანდელი ქუთაისის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქი (რომელსაც ის იხსენიებს სახელწოდებით „ქუთათისი" – Cotatisin) აიეტის სატახტო ქალაქთან გააიგივა[59]. იგივე ავტორი ქუთაისის მახლობლად პირველად იხსენიებს „მეტად მაგარ ციხეს, სახელად უქიმერიონს"[60], (თუმცა ამ უკანასკნელის ლოკალიზაციისა და ქუთაის-

თან მისი მიმართების შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა)[61]. ამიტომაც ის კიდევ ერთხელ ცალკე იქნება განხილული.

ქუთაისს იხსენიებს და მის შესახებ საინტერესო ცნობებს (აგრეთვე ბიზანტია-ირანის ომთან კონტექსტში) გვაწვდის VI საუკუნის სხვა ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი, რომლის თხზულება „იუსტინიანეს მეფობისათვის" (ფაქტობრივად პროკოპი კესარიელის „ისტორიის" გაგრძელებაა) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა VI საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის[62].

უცხო წყაროებიდან უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე VII საუკუნეში ლათინურ ენაზე შედგენილი უცნობი რავენელი ავტორის „კოსმოგრაფია", სადაც იხსენიება სადგური "Cotatisin"[63], რომელიც ქუთაისთანაა გაიგივებული, თუმც ძნელი სათქმელია, თუ როდინდელი ვითარებაა აქ წარმოდგენილი[64]. ძალზე საინტერესო ცნობას შეიცავს „სომხური გეოგრაფია", რომლის ვრცელ რედაქციაში ეგრისის ხუთ ქალაქს შორის (იანი, როდოპოლისი, ათინა, რიზე) დასახელებულია „კოტა" (ქუთაისი ო. ლ.)[65]

ქართულ საისტორიო წყაროებში ქუთაისი VIII საუკუნიდან იხსენიება. ქართული ნარატიული წერილობითი წყაროებიდან ამდროინდელი ქუთაისის შესახებ რამდენიმე ცნობაა დაცული ჯუანშერის ავტორობით ცნობილ თხზულებაში „ცხოვრება მეფის ვახტანგისი"[66], XI საუკუნის ანონიმის თხზულებაში „მატიანე ქართლისაი"[67], დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის[68], თამარის ისტორიკოსის ნაშრომებში[69], ჟამთაღმწერელთან (ე. წ. „ასწლოვანი ისტორია")[70]. მართალია, როგორც ჯუანშერის ავტორობით ცნობილი თხზულება, ასევე ანონიმის „მატიანე ქართლისაი" XI საუკუნით თარიღდება, მაგრამ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ვისარგებლოთ მათი ცნობით საკუთრივ VIII-X საუკუნეების მოვლენების გასაშუქებლადაც.

ჯუანშერის ავტორობით ცნობილი „ვახტანგ გორგასლის ისტორია" საერთოდ, როგორც წყარო საქართველოს ისტორიისათვის და საკუთრივ VII – VIII საუკუნეების მოვლენებისათვის, თანდათან სულ უფრო მეტ ნდობას იმსახურებს. ჩვენ ახლა არ ვაპირებთ ამ თხზულების წყაროთმცოდნეობით ანალიზს და ეს არც არის ამჯერად ჩვენი ამოცანა, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ქუთაისისა და ციხე – გოჯის (არქეოპოლისი, ნოქალაქევი) არქეოლოგიურმა გათხრებმა და შესწავლამ უცილობლად დაადასტურა ამ წყაროს ცნობები საკუთრივ ციხე – გოჯის განაშენიანებისა და მისი „სამზღუდიანობის" შესახებ[71], აგრეთვე „ქუთათისის საყდრის" შესახებ. (იხ. ქვემოთ). აღნიშნული და აგრეთვე უკანასკნელ წლებში საკითხის ირგვლივ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული ზოგი მოსაზრება, ჯუანშერის ავტორობით ცნობილი საისტორიო თხზულებასთან დაკავშირებით, ნდობას მატებს მითითებულ საისტორიო ნაწარმოებში დაცულ ცნობებს ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოს ქალაქების ისტორიის მიმართ.

რაც შეეხება ანონიმურ თზულებას „მატიანე ქართლისაი", როგორც ცნობილია, ეს წყარო საერთოდ იმსახურებს დიდ ნდობას. ამ ანონიმური წყაროს ცნობებს განსაკუთრებით მნიშვნელობა ენიჭება VIII და X საუკუნეების ქუთაისის შესახებ. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ეს ცნობები ძალიან მოკლე, ლაკონური და სქემატურია[72].

ქართული წერილობითი ნარატიული წყაროებიდან აღნიშნული ხანის ქუთაისის ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები აქვს ვახუშტი ბაგრატიონს[73], როგორც ჩანს, ვახუშტი ბაგრატიონი (ამ ნაწილში, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიც) „ქართლის ცხოვრების" ძველი ციკლის თხზულებებს ეყრდნობოდა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში აქვს „ქართლის ცხოვრების" ძველი ციკლის თხზულებებისაგან განსხვავებული, კონკრეტული ხასიათის ცნობებიც. არაა გამორიცხული, რომ ვახუშტი ბაგრატიონს, ჩვენთვის ცნობილი წყაროების გარდა სხვა უცნობი მასალაც ჰქონდა ხელთ.

არამცირედი მნიშვნელობა აქვს აგიოგრაფიული თხზულებების (განსაკუთრებით იოანე საბანისძის „აბო თბილელის მარტვილობის"[74], ანონიმი ავტორის „დავით და კონსტანტინეს მარტვილობის"[75]) პირდაპირ თუ არაპირდაპირ მითითებებს ქუთაისის შესახებ. სამწუხაროდ, სხვა თხრობითი წყაროები ამდროინდელი ქუთაისის ისტორიისათვის ჩვენ ხელთ არა გვაქვს.

ქალაქის წარსულისათვის ჩვენთვის საინტერესო ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ეპიგრაფიკული მასალა, საკუთრივ ბაგრატის ტაძრისა და ქალაქის შემოგარენში არსებული სხვა ნაგებობის წარწერები[76], დოკუმენტური წყაროები[77], ნუმიზმატიკის მონაცემები[78].

გ) ისტორიოგრაფიული მიმოხილვა

სადღეისოდ ქუთაისის ისტორიის და არქეოლოგიის შესახებ მნიშვნელოვანი რაოდენობის ლიტერატურა დაგროვდა. ამათგან დიდი ნაწილი განმაზოგადებელი ხასიათისაა, სადაც არის მცდელობა წარმოადგინონ ქუთაისის ერთიანი ისტორია უძველესი დროიდან. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვლ. ჩაკვეტაძის[79], აგრეთვე ვ. ჯაოშვილისა[80] და გ. გაბუნიას ნაშრომები[81]. მიუხედავად წყაროების სიმწირისა, ქართულ სამეცნიერო საისტორიო ლიტერატურაში მუდამ შეიმჩნეოდა დიდი ინტერესი ქუთაისის ძველი ისტორიის ცალკეული პერიოდებისადმი და მოვლენებისადმი. ამ დიდი ისტორიული მონაკვეთის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა პირობითად სამ ჯგუფად იყო დაყოფილი: 1. უძველესი ისტორიის (ახ. წ. IV საუკუნემდე), 2. ლაზიკის სამეფოს დროინდელი (ახ. წ. IV – VII სს.) და 3. VIII – XII საუკუნეების (ე. ი. იმ პერიოდის, როდესაც ქუთაისი ჯერ დასავლეთ საქართველოს, შემდეგ ერთიანი საქართველოს დედაქალაქი იყო და მისი შემდგომი ხანის) შესახებ.

პირველ ჯგუფში, ე. ი. უძველესი დროიდან ახ. წ. IV საუკუნემდე, ქუთაისის შესახებ ძირითადად არქეოლოგიური ხასიათის სამეცნიერო ლიტერატურაა. მათი ერთი ნაწილი უკვე დასახელდა ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლის განხილვისას. ამის გარდა უნდა აღინიშნოს დ. ქორიძის მონოგრაფია კოლხური კულტურის ძეგლების შესახებ, სადაც წარმოდგენილია ბრინჯაოს სამეურნეო იარაღთა განძები ქუთაისის ქვეყნიდან[82].

ბრინჯაოს განძების საკითხი სხვადასხვა კუთხით განხილული აქვთ ოთ. ჯაფარიძეს[83], ლ. ფანცხავას,[84] ლ. ჯიქიას[85] და ამ ბოლო დროს ოთ. ლორთქიფანიძეს[86].

ქუთაისისა და მისი ქვეყნის ძველი ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე უაღრესად საყურადღებო დებულებებია წამოყენებული ნ. ბერძენიშვილის უკვე ხსენებულ „ისტორიულ – გეოგრაფიულ დღიურში"[87].

თითქმის 30 წლიანმა არქეოლოგიურმა კვლევამ საშუალება მოგვცა ქუთაისზე შექმნილიყო სათანადო ღირებულების არქეოლოგიური გამოკვლევები და პუბლიკაციები. ქუთაისის არქეოლოგიურ კვლევას ჯერჯერობით მიეძღვნა ხუთი საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაცია[88]. მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ავტორთა ჯგუფის (ოთ. ლორთქიფანიძე, ო. ლანჩავა, მ. ლორთქიფანიძე, ვ. ბერიძე, ლ. მენაბდე) მიერ მომზადებული კრებული „ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე". სულ ახლახან გამოვიდა გ. მჭედლიძის „ქუთაისის XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XIX საუკუნის 20-იან წლებამდე'', სადაც ნაწილობრივი ასახვა ქუთაისის არქეოლოგიურმა კვლევამაც ჰპოვა.

ქუთაისის არქეოლოგიის საკითხებზე პერიოდულად საინტერესო სტატიები გამოქვეყნდა ქუთაისის მუზეუმის მასალებში[89]. სულ ახლახან გამოიცა ილუსტრირებული წიგნი – ქუთაისი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) „საქართველოს ძველი ქალაქების სერია – მარინე ბულიასა და მზია ჯანჯალიას მიერ. წიგნში ისტორიულ – არქეოლოგიური მიმოხილვის ანოტაციები ეკუთვნის მერაბ კეზევაძეს და ამ სტრიქონების ავტორს.

ქუთაისის ძველი ისტორიის საკითხების კვლევის ასპექტში ძალზე მნიშვნელოვანია ბერძნულ წყაროებში ქუთაისის მოხსენიებასთან დაკავშირებით ა. ურუშაძისა და თ. ყაუხჩიშვილის[90] გამოთქმული მოსაზრებანი. წყაროებში ქუთაისის პირველ მოხსენიების უაღრესად რთული საკითხის ირგვლივ გამოქვეყნდა საგანგებო ნაშრომებიც, თუმც ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავებული მიდგომით და თვალსაზრისით[91].

ქუთაისის ძველი ისტორიის საკითხების კვლევისას გასათვალისწინებელია მისი სახელწოდების წარმომავლობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანიც. ლინგვისტების მტკიცებით, ტოპონიმი „ქუთაისი" საერთო ქართველური ენის დონეზეა წარმოქმნილი[92], რამდენადაც ამ საკითხებზე პროფესიონალური მსჯელობა ლინგვისტების კომპეტენციაა, შემოვიფარგლებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ სემანტიკურ – ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ქუთაისის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ აზრთა სრული სხვადასხვაობაა[93].

ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული ლაზიკის სამეფოს დროინდელი ქუთაისის (ე. ი. IV – VII სს.) შესახებ. აქ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ბიზანტიასა და ირანს შორის ლაზიკაში წარმოებული ომისა და ქუთაისის როლზე ივ. ჯავახიშვილის[94], ს. ჯანაშიას[95], ს. ყაუხჩიშვილის[96], ნ. ბერძენიშვილის[97] ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებო დებულებანი.

VII საუკუნის და შემდგომი ხანის ქუთაისის შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ს. ჯანაშიას[98], ნ. ბერძენიშვილს[99], პ. ინგოროყვას[100], დ. მუსხელიშვილს[101] და მ. ლორთქიფანიძეს[102]. მათი კვლევა და მოსაზრებანი უმთავრესად ქუთაისის ხელახალი აღზევების, მისი ქართლის ერისმთავართა (მეფეთა) რეზიდენციად და დასავლეთ საქართველოს დედაქალაქად ხელახლად აღზევებასა და ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსების თუ გადმოტანის საკითხებს ეხება (ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა, მ. ლორთქიფანიძე).

საინტერესო ფაქტები აქვს ამ ეპოქის ქუთაისის განაშენიანების, მისი გარეგნული სახის, ციხის, სასახლის, ხიდის აგების შესახებ პ. იოსელიანს[103]. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში მასზე დაყრდნობა ძნელია, რადგან ავტორი, როგორც წესი, არ იძლევა მითითებებს წყაროებზე.

ქუთაისის ისტორიის შესახებ არსებულ ნაშრომთაგან ძალზე მნიშვნელოვანია ქ-ნ მ. ინაძის წიგნი: „ძველი კოლხეთის საზოგადოება", რომელშიაც ერთი თავი მთლიანად დათმობილი აქვს ქუთაისის ისტორიას, როგორც ძველი კოლხეთის პოლიტიკურ-ურბანისტულ ცენტრისას[104]. ავტორს საქმის ცოდნით აქვს გამოყენებული საკითხის შესახებ არსებული წყაროები, ლიტერატურა და მნიშვნელოვანი მოსაზრებანი აქვს გამოთქმული. საინტერესო მოსაზრებებია შ. მესხიას მონოგრაფიაში, ზოგი რამ არის „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" II და III ტომებში, გ. აფრასიძის, მ. გაბაშვილის, საქართველოს ქალაქების ისტორიისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში, ქუთაისის შესახებ დაწერილ „გზამკვლევებსა" თუ პოპულარულ წიგნებში[105].

ფრიად საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული „ქუთაისის ქვეყნის" შესახებ ქვ. ჩხატარაშვილს[106], გ. გაბუნიას[107] და ამ სტრიქონების ავტორს[108].

ქუთაისის 20 წლიანი არქეოლოგიური კვლევის შედეგებს მიეძღვნა სპეციალური მონოგრაფია „ქუთაისის არქეოლოგია" 2007 წ; რომლის განახლებულ და შევსებულ ვარიანტს წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს.

შენიშვნები

1. ***ბერძენიშვილი ნ.***, *საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII, თბ., 1975 წ., გვ. 17 და შმდ.*
2. ***აპოლონიოს როდოსელი***, *არგონავტიკა (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ) გამოსცა, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო აკ. ურუშაძემ), თბ., 1970 წ., გვ. 128-129, 276-277.*
3. ***„ქართლის ცხოვრება"*** *(ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ), I თბ., 1955 წ., გვ. 299.*
4. *იხსენიებენ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (**„ქართლის ცხოვრება"**, I, გვ. 319), ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე (**„ქართლის ცხოვრება"**, I, გვ. 367) და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" (**„ქართლის ცხოვრება"**, II, თბ., 1959 წ., გვ. 49.*
5. ***ჯანაშია ს.,*** *ეგრისის სამეფოს წარმოშობა. „შრომები", II, თბ., 1956 წ., გვ. 320-321.*
6. ***ნ. ბერძენიშვილის*** *აზრით, „სამოქალაქო ქვეყანა" წინაფეოდალური ხანის წარმონაქმნია, ხოლო ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება საციხისთავო „ქვეყნების" განვითარებით აღინიშნება (დასახ. ნაშრომი, გვ. 20).*
7. ***„ქართლის ცხოვრება"****, I, გვ. 354; დავითი „მრავალგზის გვიხილავს დამალტობელად ღაწვთა თვისთა ცრემლითა ხილვისა ზედა თვითოთა სახეთა სერთა მიერ განცდილთა-საძნაურთა, რომელი შეემთხუევიან მიუნდობელთა ამათ და უბადრუკთა ხორცითა, რომელთა ზრდის სხუათა უმეტეს **ქუეყანა ქუთათისისა".***
8. *„ქუთაისის სამოქალაქოსა" და „ქუთაისის ქვეყნის" ურთიერთთან მიმართების შესახებ შდრ. **ბერძენიშვილი ნ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 527 და შმდ., გვ. 532; „ქუთათისის სამოქალაქო" არის იგივე, რაც „ქუთათისის ქვეყანა".*
9. *იხ. **პროკოპი კესარიელი,** BჩVIII, 1, 14, 16-17; BᲧII, 29 (**ყაუხჩიშვილი სიმ.**, გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 2 თბ., 1965 წ., გვ. 119, 197, 202, 205, 208, 211); **აგათია სქოლასტიკოსი**, II, 19, 22; III, 6, 7, 19, 28; IV, 9, 15 (**ყაუხჩიშვილი სიმ.**, გეორგიკა, III, თბ., 1936 წ., გვ. 30, 41, 54, 61, 123, 159).*
10. *მოსაზრება „ქუთაისის ქვეყნისა" და პროკოპი კესარიელთან მოხსენიებული მოხირისის იგივეობის შესახებ პირველად ს. ჯანაშიამ გამოთქვა (**ჯანაშია ს.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 320-321; იხ. აგრეთვე **ბერძენიშვილი ნ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 471, 524, 527.*
11. *დაწვრ. იხ. **ლანჩავა ო.**, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან („მუხირისი"), მაცნე, ისტორიის... სერია, 4, 1974 წ., გვ. 129-136; „ქუთაისის ქვეყნის" საკითხი უფრო დაწვრილებით ქვემოთ კიდევ იქნება განხილული.*
12. *როგორც ბუნებრივ – ეგზოტიკური ძეგლები წითელ წიგნშია შეტანილი ცუცხვათის მრავალსართულიანი მღვიმე, სათაფლიის მღვიმე და დინოზავრების ნაკვალევი, წყალწითელას კანიონისებური ხეობა, წყალტუბოს 16 დარბაზიანი კარსტული მღვიმე, კირქვის ბუნებრივი ხიდი მდ. სემზე (ცხუნკური), კაცხისა და საირმის 40 მ. სიმაღლის კირქვისა და ქვიშაქვის სვეტები და სხვა.*
13. *ქუთაისისა და მისი ქვეყნის გეოგრაფიული დახასიათება დაწვრ. იხ. **ჯაოშვილი ვ.**, ქუთაისი (ეკონომიკურ – გეოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1989 წ., გვ. 12-55 (და იქ დასახ. ლიტ.). **ჩხეიძე ოთ.,** იმერეთის გეომორფოლოგია, ნაწ. I და II. თბ., 2003-04 წწ.*
14. ***Fr. Dubois de Montpereux**, Voyage autour du Caucase I, Paris, 1839, gვ. 15 და შმდ.*

15. ***Берже А.**, Кавказ в археологическом отношении, „Записки общества любителей Кавказской археологии". I, Тифлис, 1879 г., с. 17.*

16. *შემდგომში (1963 წელს) ეს ადგილები შეამოწმა ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და იქ ძვ. წ. VI-V სს-ის მძლავრი კულტურული ფენების არსებობა დაადასტურა.*

17. ***Церетели Г.,** Заметки о курганах и раскопках по Рионской долине ,,Протоколы подготовительного комитета V археологического съезда в Тифлисе". М., 1882 г., с. 337.*

18. ***Беленко Т. И.**, Дневник археологической раскопки на 95-й версте Поти-Тифлисской железной дороги, в близи р. Квирилы. ,,Протоколы"...с. 485-495.*

19. *ეს უაღრესად საყურადღებო არქეოლოგიური მასალა ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. №№2476-2994.*

20. ***E. Favre,** Recherches geologigues dans la partie centrale de la chaine du Caucase. Ceneve 1875. Уваров А. С., Археология России, Каменный период. М., 1881 г.*

21. ***Чернявский С. В.,** Записка о памятниках заподного Закавказья, Исследование которых наиболее настоятельно ИИРГО, Т. XVIII Вып. 5, СПБ 1887. стр.14-16.*

22. ***Газ. „Кавказ"**, №268, 1881.*

23. *იხ. **ბუგიანიშვილი თ.,** ქვედა პალეოლითი. „საქართველოს არქეოლოგია", (8 ტომად), I, თბ., 1991 წ., გვ. 98; Замятнин С. Н., Палеолит западного Закавказья. Сборник музея антропологии и этнографии. Т. XVII, М, Л, 1957 г.*

24. ***ნიორაძე გ.**, ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში. თბ., 1953 წ.*

25. ***ბერძენიშვილი ნ.,** ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში. თბ., 1964 წ.*

26. ***ნიორაძე მ.**, ახალი აღმოჩენები საკაჟიას მღვიმეში. საქ. მეცნ. აკად. მოამბე. 75; №3, თბ., 1974 წ., გვ. 749-752; **მისივე,** ახალი მონაცემები წყალწითელას პალეოლითის შესახებ. საქ. მეცნ. აკად. მოამბე. 78. №2, თბ., 1975 წ., გვ. 505-508; **მისივე,** ორთვალა მღვიმე. საქ. მეცნ. აკად. მოამბე. 84. №2, თბ., 1976 წ., გვ. 502-504; **მისივე,** მდ. წყალწითელას ხეობის ქვედაპალეოლითის დროის ზოგიერთი ღია სადგომის შესახებ. საქ. მეცნ. აკად. მოამბე. 196; №1, თბ., 1979 წ., გვ. 209-212; იხ. აგრეთვე, **ბუგიანიშვილი თ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 98 და შმდ; **ბერძენიშვილი ნ., ნიორაძე მ.,** ზედა პალეოლითი, „საქართველოს არქეოლოგია", I, გვ. 168. და შმდ.*

27. *დაწვრ. იხ. **ბუგიანიშვილი თ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 81, შენიშვნა 21.*

28. ***თუშაბრამიშვილი დ., ნებიერიძე ლ.,** საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური" ძეგლის დათარიღებისათვის. „მაცნე", №4, თბ., 1971 წ., გვ. 76-83; **ბერძენიშვილი ნ.**, ქვედაპალეოლითური ნაშთები ქუთაისის მიდამოებიდან. „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის". VI, თბ., 1974 წ., გვ. 3-21.*

29. ***Сагинадзе И.**, Погребенная пещера. Природа, №9, 1958 г., გვ. 113; **ბერძენიშვილი ნ.,** ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში. თბ., 1964 წ.*

30. ***Каландадзе А. Н., Каландадзе К. С.**, Белая пещера. „Археологические исследования на новостройках Грузинской ССР". Тб., 1976 г., с. 83-90. техже авторов, Древнейшие металлические оружия из пещеры „Тетри Мгвиме". „Археологические исследования на новостройках Грузинской ССР", Тб., с. 5-12.*

31. ***ნებიერიძე ლ.,** ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი ოკრიბაში. ძიებანი, №8, თბ., 2001 წ., გვ. 23.*

32. ***მეშველიანი თ., ვეკუა ა., რუსიშვილი ნ., ყვავაძე ე., ჩაგელიშვილი რ., ჯაყელი ნ.,** სახელმწიფო გრანტის „მონადირე-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვ-*

ლა საქართველოში" ფარგლებში 2008-2009 წწ. ჩატარებული საველე-არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ძიებანი, 2011 წ., გვ. 9 და შმდ. (აღნიშნული სამუშაოები გრძელდება).

33. ***Крупнов Е.**, Советская этнография т. 3-4. М., 1934 г. с. 108-109.ეს მასალები ამჟამად მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშია დაცული.*
34. ***ხოშტარია ნ.,** კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი და მათი შესწავლის პრობლემა; გრძელიშვილი ი., კოლხეთის დაბლობის ძველ მოსახლეობათა არქეოლოგიური გათხრების მეთოდიკისათვის. სმამ ტ. 6. თბ., 1945 წ.*
35. ***ლორთქიფანიძე ოთ.,** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966 წ., გვ. 43; **ჯიქია ლ.,** ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური ძეგლები. ქუთ., 1993 წ., გვ. 10.*
36. ***Иващенко М. М.,** Материалы к изучению культуры колхов. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის". II, თბ., 1941 წ. გვ. 38 და შმდ; **მისივე**, Кувшиный могильник в Западной Грузии. СА, XIII, 1950 г.*
37. *მოპოვებული არქეოლოგიური მასალები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. შდრ: **ლორთქიფანიძე ოთ.,** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966 წ., გვ. 42, შენიშვნა 7.*
38. ***ჯიქია ლ.,** დასახ. ნაშრომი. გვ. 10.*
39. *იქვე, გვ. 11.*
40. *Изучение пещер Колхиды. Тб., 1978 г., стр. 183-265.*
41. ***ბერძენიშვილი ნ.,** საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 448 და შემდ. ამ ნაშრომში მრავალი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული ამა თუ იმ ძეგლის ხასიათის შესახებ, აგრეთვე, ტოპონიმიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე. მაგ., გეოგრაფიულ სახელში კასტრი მდ. გუბისწყალზე ნ. ბერძენიშვილი ხედავს რომაულ – ბიზანტიური საველე – სამხედრო ბანაკის („კასტრუმ") ნაკვალევს და ამას არქეოლოგიური დაკვირვებაც ასაბუთებს (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 449, 454, 461-462, 368).*
42. *ექსპედიციის წინასწარი მოკლე ანგარიშები იხ. სამეცნიერო სესია მიძღვნილი საველე არქეოლოგიური კვლევა – ძიების შედეგებისადმი (მოხსენებათა ანოტაციები), 1963 წ., გვ. 26-30; 1964 წ., გვ. 27-29; 1965 წ., გვ. 19-21; აგრეთვე, **ლორთქიფანიძე ოთ.,** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966 წ., გვ. 41-44; **სახაროვა ლ.**, გვიანბრინჯაო – ადრერკინის ხანის კერამიკა ქუთაისის მიდამოებიდან. „მაცნე", №4; 1970 წ., გვ. 87 – 92;*
43. ***Джапаридзе В.**, и др. Археологические разведки и раскопки в зоне строительства Варцихской ГЭС, ,,Полевые археологические исследования в 1977 г.", Тб., 1980 г., с. 251-262; **ჯაფარიძე ვ.,** ვარციხის ნაქალაქარი. თბ., 1999 წ; **მისივე,** აღმოსავლეთ კოლხეთის გზების საკითხი (ახალი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), ძიებანი №8, 2001 წ., გვ. 79-91; **მისივე,** ეგრისის მატერიალური კულტურა ახ. წ. I – VI სს. სადოქტ. Dდისერტ. თბ., 1999 წ;*
44. ***ლანჩავა ო.,** „დიდი ქუთათისი" (ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე), ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ – ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, V, ქუთაისი, 1988 წ., გვ. 5-24; **ლორთქიფანიძე ოთ., ლანჩავა ო.,** ქუთაისის ისტორიის პრობლემები ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე, კრებულში: „დავით აღმაშენებელი", თბ., 1990 წ., გვ. 45-54; გათხრების ყოველწლიური წინასწარი მოკლე ანგარიშები (ო. ლანჩავას და ექსპედიციის წევრთა ავტორებით) იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პუბლიკაციაში:*

*„Полевые археологические исследования"... **ლანჩავა ო.,** ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში. თბ., 1995 წ., და კრებული: ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. თბილისი – ქუთაისი., 1994 წ.*

45. ***Каландадзе К.,** Новые данные о жилых холмах центральной Колхиды. Тб., 1990 г. (Препринт).*

46. *იხ. **ჩიხლაძე ვ.**, ნასოფლარი დიდღვაბუნა, შუასაუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით II კონფერენციის მასალები. თბ., 2003 წ., გვ. 51. თუმც, არადამაჯერებლად მიგვაჩნია დიდღვაბუნას ციხისა და უქიმერიონის იდენტიფიკაცის მისეული ვარაუდი.*

47. ***ლანჩავა ო.,** საუკუნის აღმოჩენა. მართლმადიდებლური ჟურნალი „მწყემსი კეთილი", №1, 2006 წ., მარტი; **ლანჩავა ო., ისაკაძე რ.,** არქეოლოგიური გათხრები ბაგრატის ტაძრის ინტერიერში. ქართველური მემკვიდრეობა, VIII, ქუთაისი, 2004 წ., გვ. 136.*

48. ***ყაუხჩიშვილი თ.,** ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. IV, თბ., 1980 წ., გვ. 107, 190.*

49. ***მისივე,** დასახ. ნაშრომი, გვ. 49.*

50. ***აპოლონიოს როდოსელი,** „არგონავტიკა" (ა. ურუშაძის გამოც.), გვ. 129, 173, 277.*

51. ***ყაუხჩიშვილი თ.,** ჰეროდოტეს ცნობები..., გვ. 34-35. იხ. აგრეთვე, **ურუშაძე ა.,** ძველი კოლხეთი..., გვ. 493; **Гордезиани Р. В.**, Проблемы Гомеровского эпоса, Тб., 1978 г. с. 209. კრებული, ქუთაისი უძველესი დროიდან... გვ. 51 და შმდ.*

52. *რამდენადმე განსხვავებული აზრისაა მ. ინაძე, რომლის მტკიცებით სახელწოდება „კუტაია" კი არსებობდა გაცილებით ადრე ელინისტურ ეპოქამდე, მაგრამ იგი იმ დროს უფრო ფართო მნიშვნელობის მატარებელი ტერმინი იყო, ვიდრე ქალაქია და ძველ წყაროებში ფიგურირებდა ფართო გეოგრაფიული ცნობილი მხარის, ქვეყნის მნიშვნელობით – **ინაძე მ.,** პირველი ცნობები..., გვ. 152 და შმდ.*

53. *იხ. **Лордкипанидзе О. Д.,** Наследие... გვ. 254 და შმდ. მიღებულ თარიღთან დაკავშირებით (ძვ. წ. VI ს.) ჩვენი დამოკიდებულება უარყოფითია...*

54. *უთუოდ ანგარიშგასაწევია პროკოპი კესარიელთან დაცული ტრადიცია, რომლის თანახმად აიეტის ქალაქი დაბლობში – ვაკე ადგილას იყო გაშენებული. ასევე აპოლონიოს როდოსელის თხზულების ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, რომ „კუტაია" მდინარე ფასისის გაყოლებაზე ვაკეზეა საგულვებელი. **ნიკოლოზ ბერძენიშვილი** თავის „ისტორიულ-გეოგრაფიულ" დღიურში („საქართველოს ისტორიის საკითხები", VIII, თბ., 1975 წ., გვ. 448): სვამს კითხვას „ხომ არ არის ეს ადგილი – „გეგუთი" – ძველ კოლხ მეფეთა ადგილსამყოფელი?..." სამწუხაროდ, განსვენებული მეცნიერის გამოქვეყნებული ნაშრომებიდან არ ჩანს, თუ რას ემყარებოდა ეს მოსაზრება; **ნოე ბალანჩივაძეც** პროკოპი კესარიელის ცნობების საფუძველზე ძველი ქუთაისის ციხეს გეგუთის ტერიტორიაზე ვარაუდობდა. გაზ. ქუთაისი, 1979 წ., 22. XII). ჩვენი აზრით, ეს საკითხი გადაწყვიტა 2005 წლის აღმოჩენებმა ქუთაისის ვაკე ნაწილში რუსთაველისა და გრიშაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე. (რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ).*

55. *მხოლოდ სტრაბონის „გეოგრაფიაში" (1, 2, 39) დამოწმებული კალიმაქე კვირინელის „აიეტ კვიტაიელის" მოხსენიება (იხ. აგრეთვე **ყაუხჩიშვილი თ.,** ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, თბ., 1980 წ., გვ. 97-98. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის მტკიცებით, თითქოს ქუთაისს იხსენიებდა არიანე (რომაელი მოხელე, რომელმაც იმპერატორ ადრიანეს დავალებით ახ. წ. 134 წელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმოგზაურა და მისი შედეგები აღწერა თავის*

*ცნობილ „პერიპლუსში"). თუ პროკოპი კესარიელის ცნობა სინამდვილეს შეეფერება, უნდა ვივარაუდოთ, რომ არიანე ქუთაისს მოიხსენებდა მის ჩვენამდე არმოღწეულ თხზულებაში, როგორიც იყო, მაგ., „ალანთა ისტორია" ან სხვა (**ყაუხჩიშვილი თ.,** ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბ., 1986 წ., გვ. 126-127).*

56. *შდრ. ორფიკული „არგონავტიკა" (ძველბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო **ნ. მელაშვილმა**), თბ., 1977 წ., გვ. 110.*
57. ***აპოლონიოს როდოსელი,** არგონავტიკა, ა. ურუშაძის გამოცემა...*
58. ***ყაუხჩიშვილი სიმ.,** გეორგიკა. 2, გვ. 38 და შმდ.*
59. *შდრ. **პროკოპი კესარიელი,** „ომი გუთებთან", VIII, 14 (**ყაუხჩიშვილი სიმ.,** გეორგიკა, II, გვ. 194 და შმდ.).*
60. *„ომი გუთებთან", VIII, 4, 16 (**ყაუხჩიშვილი სიმ..,** გეორგიკა, II, გვ. 196, 199 და შმდ).*
61. *შდრ. მაგ. **მუსხელიშვილი დ.**, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977 წ., გვ. 116 და შმდ. **მისივე,** საქართველო IV – VIII საუკუნეებში. გვ. 287.*
62. *გეორგიკა III...*
63. ***Еремян С.Т.**, Торговые пути Закавказья в эпоху сасанидов по Tabula Peutingeriana. ,,Вестник древней истории". №1, Москва, 1939 г., с. 94; **Меликишвили Г. А.,** К Истории древней Грузии., Тб., 1959 г. С. 442.*
64. *ფიქრობენ, რომ VII საუკუნეში შედგენილი რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფია", ისევე როგორც IV საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი რომაელი გეოგრაფოსის კასტორიოსის საგზაო რუკა (ე.წ. Tabula peutingeriana) ძირითადად ახ. წ. I-II საუკუნეების მონაცემებზეა დაფუძნებული, მაგრამ კასტორიოსის რუკაზე ქუთაისი აღნიშნული არაა – შდრ. **ნ. ლომოური,** ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. საქართველოს მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები", IV, 1, თბ., 1958 წ., გვ. 99-118.*
65. *Армянская география VII века по р. X Текст и перевод издал К. П. Патканов, 1877, стр.16. შდრ. **მუსხელიშვილი დ.,** საქართველო IV – VIII საუკუნეებში. გვ. 101.*
66. ***ქართლის ცხოვრება,** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **სიმ. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I, თბ., 1955 წ.*
67. *იქვე.*
68. *იქვე.*
69. ***ქართლის ცხოვრება,** ტ. II, თბ., 1959 წ.*
70. *იქვე.*
71. *იხ. ნოქალაქევი – არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, I, 1977 წ., და სხვა „ანგარიშები".*
72. ***ლორთქიფანიძე მ.,** ქუთაისი დას. საქართველოს დედაქალაქი. კრ. ქუთაისი უძველესი დროიდან... გვ. 89 და შმდ.*
73. ***ვახუშტი ბაგრატიონი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973 წ., **ლორთქიფანიძე მ.**, დასახ. ნაშრომი. გვ. 17.*
74. *იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I, თბ., 1964 წ.*
75. *იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I შედგენილი **სოლ. ყუბანეიშვილის** მიერ, თბ., 1946 წ.*
76. *ლაპიდარული წარწერები. დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. II, IX-XIII სს. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა **ვ. სილოგავამ,** თბ., 1980 წ; **მისივე,** ეპიგრაფიკული მასალა ბაგრატის ტაძრიდან და მისი მიდამოების არქეოლოგიური გათხრებიდან.*

ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე №4, 1995 წ., გვ. 55 და შმდ.

77. *იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1966 წ., ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984 წ.*

78. ***ლომოური თ.**, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა; **კაპანაძე დ.,** ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1955 წ. **აბრამიშვილი თ.**, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები. თბ., 1966 წ., **Джалаганиа И**., Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XII веков. Тб., 1979 г; **Пахомов Е.,** Монеты Грузии. И др; **ცუხიშვილი ი.**, **ლანჩავა ო.**, ბიზანტიური სპილენძის მონეტები ქუთაისიდან. ქსუ შრომები ტ. I, ქუთაისი, 1999 წ., გვ. 82 და შმდ.*

79. ***ჩაკვეტაძე ვ.,** ქუთაისის ისტორიიდან. თბ., 1960 წ. გვ. 17 და შმდ.*

80. ***ჯაოშვილი ვ.,** ქუთაისი (ეკონომიკურ – გეოგრაფიული მიმოხილვა). თბ., 1989 წ. (მეორე გამოცემა), გვ. 55 და შმდ.*

81. ***გაბუნია გ.,** ქუთაისის ისტორიული წარსულიდან, „ძველი და ახალი ქუთაისი". თბ., 1973 წ. გვ. 3 შმდ; **მისივე**, ასე იწყებოდა დიდი საქართველო. ქუთაისი, 1996 წ., გვ. 207 და შმდ.*

82. ***ქორიძე დ.,** კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965 წ., გვ. 14, 23-24.*

83. ***ჯაფარიძე ოთ.,** კოლხური ცული., სსმმ, XVI – B, თბ., 1950 წ.*

84. ***ფანცხავა ლ.,** კოლხური ცული ირმის გამოსახულებით, სსმმ XXIX – B, თბ.,1972 წ.*

85. ***ჯიქია ლ.,** ბრინჯაოს სამეურნეო იარაღები ქუთაისის მუზეუმიდან. მასალები, V, ქუთაისი, 1988 წ.*

86. ***ლორთქიფანიძე ოთ.,** „განძები" კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში, კავკასია ნეოლით- ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. ძიებანის დამატებანი VI, თბ., 2001 წ., გვ. 178.*

87. ***ბერძენიშვილი ნ.**, საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII, გვ. 448, 450 და შმდ., 542, 546 და შმდ., 461, 522 და შმდ.*

88. ***Ланчава О. И.,** (Автореферат кандидатской диссертации). Тб., 1975 г; მისივე, (სადისერტაციო მაცნე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად). თბ., 1995 წ; Джикия Л., (Автореферат кандидадской диссертации. Тб., 1999 г; **გაბრიაძე ა.,** (საკანდ. დისერ. ავტორეფერატი. თბ. 1999 წ.); **ისაკაძე რ.,** (საკანდ. დისერ. ავტორეფერატი. 2006 წ.); **ჭუმბურიძე მ.,** (სადოქტორო დისერ. ავტორეფერატი. 2009 წ.); **ქარციძე ნ.,** (სადოქტორო დისერ. ავტორეფერატი. 2010 წ.); დასაცავად მზადდება **შ. ბუაძისა** და **გ. ჭიჭინაძის** საკვალიფიკაციო ნაშრომები.*

89. ***ჯიქია ლ.,** ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში (ქვევრსამარხები). ქუთაისის ისტორიულ – ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, II, თბ., 1971 წ., გვ. 22-28; **მისივე,** ქუთაისის ქვეყნის არქეოლოგიური რუკა. „ძეგლის მეგობარი", 46, თბ., 1977 წ., გვ. 26-30; **მისივე,** გვიანი ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ძეგლები ქუთაისის მუზეუმიდან. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, III, თბ., 1978 წ., გვ. 143-175; **მისივე,** ქუთაისის მიდამოების ქვევრსამარხები. ქუთაისის მუზეუმის მასალები, IV, თბ., 1984 წ., გვ. 60-77; **მისივე**, ბრინჯაოს სამეურნეო იარაღები ქუთაისის მუზეუმიდან. ქუთაისის... მუზეუმის მასალები, V, ქუთაისი, 1988 წ., გვ. 23-50.*

90. ***ურუშაძე ა.,** ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში; **მისივე,** ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში .თბ., 1964 წ., გვ. 493-494. **ყაუხჩიშვილი თ.**, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1960 წ., გვ. 34; **მისივე,** საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976 წ., გვ. 19, 23-24, 59, 85.*

91. *ერთნი ქუთაისის პირველ მოხსენიებას მიკენური ხანით (ძვ. წ. XV ს-ით) ათარიღებენ (იხ.* ***გაბუნია გ.,*** *ქუთაისის ისტორიული წარსულიდან. ჩგვ. 7. და იქ დასახელებული* ***ა. ურუშაძის, ლ. სანიკიძის, სიმ. ყაუხჩიშვილის*** *და სხვ. საგაზეთო წერილები), სხვები კი უფრო გვიანი ხანით: შდრ.* ***ინაძე მ.,*** *პირველი ცნობები ქალაქ კვიტაიას შესახებ, კავკასიურ – ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1984 წ. გვ. 152-161;* ***Лордкипанидзе О. Д.****, ,,К вопросу о первом упоминании города Кутаиси В писменных источниках, Местние Этнополитические объеденения. Причерноморья в VII _ IV вв. до н. э". (Материалы симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо _ Вани 1985), Тб., 1988 г. с. 150-175;* ***მისივე,*** *ქალაქ ქუთაისის წერილობით წყაროებში პირველმოხსენიების საკითხისათვის. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. გვ. 34 და შმდ.*

92. ***Ониани Ал., Сарджвеладзе З.,*** *Против извращения вопросов грузинской топонимики. მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), №3, თბ., 1971 წ., გვ. 173-174.*

93. *ქუთაისის სახელწოდების წარმომავლობის საკითხი და მის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი განხილურლი აქვს* ***გ. ჟორდანიას****, რომელსაც ტოპონიმი „ქუთაისი" ადამიანის ხურიტული სახელიდან თუ გვარ – სახელიდან მომდინარე მიაჩნია (დაწვრ. ჟორდანია გ., მეხურელნი, თბ., 1956 წ., გვ. 168-174);* ***ნ, ბალანჩივაძის*** *აზრით, „ქუთაისი საკუთარი სახელის ქუთათი-ს ელინიზირებული ფორმა უნდა იყოს" (გაზ. ქუთაისი, 1984 წ., II ნოემბერი);* ***გ. გაბუნიას*** *აზრით, სახელწოდება ორი სხვადასხვა სახელის („ქუთაია) შერწყმის შედეგი უნდა იყოს (დასახ. ნაშრომი, გვ. 15, 23), რ. გორდეზიანის მტკიცებით: „ქართულ კუტაიასა და კრეტულ კუტაიონს შორის კავშირი დიდი ხანია შენიშნულია. კუტაიონ წინაბერძნული ჩამჩის, ბუტკის მნიშვნელობის კუტ – ფუძის შემცველი აპელატივების გათვალისწინებით შეიძლება აღნიშნავდეს გამოცარიელებულ ადგილს მთებს შორის. თუკი გავითვალისწინებთ ქართველურ ენებში ფუძე ქუთ-ის მნიშვნელობას (დიალ. გამო-ქუთ-ვ-ნა, „გოგრის გულის გამოღება", ქუთუთო და ა. შ.) შეიძლება ქართველური ტოპონიმის შემცველი ფუძისათვის იგივე სემანტიკა ვივარაუდოთ" (****გორდეზიანი რ.,*** *წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985 წ., გვ. 117-118); ვ. ჯაოშვილი კი იზიარებს ადრევე დ. მეღვინეთუხუცესისშვილის, ვ. ჩაკვეტაძის და სხვ. მოსაზრებას ქალაქის სახელწოდების კავშირს მის ადგილმდებარეობასთან: სახელის ფუძეში უნდა იყოს „ქვა" (მეგრულ დიალექტში „ქუა") –* ***ჯაოშვილი ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 56-57.*

94. ***ჯავახიშვილი ივ.****, ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951 წ. გვ. 256, 275-276, 418, 421.*

95. ***ჯანაშია ს.,*** *ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. შრომები, I, თბ., 1949 წ., გვ. 51. შმდ. ამ ნაშრომში განხილულია საერთოდ III ს-ის ლაზიკის ისტორიის საკითხები; იხ. აგრეთვე,* ***მისივე,*** *ეგრისის სამეფოს წამოშობა – შრომები, II, თბ., 1952 წ., გვ. 320-321.*

96. ***ყაუხჩიშვილი სიმ****., გეორგიკა, II, გვ. 195-196, შენიშვნა 7; გვ. 475 და შმდ.*

97. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 475 და შმდ.*

98. ***ჯანაშია ს.,*** *შრომები, I, თბ., 1949 წ. II, 1952 წ.*

99. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *სავაზირო ფეოდალურ საქართველოში; იხ.* ***ბერძენიშვილი ნ.,*** *საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966 წ; საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1975 წ.*

100. ***ინგოროყვა პ.,*** *გიორგი მერჩულე. თბ., 1954 წ.*

101. ***მუსხელიშვილი დ.,*** *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I და II, 1977 და 1980 წ.*

102. ***ლორთქიფანიძე მ.,*** *ქუთაისი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი ან ქუთაისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქი. კრებული, ქუთაისი უძველესი დროიდან... გვ. 89-118;*

103. ***Иоселиани П.,*** *Города сушествующие и сушествовавщие в Грузии. Тифлис, 1850 г.*

104. ***ინაძე მ.,*** *დასახ. ნაშრომი.*

105. ***Месхиа Ш.,*** *Города и городской строй феодальной Грузии. Тб., 1959 г.,* ***გაბაშვილი მ.,*** *დასავლეთ საქართველოს ქალაქები XI – XII საუკუნეებში. ჟურნალი მაცნე, ისტორიის...სერია 1973 წ., №4, გვ. 53-68;* ***ბალანჩივაძე ნ.,*** *ისტორიულ – არქეოლოგიური ეტიუდები, გაზ. სტალინელი. 1958 წ., №№15-22, 24-27;* ***სანიკიძე ლ.,*** *ქუთაისი და წლები. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", 1962 წ., №4, გვ. 62-64;* ***ნიკოლეიშვილი მ.,*** *ქუთაისის წარსულიდან, გზამკვლევი, ქუთაისი 1960 წ.,* ***მისივე,*** *განძი და საგანძური. ქუთაისი, 1986 წ., ქუთაისის ისტორიის ახალ პერიოდს მიეძღვნა აგრეთვე პროფ.* ***გ. მჭედლიძის*** *სადოქტორო დისერტაცია.*

106. ***ჩხატარაშვილი ქ.,*** *ქართული ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან. მაცნე, ისტორიის სერია №4. 1971 წ., გვ. 133-139.*

107. ***გაბუნია გ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 207.*

108. ***ლანჩავა ო.,*** *დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. მაცნე, ისტორიის სერია №4., 1974 წ., გვ. 129 და შმდ.*

I თავი | უძველესი დროიდან ძვ. წ. VIII საუკუნემდე

1. პირველმოსახლენი

თუ როდის და რა პირობებში დასახლდნენ ადამიანები პირველად ქუთაისის მიწა-წყალზე ეს საინტერესო საკითხი, თითქმის საუკუნენახევარია საისტორიო მეცნიერების კვლევის სფეროშია მოქცეული. საერთოდ ვარაუდობენ რომ პირველყოფილ ადამიანთა განსახლება ამიერკავკასიაში ხდებოდა სხვადასხვა დროსა და პირობებში, სხვადასხვა კერიდან. ძირითადად კი წინა აზიიდან.[1] პირველყოფილ ადამიანთა ფართოდ განსახლება საქართველოს ტერიტორიაზე აშელის ეპოქიდან ივარაუდება (დაახ. 300 ათასი წლის წინ). ამას ხელს უწყობდა ხელსაყრელი ბიო-გეოგრაფიული გარემო და მრავალფეროვანი ლანდშაფტურ-კლიმატური ზონები..[2] (სურ.6).

აშელ-მუსტიეს ეპოქის ადამიანები ცხოვრობდნენ, როგორც გამოქვაბულებში ასევე ღია ტიპის სადგომებში. დანიშნულების მიხედვით გამოიყენებდნენ „მუდმივ" ან დროებით სადგომებს, მონადირეთა ბანაკებს, სახელოსნოებს ან სადგომ-სახელოსნოებს. პირველყოფილი ადამიანების ძირითადი საქმიანობა საკვების მოპოვება იყო შემგროვებლური მეურნეობის გზით (ქალთა საქმიანობა...), თუმცა მთავარს მაინც მონადირეობა წარმოადგენდა, რაც ნოყიერი საკვებით უზრუნველყოფდა პალეოლითელის არსებობას. ამ თვალსაზრისით სწორედ, რომ უაღრესად ხელსაყრელი იყო თანამედროვე ქუთაისის მიწა – წყალი (რიონ - წყალწითელას ხეობა),[3] სადაც ქვედა პალეოლითის ბოლო საფეხურის-მუსტიერული ეპოქის მრავალი სადგომი იქნა აღმოჩენილი და შესწავლილი: ჭახათა, საკაჟია, ორთვალა, ცუცხვათი, თეთრამიწა..., ამ ადგილსაპოვებელთა გათხრების შედეგებმა უჩვენა, რომ მუსტიეს ეპოქისათვის უკვე აშკარაა მონადირეობის, როგორც მეურნეობის დარგის სპეციალიზაცია, აგრეთვე განვითარებული ჩანს მეთევზეობაც.[4]

მკვლევართა ყურადღებას იპყრობს ცუცხვათის გამოქვაბულთა სისტემაში აღმოჩენილი ე. წ. „ზედა გამოქვაბული", სადაც დათვის კულტთან დაკავშირებული რიტუალი სრულდებოდა პირველყოფილ მონადირეთა მიერ. კიდევ უფრო საინტერესოა საკაჟიის გამოქვაბულში აღმოჩენილი ნეანდერტალელის ქვედა ყბის ფრაგმენტი და კბილი, რომლის მიხედვითაც საკაჟიელი ადამიანი განცალკევებით დგას ადრეული ჰომონიდებისაგან და მას პალესტინელი ჰომონიდისაგან განსხვავებულ ცალკე შტოს მიაკუთვნებენ.[5] საკაჟიიდან ცნობილია აგრეთვე ზედაპალეოლითელი ადამიანის თავის ქალა, რომელსაც ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფიზიკურ – მორფოლოგიური ტიპის ჩამოყალიბების პროცესის გასარკვევად.[6] ქუთაისის მიწა-წყალზე გარდა ქვედაპალეოლითური ძეგლებისა ფართოდაა წარმოდგენილი ზედაპალეოლითელი ადამიანის განსახლების მდგომარეობის და ცხოვრების წესის ამსახველი ძეგლები. (სურ.7). განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა ე. წ. „საწურბლიას" მღვიმის

სურ. 6.
კაჟის იარაღები ქუთაისიდან (პალეოლითი)

სურ. 7.
კაჟის იაღაღები ქუთაისიდან (მეზოლითი)

ზედაპალეოლითური სადგომი სოფელ ყუმისთავიდან, სადაც აღმოჩნდა ოთხი თიხატკეპნილი იატაკი. ერთ-ერთ მათგანზე დადასტურდა კერის ნაშთი. 20 ათასი წლის წინანდელი ეს ნამოსახლარი ერთადერთია კავკასიაში თავისი კულტურული მნიშვნელობით.*

მათ ძირითად საქმიანობად კვლავ მონადირეობა და მეთევზეობა რჩება, იარაღებიც უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანია, თუმცა აშკარაა, რომ შედარებისას ზედაპალეოლითურ და მეზოლითურ სადგომებზე აღმოჩენილი ფაუნისტური მასალა განსხვავდება ერთმანეთისაგან. მეზოლითის ხანაში მკვეთრად შემცირებულია მსხვილ ცხოველებზე ნადირობა და წვრილჩლიქოსანთა მონადირება ხდება უფრო ინტენსიური, რაც ქმნის საფუძველს შემდგომ მათი მოშინაურებისთვისაც. ეს კი მოასწავებდა ახალ ეტაპს ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში, რასაც ფაქტობრივად მოჰყვა კიდევაც ახალი ეპოქის დასაწყისი ნეოლითის სახელით რომაა ცნობილი. ნეოლითი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქათაგანია კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც პირველყოფილი საზოგადოების მეურნეობასა და ეკონომიკაში აღინიშნა ძირეული ძვრებით. ადამიანი მიმთვისებლობითი მეურნეობიდან (ნადირობა, შემგროვებლობა) გადავიდა წარმოებით მეურნეობაზე (მესაქონლეობა, მიწათმოქმედება). ყოველივე ამას თან სდევდა ტექნიკური ცვლილებები და თვისობრივად ახალი ელემენტების გაჩენა (მაგ. მეთუნეობა) საზოგადოების ყოფაში. ამიტომაც უწოდეს ამ პროცესს „ნეოლითური რევოლუცია".

2. მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა

ნეოლითური კულტურის ძეგლები ქუთაისის მახლობელი ადგილებიდან მრავლადაა ცნობილი: თეთრამიწა,[7] (სურ.8). თეთრი მღვიმე,[8] (სურ.9). მელოური,[9] ონჭეიში, საგვარჯილე,[10] ისინი ერთიანდებიან დასავლურ-ამიერკავკასიური ნეოლითური კულტურის ერთიან არეალში და ქმნიან ლოკალურ ჯგუფს, რომელსაც გააჩნია გენეტიკური კავშირი ადგილობრივ მეზოლითურ კულტურასთან.[11]

მკვლევართა დაკვირვებით იმერეთის მხარეში (რიონი და მისი შენაკადების ხეობები) არსებული ძეგლების გეოგრაფიული განლაგება ქმნის საფუძველს ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანისათვის: კერძოდ, ადრენეოლითური ხანის ძეგლები: ბუღნარი, ნაკურალეში, ტვიში, ლაილაში, ონჭეიში, დარკვეთი, რომლებსაც ნათესაური კავშირი ეძებნებათ ამავე რეგიონის მეზოლითურ კულტურასთან, იწოდებიან „მთის ნეოლითის" სახელით, ხოლო შედარებით გვიანი საფეხურის ძეგლები: მელოური, საგვარჯილე და თეთრამიწა „ბარის ნეოლითის" ძეგლებს წარმოადგენენ. ამასთანავე ნეოლითური ნასახლარების ტოპოგრაფიული განლაგების მიხედვით, თითქოსდა შეინიშნება ნეოლითის თანმიმდევრული ჩამონაცვლება მთიდან ბარისაკენ. შესაბამისად, თუ თვალს გავადევნებთ ნეოლითური კულტურის განვითარებას საფეხურების მიხედვით, შეინიშნება ევოლუციურად აღმავალი გზა მთის პრიმიტიული მესაქონლე მეურნეობიდან ბარის მძლავრი მიწათმოქმედი საქმიანობისაკენ. მაშასადამე, ბარისაკენ მოძრაობის მთელ ამ პროცესს წითელ ზოლად გასდევს ადამიანის მიზანსწრაფული ლტოლვა მეურნეობის ახალი დარგის მიწათმოქმედების განვითარებისაკენ, ისე რომ ამავე დროს არაა დავიწყებული მეურნეობის მეორე ძირითადი ფორმა-მესაქონლეობა და სხვა დამხმარე დარგები-მონადირეობა და მეთევზეობა.[12].

გვიანნეოლითური კულტურის ფინალური სტადიის ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ. წ. VI ათასწლეულია მიჩნეული. ამ დროს მწარმოებლური მეურნეობის ხვედრითი წონა თანდათანობით იზრდება და რაც მთავარია ქვის იარაღების გვერდით ჩნდება ლითონის (სპილენძის) იარაღნაკეთობანი: ამიტომაც ეპოქას სპილენძქვის ხანა ანუ ენეოლითი ეწოდა. საქართველოს ტერიტორიაზე ამ ეპოქის ორი კულტურული არეალია გამოყოფილი: დასავლური და აღმოსავლური.

დასავლეთ საქართველოში ლითონის ხანის ადრეული ეტაპის ძეგლები მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი, შესაბამისად მათი შესწავლის მდგომარეობაც არასაკმარისია... მიუხედავად ამისა, ქუთაისი და მისი მიდამოები ამ ეპოქის ძეგლების სიუხვითაც გამოირჩევა. აქ გვხვდება ორი ტიპის ნამოსახლარები: ღია და მღვიმური. ღია ნამოსახლარებიდან ცნობილია თეთრამიწა,[13] ე. წ. ივერიკოს გორა[14] და ახალსოფლის[15] მიდამოები, ხოლო მღვიმური ნამოსახლარებია თეთრი მღვიმე[16] და საგვარჯილე.[17] ალბათ მღვიმურ ნამოსახლარებს უნდა მივაკუთვნოთ „საწურბლიას" (წყალტუბო) ადგილსაპოვებელი, რომლის ზედა ფენა ენე-

სურ. 8. თეთრამიწას კოლექცია

სურ. 9. თეთრი მღვიმის კოლექცია

ოლითური ხანითაა დათარიღებული. აღნიშნული პუნქტებიდან მომდინარე ქვის ნაწარმი: ნამგლისპირები, შუბისპირები, ხელსაფქვავის ქვები, სახეხ-საბეგველები და მიწის გასაფხვიერებელი ქვის იარაღები, ქუთაისის მხარის მკვიდრთა მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლას და მიწათმოქმედების გარკვეულ დონეზე განვითარებას მოწმობენ. ვარაუდობენ, რომ ამ პერიოდისათვის კულტივირებული იყო ისეთი მარცვლეული, როგორიცაა რბილი ხორბალი და შიშველმარცვალა ქერი.

ენეოლითური კულტურის ერთ-ერთი არსებითი თავისებურება დასავლურქართულ არეალში ისაა, რომ ამ დროის სამოსახლოები უმთავრესად მღვიმეებშია განლაგებული ღია ტიპის მცირერიცხოვან სადგომთა შორის გამოირჩევა ახალსოფლის მიდამოები და თეთრამიწა, ეს უკანასკნელი ადრე ნეოლითური ეპოქის ძეგლად იყო მიჩნეული.[18] სწორედ მკვლევართა შენიშვნით ღია ნამოსახლარებზე ჭარბობს სასოფლო-სამეურნეო ტიპის იარაღები, რაც მიწათმოქმედთა საქმიანობის უპირატესობაზე მეტყველებს, ხოლო მღვიმურ სადგომებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები მესაქონლეობის განვითარებაზე მიუთითებენ.[19] მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად შეიძლება გამოდგეს ქუთაისში ბაგრატის ტაძრის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი ქვის ცული ნახევრად ამოღებული სატარე ნახვრეტით (სურ. 10ბ), რომელიც სავარაუდოდ უნდა დაუკავშირდეს ამ ბოლო წლებში აქამდე ჩვენთვის უცნობ, ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოვლენილ თავდაპირველ კულტურულ ფენას, რაც არქიელის გორაზე სამოსახლოს გაჩენის მაუწყებელია.

როგორც აღვნიშნეთ ასეთი იარაღები განსაკუთრებით მრავლადაა თეთრამიწასა და ახალსოფლის ნამოსახლარზე, სადაც სამიწათმოქმედო საქმიანობასთან დაკავშირებული მასალები ჭარბობს. სამეურნეო დანიშნულების არტეფაქტების გვერდით მრავლად გვხვდება ძვლის, ქვისა და ნიჟარებისაგან დამზადებული ნაირგვარი ფორმის სამკაულებიც. მაგალითად, საგვარჯილეს ენეოლითურ ფენაში აღმოჩენილია საკიდი ამულეტები, ცხოველის გახვრეტილი კბილები, თევზის ფორმის ძვლის საკიდი და ნიჟარების ყელსაბამი[20]. ენეოლითური ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სიახლეთაგანია ლითონისაგან დამზადებული ნივთების გავრცელება. ლითონის უადრესი ნივთები აღმოჩენილია საგვარჯილეში, ესაა სპილენძის თევზსაჭერი ანკესი და ოთხწაგნაგა სადგისი. (რომელიც თვითნაბადი სპილენძის ცივად ჭედვისაგანაა მიღებული), ხოლო თეთრ მღვიმეში ნაპოვნია სპილენძის ისრისპირი,[21] მაშასადამე, ენეოლითურ ხანაში კვლავ დიდ როლს ასრულებდა ნადირობა, რომლის ნივთიერ დასტურად მაღლაკში აღმოჩენილი კაჟისაგან შესანიშნავად დამზადებული შუბისა და ისრისპირები გამოდგება, თუმცა მათი საბრძოლო დანიშნულებაც ეჭვს არ იწვევს. (სურ. 10, 10ბ).

სურ. 10. კაჟის შუბისპირები ქუთაისიდან

წინამორბედ პერიოდთან შედარებით განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ადის მეთუნეობა. (სურ.11, 12).

საყურადღებოა ქუთაისის მახლობლად მოწამეთის ფარდულში აღმოჩენილი კერამიკული ინვენტარი. მართალია ეს ფარდული მცირე ზომისაა და ერთ ფენას შეიცავდა, მაგრამ საინტერესო კერამიკული ინვენტარი მოგვცა, რომელშიაც მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ჭურჭელი ჭარბობს. საკმაოდ ბევრია ადგილობრივი კერამიკა, უპირატესად ქოთნები და ქილები მუ-

სურ. 10. ა. კაჟის იარაღები მაღლაკიდან

სურ. 10.ბ. ქვის ცული. არქიელის გორა

რა-მოშავო ან მონაცრისფრო ფერის, ზოგჯერ შემკული ნაჭდევებით, სავარცხლისებური ანაბეჭდებით და სხვ. გვხვდება აგრეთვე თხელკედლიანი, წითელ-პრიალა მრგვალძირიანი ჭურჭელიც.[22]

რიონ-ყვირილას აუზში გამოვლენილ ადრებრინჯაოს ხანის კულტურასა და წინარე ხანის კულტურას შორის დიდი სხვაობა არ შეიმჩნევა, არც მეურნეობის ხასიათში ჩანს რაიმე საგრძნობი ძვრები. ეკონომიკა ძირითადად დაფუძნებული იყო მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე. თუმცა მეურნეობის ძველი ფორმებიც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. საინტერესოა ის, რომ ბრინჯაოს ხანაში აქ გამოჩენას იწყებს მტკვარ-არაქსის კულტურა, როგორც ფიქრობენ იმერეთში ამ ხანაში ეს ორი კულტურა თანაარსებობს.[23] დასავლეთ საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურა წარმოდგენილია თავისი ლოკალური თავისებურებებით, იგი კარგადაა ილუსტრირებული იმერეთის ზეგანზე, (საჩხერის მაგალითზე), რომელიც ქუთაისიდან არც თუ ძალიან შორსაა დაცილებული. აქ უკვე საკმაოდ დაწინაურებული მიწათმოქმედი-მესაქონლე საზოგადოება ცხოვრობს. საზოგადოებაში უკვე დაწყებულია მეტალურგიის ცალკე დარგად გამოყოფის პროცესი და კარგადაა გამოკვეთილი ცივილიზაციის ზოგიერთი ელემენტი, პირველ რიგში, მარცვლეულ კულტურებზე აქცენტირებული მიწათმოქმედება და ლითონის დამუშავება.[24]

ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან აღინიშნება მტკვარ-არაქსის კულტურის „კრიზისი". ამ დროისათვის საქართველოს დაბლობ ადგილებში (ბარში) თითქოს შეიმჩნევა მოსახლეობის თანდათანობითი შემცირება და მისი ლტოლვა უფრო მთიანი და მაღალმთიანი ოლქებისაკენ. როგორც ფიქრობენ შესაძლოა თითქოს ეს იყოს მიზეზი ქუთაისის მხარის აუთვისებლობისა შუა ბრინჯაოს ხანაში. თუმცა მაინც, „ახლა ძნელია იმის დადგენა, რომ აქ, ოდესღაც აყვავებულ მხარეში, შუა ბრინჯაოს ხანაში თითქოს შესუსტდა ცხოვრება. ან თითქმის მთლიანად წყდება ცხოვრება რიონ-ყვირილას ხეობის გამოქვაბულებში და ეს ბუნებრივი თავშესაფარი ადგილები მიტოვებულია. ჩანს, რომ აქ ამ დროისათვის შესამჩნევად „ათხელდა" მოსახლეობა, შესაძლოა იმავე მიზეზის გამო, რასაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ვხვდებით, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის შემდეგ ერთგვარად შესუსტდა ცხოვრება ბარში".[25] დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლას და ვაკე რეგიონების დაცარიელებას, უფრო ეკონომიკური ფაქტორებით ხსნიან, ასევე გარე სამყაროსთან კავშირების შესუსტებას უკავშირებენ.[26] არის ალბათ სხვა მიზეზიც: კერძოდ, ქუთაისის მხარის სათანადო არქეოლოგიური შეუსწავლელობა. რადგან ამავე დროს, ე. ი. შუა ბრინჯაოს

11. ძვ. წ. XVI-XV სს. კერამიკა ქვედა ჰორიზონტის კულტურული ფენიდან

12. ქოთანი ზოომორფული ყურით

ხანაში, ინტენსიურად ჩანს ათვისებული კოლხეთის დაბლობის ის ნაწილი, რომელიც რიონ-ენგურის ორმდინარეთშია მოქცეული. აქ მასალები მოწმობენ მნიშვნელოვან გარდატეხას სოფლის მეურნეობაში, სადაც წამყვანი ადგილი კვლავ მესაქონლეობას უჭირავს. თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრინჯაოს მეტალურგიის მძლავრი განვითარება და ლითონის იარაღების ფართოდ გამოყენება. შუა ბრინჯაოს ხანაში პირველად ჩნდება დარიშხან-ანთიმონიანი და კალიანი ბრინჯაოს შენადნობები. როგორც ვარაუდობენ დასავლეთ საქართველოში რამოდენიმე სამთომადნო მეტალურგიული კერა ჩამოყალიბდა და ლითონის შემდგომი დამუშავების სხვადასხვა მეტალურგიული ცენტრები გაჩნდა. მათ შორის ქუთაისის მხარეშიც, ამის შესანიშნავ ილუსტრაციას მომდევნო ეპოქის ბრინჯაოს განძების აღმოჩენები ადასტურებენ.

3. ძველი ლითონეების ხანაში

საერთოდ II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მკვეთრად იცვლება მეურნეობის ხასიათი. მნიშვნელოვნად წინაურდება ბრინჯაოს მეტალურგია და საგრძნობლად მაღლდება ცხოვრების დონე. ასეთ სურათს გვაძლევს ქუთაისის „ქვეყნის" (მხარის) არქეოლოგიური აღმოჩენები. აშკარაა რომ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის კარგი პირობები შექმნილა რიონის ხეობაში მოსახლე საზოგადოების დაწინაურებისათვის.

ფართოდ გავრცელებულმა კოლხურმა სამეურნეო იარაღმა მიწათმოქმედების წინსვლა გამოიწვია. საკუთარი მეტალურგიული წარმოების შესაძლებლობამ კოლხური კულტურის ხანაში აქ ერთ-ერთი ძლიერი მეტალურგიული კერა ჩამოაყალიბა და მჭიდრო და ინტენსიური გახადა ეკონომიკური კავშირ--ურთიერთობები მეზობელ მთიან ოლქებთან. მიიჩნევენ, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურა უაღრესად თავისთავადი და უნიკალური სისტემაა, რომლის სახეს განსაზღვრავს ლითონის მრავალფეროვანი საომარი და განსაკუთებით, სამეურნეო იარაღი, უაღრესად სპეციფიკური კერამიკა და ჯარგვლური ტიპის არქიტექტურა.[27]

კოლხური კულტურის ჩამოყალიბება იწყება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედიდან. ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ კოლხურ კულტურას ახასიათებს ლითონის ნაწარმი (მრავალფეროვანი ცულები, თოხები, სეგმენტები, შუბისპირები, სამკაული...) რომელთა დიდი ნაწილი განძების სახითაა ჩვენამდე

სურ. 13.კოლხური ცულები დიმის კოლექციიდან

სურ. 13ა. ბრინჯაოს ცული ქვიშარიდან, II ათასწლეულის შუახანები

მოღწეული. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან კოლხეთში მკაფიოდ გამოხატულია ხელოსნობის სხვადასხვა დარგის გამოყოფა და სპეციალიზაცია ამა თუ იმ სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისათვის. ყველაზე მეტყველ მასალას ამ მხრივ ადგილობრივი წარმოების ბრინჯაოს ნივთების განძები გვაძლევენ.[28]

სულ მთლიანად საქართველოში 150-ზე მეტი განძია ცნობილი, (ამას ემატება იარაღთა ცალკეული აღმოჩენებიც). აქედან „ქუთაისის ქვეყანაში" 20-მდე განძია მოპოვებული, ქრონოლოგიური თვალსაზრისით მათ ორ ეტაპად ყოფენ: ძვ. წ. XIV-XII და ძვ. წ. XI-VII საუკუნეები. მათი აღმოჩენის ადგილები ძირითადად კონცენტრირებულია ქუთაისის მახლობლად განლაგებულ პუნქტებში. ამიტომ უკვე გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან ლითონის წარმოების მძლავრი კერის არსებობას ვარაუდობენ იმერეთის ზეგანზე და მის დაბლობ ზოლშიც, საილუსტრაციოდ მოკლედ განვიხილავთ თითოეულ მათგანს:

1. **დიმის განძი** – ლითონის წარმოების ყველაზე ადრინდელ ძეგლად რიონის შუა წელზე დიმის განძია მიჩნეული (ძვ. წ. XIV ს.), რომელიც პირველი სახეობის 12 კოლხურ ცულს შეიცავს.[29] დაცულია ქუთაისის მუზეუმში (ინვ. №3655-5462). აღმოჩენილია 1939 წ. (სურ.13,13ა).

2. **გოდოგნის განძი** – ქუთაისის მუზეუმშია ასევე დაცული ცულების კოლექცია (1925 წ.) გოდოგნიდან, (სამი ცალი), (სურ.14), რომელსაც ძვ. წ. XII საუკუნით ათარიღებენ და I სახეობის კოლხური ცულის უფრო განვითარებულ ფორმად მიიჩნევენ.[30] (№5418).

სურ. 14. გოდოგნის განძი

3. **ფარცხანაყანევის განძი** –1926 წელს ქუთაისის მუზეუმში შემოსულა კოლექცია სოფ. ფარცხანაყანევიდან, როგორც ფიქრობენ განძი ან მისი ნაწილი. იგი შედგება I სახეობის კოლხური ცულის, (სურ.15). ოთხი სეგმენტისაგან და ერთი თოხისაგან, რომელიც დაკარგულია (ძვ. წ. XIII ს).[31]

სურ. 15. კოლხური ცული ფარცხანაყანევიდან

4. **გორას განძი** (ბაღდათის რაიონი) – ნაპოვნია 1922 წ. საყანე ნაკვეთის და-

სურ. 16. გორას განძი

სურ. 17. ოფშკვითის განძი

სურ. 18. საქარას განძი

მუშავების დროს, დაცულია ქუთაისის მუზეუმში (ინვ. №752) შედგება: I სახეობის 12 ცალი სეგმენტური იარაღის, 5 თოხის ერთი მთლიანი და სამი ნატეხი I სახეობის კოლხური ცულისაგან. ნამგლის ფრაგმენტისა და ზოდებისაგან.[32] (სურ.16).

5. **ოფშკვითის განძი** – ქუთაისის მუზეუმში ინახება 52 ცალი დაზიანებული ნივთი. (ინვ. №1619/54 29) ოფშკვითიდან. 15 ცალი კოლხური ცული, 25 ცალი სეგმენტისებური იარაღი, თოხი და ნამგლის ფრაგმენტები, ბრტყელი ცულის და ბრინჯაოს ზოდის ორი ნატეხი, ასევე მასიური რგოლი, დათარიღებულია ძვ. წ. XII – XI საუკუნეებით. ლ. ჯიქიას ინფორმაციით ორი ცალი სეგმენტური იარაღი მოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია დაცული №№75702/2, 75702/5;[33] (სურ.17).

6. **საქარას განძი.** (ზესტაფონის რაიონი) – შემთხვევით იქნა აღმოჩენილი 1924 წ. ეკლესიის ნანგრევებზე, დაცულია ქუთაისის მუზეუმში. საქარას კოლექციაში შედის ბრინჯაოს ნივთები: I სახეობის კოლხური ცული. II სახეობის სამი თოხი და III სახეობის სეგმენტური იარაღი.[34]

7. **საქარადან** ქუთაისის მუზეუმში მეორედ შემოსულია განძი (ინვენტ. 5411), რომელშიც შედის ბრინჯაოს ორი თოხი და ერთი სეგმენტური იარაღი.[35] (სურ.18).

8. **ზემო სიმონეთის განძი.** (თერჯოლის რაიონი) – ქუთაისის მუზეუმში დაცულია განძი (ინვ. №3513) სიმონეთიდან, რომელშიც შედის დიდი ზომის აღმოსავლურ-ქართული (სურ.19,20). ცული, ქედაბეკური ტიპის მახვილის ფრაგმენტები ისრისა და სატევრის პირთა ფრაგმენტები.

ორი ცალი თოხი წალდის ფრაგმენტი. ექვსი ცალი სეგმენტისებური იარაღი II სახეობის და 180 კგ-მდე ბრინჯაოს უფორმო ზოდები.[36]

9. 1936 წელს განმეორებით ქუთაისის მუზეუმში **ზემო სიმონეთიდან** მოხვდა ოთხი ცალი სეგმენტისებური იარაღი და ერთი კოლხური ცული (ინვ. №5514).

სურ. 19. აღმოსავლურ-ქართული ცული ზემო სიმონეთის განძიდან

სურ. 20. ზემო სიმონეთის განძი

სურ. 21. დღნორისას განძის ნაწილი

სურ. 22. გურნას განძი

სურ. 23. კოლხური ცულები ქუთაისის მხარის ცალკეული ადგილებიდან

10. **ბეჟათუბნის განძი** (ზესტაფონის რაიონი) ნაპოვნია 1928 წ. მიწის დამუშავების დროს, დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ინვ. 27-29:1-6). მპოვნელის გადმოცემით ქვის ყუთში ჩალაგებული ყოფილა ხუთი აღმოსავლურ – ქართული ცული და ზოდის სამი ნატეხი.[37]

11. **თხმორის განძი*** 1953 წელსაა აღმოჩენილი. შედგება 20-ზე მეტი სხვადასხვა სახეობის თოხისაგან, სეგმენტური იარაღებისაგან (II სახეობის). ერთი ცალი კელტისმაგვარი იარაღი. ბრინჯაოს სატევრის ფორმის საკიდები (აბჯრისათვის?) და ზოდები. ცალკე წიგნად გამოქვეყნებული აქვს ოთ. ღამბაშიძეს.[38]

12. **ნიკორწმინდის განძი** – 1949 წელს შაორის ხეობაში ტოპოგრაფ სავინსკის უპოვია 14 ცალი კოლხური ცული, რომლის ნაწილი გამოქვეყნებული აქვს ი. გრძელიშვილს (სმამ,ტ.XII №9 1951 წ.) განეკუთვნება კოლხური ცულების III და IV სახეობას. ზოგიერთი ცული გრავირებულია გეომეტრიული და ცხოველური სახეებით.[39]

13. **ოჯოლის განძი** – ქუთაისიდან 15 – ოდე კმ. დაშორებით ტყიბულის რაიონში მდებარეობს სოფ. ოჯოლა. 1960 წ. სამოსახლო ადგილის მოსწორების დროს, შემთხვევით, მიწის ზედაპირიდან 1 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭურჭელში ჩაწყობილი ნივთები: 23 ცალი თოხი I და II სახეობის, ხელეჩო 1 ცალი. სეგმენტისებური იარაღი 5 ცალი. ერთს სატარეზე შვერილები აქვს. კოლხური ცული 2 ცალი. ერთი გეომეტრიული ორნამენტით შემკული. ბრტყელი ცული 1 ცალი გვერდითი შვერილებით ბოლოსა და წელზე. ისრისწვერები 3 ცალი. ზედაპირდაკბილული და ბრტყელფირფიტოვანი სამაჯურები, ბოლოებგახსნილი რგოლი, ფიბულა, ზოდები.[40]

14. **დღნორისის განძი** ოჯოლიდან სამიოდე კმ-შია აღმოჩენილი. მდ. ლეხიდარის მარჯვენა ნაპირზე. დაცულია ქუთაისის მუზეუმში. განძის შემადგენლობაშია ერთი პატარა ზომის ცული (IV სახეობის) და თოხები (სამი ცალი?)[41]

დღნორისიდან – მეორე განძი შემოსულია წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც თოხების, ცულების და სატევრების გვერდით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მინიატურული კოლხური ცული, რომლის ანალოგიური ცნობილია აგრეთვე ქუთაისის მუზეუმიდან (სურ. 21).

15. **გურნის განძი** – 1980 წელს ჩაის პლანტაციაში გზის გაყვანის დროს ტრაქტორმა ამოყარა ბრინჯაოს ნივთები და ზოდები. შეგვატყობინა ამავე სოფლის მკვიდრმა შ. კაკუშაძემ. ბატონ ოთ. ლორთქიფანიძესთან ერთად ვინახულეთ ძეგლის აღმოჩენის ადგილი. ნივთები გადატანილი იქნა ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. განძი შედგებოდა ხმარებიდან გამოსული დიდი

სურ. 24. ბრინჯაოს ინვენტარი ხონის რაიონიდან

სურ. 25. ნოღას კოლექცია

რაოდენობის კოლხური ცულების, თოხების, სეგმენტური იარაღებისა და შუბ-ისპირებისაგან. (სურ.22).

მრავლად იყო ნახევარსფერული ფორმის ბრინჯაოს ზოდები დაახლოებით 150 კგ. განძი დაფლული იყო საგანგებოდ ამოჭრილ ორმოში მიწის ზედაპირი-დან დაახლ. 1 მ. სიღრმეზე, შესაძლოა ნივთები თავის დროზე ტომარაში ყო-ფილიყო ჩალაგებული. მონაცემების მიხედვით იგი მდნობელთა განძია.[42]

16. **ბზვანის განძი.** (ვანის რაიონი) – ნაპოვნი იქნა 1936 წ. განძი შედგება რკინის თოხებისა და სეგმენტისებური იარაღებისაგან. (დ. ქორიძე).

17. **ზეკარის კოლექცია** (ბაღდათის რაიონი) – 1924 წელს ბაღდათის რაიონიდან ქუთაისის მუზეუმში შემოვიდა ბრინჯაოს კოლხური ცული (ინვ. 5411 1-4), ხოლო სოფ. საკრაულადან ორი ცალი კოლხური ცული (ინვ. №7468 1-2). 1926 წ. ვანის რაიონის სოფ. ინაშაურიდან ქუთაისის მუზეუმში შემოვ-იდა ბრინჯაოს სეგმენტური იარაღი. სხვადასხვა დროს ასევე, შემოსულია კოლხური ცულები და თოხები თერჯოლიდან, ჩხარიდან, ძევრიდან, სვირი-დან[43]. (სურ.23).

18. **ჩუნეშის კოლექცია** (წყალტუბოს რაიონი) – ქუთაისის მუზეუმში ინახება ერთი თოხი და სამი ცალი სეგმენტისებური იარაღი (№№8251 1-4) ჩუნეშიდან. აგრეთვე თოხი და სეგმენტისებური იარაღი წყალტუბოდან (№№6859 1; 6859 2).

19. **ხონის კოლექცია** დაცულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ბრინჯაოს ცულები 8 ცალი სეგმენტისებური იარაღები 4 ცალი და თოხი 4 ცალი. ცულები ნაპოვნია გოჩა ჯიხაიშში. ერთი საკუთრივ ხონში (ინვ. №№4857/10)[44] და ღვედ-ში (სურ. 24.)

20. **ნოღას კოლექცია** (სურ.25). ოთხი ცალი სეგმენტისებური იარაღი, ერთი თოხი და ცულის პირის ფრაგმენტი.

21. ქუთაისის მუზეუმში დაცულია აგრეთვე უცნობი ადგილიდან შემოსული ექვსი ცალი კოლხური ცული (ინვ. №5482 1,2,3,4,7,8,):

სეგმენტისებური იარაღები და ბრინჯაოს თოხები. (ინვ. 5487 1-2; 5586-2; 5561 1,23).

სავარაუდოდ ისინი ასევე ქუთაისის მახლობელი ადგილებიდანაა მოპოვებული.

საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაზე (კახიანოური, ცაცხვების უბანი, ბაგრა-ტის ტაძარი) მოპოვებულია ცულების ერთეული ნიმუშები[45]. მაგალითად, არ-ქიელის გორა (ბაგრატის ტაძრის მიდამოები) შემთხვევით აღმოჩენილია ერთი ცალი სეგმენტისებური იარაღი (ძვ. წ. XII – XI სს.) და ბრინჯაოს სუბმიკენური ტიპის მშვილდსაკინძი (№915).

სურ. 26ა. მწვანეყვავილას ცული ვერტიკალური სატარე ხვრელით

სურ. 26. ირმის გამოსახულებიანი ცული ქუთაისიდან

„მწვანეყვავილას" უბანი – ერთი ვერტიკალურხვრელიანი ცული, ცილინდრული სატარით და სეგმენტის ფორმის პირით მკვეთრად განსხვავდება სხვა ვერტიკალუხვრელიანი ცულებისაგან. (სურ. 26ა).

„კახიანოურის" უბანი – ქუთაისის მუზეუმში შემოსულია ორი ცალი კოლხური ცული (XIII ს.) და ბრინჯაოს ერთი სეგმენტური იარაღი (ასევე ძვ. წ. XIII-XII სს.).

ქუთაისის სხვადასხვა უბნიდან – (ყაზბეგის ქუჩა, რიონის ნაპირი და სხვ.) მომდინარეობს სამი ცალი გრავირებული კოლხური ცული – ორზე ირმის გამოსახულებით. ერთი მათგანი ეროვნულ მუზეუმშია დაცული (№12-61:81) გამოაქვეყნა ლ. ფანცხავამ (სურ. 26) და ძვ. წ. IX – VIII საუკუნეებით დაათარიღა. მერე – ქუთაისის მუზეუმში ინახება (№9685); მესამე 1988 წ. შეიძინა ქუთაისის მუზეუმმა თითქოს რიონის ნაპირზეა ნაპოვნი (№9777) მას ეტყობა გრავირების კვალი წიწვოვანი ორნამენტის სახით. ლ. ჯიქია მას ძვ. წ. X – IX საუკუნეებით ათარიღებს.

ჭოგნარიდან – (№7159) ქუთაისის მუზეუმში შემოვიდა ერთი კოლხური ცული (ძვ. წ. XII – XI სს.)

დიდი რაოდენობითაა განძები აღმოჩენილი რაჭისა და ლეჩხუმის ტერიტორიაზე (ბუგეული, ტოლა, ოყურეში, ლაილაში, ცაგერი და სხვ.), რომელიც გარკვეულწილად ემეზობლება და უკავშირდება იმერეთის ზეგანს რაც ასევე მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს რეგიონის მეტალურგიული წარმოების კერების გარკვევის თვალსაზრისით.

საერთოდ, როდესაც კოლხური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტს ეხებიან კონკრეტულად განძების ფენომენს განიხილავენ, როგორც ქონებრივი და უფლებრივი დიფერენციაციის არაპირდაპირ ფაქტორს და თვლიან მას სიმდიდრის დაგროვების უტყუარ მოწმობად.[46] ხოლო განძებში შემავალ ნივთებში გარდა სამეურნეო დანიშნულებისა გაცვლითი ექვივალენტის (ფულის) ფუნქციასაც ხედავენ.[47] ბოლო დროს გამოითქვა ვარაუდი განძების საკრალური დანიშნულების შესახებაც.[48] მაშასადამე, კოლხური ბრინჯაოს განძები უაღრესად საინტერესო და მრავალმხრივი (სოციალურ-ეკონომიკური, ეთნო-კულტურული და რელიგიური) ინფორმაციის შემცველი ფენომენია. ამიტომაც მისი სრულყოფილი შესწავლა კოლხური ცივილიზაციის კვლევისათვის ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა.

როგორც ჩანს ქუთაისის მხარე სპილენძით მდიდარი მთაგორიანი ადგილებიდან (რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი) ღებულობდა ნედლეულს ნახევარფაბრიკატების და ზოდების სახით, ხოლო ლითონის ნივთების დამზადება იმერეთის ზეგანზე და ბარში განლაგებულ სპეციალურ სახელოსნოებში ხდებოდა.

ეს საწარმოო პროცესი პირველ ყოვლისა, ადგილობრივი მეურნეობის განვითარების ინტერესებს ემსახურებოდა,[49]რადგანაც ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარების აუცილებლობა თავისთავად განაპირობებდა მოთხოვნილებას ლითონის ხელოსნურ ნაწარმზე და განსაზღვრავდა ხელოსნური წარმოების ფართო მასშტაბებს. მაშასადამე, მიწათმოქმედების აღმავლობა და მეტალურგიის წარმატებული განვითარება ურთიერთდამოკიდებული პროცესი იყო, რომლსაც შედეგად მაღალორგანიზებული საზოგადოების ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევაც.

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, ქუთაისის მხარე რომ მეურნეობრივად ფართოდ იყო ათვისებელი და მჭიდროდ დასახლებული ამის ნათელი

ილუსტრაცია თუნდაც ზემოთ ჩამოთვლილი განძების სიმრავლეა. საწარმოო სახელოსნოების განლაგებაც, როგორც წესი მსხვილ სამოსახლოებთან იყო დაკავშირებული და ხშირ შემთხვევაში ამ სამოსახლოთა ორგანულ ნაწილსაც შეადგენდა. ასეთი ვითარება წარმოგვიდგენია ჩვენ ქუთაისის მხარეშიც. ამის საფუძველს იძლევა უკანასკნელი წლების არქეოლოგიური კვლევის შედეგები, თუმცა ჩვენამდე არქეოლოგიურად, ნაწილობრივ მხოლოდ პატრიკეთის გორიკა[50] იყო შესწავლილი, სულ ბოლო დროს ქუთაისის ექსპედიციამ შესანიშნავ არტეფაქტებს მიაკვლია არქიელის გორაზე ახლად აღმოჩენილ უძველეს ფენაში, რაც ეპოქის გაშუქების დიდ პერსპექტივას გვაძლევს, ამიტომაც შეიძლება ითქვას ამ საკითხის კვლევა ჯერჯერობით საწყის სტადიაშია, თუმცა გარკვეული დასკვნების გაკეთება მაინც შეიძლება.

4. კოლხური სახელმწიფოებრიობის სათავეებთან

ლითონის მოპოვებისა და მისგან სამეურნეო და საბრძოლო იარაღების თუ სხვა ნაკეთობათა დამზადების ისეთი ფართო მასშტაბები, რომელიც ფიქსირებულია აქ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან და მიმდინარეობს საკმაოდ სწრაფი ტემპითა და აღმავალი გზით ყოვლად წარმოუდგენელია მადნის მფლობელი და მომპოვებელი მთის მოსახლეობის ბარის სასოფლო – სამეურნეო ოლქებთან რეგულარული სააღებმიცემო ურთიერთობათა გარეშე. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი საფუძველი და საკმაოდ მკვიდრი საფუძველიც, რომელიც დიდი და მცირე კავკასიონის სამთამადნო რაიონებისა და კოლხეთის დაბლობის ბარული მეურნეობის მოსახლეობას ერთიან ეკონომიკურ და ამის საფუძველზე ერთიან პოლიტიკურ სისტემაში აერთიანებდა, რაც აისახა კიდეც ვრცელ ტერიტორიაზე ერთგვაროვანი მატერიალური კულტურის გავრცელებაში... ასე ფიქრობდა კოლხეთის ისტორიისა და კულტურის ცნობილი მკვლევარი პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე.[51]

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარება მეტალურგიასთან ერთად კოლხეთის დაბლობზე იყო ის უმთავრესი საფუძველი, თავისებური მასტიმულირებელი ძალა, რომელიც განაპირობებდა პოლიტიკური კონსოლიდაციის რთულ პროცესს, ამასთანავე საერთოდ კოლხური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა მდ. რიონმა, არა მხოლოდ, როგორც დიდმა სამდინარო არტერიამ თავისი შენაკადებით, არამედ სხვადასხვა კუთხეების დამაკავშირებელმა საშუალებამ და ერთ მთლიან ორგანიზმად ჩამოყალიბების ფაქტორმა. განუსაზღვრელი იყო რიონის როლი მიწათმოქმედების განვითარებაშიც (ჭაობების დაშრობა, შლამისაგან მიწის განოყიერება და ირიგაცია), რაც კოლექტიური შრომის გარეშე შეუძლებელი იყო. ეს კი იწვევდა ძირეულ ცვლილებებს სოციალურ ყოფაში და საზოგადოების ცხოვრებაშიც რაც აისახა კიდევაც სამოსახლოთა სტრუქტურაში.[52]

და ბოლოს ბატონი ოთ. ლორთიფანიძე აკეთებს დასკვნას: რომ „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან გვევლინება მაღალდაწინაურებულ ქვეყნად, რომლის სახეს განსაზღვრავს:

ა) ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა (თუმც რიგი ლოკალური თავისებურებებით), რომელიც შეიძლება გარკვეულად პოლიტიკური კონსოლიდაციის შედეგიც იყოს; ბ) მარცვლეული კულტურების მოყვანაზე აქცენტირებული ინტენსიური მიწათმოქმედება, რომელიც რთულ კოლმატაჟურ და სადრენაჟო მიწის სამუშაოებთან იყო დაკავშირებული და მოითხოვდა მოსახლეობის ფართო მასების კოლექტიური შრომის ორგანიზაციას (პოლიტიკური კონსოლოდაციის ერთ-ერთ არსებით მასტიმულირებელ ძალას); გ) ფრიად დაწინაურებელი ბრინჯაოს მეტალურგია და ლითონის წარმოება უაღრესად მრავალფეროვანი პროდუქციით (რომელთა შორის ძირითადია საომარი და სამეურნეო იარაღები). ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკური ხელისუფლების მძლავრი საფუძველი; დ) მესაქონლეობა, როგორც მთაში ასევე ბარში; ე) მრავალპროფილიანი ხელოსნური წარმოება, განსაკუთრებით კერამიკული, რომლის პროდუქცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შენახვას და მოხმარებასთანაა დაკავშირებული; ვ) სრულყოფილად ჩამოყალიბებული ტიპი დასახლებებისა-გეომორფოლოგიური პირობების გათვალისწინებით შესანიშნავად გააზრებული და ჭაობიანი ნიადაგისაგან ხელოვნურად და საიმედოდ იზოლირებული სისტემა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისა და თავისებური ჯარგვლური არქიტექტურით. სამოსახლოთა ტოპოგრაფიაში შეიმჩნევა ჰეგემონი თემების დაწინაურებაც."[53]

ასე და ამრიგად, არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ჩნდება შესაძლებლობა დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. II აღასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისში დიდი პოლიტიკური გაერთიანება ვივარაუდოთ, რომლის სათავეში იდგა ერთპიროვნული პოლიტიკური ლიდერი, (მეფე), რომელსაც ემორჩილებოდნენ ცალკეული თემების ბელადები. ასეთი პოლიტიკური სტრუქტურა წინასახელმწიფოებრივი წყობიდან სახელმწიფოზე გარდამავალი (შუალედური) ეტაპისათვისაა დამახასიათებელი. კოლხეთში კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველი სხვა მკვლევარებთანაც (მ. ინაძე) ორი ძირითადი ფაქტორითაა ახსნილი: ბინადარი მიწათმოქმედება და განვითარებული რკინის წარმოება.[54] სწორედ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ბრინჯაოს მეტალურგიის მხარდამხარ თანდათანობით ფეხს იკიდებს რკინის ინდუსტრია. რკინის შემოსვლა მოსაბრუნი ეტაპია ქვეყნის სამეურნეო – კულტურულ განვითარებაში და მან რევოლუციური როლი შეასრულა კოლხური საზოგადოების ცხოვრებაში. არანაირი საფუძველი არა გვაქვს არ მივიღოთ ზემოთ მოტანილი არგუმენტები და არ გავიზიაროთ მოსაზრება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში კოლხეთში სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ. თუ ეს ასეა, მაშინ ცენტრალური კოლხეთის ის ნაწილი, რომელიც მეურნეობრივად და სოციალურ-ეკონომიკურად ერთ-ერთ დაწინაურებულ მხარედ ითვლებოდა ყველაზე უფრო აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩაბმული კოლხური სახელმწიფოს შექმნის რთულ პროცესში და მას დომინანტის როლი უნდა შეესრულებია ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაში. ჩვენი ვარაუდით ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან კოლხთა სატომო ბირთვმა შეძლო ბუნებრივი რესურსებით ყველაზე მდიდარსა და ნაყოფიერ მხარეში (შუარიონისპირეთში) სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურება და პოლიტიკური თვალსაზრისით სახელმწიფოს მშენებლობაში წამყვანი როლის შესრულება...

5. უძველესი სამოსახლოები

კოლხეთში სახელმწიფოს წარმოქმნასთან სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ურბანისტული წარმონაქმნების და ქალაქური ტიპის სამოსახლოების გაჩენა-განვითარებაც. მართალია, გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ყველა სამოსახლო არ განვითარებულა ქალაქად, რადგან ამისათვის განსაკუთრებული პირობები იყო საჭირო, მაგრამ ზოგიერთი მათგანი შემდგომში მსხვილ საქალაქო ცენტრებად ჩამოყალიბდა. ეს კი პირველ ყოვლისა განაპირობა ამა თუ იმ პუნქტის ბიოგეოგრაფიულმა გარემომ და სამეურნეო-ეკონომიკურმა პირობებმა, რომლითაც ასე მკაფიოდ გამოირჩეოდა ქუთაისის მიწა-წყალი. ყოველივე ამას ხელს უწყობდა აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტის თავდაცვითი სტრატეგიული მონაცემები და საკულტო-რელიგიური ფუნქცია-დანიშნულებაც.

არქეოლოგიურმა კვლევამ თვალსაჩინო გახადა ზემოთ აღნიშნული პირობების გამორჩეულობა ქუთაისის მხარეში, ამიტომაც უძველესი სამოსახლოების, სასოფლო თემების გაჩენა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაზე უტყუარ ფაქტად მიგვაჩნია. უძველესი დასახლებები გაჩნდა იქ, სადაც ვაკისა და მთაგორიანი ადგილების გარდამავალი ზონაა. მდ. რიონი ტოვებს მთაგორიან ადგილებს და კოლხეთის ვაკე – დაბლობზე გამოდის. სწორედ აქ მდინარის მარჯვენა ნაპირზე არის კომპაქტურად განლაგებული ბუნებრივი ბორცვები: 1. „არქიელის გორა", 2. „ცაცხვების უბანი", 3. „ვარდისუბანი", 4. „გაბაშვილის გორა", 5. „გოჭოურა". ჩრდილოეთიდან ამ ჯაჭვს საზღვრავს „თეთრამიწა – საკაჟიას" ქედი,[55] რომელიც გამორჩეულია წყაროების სიუხვით, რაც სამოსახლოთა გაჩენის ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო. ე. ი. ვაკე კოლხური საცხოვრისებისაგან განსხვავებით ქუთაისისა და მისი მიდამოების ადრინდელ სამოსახლოთა სპეციფიკას უპირატესად განაპირობებდა გეოგრაფიული ფაქტორი ანუ ლანდშაფტისა და რელიეფის თავისებურება. როგორც აღვნიშნეთ, აქ მთავრდება დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთი კალთების ფერდობები და იწყება კოლხეთის ვაკე – დაბლობი. სწორედ ამ მიჯნაზე კომპაქტურად განლაგებული ბორცვები იქცა თავდაპირველ სამოსახლოებად, რომელთა შორის ერთ-ერთი მათგანი „თავადი" ბორცვის სტატუსით გამოირჩეოდა და ჩვენი ვარაუდით საკულტო – რელიგიური ცენტრის ფუნ-



სურ. 27. არქიელის გორა. არქეოლოგიური კვლევის სქემა. (იუკა იეკილეტოს გამოყენებული ფოტო, ეროვნული სააგენტოს არქივიდან)

ქციასაც ასრულებდა. ე. ი. ქვეყნის მთავარი სამლოცველო იყო. ცნობილია, რომ წინარე ანტიკურ ხანაში ჯერ კიდევ სახელმწიფოს წარმოქმნამდე სამლოცველოები წარმოადგენენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას. სამლოცველო (ხატი, ტაძარი) ის ცენტრი იყო, რომელიც თავის ნებას უმორჩილებდა და აწესრიგებდა ხატის ან სამლოცველოს გარშემო შემოკრებილი თემის ცხოვრებას. შესაბამისად კულტმსახურნი ადრიდანვე ახდენდნენ ხელისუფლების უზურპაციას, ითვისებდნენ თემის ყოველი საქვეყნო საქმის წარმოებას და თავის ხელში აერთიანებდნენ საერო და სასულიერო ფუნქციებს.[56]

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქუთაისში ძველ სამოსახლოებს შორის ასეთი დატვირთვა ჰქონდა „არქიელის გორას", (სურ. 27). პირველ ყოვლისა, იგი გამოირჩეოდა მოქნილი თავდაცვისუნარიანობით. სტრატეგიული თვალსაზრისით გარდა იმისა, რომ ის შესანიშნავად აკონტროლებდა დიდსა და მცირე კავკასიონს შორის მოქცეული ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს, ხეობაში გამავალი გზების მეთვალყურე და ჩამკეტი იყო. მისი მიუვალი ციცაბო ფერდობები სამი მხრიდან თავდაცვის შესანიშნავ საშუალებას იძლეოდა და როდესაც საუბარია საზოგადოების სოციალურ ანდა პოლიტიკურ-უფლებრივ დიფერენციაზე, სადაც ჰეგემონი გვარის ანუ დაწინაურებული ნაწილის დანარჩენისაგან იზოლაციის ტენდენციას ვითვალისწინებთ, არქიელის გორა დომინანტია დანარჩენ სამოსახლოთა შორის, როგორც ჩანს იგი ციტადელის ფუნქციასაც ასრულებდა და მმართველი არისტოკრატიის ადგილსამყოფელი იყო. (ისე, როგორც საშუალო საუკუნეებში)მაშასადამე, დღეს ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ადრინდელ სტადიაზე აღნიშნული ბორცვები დასახლებული იყო სასოფლო თემებით, რომელიც შედგებოდა დიდი ოჯახებისაგან.[57] გარეგნულად ეს იყო კომპაქტურად განლაგებული საცხოვრებელი სახლების ერთობლიობა, როგორც ჩანს ასეთ დასახლებას ეწოდებოდა მეგრულად „ოხორი"=„სახლი", „ოხორამს"=სახლობს ან დასახლებულია.[58] სავსებით მისაღებია ეს ზოგადი სახელი გამხდარიყო შემდგომში აღნიშნული მხარის (შესაბამისად გეოგრაფიული პუნქტის) უძველესი სახელწოდების „მოხირისის" საფუძველი[59]...

არქეოლოგ ჯონი აფაქიძის აზრით: „კოლხეთში, როგორც ზღვისპირა ზოლში ასევე მის ცენტრალურ რაიონებში ვრცელი კომპაქტური დასახლებები ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ჩნდებიან"[60]. ძვ. წ. XII საუკუნე მიაჩნია მას მსხვილი კომპაქტური დაბური დასახლებების გაჩენის თარიღად და ფიქრობს, რომ ეს დასახლებები მაშინ ვერ ამაღლდნენ საქალაქო ცხოვრებამდე, ქალაქის გაჩენა კი უფრო გვიანდელი პროცესიაო[61]. ალბათ მისაღები თეორიაა, თუმცა მის სისწორეს შემდგომი კვლევები კიდევ უფრო მოჰფენს ნათელს...

უნდა აღინიშნოს, რომ დაბური ტიპის სამოსახლოების არსებობის ზოგადკოლხური ვარიანტი დამახასიათებელია ქუთაისის მხარისათვისაც, სწორედ, რომ ამას ადასტურებს არქეოლოგიური კვლევის შედეგები შიდა კოლხეთში. თუმცა ქუთაისში, ქალაქის აღმოცენების დროსთან დაკავშირებით ჩვენი შეხედულება ცოტა განსხვავებულია. ჩვენი ვარაუდით, ქუთაისში ქალაქად ჩამოყალიბებამდე ზემოთ მითითებულმა სამოსახლოებმა განვლეს განვითარების სხვადასხვა ეტაპი (სტადია):

პირველ ეტაპზე – როგორც ვთქვით, ეს სამოსახლოები წარმოადგენენ სასოფლო თემების კომპაქტურ (ხუტორულ) დასახლებას დღევანდელი ქალაქის გორაკბორცვიან ნაწილში, უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან. რა თქმა უნდა დასახლება გაჩნდა სტიქიურად ყოველგვარი გეგმარების გარეშე რელიეფის შესაბამისად და მისი კარნახით ე. ი. ცალკეულ ბორცვებზე. ნაგებობები კეთდებოდა ხისაგან, ძელებისა და ფაცხებისაგან, რომელიც გარედან შელესილი იყო თიხით[62]. მშენებლობის ეს სტილი დამახასიათებელია ზოგადად კოლხური ხუროთმოძღვრებისათვის.

მეორე ეტაპზე – ხდება აღნიშნული სამოსახლოების მსხვილი დაბური ტიპის სამოსახლოებად განვითარება, ალბათ ძვ. წ. XII – IX საუკუნეებში. ამ პერიოდში უნდა ვივარაუდოთ სამოსახლოებთან სახელოსნო-საწარმოების ჩამოყალიბება (კერამიკულის, ლითონის წარმოების, სადურგლო და სხვა), რომელთა ძირითადი ფუნქცია ინტენსიური მრავალდარგიანი ხელოსნური წარმოება იყო და ასეთი საწარმო-ნამოსახლარები კოლხეთში გამოჩენას იწყებენ ძვ. წ. XI საუკუნიდან[63]. ხელოსნური საქმიანობა აქ ორიენტირებულია არა მხოლოდ შიდა მოხმარების, არამედ გარეთ გასატანი და გასაცვლელ-გასაყიდი საქონლის წარმოებაზე[64].

მესამე ეტაპზე – სხვადასხვა დაბური ტიპის სამოსახლოების შემდგომ შერწყმა-განვითარებას შედეგად უნდა მოჰყოლოდა ერთ ორგანიზმად გაერთიანება და მსხვილი ქალაქური ტიპის სამოსახლოს გაჩენა ალბათ, ძვ. წ. IX-VIII საუკუნიდან მაინც, სხვადასხვა სახელოსნო უბნებით, სავაჭრო მოედნებით და საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ცივილიზაციის სხვა ატრიბუტებით.

მაშასადამე, ქუთაისში ქალაქის ჩამოყალიბებას თუ ქრონოლოგიურ-ტოპოგრაფიული თვალსაზრისით განვიხილავთ ასეთ სურათს მივიღებთ: ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან თავდაპირველი სამოსახლოები ჩნდება მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, მის გორაკბორცვიან ნაწილში. ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ეს სამოსახლოები იღებენ კომპაქტური დაბური დასახლების სახეს.

ძვ. წ. IX-VIII საუკუნიდან მაინც უნდა ვივარაუდოთ ამ სამოსახლოს „ამაღლება" ქალაქად. საწყის ეტაპზე ქალაქის ცენტრი „არქიელის გორაზე" ჩანს. სწორედ მას უნდა ჰქონოდა საკულტო რელიგიურ – ფუნქციური დატვირთვაც.

ძვ. წ. IX-VIII საუკუნიდან დაწინაურებას იწყებს „გაბაშვილის გორის" სამოსახლო. აქ ამ დროისათვის აგებენ ციტადელს ხისა და ალიზისაგან.... ძვ. წ. VI საუკუნიდან ქალაქის განვითარება მოხდა მის ვაკე ნაწილში, კვლავ რიონის მარჯვენა სანაპიროზე ზემოთ აღნიშნული ციტადელის ძირში და სავარაუდოდ,

სურ. 28. გაბაშვილის გორა (ხედი სამხრეთიდან)



სურ. 29. გაბაშვილის გორა (ხედი აღმოსავლეთიდან)





სურ. 30.
გაბაშვილის გორა
(ტოპოგეგმა)

სურ. 31.
პატრიკეთის გორა
(ტოპოგეგმა)

ქალაქის ცენტრიც აქეთ ინაცვლებს. თუ რამ განაპირობა სამოსახლოთა (ქალაქის) ასეთი „მოძრაობა" ის შეძლებისდაგვარად ქვემოთ იქნება ახსნილი. სწორედ ამ მოვლენების შედეგი უნდა იყოს სახელწოდების მონაცვლეობაც, („მოხირისი, კუტატისი"), რომელიც შესანიშნავად აქვს შემონახული პროკოპი კესარიელს.

ამჯერად კი კონკრეტული ფაქტების შესახებ:

საკუთრივ ქუთაისში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორი სამოსახლოა (უბანია) ჯერჯერობით შესწავლილი: ესაა არქიელის გორა (ბაგრატის ტაძრის მიდამოები) და გაბაშვილ-დათეშიძის გორა (ქალაქის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ტერიტორია (სურ. 28, 29, 30), მომიჯნავე ბორცვებით.

ორთავე სამოსახლოზე დადასტურდა როგორც გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი ეტაპის კულტურული ფენები ასევე წინარეანტიკური ხანის განსაკუთრებულად მძლავრი ნამოსახლარი[65].

ამასთანავე, ამავე დროის კულტურული ფენები გამოვლინდა ქუთაისის შემოგარენშიც: ჭოგნარის ტერიტორიაზე – ფარნალისა და ნასაჯვარების ბორცვებზე[66], სოფ. პატრიკეთში (გორიკა)[67] (სურ.31) და ბანოჯაში-ნაციხვარზე[68]. სავარაუდოა მათი არსებობა ფარცხანაყანევში, მაღლაკსა და გოდოგანშიც.

პირველ რიგში აქ ერთი საინტერესო მომენტი იქცევს ყურადღებას – ადრინდელ სამოსახლოთა ძირითადი ნაწილი ბუნებრივ ბორცვებზეა განლაგებული (საკუთრივ ქუთაისში – არქიელის გორა, ცაცხვების უბანი, გაბაშვილის გორა, ვარდისუბანი, გოჭოურა, ჭოგნარში – ფარნალის გორა და ნასაჯვარების ბორცვი და ბანოჯაში – ნაციხვარა). ამასთანავე გვხვდება ხელოვნური გორასამოსახლოებიც (პატრიკეთის, ფარცხანაყანევის, მაღლაკის). გამოდის უფრო ბუნებრივ გორასამოსახლოებს ეძლევა თავდაპირველად თითქოს უპირატესობა. როგორც ჩანს, ალბათ უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მაგრამ იმდენად მიმზიდველი ყოფილა ქუთაისის მხარის ვაკე ნაწილის ნაყოფიერება ხელოვნური სამოსახლოებიც აქ საკმაოდ გაუჩენიათ. ვარაუდობენ, რომ საყულიას, ქვიტირის, მესხეთის და კოპიტნარის ბორცვებიც თითქოს ამავე პერიოდში დასახლდა[69], თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლია და დაზუსტებას მოითხოვს...

ჯერჯერობით ყველაზე ადრინდელი ფენები გამოვლინდა არქიელისა და გაბაშვილის გორაზე. მათი შესწავლა მიმდინარეობს უკვე რამოდენიმე ათეული წელია (1963-65 წწ. და 1984-2012 წწ.) მანამდე ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანების ფენები მიკვლეული იყო მხოლოდ პატრიკეთში.

არქიელის გორაზე, ბაგრატის ტაძრის ინტერიერსა და ექსტერიერში უძველესი ფენები (ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყი-

სისაა) ისინი მიწის ზედაპირიდან 3 – 4 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა, ზოგან აქ ფენების სიმძლავრე 7 მ. აღწევს. (მაგალითად, ტაძრის სამრეკლოსთან და ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში), როგორც წესი, ფენები სავსეა ძელების ანაბეჭდიანი გამომწვარი თიხის ბათქაშის ნატეხებით განსაკუთრებით ტაძრის ინტერიერში, სადაც ჩაწოლილია 2 მ-მდე სიმძლავრის მხოლოდ ბათქაშების ფენა, ბათქაშების ასეთი კომპაქტური განლაგება მიუთითებს ნაგებობათა კომპლექსის ნგრევის კვალზე. სწორედ ამ ფენის ქვეშ აღმოჩნდა უფრო ადრინდელი ფენა, რომელიც შავი ფერისაა და ძირითადად წარმოდგენილია არქაული იერის მატარებელი უსახური კერამიკით. რაც შეეხება ბათქაშებიან ფენას მისი მასალა ასეთია: დაბალყელიანი, დაბალ – პირბაკოიანი დერგებისა და ქოთნების ფრაგმენტები მხრებზე ძუძუსებრი კოპებით, კანელურებით ზედაპირშემკული დიდი ზომის ჭურჭლების (დერგის) ფრაგმენტები, მინიატურული ფორმის კოჭობი, თიხის საწაფები (საქსოვი დაზგისათვის). ზოგიერთ ჭურჭელს (ქოთნებს) ყელზე ღრმა ღარები შემოუყვება, ხოლო პირ-ბაკოზე ბადისებური ჭდეები აქვს დატანილი[70].

გასული საუკუნის 80-იან წლებში ერთ-ერთი ადრინდელი ფენა დადასტურდა გაბაშვილის გორაზე საპარაშუტო კოშკის ძირში. აქ შესანიშნავად მოხერხდა ზემოთ აღნიშნული ფენის დაფიქსირება და გამოცალკავება. იგი ძვ. წ. VIII – VII საუკუნეების ფენისაგან სტერილით იყო გამოყოფილი. ძეგლის გამთხრელის გ. კვირკველიას ინფორმაციით ეს ქვედა ფენა ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისისაა (ძვ. წ. X – IX სს). თუ ეს ასეა, რაშიაც ჩვენც ეჭვი არ გვეპარება სამოსახლოს აღმოცენება გაბაშვილის გორაზე (ისევე როგორც არქიელის გორაზეც) ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის უკვე მომხდარი ფაქტია. უფრო მეტიც, უკვე 2005 წელს პარკის რეაბილიტაციის დროს, იმავე მონაკვეთში უფრო ადრინდელი კერამიკული მასალაც აღმოჩნდა, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებით განისაზღვრება. სწორედ ამ სამოსახლოების ბაზაზე მისი შემდგომი ეტაპობრივი განვითარების შედეგად შეიქმნა დიდი ურბანისტული წარმონაქმნი, ქალაქური ტიპის სამოსახლო – გნებავთ ქალაქი... მაშასადამე, ქუთაისში ძველი სამოსახლოების „ამაღლება" ქალაქად, ჩვენი ვარაუდით ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში ხდება. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს წინარეანტიკური და ანტიკური ხანის კულტურული ფენების ინტენსივობაც და ერთმანეთთან შედარება... უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის ამ ნაწილში წინარეანტიკური ხანის ფენები გაცილებით უფრო მძლავრია ვიდრე ანტიკური ხანისა, რაც თავისთავად დიდი, ხანგრძლივი და ინტენსიური ცხოვრების მაჩვენებელია.

6. URBANISTULI PROCESEBIS GARIJRAJZE

სხვადასხვა გარემოებათა გამო (მიწის სამუშაოები, მშენებლობები), ბოლო 10 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საკმაოდ შედეგიანი კვლევა ქუთაისსა და მის მიდამოებში[71], რომელმაც გარკვევით აჩვენა, რომ ჯერ კიდევ 3 ათასი წლის წინ ქუთაისი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი იყო. უფრო მეტიც, დღეს ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებით ირკვევა, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის აღნიშნული სამოსახლოს ცენტრი (სურ. 31[ა]). „არქიელის გორაზეა", რომელიც რელიეფურად ნახევარკუნძულის ფორმით რიონის ხეობა-

ში შეჭრილ ხორხის მთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენს და ირგვლივ შემოსაზღვრულია ციცაბო ფერდობებით და ხელოვნური თხრილით, რომლითაც დასავლეთის მხრიდან გადაჭრილი იყო ნახევარკუნძულის ყელი და ამით იზოლირებული იყო ის გორაკის დანარჩენი ნაწილისაგან.

საინტერესოა, რომ ხელოვნური თხრილი შევსებული აღმოჩნდა შავი ფერის მასით ნახშირ-ნაცროვანი ნიადაგით, რაც მკვეთრად განსხვავდება მიმდებარე ფართობის ფენათა შემადგენლობისაგან და მიუთითებს იმას, რომ თხრილის გასწვრივი პერიმეტრი დაცული იქნებოდა ხის კედლებით (ზღუდით), რისი ხანძრისაგან დანახშირების შედეგად, ჭარბი ტენის ზემოქმედებით შეიქმნა აღნიშნული თხრილის შიგთავსი (შავი ფერის მასა...); სტრატეგიული მიზნების წარმატებული განხორციელებისათვის არსებობდა მეორე ბარიერიც ეს იყო ბუნებრივი ხევი, რომელიც თხრილის პარალელურად ასიოდე ნაბიჯის დაშორებით ეშვებოდა ხელოვნური თხრილის დასავლეთით. აღსანიშნავია, რომ რელიეფის ასეთმა განლაგებამ საშუალო საუკუნეებში აქ თავდაცვითი ზღუდის მშენებლობა განაპირობა. ფრიად საყურადღებოა, რომ თხრილის კულტურულ ფენაში (დანალექში) ძვ. წ II ათასწლეულის შუახანების კერამიკა ჩნდება, რაც აღნიშნული ბარიერის ფუნქციონირებას შესაბამისი პერიოდით განსაზღვრავს, ხოლო მისი გაუქმების შემდეგ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში ამ ადგილზე მძლავრი ბათქაშებიანი ფენა წარმოიშვა ტიპიური კოლხური კერამიკით, რომლის დახასიათებაც სხვაგან იქნება მოცემული. ყოველივე ეს მიუითებს, ხის ნაგებობათა კომპლექსის არსებობაზე და ქალაქური ტიპის სამოსახლოს ერთ-ერთი მთავარი უბნის ხანგრძლივ და შთამბეჭდავ ცხოვრებაზე, რომლის წარმოსახვის საშუალებას არქეოლოგიური მასალები გვაძლევენ.

სურ. 31. ა. უძველესი ურბანისტული სამოსახლო ,,არქიელის გორაზე''

უძველესი სამოსახლოს ტოპოგრაფია და გამაგრების სისტემა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ძველი ქალაქის მეორე უბანში: ე. წ. „გაბაშვილ-დათეშიძის" გორაკზე (დღევანდელი კულტურის პარკი და მე-20 საჯარო სკოლის ტერიტორია). აღნიშნული სამოსახლო ძვ, წ. II ათასწლეულის დასასრულს და ძვ. წ. I

ათასწლეულის დასაწყისში ხელოვნური თხრილებით ორ ნაწილად ჩანს გაყოფილი. აქ მთვარი აქცენტი გადატანილია ცენტრალური ბორცვზე, რომელსაც „გაბაშვილ – დათეშიძის" გორაკის თხემის განაპირა ნაწილი უჭირავს. იგი გადაჭრილია ხელოვნური თხრილით (დღ. სხირტლაძის ქუჩა) და არქიელის გორაკის მსგავსად გამოცალკავებულია სამოსახლოს დანარჩენი ნაწილისაგან (სურ. 31ბ). მისი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს სამოსახლო ბორცვი შემოზღუდული იყო ხის კარკასით ნაგები ზღუდე- გალავნით, რომლის შიგთავსი მიწაყრილ – ქვაყრილიანი მასა იყო, რომელიც გალავნის მონუმენტურობას განაპირობებდა. მისი კონტურები გამოისახა ჯერ კიდევ 2005 წელს პარკის სარეაბილიტაციო სამუშაობთან დაკავშირებით. ფაქტობრივად ესაა ერთ-ერთი უძველესი საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომლის შესწავლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. თუმცა სამოსახლოს გამაგრების სისტემაში ზღუდე-გალავანთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხელოვნურ თხრილებს, (არხებს). ერთი თხრილი აღმოჩნდა და გაითხარა მიმდინარე წელს წყლის თანამედროვე რეზერვუარის მშენებლობისათვის ამოღებულ ქვაბულში. აღნიშნული თხრილი (რომლის სიგანეა 10 მ, ხოლო სიღრმე – 6 მ; ჯერჯერობით გამოვლენილი სიგრძე-30 მ.), საზღვრავდა მეორე სამოსახლო ბორცვს (მე-20 საჯარო სკოლის ტერიტორია) (სურ. 31ბ). თხრილში არსებული მასა ბლანტი, მუქი, მომწვანო ფერისაა და მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი ნიადაგისაგან (შესაბამისად თხრილის კონტურები ნათლად იკითხება). იგი შეიცავს დიდი რაოდენობით მცენარეულ ნაშთებს, მუხის ფოთლებსა და რკოს, ვაზის ტოტებს და სხვ. აშკარაა, რომ ეს თხრილი ადრე სავსე იყო წყლით და პერიოდულად ილექებოდა მცენარეული ნარჩენებით.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ აქ დადასტურდა ორი კულტურული ფენა:

I – ზედა ფენა შექმნილი უნდა იყოს არხის გაუქმების შემდეგ ძვ. წ. VII-V ს.ს. ე.ი. ადრე ანტიკური ხანაში და შეიცავს შესაბამის არტეფაქტებს, მათ შორის ყურმილიანი და ზოომორფულყურიანი ჭურჭლის ფრაგმენტებს შთამბეჭდავი ორნამენტებით (სურ. 31დ).

31. ბ. უძველესი ურბანისტული სამოსახლო ,,გაბაშვილის გორაზე''



სურ. 31. გ. ,,გაბაშვილის გორა'' ხელოვნურ არხში ჩალექილი კულტურული ფენა

II – ფენა 30-40 სმ-მდე სიმძლავრის სტერილითაა გამოყოფილი ზედა ფენისაგან და შეიცავს შავადგამომწვარ, ზედაპირ-გაპრიალებულ ნატიფ კერამიკას, რომელიც სპეციალისტთა განმარტებით ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება (სურ. 31ბ). ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ ნამოსახლარის გამაგრების სისტემით აღჭურვა (თხრილები და ფორტიფიკაცია) უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულში ხდება.

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს სრულყოფილად ჩამოყალიბებულ დასახლების ტიპთან და უძველეს კოლხურ საფორტიფიკაციო სისტემასთან გეომორფოლოგიური პირობების გათვალისწინებით. ის ვინც ქმნიდა ამ სისტემას (თხრილებით, მიწაყრილებით თუ ხის გალავნით) მოქმედებდა არა სტიქიურად, არამედ წინასწარ განზრახული გეგმით. ყველაფერი ეს დაკავშირებული იყო დიდი კოლექტიური შრომის ორგანიზაციასთან და მოითხოვდა მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმას საზოგადო საქმიანობაში, რაც პოლიტიკური კონსოლიდაციის მასტიმულირებელ ფაქტორად უნდა იქნეს მიჩნეული.

მაშასადამე, სამოსახლოთა მოწყობის ძველკოლხური წესი და ტრადიცია ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით ერთნაირად დამახასიათებელია, რო-

სურ. 31. დ. ადრეანტიკური ხანის კერამიკა

გორც დაბლობი, ისე გორაკ-ბორცვიანი ადგილებისათვის და მასზე სახელმწიფო მზრუნველობა ხორციელდება. (შდრ. ნამარნუ, საგვიჩიო, ფიჩორის ნამოსახლარი და ნამჭედური).

ასე, რომ არ მიგვაჩნია მართებულად იდეა, ქალაქის განვითარების მხოლოდ ბერძნებთან დაკავშირების შესახებ. როგორც ცნობილი მეცნიერი კლერ ბალანდიე[72], აღნიშნავს: „კოლხეთი ამ თვალსაზრისით დიდად არ განსხვავდება უფრო სამხრეთით მდებარე სხვა რეგიონებისაგან, როგორიცაა ადრიატიკის ზღვის სანაპიროები და კუნძული კვიპროსი. ამ რეგიონებმა ბერძნულ კოლონიზაციამდე გაცილებით ადრე მიაღწიეს იმ დონეს, რამაც გამოიწვია სოფლიდან ქალაქად გარდაქმნა ისე, რომ აუცილებელი არ გამხდარა ყველა მექანიზმის შემოტანა საბერძნეთიდან". ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების საფუძველზე სხვადასხვა აგლომერაციები იქცეოდნენ ტერიტორიების გეოგრაფიულ ცენტრებად, ან ქალაქებად, სადაც ეწყობოდა თემის შეკრებები, სავაჭრო აღებმიცემობები და რელიგიური რიტუალები.... ამგვარი აქტიურობა განაპირობებდა ხელოსნებისა და ვაჭრების დამკვიდრებას ამა თუ იმ ცენტრში, რომელიც წარმოადგენდა მწარმოებელთა (მესაქონლეები, მიწათმომქედები, ხელოსნები) და მომხარებელთა შეხვედრის ადგილს ჭარბი პროდუქტის სარეალიზაციოდ და საჭირო ნივთების შესაძენად. ხშირ შემთხვევაში, როგორც ჩვენს სინამდვილეში, ახალი ცენტრები საკმაოდ სწრაფად შემოისაზღვრებოდა გალავნით.

სურ. 31. ე. გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკა

ასე წარმოგვიდგენია ჩვენ 3 ათასი წლის წინანდელი ქუთაისი გამაგრებული გალავნის კედლებით და თხრილებით. რამდენად დამაჯერებელია ჩვენეული არგუმენტაცია, ამას ჯერ კიდევ დრო გვიჩვენებს, რამეთუ ასეთი საკითხების შესწავლას ხანგრძლივი დრო ჭირდება, მითუმეტეს ჩვენს პირობებში, როცა არქეოლოგიური კვლევები და გათხრები ჩვენთან დაკავშირებული და დამოკიდებულია სხვა რიგის სამუშაოებზე.

ჯერ კიდევ პირველი ექსპედიციის დროს 1963-65 წლებში მხოლოდ ის ითქვა, რომ აქ ძვ. წ. I ათასწლეულის დიდი ნამოსახლარი იყო. 1984 წელს პარკის განაპირა ფართობის თხრის დროს პირველად გაჩნდა ეჭვი თავდაცვითი კედლის არსებობის შესახებ, თუმცა საკითხი უკომენტაროდ დარჩა. 2005 წელს პარკის რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით გამოიკვეთა ზღუდე-გალავნის კონტურები, თუმცა იმჟამად გალავნის დათარიღება ვერ მოხერხდა და როგორც იქნა 2014 წელს წარმოებული სამუშაოების შედეგად აღმოჩენილმა ხელოვნურმა თხრილმა და მასში ჩალექილმა არტეფაქტებმა ქრონოლოგიურ-ტოპოგრაფიული საკითხები დადებითად გადაწყვიტა და შესაძლებელი გახდა ძველი ქალაქის გარეგნული სახის რეკონსტრუქცია და ზოგადი სურათის წარმოდგენა.

ბოლოს, უნებლიედ გახსენდება პროკოპი კესარიელის სიტყვები: „...სხვები კი ამბობენ ძველ დროში ამ ადგილას ქალაქი იყო და კვიტაიონი ეწოდებოდაო, აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს ეძახდნენ... კოლხეთის ქვეყანას კი კვიტატიდსო”.

ამ ფონზე ნაჩქარევი გამოდგა ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის ყოფილი წევრის გურამ კვირკველიას შეფასება: „თანამედროვე ქუთაისის მიდამოებში ჯერჯერობით არქეოლოგიურად არაფერია ისეთი დადასტურებული, რომ სადმე მახლობლად დიდი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცენტრის არსებობის ვარაუდი ყოფილიყო შესაძლებელი-ო”[73].

7. სახელწოდებისათვის

უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნული დასახლების ეტიმოლოგიის გარკვევა ჩვენს ძალებს აღემატება... სამწუხაროდ, აქ აზრთა სრული სხვადასხვაობაა. ფიქრობენ რომ, ეს სახელწოდება უკავშირდება საკუთარ სახელს ქუთათს (ნ. ბალანჩივაძე) ან ქვას (ვ. ჩაკვეტაძე, ვ. ჯაოშვილი) ან გვარს (გ. ჟორდანია). ან კიდევ ქუთუთოს ან გამოქუთვნას (რ. გორდეზიანი). ნუ გამიჯავრდებიან უაღრესად ავტორიტეტული კოლეგები, მაგრამ ამ ვარაუდების გაზიარება მიჭირს, რადგან ისინი ნაკლებ დამაჯერებლად მიმაჩნია...

საინტერესო მოსაზრება გამოთქვა გ. გაბუნიამ: „სახელწოდება „აია”, ხოლო შემდგომ „კუტაია” („კუტაიისი”) სულ თავდაპირველად, ალბათ, მხოლოდ ერთ კონკრეტულ დასახლებულ, ისტორიულ-გეოგრაფიულ პუნქტს, „ქვეყნის” პოლიტიკურ ცენტრს („მეფის უმთავრეს რეზიდენციას,” „დედაქალაქს”) აღნიშნავდა, საიდანაც იგი მისი გაძლიერების პარალელურად ჯერ „დედაქალაქის” მიმდგომ მხარეზე, ხოლო შემდეგ მთელ ქვეყანაზეც (კოლხეთი, დასავლეთ საქართველო) გავრცელდა. მისივე თქმით: მოსალოდნელია ორივე ეს ტოპონიმი („აია” და

„კუტაია – „კუტაიისი” თავიანთ შესაბამის ეთნარქ – ეპონიმებისაგან (ლეგენდარული „მამამთავრები” აია კოლხეთის მეფე „აიეტი და მისი შვილიშვილი კუტისოროსი”) იღებს სათავესო[74].

აია კუტაიას საკითხს უაღრესად საინტერესო კვლევა მიუძღვნა ქ-ნმა მ. ინაძემ. იგი ფიქრობს რომ: ქუთაისი, როგორც ქალაქი გაჩნდა ძვ. წ. VI საუკუნეში კოლხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად. მისი აზრით, ქუთაისი იმთავითვე სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრია – ე. ი. სამეფო რეზიდენციაა, რომ აია და კვიტაია სინონიმებია და ტერიტორიულად ფარავს ერთმანეთს და რომ ქალაქმა ქვეყნისაგან მიიღო ეს სახელი – „კვტაია”, ხოლო ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, „აღნიშნულ სახელწოდებაში თავისი გამოხატულება პოვა, სწორედ ამ მხარის გამორჩეულმა უხვმოსავლიანობამ და ლითონით სიმდიდრემ, მისმა საერთო დაწინაურებამ, რამაც უთუოდ თავიდანვე განაპირობა ნაყოფიერების კულტის თაყვანისცემის ფართოდ დანგრევა და გავრცელება „კვტაიის მიწაზე” მცხოვრებ საზოგადოებაში[75] ამიტომაც მას საგულისხმოდ მიაჩნია სახლწოდება „კვტაიას” ფუძე – კვტ”, რომელიც უკავშირდება ნაყოფიერების სიმბოლოს – ფალოსის აღმნიშვნელ სიტყვას – „კუტას”[76]. ვფიქრობთ, ეს საკითხი დამატებით ლინგვისტურ კვლევას საჭიროებს. მაგრამ ამჯერად ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქუთაისის მუზეუმის ექსპოზიციაში გამოფენილი ითიფალიკური ქანდაკება, რომელიც ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული, სავარაუდოდ ძვ. წ. VIII საუკუნეში (ჩ-32 სმ.); იგი ნაყოფიერების ჭეშმარიტი განსახიერებაა, რომელიც გამრავლებასა და კეთილდღეობას უზრუნველყოფს. (სურ. 34).[77]

სურ. 32. მამაკაცის ითიფალური ქანდაკება (ბრინჯაო, ძვ. წ. VIII ს).

შენიშვნები

1. *Палеолит СССР (,,Археология СССР") М., 1984 г.*
2. *ადამიანთა განსახლების ადრეული ეტაპის გამოსაკვლევად განსაკუთრებული მნიშვნელობა დმანისის ადგილსაპოვებელს ეკუთვნის, აქ აღმოჩენილი ჰომონიდების ასაკი 1 მილიონ 800 ათასი წლით განი-საზღვრება და ყველაზე ადრინდელია ევრაზიაში. (იხ. **ლორთქიფანიძე დ.,** საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო. თბ., 2000 წ., **Antje Justus, Medea Nioradze,** Die Steinartefakte des Altpalaolithishen Fundplatzes Dmanisi (Georgien-Kaukasus) Ein Uberbliek Journal of Georgian archaology №1 თბილისი, 2004, გვ. 7.).*
3. *სწორედ ქუთაისის მხარემ აუწყა პირველად მეცნიერებას საქართველოს ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანის ცხოვრების კვალის არსებობა. იხ. **F. Dubois de Montpereux,** Voyage autor du Caucase t. III Pariz, 1839; 2. **E. Favre,** Recherches geologigues dans la partie centrale de la chaine du Caucase. Geneve 1875. **Уваров А. С**., Археология России, Каменный перид, Москва, 1881 г.*
4. ***ლორთქიფანიძე ოთ.,** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ., 2002 წ., გვ. 42. (იქვე, დასახ. ლიტ.)*
5. ***Габуния Л.К., Тушабрамишвили Д. М., Векуа А.К.**, Первая находка остатки мустьерского человека на Кавказе, Вопросы антропологии, №8, М., 1961 г.*
6. ***Габуния Л. К., Ниорадзе М.Г., Векуа А.К.,** О мустьерском человеке из сакажиа (Зап. Грузия), ,,Вопросы антропологии" в. 59, М., 1978 г.*

**„საწურბლიას" მღვიმეს ამჟამად სწავლობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიცია უცხოელ სპეციალისტთა მონაწილეობით (ხელმძღვანელი თ. მეშველიანი).*

7. ***კილაძე ნ.,** ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მსკი, ნაკვ. 29, 1951 წ., გვ. 237-262., **ნებიერიძე ლ.,** დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972 წ.*
8. ***კალანდაძე კ.**, თეთრი მღვიმე, თბ., 1994წ.*
9. ***კალანდაძე კ.,** დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე. თბ., 1986 წ., **მისივე,** ქვის ხანის ნამოსახლარები მელოურიდან, მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის სერია) თბ., 1994 წ.*
10. ***კილაძე (ბერძენიშვილი) ნ.,** მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი საგვარჯილე. სმამ, XIV №9, თბ., 1953 წ.*
11. ***ნებიერიძე ლ.,** დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ., 1972 წ.*
12. ***კალანდაძე კ.,** დასახ. ნაშრომი, ჩგვ. 64-67.*
13. ***კილაძე (ბერძენიშვილი) ნ.,** ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწადან. მსკი, ნაკვ. 29. 1951 წ.*
14. *მდ. რუას ხეობაში ჩვენს მიერ მიკვლეული იქნა ენეოლითური ხანის კაჟის ქვის შუბისპირები, რომელიც საყანე ნაკვეთის დამუშავებისას აღმოჩნდა. ტერიტორიულად ეს გორიკა თეთრამიწას გაგრძელებას წარმოადგენს. (ივერიკოს გორა).*
15. ***ნებიერიძე ლ.,** ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი ოკრიბაში. ძიებანი №8, 2001 წ., თბ., გვ. 23-33.*
16. ***კალანდაძე კ.,** თეთრი მღვიმე. თბ., 1994 წ.*
17. ***ფხაკაძე გ.,** ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია, ტ. II, თბ., 1992 წ., გვ. 216-280.*

18. ***კილაძე (ბერძენიშვილი) ნ.,*** *დასახ. ნაშრომი;* ***თუშაბრამიშვილი დ., ნებიერიძე ლ.,*** *საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური" ძეგლის დათარიღებისათვის. მაცნე, №4, 1971 წ., „თეთრამიწა" ქალაქის ტერიტორიაზეა, ამიტომ მისი მნიშვნელობა მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის საკითხში განუსაზღვრელად დიდია...*
19. ***ნებიერიძე ლ.,*** *დარკვეთის მრავალფერიანი ეხი. თბ., 1978 წ., გვ. 87.*
20. ***Lamara Nebieridze,*** *The chronolocy of The Sagvarjile Cave Ornaments and amulets, JOURNAL OF GEORGIAN ARCHEOLOGY, №1, თბილისი, 2004, გვ. 39.*
21. *საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959 წ., გვ. 83;* ***ჯაფარიძე ოთ.****, საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბ., 2003 წ.,* ***Каландадзе А. Н.****,* ***Каландадзе К, С.,*** *Древнейшие металлические оружия из пещеры Тетри Мгвиме археологические исследования на новостроиках Груз. СССР, Тб., 1982 стр., 5-12.*
22. ***ჯაფარიძე ო.,*** *საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1991 წ., გვ. 155.*
23. *იქვე, გვ. 156.*
24. *იქვე, გვ. 123 შმდ.*
25. *იქვე, გვ. 135.*
26. ***კიკვიძე ი.,*** *მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976 წ.,* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ., 2002 წ., გვ. 100 და შმდ.*
27. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ.127.*
28. ***ავალიშვილი გ., ფანცხავა ლ.,*** *დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა ძველი ლითონების ხანაში. არქეოლოგიური კრებული II, თბ., 1988 წ., გვ. 51-56;* ***ქორიძე დ.,*** *კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965 წ.*
29. *იხ. იქვე, გვ. 135. ტაბ. IX. კოლხური ცულების ტიპოლოგიისა და კლასიფიკაცის შესახებ. იხ.* ***ლამარა სახაროვას*** *ნაშრომი „ძიებანი" №1, 1998 წ., გვ. 34-41.*
30. ***ქორიძე დ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 135.*
31. *იქვე, გვ. 14, 16, 109;* ***ჯაფარიძე ოთ.,*** *მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში. გვ. 182;* ***ჯიქია ლ.,*** *გვიანი ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ძეგლები ქუთაისის მუზეუმიდან. მასალები, III, გვ. 166;*
32. ***ქორიძე დ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 15-17;* ***ჯიქია ლ.,*** *ბრინჯაოს სამეურნეო იარაღები ქუთაისის მუზეუმიდან. მასალები, V, გვ. 28 და შმდ.*
33. ***ქორიძე დ.,*** *დასახ. ნაშრომი;* ***ჯიქია ლ.,*** *ცალკეული არქეოლოგიური მონაპოვრები ქუთაისიდან და მისი მიდამოებიდან. ქიმ კრებული XI, ქუთ., 1999 წ., გვ. 22.*
34. *იქვე, გვ. 23-24.*
35. ***ჯიქია ლ.,*** *ბრინჯაოს... გვ. 30.*
36. ***ქორიძე დ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 24.*
37. *იქვე, გვ. 30;* ***ჯაფარიძე ოთ.,*** *ბეჟათუბნის განძი; მისივე, კოლხური ცული, სსმმ XVI – B., 1950 წ.*
38. *იქვე, გვ. 32;* ***ღამბაშიძე ოთ.,*** *თხმორის განძი. თბ., 1963 წ. თხმორი და ნიკორწმინდა „ქუთაისის ქვეყანაში" შემავალი მხარის ოკრიბის მოსაზღვრე პუნქტებია და ამიტომ ჩამონათვალში შევიყვანეთ.*
39. ***ქორიძე დ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 36.*
40. *იქვე, გვ. 38.*
41. *იქვე, გვ. 40; ჯიქია ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 48.*
42. *გაზ. ქუთაისი, 10 იანვარი, 1981 წ.*

43. ***ჯიქია ლ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 27 და შმდ. მისივე, გვიანი ბრინჯაოს... გვ. 166.*

44. ***ფაილოძე ავთ.,*** *მატიანე ხონისა. ნაწილი მეორე, ბათ., 2003 წ., გვ. 12.*

45. *ქუთაისის მუზეუმის მასალების განხილვისას ვხელმძღვანელობდით მუზეუმის ღვაწლმოსილი მუშაკის ქ-ნ ლ. ჯიქიას ნაშრომებით (იხ. მისი, ცალკეული არქეოლოგიური... გვ. 17 და შმდ.*

46. ***მიქელაძე თ.,*** *ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ – აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II. I – ათასწლეულები). თბ., 1974 წ., გვ. 156;* ***რამიშვილი ალ.,*** *კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათ., 1974 წ., გვ. 113.*

47. ***Лордкипанидзе Г. А.****, О домонетной форме денежного обращения в Колхиде, нумизматический сборник. Тб., 1977 г. გვ. 5-14.*

48. ***ინაძე მ.,*** *ძველი კოლხეთის საზოგადოება. თბ., 1994 წ., გვ. 30; მისივე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1982 წ., გვ. 107; Lortkipanidze Otar., `Hoards" in Colchian Bronze Culture: their Role and Purpose. JOURNAL OF Georgian Archeology №1 თბ., 2004 გვ. 134;* ***მისივე,*** *„განძები"კოლხური ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა), „ძიებანი" დამატებანი VI, თბ., 2001 წ., გვ. 178.*

49. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბ., 1986 წ., გვ. 55.*

50. ***Джапаридзе В.,*** *Археологические разведки и раскопки в зоне строительства Варцихской ГЭС, ПАИ в 1977 г. Тб., 1980 г., ст. 261.*

51. ***ლორთიფანიძე ოთ.,*** *ძველი ქართული... გვ. 136 და შმდ; მისივე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი,... გვ. 65 და შმდ.*

52. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 137; შდრ.* ***ავალიშვილი გ., ფანცხავა ლ.,*** *დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა ძველი ლითონის ხანაში. არქეოლოგიური კრებული, II. თბ., 1998 წ., გვ. 51-56.*

53. ***ლორთქიფანიძე ოთ.****, იქვე, გვ. 139.*

54. ***ინაძე მ.,*** *ძველი კოლხეთის საზოგადოება. გვ. 139.*

55. *სამოსახლოთა – განლაგებაში ჩადებულია იგივე შინაარსი, რაც კოლხეთის ვაკე ნაწილის ხელოვნური სამოსახლო ბორცვების ტოპოგრაფიისათვის იყო დამახასიათებელი. ერთმანეთისაგან გამოყოფილ გორიკებს შორის ერთი ცენტრალური სამოსახლოა დანარჩენისაგან იზოლირებული... (იხ.* ***მინდიაშვილი გ.,*** *გორანამოსახლართა სოციალური ბუნებისათვის. მაცნე, ისტორიის სერია, 1980 №4. გვ. 180-183);* ***გოგაძე ე.,*** *კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ., 1982 წ;* ***გრიგოლია გ.,*** *ქართული არქეოლოგიისა და საისტორიო გეოგრაფიის ძირითადი პრობლემები. თბ., 1992 წ., გვ. 22-23;* ***ინაძე მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 32-34;* ***ჯიბლაძე ლ.,*** *დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების არქეოლოგიური რუკა. ძიებანი, №8, 2001 წ., გვ. 34-38.*

56. ***ინაძე მ.,*** *ძვ. კოლხეთის... გვ. 95. პატივცემული მკვლევარის აზრით, კოლხეთში სახელმწიფოს საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე ტაძარსა და მის სათავეში მდგომ თეოკრატიულ ზედაფენას უკვე მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მოპოვებული კოლხეთის საზოგადოების ცხოვრებაში (იქვე, გვ. 96).*

57. *მკვლევართა განმარტებით „ნასოფლარი არის ნამოსახლარის სახეობა, „ნეოლითური რევოლუციის" შემდგომი საზოგადოების სამოსახლო, რომელსაც მოეპოვება საცხოვრებელი (ფუძე) საკულტო (სალოცავი) სამეურნეო და დასაკრძალავი სტრუქტურუ-*

ლი ნაწილები". (იხ. ***ჭირაქაძე მ.,*** *„ნასოფლარის" ტერმინოლოგიური ველის შედგენილობისათვის ქართულ არქეოლოგიაში. შუა საუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ., 2003 წ., გვ. 13.*

58. *შდრ.* ***ინაძე მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 22.*

59. ***ჩიქობავა არნ.,*** *ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938 წ., გვ. 150, 152, 430.*

60. ***აფაქიძე ჯ.,*** *კოლხეთის გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის დასახლებათა ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საკითხები, ძიებანი, დამატებანი VI, თბ., 2001 წ., გვ. 131 და შმდ.*

61. *იქვე, გვ. 136-137.*

62. *მსგავსი ვითარება შეიძლება დავინახოთ ქ. რომის ისტორიის ადრეულ ეტაპზე, სადაც თავდაპირველი სამოსახლოები განლაგებული იყო შვიდ ბორცვზე.* ***Gerhard Hardel****, Rom. Berlin, 1984; Всеобщая история архи-тектуры, 2, М., 1973, стр. 423.*

63. ***აფაქიძე ჯ.,*** *კოლხური კულტურის საწარმო – ნამოსახლარების დათარიღებისათვის. ძიებანი №7, 2001 წ., გვ. 14.*

64. ***Гогадзе Э. М****., Новые памятники по истории Колхидской культуры.-Местные этно политические объеденения причерноморья в VI _ IV вв. до н.э. Материалы всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья (Цхалтубо-Вани 1985 г.) Тб., 1987 г., стр. 231-234.*

65. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966 წ., გვ. 40 და შმდ. იხ. კრებული ქუთაისი უძველესი დროიდან...გვ. 27 და შმდ. აგრეთვე,* ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ბერძენიშვილი დ., ჭუმბურიძე მ., ქარციძე ნ.,*** *ახალი აღმოჩენები ქუთაისში, 2005 წლის სამეცნიერო სესიის ანგარიში.*

66. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ., 43;* ***ჯიქია ლ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 47.*

67. ***Джапаридзе В.,*** *Археологические разведки и раскопки... ПАИ 1977 г.,*

68. ***ჯიქია ლ.****, იქვე, გვ. 51.*

69. ***Джикиа Л.****, Археологические памятники Кутаиси и эго округа I тысячелетия до н. э. Автореферат дисерт. канд. ист. наук. Тб., 1979 г., стр. 9-10.*

70. *მასალები ინახება არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე.* ***Квирквелиа Г. Т****., Раскопки в парке им. Б. Габашвили г. Кутаиси. ПАИ, 1987 г., стр. 62.*

71. *ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიცია ველზე მუშაობდა შემდეგი შემადგენლობით: ო. ლანჩავა (ხელ-ლი), რ. ისაკაძე, შ. ბუაძე, დ, ბერძენიშვილი, ნ. ქარციძე, შ. სიმსივე, დ. დვალიშვილი. მონაწილეობდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები.*

72. ***კლერ ბალანდიე,*** *ადგილობრივი ტერიტორიების თავდაცვითი ორგანიზაციის ფორმები კლასიკურ ხანაში. შედარებითი შესწავლა. ძიებანი, სმა არქეოლოგიური კვლევითი ცენტრის ჟურნალი, დამატებანი VIII, თბ., 2002 წ., გვ. 5.*

73. ***კვირკველია გ.,*** *2002: POLIS BARBARON შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში. ძიებანი, დამატებანი VIII, თბილისი, გვ. 25-26.*

74. ***გაბუნია გ.,*** *ასე იწყებოდა დიდი საქართველო. ქუთ., 1996 წ., გვ. 218.*

75. ***ინაძე მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 69.*

76. *იქვე, გვ. 68; ფალოსის მონაწილეობა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მფარველი ღვთაებისადმი მიძღვნილ საკულტო რიტუალებში დამოწმებულია დასავლეთ საქართველოს არაერთ კუთხეში ეთნოგრაფიული მონაცემებით;* ***(Бардавелидзе***

B.B., *Древнейщие религиозные верования и обрядовое графическое искуство грузинских племён. Тб., 1957 г., стр. 178-179);* *ბოლო დროს ნაყოფიერების კულტი-სა და ფალაური ღვთაებების საკითხს მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა გურამ მირცხულავამ (იხ.* ***მისივე,*** *ნაყოფიერების კულტის ისტორიიდან. ძიებანი, 2005 წ., გვ. 100-118).*

77. ***ბერძენიშვილი დ.,*** *სამი ანთროპომორფული ქანდაკება ქუთაისის მუზეუმიდან. მასალე-ბი, V, გვ. 63-64.*

II თავი | ძველი კოლხეთის სატაძრო და პოლიტიკური ცენტრი

1. ქუთაისი ძვ. წ. VIII–VII საუკუნეებში

ძვ. წ. VIII – VII საუკუნეები მოსაბრუნი პუნქტია კოლხეთის სახელმწიფოს სოციალურ – ეკონომიკურსა და პოლიტიკურ განვითარებაში. ამ პერიოდში მიმდინარეობს რკინის ფართო ათვისება, რომელმაც ფაქტობრივად გადატრიალება მოახდინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რევოლუციური როლი შეასრულა კულტურულ – სამეურნეო პროგრესის თვალსაზრისით.

თითქმის ყველგან დასავლეთ საქართველოში – ზღვისპირა ზოლში, შიდა კოლხეთში, თუ მთიანეთში მრავლადაა აღმოჩენილი ამდროინდელი ნამოსახლარები, სამაროვნები, „მელითონეთა განძები" და რკინის წარმოების ნაშთები. ქვეყნის განვითარებაში განსაკუთრებული მასტიმულირებელი მნიშვნელობა ჰქონდა მეზობლობასა და უშულო კონტაქტებს ძველაღმოსავლური სამყაროს სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებებთან.

ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ძვ. წ. VIII საუკუნის პირველ ნახევარში მაინც კოლხა წარმოადგენდა ძველაღმოსავლური ტიპის სახელმწიფოს მმართველობის საკმაოდ განვითარებული სისტემით, ხოლო კოლხეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი იმთავითვე მდ. რიონზე ივარაუდება[1] ისევე, როგორც ძვ. წ. VI – IV საუკუნეებში – ბერძენ ავტორთა ცნობების საფუძველზე[2]. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფსევდო – სკილაქს კარიანდელის ცნობა: „მდინარე ფასისზე ზევით აყოლებაზე 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა"[3].

სრულიად უეჭვოდ მიგვაჩნია, რომ „დიდ ბარბაროსულ ქალაქში" აიეტ-მეფის რეზიდენცია და კოლხეთის სამეფოს მთავარი ქალაქი იგულისხმება[4]. (თუმცა არიან სკეპტიკოსებიც)...

მთელი წყება ბერძენ-რომაელი და ბიზანტიელი ავტორებისა (ლიკოფრონ ქალკიდელი[5], კალიმაქე კვირინელი[6], აპოლონიოს როდოსელი[7] და მათი სქოლიასტები, პროკოპი კესარიელი და სხვ.), რომელთა ცნობები მეტწილად ძვ. წ. VI – V საუკუნეების ავტორთა თხზულებებიდან მომდინარეობს, მედეას სამშობლოდ და აიეტის რეზიდენციად ერთხმად ასახელებენ მდ. ფასისზე მდებარე ქალაქს კუტაიას, რომელსაც დღეს მკვლევართა უმრავლესობა სავსებით სამართლიანად დღევანდელი ქუთაისის მიდამოებში ათავსებს[8].

ბერძნული წერილობითი წყაროების კუტაიას გაიგივებას მერმინდელ ქუთაისთან სათავე დაუდო ახ. წ. VI საუკუნის ბიზანტიელმა ისტორიკოსმა პროკოპი კესარიელმა. მისი გადმოცემით: „მდინარე რიონის სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე, რომელიც შემდეგ ხანებში მათ მეტწილად მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან ის მეტად დაბალ ვაკეზე მდებარეობდა და მათი აზრით, ადვილი მისასვლელი იყო. მაშინ ამ ციხეს კოტაიონს უწოდებდნენ

ელინური ენით, ამჟამად მას ლაზები ქუთათისს ეძახიან:... ასე აქვს ეს მოთხრობილი არიანეს”[9].

ბიზანტიელი ისტორიკოსი მარტო ამ ცნობით არ შემოიფარგლა და გვაწვდის აგრეთვე მეორე ჩვენებას: „სხვები კი ამბობენ, ძველ დროში ამ ადგილას ქალაქი იყო და კვიტაიონი ეწოდებოდაო; აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს ეძახდნენ, კოლხიდის ქვეყანას კი კვიტატიდსო”[10].

როგორც ვხედავთ, პროკოპი კესარიელი ქუთაის-ქუთათისის ლოკალიზაციის შესახებ სხვადასხვა წყაროებს იყენებს. ერთგან ის თავის წყაროდ პირდაპირ მიუთითებს არიანეს, ხოლო მეორეგან მისი წყაროა ალექსანდრიელი პოეტები (მათ შორის, რა თქმა უნდა პირველ ყოვლისა, ალბათ იგულისხმება აპოლონიოს როდოსელი). საინტერესო აქ ის არის, რომ ეს ორი ცნობა შინაარსობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთის ჩვენებით ქუთაისი ძველად ციხე ყოფილა კოლხების მიერ აგებული და შემდეგ მეტწილად მიწასთან გასწორებული; ხოლო მეორეს მიხედვით ძველ დროში იგი ქალაქი იყო. მიუხედავად ამისა, ეს ორი ჩვენება ფაქტობრივად ერთმანეთს არ უპირისპირდება და არც გამორიცხავს. პირიქით, განამტკიცებს აზრს ქუთაისის, როგორც მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრის არსებობაზე. და არავითარი ეჭვი აღარ უნდა არსებობდეს იმის შესახებ, რომ აქ იგულისხმება თანამედროვე ქუთაისის მიწა – წყალი მდ. რიონის მარჯვენა სანაპირო, უფრო ზუსტად, ერთ შემთხვევაში მისი ვაკე ნაწილი, ხოლო მეორეგან გორაკ – ბორცვიანი უბანი.

მეორე ჩვენების მიხედვით: „ძველს დროში ამ ადგილას ქალაქი იყო”-იბადება კითხვა: რომელია ეს ძველი დრო? თითქოს ახსნაც იქვეა: „აქაური იყო აიეტი” ე. ი. ალექსანდრიელი პოეტებისათვის (ძვ. წ. III საუკუნეში), ძველი დრო პირობითად აიეტისა და მისი შემდგომი დროა. თუ არქეოლოგიურ მასალებსაც მოვიშველიებთ ყველაფერი მაშინ თავის ადგილზე დადგება... ძვ. წ. VIII – VII საუკუნეებში ქუთაისის ტერიტორიაზე რომ ვრცელი და მნიშვნელოვანი დასახლება არსებობდა, რომელიც როგორც ფიქრობენ „რაღაც ცენტრის ფუნქციას ასრულებდა”, ამის შესახებ უკვე არა ერთხელ ითქვა[11]. უფრო კონკრეტულად ითქვა ისიც, რომ „კოლხეთის სახელმწიფო გაერთიანების ჩამოყალიბებასთან ერთად, ქუთაისი მისი მთავარი პოლიტიკურ-ურბანისტული ცენტრი ხდება, აქვე ეფუძნება უთუოდ სამეფო რეზიდენციაც”[12].

ა) სამშენებლო საქმე

მასალათა სიმწირის გამო ძნელია, დღეს ილაპარაკო მაშინდელი ქალაქის გარეგნული სახის შესახებ, მის ტოპოგრაფიასა და არქიტექტურაზე. თუმცა, საბედნიეროდ, ეს მონაცემები დღეს მაინც არსებობს. ამას ემატება ძველი კოლხური ნამოსახლარების: ნამჭედურის, ნოსირის, სიმაგრის და სხვათა არქეოლოგიური კვლევის შედეგები, სადაც ქუთაისის მსგავსად საქმე გვაქვს ძირითადად ხის არქიტექტურასთან. მაშასადამე, თუ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის სამშენებლო წესებს შევაჯერებთ წერილობით წყაროებთან მაშინ მეტნაკლებად სრულ და ნათელ სურათს მივიღებთ კოლხური ხუროთმოძღვრების შესახ-

ებ. ქვეყანაში ხის არქიტექტურის წარმატებულ განვითარებას განაპირობებდა კლიმატური პირობები და ტყეების სიმრავლე, რომელიც იძლეოდა შესანიშნავ სამშენებლო მასალას. კოლხეთში აღმოჩენილი უძველესი ხის ნაგებობანი ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება და შენობის ძირითადი ტიპი „ჯარგვალი" თავს ინახავს თითქმის უკანასკნელ დრომდე. ძვ. წ. VIII – VII საუკუნეებში კოლხეთში ნამდვილი დემოგრაფიული აფეთქებაა. ძალზე მჭიდროდ ჩანს დასახლებული, როგორც ბარი, ასევე მთისწინა ზოლი და მთიანი ოლქებიც. თითქმის ყველგან ძირითად სამშენებლო მასალას ხე წარმოადგენდა. კოლხური საცხოვრებლის აღწერილობა შემონახული აქვს რომაელ არქიტექტორს ვიტრუვიუსს, რომელიც ახ. წ. II საუკუნეში ცხოვრობდა და ავტორია ნაშრომისა: „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ", II, 1, 4, 6); მისი გადმოცემით: „კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო აწყობენ მიწაზე მარჯვნივ და მარცხნივ მთლიან ხეებს ერთმანეთს შორის მათი სიგრძის ტოლი მანძილის დატოვებით, მათ ზემოდან კი თავსა და ბოლოს გარდიგარდმო გასდებენ სხვა ძელებს, რომლებიც ამგვარად ზღუდავენ ბინის შიგა სივრცეს. შემდეგ ოთხივე მხარეს კუთხეებში შეუღლებული ხეების თანდათანობითი წყობით ამოჰყავთ რა ძირითადი ძელების შვეულად ხის კედლები, აგებენ კოშკებს და შუალედებს კი, რომლებიც ხეებს შორის რჩება მთელი სისქის გამო, ამოავსებენ ფათხებითა და თიხით. ასევე (აგებენ) სახურავებსაც: გასდებენ რა ნაპირიდან დაცილებით გასაყარებს, რომლებიც ზევითკენ თანდათანობით მოკლდება, ოთხივე მხრიდან შუისაკენ ამოჰყავთ პირამიდები, რომლებიც ფოთლებითა და თიხით დახურულნი წარმოადგენენ ბარბაროსთათვის კუსმაგვარ კოშკურ სახურავებს". მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ვიტრუვიუსის აღწერილობაში წარმოდგენილია კოლხური საცხოვრებელი სახლის უძველესი ტიპი: ცენტრალურერდოიან – გვირგვინიანი კოშკურა ძელური ნაგებობა[13].

მშენებლობის ასეთივე წესი ჩანს ქუთაისის მიწა-წყალზეც. ნაგებობათა ნაშთები აქ ჩნდებიან და ფიქსირდებიან უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან. მათი გამოვლენისა და შესწავლის საფუძველზე შეიძლება თვალი გავადევნოთ ქალაქის აღმოცენება-განაშენიანების რთულ პროცესებს, მისი განლაგების (ტოპოგრაფიის) ზოგად სახეს და ამ თვალსაზრისით რელიეფის რაციონალურ გამოყენებას.

სამშენებლო მასალის, ასევე საცხოვრისთა კონსტრუქციული და მოცულობითი თავისებურებების გათვალისწინებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გაბაშვილისა და არქიელის გორაზე აღმოჩენილი ადრერკინის ხანის (ძვ. წ. VIII – VII სს.) ნაგებობანი.

სურ. 33. გაბაშვილის გორა ქვისსაძირკვლიანი ნაგებობის ნაშთები

სურ. 34. რიყის ქვით მოკირწყლული ეზო (გაბაშვილის გორა)

სურ. 35. არქიელის გორა, ბათქაშების კომპაქტური ყრილი

სურ. 36. წინარეანტიკური ხანის ბათქაშებიანი ფენა

აღსანიშნავია, რომ ეს ნაგებობები ძირითადად გამართულია ხელოვნურ მიწატკეპნილზე მათ თიხით შელესილი ხის (ძელების) კედლები ჰქონდათ (ჯარგვლური სტილი). ნაგებობათა ერთ ნაწილს ქვის საძირკველი აღმოაჩნდა მაგ. ერთ-ერთი ასეთი ნაგებობის ზომებია: 10X6 მმ., ხოლო მეორესი 10.20X7.10. ქვის საძირკვლის შექმნა ფაქტობრივად სიახლეა ადრერკინის ხანის კოლხურ არქიტექტურულ ხელოვნებაში. საინტერესოა, ისიც რომ შენობების წინ დაფიქსირდა რიყის ქვებით მოკირწყლული ეზოთა ნაშთები[14] და ქუჩები (სურ. 33, 34).

ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო მასალა მოგვცა ბაგრატის ტაძარმა და მისმა მიდამოებმა (არქიელის გორა). აქ ტაძრის ინტერიერში დადასტურდა 2 მ-მდე სიმძლავრის მხოლოდ ბათქაშების ფენა ძელების ანაბეჭდებით. (სურ. 35,36,37).

აღნიშნული ფენა მეტი ინტენსიობით გავრცელებული იყო ტაძრის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთ ნაწილში, მისი გავრცელება ნაწილობრივ დადგინდა და ივარაუდება ტაძრის გარეთაც აღნიშნული მიმართულებით, როგორც ჩანს აქ ჩაწოლილია ნაგებობათა კომპლექსი და მისი დალექვა მეტი კომპაქტურობით ჩრდ. აღმ. მხარეს მოხდა. (სურ.38).

სურ. 37. ბათქაშებიანი ფენა ძელების ანაბეჭდებით

სურ. 38. ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ქვის საძირკვლიანი ნაგებობის გეგმა (ბაგრატი)

სამწუხაროდ, მისი ბოლომდე გათხრა ვერ ხერხდება. ამიტომ კომპლექსის ზუსტი გეგმის დადგენა შეუძლებელია. თუ გავითვალისწინებთ რელიეფის განლაგებას, მაშინ შეიძლება ასეთი ვარაუდი დავუშვათ: დიდი ნაგებობის კომპლექსი შერწყმული უნდა ყოფილიყო რელიეფთან და ებჯინებოდა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხარეზე დაშვებულ ფერდობს ისე, რომ მისი წინა მხარე ღია აივნით სამხრეთისაკენ რიონის ხეობას გადაჰყურებდა. ამ პერიოდის, ანალოგიური გეგმარების ნაგებობა ჩვენთვის საერთოდ უცნობია, ზოგადი არაპირდაპირი ანალოგიისათვის შეიძლება ვანის ძვ. წ. V საუკუნის ტაძარ – სამლოცველო



გამოდგეს, რომელსაც რუსული „П”-ს მაგვარი ფორმა ჰქონდა[15]. მით უფრო, რომ ქუთაისის კომპლექსიც ჩვენ ტაძარ-სამლოცველოდ გვაქვს წარმოდგენილი, თუმცა მყარი არგუმენტები ამის დასამტკიცებლად არ გაგვაჩნია, მაგრამ მის ნანგრევებზე რომ შემდგომში სამი სხვადასხვა დროის ტაძარი აიგო ასეთი ვარაუდის გამოთქმისაკენ გვიბიძგებს, თანაც როგორც ცნობილია, ანტიკურ ხანაში ჯარგვლური წესით შენდებოდა არა მხოლოდ საცხოვრებლები, არამედ საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობანიც. აქვე ყურადსაღებია ის, რომ ქალაქმშენებლობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი მშენებელ-ხელოსანთა პროფესიულ მომზადებას და მათ სტატუსს ეკავა. სავარაუდოა, რომ არსებობდა აღნიშნული დარგის სპეციალისტთა ცალკე სოციალურ-საზოგადოებრივი კატეგორია, რაც საზოგადოების ღრმა სოციალურ დიფერენციაზე მიუთითებს და კლასობრივი წყობის ერთ – ერთ ატრიბუტად შეიძლება გამოდგეს.

თუ რას წარმოადგენდა ქუთაისი ძვ. წ. VIII – VII საუკუნეებში, როგორც ქალაქი, ე.ი. როგორც სოციალურ – პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფენომენი სამწუხაროდ ამის სრულად გაგება ჩვენი ცოდნის დღევანდელ დონეზე შეუძლებელია და მხოლოდ ჰიპოთეტური ხასიათის მოსაზრებებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

წერილობითი წყაროები ძალზე ძუნწად და ფრაგმენტულად მიუთითებენ საერთოდ კოლხურ ქალაქებზე, იქ მიმდინარე ურბანისტულ პროცესებზე, ქალაქების რაობაზე და მათ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე, ურბანისტული წარმონაქმნების სპეციფიკაზე.

ზოგადად ქალაქების არსებობის მოწმობად ძვ. წ. VIII საუკუნეში შეიძლება გამოდგეს ურარტული წყაროები, რომელთაც შემოგვინახეს ინფორმაცია სარდური II ლაშქრობის შესახებ კოლხას წინააღმდეგ, სადაც ნახსენებია „სამეფო ქალაქი” ილდამუსა და ცალკეული ოლქების ციხე-სიმაგრეები[16]...

საკუთრივ ქუთაისი უნდა ვივარაუდოთ ძვ. წ. VII – VI საუკუნეების ბერძნული ლირიკის თვალსაჩინო წარმომადგენლის მიმნერმეს ელეგიების მე-11 ფრაგმენტში, სადაც დასახელებულია „აიეტის ქალაქი”, რომელშიაც „მალი ჰელიოსის სხივებით ოქროს დარბაზებია გასხივოსნებული”[17]. ეს ცნობაც უფრო იმისთვის გამოდგება, რომ აქ უშუალოდ ქალაქის არსებობაზეა მითითება.

როგორც აღვნიშნეთ ქალაქების შესახებ ასევე არაპირდაპირი, მაგრამ ძალზე საინტერესო ჩვენება დაცულია ძვ. წ. IV საუკუნის მოღვაწის ფსევდო სკილაქს კარიანდელის თხზულებაში: სადაც ჩამოთვლილია კოლხეთის ზღვისპირა (თანაც ელინური) ქალაქები: დიოსკურია, ფასისი და გიენოსი. მხოლოდ მდინარე ფასისზე ზევით აყოლებით ასახელებს: „დიდ ბარბაროსულ ქალაქს, საიდანაც იყო მედეა”[18].

ამ ცნობაში (თუ კი აქ, მართლა ქუთაისი იგულისხმება), ერთი ნიშანდობლივი მითითებაა გაკეთებული: „ბარბაროსული ქალაქი”!!! საინტერესოა, მხოლოდ ქალაქის არაბერძნულობა ე.ი. (არაელინურობაა) აქ ხაზგასმული, თუ კოლხური ქალაქის სხვა ნიშან-თვისებაზეა მითითება, რომელიც ჩვენთვის უცნობია და გამორჩეული კრიტერიუმებით მის თავისებურების მინიშნებას აქვს ადგილი. ნათელი მხოლოდ ერთია: ეს ქალაქი შიდა კოლხეთშია, მდ. ფასისზე, „დიდია” და „მედეას სამშობლოა”, გნებავთ „აიეტის ქალაქია”, ე. ი. ქვეყნის მთავარი ქალაქია, ალბათ პოლიტიკურ-ურბანისტული ცენტრია...

სამწუხაროა, რომ წყაროები არაფერს გვეუბნებიან ამ ქალაქის გარეგნული სახის შესახებ. თითქოს ამ ხარვეზს გარკვეულწილად ავსებს აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკა, რომელიც ძვ. წ. III საუკუნეშია შექმნილი, მაგრამ როგორც ვარაუდობენ იქ აღწერილი საზოგადოებრივი რეალიები და ქალაქის ცხოვრება გაცილებით უფრო ადრინდელ ხანას ასახავს[19], ვნახოთ ციტატა: „როცა ველიდან მალე მიაღწიეს ქალაქს და აიეტის სასახლეს, მაშინ ჰერამ ისევ გაფანტა ნისლი. [გმირები] შესასვლელთან გაჩერდნენ და გაოცებულნი [შესცქეროდნენ] მეფის [სასახლის] გალავანს, ფართო ჭიშკრებსა და სვეტებს, რომლებიც მწკრივად აღმართულიყვნენ კედლების გარშემო; სასახლის ზემოთ სპილენძის ქონგურებზე იდგა ქვის კოშკი. [მოსულებმა] მშვიდობიანად გადააბიჯეს ზღურბლს, რომლის ახლოც მაღლა აღმართული მწვანე ფოთლებით დაბურული ვაზები ფართოდ გადაშლილიყვნენ. მათ ქვეშ მოჩუხჩუხებდა ოთხი დაუშრეტელი წყარო, რომელიც ჰეფესტომ ამოიღო. ერთი რძეს მოაჩქეფებდა, მეორე – ღვინოს; მესამე სურნელოვან ზეთს მოარაკრაკებდა, მეოთხე მოაქუხებდა წყალს, რომელიც პლეადების ჩასვლის ჟამს თბებოდა... შუაგულში იდგა სასახლე, რომელსაც მრავალი კარგად შეკრული ორმაგი კარი და მოსასვენებელი ოთახი ჰქონდა სხვადასხვა მხარეს. [სასახლეს] გარს უვლიდა შესანიშნავად ნაკეთები აივანი. გარდა ამისა, პირდაპირ იდგა [ორი] მაღალი სრა-სახლი; ამათგან ერთში, რომელიც უმაღლესი იყო, მბრძანებელი აიეტი ცხოვრობდა თავისი მეუღლით, მეორეში კი აიეტის ვაჟი აფსირტე ბინადრობდა... დანარჩენი [თალამოსები] ეკავათ მხევალ ქალებსა და აიეტის ორ ასულს, ქალკიოპესა და მედეას... [მედეა] ჩვეულებრივ იშვიათად იყო სასახლეში, რადგან ყოველდრიურად ემსახურებოდა ჰეკატეს ტაძარს, როგორც ამ ღმერთქალის ქურუმი"... არ ვიცი რამდენად რეალურია ზემოთ აღწერილი სურათი, მაგრამ ქვემოთ მოტანილი ციტატა რომ თითქმის ზუსტად ასახავს სამეფო ოჯახის ცხოვრების ეპიზოდს, ქართული სტუმარმასპინძლობის ცერემონიალს და სტუმრებთან შეხვედრის სამზადისს, ვფიქრობ ამას დიდი აზროვნება არ სჭირდება: „...ბოლოს აიეტიც გამობრძანდა გარეთ და მისი მეუღლე იდიაც გამოჰყვა... მალე მთელი ეზო ხმაურით აივსო. მონათა ერთი ჯგუფი უზარმაზარ ხარს წამოდგომოდა თავზე, მეორენი ხმელ შეშას აპობებდნენ სპილენძის ცულით, სხვები კი ქვაბებს ათბობდნენ ცეცხლით. მეფის მსახურთაგან არავინ იყო ისეთი, რომ ამ სამზადისს გადგომოდა[20]".

რაოდენ პოეტური ფანტაზიის ნაყოფიც არ უნდა იყოს ზემოთ მოტანილი სცენა მას კოლხურ ქალაქზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა მაინც შეუძლია და ვიდრე უფრო ზუსტი წერილობითი წყარო არ გაგვაჩნია, ვფიქრობ ეს მითიურ-პოეტური შედევრი ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა... თუ გინდ იმიტომ, რომ აქ კარგად ჩანს ქუთაისის სტატუსი და ადგილი კოლხურ გარემოში, გნებავთ-კოლხეთის სახელმწიფოში, თანაც ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში. კერძოდ, ის, რომ ქუთაისი სამეფო და სამოხელეო ზედაფენის ქალაქია. ზემოთ აღწერილი სიტუაცია კი ფაქტობრივად ამ ქალაქის „ფუნქციონალური ცენტრის" დახასიათებას წარმოადგენს, სადაც გალავანშემოვლებული, ფართოჭიშკრებიანი და ღიაივნიანი სამეფო სასახლე დგას, იქვეა უფლისწულის საცხოვრისიც, ტაძარ-სამლოცველო, სპილენძის ქონგურებით დამშვენებული კოშკები სხვადასხვა სრა-სასახლეები და მხევალი ქალებისა და მომსახურე

პერსონალის საცხოვრებლები და ა. შ. მაშასადამე, წყაროთა (წერილობითი – არქეოლოგიური) მონაცემების შედარების საფუძველზე თვალსაჩინო ხდება კოლხური საზოგადოების საკმაოდ რთული და მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოებრივ-კლასობრივი სტრუქტურა ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში.

როგორც ვხედავთ სოციალური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დგას მეფე და მისი მოხელეები, ე. ი. გაბატონებული კლასი ადამიანებისა, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ფლობენ საწარმოო საშუალებებს და ეწევიან სხვისი შრომის ექსპლუატაციას.

ზოგად ასპექტში სამოხელეო ზედაფენის წარმოქმნას და მის შემდგომ სოციალურ განცალკევებას შედეგად მოჰყვა ცალკე საცხოვრისის ე. წ. „ფუნქციონალური ცენტრის" გამოყოფა, რომელიც ზემოქმედებდა ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური ასევე საკულტო-რელიგიური თვალსაზრისით, რადგანაც მმართველი ზედაფენა, როგორც წესი განაგებდა საერო და სასულიერო ხელისუფლებას; რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება თეოკრატიული ხასიათის იყო[21].

არქეოლოგიური კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნულ (პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ) ცენტრთან ხდებოდა ხელოსნობის ძირითადი დარგების კონცენტრაციაც ე. ი. აქ ხდებოდა სამშენებლო საქმის ოსტატების, კერამიკის და ლითონწარმოების (იარაღ-საჭურვლის), საფეიქრო საქმის, საიუველირო საქმის ხელოსანთა და სახელოსნოების კონცენტრაცია და შედეგად მუდმივმოქმედი ბაზრის შექმნა.

მაშასადამე, ზოგადად ასეთი ტიპის უნდა ყოფილიყო ადრეკოლხური ქალაქი თუნდაც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც განახორციელებდა პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ზემოქმედებას მის ირგვლივ მდებარე მხარეზე და ზოგჯერ სრულიად ქვეყანაზე...

ბ) ეკონომიკური ვითარება ძვ. წ. VIII–VII საუკუნეებში

ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში ქუთაისის ეკონომიკურ განვითარებაზე ძირითადად ალბათ მაინც ზოგად ასპექტში მოგვიწევს საუბარი. სავარაუდოა, რომ ქალაქის ეკონომიკური განვითარების ძირითად საფუძვლად კვლავ ინტენსიური მიწათმოქმედება რჩებოდა, რომლის გვერდით წარმატებით ვითარდებოდა მესაქონლეობა და მრავალდარგოვანი ხელოსნური წარმოება[22].

მიწათმოქმედების სწრაფი ინტენსიფიკაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რკინის ფართოდ ათვისებას. ბრინჯაოს იარაღების გვერდით მასიურად შემოვიდა რკინის იარაღები (თოხები, ცულები, წალდი, ნამგალი და სხვ.) წარმოების საშუალებათა გაუმჯობესებამ კი, შექმნა თვისობრივად ახალი დონე სამიწათმოქმედო მეურნეობაში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გუთნის გამოყენებას ნიადაგის დამუშავებისათვის. მეურნების ძირითადი დარგები ტრადიციული იყო: წამყვანი ადგილი პურეული კულტურების მოყვანას ეჭირა, თუმცა ქუთაისის მხარის ნაყოფიერი ნიადაგები მებაღჩეობა – მებაღეობის წარ-

მატებული განვითარების შესანიშნავ საშუალებას იძლეოდა. არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ მევენახეობა – მეღვინეობის მაღალ დონესაც (ქვევრები, დოქები, სასმისები, ვაზის სასხლავი დანები, წალდი და სხვა).

საინტერესოა ის, რომ მეურნების ეს დარგი (მიწათმოქმედება) ორიენტირებული იყო ჭარბი პროდუქტის წარმოებაზე, რაც ხელს უწყობდა მხარეში სასაქონლო წარმოების ე. ი. პროდუქტის არა მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის, არამედ ბაზრისათვის დამზადებას. ეს კი საბოლოოდ მოასწავებდა მიწაზე კერძო საკუთრების ჩამოყალიბებას[23].

მიწათმოქმედებასთან ერთად წარმატებით ვითარდებოდა მესაქონლეობა წვრილი და მსხვილი რქოსანი პირუტყვის, ღორისა და ფრინველის მოშენება, რასაც თვალსაჩინოდ მოწმობს ძვ. წ. VIII – VII საუკუნეების კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ცხოველთა ძვლების სიმრავლე. საფიქრებელია, რომ პირუტყვის სიმრავლე, სიმდიდრის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა და სოციალური დიფერენციაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი იყო.

გ) ლითონწარმოება

მაშასადამე, ქუთაისის მხარეში საუკეთესო პირობები არსებობდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმატებული განვითარებისათვის რასაც, როგორც აღვნიშნეთ ხელი შეუწყო რკინის ფართო ათვისებამ.

აქ კი ყველა პირობა არსებობდა რკინის დამამუშავებელი წარმოების ინტენსიური განვითარებისათვის: 1. მადნეული, 2. ხე-ტყე და 3. ლითონწარმოების ხანგრძლივი ტრადიცია. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია რკინის მეტალურგიის სწრაფი განვითარება უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან. VIII – VII საუკუნეებში რკინას ბრინჯაოსთან ერთად წამყვანი ადგილი უჭირავს. ამ პერიოდის ნაწარმი მრავლადაა არქეოლოგიურ მასალებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წარმოების ნაშთების აღმოჩენა ძველი ქალაქის ტერიტორიაზე და შემოგარენში. ესენია: წიდები, თიხის საქშენი მილის ფრაგმენტები, ცულისა და სატეხის ქვისაგან დამზადებული ყალიბები. ამ მხრივ მნიშვნელოვანი აღმოჩენა გაკეთდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში პროფ. ოთ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, რამაც მკვლევარს მაშინ მისცა საშუალება გამოეთქვა საფუძვლიანი ვარაუდი ძველი ქალაქის (VI – V სს-ში) სახელოსნო – საწარმოს არსებობის შესახებ[24]. რკინის წარმოების ნაშთების მეორე აღმოჩენა გაკეთდა 2005 წელს ახალმშენებლობასთან დაკავშირებით რუსთაველისა და გრიშაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე. აქაც დიდი რაოდენობით დაფიქსირდა რკინის წიდები, თიხის საქშენი მილის ფრაგმენტები, რაც მიანიშნებს მელითონე-ხელოსანთა უბნის არსებობაზე ძვ. წ. VI – V საუკუნეებში[25]. მართალია, რკინის წარმოების ფართო მასშტაბებს უპირატესად განაპირობებდა მიწათმოქმედების აღმავლობა და საერთოდ სოფლის მეურნების ინტენსიური განვითარება. თუმცა, რკინა ასევე ფართოდ გამოიყენებოდა მრავალდარგოვან ხელოსნობაში და სამხედრო საქმის ინტერესებითაც იარაღ – საჭურვლის დამზადებისათვის. რკინასთან ერთად ბრინჯაოს

სურ. 39. ხარის მინიატურული ქანდაკება (ბრინჯაო, მაღლაკი)

სურ. 40. ხარის მინიატურული ქანდაკება დღნორისადან)

ნივთების დამზადებაც გრძელდებოდა. ამაზე მეტყველებს ბრინჯაოსაგან დამზადებული ამდროინდელი სამეურნეო თუ საომარო დანიშნულების იარაღები (ცულები, თოხები, ისრისპირები) და მცირე ზომის ქანდაკებები. მაგალითად, ქუთაისის მუზეუმში გამოფენილი ბრინჯაოს ხარის ფიგურა და ბრინჯაოსავე ხარის ქანდაკება მაღლაკიდან, (სურ. 39,40),

ქალის ქანდაკება გეგუთიდან და სხვ.[26] 1963 წ. ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბანოჯის ტერიტორიაზე დაზვერვებისას აღმოაჩინა ბრინჯაოს ორფრთიანი ყუნწიანი ისრისპირი, რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნით არის დათარიღებული. ასეთი ისრისპირები იმ დროისათვის ფართოდ იყო გავრცელებული. ლითონწარმოების განვითარების ასეთი მაღალი დონის გამო მეცნიერები ფიქრობენ, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედიდან მელითონე-ხელოსნის ცალკე სტატუსზე, ცალკე საზოგადოებრივ-სოციალურ კატეგორიაზე კოლხეთის საზოგადოებრივ-სოციალურ ურთიერთობაში რაც წარმოების ღრმა სპეციალიზაციაზე მეტყველებს[27] და კლასობრივი წყობილების ერთ- ერთი ნიშანია.

დ) მეთუნეობა

ქუთაისში ძვ. წ. VIII – VII საუკუნეების ფენებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მასალები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ქალაქის ხელოსნური წარმოების ისტორიისათვის. რკინის წარმოების გვერდით აყვავებას განიცდიდა სამეთუნეო საქმე. კერამიკული წარმოების ხელშემწყობი ფაქტორებიდან პირველ რიგში აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ნედლეული, კერამიკული თიხები, რომლითაც ასე მდიდარია ქუთაისის მიწა-წყალი. შემდეგ წინამორბედი ეპოქების ტექნიკური მემკვიდრეობა, დამზადების ტექნიკა და სტილი.

კერამიკული წარმოების ცალკე ხელოსნურ დარგად გამოყოფის ერთ-ერთი უტყუარი მოწმობაა კერამიკული ჩარხის შემოღება. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კერამიკულ ჩარხზე დამზადებული ჭურჭელი დასავლეთ საქართველოში ჩნდება სულ ცოტა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან[28]. ქუთაისში აღმოჩენილი ძვ. წ. VIII – VII საუკუნეების სამეთუნეო ნაწარმიც, როგორც წესი კერამიკულ ჩარხზეა დამზადებული.

სურ. 41. ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისი ქოთნის პირ-ყელი

სურ. 42. ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისის კოლხური კერმიკა

ისინი გამოირჩევა ფორმების სიმრავლითა და სინატიფით. აქ აღმოჩენილი თიხის ნაწარმი მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანი, კარგადაა გამომწვარი. (სურ. 41, 42, 43).

ნამოსახლართა კერამიკულ ინვენტარში წამყვანი ადგილი უჭირავს საყოფაცხოვრებო დანიშნულების ე. წ. საოჯახო ჭურჭელს: დერგებს, ქოთნებს, სურებს, ჯამებს, სასმისებს და სხვ. ყურადღებას იქცევს სიმრავლე სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლებისა, განსაკუთრებით დერგები. მათ აქვთ ვერტიკალური ყელი, რომლის გარე ზედაპირი ან სადაა ანდა ზოგჯერ კონცენტრირებული ღარებით და სავარცხლით გამოყვანილი ორნამენტითაა შემკული[29]. ზოგიერთი ამ ტიპის ჭურჭელი ფართო ვერტიკალური კანელურებითაა დაფარული და ხშირად ნაწილობრივ გაპრიალებულია. კერამიკის ნაწილს ზედაპირი წნეხვითი ხაზებით აქვთ დაფარული. როგორც ჩანს, კანელურები ჯერ კიდევ გამოწვამდეა გამოყვანილი და ზედაპირიც სპეციალური საპრიალებელი ქვით უნდა იყოს დამუშავებული[30]. არის შემთხვევები, როდესაც ჭურჭელს მხრებზე ძუძუსებრი კოპები აქვთ დაძერწილი. ჭურჭელთა ძირითადი დამახასიათებელი ფერია ნაცრისფერი ან მოწითალო-ჩალისფერი.

გარდა სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლებისა დიდ ინტერესს იწვევს საოჯახო (სამზარეულო და სუფრის) თიხის ნაწარმი. (სურები, ქოთნები, სასმისები) მათი უმრავლესობაც რუხკეციანია, მაგრამ გვხვდება ყავისფერკეციანი და მოწითალო-ჩალისფრად გამომწვარი ჭურჭლებიც. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კულტურულ ფენაში დაფიქსირებული ერთი მთლიანი კოჭობი და მასთან ერთად აღმოჩენილი თიხისაგან დამზადებული საქსოვი დაზგის საწაფები (სურ. 44), რომელიც საფეიქრო წარმოების უტყუარი დასტურია. საოჯახო კერამიკიდან აღსანიშნავია რამოდენიმე ფრაგმენტი ქოთნისა, რომელთა ზედაპირი ჰორიზონტალური ღარებით ან ტალღისებური ორნამენტითაა შემკული. ერთ – ერთი ასეთი ჭურჭლის ყელი ფართო რელიეფური ღარებითაა დაფარული, ხოლო მუცელგამობერილი ტანი ირიბი კანელურებითაა შემკული. ყურის ზედა ნაწილი ზედნადები წაკვეთილ-ბოლოებიანი ლილვის სახითაა გამოყვანილი. სრულიად ანალოგიური ტიპის ჭურჭელი ნაპოვნია ვანის ნაქალაქარზე და დაბლაგომის ნაციხვარის შუა ფენიდან[31].

სურ. 43. ძველი კოლხური კერამიკის ორნამენტის ნიმუშები

ქოთნების გვერდით მრავლადაა დოქების ფრაგმენტებიც, როგორც ჩანს მათი უმრავლესობა საშუალო ზომის მაღალყელიანი და ოდნავ პირგაშლილი ყოფილა. ზედაპირი კი ირგვლივი ღარებითაა შემკული[32]. მრავლად გვხვდება კონუსისებური ფორმის სასმისებისა და ჯამების ფრაგმენტებიც.

სურ. 44. თიხის კოჭობი და საწაფები

სურ. 45. თიხის ჭურჭლის ზოომორფული ყურები

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ჭურჭლის ყურების სიმრავლე, მათი უმრავლესობა შემკულია ზოომორფული სახეებით (სურ. 45, 46, 47).

ასეთია სახელურის ზედა მხარეს დაძერწილი ბოლოებწაკვეთილი ცილინდრული ლილვი, რომელიც შუაში უნაგირისებურადაა ჩაზნექილი. ასეთი მასალა ცნობილია დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან[33], ზოგჯერ მათი გავრცელების საზღვრები სცილდება დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოშიაც გადადის[34]. საერთოდ კი ამ ტიპის ჭურჭლების გავრცელების არეალი კოლხური ბრინჯაოს კულტურის გავრცელების საზღვრებში თავსდება და კოლხური კულტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ ელემენტად არის აღიარებული. ქრონოლოგიურად კი წინარე ანტიკურ ხანას, უფრო ზუსტად გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას განეკუთვნება. ზოომორფული სახეებით წარმოდგენილია თიხის მინიატურული ქანდაკებებიც. (სურ. 48ᵃ). აღსანიშნავია გაბაშვილის გორაზე აღმოჩენილი თიხისაგან დამზადებული ვერძის თავის ქანდაკება (სურ. 48), რომელიც მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვის მქონე ნივთს წარმოადგენს არქეოლოგიურ მონაპოვარში.

ძველი კოლხეთის საზოგადოების კულტურულ – ესთეტიკური განვითარების მაღალ დონეს მოწმობს ფარცხანაყანევში აღმოჩენილი ყელსაბამის მძივები, რომლის ზუსტი ანალოგია ნოსირსა და საგვაზაოშია ნაპოვნი და ძვ. წ. VIII საუკუნით თარიღდება[35] (სურ. 49).

სურ. 46. ქოთნის ფრაგმენტები (ძვ.წ. II ათასწ. დასასრული)

სურ. 47. ჭურჭლის ზოომორფული ყურის ფორმები

სურ. 48.ა თიხის ქანდაკების ნაწილი (ძვ. წ. VIII ს)

თუ ამ მძივების დამზადების ადგილი ქუთაისის მიწა-წყალზეა, მაშინ საწარმოო-სახელოსნოების არსებობაზეც შეიძლება ლაპარაკი. ფარცხანაყანევში აღმოჩენილი ძვირფასი ნივთების კომპლექსი საერთოდ შეიცავს: ოქროსგარსიან და ჭვირულბურთულიან მძივებს. ოქროს სპირალურ საკიდებს, ზემოთ დასახელებულ სარდიონის მძივების ასხმას და ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტებს. ამ კომპლექსს პროფ. ბ. კუფტინი სამარხისეულ ინვენტარად მიიჩნევდა და ნოს-



სურ. 48. ვერძის თავის ქანდაკება (გაბაშვილის გორა)

სურ. 49. ელექტრუმის მძივი ფარცხანაყანევიდან (ძვ. წ. VIII-VII სს.)

სურ. 50. წინარეანტიკური ხანის კერამიკა ქუთაისიდან

სურ. 51. ადრერკინის ხანის კერამიკა ქუთაისდან

ირის განძის თანადროულად (ძვ. წ. VIII – VII სს) თვლიდა. აღნიშნულ თარიღს იზიარებს ბატონი ი. გაგოშიძე მხოლოდ უფრო აზუსტებს მას (ძვ. წ. VII-VI სს.).[36]

ქუთაისის უძველესი ისტორიისა და კულტურის შესწავლა შეუძლებელია მის ირგვლივ განლაგებული დაბა-სოფლების არქეოლოგიური შესწავლის გარეშე.

ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ფეოდალური ხანის ქართულ წყაროებში იწოდებოდა „ქუეყანა ქუთათისისას" სახელით და ქალაქის არსებობის ძირითად ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს სოფ. ჭოგნარის ტერიტორია, რომელიც „ქუთაისის ქვეყნის" სამხრეთ – აღმოსავლეთით მდებარე პუნქტია და ქალაქიდან 7 კმ-თაა დაცილებული. პირველ ყოვლისა, ეს ადგილი ძალზე მნიშვნელოვანია გეოგრაფიული თვალთახედვით. ფაქტობრივად ესაა მდინარეების რიონისა და ყვირილას ხერთვისი, სადაც შემთხვევითმა აღმოჩენებმა ადრიდანვე იჩინა თავი. როგორც აღვნიშნეთ, 1932 წ. აქ არქეოლოგიური სამუშაოები ჩაუტარებია მოსკოვის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიურ ექსპედიციას ე. კრუპნოვის ხელმღვანელობით და შეუკრებია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საყურადღებო მასალები[37].

1963-64 წლებში ეს ტერიტორია შეისწავლა ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. „ფარნალის" გორაზე ექსპედიციამ მიაკვლია გვიანბრინჯაოს ხანის ვრცელ ნამოსახლარს, რომელიც კირქვის კარიერების სამუშაოების შედეგად საგრძნობლად იყო დაზიანებული. ოთ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით გათხრილი იქნა ხუთი სადაზვერვო თხრილი, დადგინდა სამი ფენა, შესაბამისად მოპოვებული მასალა სამ სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს განეკუთვნება[38]. მათში განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკა. იგი უპირატესად ძვ. წ. VIII – VII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ფორმებითაა წარმოდგენილი და ზუსტად იმეორებს ქუთაისში „არქიელისა" და „გაბაშვილის" გორაზე აღმოჩენილი კერამიკის ნაშთებს. ესენია: სქელკედლიანი კანელურებიანი დერგები, ზოომორფულყურებიანი ქოთნები, კონუსურძირიანი სასმისები, სადგარიანი საწურის, ტალღისებრი ორნამენტით შემკული შავპრიალა ჭურჭლების ფრაგმენტები და სხვა[39]. ასეთივე კერამიკა ცნობილია შავიზღვისპირეთიდანაც, რაც ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ძვ. წ. VIII საუკუნემდე იყო გავრცელებული[40] (სურ. 50, 51, 52, 53, 54, 55, 56).

ამავე პერიოდში იქნა ნაპოვნი კაჟის ნამგლის პირის ჩასართები და თიხის ორი საბეჭდავი. აღსანიშნავია, რომ ეს საბეჭდავები საქართველოს გლიპტი-

სურ. 52.კოლხური კერამიკის პირ-ბაკოს ფრაგმენტები. ძვ. წ I ათასწლეულის დასაწყისი

სურ. 53. სამარილე და ფიალა (ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი)

კური ძეგლების ადრეულ ნიმუშებადაა მიჩნეული ქ-ნ მარგო ლორთქიფანიძის მიერ ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებით თარიღდება[41].

ისინი განეკუთვნება ე. წ. საერთო დანიშნულების საბეჭდავებს, რომელიც გარკვეული პირის გამგებლობაში იყო და როგორც ფიქრობენ მფლობელი ვალდებული იყო აღნიშნული საბეჭდავით „დაელუქა" სურსათის შესანახი ან იარაღის საცავი სათავსოები ან კიდევ ღვინისა და სხვა სითხის ჭურჭლები[42].

ამრიგად, ზემოთ განხილული არქეოლოგიური მასალები მოწმობენ „ფარნალის" გორის მჭიდრო დასახლებას ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ინტენსიურ ცხოვრებას, განსაკუთრებით მიწათმოქმედების განვითარებას და მარცვლეული კულტურების ფართოდ წარმოებას ამ მხარეში[43].

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ნამოსახლარი ფიქსირებული იქნა აგრეთვე სოფ. ბანოჯის ტერიტორიაზე. აქ 1951 წ. პროფ. ბ. კუფტინის მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა იმთავითვე გამოავლინა გვიანბრინჯაო – ადრერკინის ხანის კულტურული ფენები. მის მიერ გაკეთებული თხრილები დამატებით გამოიკვლია ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1963 წ., რომელმაც მოიკვლია აგრეთვე სოფ. ბანოჯის ტერიტორია. მოპოვებული იქნა გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკის ფრაგმენტები და ბრინჯაოს ისრისპირი[44], რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. (სურ. 57).

როგორც ირკვევა ბრინჯაოს ორფრთიანი ყუნწიანი ისრისპირი საბრძოლო – სანადირო იარაღია და კოლხური კულტურის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის მეორე პერიოდისათვის (ძვ. წ. X – VII სს.). მართალია, აღნიშნული ისრისპირები ტერიტო-

სურ. 54. წინარეანტიკური ხანის თიხის ჭურჭელი კანელურებიანი ზედაპირით

სურ. 55. წინარეანტიკური ქოთნების ფრაგმენტები

სურ. 56. სქელკედლიანი ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი კანელურებიანი ზედაპირით

სურ. 57. ისრისპირი ძვ. წ. VIII ს.

რიულად ძირითადად ემთხვევა კოლხური კულტურის გავრცელების არეალს, მაგრამ როგორც აღნიშნავენ, მსგავს ისრისპირთა ნაირსახეობა ფართოდაა გავცელებული მცირე აზიასა და ეგეოსურ სამყაროში და მათი ქრონოლოგიური დიაპაზონიც საკმაოდ დიდია[45]. ამიტომ კულტურული ფენების დასათარიღებლად მათი აღმოჩენა მყარ საყრდენად არ გამოდგება. ბანოჯის ტერიტორიაზე შემდგომში შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად რკინის წარმოების ნაშთებიც იქნა გამოვლენილი[46], რაც ამ ტერიტორიის სტაციონალურ კვლევას მოითხოვს.

ვარდციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. პატრიკეთის ტერიტორიაზე 1971 წ. ჩაატარა სადაზვერვო ხასიათის სამუშაოები[47] და გორიკაზე წინარეანტიკური ხანის მასალებს მიაკვლია. შემდგომში (1974 წ.) სამუშაოების გაგრძელებამ დაადასტურა, რომ ეს გორიკა დასახლებული ჩანს ძვ. წ. XIV საუკუნიდან. ქვედა იარუსზე აღმოჩნდა ხის ნაგებობათა ნაშთები. ეს გორიკა მრავალფენიანი ძეგლი გამოდგა. აქ ძვ. წ. II ათასწლეულიდან მოყოლებული ცხოვრება გრძელდებოდა ადრეანტიკურსა და გვიანანტიკურ ხანაში. (მოპოვებულია იმპორტული კერამიკაც)[48]. პატრიკეთის გორიკა ტიპიური ხელოვნური გორასამოსახლოა ირგვლივ თხრილებით და მიწაზვინულით. ფაქტობრივად ის ერთადერთი ადრე შესწავლილი ძეგლია ამ ტიპის ძეგლებს შორის ქუთაისის მხარეში.

ხელოვნური გორა სამოსახლოები ფიქსირებულია სოფ. ფარცხანაყენევში, „ანარია", „შროშანები" და „საბზიალო", იქვე მიუთითებენ ძვ. წ. VII – VI საუკუნეების მდიდრული სამარხის აღმოჩენის ფაქტსაც. გორიკები ცნობილია საყულიაში, კოპიტნარში, მესხეთში, ქვიტირში, მაღლაკში, ბაშში... თუმცა ისინი ჯერჯერობით შეუსწავლელია.

მაშასადამე, ქუთაისის ქვეყნის ტერიტორიაზე (ცენტრალური კოლხეთი) აღმოჩენილი წინარეანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ აქ მცხოვრებ მოსახლეობას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მეტად მდიდარი ბრინჯაოს კულტურა ჰქონდა შექმნილი. ნივთიერი კულტურის ძეგლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში მაღალგანვითარებულ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად განვითარების ასევე მაღალ დონეზე დგას მრავალდარგოვანი ხელოსნობა (ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგია, სამშენებლო-ხუროთმოძღვრული საქმე, სამეთუნეო წარმოება, საფეიქრო საქმე).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ შუარიონისპირეთი ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული მხარე იყო, ამიტომაც აქ სამიწათმოქმედო დაბებთან ერთად გაჩნდა სახელოსნო – საწარმოო უბნები, სადაც საქონელი მზადდებოდა არა მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის, არამედ გასაცვლელ-გასასყიდად ბაზრისათვის, რაც ხელს უწყობდა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას ქვეყნის სხვადასხვა მხარეებს შორის და ქვეყნის გარეთაც. ამიტომაც ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებისათვის ქუთაისი ჩვენ წარმოგვიდგენია მძლავრ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრად, ხოლო, როგორც ცნობილია, ეკონომიკური სიძლიერე პოლიტიკური მორჭმულობის საფუძველიც უნდა ყოფილიყო. ასე იყო შუა საუკუნეებშიც[49].

შენიშვნები

1. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ძველი... გვ. 154 – 157; ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ კოლხას ძლიერების ხანაში, სამეფოს პოლიტიკური ცენტრი თავდაპირველად სამხრეთში, სადღაც მდ. ჭოროხის აუზში მდებარეობდა, ხოლო შემდეგ გადატანილი იქნა მდ. რიონის (ფასისის) დაბლობზე, მაგრამ პირდაპირი მონაცემები აღნიშნული დასკვნისათვის არ არსებობს.* ***ინაძე მ.,*** *ძველი კოლხეთის საზოგადოება... გვ. 258;* ***(Меликишвили Г. А.****, К истории древней Грузии. Тб., 1959 г., gv., 216).*
2. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ქალაქ ქუთაისის წერილობით წყაროებში პირველმოხსენიების საკითხისათვის. კრ. ქუთაისი..., გვ. 34 და შმდ;* ***ინაძე მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 56 და შმდ.*
3. ***ყაუხჩიშვილი თ.,*** *ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I, თბ., 1967. გვ. 48.*
4. ***თ. ყაუხჩიშვილის*** *ვარაუდით კოლხეთის „დიდი ბარბაროსული ქალაქი" შეიძლება იყოს ნოქალაქევი („არქეოპოლისი") თუმცა: „ვარაუდის ფარგლებში, ვიდრე საამისო არქეოლოგიური მასალა არა გვაქვს". მას დასაშვებად მიაჩნია ისიც რომ თავდაპირველად ტექსტში 180 სტადიონის ნაცვლად შეიძლება ეწერა 280 სტადიონი, რაც ქუთაისთან მიგვიყვანდაო. (იხ.* ***მისივე,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 36-38);* ***პროფ. გ. გრიგოლია*** *„დიდ ბარბაროსულ ქალაქს" რიონ-ფიჩორის ორმდინარეთში მდებარე ნამოსახლარ „ნამარნუსთან" აიგივებს (იხ.* ***მისივე,*** *„ბარბაროსების დიდი ქალაქის" ლოკალიზაციისათვის. ძეგლის მეგობარი, №33, თბ., 1973 წ., გვ. 50-59); ხოლო ქუთაისის არქეოლოგიური კვლევის ერთ-ერთი ხელმძღვანელი* ***გ. კვირკველია*** *აღნიშნულის დასტურად ქუთაისში ჯერჯერობით ვერაფერს ხედავს. (იხ.* ***მისივე,*** *შავიზღვისპირეთი არქაულსა და კლასიკურ ხანაში. ძიებანი, დამატებანი VIII, თბ., 2002 წ., გვ. 25 და შმდ.*
5. ***Lycophronis,*** *Alexandra, 174-175, 1321; სქოლიასტის განმარტებით: კვიტაიელია მედეა, კვტე კი კოლხეთის ქალაქია". იხ.* ***ურუშაძე აკ.,*** *ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1961 წ., გვ. 300, 301, 302, 310;*
6. ***Callimach*** *Pap. Berol. 11521. შდრ.* ***ურუშაძე აკ.,*** *ძველი კოლხეთი... გვ. 312.*
7. ***Apollonii Rhodii,*** *Argonautica, II, 399, 403, 1094, 1267; IV 511; შდრ.* ***Церетели Г. Ф.****, Аргонавтика. Тб., 1964 г., гв., 92, 126, 236;* ***აპოლონიოს როდოსელი,*** *არგონავტიკა* ***აკ. ურუშაძის*** *თარგმანი. თბ., 1970 წ., გვ. 129, 165, 173, 277.*
8. ***ლანჩავა ო.,*** *ქუთაისის ძველი ისტორიისათვის. თბ., 1975 წ., გვ. 4-5;* ***ინაძე მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 56;* ***ურუშაძე აკ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 8, 59, 83, 493;* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 157.*
9. *არიანეს ჩვენამდე მოღწეულ თხზულებებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ახალ დროში კი ერთ-ერთი პირველთაგანი ვინც ეს მოსაზრება გამოთქვა იყო ფრ.დიუბუა დე მონპერე (იხ.* ***Dubois de Montpereux Voyage****...გვ. 339).*
10. *Proc. BG, VIII, 14;* ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *გეორგიკა, II., გვ., 194, 195;*
11. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 157: „ძვ. წ. VIII-VII სს-იდან ქუთაისი და მისი მიდამოები (ე. წ. „ქუთაისის ქვეყანა") ძალზე მჭიდროდაა დასახლებული თითქმის ყველგან არქეოლოგიურად დასტურდება კოლხეთისათვის აგრე ტიპიური ხელოვნური სამოსახლო ბორცვები (ფარცხანაყანევი, ქვემო მესხეთი, ჯიხაიში, ტყაჩირი, ქვემო და ზემო მაღლაკი, პატრიკეთი, საყულია, ბანოჯა და სხვ.) ან ბუნებრივად შემაღლებულ ადგილებზე განლაგებული ნამოსახლარები (ბანო-*

ჯა, ჭოგნარი, ფარნალის გორა და სხვ.)". შდრ. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე... გვ. 27 და შმდ.

12. **ინაძე მ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 67. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხეთის დაბლობის მოსახლეობა შედიოდა დასავლურქართულ ტომთა გაერთიანებაში სადაც შორს ოყო წასული ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია. უკვე რკინის ფართო ათვისების ხანაში აღნიშნული რაიონი კოლხას სამეფოს შემადგენლობაშია და აღწევს განვითარების მაღალ დონეს (იხ. **ავალიშვილი გ., ფანცხავა ლ.,** დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა ძველი ლითონის ხანაში. არქეოლოგიური კრებული II, თბ., 1998 წ., გვ. 51 და შმდ.).

13. **Сумбадзе Л. З.**, Колхидское жилище по Витровию. Тб., 1960 г; შდრ. **ყიფიანი გ., ამაშუკელი ნ.,** „კოლხური" და „ფრიგიული" სახლები. თბ., 1995 წ.

14. **ლანჩავა ო.,** ადრერკინის ხანის ქვისსაძირკვლიანი ნაგებობა ქუთაისიდან „წინაქრისტიანული ხანის ქართული ხელოვნება". I სამეცნიერო სესია, თბ., 1999 წ., გვ. 22.

15. იხ. გეგმა და რეკონსტრუქცია **ოთ. ლორთქიფანიძის** წიგნიდან-ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. გვ., 170, სურ., 132;

16. **Меликишвили Г. А.,** Урартские Клинообразные надписи. М., 1960 г.

17. **ურუშაძე აკ.,** ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში. თბ., 1964 წ., გვ. 26, 202.

18. **ყაუხჩიშვილი თ.,** ბერძენი მწერლების ცნობები... I, გვ. 48-49.

19. „არგონავტიკა" კოლხეთის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის ამსახველი ერთადერთი წყაროა. პროფ. თ. მიქელაძის ვარაუდით, ეს ნაწარმოები ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის დასაწყისის კოლხეთის საზოგადოებრივ წყობას ასახავს, ხოლო, პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე არგონავტიკაში წარმოდგენილ სოციალურ-ყოფით რეალიებს ძვ. წ. VII-V სს-ის ამსახველად მიიჩნევს. (იხ. **მიქელაძე თ.,** ძიებანი... თბ., 1974 წ., გვ. 160; **ლორთქიფანიძე ოთ.,** ძველი ქართული... თბ., 2002 წ., გვ. 164.).

20. **აპოლონიოს როდოსელი,** არგონავტიკა, გვ. 187-189. **აკ. ურუშაძის** თარგმანი.

21. **ინაძე მ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 95. და შმდ.

22. **Лордкипанидзе Г. А.,** Колхида в VI-II вв. до н. э. стр. 91...

23. იქვე.

24. **ლორთქიფანიძე ოთ.,** ანტიკური სამყარო... გვ. 44.

25. **ლანჩავა ო., ისაკაძე რ.,** 2005 წლის საველე მუშაობის ანგარიში. აღსანიშნავია რკინის ცულის აღმოჩენა მაღლაკის ქვევრსამარხში, რომელიც V – IV სს. თარიღდება. **(Лордкипанидзе Г. А.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 82). სამწუხაროდ, აღნიშნულ ცულს ქუთაისის მუზეუმში ჯერჯერობით ვერ მივაკლვლიეთ.

26. ხარს როგორც ღვთაებას უძველესი დროიდანვე საპატიო ადგილი ეკავა მიწათმოქმედი ხალხის რელიგიურ პანთეონში. (**მიქელაძე თ.,** კოლხეთის ადრერკინის... გვ. 60; **დავითაშვილი ქ.,** მცხეთიჯვრის „ნაურიალის" სამაროვნის №82 სამარხი. სხსმ ნარკვევები V, თბ., 1999 წ., გვ. 20).

27. **ავალიშვილი გ., ქორიძე თ.,** მელითონე ხელოსნის სოციალური სტატუსი (გვიანბრინჯაოს ხანა), არქეოლოგიური კრებული III, თბ., 2001 წ. გვ. 89-90.

28. **ლორთქიფანიძე ოთ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

29. **სახაროვა ლ.,** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკა ქუთაისიდან. მაცნე, IV, 1970 წ., გვ. 87 და შმდ. **ლანჩავა ო.,** ქუთაისი წინაფეოდალურ ხანაში. საკანდ. დისერტაცია, თბ., 1975 წ., გვ. 72 და შმდ.

30. *ასეთი საპრიალებელი ქვები აღმოჩენილია ქუთაისში, ვანში და დაბლა-გომში.*
31. ***Квирквелия Г. Т.,*** *Ванский регион в VIII-V вв. до н. э;* ***Толордава В. Н****., Культурный комплекс VIII-VII вв. до н. э. Из Вани. Причерноморье в VII-V вв. до н. э., Тб., 1990 г., стр., 261-280;* ***Куфтин Б.,*** *Материалы к археологии Колхиды, II, стр. 123-126. tab. 35-36;*
32. *შდრ.* ***სახაროვა ლ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 88.*
33. ***Лорткипанидзе О. Д.,*** *Древняя Колхида. Тб., 1979 г. стр. 74.*
34. ***მიქელაძე თ.,*** *ძიებანი... გვ. 58-59;*
35. ***Гогадзе Э. М., Давлианидзе П. О., Панцхава*** *Л. Н, Поселения-производства – памятники нового типа Колхидской культуры. Причерноморье в VII-V вв. до н.э. Тб., 1990 г. стр. 229.*
36. ***გაგოშიძე ი.,*** *მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის. სსმმ II – B, თბ., 1996 წ., გვ. 20.*
37. *დაცულია მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (გვიანბრინჯაოს ხანის ქოთნების, ადრეანტიკური ხანის ქვევრების და ელინისტური ხანის ამფორის ფრაგმენტები) იხ. „Советская Этнография", 1934 №3-4, стр. 108-102.*
38. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წელს ჩატარებული მუშაობის ძირითადი შედეგები. სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები, თბ., 1965 წ., გვ. 46.*
39. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *დასახ. ნაშრ. გვ. 46., სახაროვა ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 90.*
40. ***Хахутаишвили Д. А.,*** *Производство железа в древной колхиде, Тб., 1987 г., стр. 127-128.*
41. ***ლორთქიფანიძე მარგ.,*** *ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. I, თბ., 1969 წ., გვ. 27-28; 72-73. (№15-16).*
42. *იქვე, გვ. 62-63.*
43. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური რუკა,... გვ. 56.*
44. ***სახაროვა ლ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 92. ანალოგიური ისრისპირები ცნობილია დაბლაგომიდან, ოჯოლის განძში, მუხურჩის სამაროვანზე და თლის სამაროვანზე.* ***(იხ. ქორიძე დ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 38-39, ტაბ., XXII (8, 9, 10);* ***Куфтин Б.А.,*** *Материалы... II, стр., 17, 114, 117;* ***Техов Б. В., Гаглоев В. Х.,*** *Работы юго-осетинской экспедиции, „Археологические открития 1973 года". М., 1974 г., стр., 437-439;*
45. ***მიქელაძე თ.,*** *ძიებანი... გვ. 53;*
46. *მასალები მოგვაწოდა ქსუ სტუდენტმა რ. ობოლაძემ.*
47. ***მელითაური კ.,*** *ვარციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება, 1973 წ., თბ., 1974 წ., გვ. 81.*
48. ***Джапаридзе В.,*** *и другие, Археологическая разведка и раскопки в зоне строительства варцихской ГЭС ПАИ в 1977 году, ТБ., 1980 г., стр., 251-262.*
49. ***მუსხელიშვილი დ.,*** *საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2004 წ., გვ. 105.*

III თავი | ქუთაისი ანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI–I სს.)

1. ადრეანტიკური ხანის ძეგლები

როგორც ზემოთ დავინახეთ კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში მკაფიოდ არის ასახული ადგილობრივი საზოგადოების წიაღში მომხდარი ღრმა სოციალური დიფერენციაცია და საკმაოდ რთული სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა[1]. უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის კოლხეთში დასრულებული ჩანს ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ფორმირება. სახეზეა რთული სტრუქტურის საზოგადოება ურთიერთდაპირისპირებული კლასებით და იერარქიულად დაქვემდებარებული სოციალური ფენებით თუ კატეგორიებით[2].

მაშასადამე, ძვ. წ. VI საუკუნიდან უკვე კოლხური საზოგადოება წარმოგვიდგება სოციალურად დიფერენცირებული მრავალდარგობრივი მეურნეობით, დაწინაურებული მიწათმოქმედებით, მევენახეობით განვითარებული ხელოსნური წარმოებით, საქალაქო ცხოვრებით, რეგულარული ვაჭრობით და ადგილობრივი სამონეტო სისტემით[3].

ამრიგად, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან იწყება ახალი ეტაპი კოლხეთის სამეფოს ისტორიაში, სადაც რკინის მეტალურგიის წარმატებებმა და ხელოსნობის ცალკეული დარგების განვითარებამ შექმნა მკვიდრი ეკონომიკური ნიადაგი საქალაქო ტიპის მსხვილი სამოსახლოების აღმოცენებისათვის[4] და ადრეაღმოცენებულთა შემდგომი განვითარებისათვის...

ფიქრობენ რომ, „ადრეანტიკური ხანისათვის კოლხეთის სახელმწიფო გაერთიანების ჩამოყალიბებასთან ერთად ქუთაისი მისი მთავარი პოლიტიკურ – ურბანისტული ცენტრი ხდება''[5].. უფრო სწორად, უნდა ვიფიქროთ, რომ ქუთაისი ინარჩუნებს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრის სტატუსს, რომელიც მან ჩვენი ვარაუდით ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში დაიმკვიდრა. ამ სამოსახლოს ურბანიზაციის ძირითადი არგუმენტი არქეოლოგიური მონაპოვარია, სადაც კარგად ჩანს ეკონომიკის სხვადასხვა დარგების წარმატებული განვითარება, ადგილობრივ ნედლეულზე დაფუძნებული მრავალდარგოვანი ხელოსნური წარმოება, საკუთარი ტიპოლოგიური მოდელით, ხელოსნური ნაწარმის ძირითადი ფორმების სტანდარტიზაციითა და მათი სასაქონლო ხასიათით[6]. ყოველივე ამას ემატება მნიშვნელოვანი პროგრესი საკუთრივ სამოსახლოს განვითარებაში და მისი მორგება საბაზრო მიზნებთან რაც გამოიხატა კომუნიკაციების გამარტივებაში, კერძოდ, ქალაქის განვითარება ხდება არა მის ძნელადმისადგომ მაღლობზე, არამედ კვლავ მდინარის სანაპიროზე, მხოლოდ, ამჯერად მის ვაკე ნაწილში, სადაც სამდინარო და სახმელეთო გზების შესაყარია და მის მოხმარება – გამოყენებას ეძლევა განსაკუთრებული პრიორიტეტი. მაშასადამე, ამ პერიოდიდან ახალი სამოსახლოების გაჩენაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამდინარო-სანაოსნო

კომუნიკაციებს, სატრანზიტო მაგისტრალებს, მათზე აღმოცენებულ პუნქტებს და მათ მონაწილეობას საერთაშორისო საქონელგაცვლით პროცესში...

ძვ. წ. VI საუკუნიდან ქუთაისის მიწა-წყალზე ვრცელი და მნიშვნელოვანი დასახლება ჩანს. პირველ ყოვლისა, ცხოვრება აღმავალი ფორმით გრძელდება იმ სამოსახლოებზე რომელთა, განვითარების შედეგად წინარეანტიკურ ხანაში ჩვენ მივიღეთ დიდი ურბანისტული წარმონაქმნი, რომელიც უთუოდ, კოლხეთის სამეფოს მთავარი პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას ასრულებდა... ამიტომაც ტოპოგრაფიულად ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენები აღმოჩენილი იქნა ძირითადად იმავე უბნებში, სადაც ადრინდელი სამოსახლოს ნაშთები იქნა გამოვლენილ – შესწავლილი. მაშასადამე, ესენია: არქიელის გორა, ცაცხვების უბანი, გაბაშვილისა და დათეშიძის გორა, საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაზე ამას ემატება კიდევ ერთი ახალი პუნქტი, რომელიც წინამორბედთაგან განსხვავებით თანამედროვე ქალაქის ვაკე ნაწილში აღმოჩნდა. შედარებით ინტენსიური ცხოვრება ჩანს „გაბაშვილ-დათეშიძის'' გორაკზე და მის სამხრეთ ფერდობზე ვაკე ნაწილის ჩათვლით...

• ახალი აღმოჩენები

გაბაშვილისა და დათეშიძის გორაკების ძირში, სამხრეთი მიმართულებით 2005 წლის მაისში „პრესის სახლსა" და რუსთაველის ხიდს შორის არსებულ მონაკვეთში ახალმშენებლობისათვის გათხრილ კვადრატული ფორმის ქვაბულში (30X30 მმ.) გამოვლინდა ადრეანტიკური ხანის მძლავრი კულტურული ფენა და ელინისტური ხანის სამაროვანი (სურ. 58). იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კატეგორიის ძეგლების აღმოჩენა ქალაქის ვაკე ნაწილში, პირველი შემთხვევაა ქუთაისის არქეოლოგიური კვლევის ისტორიაში, ამიტომაც მისი მნიშვნელობა განუსაზღვრელად დიდია. ქვაბულის სტრატიგრაფიულ ჭრილში ოთხივე მიმართულებით ჰუმუსისა და ყვითელი თიხნარის ქვეშ კარგად იკითხება 1,5 მ. სიმ-

სურ. 58. სამშენებლო ქვაბული ვაკე-ქუთაისი

სურ. 59. კოლხური ამფორის პირ-ყელი (ძვ. წ. IV ს)

სურ. 60. ქოთნის ფრაგმენტები (ძვ. წ. V ს)

სურ. 61. დოქების ფრაგმენტები (ძვ.წ. Vს)

ძლავრის კულტურული ფენა, რომელიც ასევე ყვითელ თიხნარზეა აღმოცენებული (სულ ქვაბულის სიღრმე 4 მ-ია), სხვადასხვა მონაცემებით და მოსახლეობის ინფორმაციით კულტურული ფენები საკმაოდ დიდ მანძილზე ჩანს განფენილი. ქვაბულის ოთხივე მხარეს, თუმც ეს ტერიტორია დღეს ინტენსიურადაა განაშენიანებული, რაც ართულებს არა მარტო ძეგლის შესწავლას, არამედ ნამოსახლარის საზღვრების დადგენას.

ქვაბულში გამოვლენილი მონაცრისფრო – შავი ფენა მრავლად შეიცავს ძელური და წნული ნაგებობების ნაშთებს, გამომწვარი თიხის ბათქაშის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებით და ნახშიროვან – ნაცროვან შრეებს ხის ნაგებობათა ცეცხლით ან ხანძრის შედეგად განადგურების შემდეგ მიღებულს.

ქვაბულის ვერტიკალურ ჭრილში რამოდენიმე ადგილას კარგად გამოიკვეთა დამრეც კალთებიანი ჩაღრმავებები, (ორმოები), ისინი ჩაჭრილია კულტურული ფენის ქვეშ განლაგებულ თიხნარში, რომელთა ფსკერზე მრავლადაა ჩალექილი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ზემოთ მითითებული თიხის ბათქაშის ფრაგმენტები ნახშიროვანი ფენებით. ერთ-ერთი ორმოს ფორმა ოვალურია და ისიც იმავე სურათს გვაძლევს, მხოლოდ აქ ფსკერზე რიყის ქვაფენილის ნაშთი დაფიქსირდა. ჩვენი ვარაუდით აღნიშნული ორმოები ხის საცხოვრებელი სახლების (ჯარგვალის) სარდაფებს წარმოადგენენ, რომელიც გამოიყენებოდა მალფუჭებადი პროდუქციის შესანახად. საკუთრივ ნაგებობათა გეგმარების დაფიქსირება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

სურ. 62. ვიწროყელიანი დერგის ფრაგმენტი (ძვ. წ. V ს)

სურ. 63. დერგის პირ-ყელის ფრაგმენტი (ძვ. წ. V ს)

სურ. 64. ფართოპირიანი ჭურჭლის პირ-ბაკო)

კულტურულ ფენაში მოპოვებული არტეფაქტების უდიდესი ნაწილი ადგილობრივი (კოლხური) კერამიკაა. ესენია: ვიწრო, მაღალყელიანი დერგების პირყელის ფრაგმენტები, ყელზე პარალელური ღარებით. პირის კიდესთან და მხრებზე ამფორისებურად მიერთებული ორი ყურით. ქედებიანი, კოლხური ქვევრების ნამსხვრევები. ცალყურა და ორყურა (სხვადასხვა ზომის) ქოთნების ნაშთები. სწორი, ვერტიკალურად ზეაწეული საყელოსებური დათხელებული პირ-ბაკო-



სურ. 65. თიხის საბეჭდავები ქუთაისიდან

სურ. 66. ადრეანტიკური ხანის კოლხური სასმისები

სურ. 67. ყუამილიანი დოქი (ძვ. წ. VI ს)

თი. ზედაპირგაპრიალებული, ფართოპირიანი დერგების და მრავალრიცხოვანი კოლხური სასმისების (ცილინდრული, ფეხიანი და სხვ.) სხვადასხვა ზომის დოქების, ვარდისფერკეციანი კოლხური ამფორის პირ-ყელის და კედლების ნაწილები. (სურ. 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67). ამასთანავე, სინოპური ამფორის ფრაგმენტებიც. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რკინის სადნობი ქურისათვის განკუთვნილი ვიწრო-ბოლოდადუღებული თიხის საქშენი მილის ნაშთები, რკინის ჟანგთან და წიდებთან ერთად. ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერი მასალა ზედმიწევნით იმეორებს კოლხეთში (ვანი, დაბლაგომი) ძვ. წ. V საუკუნის ფენებში აღმოჩენილ კერამიკის ფორმებს და აგებულებას. მცირეოდენი განსხვავება, მხოლოდ თიხის შემადგენლობაშია. ქუთაისური თიხა ვანისაგან განსხვავებით ოდნავ უხეშია კვარციან – ქარსიანი. ემჩნევა (მაგრამ აღარ აქვს შერჩენილი) ზედაპირის გაპრიალების კვალი. (ერთი სიტყვით ამ ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამიკის თიხა დაბალხარისხიანია, ზედაპირგადარეცხილი, ეს არ ეხება ამფორასა და კრამიტებს). ადრეაღმოჩენილი ადგილობრივი კერამიკის მიხედვით და ვანში აღმოჩენილი მასალების საფუძველზე ნამოსახლარის ინვენტარი ძვ. წ. V – IV საუკუნეებით უნდა დათარიღდეს[7]. შემდგომში ამ უბანზე ელინისტურ ხანაში ძვ. წ. III საუკუნიდან სამაროვანი გაუმართავთ, კრამიტით გადახურული ორმოსამარხითა და ქვევრსამარხებით (სურ. 68, 69).

როგორც აღვნიშნეთ, ეს მომენტი ამ კატეგორიის ძეგლების აღმოჩენისა პირველი შემთხვევაა ქუთაისის ტერიტორიაზე და ფაქტობრივად ავსებს იმ ლაკუნას, რომელსაც ჩვენ პატ. ოთ. ლორთქიფანიძესთან ერთად ქალაქის ისტორიის „ბნელ პერიოდს" ვუწოდებდით[8].

ქალაქის შემოგარენში ადრეანტიკური ხანის ფენები გამოვლინდა ჭახათაში (მდ. წყალწითელას ნაპირზე), გელათში, მაღლაკში (მდ. გუბისწყლის სანაპირო), ჭოგნარში, ფარცხანაყანევში. ამ პერიოდის მასალათა ერთი ნაწილი მოპოვებული იქნა 1963-65 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი: აკად. ოთ. ლორთქიფანიძე)[9], ხოლო დანარჩენი 1984-2005 წწ. ასევე არქეოლოგიური კამპანიების დროს. როგორც პირველი, ისე მეორე ექსპედიციების დროს არქეოლოგიურად განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ე. წ. „გაბაშვილის" და „დათეშიძის" გორა, რომლის ცენტრალური ნაწილი კულტურისა და დასვენების პარკს უკავია, ხოლო სამხრეთი და სამხრეთ – აღმოსავლეთი ფერდობები დასახლებულია. ეს ტერიტორია (ბორცვი) უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს

სურ. 68. ადრეანტიკური ფენა პრეპარაციის შემდეგ

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ამიტომაც იგი იმთავითვე ინტენსიურად იქნა დაზვერილი, თანაც სამი მხრიდან: დასავლეთით, ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ – დასავლეთით. შესაბამისად კულტურული ფენებიც სამ ადგილას იქნა გაშიშვლებული. იგი შეიცავდა მრავალრიცხოვან კერამიკულ მასალას და დიდი რაოდენობით გამომწვარი თიხის ბათქაშების ნატეხებს, რომელზედაც ხის წნულის ანაბეჭდებია შემორჩენილი. აგრეთვე ნახშირ – ნაცროვან შრეებს.

კულტურული ფენა ყველგან წარმოშობილია ნიადაგისეულ თიხნარზე და გავრცელებულია საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, რაც ნამოსახლარის ვრცელ საზღვრებზე მიუთითებს. მისი სიმძლავრე ზოგან 1,5 მ. აღწევდა. პირველი ექსპედიციის დროსვე დაზვერილი იქნა „არქიელის გორა" და „ცაცხვების უბანი", სადაც ნაყარ მიწაში მოპოვებული ზოგიერთი კერამიკული ფრაგმენტი ანტიკური ხანის კულტურული ფენის არსებობას მიანიშნებდა[10]. იმავე დროს ექსპედიციამ ანტიკური ხანის ფენები დაადასტურა ქუთაისის ირგვლივ მდებარე ვრცელ სასოფლო – სამეურნეო ტერიტორიაზე (ჭოგნარი, ბანოჯა, ფარცხანაყანევი და სხვ.). აქედან საგანგებო ყურადღების ღირსია ჭოგნარის ნამოსახლარი, მდ. ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე, მდ. ჭიშურას შესართავთან. როგორც ჩანს, უძველეს ხანაში იგი ქუთაისთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ოდილაურ-კვახჭირზე გამავალი გზით. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ჭოგნარის გეოგრაფიული მდებარეობა. ფაქტობრივად ესაა ორი დიდი მდინარის რიონისა და ყვირილას ხერთვისი, სადაც, როგორც ფიქრობენ ძველი მსოფლიოს სავაჭრო – სატრანზიტო მაგისტრალის გზაშესაყარი იყო. ეს მაგისტრალი ქალაქ ფასისიდან (ფოთი) რიონ – ყვირილას ხეობით აღმოსავლეთის ქვეყნებს უკავშირდებოდა[11]. ხოლო, ამ გზის მეორე შტო რიონ – ყვირილის შესართავიდან რიონის ზემოწელს მიჰყვებოდა და შიდაკოლხეთის მთიან ოლქებამდე აღწევდა[12]. ალბათ, ამ ხეობით უნდა იყოს რაჭაში შემოტანილი ერთი წყება ანტიკური იმპორტული ნივთებისა: ძვ. წ. V საუკუნის ატიკური შავლაკიანი სკიფოსი, პოლიქრომული მინის ე. წ. ფინიკიური სანელსაცხებლები და ეგვიპტური სკარაბეები[13]. ძვ. წ. VI – V საუკუნეების იმპორტული ამფორებისა და კერამიკის ფრაგმენტები აღმოჩენილია საკუთრივ ქუთაისშიც[14] და ჭოგნარში[15].

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისში შემთხვევით აღმოჩენილი ატიკური (ქიოსური) ტიპის ბრინჯაოს მუზარადი, რომელიც მოსკოვის ისტორიულ

სურ. 69. კრამიტით გადახურული ორმოსამარხი

მუზეუმშია დაცული[16]. იქვე ინახება 1931 წ. მოსკოველი არქეოლოგის ე. კრუპნოვის მიერ მოძიებული არქეოლოგიური მასალებიც[17]. 1963 წ. ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჭოგნარში „ნასაჯვარების" ბორცვზე შეისწავლა ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ნამოსახლარი და გვიანანტიკური ხანის სამაროვანი. კულტურული ფენები შეიცავდა დიდი რაოდენობით ადგილობრივი კერამიკის ნატეხებს და გამომწვარი თიხის ბათქაშის ფრაგმენტებს[18]. ასევე იმპორტულ კერამიკას.

„ფარნალის გორაზე" კარიერებში კირქვის დამუშავების გამო ძეგლის დიდი ნაწილი განადგურებული იყო[19], მაგრამ ექსპედიციამ იქ 5 საცდელი თხრილი გაჭრა და სამი კულტურული ფენა დაადასტურა, მათ შორის ადრეანტიკური ხანის მძლავრი ფენებიც, რომელიც ძვ. წ. VI – V საუკუნეების კერამიკითაა მთლიანად წარმოდგენილი. მესამე ფენა გვიანანტიკური ხანის სამაროვანს შეიცავდა, სადაც აღმოჩნდა IV – V საუკუნეების წითელლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები იმ დროს იშვიათი მონაპოვარი შიდა კოლხეთისათვის. ასეთი კერამიკა შემდგომში მრავლად აღმოჩნდა ნაქალაქარის კულტურულ ფენებში. იქვე ექსპედიციამ მიაკვლია რკინის წიდებსა და თიხის საბერველი მილის ფრაგმენტებს, რაც რკინის წარმოების შესაძლო არსებობაზე უნდა მიუთითებდეს[20] აღნიშნულ სამოსახლოზე.

მაშასადამე, ქუთაისის მიდამოების არქეოლოგიურმა კვლევამ უჩვენა, რომ ადრეანტიკური ხანის სამოსახლოებიც, ისევე როგორც წინარე ხანის, ძირითადად გამართული ყოფილა ბუნებრივ ბორცვებზე და შემაღლებებზე, მაგრამ ქუთაისის მიდამოების იმ ნაწილში, სადაც ბუნებრივი შემაღლებები არ არსებობდა, ადგილობრივ მოსახლეობას კოლხეთის ვაკე – დაბლობისათვის დამახასიათებელი ხელოვნური სამოსახლოები გაუმართავთ. ამის დასტურია: ფარცხანაყანევში, პატრიკეთში, საყულიაში, ჯიხაიში და სხვა სოფლებში აღმოჩენილი ხელოვნური ბორცვები, რომლებიც ძირითადად მდ. რიონის დინების გაყოლებაზეა მოწყობილი და ზოგადად „დიხაზურგებითა" და „დიხაგუძუბებით" არის მოფენილი მთელი კოლხეთის დაბლობი, როგორც ზღვისპირა ზოლი, ასევე შიდა რაიონებიც[21]. დასახლებათა ასეთი ტიპი სპეციფიკური მოვლენაა კოლხეთის დაბლობისათვის, როგორც წინა ისე ადრეანტიკურ ხანაში. იგი თანაარსებობს ბუნებრივ სამოსახლოებთან ერთად ქუთაისის ქვეყანაში, რაც აქაური რელიეფის თავისებურებებით იყო უთუოდ გაპირობებული.

2. ხელოსნობა ძვ. წ. VI–IV საუკუნეებში

• მეთუნეობა

ქუთაისის არქეოლოგიური მონაპოვრის ერთი ნაწილი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ცალკეულ ელე-მენტებზე. მათ შორის ხელოსნობის ისეთი დარგის შესახებ, როგორიცაა მეთუნეობა.

როგორც ცნობილია, კერამიკული წარმოება ძველი კოლხეთის სახელოსნო მეურნეობაში ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულსა და მაღალდაწინაურებულ დარგს წარმოადგენდა. ამის დასტურია ძვ. წ. VI – V საუკუნეების კულტურულ ფენებში აღმოჩენილი უთვალავი რაოდენობის თიხის ნაწარმი, რომელიც წინამორბედი ეპოქის მსგავსად მრავალფეროვანია ფორმების მხრივ (ქვევრები, დერგები, ქოთნები, დოქები, ჯამები, სასმისები, კათხები, მათარები და სხვ.) და დანიშნულების მიხედვით (სამეურნეო, სუფრის, სამზარეულო, საკულტო და ა. შ.).

ამდროინდელი თიხის ნაწარმი ძირითადად სწრაფმბრუნავ კერამიკულ ჩარხზეა დამზადებული, რაც სამეთუნეო წარმოების ცალკე და დამოუკიდებელ ხელოსნურ დარგად გამოყოფის თვალსაჩინო მოწმობაა[22]. კოლხური კერამიკული წარმოების ღრმა ფესვებს მოწმობს ჭურჭლის ფორმების სიმრავლე და სინატიფე, ეს კი ადგილობრივ ნიადაგზე ტექნიკური ჩვევების ფორმირების პროცესით იყო განპირობებული.

ანტიკური ხანის კოლხური კერამიკა ზოგადი გარეგნული სახით ძირითადად ერთგვაროვანია, როგორც კეცის, ასევე გამოწვის მიხედვით. უმეტეს შემთხვევაში ძვ. წ. VI – V საუკუნეების ჭურჭლები შავი ან ნაცრისფერია, ზოგჯერ ბაცი-ვარდისფერი. ჭურჭლის კეცი კარგადაა გამომწვარი და ქარსნარევი თიხისაგანაა დამზადებული. ხშირად ჭურჭლის ზედაპირი შემკულია გეომეტრიული ან რელიეფური ორნამენტით (რომბული, ბადისებრი, წიწვოვანი, თევზიფხური, ტალღოვანი გრეხილი და სხვა სახეებით). ხშირ შემთვევაში ჭურჭლის ზედაპირი გაპრიალებულია და მასზე წნეხვით გამოყვანილი ხაზებია დატანილი.

ქუთაისისა და მისი მიდამოების ადრეანტიკური ხანის კერამიკული მასალა ერთი შეხედვით თითქმის მთლიანად იმეორებს კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ ამავე დროის თიხის ნაწარმის თვისებებს. კოლხეთში არ გვეგულება ჩვენთვის საინტერესო პერიოდის არც ერთი ძეგლი – ნამოსახლარი თუ სამაროვანი, სადაც კოლხური თიხის ჭურჭელი ყველა ფორმით თუ არა, რამოდენიმე კომპონენტით მაინც რომ არ იყოს წარმოდგენილი[23].

ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის კოლხური თიხის ჭურჭელი დანიშნულების მიხედვით ხუთ ძირითად ჯგუფად იყოფა:

სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის, სამგზავრო და დეკორატიული.

სამეურნეო ჭურჭელში გაერთიანებულია – ქვევრები და დერგები.

სამზარეულოში – ქვაბ-ქოთნები, ხუფები და საწურები.

სუფრის ჭურჭელში – დოქები, სასმისები, ჯამები.

სამგზავროში – მათარები, ამფორები.

დეკორატიულში – ლარნაკები.

ქვევრები – მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული დიდი ზომის ჭურჭელია (ღვინის დაყენება – შენახვისათვის)[24]. ზოგჯერ სხვა პროდუქტების (მარცვლეული, ზეთი, დამარილებული თევზი და სხვ.) შესანახად და ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებოდა[25]. გარკვეულ პერიოდში დასაკრძალავ ურნებადაც იყენებდნენ[26]. ელინისტურ ხანაში, ქუთაისის მხარეში ქვევრში მიცვალებულის დაკრძალვა საერთო წესად იყო მიღებული. ქვევრის გაჩენას ძვ. წ. VII საუკუნეს მიაკუთვნებენ და კულტურული მევენახეობის დასაწყისს უკავშირებენ[27]. ისინი აღმოჩენილია თითქმის უკლებლივ ყველა ძეგლზე, რომელიც შეიცავს ძვ. წ. VI – V საუკუნეების მასალებს: ვანი, დაფნარი, დაბლაგომი, სენაკი, საგვიჩიო, გეგეჭკორი, გურიანთა, ოჩამჩირე, სოხუმი და მისი მიდამოები, ფოთის მიდამოები, ბათუმის ციხე, ქობულეთ-ფიჭვნარი და სხვ. კოლხური ქვევრის ერთეული აღმოჩენები ცნობილია ჩრდ. შავიზღვისპირეთიდან, რაც საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტებით არის ახსნილი[28].

ადრეანტიკური ხანის ქვევრებისათვის დამახასიათებელია გარეთ გადმოხრილი, მასიური, ორნამენტირებული პირის გვირგვინი, მხრებგამოყვანილი ტანი, ბრტყელი ძირი და რელიეფური სარტყელებით დაფარული ტანი, რომელიც ღარებისა და ქედების სხვადასხვაგვარი კომბინაციებისაგან შედგება (სურ. 70).

ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით მექვევრეობა წარმოგვიდგება, როგორც სრულად ჩამოყალიბებული ცალკე დარგი კერამიკული ხელოსნობისა, მის დამზადებაში დასაქმებული იყვნენ სპეციალიზებული სახელოსნოები[29].

ზოგადი ქრონოლოგიური თვალსაზრისით ქუთაისსა და მის მიდამოებში აღმოჩენილი ანტიკური ხანის ქვევრები ორ ძირითად ჯგუფად უნდა გაიყოს. პირველ ჯგუფში უნდა გაერთიანდეს ადრეანტიკური ხანის (ძვ. წ. VI – V სს.) ქვევრები, ხოლო მეორეში – ელინისტური ხანის (ძვ. წ. IV – III სს.). მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი ეპოქის ქვევრებს შორის არის საერთო ნიშნები, ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და საკუთარი ეპოქის დამახასიათებელ თავისებურ ნიშნებს ატარებენ.

პირველი ეტაპისათვის ფართოდაა გავრცელებული ე. წ. ქედებიანი, პირბაკოიანი, მუცელგამობერილი ქვევრები, ხოლო მეორე ეტაპისათვის დამახასიათებელია სწორპირიანი, სადაზედაპირიანი ცალები... პირველი ჯგუფის ქვევრებში გამოირჩევა შედარებით გლუვქედებიანი ერთეულები, ხოლო ქედებს

სურ. 70. პითოსი ქედებიანი ზედაპირით (ძვ. წ. VI-V სს)

71. დერგების ფრაგმენტები (ძვ. წ. V ს)

შორის მანძილი სწორი ან ირიბი ჭდეებითაა დახაზული, კედლის შიდა ზედაპირი ერთმანეთზე მიჯრილი წვრილი წრეებითაა დაფარული, რითაც ძალიან ემსგავსებიან ელინისტური ხანის ქვევერებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი გარდამავალ ფორმებს წარმოადგენენ პირველ ჯგუფსა და მეორე ჯგუფს შორის და ძვ. წ. V – IV საუკუნეებით უნდა დათარიღდნენ[30].

დერგები – ადრეანტიკური ხანის კოლხური თიხის ჭურჭლის ნაკლებად შესწავლილი ფორმაა. სპეციალურ ლიტერატურაში არ არის შემუშავებული მათი ტიპოლოგიური, არც ქრონოლოგიური კლასიფიკაცია. მხოლოდ ვანში აღმოჩენილი დერგების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზია შედარებით უკეთ ცნობილი[31]. იქ სულ 7 ტიპის გამოყოფა გახდა შესაძლებელი, აქედან ზოგიერთი მათგანი ზუსტად იმეორებს ქუთაისში აღმოჩენილი დერგების ნიმუშებს.

მაგალითად, ისევე როგორც ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი დერგების ერთი ნაწილი (I ტიპი) ქუთაისის მიწა-წყალზე აღმოჩენილი დერგებიც, როგორც მოყვანილობით ისე ორნამენტითაც ქვევრებს იმეორებენ. თუმცა ეს არაა გასაკვირი, რადგანაც დერგი უპირატესად მცირე ზომის ქვევრია, ამიტომ ქვევრებისაგან მხოლოდ მეტრული პრინციპითაა გამიჯნული. ასეთი დერგები გამოიყენებოდა ყველისა და სულგუნის შესანახად ან მწნილის დამზადებისათვის.

ცალკე ტიპს ქმნიან ორყურა ვიწროპირიანი დერგები, რომლის ზუსტი ანალოგია ვანის ნაქალაქარზეა ნაპოვნი[32] და ძვ. წ. V საუკუნის შუახანებით თარიღდება. მათ აქვთ ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინი, რომლის ზედა გვერდი ყელისაგან გამოყოფილი არ არის. ცილინდრული ყელი, ბიკონუსურ ფორმის ტანს უერთდება. აქვს ბრტყელი ძირი, თხელი ოვალურგანივკვეთიანი ყურები. ყელზე წრიული პარალელური ღარები აქვს დატანილი. კეცი საკმაოდ უხეშია, ქარსიანი (სურ. 71).

განსხვავებული ტიპია ფართოპირიანი დერგები რომელთაგან, ზოგიერთს ტანზე ჰორიზონტალურად მიძერწილი ორი ყური აქვს, ზოგსაც კი ვერტიკალურად, ასეთი ტიპის ჭურჭელი ვანის სამარხებიდან ძვ. წ. V საუკუნითაა დათარიღებული[33].

დერგებს შორის ყურადღებას იპყრობს ერთი ტიპი, რომელიც მკვეთრად განსხვავდება წინარეანტიკური ხანის კანელურებიანი დერგებისაგან. მათ შედარებით მომცრო ტანი აქვთ და თხელკედლიანებია. ზოგიერთს მკვეთრად აშვერილი საშუალო სიმაღლის ყელი და სწორი პირი აქვთ[34]. მუცელი დაბალი და განიერია, ყელის ძირში მხრები ერთბაშად ფართოვდება და ზოგიერთს ყელზე ირიბჭდეებიანი სარტყელი შემოუყვება ქედის სახით[35]. აღნიშნული დერგები ნაცრისფერკეცეანია და უხეში თიხისაგანაა დამზადებული ქარსისა და ქვიშის მინარევებით. ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკული წარმოების მაღალმხატვრულ გემოვნებაზე მეტყველებს ანალოგიური დერგის ფრაგმენტები, რომელსაც მეტად ორიგინალური ყური ამკობს. იგი ცხენის თავის სტილი-

ზებულ გამოსახულებას წარმოადგენს აცქვეტილი ყურებით, რქისებრი შვერილებით და სტილიზებული ფაფარით[36], ყელზე კი ზემოთ განხილულის მსგავსად სარტყლისებური ქედი შემოუყვება და მასზე პირიანი იარაღის საშუალებით ვერტიკალური ჭდეებია დატანილი, აქაც კეცი ნაცრისფერია და უხეში. ჭურჭელი ნაპოვნია გაბაშვილის გორაზე ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენაში და წარმოადგენს რქისებრშვერილიანი სახელურების განვითარებულ ფორმას.

დერგთა ერთი ჯგუფი ასევე მუცელგანიერი ფორმისაა საშუალო სიმაღლის. მათ მაღალი ყელი გადაშლილი პირი და მხრებზე ოვალურგანივკვეთიანი, სადა დაბალი ყური აქვთ. ჭურჭლის ზედაპირი შემკულია ფართო წნეხვით გამოყვანილი ზოლებით, მათი უმრავლესობა რუხკეციანებია და ადრეანტიკური ხანის ქოთნებს ემსგავსებიან.

• სამზარეულო კერამიკა

ქოთნები – ყველაზე მრავალრიცხოვანი ფორმაა სამზარეულო დანიშნულების ჭურჭლეულში. ისინი განსხვავდებიან ზომით, მოყვანილობით და ზედაპირის დამუშავებითაც. მათი საერთო ნიშანია, ის რომ ყველა მათგანი პირგადაშლილია (ან პირაკეცილი), ზოგიერთს პირი დათხელებული აქვს, ზოგს კი მასიურად მომრგვალებული. ქოთნების ერთი ნაწილი სფერულტანიანებია, ხოლო მეორენი – შედარებით მომცრო ზომის, ნესვისებურტანიანები ქილისებური (წაგრძელებული სხეულით)[37]. ქოთნების უმრავლესობას ზედაპირი წნეხვითი ტექნიკის საშუალებით შესრულებული ხაზებით აქვთ დაფარული. ეს ხაზები შვეულად ან ბადისებურად არის დატანილი[38]. აღნიშნული ქოთნები უპირატესად რუხკეციანი და შავად გამომწვარია (სურ. 72, 73). მათი ყურები ოვალურგანივკვეთიანი ან მრგვალგანივკვეთიანებია ზოგჯერ „ზოომორფულიც", ისევე როგორც წინარეანტიკურ ხანაში. ქუთაისურ კერამიკულ ინვენტარში არის ერთი ფრაგმენტი ადრეანტიკური ხანის წითელკეციანი ქოთნისა, რომელსაც მილისებურშვერილიანი სახელური (ყური) აქვს[39], ისევე როგორც მის თანადროულ დოქებს. ანალოგიური მასალა აღმოჩენილია ვანში[40], დაბლაგომში[41] და სხვ. ჩვენი ვარაუდით ეს ინვენტარი წინარეანტიკური ხანიდან ადრეანტიკურზე გარდამავალი პერიოდით (ძვ. წ. VII – VI სს.) უნდა დათარიღდეს.

სურ. 72. ადრეანტიკური ხანის ძვ. წ. V ს ქოთნები

სურ. 73. ქოთნის ფრაგმენტები (ძვ. წ. V ს)

დოქები – ქუთაისური კერამიკული ინვენტარის მთავარი შემადგენელი ფორმაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყურმილიანი დოქების ფრაგმენტები ადრეანტიკური კოლხეთის სამეთუნეო ნაწარმის დამახასიათებელი კომპონენტი. მაღალი ყელითა და გადაშლილი პირით ყურის მილიანი ნაწილი ვერტიკალურადაა აშვერილი და მრგვალგანივკვეთიანია, ხოლო ჰორიზონტალური ნაწილი ოვალურგანივკვეთიანი და ყელთან მიერთების ადგილზე პატარა მეჭეჭისებური კოპი აზის. დოქების ფორმა ბიკონუსურია, შავადგამომწვარია და ქარსიანი თიხისაგანაა ნაძერწი. ასეთი დოქები დამახასიათებელია კოლხური ნამოსახლარების კულტურული ფენებისათვის და ზოგადად ძვ. წ. VI – V საუკუნეებით თარიღდება[42]. ყურმილიანი დოქები ქვევრებთან ერთად და სასმისებთან ერთად ადრეანტიკური ხანის კოლხეთის წამყვან ფორმად გვევლინება. ძნელად თუ მოიძებნება კოლხეთში ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ძეგლი, სადაც არ არის ფიქსირებული ამ ტიპის დოქები. ისინი აღმოჩენილია: ბათუმის ციხეზე, ფიჭვნარში, კოხში, სიმაგრეზე, რიონის მარცხენა ტერასის დასახლებებზე, ოჩამჩირეში, ერგეტაში, შუამთაში, მთისძირში, დაბლაგომში, მაღლაკში, დაფნარში, ითხვისში, მოდინახეზე, ციხურაზე, მუხურჩაში, მერხეულში, ბრილში და სხვ[43].

გარდა ამისა, ყურმილიანი დოქები ცნობილია იმ ძეგლებიდანაც, რომელთა თარიღი წინარე და ადრეანტიკური ხანის მიჯნას წარმოადგენს. ესენია: საზანოს, მუხურჩის, პალურის და ნიგვზიანის სამაროვნები, ასევე ფიჭვნარის სამოსახლო. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს, ყურმილიანი დოქების წარმოშობა წინარეანტიკურ ხანაში ვივარაუდოთ[44]. თუმცა მათი არსებობა ძვ. წ. IV – III საუკუნეების კომპლექსებშიც არის დადასტურებული[45]. საინტერესოა ის, რომ ადრინდელი (ძვ. წ. VIII – V სს.) ყურმილიანი დოქები ძირითადად ბიკონუსური ფორმისაა, ხოლო ძვ. წ. IV საუკუნიდან დოქის ტანი ბიკონუსურ ფორმას კარგავს და სფერულ მოყვანილობას იღებს.

ქუთაისის მიდამოებში აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის დოქებიდან ყურადღებას იპყრობს ორი ფრაგმენტი სხვადასხვა დოქისა, რომელთაც ბიკონუსური ფორმა ჰქონდათ და ზედაპირზე, შუაწელთან სარტყელისებურად შემოუყვება სავარცხლისებური იარაღით დატანილი წიწვოვანი ორნამენტი. ასეთივე ორნამენტი ჰქონდა ყელის ძირში, ხოლო ტანის ქვედა ნაწილი წნეხვით გამოყვანილი შვეული ხაზებით აქვს დაფარული; მეორე ფრაგმენტი წნეხვით ნაპრიალებია და შავად გამომწვარია[46].

სასმისები – სამი ტიპითაა ძირითადად წარმოდგენილი.

1. ესენია ცილინდრული ფორმის, მაღალტანიანი, პატარა მრგვალგანივკვეთიანი ყურით, ძირისაკენ თანაბრად გაფართოებულია, შავად ან რუხ-ნაცრისფრად გამომწვარია, ზედაპირზე დატანილია ირიბი ჭდეები. ასეთი სასმისები ფართოდ გავრცელებული ფორმაა კოლხეთისათვის და ძვ. წ. VI – V სს. თარიღდება. აღმოჩენილია ვანში, დაბლაგომში, მთისძირში და რიონის ქვემო წელზე[47].
2. ფეხიანი სასმისები ასევე ფართოდ გავრცელებული ფორმაა ადრეანტიკური ხანის მთელი კოლხეთისათვის. უხეშად ნაძერწია, გამომწვარია რუხ – ნაცრისფრად. აქვს დაბალი გამოყვანილი ფეხი[48].
3. უფეხო, ჭიქისებური სასმისია. ტანი ორ ნაწილად იყოფა: (ზემოთ ძაბრისებური ფორმა აქვს) ქვედა ნაწილი დაბალი და ვიწროა, ზედა კი ძაბრისე-

ბურადაა გადაშლილი და პირის კიდე ჩათხელებული აქვს. ქვედა ნაწილის ზედა მხარეს მიძერწილი აქვს მცირე ზომის მრგვალგანივკვეთიანი ყური[49]. აღნიშნული ფორმაც ფართოდაა გავრცელებული კოლხეთში. ძვ. წ. VI – IV საუკუნეების ნასახლარებზე[50], როგორც ზღვისპირა ზოლში ასევე ქვეყნის შიდა რაიონებში.

ჯამები და თეფშები – ქუთაისური კერამიკული ინვენტარის მნიშვნელოვანი ნაწილია, მათგანაც რამოდენიმე ჯგუფი გამოიყოფა. ერთ-ერთ ჯგუფს ქმნიან ირიბკალთიანი, შავადგამომწვარი, ბრტყელძირა ჯამები, რომლებიც ფართოდაა დამახასიათებელი ადრეანტიკური ხანის კოლხეთისათვის[51]. ისინი გვხვდება ფოთის მახლობლად გამოვლენილ ძვ. წ. VI – V საუკუნეების ნამოსახლარებზე (საქორქიო, ჭალადიდი)[52] ვანის ნაქალაქარზე[53] და მრავალ სხვა პუნქტში. აღსანიშნავია, რომ ვანის ნაქალაქარზე გათხრილ ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებულ ქალის მდიდრულ სამარხში ოთხი ასეთი ჯამი აღმოჩნდა[54]. რაც მიგვითითებს ირიბკალთიანი ჯამების ფართოდ გავრცელებაზე და მათ პოპულარობაზე ადრეანტიკური ხანის კოლხეთში.

აქვე აღსანიშნავია თეფშების რამოდენიმე ტიპი, რომელთაგან ერთნი მეტად მოხდენილნი ფორმისაა, ნატიფი გემოვნებითაა ნაძერწი და თანაბრად და სიმეტრიულად გადაშლილი კალთები აქვთ. ეს თეფშები მომცრო ზომისაა პირის კიდე დათხელებული აქვთ, ხოლო ზედაპირიგაპრიალებული. ზოგიერთი წითელკეციანია, ზოგიც შავად გამომწვარი. თეფშების მეორე ჯგუფში შედის კეცისებური ფორმის კიდეებაკეცილი, ფართო – ბრტყელძირიანი, დაბალკალთიანი ცალები, რომელთაც ვერტიკალურად აშვერილი დათხელებული პირის კიდე აქვთ[55]. ბრტყელძირა ჯამებთან ერთად ძვ. წ. IV საუკუნიდან თანაარსებობენ ქუსლიანებიც, ისინი დამახასიათებელია ელინისტური ხანისათვის[56].

მათარა – სამგზავრო ჭურჭლის საკმაოდ ფართოდ გავრცელებული სახეობაა. ერთი ცალი, უაღრესად საინტერესო მათარა მაღლაკის ქვევრსამარხიდანაა და შეცდომით ძვ. წ. VI საუკუნით იყო დათარიღებული ან კიდევ V საუკუნით[57] (სურ. 74). ლ. ჯიქიას მიხედვით მეორე მათარა ქუთაისში – ცაცხვების უბნის სამარხი კომპლექსის ნაწილია[58] (აღმოჩენელია XX ს. 20 – იან წლებში), ერთიც ფარცხანაყანევის ქვევრსამარხიდანაა. მართალია, ეს ჭურჭელი V საუკუნის

სურ. 74. მათარა მაღლაკის ქვევსამარხიდან (ძვ. წ. IV ს)

კერამიკის ახალ ფორმას წარმოადგენს[59] კოლხეთში, მაგრამ ჩვენი ვარაუდით ქუთაისის მიდამოების მათარები ძვ. წ. IV საუკუნით უნდა განისაზღვროს. (იხ. ქვემოთ). მითუმეტეს, მესამე ცალი დაცულია ხონის მუზეუმში ისიც ქვევრსამარხის ინვენტარი უნდა იყოს და ელინისტური ხანის ანალოგიურ ჭურჭლებთან პოულობს საერთოს. ამიტომ მათ ქვემოთ განვიხილავთ დაწვრილებით.

ამფორა – შედარებით იშვიათი ჭურჭელია ადგილობრივ კერამიკულ ინვენტარში. ახალი ნამოსახლარიდან გვაქვს ერთი ამფორის პირ-ყელის ნაწილი, რომელიც ძვ. წ. V – IV საუკუნეების მასალებთან ერთად აღმოჩნდა, ამდენად, კოლხეთში ასეთი ტიპის ჭურჭლის დამზადება – გაჩენის თვალსაზრისით მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება... ამავე ფენას უკავშირდება იმპორტული ამფორის (სინოპური) ტარი და კედლების ფრაგმენტები. რაც მიუთითებს იმას, რომ ქუთაისის ნაქალაქარისათვის ეს ფორმა არც თუ იშვიათია და მისი მიბაძვით უნდა იყოს ადგილობრივი ამფორები დამზადებული.

ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი სამეთუნეო ნაწარმი შეიცავს კათხებს, საწურებს, კოჭობებს, სამარილეებს და სხვა დანიშნულების ჭურჭლებს... ყველა ზემოთ დასახელებული ფორმა დამახასიათებელია კოლხური კერემიკული წარმოებისათვის და ძირითადად ადრეანტიკურ ხანაშია გავრცელებული.

თვალსაჩინოა გენეტიკური კავშირი წინარეანტიკური ხანის კერამიკულ ნაწარმთან, კარგად ჩანს ზოგიერთი ძველი ფორმების შენარჩუნება, როგორც სამზარეულო ისე სუფრის ჭურჭლეულში და ცალკეული ორნამენტული სახეების კვლავ არსებობა, ზოომორფული მოტივების გავრცელება და ა. შ.

თუმცა თუ შევადარებთ წინარეანტიკური და ადრეანტიკური ხანის ქუთაისურ ნაწარმს ძნელი არ იქნება მათ შორის განსხვავების შემჩნევაც. მაგალითად, თუ ჭურჭლის გამოწვის ტექნიკა, თიხის შემადგენლობა, მასალის პირველადი დამუშავება ე. წ. სამზარეულო ჭურჭლის ფორმები არსებითად იგივე დარჩა, მკვეთრად შეიცვალა თიხის ჭურჭლის წამყვანი ფორმები, მათი ზედაპირის დამუშავება, ორნამენტი, მაშასადამე, გაჩნდა სრულიად ახალი ჭურჭელი.

• ლითონწარმოება

ქალაქის ხელოსნობის და ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო ლითონწარმოება. ადრეანტიკური ხანის ქუთაისში ლითონწარმოების, განსაკუთრებით კი რკინის მეტალურგიის საილუსტრაციოდ მრავალი ნაშთია გამოვლენილი, უნდა აღინიშნოს, რომ ძვ. წ. VI – V საუკუნეებისათვის კოლხეთში თითქმის ყველა პირობა არსებობდა რკინის დამამუშავებელი წარმოების ინტენსიური განვითარებისათვის (მდიდარი მადნეული, ხე-ტყე დიდი მეტალურგიული ტრადიციები და ა. შ.[60]). რკინის მოპოვება დამუშავების უძველესი კერები მიკვლეულია სვანეთში (ჭუბერის თემი), რაჭაში (წედისი), ზემო იმერეთში (არგვეთი – სოფ. ნავარძეთი) და საკუთრივ ქუთაისის მხარეში (ოკრიბაში-სოფ. საწირე, მუხურა, ნაძვა, და სხვ.)[61]. რკინის წარმოების ფართო მასშტაბებს მოწმობს ძვ. წ. VI – IV საუკუნეებში, კულტურულ ფენებში, განსაკუთრებით კი სამარხებში

სურ. 75. ძვ. წ. V ს. სამარხეული ინვენტარი ზესტაფონიდან

სურ. 76. სიტულას ფრაგმენტები

აღმოჩენილი მრავალფეროვანი სამეურნეო და საომარი დანიშნულების საგნები: თოხები, ცულები, დანები, ნამგლები მახვილები, სატევრები, შუბისა და ისრისპირები, ფარი, ცხენის აღკაზმულობის ნაწილები და სხვ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქუთაისის მუზეუმში დაცული ადრეანტიკური ხანის სამარხეული ინვენტარი ზესტაფონიდან. (სურ.75).

იგი აღმოჩენელია შემთხვევით 1928 წელს ფერომარგანეცის ქარხნის ტერიტორიაზე მშენებლობის დროს. კოლექციაში შედის:

1. ბრინჯაოს ჭურჭლის (სიტულა) ფრაგმენტები. ერთი სახელური ჰორიზონტალური განლაგების ზედაპირწნული ორნამენტით და 5 ფრაგმენტი, (შ. წ. №5453 ინვ. №A-45/1,3,7) (სურ.76).
2. ლაგამი რკინის (2 ცალი) №A-45/11. №A-45/(1,2,3) (სურ.77).
3. წერაქვისმაგვარი საომარი ცული (№A-45/10) (სურ.78).
4. რკინის სატევარი (აკინაკი) (№A-45/8,9) (სურ.79).
5. ცხენის ავშარის დამაკავშირებელი (ბრინჯაოს ე.წ. ასხმულა) (სურ.80).
6. ბრინჯაოს ზარაკი (შ. წ. №5554; ინვ. №A-144) (სურ.81).
7. სამკაულის ფრაგმენტი (ყვითელი ლითონი, შ. წ. №5553; ინვ. №A-45)

ზესტაფონის კოლექცია წარმოადგენს მხედრის აღჭურვილობის ნაკრებს, რომელიც ზოგადად ძვ. წ. VI-V საუკუნეებით თარიღდება; უფრო ზუსტად ძვ. წ. V საუკუნით და მაღალი სამხედრო ელიტის წარმომადგენლის დაზიანებული სამარხის გადარჩენილი ინვენტარი უნდა იყოს[62].

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ქუთაისის ტერიტორიაზე ადრეანტიკურ ხანაში რკინის სამსხმელო სახელოსნოს (საწარმოო უბნის) არსებობის შესახებ ის რომ, 1964 წ. ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გაბაშვილის გორაზე შეისწავლა ძვ. წ. V საუკუნის კულტურული ფენა, სადაც მრავალრიცხოვან კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა რკინის სადნობი ქურისათვის განკუთვნილი თიხის

სურ. 77. რკინის ლაგამი

სურ. 78. საომარი ცული

სუტ. 79. აკინაკი

სურ. 80. ასხმულა

სურ. 81. ცხენის სამკერდე ზარაკი

საბერველი მილი (სურ. 82.), რომლის ერთი (შევიწროებული) ბოლო გადამწვარია და ნიშნავს იმას რომ, იგი სწორედ ამ ნაწილით უშუალოდ ქურასთან იყო მიერთებული. იქვე, მახლობლად აღმოჩნდა ქვისაგან დამზადებული ცულისა და სატეხის ყალიბები და რკინის თოხი[63]. ნიშანდობლივია, რომ ეს აღმოჩენა ტერიტორიულად დაკავშირებულია იმ ადგილთან, სადაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გ. წერეთელს მიუკვლევია თითქოს კერამიკული ქურის ნაშთებისათვის[64]. აღნიშნულმა გარემოებამ ძეგლის გამთხრელებს ავარაუდებინა ქალაქის ამ ნაწილზე სახელოსნო უბნის არსებობა[65]. მათ მიერვე რკინის წარმოების ნაშთები მიკვლეული იქნა სოფ. ჭოგნარში „ფარნალის გორაზე", სადაც ასევე ზედაპირზე ანაკრებ მასალებში გვხვდება რკინის წიდები და თიხის საბერველი მილის ფრაგმენტები[66], რის გამოც აქაც რკინის საწარმოო უბნის არსებობა უნდა ვივარაუდოთ, მხოლოდ ამჯერად ქალაქის სასოფლო-სამეურნეო ნაწილში... ანალოგიურ ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე ბანოჯისა და მაღლაკის ტერიტორიაზეც, სადაც ზედაპირული მიმოხილვის დროს ჩვენს მიერ აკრეფილი იქნა დიდი რაოდენობით რკინის წიდები და თიხის საბერველი მილის ფრაგმენტები. ასეთივე სურათი დავაფიქსირეთ სოფ. რიონში (ადგილი იჭინეთი). აკრეფილი მასალა (სურ. 83) ნათლად მიუთითებს ლითონის დაწურვის პროცესს, რომლისთვისაც აქ შესაფერისი პირობა არსებობდა მადანი, ტყე და წყალი. მართალია, მათი დათარიღებისათვის მყარი საყრდენი არ არსებობს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იქვე აღმოჩენილ კერამიკულ მასალას, რომელიც ადრეანტიკური ხანისაა[67] და ასევე ზედაპირზეა ანაკრები, მაშინ ასეთი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. მითუმეტეს, საკუთრივ ქუთაისში, მის ვაკე ნაწილში 2005 წლის მაისში შემთხვევითი აღმოჩენების დროს კულტურულ ფენაში მიკვლეული იქნა დიდი რაოდენობით რკინის წიდები, რკინის ჟანგად ქცეული ნარჩენები და თიხის საბერველ – საქშენ მილთა ფრაგმენტები. ერთ – ერთს, ისევე როგორც გაბაშვილის გორაზე ადრეაღმოჩენილს ვიწრო ბოლო დამწვარი და ჩამოღვენთილი აქვს. სრულიად უეჭვოა, რომ აქაც საქმე გვაქვს რკინის წარმოების მეორე სახელოსნო უბანთან, თანაც თანმხლები კერამიკული ინვენტარის მიხედვით ეს წარმოებაც ძვ. წ. VI – V საუკუნით უნდა დათარიღდეს[68]. (სურ. 84, 85).

სურ. 82. თიხის საქშენი მილის ფრაგმენტები, ცულის ყალიბი და რკინის ზოდები

სურ. 83. რკინის წარმოების ნაშთები სოფ. რიონიდან

სურ. 84. ლითონწარმოების ნაშთები „ნიკალადან''

სურ. 85. ლითონწარმოების ნაშთები „ნიკალადან''

სურ. 86. მინისა და სარდიონის მძივი ფარცხანაყანევიდან (ძვ. წ. III ს)

ზემოთ აღნიშნული აღმოჩენებით კარგად ჩანს შიდაკოლხური ეკონომიკური კავშირების ინტენსიური ხასიათი. ქალაქის საწარმოო უბნები რკინის ნივთების დასამზადებელ საჭირო ნედლეულს მეზობელი რაიონების სამთომადნო-მეტალურგიული ცენტრებიდან (ოკრიბა, რაჭა, სვანეთი) იღებდა. ადგილზე კი მისი საბოლოო დამუშავება ხდებოდა. ძვ. წ. VI – IV საუკუნეებში კოლხეთში კვლავ გრძელდება ბრინჯაოს (და ვერცხლის) ნივთების დამუშავება, თუმცა ამ დროისათვის მას რკინის წარმოებისაგან განსხვავებით უკვე აღარ აქვს სამეურნეო დანიშნულება, მათი გამოყენება უპირატესად სამკაულებისათვის და საკულტო-სარიტუალო ნივთების დამზადებით შემოიფარგლებოდა. ქუთაისის მიდამოებში მრავლადაა აღმოჩენილი ანტიკური ხანის ბრინჯაოს სამკაულები[69] (სამაჯურები, საყურეები, მშვილდსაკინძები, საქამრე ბალთები[70] და სხვ.) უმეტესწილად ელინისტური ეპოქისა, (სურ. 86). ამიტომაც კოლხურ მრავალდარგობრივ ხელოსნობაში, ქუთაისური, ადრეანტიკური ხანის საიუველირო ხელოსნობის როლის შესახებ გვიძნელდება საუბარი (აღნიშნული პროფილის ნაწარმის სიმცირის გამო), რადგანაც ჯერჯერობით საერთოდ მიუკვლეველია ამ დროის სამაროვანი, რომელიც მოგვცემდა ფართო წარმოდგენას ქუთაისელთა მხატვრულ-ესთეტიკურ გემოვნებაზე და მათი ცხოვრების დღემდე უცნობ მრავალ დეტალზე. საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ ქუთაისსა და მის მიდამოებში აღმოჩენილი პლასტიკური ხელოვნების ნიმუშთა შესახებაც. ეს არის ადრეანტიკური ხანის ძაღლის გამოსახულებიანი რელიეფური ქანდაკება, რომელიც დაცულია ქუთაისის მუზეუმში (ინვ. №5523) და აღმოჩენილია არქიელის გორაზე, მოქ. გოცირიძის ეზოში 1926 წელს. მეორე ბრინჯაოს ქანდაკება 1982 წელს აღმოჩნდა სოფ. გეგუთში მოქალაქე ჯანგავაძის საკარმიდამო ნაკვეთში და წარმოადგენს ქალის ითიფალიკურ მრგვალ ქანდაკებას (ინვ. №32, 37), რომელიც გამოირჩევა მაღალი პლასტიკით და შესანიშნავად გამოხატავს ნაყოფიერებას და ცხოვრების მარადიულობას (სურ. 87).

სურ. 87. ქალის მინიატურული ქანდაკება გეგუთიდან (ძვ.წ. Vს)

ფიქრობენ, რომ ეს სკულპტურა კოლხეთში „ღმერთების დიდი დედის" კულტის შედეგადაა შექმნილი[71].

ხელოსნური წარმოების ინტენსიური განვითარება ცხადია ხელს უწყობდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. ამას პირველ ყოვლისა მეტყველებს „კოლხური თეთრის" აღმოჩენის შემთხვევები ქუთაისის მიდამოებში. საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაზე, „ცაცხვების უბანში" XX საუკუნის 20-იან წლებში პ. ჭაბუკიანის მიერ აღმოჩენილი იქნა 11 ცალი ვერცხლის მონეტა – კოლხური თეთრი, რომელიც ქუთაისის მუზეუმს გადაეცა. ამავე დროს ადგილი ჰქონდა სხვა აღმოჩენებსაც. მაგ. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევითი აღმოჩენა ცნობილია ოკრიბაში, სოფ. ჯონიაში. კოლხური ნახევარდრაქმების მრავლად

სურ. 87. ა. კოლხური დიდრაქმა (ძვ.წ. V ს.)

აღმოჩენებს ადგილი ჰქონდა ხონის რაიონშიც სოფ. ნახახულევი – 47 ცალი, სოფ. კუხი – 300 ცალი, სოფ. წითელი ვარსკვლავი (ჯ. აბზიანიძის კარ-მიდამო – 500 ცალი (დაცულია ხონის მუზეუმში), მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა გაბაშვილის გორაზე გათხრების დროს ძვ. წ. VI ს. კულტურულ ფენაში (2 ცალი) კოლხური თეთრის აღმოჩენის ფაქტი[72]. ესაა ვერცხლის მონეტის წვრილი ნომინალი თანაც კარგად დათარიღებული ე. წ. ტრიობოლი, შუბლზე ქალის თავისა და ზურგზე ხარის თავის გამოსახულებით. კულტურულ ფენაში კოლხური თეთრის აღმოჩენა ფაქტობრივად პირველი შემთხვევაა კოლხეთის არქეოლოგიაში. აქამდე ცნობილი იყო, რომ ასეთი ტიპის მონეტები კოლხეთში ძვ. წ. V და უფრო IV საუკუნეებში მიმოიქცეოდა[73]. ნამოსახლარის კულტურულ ფენაში ამ მონეტის აღმოჩენა უნდა მოწმობდეს იმას, რომ კოლხური თეთრის წვრილი ნომინალები შიდა კოლხეთში უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან ჩანს მიმოქცევაში. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა სოფ. სულორში (ვანის რაიონი) შემთხვევით აღმოჩენილი განძი, რომელშიაც 700-მდე კოლხურ ტრიობოლთან ერთად უცხოური მონეტებიც იყო, მათ შორის VI საუკუნის ლიდიური და ირანული მონეტები[74]... „კოლხური თეთრის სახელით ცნობილ მონეტებს შორის ქუთაისის მუზეუმშია დაცული ორი ცალი ე. წ. I ტიპის დიდრაქმა, რომლის შუბლზე მილეტური ლომის გამოსახულებაა, ხოლო ზურგზე ჩაჭდეულ ოთხკუთხედში მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი მამაკაცის ფიგურაა წარმოდგენილი, (სულ ასეთი 9 მონეტაა ცნობილი). ფიქრობენ, რომ მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი მამაკაცი მდინარე – ღვთაება ფასისის განსახიერებაა და იჭრებოდა არა ძვ. წ. VI საუკუნეში, არამედ V საუკუნის პირველ მეოთხედში[75]. ის, რომ ასეთი მონეტები აღმოჩენილი უნდა იყოს ქუთაისის მხარეშიც დამატებით მიანიშნებს სავაჭრო ცენტრად ქუთაისის დაწინაურებაზე ძვ. წ. VI – V საუკუნეებში. მხოლოდ ქუთაისის მუზეუმშია დაცული ძვ. წ. V საუკუნის ერთადერთი ცალი კოლხური დიდრაქმა შუბლზე ლომის (ანფასში) და ზურგზე ხარის გამოსახულებით. (სურ. 87ᵃ.) აღნიშნულ უნიკუმს ანალოგი არ მოეძებნება და მისი მნიშვნელობა ფულად-სასაქონლო მიმოქცევის ისტორიისათვის განუსაზღვრელად დიდია. ალბათ, ამასვე ადასტურებს ნაქალაქარზე ძვ. წ. V საუკუნის ბერძნული (ქალაქ ათენში დამზადებული) შავლაკიანი კერამიკის აღმოჩენის ფაქტი და გასულ საუკუნეში შემთხვევით მიკვლეული ძვ. წ. IV საუკუნის ატიკური ბრინჯაოს მუზარადი[76]. ქუთაისში ძვ. წ. V საუკუნის ბერძნული იმპორტის აღმოჩენა, რომელიც მის სავაჭრო ცენტრად დაწინაურებაზე მეტყველებს, შემთხვევითი არ უნდა იყოს. როგორც ბატონი ოთ. ლორთქიფანიძე ფიქრობდა, უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან ფუნქციონირებს რიონ – ყვირილას სავაჭრო სატრანზიტო მაგისტრალი, რომლის მეშვეობით ბერძნული იმპორტი გზას იკვლევდა კოლხეთის შიდა რაიონებსა და აღმოსავლეთ საქართველოში. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ქუთაისის მახლობლად „ნასაჯვარების" ბორცვზე ძვ. წ. VI საუკუნის იონიური კერამიკის აღმოჩენა[77]. იქვე (ასევე „ფარნალის" გორაზე) ძვ. წ. V ს. ატიკური კერამიკაცაა ნაპოვნი[78], რაც ნიშნავს იმას რომ, კოლხეთის შიდა რაიონებშიც გზას იკვლევს ატიკური იმპორტიც. როგორც აღვნიშნეთ, 1964 და 1984 წლებში ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები ორივე ექსპედიციის მიერ იქნა ნაპოვნი „გაბაშვილის" გორაზეც. ამასთანავე, ქუთაისში, თეატრის მშენებლობის დროს უნდა იყოს აგრეთვე აღმოჩენილი და ქუთაისის მუზეუმში

სურ. 88. შემთხვევით აღმოჩენილი იმპორტული კერამიკა ბაგრატის ტაძრიდან

დაცული ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის ატიკური წითელფიგურული პალმეტით შემკული არიბალური ლეკითოსი[79]. უფრო მეტიც, 2005 წელს „ნიკალას" ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა სინოპური და თაზოსური ამფორების ფრაგმენტებიც, აქამდე, იშვიათი მასალა ქუთაისის არქეოლოგიისათვის. 2012 წლის ზაფხულში, ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის დროს, ნაგებობის დასავლეთ კარიბჭის სხვენში, ხელოსნებმა იპოვეს პოლიეთილენის პარკში ჩაწყობილი და გადანახული იმპორტული (მათ შორის ატიკური შავლაკიანი) კერამიკის ფრაგმენტები. ფრთხილი ვარაუდის საფუძველზე შესაძლებელია მისი დაკავშირება ქუთაისის მხარესთან. (სურ. 88).

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ანტიკურ სამყაროსთან სავაჭრო – ეკონომიკურ ურთიერთობაში ჯერ კიდევ ადრეანტიკური ხანიდან ზღვისპირა რაიონებთან ერთად კოლხეთის შიდა ოლქებიცაა ჩართული, მათ შორის რა თქმა უნდა ქუთაისის მხარეც, რასაც უთუოდ პროგრესული როლი უნდა შეესრულებინა ქუთაისის საქალაქო ცხოვრების შემდგომ განვითარებაში.

3. ელინისტური ხანის ძეგლები

განსაკუთრებული აყვავება ანტიკურ სამყაროსთან კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა ელინისტურ ხანაში შეინიშნება. ელინისტურ ეპოქაში წარმოიშვა ხელსაყრელი პირობები ფართო საქონელგაცვლისათვის, ერთმანეთისაგან ძალზე დაშორებულ ქვეყნებს შორისაც კი. ინტენსიური სავაჭრო – ეკონომიკური ურთიერთობები დამყარდა აღმოსავლეთ ხმელთა-შუაზღვისპირეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს (ინდოეთი, ჩინეთი) შორის. ამ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა პროცესში ებმებიან ამიერკავკასიის ქვეყნებიც. რასაც უთუოდ ხელს უწყობდა ორი სამყაროს დამაკავშირებელი ერთიანი დიდი „მსოფლიო" მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო გზების არსებობა. როგორც ფიქრობენ, ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი მაგისტრალი გადიოდა კოლხეთზე (რიონ-ყვირილას ხეობა)[80]. სადაც მოხდა ტრასაზე განლაგებული სამოსახლოების შემდგომი დაწინაურება და ზოგჯერ ახალი პუნქტების წარმოქმნა. (შორაპანი, საზანო, ზესტაფონის ციხურა, ძევრი, ჭოგ-



სურ. 89. ატიკური წითელფიგური ლეკითოსი და შავლაკიანი ლარნაკი

სურ. 90. ლეკითოსი მესხეთის ქვევრსამარხიდან

ნარი, ქუთაისი, ფარცხანაყანევი, მესხეთი, ვანი, დაბლაგომი, დაფნარი, საჯავახო[80-1], ისულა (სენაკთან), ჭალადიდის სამოსახლოები, ფასისი).

არქეოლოგიური მასალები მოწმობენ ქუთაისის აქტიურ მონაწილეობას ამ საერთაშორისო საქონელგაცვლით პროცესში. პირველ ყოვლისა, ამის დასტურად უნდა გამოდგეს ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერის და მითრიდატე ევპატორის ტეტრადრაქმის აღმოჩენა ქუთაისში 1948 წ. „მწვანეყვავილას" ტერიტორიაზე[81]. ძვ. წ. IV საუკუნეშიც ისევე როგორც ადრე, აქტიური ეკონომიკური ურთიერთობები ჩანს ატიკასთან. ქუთაისის მუზეუმში გამოფენილია წითელფიგურული ლეკითოსი და შავლაკიანი ქუსლიანი ლარნაკი (№№5701, 5485/3. სურ. 89), რომელიც თითქოს თეატრის მშენებლობის დროსაა ნაპოვნი. გარდა ატიკისა ამავე პერიოდში ქუთაისისაკენ გზას იკვლევს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საწარმოო ცენტრების იმპორტი. სინოპური ამფორის და კრამიტის ფარგმენტები აღმოჩენილია, საკუთრივ ქალაქის ვაკე ნაწილში და ჭოგნარის ტერიტორიაზე (ამფორის ყური...)[82]. ქუთაისის მუზეუმის საინვენტარო დავთრის მიხედვით: „არქიელის გორაზე" ბაგრატის ტაძრის მიდამოებში ნაპოვნია ელინისტური ხანის შავლაკიანი, დაბალქუსლიანი, კანელურებიანი კანთაროსის ქვედა ნაწილი (№5501). ძვ. წ. III საუკუნის შავლაკიანი ლეკითოსი აღმოჩნდა მესხეთის ქვევრსამარხში[83], (სურ. 90), რაც მოწმობს მცირეაზიული იმპორტის ფართოდ გავრცელებას ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე. 1975 წ. ქუთაისის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა შავლაკიანი თითისტარისებური ამფორისკი (№140), რომელიც ძვ. წ. II საუკუნით თარიღდება. ასევე აღსანიშნავია იქვე ნაპოვნი ბრინჯაოს სარკის ფრაგმენტები (№5485/1). მინის საცრემლე და გუტუსი (№5485/2; სურ. 91)[84]

სურ. 91. მინის საცრემლე

სურ. 92. კანთაროსის ფორმის რუხკეციანი თასი წითელხევიდან

საგანგებო აღნიშვნის ღირსია, ელინისტურ ხანაში, ქუთაისური და საერთოდ ადგილობრივი კერამიკული ფორმების „ანტიკურ ყაიდაზე" გარდაქმნის ცდები. მაშასადამე, შეინიშნება არა მხოლოდ ჭურჭლის იმპორტი, არამედ ჭურჭლის ფორმების იმპორტიც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სოფ. წითელხევში (ბაღდადის რაიონი) აღმოჩენილი რუხკეციანი თასი (სურ. 92.), რომელსაც ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი კანთაროსის ფორმა აქვს[85]. ანალოგიური ჭურჭელი დაცულია წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა კოლხურ ყავისფერკეციან ამფორებზე, რომელთა აღმოჩენის არაერთი შემთხვევაა ქუთაისურ არქეოლოგიურ მონაპოვარში და სინოპური ამფორების მიბაძვითაა დამზადებული. ჭურჭლის იმპორტირებამ, ადგილობრივი საწარმოო ტრადიციების გავლენით მოგვცა თავისებური კერამიკა ფორმალურ ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით[86].

• ქვევრსამარხები

„ქუთაისის ქვეყნის" სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების სრულყოფილად წარმოდგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ მხარეში აღმოჩენილ ქვევრსამარხებს.

ქვერსამარხების კულტურა საერთოდ დამახასიათებელი მოვლენაა ამიერკავკასიის მთელი რიგი რაიონებისათვის[87]. მიცვალებულის ქვევრში დაკრძალვა სხვადასხვა ეპოქაში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჰქონიათ წესად[88]. სადღეისოდ დადგენილია, რომ საქართველოში მიცვალებულის ქვევრში დაკრძალვა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში იწყება, თუმცა ზოგჯერ აღნიშნულ პროცესს უფრო ადრეული ხანით განსაზღვრავდნენ[89]. კვლევის შემდგომმა მონაცემებმა კორექტივი შეიტანა ამ საკითხში და მიცვალებულის ქვევრში დაკრძალვის საწყის პერიოდად ძვ. წ. IV – III საუკუნეები ჩაითვალა. მაშასადამე, ელინისტური ეპოქის დასაწყისი, ასე ჩანს ეს ჯერჯერობით ქუთაისის მხარის მაგალითზეც, რაც სრულიად ახალი ნოვაციებით აღინიშნა საზოგადოების კულტურულ – ეკონომიკურ და სოციალურ – პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქვევრსამარხების წარმოშობის მიზეზიც სხვადასხვაგვარადაა ახსნილი. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით: მიცვალებულის ქვევრში დასაფლავებას ჰქონდა რელიგიური საფუძველი[90] ზოგიც ამ კულტურაში ხედავს ეკონომიკურ საფუძველს და მას მევენახეობა – მეღვინეობის განვითარების პოპულარობით ხსნის[91]. თუმცა ქვევრი ძირითადად სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელია და სამარხად მისი გადაქცევა, მეორად გამოყენებად მიაჩნიათ[92]. მითუმეტეს რომ, ქვერსამარხების გავრცელება გეოგრაფიულად ძირითადად ემთხვევა იმ რაიონებს, სადაც მევენახეობა – მეღვინეობა მეურნეობის წამყვანი დარგია. ამიტომაც დაკრძალვის განსხვავებული წესი განსხვავებული მეურნეობის არსებობის შედეგადაა აღიარებული[93]. თუმცა დაუდგენელია ქვევრსამარხების წარმომავლობის და გავრცელების საკითხიც[94]. ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვანი ისაა, რომ დასავლეთ საქართველოში მათი გავრცელება ახალ ეპოქას უკავშირდება და შესაძლოა ის ახალი ეთნოპოლიტიკური ვითარებით აიხსნას.

სურ. 93. ქვევრსამარხი (წყალტუბოს მუზეუმი)

ქვევრსამარხების გავრცელების რაოდენობის მიხედვით „ქუთაისის ქვეყანა" ერთ-ერთი გამორჩეული ოლქია დასავლეთ საქართველოში, მათ აღმოჩენას ადგილი ჰქონდა: სოფ. ფარცხანაყანევში, ქვიტირში, მუხიანში, უკანეთში, მესხეთში, აჯამეთში, ოდილაურში, მაღლაკში, საჯავახოში, ბანოჯაში, საკუთრივ ქუთაისში და სხვ. აღმოჩენების დიდი ნაწილი შემთხვევითი ხასიათისაა მიწის სამეურნეო სამუშაოების დროს. სწორედ შემთხვევითმა აღმოჩენებმა განაპირობა მცირეოდენი გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების ჩატარება სოფ. ფარცხანაყანევში, ჯერ კიდევ 1937 წლის დეკემბერში, საქართველოს სიძველეთა დაცვის კომიტეტის დავალებით არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა მიხეილ ივაშჩენკომ, ხოლო 1954 წელს ამავე მიზნით რეხისტყის სამაროვანი გათხარა ა. კალანდაძემ. აღმოჩენილი მასალების დიდი ნაწილი დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში[95].

სოფელი ფარცხანაყანევი მდებარეობს ქუთაისის სამხრეთ-დასავლეთით და ქალაქიდან 14 კმ-დე მანძილითაა დაშორებული. სოფლის ტერიტორია წარმოადგენს კოლხეთის დაბლობის ვაკე ნაწილს, სადაც ნიადაგის ზედაპირი მსხვილი, წყლისაგან ნაგორები რიყის ქვებითაა დაფარული („ყურუმი ქვა") სამაროვანი მიკვლეული იქნა ამ სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (დაახლ. 2 კმ-ზე რკინიგზის ბაქნიდან).

გათხრებმა ცხადჰყო, რომ სამარხი ქვევრები განლაგებული ყოფილა ცალკეული ჯგუფების ან ბუდეების მიხედვით. ანალოგიური ვითარებაა დაფნარის[96], დაბლაგომის[97], სამთავროს[98] და სხვა სამაროვნებზე. ქვევრსამარხთა ჯგუფური

განლაგება დასტურდება ქუთაისშიც სულ ახალახან გამოვლენილი სამაროვნის მიხედვით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სამარხთა თითოეული ჯგუფი შეიძლება ან საგვარეულო, ან საოჯახო სამარხებად წარმოვიდგინოთ და მიწისმფლობელობით (ე. ი. მიწაზე კერძო საკუთრების არსებობით) უნდა აიხსნას[99]. სამარხი ქვევრები მიწის ზედაპირიდან სხვადასხვა სიღრმეზე ყოფილა ჩაფლული, საშუალოდ 0,50 მ[100]. ქუთაისის მუზეუმის თანამშრომლის ლონდა ჯიქიას ცნობით, ასეთივე სიღრმეზე აღმოჩენილა შუაზე გახერხილი სამარხი ქვევრები სოფ. უკანეთში და ქვედა მესხეთში[101]. თანაც ისინი ფარცხანაყანევის მსგავსად ჰორიზონტალურად ყოფილა ჩაფლული. სამარხი ქვევრის მიწაში მოთავსების ანალოგიური სურათი დასტურდება ქუთაისში, დაბლაგომში, დაფნარში. თუმცა ზოგჯერ ნაწილი ქვევრებისა ვერტიკალურადაც დაუფლავთ. როგორც ჩანს, უპირატესობას ჰორიზონტალურ პოზას აძლევდნენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ამხრობდნენ[102]. ყელით სამხრეთისაკენ. სავარაუდოდ მთლიან ქვევრებში მიცვალებულს ყელიდან ათავსებდნენ, თუმცა სიგრძეზე გადახერხილი ქვევრები იმაზე მეტყველებენ, რომ ქვევრის ერთი ნაწილზე დაასვენებდნენ მიცვალებულს, ხოლო მეორე ნაწილს ზემოდან დააფარებდნენ. როგორც წესი, მიცვალებულს ათავსებდნენ მოკრუნჩხულ პოზაში მარჯვენა გვერდზე ხელფეხ მოკეცილს. სამარხთა ძირითადი უმრავლესობა ინდივიდუალურია, მხოლოდ ერთი მიცვალებულისათვის. ძალზე იშვიათად გვხვდება წყვილად დაკრძალვის ერთეული შემთხვევებიც. (დაფნარში, სამთავროს სამაროვანზე და აზერბაიჯანში). ზოგჯერ ქვევრის ყელის დასაცობად გამოუყენებიათ, რომელიმე ჭურჭლის (დერგი, ამფორა, სურ. 93, 94.) კედლის ან ძირის ფრაგმენტები, ან რიყის ქვა გაუჩრიათ შიგ. ქუთაისის მიდამოებში ჯერჯერობით აღმოჩენილი ქვევრსამარხები ყველა ინდივიდუალურია, ამაზე მეტყველებს ინვენტარის შემადგენლობა, თითოეულ ქვევრსამარხში ძირითადად ერთიდან სამოთხ ჭურჭლამდეა ფიქსირებული. ანალოგიური ვითარებაა კრამიტით დახურულ ორმოსამარხშიც (იხ. ქვემოთ).

სამარხად გამოყენებულია სამეურნეო დანიშნულების ჩვეულებრივი საღვინე ქვევრი (პითოსი, სურ. 95), რომელიც თავისი ფორმითა და ორნამენტაციით თითქმის მთლიანად იმეორებს ელინისტურ ხანაში კოლხეთში ფართოდ გავრცელებულ ამ ფორმის ჭურჭლებს. გარეგნულად ესაა: მუცელგანიერი, სქელკედლიანი, დაბალყელიანი ქვევრები სარტყლისებურად შესქელებული პირის გვირგვინით, რომლის გარე კიდე ხშირ შემთხვევაში გლუვი ქედებითაა

სურ. 94. მესხეთის ქვევრსამარხის ინვენტარის ნაწილი

სურ. 95. ქვევრის პირ-ყელი ქუთაისის ქვევსამარხიდან (ძვ. წ. III ს)

სურ. 96. დოქები ქვევრსამარხებიდან (წყალტუბო)

დაღარული. ქვევრები ან ნაცრისფრად გამომწვარია ან ვარდისფერსარჩულიანი და შავზედაპირიანია[103]. ქვევრის ზედაპირი შემკულია ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი ვიწრო ჰორიზონტალური ღარებით. ზოგჯერ ყელზე ან მხრებზე ირიბ-ჭდეებიანი ორნამენტი ან ღარები შემოუყვება და ტანი რელიეფური ქედებით აქვთ დაფარული. ქვევრთა ძირი ბრტყელია და ოდნავ გამოყვანილი (ზომები ასეთია: უდიდესის სიმაღლეა 1, 30 მ. დმ-0,80-დან 1, 00 მ-მდე, უმცირესის სიმაღლეა 0, 65 მ, დმ-0.60 მ. კედლის სისქე 1, 5 სმ-დან 2 სმ-მდე. ყელის საშუალო სიმაღლე 0, 20 მ, დმ – 0, 35 მ. ეს მონაცემები ძირითადად საერთოა ქუთაისის მიდამოებში აღმოჩენილი ელინისტური ხანის ქვევრებისათვის. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამარხ ქვევრზე დატანილი ნიშნები. უკანასკნელ პერიოდში ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანი გახდა. გამოითქვა ვარაუდი ამ ნიშნების – „გაურკვეველი" ჯგუფის, ძველი დამწერლობის ანბანის ასოებად გააზრების შესახებ[104].

ფიქრობენ აგრეთვე, რომ მოსახლეობა სამარხებად იყენებდა ქვევრებს, რომელთაც სარიტუალო დანიშნულება ჰქონდათ. ეს ქვევრები საგანგებოდ მზადდებოდა ღვთაებისათვის აღთქმული ღვინის ზედაშეს შესანახად. ხოლო შემდგომში გამოიყენებოდა გარდაცვლილი მევენახის სამარხად[105]. მ. ინაძის აზრით: „ქვევრში დაკრძალვის იდეა, უთუოდ, პირველად ჩაისახა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დიდი სატაძრო ცენტრების მიწებზე მსხდომ იმ საზოგადოებაში, რომელიც თვითონ აყენებდა ნაყოფიერების ღვთაებისადმი აღთქმულ ღვინოს – ზედაშეს, ინახავდა მას საგანგებოდ დამზადებულ, სარიტუალო დანიშნულების ქვევრებში და შემდეგ მონაწილეობდა ღვთაებისადმი ამ წმინდა სასმელის შეწირვის ცერემონიალში. სავსებით ბუნებრივია ღვთაების მსახურებაში მყოფი ამ მევენახე-მეთემის გარდაცვალების შემთხვევაშიც საკულტო რიტუალთან დაკავშირებული ეს ქვევრები გამოეყენებინათ დაკრძალვის რიტუალის შესრულების დროსაც, როგორც სამარხი"[106].

ქუთაისის მიდამოებში აღმოჩენილი ქვევრსამარხების ინვენტარი არ გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით და სიმდიდრით. იგი წარმოდგენილია კერამიკით, ლითონისა და მინა-პასტისაგან დამზადებული მძივსამკაულით. კერამიკა წარმოდგენილია მომცრო ზომის დოქებით, ხელადებით, ჯამებით, კოჭობებით და სხვ.

დოქების ერთი ჯგუფი სფერულტანიანია, ხოლო მეორე – დაბალყელიანი მომცრო ზომის მსხლისებური ფორმისაა. გვხვდება დიდი ზომის სამტუჩა დოქებიც.

პირველი ჯგუფის საერთო ნიშანი ისაა, რომ მათ აქვთ სფეროსებრი კორპუსი, დაბალი ყელი და ფართოდ გადაშლილი პირი, რომლის კიდეზე უშუალოდ მიერთებულია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ამ მომცრო ზომის დაბალყელიან დოქებში განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მრგვალპირიანებს გარდა გამოირჩევა აგრეთვე სამტუჩა ფორმები. ასეთი ჭურჭლები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ქუთაისისა და წყალტუბოს შემოგარენში (სურ. 96).

საშუალო სიდიდის სფერულტანიანი დოქებისათვის დამახასიათებელია ძაბრისებურად გადაშლილი პირი, ვიწრო, საშუალო სიმაღლის ყელი და ოვალურგანივკვეთიანი ყური, რომელიც ან პირის კიდეზე აქვს მიერთებული ან პირის კიდის ძირში[107].

კორპუსის მოყვანილობით ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან. ერთი ნაწილი ძირისაკენ შევიწროებულია (ადრეული ფორმები), მეორენი მსხლისებრი მოყვანილობისაა (გვიანდელი ფორმები). ამ დოქების მსგავსია ჭოგნარში აღმოჩენილი დოქი[108], ეს დოქი სფერულტანიანია საშუალო სიმაღლის ვიწრო ყელი აქვს და ფართოდ გადაშლილი პირი, რომლის კიდეს უშუალოდ უერთდება ოვალურგანივკვეთიანი ყური. მასზე, შეერთების ადგილას პატარა მეჭეჭისებური კოპი აზის, საიდანაც ყურის ზედაპირზე ეშვება ხუთი სხივისებრი ღარი (მზის სიმბოლო?), ანალოგიური ღარები პარალელურად შემოუყვება ყელს, ხოლო მხრებზე შემკულია წიწვოვანი ორნამენტით და ირიბი ჭდეებით. მუცლის შუა ნაწილში ღარისებური ხაზი ამკობს, საიდანაც ძირისაკენ ეშვება წნეხვითი ტექნიკით გამოყვანილი ვერტიკალური ხაზები. დოქი წითელკეციანია, არათანაბრადაა გამომწვარი, მაგრამ სიმეტრიულად და მოხდენილადაა ნაძერწი. ფორმით ის ძლიერ უახლოვდება ძვ. წ. IV – III სს. ქვევრსამარხების დოქებს და ანალოგიებს პოულობს დაფნარის სამაროვნის მასალებში, ასეთივე დოქი აღმოჩენილია ციხე-სულორის ქვევრსამარხში (ვანის რაიონი) და მდ. სუფსის აუზში (წიფნარის ქვევრსამარხი), რომელსაც ძვ. წ. IV – III სს. ათარიღებენ[109]. ჭოგნარის დოქის შემკულობა და ორნამენტაცია ადრეანტიკურ მასალებთან ავლენს სიახლოვეს (მეჭეჭისებური კოპი, წიწვოვანი ჭდეები, წნეხვითი ზოლები), ამიტომაც იგი შესაძლოა გარდამავალი ხანით (ძვ. წ. IV ს. დასაწყისი) დათარიღდეს. მსხლისებრტანიანთაგან შედარებით მოგვიანო ხანის უნდა იყოს აჯამეთის ქვევრსამარხიდან მომდინარე დოქი, რომელსაც ორლულიანი ყური აქვს პირის კიდის ძირში მიერთებული. ეს დოქი წითელკეციანია, ოდნავ გაპრიალებულია და ეტყობა წითელი საღებავის კვალი[110]. მსგავსი დოქები უცხო არ არის კოლხეთის ფორმებისათვის[111]. თუმცა წითელი საღებავით ჭურჭლის მოხატვა იშვიათია ქუთაისური ნაწარმისათვის. აქ მხოლოდ საღებავგადაცლილი ჭურჭლები გვხვდება. არა და წითელი საღებავით ჭურჭლის შემკობა ძვ. წ. III საუკუნიდან ივარაუდება[112]. საერთოდ კი კერამიკული ფერწერის არსებობას ადრინდელი ტრადიციები აქვს და მას ბერძნული კერამიკული წარმოების გავლენით ხსნიან[113]. რადგან წითელი საღებავით ჭურჭლის მოხატვის ტრადიცია ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტური ხანის ბერძნულ კერამიკულ ხელოსნობაში. და ბოლოს აღსანიშნავია დიდი ზომის სამტუჩა დოქის პირყელის ფრაგმენტი ფარცხანაყანევიდან[114]. მას ფართო პირის კიდე და მასზე უშუალოდ მიერთებული ასევე ფართო ბრტყელგანივკვეთიანი ყური აქვს. ყელზე მახვილწიბოიანი ქედი შემოუყვება და ზედაპირზე მასაც წითელი საღებავის კვალი ემჩნევა.

ანალოგიური ჭურჭლის პირყელის ფრაგმენტი 1973 წელს აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარზე ძვ. წ. IV – III საუკუნეების კულტურულ ფენაში, რაც აღნიშნული დოქის დათარიღებისათვის კარგ საფუძველს იძლევა.

ხელადები – ქვევრსამარხთა ინვენტარში დოქისმაგვარი ჭურჭელია (სურ. 97, 98). მათგან ყველა მომცრო ზომისაა და სფერულტანიანია, მაგრამ პირის მოყვანილობის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფიან. პირველი ჯგუფი მრგვალპირიანია, ფართო დაბალი ყელით. მეორე კი – სამტუჩაა. ორთავეს ოვალურგანივკვეთიანი ყური ან უშუალოდ პირის კიდეზე აქვთ მიერთებული, ან პირის კიდის ძირში[115]. მათგან ზოგიერთს წითელი საღებავის კვალი ეტყობა.

ქუთაისისა და მისი მიდამოების ქვევრსამარხების ინვენტარიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სუფრის ჭურჭლის ის ნაწილი, რომლებიც ჯამებისა და ფიალების სახითაა წარმოდგენილი. ჯამების უმრავლესობა დიდი ფორმისაა, პირმოყრილი, ირიბკალთიანი და ქუსლგამოყვანილი. გამომწვარია შავად ან წითლად. ზოგჯერ გაპრიალებულიცაა[116]. ანალოგიური ჯამები მრავლადაა აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარზე და ზღვისპირეთშიც[117]. ისინი ძირითადად ძვ. წ. III – I საუკუნეებისათვისაა დამახასიათებელი. თუმცა მ. ივაშჩენკო მათი მოხმარების ხანად ძვ. წ. IV – III საუკუნეებს მიიჩნევს (ფარცხანაყანევის ინვენტარის მაგალითზე)[118]. ამ ჯამებიდან მოდიდოებთან ერთად ზოგიერთი მომცრო ზომისაა და დაბალკალთიანია[119]. საგანგებოდაა აღსანიშნავი აჯამეთის ქვევრსამარხის ფართოძირიანი, ბრტყელძირა, ოდნავპირმოყრილი ჯამის (თეფში?) ფრაგმენტები, რომელიც შავად გამომწვარ – გაპრიალებულია[120]. აქვეა, ბრტყელძირა, ირიბკალთიანი ფიალები და ერთი ძირმომრგავალებული მაღალკალთიანი, ზედაპირგაპრიალებული ფიალა[121], რომელიც თავისი ფორმით იმეორებს დაბლაგომის ზედა კულტურული ფენიდან მომდინარე ჭურჭლის გარეგნობას. ამიტომაც შესაძლოა ისიც დაზიანებული ქვევრსამარხის ინვენტარის ნაწილი იყოს.

ქვევრსამარხის ინვენტარში გვხვდება სამზარეულო ჭურჭლის ფორმებიც, მაგალითად, ქოთნები[122]. ისინი საგრძნობლად ჩამორჩებიან წინამორბედ ფორმებს კეცისა და გამოწვის მხრივ, გნებავთ მხატვრული თვალსაზრისითაც, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ბევრი საერთო აქვთ ადრეანტიკური ხანის ქოთნებთან და აშკარად ჩანს გენეტიკური კავშირი. განსხვავება ზომებშია, აქვთ სფეროსებრი თანაბრად მომრგავალებული კორპუსი, ფართოდ გადაშლილი პირ-ბაკო და დაბალი ყელი, როგორც ადრეანტიკური ხანის ერთეულები, ზოგიერთი ცალყურაა და ისე როგორც დოქების ყური უშუალოდ პირის კიდეს უერთდება. ზოგს

სურ. 97. ხელადა მესხეთის ქვევსამარხიდან (ძვ. წ. III ს)

სურ. 98. ხელადა

სურ. 99. დერგი (მესხეთის ქვევრსამარხის ინვენტარი)

კიდევ ყურის მაგივრად შვერილი აქვს ამოზიდული ჰიდრიის მაგვარად. ზემოთ აღწერილთაგან მკვეთრად განსხვავდება ფარცხანაყანევის ქვევრსამარხის ქოთანი, რომელიც წითელკეციანია და უხეშად გაცრილი ქარსიანი თიხისაგანაა ნაძერწი. მისი ანალოგიები დადასტურებულია კოლხეთის მრავალ პუნქტში (სოხუმი, ოჩამჩირე, დაბლაგომი და სხვ.)[123]

ჭიჭილა, რომელსაც ბრტყელგანივკვეთიანი ყური აქვს და ზედაპირგაპრიალებულია, ტანზე შერჩენილი აქვს წითელი საღებავი[124]. მ. ივაშჩენკო ქვევრსამარხთა ინვენტარს აკუთვნებდა ამფორის ფრაგმენტებს (ნაშთებს), რომელიც თითქოს ქვევრის ყელის დასაცობად ყოფილა განკუთვნილი და მათ ძვ. წ. III საუკუნით ათარიღებდა[125]. უკვე აღინიშნა რომ, ქვევრის ყელის დასაცობად დერგებიც ყოფილა გამოყენებული, იგივე დასტურდება მესხეთის ქვევრსამარხის მიხედვით. ესაა პირ-ბაკომოცლილი მოზრდილი ზომის ჭურჭელი, რომელსაც სფერული კორპუსი აქვს და უხეშკეციანი და ჩალისფრადგამომწვარია (სურ. 99).

ლარნაკი – წყალტუბოს მუზეუმში დაცულია მეტად ორიგინალური ფორმის ორი ცალი ჭურჭელი, რომელთაც მინიატურული ქვევრის ფორმა აქვთ. ორთავე ზედაპირგაპრიალებულია და შეღებილია. ერთი მოწითალოა, მეორე მუქი ყავისფერი (სურ. 100, 101).

მაღლაკის ქვევრსამარხი – ცალკე განხილვის ღირსია რადგან ქუთაისისა და მისი მიდამოების ქვევრსამარხთა შორის საკმაოდ ორიგინალურად გამოიყურება. ალბათ ამან მისცა საფუძველი ზოგიერთ მკვლევარს ეს ქვევრსამარხი, დანარჩენებისაგან განსხვავებული ადრეული ხანით ძვ. წ. VI ან V საუკუნით დაეთარიღებინათ[126]. მაღლაკის ქვევრსამარხი აღმოჩენილი იქნა 1948 წელს შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს. ქვევრსამარხის ინვენტარი დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში:

1) **მათარა** (სურ. 74). ძაბრისებურად გადაშლილი პირით, ვიწრო, საშუალო სიმაღლის ყელით. მხრების დასაწყისში აქეთ-იქიდან დაძერწილი აქვს ორი ძუძუსებრი კოპი, ხოლო მუცლის არეში დისკოსებრი ორნამენტია (მზის სიმბოლო?) დატანილი. მათარა შავადგამომწვარია და ზედაპირგაპრიალებული. მისი ანალოგიური ჭურჭლები ცნობილია ხონიდან (ინვ. №693); (სავარაუდოდ, ისიც ქვევრსამარხის ინვენტარი) და დაბლაგომის მდიდრული სამარხიდან, რომლებიც ძვ. წ. IV – III სს. თარიღდება[127]. ჩვენი ვარაუდით ეს მათარაც ძვ. წ. IV საუკუნით უნდა დათარიღდეს.
2) **დოქი** – მომცრო ზომისაა, ყურმილიანი, დაბალყელიანი, ფართო ძაბრისებურპირიანი, ყელზე ოდნავ შესამჩნევი წვრილი წრიული ღარებით. გამომ-

სურ. 100. ლარნაკი ფარცხანაყანევიდან

სურ. 101. ლარნაკი (წყალტუბოს მუზეუმი)

წვარია რუხ-ნაცრისფრად. ყურმილიანი დოქები, განსაკუთრებით ბიკონუსური ფორმის დამახასიათებელია ადრეანტიკური ხანისათვის, მაგრამ აღნიშნული დოქის კორპუსი განსხვავებულია მათგან და უფრო ელინისტური ხანის ხელადების ანალოგიურია. ამასთანავე მის მილიან ყურს, რომლითაც ის ადრეანტიკურ ხანას ეხმაურება აშკარად ეტყობა დეგრადაციის კვალი და როგორც ცნობილია მილიანი ყურები ელინისტურ ხანაშიაც გადმოდის. ამიტომაც ეს ჭურჭელი ძვ. წ. IV – III სს. უნდა დათარიღდეს.

3) **დოქი** – ძაბრისებურპირიანი, ვიწროყელიანი (ზომები: ჩ-17 სმ, დმ-12 სმ), მსხლისებური ტანით, ანალოგიურია ელინისტური ხანის მსხლისებრტანიანი დოქებისა, თუმცა კორპუსის ზედა ნაწილი შემკულია წნეხვითი ხაზებით გამოყვანილი ორნამენტით. ყური მრგვალგანივკვეთიანია და შავად გამომწვარია[128].

4) **სასმისი** – მაღალქუსლიანი, პირგადაშლილი, მრგვალგანივკვეთიანი ყურით, ირგვლივ კორპუსზე წრიული ღრმა ღარებით. გამომწვარია შავად. იმეორებს ქუთაისში V – IV სს. კულტურულ ფენაში აღმოჩენილ სასმისებს. როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი კერამიკული ინვენტარი ზოგიერთი ნიშნით (ძუძუსებრი კოპები, მილიანი ყური, ირიბ – ჭდეული ხაზები) იმეორებს ადრეანტიკური ხანის კერამიკის ზოგიერთ მახასიათებელს, მაგრამ უმეტესწილად მათი ანალოგიები დასავლეთ საქართველოს ელინისტური ხანის ნამოსახლარებიდანაა ცნობილი.

5) მაღლაკის ქვევრსამარხის ინვენტარში ყოფილა რკინის ცული, სამწუხაროდ ამჟამად დაკარგულია[129].

ქუთაისისა და მისი მიდამოების ქვევრსამარხთა ინვენტარი წარმოდგენილია ლითონის ნივთებითა და მინა-პასტისაგან დამზადებული მძივსამკაულით. ლითონის ნივთთა შორის მრავლადაა ბრინჯაოს ან რკინის სამაჯურები, საყურე რგოლები, ბეჭდები, ზარაკები და სხვ. მათგან ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამაჯურები. ისინი დიდი რაოდენობითაა მოპოვებული არა მარტო ქუთაისის მიდამოებში, არამედ ელინისტური ხანის საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული სამაჯურები ტერიტორიულად უპირატესად „ქუთაისის ქვეყანას" უკავშირდება და ქვევრსამარხთა ინვენტარიდან მომდინარეობს. ისინი დამზადებულია უფრო ხშირად ბრინჯაოსაგან და იშვიათად რკინისაგან. ზედმიწევნით იმეორებენ ელინისტური ხანის სამაჯურთა რკალშეზნექილ ფორმებს[130]. ხშირად შეინიშნება განსხვავება სამაჯურთა გახსნილ თავებში, ზოგჯერ მათი ბოლოები მეტნაკლებად შემსხვილებულია ან დათხელებული. შედარებით ადრეული ცალების ბოლოები რომელიმე ცხოველის ან ფრინველის გამოსახულებას წარმოადგენს (გველის, გედის და სხვ.), ხოლო მოგვიანო ხანის მხოლოდ, უბრალოდ ჩამოჭრილი ან დათხელებულთავიანია, რკალი კი მომრგვალებული აქვს. სამაჯურთა ერთი ნაწილი რკალის მთელ სიგრძეზე შემკულია შემსხვილებებით (მრგვალი კოპებით). ასეთ სამაჯურებს მ. ივაშჩენკო ძვ. წ. IV – III საუკუნეებით ათარიღებს[131]. ზემოთ აღწერილი სამაჯურების ანალოგიები ცნობილია დაბლაგომიდან, ვანიდან, ჩოხატაურის რაიონის ქვევრსამარხებიდან, ოჩამჩირედან, სოხუმიდან[132]. სამაჯურების შემდეგ საყურადღებო ინვენტარია საყურე რგოლები (ბრინჯაოს ან ვერცხლის), ბეჭდები და ბრინჯაოს გოფრირებული ზარაკები (სურ. 102). ეს უკანასკნელი საკმაოდ ფართოდ გავრცელებული სამკაულია და შესაბამისად მისი აღმოჩენებიც

სურ. 102. ბრინჯაოს ზარაკები (ძვ. წ. IV-III სს)

სურ. 103. კრამიტი (ძვ. წ. III ს)

სურ. 104. ორმოსამარხის ინვენტარი „ნიკალადან''

ხშირია, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ და ძირითადად ელინისტური ეპოქით განისაზღვრება. დათარიღებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონეტებს (კოლხური თეთრი). სამკაულების შემადგენელი ნაწილია ფერადი მინისა და პასტის მძივები, მათი გამოყენება შესაძლებელი იყო სამაჯურებადაც[133]. მძივები სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა, მოყვანილობით ხშირად ისინი მრგვალია ან ბიკონუსური, ზოგჯერ გულის ფორმა აქვთ. ძირითადად ისინი ძვ. წ. II – I საუკუნეებით თარიღდება[134].

ქუთაისის სამაროვანი, – როგორც ზემოთ აღინიშნა აღმოჩნდა შემთხვევით ახალმშენებლობის გამო, რესტორან „ნიკალას" სამშენებლო ქვაბულში 2005 წელს. ამ ტერიტორიაზე ადრეანტიკური ხანის სამოსახლოზე ცხოვრების შეწყვეტის შემდეგ ელინისტურ ხანაში ეს ადგილი უკვე სამაროვნადაა გამოყენებული. ჯერჯერობით სულ გაითხარა 5 სამარხი, ამათგან 4 – ქვერსამარხია, ხოლო ერთი-კრამიტებით გადახურული ორმოსამარხი. ყველა ისინი ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარის კულტურულ ფენაშია ჩაჭრილი. ოთხივე ქვევრსამარხი ჰორიზონტალურადაა დაფლული, პირით-სამხრეთისაკენ. ორ მათგანში ბრინჯაოს თავგახსნილ მავთულისაგან დამზადებული რგოლი აღმოჩნდა, ერთში ბრინჯაოს ნახევარსფერული ზარაკი. ერთიც საერთოდ უინვენტარო იყო. სამი მათგანი ერთმანეთის გვერდით ერთ ხაზზე იყო განლაგებული. ერთ-ერთი ქვევრის ყელის არეში დამღისმაგვარი ნიშანია სველ თიხაზე ამოკაწრული (X)[135]. სამარხად გამოყენებული ქვევრები ტიპიურია ქუთაისის მიდამოების (და არა მარტო) ქვევრსამარხებისა და ძვ. წ. III – II საუკუნეებში უნდა ყოფილიყო ძირითადად გავრცელებული. აღნიშნული ქვევრსამარხების გვერდით გაითხარა კრამიტებით გადახურული ორმოსამარხი. კრამიტი დამზადებულია ადგილობრივ საწარმო-სახელოსნოში ადგილობრივ ნედლეულზე. ესაა სოლენის ტიპის დაბალბორტიანი (h-5 სმ.) დიდი ზომის (63X52 სმ.) ორი ცალი კრამიტი ორივე მათგანზე დატანილი ნიშანი (X) ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებული სახელოსნოს კუთვნილებადაა მიჩნეული და ძვ. წ. III საუკუნის შუა ხანებში დამზადებულად უნდა ჩაითვალოს.[136] (სურ. 103).

ორმოსამარხში ისევე როგორც ქვევრსამარხებში, ძვლოვანი მასალა ძალზე ცუდად იყო დაცული. ინვენტარის განლაგების მიხედვით – მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთისაკენ. ორმოსამარხის ინვენტარია (სურ. 104):

1) დოქი – მცირე ზომის, ფართოდ, თითქმის ჰორიზონტალურად გადაშლილი პირით, ბიკონუსური ტანით, ვარდისფერკეციანი. პირის შიგა მხარეს შავი საღებავი აქვს შერჩენილი (ლაკის იმიტაცია?).

2) ჯამი – დაბალკალთიანი, პირჩაკეცილი, ღრუქუსლიანი, ღია ვარდისფერკეციანი.
3) კოჭობი – მინიატურული ფორმის, შავპრიალა ზედაპირით.
4) რგოლები და მძივები ბრინჯაოსი, თავგახსნილი, მრგვალღეროიანი.
5) ზარაკები – კონუსური ფორმის, გვერდშეჭრილი.
6) მძივები – პასტისა და მინისაგან, პოლიქრომული.

ზემოთ ჩამოთვლილი ინვენტარის საფუძველზე და კრამიტთა ნიშნის მიხედვით ორმოსამარხი ძვ. წ. III საუკუნის მეორე ნახევრით ან ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს[137] ისევე, როგორც ამავე სამაროვნის ქვევრსამარხები. საინტერესოა, ერთ სამაროვანზე ერთ ეპოქაში სხვადასხვა ტიპის სამარხთა თანაარსებობა, რაც შესაძლოა სოციალური ვითარებით აიხსნას. ამაზე მეტყველებს ის რომ, ქვევრსამარხთა ინვენტარი უაღრესად ღარიბული იყო, ხოლო კრამიტით გადახურული ორმოსამარხი შესაძლოა საშუალო ფენის წარმომადგენელს ეკუთვნოდეს.

მაშასადამე, ქვევრსამარხების კულტურა „ქუთაისის ქვეყანაში" და საერთოდ დასავლეთ საქართველოში ინტენსიურად გავრცელებას იწყებს ძვ. წ. IV – III საუკუნეებიდან და ელინისტური ეპოქის დამახასიათებელი მოვლენაა. ამ კულტურის გამოჩენა დასავლეთ საქართველოში მოასწავებს ძირეულ ცვლილებებს ქვეყნის ეკონომიკაში, სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში და საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში[138]. ძნელია ამჟამად იმაზე ლაპარაკი, იყო თუ არა ეს მოვლენა ეთნიკური ცვლილებების შედეგი, თუმც ჩვენ ამ თეორიას ვიზიარებთ. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: პრობლემა ცალკე დამატებით საფუძვლიან კვლევას მოითხოვს.

ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით პოლიტიკური ვითარება ამ დროისათვის კოლხეთში ზედმიწევნით რთულია, რაც გამოწვეულია უპირველეს ყოვლისა, ქართლის აქტიურობით. ჯერ აზო განავრცობს თავის ბატონობას კოლხეთზე (ეგრისწყლამდე)[139]. შემდეგ აჯანყებულმა ფარნავაზმა კოლხეთის დიდი ნაწილი ქართლის პოლიტიკურ გავლენას დაუქვემდებარა და კოლხეთის ბედ-იღბალი მტკიცედ გადაენასკვა ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებას[140]. ფარნავაზი „მეფე იქმნა ყოვლისა ქართლისა და ეგურსა ზედა". მის მიერ გატარებული ადმინისტრაციული რეფორმების შედეგად: კოლხეთში ერისთავად დამტკიცდა ქუჯი და მისცა საგამგეოდ ქვეყანა, „რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი"[141]. ფარნავაზი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თავის სახელმწიფოებრივ – ადმინისტრაციულ სისტემაში მოაქციოს დასავლეთ საქართველო[142].

ქართლთან გაერთიანებამ გამოიწვია ოდესღაც ძლიერი კოლხეთის სახელმწიფოს დამცრობა – დაკნინება, სამეფო ხელისუფლების დასუსტება[143]. მომდევნო ხანაში ქართლის გავლენაც კოლხეთზე შესუსტდა და მხოლოდ მის აღმოსავლეთ რეგიონს – არგვეთის საერისთავოს ნაწილს შემორჩა ის[144]. მიუხედავად ამისა, კოლხეთის საზოგადოებაში მაინც ძლიერად იკვლევს გზას ელინისტური კულტურის ნაკადი. ეს პროცესი უფრო ინტენსიური ჩანს მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის საბოლოოდ დამორჩილების შემდეგ (ძვ. წ. II ს. დასასრულიდან). ელინისტური გავლენის გავრცელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ ფაქტორს – ამჯერად მჭიდრო კავშირს პონტოს სამეფოსთან და კულტურულ – ეკონომიკურ კონტაქტებს სამხრეთ – აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უმსხვილეს ეკონომიკურ ცენტრებთან, განსაკუთრებით სინოპთან[145]. ოთ. ლორთქიფანიძე კოლხეთში ელინისტური გავლენის გავრცელებას მცირე

აზიიდან მესხთა კოლხეთში შემოღწევას და იბერიის ექსპანსიას უკავშირებს[146]. ხოლო ელინისტური ეპოქის დასასრულს ხანგრძლივმა ომიანობამ, რომელიც გამოწვეული იყო ჯერ მითრიდატე ევპატორის, ხოლო შემდეგ რომის მიერ ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობით, დიდი ხნით შეაფერხა სავაჭრო – ეკონომიკური ურთიერთობები კოლხეთის სახელმწიფოსა და იმდროინდელი სამყაროს მსხვილ ეკონომიკურ ცენტრებს შორის. სრულიად გაწყდა კავშირი საგარეო – საერთაშორისო ბაზართან, რამაც დაასუსტა საშინაო ეკონომიკური კავშირები და მოშალა საშინაო ბაზარიც. ბუნებრივია, შემცირდა სასაქონლო წარმოება, როგორც სოფლად ისე ქალაქად. ამიტომაც ჩაკვდა ის საქალაქო ცენტრები, რომლებიც შიდა კოლხეთში რიონის მაგისტრალზე იყო განლაგებული... როგორც ჩანს, აღნიშნული კრიზისის პირველი მსხვერპლი ქუთაისი და მისი ქვეყნის სამოსახლოები იყო.

თუ თვალს გავადევნებთ ქუთაისის განვითარებას არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით მკვეთრად შევნიშნავთ ერთ საინტერესო მომენტს: ოდესღაც აყავავებული ძველი სამოსახლო, „მოხირისი" (გორაკზე განლაგებული საქალაქო დასახლება) ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულისათვის ფაქტობრივად წყვეტს არსებობას, ალბათ კატასტროფის შედეგად (გაურკვეველია მიზეზი: მტრის აგრესია?, ქართლის ექსპანსია?, ქუჯის მიერ ციხეგოჯის დაწინაურება?) შეინიშნება ძლიერი ხანძრისა და ნგრევის კვალი, რაც შესაძლო აგრესიის შედეგს ნიშნავს.

ძირეულად იცვლება ქალაქის (დასახლება) ტოპოგრაფია ძვ. წ. III – ახ. წ. I საუკუნეებში გორაკ-ბორცვიან ნაწილში ცხოვრება ფაქტობრივად აღარ ჩანს...

სამაგიეროდ ცხოვრება გრძელდება ქუთაისის ვაკე ნაწილში „გაბაშვილისა" და „დათეშიძის" გორაკების ძირში, („ნიკალას" უბანი), სადაც ახალი მონაცემებით ძვ. წ. V – IV საუკუნეებში გადმოინაცვლა ქალაქის ცენტრმა, თუმცა ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს (ან III ს. პირველ ნახევარში) ისიც დაცემას განიცდის (ალბათ იგივე მიზეზების გამო) მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ცხოვრება მაინც გრძელდება და ძველ ნამოსახლარზე ძვ. წ. III – II საუკუნეებში უკვე სამაროვანია გამართული. მაშასადამე, სამოსახლოც სადღაც იქვეა, ალბათ დამცრობილი სახით. ამას მომავალი კვლევა-ძიება დაადასტურებს...

ჩვენი თეორიის უკეთ წარმოდგენისათვის საინტერესოა მკვლევართა თავალსაზრისის გათვალისწინება ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიაში სამი ეტაპის გამოყოფის შესახებ[147]:

პირველი ეტაპი – შემოიფარგლება ადრეელინისტური ხანით, (ფარნავაზის მეფობა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა). როდესაც იწყება ქუთაისის ქართიზაცია და მისი თანდათანობით დამცრობა – დაკნინება.

მეორე ეტაპი – ძვ. წ. III ს. მიწურულიდან იწყება (იბერიაში შექმნილი არასტაბილური სიტუაციის გამო კოლხეთი კვლავ დროებით იბრუნებს დამოუკიდებელ სტატუსს და ეკონომიკაც გამოცოცხლდება). ქუთაისი წინაპერიოდთან შედარებით დამცრობილია და ცენტრიც უკვე ვაკე ნაწილშია განლაგებული.

მესამე ეტაპი – თითქმის საუკუნოვანი ქარტეხილების ეპოქაა (მითრიდატე ევპატორის დაპყრობები, ერთიანი კოლხეთის სამეფოს დაშლა, ეკონომიკის დაქვეითება, 40 წლიანი ომები რომსა და მითრიდატს შორის, პომპეუსის, ფარნაკე ბოსფორელის და მითრიდატე პერგამონელის კოლხეთში ლაშქრობები და რომის სამოქალაქო ომებით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი ძვ. წ. I ს.), რომელმაც ანტიკური (ელინისტური) ქუთაისის სრული ლიკვიდაცია გამოიწვია.

4. ქუთაისი გვიანანტიკურ ხანაში

რომაელთა მიერ დაპყრობილი კოლხეთი არისტარქეს დროს (ძვ. წ. 65-47 წწ.) ჯერ კიდევ ცალკე, პოლიტიკურ – ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა[148], ხოლო შემდეგ დიდი ხნით თავისი ბედი დაუკავშირა რომის ვასალურ სახელმწიფოს პონტოს სამეფოს.

65 წელს რომმა გააუქმა პონტოს სამეფო და იგი თავის აღმოსავლურ პროვინციად აქცია, როგორც ჩანს იგივე ბედი ხვდა კოლხეთსაც. ფიქრობენ რომ, 72 წლიდან კოლხეთი შედიოდა ე. წ. „კაპადოკიურ კომპლექსში" და მის ზღვისპირა ქალაქებში უკვე რომაული გარნიზონები იდგა[149]. ასე ჩანს მომდევნო საუკუნეებშიც[150]. ამავე დროს მნიშვნელოვანი იყო ქართლის სამეფოს გავლენა კოლხეთზე. განსაკუთრებით მის ცენტრალურ და აღმოსავლეთ მხარეებზე. ქართლის მეფე – ფარსმან II ცდილობს რომაელთა განდევნას კოლხეთიდან... თუ ის ამას ვერ ახერხებს ადრიანეს დროს, ანტონინუს პიუსთან მეგობრული ურთიერთობის შედეგად, როცა „გაფართოვდა ფარსმანის სამეფო". სავარაუდოა კოლხეთშიც განვითარების სასურველი პერიოდი დადგა...

ახ. წ. III საუკუნიდან კი სასანიდების ირანი დაუპირისპირდა რომს და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, ალბათ ეს მომენტიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ახლად წარმოქმნილი ეგრისის სამეფოს განვითარებისათვის და მისი საქალაქო ცენტრების (ციხე-ქალაქების) აღორძინება-აყვავებისათვის...

კონკრეტულად ახ. წ. I საუკუნისათვის ე. ი. გვიანანტიკური ხანის ადრეულ ეტაპზე, ქუთაისის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, მაგრამ საერთო, ზოგადი სიტუაციიდან გამომდინარე ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქების მიმართ უაღრესად რთული და მნიშვნელოვანი პირობებია შექმნილი, რასაც არა მხოლოდ ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ – ეკონომიკური ვითარება განსაზღვრავდა, არამედ უაღრესად რთული საგარეო – პოლიტიკური ფაქტორი, რაც გამოწვეული იყო რომისა და პართიის ან შემდგომში ბიზანტია-ირანის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესებით საქართველოში და კონკრეტულად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ამიტომაც აღნიშნული სიტუაციის გარკვევას ჩვენ უფრო მომდევნო თავში შევეცდებით. ამჯერად აღვნიშნავთ იმას, რომ არცთუ მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ქუთაისის მხარის მატერიალურ კულტურას ისევე როგორც ზოგადად დასავლეთ ქართულს გვიანანტიკურ ხანაში ახასიათებს გარკვეული ერთგვაროვნება. მართალია, კერამიკული ნაწარმი ადრინდელი მრავალფროვნებით აღარ

სურ. 105. დოქი და კოკურა გვიანანტიკური ხანის ფენიდან (ბაგრატის ტაძარი)

სურ. 106. ჭრაქი გორდიდან

სურ. 107. ჭრაქი

გამოირჩევა, მაგრამ ტიპიურია ცალყურა და ორყურა დოქები, (მეტწილად სამტუჩა), მაღალძირიანი თასები და ჯამები. წაკვეთილი კონუსის ფორმის ვაზები, ქვევრები, დერგები და სხვ.

ახ. წ. I საუკუნიდან ვრცელდება იმპორტული ნაწარმის სანელსაცხებლები, მინის ჭურჭლები, ვერცხლის, ბრინჯაოს და ოქროს ნივთები. საკმაოდ მრავალფეროვანია რკინის იარაღიც: ორლესული მახვილები, სატევრები (ე. წ. სარმატული ტიპი), შუბისპირები, ისრისპირები (სამფრთიანი), მუზარადისა და ჯავშნის ფრაგმენტები. სამეურნეო იარაღს წარმოადგენს რკინის ცულები, მოხრილი, ნამგლისებური დანები და სხვ. აღნიშნული პერიოდის საინტერესო მასალა დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში, ისინი იმერეთის მხარის სხვადასხვა პუნქტებიდან, სხვადასხვა დროს იყო მოპოვებული.

გვიანანტიკური ხანის კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია **დოქებით** (სურ. 105). სოჩხეთიდან (ტყიბულის რ-ნი), ბორიდან (ხარაგაულის რ-ნი), ჭიათურიდან, ვახანიდან (ხარაგაული), ჭოგნარიდან[151]. **ჯამები** (ნახშირღელედან, ჭოგნარიდან, ჩხარიდან)[152], **წითელლაკიანი ჯამი** – ვახანიდან (ხარაგაული)[153], **საბალზამე სურა** – ბორიდან[154], **ჭრაქები** – გორდიდან და ზემო იმერეთიდან[155] (სურ. 106, 107).

მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია: **სანელსაცხებლე** – ერთი აღმოჩენილია ქუთაისში 1928 წ., თარიღდება I – II საუკუნეებით. მუზეუმს გადასცა კალისტრატე ცირეკიძემ[156], ხოლო მეორე **სანელსაცხებლე** – ნაპოვნია ქუთაისის ციხეზე 1935 წ. გრიგოლ გუნავას მიერ[157]. ორივე ნივთი შესაძლოა სირიული წარმომავლობის იყოს. ლითონის ნივთებიდან მუზეუმში დაცულია გვიანანტიკური ხანის **რკინის დანა** – ძევრიდან[158] და **წინწილი** ახ. წ. IV საუკუნის, ნაპოვნია გოჭოურაზე – ქუთაისში. ანალოგიური ნივთები ცნობილია გორდიდან (დიდღვაბუნას სამარხიდან – დაცულია ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში)[159] და მოდინახეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე[160].

გვიანანტიკური ხანითაა განსაზღვრული სამკაულების ერთი ნაწილი, რომელიც როგორც ჩანს ასევე სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა. მათ შორისაა: **მშვილდსაკინძეები** – ნაპოვნია ქუთაისის ციხეზე, (1925 წ.) მუზეუმს გადასცა პეტრე ჭაბუკიანმა. ჩხარიდან – 2 ცალი (1936 წ. და 1938 წ.), ძევრიდან (1978 წ.), ვახანიდან (1971 წ.), ზესტაფონიდან – 7 ცალი (1828 წ.) მიხეილ ჩინჩალაძეს ჩაუბარებია მუზეუმისათვის, ღორეშიდან – 2 ცალი (1930 წ.)[161]. **სამაჯურები, ზარაკები, საკიდები, ბეჭედი** – სარდიონის თვალით, ვერცხლის **საბეჭდავი** – ბეჭედი, **აბზინდი** და **ილარი** – მამაკაცის გამოსახულებით[162] ასევე სხვადასხვა ფორმისა და ზომის, პასტის, კვარცის, გიშრის, მინის, სარდიონის, აგატის, კაჟის და სერდოლიკის **მძივები**[163].

ქუთაისის მხარეში (იმერეთში) გვიანანტიკური ხანის (ახ. წ. I – III სს.) ძეგლებით გამოირჩევა ზემო იმერეთი, ასეთია მაგალითად სოფ. **ბორი** – ხარაგაულის რაიონში. შეისწავლა მ. ივაშჩენკომ (1938 წ.) და გ. ცქიტიშვილმა (1963 წ.) სოფლის მიდამოებში ბუდეებადაა გაფანტული ძვ. წ. I – ახ. წ. III საუკუნეების საგვარეულო და საოჯახო სამარხები (სამაროვანი), რომლებიც ორი ტიპისაა: ქვევრსამარხები და ორმოსამარხები. აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის სამკაული, ბრინჯაოსა და მინის ჭურჭელი, აღსანიშნავია III საუკუნის ვერცხლის პინაკი, რომელზედაც გამოსახულია საკურთხევლის წინ მდგარი ცხენი, არმაზული წარწერით[164].

სურ. 108. სამშენებლო კერამიკის გამოსაწვავი ქურა (ახ. წ. II-III სს)

ახ. წ. II – III საუკუნეების მდიდრული სამაროვანი აგრეთვე შესწავლილი იქნა სოფ. **კლდეეთში** (ზესტაფონის რაიონი) აღმოჩნდა 1941 წ. ორმოსამარხებში მრავლადაა თიხის ჭურჭელი (შავპრიალა, წითლადგამომწვარი), მინის სანელსაცხებლები, ბრინჯაოს ხელადა, პატერა, რომლის ტარი ცხვრის თავის გამოსახულებიანია, ვერცხლის თასები, იარაღი (კვერთხი, ჯაჭვის პერანგის ნაშთები, რკინის სამფრთიანი ისრისპირები, შუბისპირები, სატევრები, ცული და მახვილი. მონეტები (გოტარზეს დრაქმები, ავგუსტუსის დენარები, ნერვასა და ტრაიანეს დიდრაქმები, ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ადგილობრივი მინაბაძები.

სურ. 109. ქურის ინტერიერიდან ამოღებული კერამიკის ფრაგმენტები

სურ. 110. ქურის ინტერიერიდან ამოღებული ქვევრის ფრაგმენტი

მრავლად გვხვდება ბრინჯაოს, ოქროს, ვერცხლის სამკაული. აღსანიშნავია, რომ მასალების დიდი ნაწილი იმპორტულია[165]. 1957 წ. ჭოგნარში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთებიდან ქუთაისის მუზეუმში შემოვიდა ქვევრის ყელის ფრაგმენტი და 9 ცალი თიხის ჭურჭელი: დოქი, ძაბრისებური პირით, მოწითალო – მოშაოდ გამომწვარი. ქოთანი – 2 ცალი, ფართოპირიანი, ოდნავ პირ-ბაკოგადმოკეცილი, ერთი უყურო, მეორე ყურიანი, ჯამები – 4 ცალი, ქუსლიანი, პი-

რაკეცილი, სამაჯურები, ბრინჯაოსი ზურგსწორი და ზურგჩაზნექილი – 3 ცალი საყურე რგოლი და მძივები (მინის, პასტის, იოტები)[166].

განსაკუთრებით შთამბეჭდავია 2012 წელს ტაძრის აღმოსავლეთ ფერდობზე წყლის რეზერვუარისათვის მიწის სამუშაოების დროს, აღმოჩენილი სამშენებლო კერამიკის გამოსაწვავი ქურის ნაშთები. ქურა ჩაჭრილია ყვითელ თიხნარში, მართკუთხედის ფორმისა და აგურის თაღითაა გადახურული, დამხრობილია დასავლეთიდან-აღმოსავლეთისაკენ. სიგრძე – 2 მ. სიგანე – 1 მ. კედლის სიმაღლე – 1 მ. თაღამდე – 1,5 მ.

სივრცე თითქმის მთლიანად სავსე იყო დატეხილი ქვევრების ფრაგმენტებით (რამოდენიმე პირ-ყელი, უამრავი კედლები, ძირი და სხვ.). აშკარად ჩანდა, რომ ეს ქურა გაუქმების შემდეგ შეუვსიათ ზემოაღნიშნული მასით. აღნიშნული მასალა ზოგადად გვიანანტიკური (III – IV საუკუნეებით) ხანით უნდა დათარიღდეს (სურ. 108. 109. 110), როგორც ჩანს ქურის გაუქმების თარიღიც III – IV საუკუნეებია და მისი ფუნქციონირება საშუალო საუკუნეების ქუთაისის ახალქალაქობის საწყის პერიოდს უკავშირდება და სავარაუდოდ, სამშენებლო კერამიკის ანუ აგურ-კრამიტის გამოსაწვავ სახელოსნოს წარმოადგენდა.

შენიშვნები

1. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ძველი ქართული... გვ. 163.*
2. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 410-414;* ***Лордткипанидзе Г. А.****, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.*
3. ***ინაძე მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 40.*
4. ***Меликишвили Г. А****., К Истории... გვ. 236-251;* ***მისივე,*** *საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. თბ., 1955 წ., გვ. 103-126;* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ანტიკური სამყარო... გვ. 39;* ***მისივე,*** *ძველი ქართული... გვ. 163;* ***Инадзе М. П.****, Причерноморские города... გვ. 97 და შმდ;* ***მისივე,*** *ძველი კოლხეთის საზოგადოება... გვ. 98;* ***ხახუტაიშვილი დ.,*** *ქართული მონათმფლობელური ქალაქის წარმოქმნა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების სინათლეზე. ისტორიის ინსტიტუტის შრომები V/I, 1960 წ., გვ. 184-196;* ***Апакидзе А. М.,*** *Результати археологического изучения античных городов: сб. Античный город, М., 1965 г., გვ. 152;* ***მიქელაძე ი.,*** *ძიებანი... გვ. 175.*
5. ***ინაძე მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ., 67-73;* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ანტიკური სამყარო... გვ. 44; იმის გამო რომ, კარგად არაა შესწავლილი კოლხური ქალაქები, დასახლებათა ურბანისტულ ხასიათზე საუბარი, ძირითადად იმ არქეოლოგიური მასალებით გვიხდება, რომლებიც მოწმობენ ხელოსნობის სხვადასხვა დარგების (კერამიკული წარმოება, ლითონდამუშავება, საფეიქრო საქმე, საიუველირო ხელოსნობა და სხვ.) ურბანისტულ ხასიათს. მრავალდარგობრივი კოლხური ხელოსნობა განიხილება, როგორც საზოგადოების რთული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურის ასახვა. უფრო მეტიც, ხელოსნობის მთელი რიგი დარგების წარმოშობა და ფართოდ განვითარება, ასევე მკაფიოდ რომ ჩანს არქეოლოგიურ მონაპოვარში უნდა იყოს შედეგი საზოგადოების შიგნით დიფერენციაციისა, მმართველი ზედაფენის წარმოქმნის და მათი რეზიდენციის, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრის განვითარებისა (იხ.* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *კოლხური ხელოსნობა ძვ. წ. VI – IV სს. გვ. 26 და შმდ.) სწორედ ხელოსნური წარმოების კონცენტრაცია ცალკეულ ცენტრებში და ბაზრის წარმოქმნა იყო მთავარი ნაბიჯი ქალაქური ცივილიზაციისაკენ. საქალაქო ცხოვრებაზე გადასვლა კი ნიშნავდა მძლავრ ბიძგს ხელოსნობის, როგორც მძლავრი მაწარმოებელი და სოციალური ფაქტორის გასაჩენად. ამიტომაც პროფესიული ხელოსნობის განვითარება მკვლევართა ვარაუდით არის მოწმობა კოლხეთის საზოგადოების ურბანიზაციისა. (იხ.* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ხელოსნური წარმოება ძველ კოლხეთში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტიუტის სამეცნიერო სესია (თეზისები), თბ., 1972 წ.*
6. ***ლანჩავა ო.,*** *ქუთაისი წინაფეოდალურ ხანაში. სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1975 წ., გვ. 85 და შმდ.*
7. ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ბერძენიშვილი დ., ჭუმბურიძე მ., ქარციძე ნ.,*** *ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2005 წლის საველე სამუშაოების წინასწარი ანგარიში. ადრინდელ მასალებზე მუშაობისას ჩვენ ვხელმძღვანელობდით ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურებითა და საველე დავთრებით, რომელიც აწ განსვენებულმა პატივცემულმა მეცნიერმა უშურველად დაგვითმო. ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალები ინახება*

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში.

8. *კრ. ქუთაისი უძველესი დროიდან... გვ. 57.*
9. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ქუთაისსა და მის მიდამოებში 1963 წელს ჩატარებული საველე არქეოლოგიური მუშაობის შედეგები. სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები, თბ., 1964 წ., გვ. 28;* ***მისივე,*** *ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964 წელს ჩატარებული მუშაობის ძირითადი შედეგები. სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები, თბ., 1965 წ., გვ. 47.*
10. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ქუთაისსა და მის მიდამოებში... გვ. 27-28.*
11. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIX №3, 1957 წ., გვ. 377-384;* ***მისივე,*** *ანტიკური სამყარო..., გვ. 118;* ***ბერძნიშვილი მ.,*** *ქალაქ ფასისის ისტორიისათვის... გვ. 99-119;* ***ინაძე მ.,*** *სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძვ. კოლხეთში. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრ. II, გვ. 103.*
12. ***Меликишвили Г. А.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 246;* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ინდოეთიდან... გვ. 382.*
13. *საქართველოს არქეოლოგია. გვ. 198-200;* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ანტიკური სამყარო... გვ. 84.*
14. *იქვე, გვ. 83;* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან... გვ. 202 (იხ. რუკა – სურ. 172)*
15. *ამ მასალებიდან ცნობილია: რკინის ისრისპირები, ვაზის სასხლავი მოხრილი დანა, ბრინჯაოს ზანზალაკები, ქალცედონის და ლურჯი მინის მძივები. კერამიკა, მათ შორის შავლაკიანი და ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევრის იონიური კერამიკის ფრაგმენტები. მასალები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (№№2476-2994). ГИМ №61079*
16. ***ლორთქიფანიძე ოთ.****, ანტიკური სამყარო... გვ. 84; გამოქვეყნებული აქვს* ***ალ. ქათამაძეს*** *(იხ. კოხის „ნაჯიხურალი" – ძველი კოლხური ნამოსახლი, აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები ტ. VI, ბათ., 1963 წ., გვ. 29; მსგავსი მუზარადები ცნობილია კოლხეთის სხვა ადგილებიდანაც (აჭარა, სოხუმი, ეშერა).*
17. *იხ. СЭ. 1934 წ., №3-4, გვ. 108-109.*
18. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ქუთაისსა და მის მიდამოებში... გვ. 27.*
19. *ქუთაისის მუზეუმში დაცულია ბრინჯაოს კოლხური ცული და წინარეანტიკური ხანის კერამიკა, აგრეთვე გვიანანტიკური ხანის სამარხეული ინვენტარის ნაწილი, რომელიც იქ მივლინებულმა მეცნიერთა ჯგუფმა გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით გვიანანტიკური ხანით განსაზღვრა.*
20. ***ლორთქიფანიძე ოთ.****, ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964 წელს ჩატარებული მუშაობის ძირითადი შედეგები. გვ. 46-47;*
21. ***ხოშტარია ნ.,*** *კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი და მათი შესწავლის პრობლემა. სმამ ტ. VI №6 1945 წ., გვ. 465-472;* ***მიქელაძე თ.,*** *არქეოლოგიური კვლევა – ძიება რიონის ქვემო წელზე. თბ., 1978 წ;* ***გოგაძე ე.,*** *კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ., 1982 წ;* ***გრიგოლია გ.,*** *და სხვები, დას. საქართველოს საძიებო – არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები. ანოტაციები, თბ., 1967 წ., გვ. 18-21.*
22. ***Рибаков Б. А.,*** *Ремесло древней Руси, М., 1948 г., стр., 44;* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *კოლხური ხელოსნობა ძვ. წ. VI – IV სს. გვ. 2. ვარაუდობენ, რომ კერამიკულ ჩარხზე ჭურჭელს II ათასწლეულის დასასრულიდან ამზადებენ. უკვე აღვნიშნეთ რომ (ძვ. წ. VIII საუკუნიდან მაინც) წინარე ანტიკური ხანის კერამიკა ჩარხზეა დამზადებული (ლ. სახაროვა).*

23. ***მიქელაძე თ.,*** *ძიებანი... თბ., 1974 წ., გვ. 61-65;* ***ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ვლ., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა.,*** *ძვ. წ. VI – IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან. კრებული ვანი, V, თბ., 1981 წ.*
24. ***ბოხოჩაძე ა.,*** *მევენახეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ., 1963 წ., გვ 114-149.*
25. ***ვაშაკიძე ნ., ლორთქიფანიძე გ.,*** *კოლხური ქვევრი. სდსძ V, თბ., 1975 წ., გვ. 114-140; შდრ., კრ. ვანი, V, გვ. 14.*
26. ***ვაშაკიძე ნ., ლორთქიფანიძე გ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 102. კრ. ვანი, V, გვ. 15.*
27. ***მიქელაძე თ.,*** *ძიებანი... გვ. 62.*
28. ***Скуднова В. М.,*** *Находка Колхидских монет и пифосов в Нимфее, ВДИ, 1952 г., №2;* ***Зеест И. Б., Марченко И. Д.****, Некаторые типы толстенной керамики из Патникапея, МИА, 103, стр. 154-155.* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ანტიკური სამყარო...გვ. 89-91;* ***Инадзе М. П.,*** *Причерноморские города древней Колхиды. стр. 206.*
29. *კრებული, ვანი, V, გვ. 16.*
30. ***ვაშაკიძე ნ.,*** *სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, III, თბ., 1973 წ., გვ. 75.*
31. *კრებული, ვანი, V, გვ. 26-27.*
32. *იქვე, გვ. 26. სურ. 41-42.*
33. *იქვე, გვ. 27. სურ. 39-44.*
34. *№14, 156/3, 287.*
35. *№174, 210.*
36. *№150.*
37. *№232 – „ფარნალის გორა", №161, 283 – „გაბაშვილის გორა" №113, 14, 26.*
38. *№19, 111, 119, 121, 201, 291, 177, 185, 188*
39. *№162, 278.*
40. *ვანი, I, გვ. 107.*
41. ***Куфтин Б. А.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 124.*
42. *№205, ვანი, V გვ. 33;* ***მიქელაძე თ.,*** *ძიებანი... გვ. 171;* ***კახიძე ა.,*** *საქართველოს შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები.* ***კახიძე ამირან, მაიკლ ვიკერსი,*** *ფიქვნარი, I, ბათუმი-ოქსფორდი, 2004 წ., გვ. 290, 292. სამარხი 247 და 254-256.*
43. *ვანი, V, გვ. 34, იქვეა დასახელებული ლიტერატურა.*
44. *იქვე, გვ. 35.*
45. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი. გვ. 116.*
46. *№91, 138.*
47. ***მიქელაძე თ.,*** *ძიებანი... ტაბ. IX, 11; ვანი, V, გვ. 40, ტაბ. 60, 62.*
48. *№153, 193, 178, 222.*
49. *№144, 178, 183, 198.*
50. ***მიქელაძე თ.,*** *ძიებანი, გვ. 170;* ***კახიძე ა.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 46.*
51. *№155, 160-„გაბაშვილი"; №221, 251, 229 – „ფარნალი"; №154, 169, 207 – „ნასაჯვარები".*
52. ***მიქელაძე თ.,*** *ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1961-65 წწ. მუშაობის შედეგები, ანოტაციები, თბ., 1962 – 66 წწ.,* ***მისივე,*** *არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე... გვ. 43.*
53. *ვანი, V, გვ. 42.*

54. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1969 წ., ჩატარებული მუშაობის შედეგები. ძეგლის მეგობარი №23, 1970 წ., გვ. 33-40.*

55. *№98, 46 – „ფარნალი"; №113, 248 – „გაბაშვილი".*

56. *ვანი, V, გვ. 43.*

57. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ანტიკური სამყარო... გვ. 42;* ***ჯიქია ლ.,*** *ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში (ქვევრსამარხები), მასალები, თბ., 1971 წ., გვ. 23.*

58. ***Лордкипанидзе Г. А.,*** *Колхида в VI-II вв. до. н. э. стр. 82;* ***ჯიქია ლ.,*** *ცალკეული არქეოლოგიური მონაპოვრები ქუთაისიდან და მისი მიდამოებიდან. ქუთაისის მუზეუმის მასალები XI, 1999 წ., გვ. 18;* ***მისივე,*** *კოლხური და უცხოური კულტურის ძეგლები „ქუთაისის ქვეყნიდან", ქუთ., 2006 წ., გვ. 126.*

59. ***მიქელაძე ნ., ინაიშვილი ნ.,*** *ძვ. წ. V საუკუნის ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი ციხისძირის სამაროვნიდან. ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკური ხანაში. ძიებანი (დამატებანი VIII), თბ., 2002 წ., გვ. 12.*

60. ***Габуния К.,*** *Железо и Минеральные ресурсы ССР Грузия, Тифлис, 1993 г., стр.213;* ***Твалчрелидзе Г.,*** *Природные ресурсы Грузинской ССР, М., 1958 г., стр. 81-98.*

61. ***Деген-Ковалевский Б. Е.,*** *Из истории железного производства закавказья, по материалам раскопок Чуберской железоплавильни - в свания, Известия ГАИМК, М, Л., 1953 г., в. 120 стр. 333;* ***რეხვიაშვილი ნ.,*** *მჭედლობა რაჭაში. თბ., 1953 წ., გვ. 12;* ***აბრამიშვილი რ.,*** *არგვეთის არქეოლოგიური ექსპედიცია... სამეცნიერო სესია, XVII, 1965 წ., გვ. 41; ცნობილი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ხაზგასმით აღნიშნავს იმერეთის სიმდიდრეს რკინის მადნით: „იმერეთის მთებში არის რკინის მადანი იმდენი, რომ ზოგ ადგილას ხალხი სხვა ხელობას არ ეტანება და მხოლოდ რკინას იღებს მადნებიდან. ამ რკინისაგან ამზადებენ სხვადასხვა ნივთებს". (იხ.* ***არქანჯელო ლამბერტი,*** *სამეგრელოს აღწერა, თარგმანი ალ. ჭყონიასი, I, გამოც. თბ., 1938 წ., გვ. 190). ხოლო სახელოვანი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი პირადაპირ მიუთითებს ოკრიბაში რკინის მოპოვება-დამუშავების ადგილზე. ასეთია სოფ. საწირე, რომლის სახელიც რკინის დაწურვასთან არის დაკავშირებული: „ამის გარემოს ითხრების რკინა და არს ლითონი მრავლად". (ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973 წ., გვ. 754); ნიშანდობლივია ისიც, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II თავისი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის შესახებ 1769 წ. რუსეთის მეფის კარზე წარგზავნილი მიტროპოლიტის მაქსიმეს პირით შემდეგს აუწყებდა რუსთ ხელმწიფეს: „იმერეთის ადგილებში მოიპოვება ოქრო-ვერცხლისა და სხვა მეტალთა მადნეული. იმერეთს მათით, გარდა რკინისა აროდეს უსარგებლია, იმის შიშით, რომ მტრები არ აღეძრა და ყოველნაირად ცდილობდა მათ დაფარვასო"* ***(Цагарели А.,*** *Грамоты и другие исторические документы XVIII ст., относящееся к Грузии Т. I, СПБ., 1891, стр. 29, 193).*

62. ***ფირცხალავა მ., ლანჩავა ო.,*** *ადრეანტიკური ხანის სამარხის ნაშთები ზესტაფონიდან. ქსიმ შრომები, კრ. XXII, გვ.... 2012 წ.*

63. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ქუთაისსა და მის მიდამოებში... სამეცნიერო სესია, 1965 წ., გვ. 47;* ***მისივე,*** *ანტიკური სამყარო... გვ. 44;*

64. ***Церетели Г.,*** *Заметки... Протоколы подг. Ком. V Арх. Съезда в Тифлисе, М., 1879 г., гв. 338-340.*

65. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 44.*

66. ***ლორქთიფანიძე ოთ.,*** *ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის... გვ. 47.*

67. *ბანოჯის ტერიტორიიდან თავდაპირველად მასალა მოგვაწოდა ქსუ სტუდენტმა რამაზ ობოლაძემ, რომელიც გატაცებულია კოლექციონერული საქმიანობით.*
68. *1973 წლის გაზაფხულზე ტყიბულის რაიონში, სოფ. ნაძვასთან მდ. ჭალას მარჯვენა ნაპირზე მიწის სამუშაოების დროს ტყეში გამოვლინდა 0, 5 მ. სიმძლავრის კულ-ტურული ფენა, რომელიც მხოლოდ რკინის წიდების (რკინის ნაწური) და თიხის მილის ფრაგმენტებს შეიცავდა, საინტერესო ისაა, რომ ეს ფენა საკმაოდ დიდ ფართობზე ვრცელდებოდა... სახელდახელოდ ანაკრეფი მასალით შეუძლებელი შეიქმნა ძეგლის დათარიღება. იგი საჭიროებს არქეოლოგიურ კვლევას. მასალის ერთი ნაწილი ქუთაი-სის ისტორიულ მუზეუმში იქნა გადატანილი ჩვენს მიერ.*
69. *ბრინჯაოსა (და ვერცხლის) სამკაულები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ელინისტური ხანის ქვევრსამარხებში, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.*
70. *ბრინჯაოს ჭვირული ბალთების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ვარაუდო-ბენ მათ წარმოშობას და განვითარებას საქარ-თველოში, განსაკუთრებით რიონ-ყვირი-ლას ხეობაში. (იხ. **ხიდაშელი მ.,** ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში (ბრინჯაოს ქართული ჭვირულგამოსახულებიანი ბალ-თე-ბი), გამოკვლევა და კატალოგი, თბ., 1972 წ.); ბრინჯაოს ჭვირული ბალთების კატა-ლოგი საქართველოში აღმოჩენილი ნიმუშების მიხედვით შეადგინა გურამ ყიფიანმა. მან გამოყო 24 მოდელი და მიიჩნია, რომ ისინი საომარი აღჭურვილობის ელემენტია, განსაკუთრებით ხელჩართული ბრძოლების დროს და მზადდებოდა შეკვეთით ხალხის დიდი ჯგუფებისათვის წინასწარ განსაზღვრული მასალითა და კომპოზიციური მოდ-ელით. ბალთების ძირითადი ნაწილი აღმოჩენილია საქართველოს ისტორიული გზების და უღელტეხილების მიდამოებში, ეს ძველი საქართველოს სამხედრო გზებია... ამიტომ მკვლევარის დასკვნით: „ჭვირულ ბალთათა უმრავლესობა სამხედრო აღჭურვილობის ნაწილია. ყოველი კომპოზიციური მოდელი განკუთვნილია რომელიღაც ერთი „კოჰორ-ტისათვის". მისივე აზრით, გამოსახულებანი ბალთებზე არა იმდენად სიმბოლურია, რამ-დენადაც ემბლემური... საეჭვოდ მიაჩნია მკვლევარს მისი კოლხური წარმომავლობაც. ფიქრობს, რომ ჭვირული ბალთა ქართლში ჩამოყალიბდა ძვ. წ. III საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დასაწყისში, ალბათ სამეფო კოჰორტებისათვის. (იხ. **ყიფიანი გ.,** ბრინჯაოს ჭვირული ბალთები, წინაქრისტიანული ხანის ქართული ხელოვნება, I. სამეცნიერო სეს-იის მოხსენებათა შინაარსები, თბ., 1999 წ., გვ. 13-16.*
71. *დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში. (იხ. **ბერძენიშვილი დ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 66).*
72. *კრ. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე... გვ. 32.*
73. ***Дундуа Г.,** Нумизматика античной Грузии. Тб., 1987 г.*
74. *განძი გადმოგვცა სოფ. სულორის მკვიდრმა, ქსუ დოცენტმა ლუკა დვალიშვილმა. ჩვენ გადავეცით ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას. შეისწავლა პროფ. გ. დუნდუამ. გამოფენილია ვანის მუზეუმის ექსპოზიციაში. **Dundua G.,** Hoards of Foreign goins of Classical Period from Colchs (4 th century B. C. 4. გვ. 160).*
75. ***ლორთქიფანიძე ოთ.,** მდინარე – ღვთაება ფასისი, ძიებანი №1, თბ., 1998 წ., გვ. 66 და შმდ.*
76. ***Куфтин Б. А.,** Материалы К археологии Колхиды, I , Тб., 1950 г., стр. 148.*
77. *კერამიკის ფრაგმენტი დაფარულია თეთრი ანგობით და ყავისფერი საღებავით მასზე სილუეტური ნახატია შესრულებული. მიჩნეულია კუნძულ სამოსის პროდუქციად; **ლო-რთქიფანიძე ოთ.,** ანტიკური სამყარო... გვ. 72. ტაბ., XVI, 2.*
78. *იქვე, გვ. 33; ატიკური სკიფოსი აღმოჩენილია მდ. რიონის სათავეებშიც (ბრილის სა-მაროვანზე).*

79. *ინვ. №2423.*

80. ***ბერძნიშვილი მ.,*** *ქალაქ ფასისის ისტორიისათვის... გვ. 100 და შმდ;* ***Гозалишвили Г. К.,*** *О древнем торговом пути в Закавказье. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1956 წ., გვ. 153-160;* ***Ямпольский З. И.,*** *К изучению древнего пути из Каспииского моря по реке Куре через Грузию к чёрному морю. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1956 წ., გვ. 161-180;* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო – სავაჭრო გზის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIX, №3, 1957 წ., გვ. 377-384.* ***80-1. საჯავახოს ტერიტორიაზე (რეჭისუბანი), სადაც ადრე კოლმეურნეობის ფერმა იყო, აღმოჩნდა ელინისტური ხანის მძლავრი ნამოსახლარი. ტერიტორიაზე აიკრიბა დიდი რაოდენობით კრამიტის ფრაგმენტები (სოლენი და კალიპტერი), ქვევრებისა და ამფორის ნაშთები. იქვე ავთანდილ ლორიას ნაკვეთში აღმოჩნდა ქვევრსამარხებიც).***

81. *დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ინვ. №5267).*

82. ***შდრ. ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ქუთაისსა და მის მიდამოებში... გვ. 29; ვაკე ქუთაისში რესტორან „ნიკალას" მშენებლობის დროს ჩვენს მიერ დაფიქსირებული იქნა სინოპური კრამიტისა და ამფორის ფრაგმენტები. მასალები დაცულია ექსპედიციის ბაზაზე.*

83. *მასალა აღნიშნული ქვევრსამარხიდან გადმოგვცა უნივერსიტეტის თანამშრომელმა, მესხეთის მკვიდრმა მეცნ. კანდიდატმა ამირან კვერნაძემ. ინვენტარში შედის: დერგი (პირ-ბაკო მოცლილი), ხელადა, ლეკითოსი, კოჭობი, სამაჯურები. (კვერნაძე ა. ქვევრსამარხები ს. ზედა მესხეთიდან. ქსიმ კრებული XXIII, გვ. 29. 2013).*

84. ***ჯიქია ლ.****, დასახ. ნაშრომი, გვ. 25;* ***მისივე,*** *ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური ძეგლები... გვ. 77.*

85. *თასი აღმოჩენილია სამარხეულ კომპლექსში, რომელიც შედგება: შუბისპირის, ცულის, ნამგლისა და ბრინჯაოს ზურგშეზნექილი სამაჯურებისაგან, (დაცულია ქუთაისის მუზეუმის ექსპოზიციაში).*

86. *შდრ.* ***კახიძე ა.,*** *საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები. თბ., 1971 წ., გვ. 111.*

87. *ამიერკავკასიაში ქვევრსამარხები გავრცელებულია: საკუთრივ საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში. საქართველოში მიცვალებულის ქვევრში დაკრძალვის წესი ფიქსირებულია სხვადასხვა კუთხეში. დასავლეთში ისინი მრავლად გვხვდება გურია – აჭარის ტერიტორიაზე. იმერეთში და სამეგრელოშიაც კი (სენაკის რაიონი). იხ.* ***გრიგოლია გ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ.,*** *დას. საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის შედეგები. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. V, თბ., 1973 წ., გვ. 32-33; აღმოსავლეთ საქართველოში ქვევრსამარხები ფიქსირებულია მრავალ პუნქტში (მცხეთა, სამთავრო, ზემო ავჭალა, გორი, ურბნისი, კავთისხევი, დილომი, თბილისი, საგარეჯო, თელავი, მაჩხაანი, წითელწყარო, თეთრიწყარო, მუკუზანი და სხვ.).*

88. ***Куфтин Б. А.,*** *Материалы... II, стр. 72;* ***Иващенко М. М.****, Кувшинные погребения зап. Грузии, стр. 330;* ***Голубкина Т. И.****, К изучению культуры кувшинных погребений Азербаиджана, (канд. дисертация) стр. 80;* ***თოლორდავა ვ.,*** *მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის. მსკა, 1965 წ., გვ. 162.*

89. *მაგალითად, ძვ. წ. VI საუკუნით იყო დათარიღებული დაბლაგომის და მაღლაკის ქვევრსამარხები (იხ.* ***Куфтин Б. А.,*** *Материалы... გვ. 75;* ***თოლორდავა ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 137;* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ანტიკური სამყარო... გვ. 42;* ***ჯიქია ლ.,*** *ანტიკური*

ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში (ქვევრსამარხები). ქუთაისის ისტორიულ – ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, თბ., 1971 წ., გვ. 23.

90. ***Каждан А.,*** *Религия и атеизм в древнем мире, М., 1957 г.*

91. ***Куфтин Б. А.,*** *Материалы... II, გვ. 20 და შმდ.* ***ჟორჟოლიანი მ.,*** *ახალი აღმოჩენილი ქვევრსამარხები სოფ. მუხიანიდან. მასალები, V, ქუთ., 1988 წ., გვ. 51-61;* ***ჯიქია ლ.,*** *ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში (ქვევრსამარხები). მასალები, თბ., 1971 წ., გვ. 22 და შმდ.*

92. ***თოლორდავა ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 162.*

93. *იქვე;* ***Пахомов Е. А.,*** *Рецензия на работу М. М. Иващенко, Кувшинные погребения Грузии и Азербаиджана (ხელნაწერი).*

94. *ზოგიერთი მკვლევარი ქვევრსამარხების სამშობლოდ აზერბაიჯანს მიიჩნევს და იქიდან ვარაუდობს ამ კულტურის გავრცელებას აღმ. საქართველოში და შემდეგ კოლხეთში (ე. პახომოვი, ს. კაზიევი, ტ, გოლუბკინა). მეორე ნაწილი კი პირიქით ფიქრობს (**ივაშჩენკო მ., ლომთათიძე გ., აფაქიძე ა.**).*

95. ***Ивщенко М, М.,*** *Кувшинный могильник в западной Грузии, СА. 1950 г., №13б стр. 320-330.*

96. ***კილურაძე ნ.,*** *არქეოლოგიური გათხრები სოფ. დაფნარში, არქეოლოგიური კვლევა – ძიება საქართველოში, 1959 წ., თბ., 1971 წ., გვ. 69.*

97. *1970-71წლებში ვანის ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური კამპანიების დროს ჩვენ, როგორც ექსპედიციის წევრი ვმონაწილეობდით დაბლაგომის რაზმის მუშაობაში (ხელმძღვ. ვ. თოლორდავა) და საშუალება გვქონდა ახლო გავცნობოდით ქვევრსამარხების კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებს). (იხ. აგრეთვე* ***Куфтин Б. А.,*** *Материалы... II, გვ. 76).*

98. ***თოლორდავა ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 138.*

99. *ეს აზრი პირველად გამოთქვა მ. ივაშჩენკომ (იხ. მისი დღიურები და წინასწარი ანგარიშები, რომელიც ქუთაისის მუზეუმის არქივში ინახება; შდრ.* ***Куфтин Б.,*** *Материалы... II, стр. 76).*

100. *მ. ივაშჩენკოს ცნობით სამარხისათვის ჭრიდნენ 1, 50 მ. სიღრმის ორმოს, რომლის სიგრძე იგივე 1,50 მ. ყოფილა, სიგანე 1,00 მ. ქვევრის ზედა მხარე მიწის ზედაპირიდან 0,40 მ-ით ყოფილა დაშორებული.*

101. ***ჯიქია ლ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 23.*

102. ***Кигурадзе Н. Ш.,*** *К истории населения центральной Колхиды В античную эпоху (автореферат канд. дисс.) стр. 13.*

103. *იხ. ქუთაისის და წყალტუბოს მუზეუმების ექსპოზიციაში გამოფენილი ქვევრი. ან არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე დაცული ეგზემპლარი. ასევე №11 – ოდილაური; №32/4 – მესხეთი.*

104. ***ლიჩელი ვ.,*** *დაბლაგომური ასო – ნიშნები, მაცნე №4, თბ., 1989 წ., გვ. 71-107.*

105. ***ვაშაკიძე ნ., ლორთქიფანიძე გ.,*** *კოლხური ქვევრი. სდსძ, V, 1976 წ., გვ. 100-105.*

106. ***ინაძე მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 235.*

107. *№3/3 და №24 – ფარცხანაყანევი; №1/3, 332/1 – მესხეთი; №11 – ოდილაური.*

108. *1972 წელს შემთხვევით იქნა აღმოჩენილი „ბარონის გორაზე" და შესაძლოა ქვევრსამარხის ინვენტარის ნაწილი იყოს. დაცულია ქუთაისის მუზეუმში.*

109. ***ვაშაკიძე ნ.,*** *სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, III, გვ. 75-76, ტაბ., VIII, 1).*

110. *№7149/4 – აჯამეთი;*

111. ***ვაშაკიძე ნ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 79. ტაბ. IV, 1.*

112. ***თოლორდავა ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 145.*

113. ***მათიაშვილი ნ.,*** *ელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკა ვანიდან. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის V, თბ., 1973 წ., გვ. 56-58.*

114. *№3/6 – ფარცხანაყანევი.*

115. *№7183/3 – ფარცხანაყანევი; №39/1 – მუხიანი; №3/5 – ფარცხანაყანევი; №20 – რეხის ტყე.*

116. *№7149/7 – აჯამეთი; №8/2 – ქვიტირი; №5765/18, 19, 34 – რეხისტყე.*

117. ***მათიაშვილი ნ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 59.*

118. ***Иващенко М. М.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 59.*

119. *№7149/4 – აჯამეთი; №3/7 – ფარცხანაყანევი.*

120. *№7149/5 – აჯამეთი.*

121. *№7149/3 – აჯამეთი.*

122. *№7149/2 – აჯამეთი შდრ.* ***Иващенко М. М.,*** *დას. ნაშრომი, გვ. 232, ნახ., 4.*

123. ***მათიაშვილი ნ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 61.*

124. *№21 – რეხისტყე.*

125. ***Иващенко М. М.****, დასახ. ნაშრომი, გვ. 324.*

126. ***ლორთქიფანიძე ოთ.****, ანტიკური სამყარო... გვ. 42;* ***ჯიქია ლ.,*** *ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში (ქვევრსამარხები). ქუთაისის ისტორიულ – ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, თბ., 1971 წ., გვ. 23;* ***Лордкипанидзе Г.,*** *Колхида в VI _ II вв. до. н. э. стр. 82.*

127. ***თოლორდავა ვ.,*** *არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში. საველე-არქეოლოგიური კვევა – ძიება 1972 წ., თბ., 1973 წ., გვ. 69 და შმდ.*

128. *№5726.*

129. ***ლორთქიფანიძე გ.*** *მიუთითებს: ,,Железный топор с четирехгранным обухом". (დასახ. ნაშრ., გვ. 82). შდრ.* ***ჯიქია ლ.,*** *ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში... გვ. 23; ინვ. №5721;*

130. *№7149/9 – აჯამეთი; №5768 – ფარცხანაყანევი; (მ. ივაშჩენკოს კოლექცია); №10/2, 3 – ოდილაური და მესხეთი; №23/11 – უკანეთი.*

131. ***Иващенко М. М.,*** *Кувшинный... გვ. 324.*

132. ***Куфтин Б.****, Материалы... II, გვ. 43;* ***მისივე,*** *Материалы…I, გვ. 34-38;* ***Качарова Д. Д.,*** *Горд Гиэнос в античную эпоху... gv. 132;* ***Трапш М. М.,*** *Труды II, გვ. 283;* ***ვაშაკიძე ნ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 77.*

133. ***კილურაძე ნ.,*** *მძივები დაფნარის სამაროვნიდან. ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1970 წ., გვ. 15.*

134. ***Шелов Б. Б.,*** *Некрополь Танаиса, МИА, 1961 г., стр. 79;* ***Анфимов И. А.,*** *Место-сарматский могильник у станицы Уст-Лабинского, МИА, 23б 1951 г., стр. 117, рис. 10.*

135. ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ბერძენიშვილი დ., ჭუმბურიძე მ., ქარციძე ნ.,*** *ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2005 წლის საველე სამუშაოების წინასწარი ანგარიში. გვ. 3.*

136. *იქვე.*

137. *იქვე, გვ. 5.*

138. *მიაჩნიათ, რომ ქვევრსამარხების გავცელება კოლხეთში არის ქართიზაციის შედეგი (იხ.* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ელინიზმი და კოლხეთი. საბჭოთა ხელოვნება, 1971 წ., №9). სპეციალურ ლიტერატურაში კარგა ხანია დამკვიდრდა აზრი დასავლეთ საქართველოს*

აღმოსავლეთ რეგიონებში (გურია – იმერეთის ტერიტორია) მესხური ტომების განსახლების შესახებ. ***(ბერძენიშვილი ნ., მელიქიშვილი გ., ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ.)***.

139. ***ინაძე მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 173 და შმდ.*

140. *იქვე; ქართულ საისტორიო ტრადიციებში შემონახული რეალიებისა და ბერძნულ-რომაული ავტორების ცნობათა საფუძველზე კარგად აისახა ქართლისა და კოლხეთის ურთიერთობის ადრინდელი ეტაპი. სადაც კარგად ჩანს, რომ წინარეანტიკურ ხანაში, კოლხეთი ქართლისაგან დამოუკიდებელი ცალკე არსებული პოლიტიკური ერთეულია და დიდი ტერიტორიების მომცველი ქვეყანაა.*

141. *ქართლის ცხოვრება, I, გვ. 17-25.*

142. *ფარნავაზს ქუჯის დასახმარებლად გადმოყავს კავკასიელი მთიელები, აშენებს შორაპანსა და დიმნას და ა. შ.*

143. *ინაძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 192-193.*

144. ***ცქიტიშვილი გ.,*** *ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964 წ., გვ. 71 – 107.*

145. ***მათიაშვილი ნ.,*** *ძვ. წ. III – I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიკური ისტორიიდან. თბ., 1989 წ.,*

146. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ელინიზმი და კოლხეთი. ჟურნ., საბჭოთა ხელოვნება, 1971 წ., №8 და №9.*

147. ***მათიაშვილი ნ.,*** *ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბ., 2005 წ., გვ. 98;* ***გვინჩიძე გ.,*** *ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის. თბ., 1988 წ., გვ. 90).*

148. *ნიშანდობლივია, რომ კინჩხაში (ხონის რაიონი) ნაპოვნი მონეტა, რომელიც ეკუთვნის ბასილევს აკეს (დათარიღებულია ძვ. წ. II ს. 90-80-იანი წლებით) და მისი მინაბაძები, რომელიც იჭრებოდა ამავე საუკუნის დასარულს (აღმოჩენილია სამეგრელოსა და ვანში) იძლევა საფუძველს კოლხეთში სამეფო მონეტების ემისიის შესახებ, რომელიც გრძელდება ძვ. წ. I საუკუნეშიც. (იხ.* ***Дундуа Г. Ф.,*** *Нумизматика античной Грузии. Тб., 1987 г. გვ. 88-91.*

149. ***Кудрявцев О. В.****, Провинция Кападокия в системе римской восточной политики (17-72 гг.) ВДИ, 1955, №2, гვ. 48-70;* *იოსებ ფლავიუსის გადმოცემით: ახ. წ. I საუკუნის დასასრულში... „კოლხები, პენიოხები... და საერთოდ პონტოსა და მეოტიდის გარშემო მცხოვრები ხალხები, რომლებიც წინათ საკუთარ მბრძანებლებსაც არ ცნობდნენ, ახლა მორჩილებაში იმყოფებიან 3000 ჰოპლიტისა და 40 სამხედრო ხომალდის ძალითო" (ელ. ჟუდ. II, 16, 4);*

150. ***Arr. Periplus,*** *1, 7, 9, 15; შდრ.* ***კეჭაყმაძე ნ.,*** *ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავიზღვის გარშემო. თბ., 1961 წ.*

151. *ინვ. №№5732, 5725, 5735, 8204 – 2 ც., 8039, 9607, 8905.*

152. *ინვ. №№7447, 5889, 9645, 532.*

153. *ინვ. №8204.*

154. *ინვ. №5728.*

155. *ინვ. №6334, 6344.*

156. *ინვ. №5647.*

157. *ინვ. №5568.*

158. *ინვ. №2261.*

159. *ინვ. №119.*

160. ***ბრაგვაძე ზ., ჩიგოგიძე ქ.,*** *მოდინახეს სამაროვანი. არქეოლოგიური ჟურნალი, II, თბ., 2002 წ., გვ. 91, 119.*

161. *ინვ. №№5559, 5889, 2617.*

162. *ინვ. №№5545 – 2 ც., 5544, 5448, 5636, 5640, 5643, 5529, 5647.*

163. *ინვ. №№5669, 5648, 5635, 5655, 5525, 5889, 5657, 5574, 5658.*

164. ***ცქიტიშვილი გ.,*** *ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის...*

165. ***ლომთათიძე გ.,*** *კლდეეთის სამაროვანი ახ. წ. II ს. თბ., 1957 წ.*

166. *ინვ. №№526, 533;* ***ჯიქია ლ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 73.*

IV თავი | ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქები და ბიზანტია-ირანის გეოპოლიტიკური ინტერესები კოლხეთში

(ზოგადი ისტორიოგრაფიული მიმოხილვა)

ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან კოლხეთის სამეფოს ნანგრევებზე აღმოცენება დაიწყო ეგრისის ანუ ლაზეთის სამეფომ, რომელმაც დაიმორჩილა კოლხეთის მიწა-წყალზე მცხოვრები ტომები და ცალკეული ერთეულები მდ. ჭოროხის სექტორიდან, თანამედროვე აფხაზეთისა და მაღალმთიანი სვანეთის ჩათვლით და IV საუკუნის ბოლოსათვის მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა[1]. ამ დროისათვის ეგრისის სამეფოს საკმაოდ ხანგრძლივი და რთული გზა ჰქონდა გავლილი და პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ეტაპზე იმყოფებოდა[2]. ხელისუფლების მთავარ საზრუნავს თავდაცვის ერთიანი სისტემის შექმნა წარმოადგენდა. ამ დროს ციხე – ქალაქები და სიმაგრეები განლაგებულია, როგორც ზღვისპირა ზოლში ასევე ქვეყნის შიდა რაიონებში და სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზნით არიან წარმოშობილნი, მაგრამ IV – V საუკუნიდან ექცევიან ერთიან თავდაცვით სისტემაში, რასაც გარკვეულწილად აპირობებდა ეგრისის (ლაზიკის) როლი და ადგილი ამიერკავკასიაში მაშინდელი მსოფლიოს ორი დიდი სახელმწიფოს რომისა (ბიზანტიის) და ირანის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით. ეს დებულება, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს, მოკლედ მიმოვიხილავთ ლაზიკის ციხე-ქალაქებს ზღვისპირა ზოლსა და ქვეყნის სიღრმეში, რითაც უფრო გამოჩნდება ჩვენი ძირითადი საკვლევი ობიექტის – ქუთაისის მნიშვნელობა, ეგრისის სამეფოს საგარეო პოლიტიკურ სივრცეში, მისი კულტურულ – ეკონომიკური დონე სხვა ციხე-ქალაქებთან შედარებით და გვიანანტიკური ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლის მდგომარეობა.

1. ზღვისპირა ციხე-ქალაქები

აფსაროსი – ციხესიმაგრეა შავი ზღვის კოლხურ სანაპიროზე, დასავლეთ საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. ჭოროხის შესართავთან, თანამედროვე გონიოს ტერიტორიაზე.

აფსაროსის შესახებ ცნობები მოგვეპოვება ახ. წ. I საუკუნიდან[3]. ახ. წ. II საუკუნის წყაროებით იგი რომაული სამხედრო ბაზაა[4]. IV საუკუნის საგზაო რუკაზე მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტია[5]. პროკოპი კესარიელი (VI ს.) თვლის, რომ აფსაროსი „უძველესი ქალაქია ერთ დროს ხალხმრავალი, მძლავრი სასიმაგრო კედლებით, თეატრითა და იპოდრომით... ახლა აქ მხოლოდ ნაგებო-

ბათა საძირკვლებია”[6]. ე. ი. პირდაპირი მითითება აქ ბიზანტიელთა გარნიზონის ყოფნის შესახებ არა გვაქვს, მაგრამ ჩანს, რომ აფსაროსი მაინც მოქმედი ქალაქია. ამას ადასტურებს მომდევნო ისტორიკოსის აგათიას ცნობა, რომ აფსაროსის სატუსაღოში მოათავსეს გუბაზ მეფის მკვლელები რუსტიკე და იოანე[7].

აფსაროსს – სამხედრო ბანაკს იცნობენ უფრი გვიანი ხანის ბიზანტიური წყაროები: VII საუკუნის I ნახევრის „პასქალური ქრონიკა”[8] და VIII საუკუნის მეორე ნახევრის მწერალი ეპიფანე კონსტანტინეპოლელი[9], თუმცა ორივე ცნობა ადრინდელ ვითარებას ასახავს და ერთი საერთო წყაროდან მომდინარეობს. „აფსარეას” იხსენიებს აგრეთვე VIII საუკუნის ქართველი მწერალი იოანე საბანისძე[10].



სურ. 111. აფსაროსი (გონიოს ციხე)

აფსაროსი (გონიოს ციხე) შედარებით უკეთ შემონახული სასიმაგრო ნაგებობაა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. იგი დიდი ზომის (195X245 მმ) სწორკუთხა სიმაგრეა, ოთხი კარიბჭით[11] და ნაგებობის გარეთ გამოტანილი 18 კოშკით. კოშკები სხვადასხვა ფორმისაა: კვადრატული, სწორკუთხა და მომრგვალებული. კარიბჭეები სიმაგრის ოთხივე მხარეს იყო განლაგებული ერთმანეთის პირდაპირ, ინტერიერში ურთიერთგადამკვეთი ქუჩების შესაბამისად (სურ. 111). ყველა მონაცემით იგი ტიპიური რომაული ციხესიმაგრე ,,castellum”-ი იყო სადაც, არიანეს ცნობით, 5 კოჰორტა მდგარა (მათ შორის cohors II claudiana), რაც კაპადოკიის ლეგიონის ერთ მეოთხედს უდრიდა[12].

აფსაროსის ხუროთმოძღვრული შესწავლა სცადა ვლ. ლექვინაძემ[13], მან აქ გამოყო სამი სამშენებლო ფენა; აქედან მეორე სამშენებლო პერიოდი III – IV საუკუნეებით აქვს დათარიღებული, თუმცა იქვე შენიშნავს სიძნელეებს ძეგლის ზუსტ დათარიღებაში[14]. მისი აზრით, აფსაროსი სამხედრო-საზღვაო ხასიათის ციხესიმაგრეა და იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების სიმაგრეთა ჯაჭვში, ე. წ. „პონტოს ლიმესის” სისტემაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზა იყო[15].

1959 წლის ზაფხულში ბათუმის რაიონში მივლინებულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც სოფ. გონიოს ტერიტორიაზე ჩაატარა სადაზვერვო სამუშაოები[16].

ექსპედიციამ შიდაციხის ტერიტორიაზე დაადგინა ორი მძლავრი კულტურული ფენა: XI – XIII და VI – VIII საუკუნეების. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ციხის გარეთ წითელლაკიანი ჯამის ფრაგმენტის აღმოჩენამ, რომელიც ახ. წ. IV საუკუნით თარიღდება[17].

1960 წელს, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თაოსნობით (დირექტორი ა. ინაიშვილი) გაგრძელდა გონიოს ციხის შესწავლა, რომელიც რამდენიმე კამპანიის შემდეგ შეწყდა[18]. მიუხედავად ამისა, ციხესიმაგრის ჩრდილოეთით გამოვლინდა ქალაქის უბანი, ხოლო კასტელუმიდან 0, 5 კმ-ის დაშორებით მისი თანადროული სამაროვანი. გამოიყო კასტელუმის მშენებლობის ორი ეტაპი: პირველი – ახ. წ. I – II საუკუნეებით თარიღდება, მეორე – IV – VI საუკუნეებით. ვარაუდოებენ, რომ III საუკუნის მეორე ნახევარში აფსაროსი, ისევე როგორც პიტიუნტი, დაანგრიეს გუთებმა და IV საუკუნის დასაწყისში კვლავ აღდგენილი იქნა. გათხრების შედეგად გამოვლინდა რომაული სამხედრო ბანაკის ქვაფენილიანი გზები, წყალსადენის ქსელი, აბანოსა და სვეტებიანი ნაგებობის ნაშთები. კულტურულმა ფენებმა მოგვცა დიდძალი არქეოლოგიური მასალა: კრამიტები, ამფორები, სუფრისა და სამზარეულო ჭურჭლის ფრაგმენტები, წითელლაკიანი კერამიკა, გვიანანტიკური ხანის ამფორები, არქიტექტურული დეტალები, მონეტები და სხვ.

1974 წელს, გონიოში, გზის გაფართოების დროს, ლოდის ქვეშ აღმოჩნდა ნივთების მდიდრული განძი, რომელიც I – III საუკუნეებით თარიღდება და გვიანანტიკური ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშებითაა წარმოდგენილი[19].

1994 წლიდან იწყება ახალი ეტაპი გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ კვლევაში. ჯერ იქმნება მუზეუმ-ნაკრძალი, ხოლო 1995 წლიდან მუშაობას იწყებს მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია დ. ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობით, რომლის გარდაცვალების შემდეგ ექსპედიციას ხელმძღვანელობს პროფ. ა. კახიძე. არქეოლოგიურმა კვლევამ უჩვენა, რომ გონიო-აფსაროსის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ეტაპია გვიანანტიკური ხანა.

ახ. წ. I – III საუკუნეებში იგი იქცა დიდ საქალაქო ცენტრად. ვარაუდობენ, რომ უცხო გარნიზონი აქ ძვ. წ. I საუკუნის დამდეგს ჩნდება. გვიანანტიკური ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია გალავნის კედლები ოთხი კარიბჭითა და ოცდაორი კოშკით. გარნიზონისათვის განკუთვნილი ყაზარმა, კანალიზაციისა და წყალსადენის სისტემები. სვეტებიანი დარბაზი, რომაული თერმები, სამეურნეო სახელოსნო უბანი პრინციპიის ნაშთები და სხვ.[20]

თუ ქალაქის სპეციფიკაზე ვიმსჯელებთ, ნათელი გახდება, რომ აფსაროსი, რომაული სტანდარტების მიხედვით, საშუალო სიდიდის ბანაკების კატეგორიას ეკუთვნის. კასტელუმის ძირითად ნაწილს, რომლის ღერძებმა ჩვენამდე უცვლელად მოაღწია[21] (მოიცავს 4, 7 ჰექტარს) თავისუფლად შეეძლო დაეტია ერთი კოჰორტა და მის გასაძლიერებლად შემოყვანილი შეზღუდული ნაწილები – წინასწარ განსაზღვრული კონტიგენტი 1000 კაცამდე. მართალია, არიანეს ცნობით ახ. წ. 132 წ. აფსაროსში თითქოს იყო ხუთი კოჰორტა, რამაც სამეცნიერო წრეებში იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობა და გაკვირვება გამოიწვია, მაგრამ, როგორც ამერიკელი მეცნიერი მ. შპაიდელი აღნიშნავს, ამ მხრივ საინტერესოა ახლახანს გამოქვეყნებული წერილი (პაპირუსზე), სადაც მოხსენიებულია აფსაროსი და იქ მდგარი ერთ-ერთი კოჰორტა. ეს წერილი აღმოჩნდა ეგვიპტეში და დაწერილია აფსაროსის ვეტერანის მიერ. წერილის მნიშვნელობა, პირველ ყოვლისა, ძალზე დიდია აფსაროსში გარნიზონის ხასიათის დასადგენად და რადგანაც ამ წერილის მიხედვით **Cohors II Claudiana** იდგა აფსაროსში, მ. შპაიდელი ფიქრობს, რომ დანარჩენი ოთხი კოჰორტა, ასე თუ ისე დამხმარე ნაწილებს წარმოადგენდაო; ხოლო ნოლას (იტალია) წარწერაში მოხსენიებული აფსაროსის სამხედრო შენაერთი (ნუმერუს), მისი აზრით, შესაძლოა ასევე დამხმარე კოჰორტებს გულისხმობდაო[22]. გ. ლორთქიფანიძე თვლის[23], რომ სამხედრო შენაერთი „სპეირა" შეესატყვისება ლათინურ „მანიპულას", რაც კოჰორტის ერთ მესამედს უდრის (ე. ი. 150-200 კაცს). 5 სპეირა კი კოჰორტა-ნახევარია (დაახლ. 900 კაცი). ვფიქრობთ, გასაზიარებელია აღნიშნული მოსაზრება და აფსაროსშიც, მაქსიმუმ, 1000 – კაციანი გარნიზონი უნდა ვივარაუდოთ, თუმც აფსაროსში ხუთი კოჰორტას არსებობაც არაა უგულებელსაყოფი, მისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, რადგან ის წარმოადგენდა ყველაზე ხელსაყრელ ადგილს კავკასიაზე სამეთვალყურეოდ, როგორც შავი ზღვის უკუდურესი აღმოსავლეთი ციხესიმაგრე, საიდანაც შეიძლებოდა იბერიაში შეღწევა და დარიალის გადასასვლელის დაცვა. ბოლო პერიოდში აფსაროსის შესახებ რამოდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა შეიქმნა. მათ შორის ძალზე საინტერესოა გ. გამყრელიძის და თ. თოდუას წიგნი: რომის სამხედრო –

პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში, თბ., 2006 წ. უაღრესად საინტერესოა რომაული გარნიზონის ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხი. უმეტესწილად ეს ურთიერთობა მშვიდობიანი, ურთიერთსარგებლიანი და მეგობრული უნდა ყოფილიყო. ადგილობრივ მოსახლეობას გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა გარნიზონის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფის საქმეში, თანაც ფულად-სასაქონლო ურთიერთობის გზით. ჯარისკაცთა ჯამაგირის დიდი ნაწილი ადგილზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეძენას ხმარდებოდა. ამ გზით ვრცელდებოდა რომაული ვერცხლის ფული ადგილობრივ მოსახლეობაში, რაც ნუმიზმატიკური მონაცემებითაც კარგად დასტურდება[24]. ადგილობრივი არისტოკრატია, ბუნებრივია, „ევროპული" ფუფუნების საგნების შეძენითაც იქნებოდა დაინტერესებული, ეს კი ხელს უწყობდა სავაჭრო-საფინანსო ოპერაციების აღმავლობას და მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობების დამყარებას, მითუმეტეს, რომ აფსაროსში ვეტერანებიც დასახლდნენ და შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

აფსაროსის ჩრდილოეთით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე შემდეგი პუნქტი ბათუმის ციხეა.

ბათუმის (თამარის) ციხე – ყოროლის წყლის შესართავთან მოთავსებული ასევე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ჩანს. ვლ. ლექვინაძეს იგი რომაული კასტელას ტიპის სიმაგრედ მიაჩნია და VI საუკუნით ათარიღებს[25]. უფრო მეტიც, მისი აზრით, იგი თითქოს იუსტინიანეს მიერ აგებული ლოსორიონია[26]. ასეა თუ ისე, თითქმის საუკუნე ნახევარია ბათუმის ციხე მკვლევართა ყურადღების ცენტრშია მოქცეული. მას აიგივებენ Tabula peutingeriana-ს „პორტუს ალტუსთან", ანდა ანდრია მოციქულის „მიმოსვლაში" ნახსენებ „მეგაპოლისთან" (დიდი ქალაქი), სადაც არის ციხე აფსაროსი და მდინარე ფაზისი[27]. „საკითხის დამატებითმა შესწავლამ" აკად. სიმ. ყაუხჩიშვილი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ახლანდელი ბათუმი არის ციხესიმაგრე „პეტრა". მისი აზრით, ამას მოწმობს „სანავსადგურო მონაცემები და ეტიმოლოგიური ძიებები"[28].

ბათუმის წარსულზე საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული იური სიხარულიძეს[29], ნოდარ ლომოურს[30], აბელ სურგულაძეს[31], ასლან ინაიშვილს[32].

ბათუმის ციხისა და მიმდებარე ხეობათა არქეოლოგიური შესწავლა იწყება 1960 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის და ბათუმის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (პირველი ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი...)

ბათუმის ციხეზე განხორციელებული საველე – არქეოლოგიური კვლევის შედეგებს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნეს პროფ. ა. კახიძემ და აკად. წევრ – კორ. დ. ხახუტაიშვილმა[33], რაც შემდეგ სურათს იძლევა:

ძეგლი წარმოადგენს ტიპიურ გორასამოსახლოს, რომელიც დასახლებული ჩანს ძვ. წ. VIII – VI საუკუნეებიდან[34]. ადრეანტიკურ ხანაში ჩანს სავაჭრო – ეკონომიკური კავშირები ბერძნულ სამყაროსთან (მოახალშენეთა გამოჩენა.) კლასიკურ ხანაში ცხოვრება უფრო ინტენსიური გამხდარა. დასახლების გარეგნული სახე ხის არქიტექტურით იყო წარმოდგენილი. ქვის ნაგებობათა ნაშთები შეინიშნება მხოლოდ ელინისტური ხანიდან[35]. აღნიშნულ ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა ადრებიზანტიური ხანის ციხის ნაშთები. სამწუხაროდ, ტიპი-

ური ადრებიზანტიური წყობა აქ მხოლოდ მცირე მონაკვეთზე შეინიშნება. ამ სიმაგრის ძირითადი ნიშანია სწორკუთხა გეგმარება და მისი მსგავსება სებასტოპოლისის კასტელასთან[36].

ჩვენთვის საინტერესო დროის მონაკვეთში ბათუმის ციხის სტატუსის შესახებ კონკრეტული მსჯელობა ჭირს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პუნქტი ადრებიზანტიური ხანის მცირე ციხესიმაგრეების რიგს განეკუთვნება. არავინ იცის ვისი ინტერესებით აიგო ის. თუ VI საუკუნის პოლიტიკურ სიტუაციას გავითვალისწინებთ, მაშინ ციხესიმაგრის მშენებლობა აქ ბიზანტიელთა ინტერესებს უნდა დავუკავშიროთ, მითუმეტეს, აფსაროსისათვის იგი უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი ფორპოსტი ჩრდილოეთის მხრიდან და რომაელებისაგან მემკვიდრეობით მიღებულ, ე. წ. კავკასია – პონტოს „ლიმესის" სიმაგრეთა სისტემაში მასაც ბიზანტიელთათვის შესაფერისი ფუნქციური დატვირთვა ექნებოდა[37].

ე. წ. „პონტოს ლიმესის" კვლევის დროს ვ. ლექვინაძემ ერთ საინტერესო მომენტს მიაქცია ყურადღება. ზღვის სანაპიროზე განლაგებული ეს სიმაგრეები თითქმის თანაბარი მანძილით არიან ერთმანეთს დაცილებული, გარდა იშვიათი გამონაკლისისა. ე. ი. თითქოს აქაც რაღაც კანონზომიერება შეინიშნება. აფსაროს – ბათუმის შემდეგ მნიშვნელოვანი სიმაგრე და სტრატეგიული პუნქტი იყო ციხისძირი.

ციხისძირი (პეტრა?!) რომაულ – ბიზანტიური ხანის მნიშვნელოვანი ციხე – ქალაქი იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, აფსაროს – ბათუმის ჩრდილოეთით (სურ. 112). სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მას უმეტესწილად ბიზანტიური ეპოქის პეტრად მოიხსენიებენ. პეტრა – ციხისძირის იდენტიფიკაციის საკითხს თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორია აქვს[38]. ჩვენს ისტორიოგრაფიაში აკად. ს. ჯანაშია ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მონაცემების და ფოლკლორული მასალების საფუძველზე დამაჯერებლად დაასაბუთა დღევანდელი ციხისძირისა და ციხე ქალაქ პეტრას იგივეობა[39]. ეს დებულება საყოველთაოდ იქნა გაზიარებული და მანამდე არსებულთაგან ყველაზე უფრო სარწმუნოდ იქნა მიჩნეული[40]. ჯანაშიასეული ვარაუდი პეტრა – ციხისძირის იგივეობის შესახებ შემდგომში არა მარტო გაიზიარეს, არამედ ახალი მასალებით გაამდიდრეს ნ. ხოშტარიამ[41], პ. ინგოროყვამ[42], ნ. ლომოურმა[43], მ. სულეიმანოვმა[44], ვ. სიჭინავამ[45], ი. სიხარულიძემ[46], ალ. ქათამაძემ[47], ა. ინაიშვილმა[48], დ. ხახუტაიშვილმა[49], დ. მუსხელიშვილმა[50] და სხვებმა[51]. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც. მაგ., აღნიშნული იდენტიფიკაციის გავრცელებულ ვარიანტს არ იზიარებს ცნობილი გერმანელი ბიზანტიოლოგი ბერტოლდ რიბინი[52], ხოლო აკად. სიმ. ყაუხჩიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, პეტრას ლოკალიზაციას ბათუმში ახდენს. ამის საფუძველს ის ხედავს სახელის ეტიმოლოგიაში და სანავსადგურო პირობებში[53].



სურ. 112. ციხისძირი

ციხისძირისა და პეტრას იდენტიფიკაცია დამაჯერებლად უარყო აგრეთვე პროფ. გ. გრიგოლიამ. მან დაწვრილებით გაანალიზა ციხისძირის მიმართ გამოთქმული ცალკეულ ავტორთა შეხედულებები, წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური, ისტორიულ – გეოგრაფიული, ტოპონიმიკური მონაცემები, მისი მტკიცებით, პეტრა – ციხისძირის მცდარი იდენტიფიკაციის საფუძველს იძლევა პროკოპი კესარიელის ცნობების არასწორი გაგება. კერძოდ, წინამორბედ მკვლევართა მთავარ შეცდომად მას მიაჩნია პროკოპისეული ბოას – ფასისის

მცდარი გაიგივება რიონ – ყვირილასთან. გ. გრიგოლიას მტკიცებით, არც ერთი ჩვენებათაგანი პროკოპისეულ ფაზისთან კავშირში არ არის ნიშანდობლივი ყვირილა – რიონისათვის, რაც იმის დასტურია, რომ პროკოპი თავისი ისტორიის პირველ ნაწილში, იქ სადაც აღწერილია ბიზანტია – სპარსეთის ომები პეტრას ხელში ჩაგდების მიზნით, ბოას – ფასისი ყვირილა – რიონს არ გულისხმობს: მისი ბოას – ფასისი მხოლოდ და მხოლოდ ჭოროხია[54]. გ. გრიგოლიას აზრით, ქალაქი პეტრა შეცდომით არის დაკავშირებული მდ. რიონ – ფასისთან, რომელიც ლაზიკაში ირან – ბიზანტიის ომების I ეტაპზე თითქოს არ ფიგურირებს, ამ ეტაპის ძირითად მდინარედ ჭოროხ – ფასისი ჩანს და პეტრას ლოკალიზაციის ძირითად ორიენტირადაც ის უნდა იქნას მიჩნეული[55]. მიუხედავად იმისა, რომ ციხისძირის გარემო პირობები ძალზე ჰგავს პროკოპის აღწერილ პეტრას: კლდოვანი რელიეფი, სანავსადგურო პირობები, ზღვასთან სიახლოვე და ა. შ. მკვლევარის აზრით, ის მაინც არ შეესაბამება თანამედროვე ციხისძირის გეოგრაფიულ გარემოს. ლაზიკის სამეფოს სამხრეთის საზღვრის შესახებ გ. გრიგოლია შენიშნავს: „ლაზიკის ქედის განშტოებებით ხოფასთან განივად გადაკეტილი ზღვის სანაპირო ზოლი წარმოადგენს ისტორიული საქართველოს ფიზიკურ – გეოგრაფიულ საზღვარს, რომელსაც პოლიტიკური სასაზღვრო ხაზიც უნდა დამთხვეოდა. ასე იყო შუა საუკუნეებში და აქვე გადიოდა რომისა და ლაზიკის სამეფოების გამყოფი ხაზი V – VI საუკუნეებშიც[56]. ამ დებულების მთავარ არგუმენტად მას მოაქვს პროკოპის ცნობა: „ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრებამდე, სადაც ევქსინის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის”[57]. გ. გრიგოლიას ვარაუდით, „ამ ადგილზე მდებარეობს პატარა ქალაქი ხოფა, რომლის ტოპოგრაფია ზედმიწევნით შეესაბამება პროკოპის მიერ ქ. პეტრას ადგილმდებარეობის აღწერილობას და სავსებით ამართლებს პეტრას ანუ კლდეეთის სახელწოდებას”[58]. მაშასადამე, ბიზანტიური წყაროების პეტრა, როგორც სასაზღვრო ქალაქი, მდებარეობდა ისტორიული საქართველოს განაპირა პუნქტში – თანამედროვე ხოფას (ხუფათი) ტერიტორიაზე[59].

პეტრა – ხოფას შესაძლებელ იგივეობაზე ჩვენ ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ეს იგივეობა დამტკიცებულად ჩაითვლება, თუკი ხოფაში ბიზანტიური ეპოქის ციხესიმაგრის ნაშთები აღმოჩნდება. რამდენადაც ვიცი, იქ ჯერჯერობით ასეთი რამ დადასტურებული არაა. თუმცა ჩვნთვის ამჯერად მთავარი ისაა, რომ ციხისძირი ბიზანტიური ეპოქის მძლავრი ციხესიმაგრეა.

ციხისძირის ტერიტორია დასახლებული ჩანს ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანიდან. განსაკუთრებული დაწინაურება აქ შეინიშნება გვიანრომაულ – ადრებიზანტიურ ხანაში. მიაჩნიათ, რომ ამ პერიოდში იგი პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული ცენტრის ნიშნებს ატარებდა[60], ე. ი. ციხისძირის მნიშვნელოვანი დაწინაურება ხდება ახ. წ. III – IV საუკუნეებში. წყაროებიდან კი ცნობილია, რომ პეტრა მხოლოდ VI საუკუნეში იქცა ქალაქად, ისიც იუსტინიანეს წყალობით[61]. გ. გრიგოლია ვარაუდობს, რომ ციხისძირი პტოლემაიოსის გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში მითითებული მეორე სებასტოპოლისია, რომელიც მოთავსებული იყო აფსაროსსა და ფასისს შორის[62]. სხვა მკვლევართა აღიარებითაც, ახ. წ. II – III საუკუნეებში ციხისძირი „პონტოს ლიმესის” სისტემაში შემავალი სიმაგრეა, სადაც რომაული გარნიზონი იდგა[63]. არქეოლოგიური მონაცემები (დამღიანი აგური, მონეტები და სხვა) ამის

ნივთიერი დასტურია... გრიგოლიასეული ინტერპრეტაციით ციხისძირ – სებასტოპოლისის იგივეობის სასარგებლოდ მეტყველებს თითქოს ახ. წ. IV საუკუნის რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის რუკა, სადაც აღნიშნულია საგზაო მაგისტრალი **Artaxata-Sebastopolis**[64]. ეს გზა დასავლეთ საქართველოში ვარციხიდან **(Ad fontem Felicem)** დასავლეთისაკენ მიემართებოდა მდ. რიონის მარცხენა მხარეს და ზღვის სანაპიროზე მდებარე ციხისძირთან (სებასტოპოლისთან) თავდებოდა[65]. მაშინ გამოდის, რომ არტაშატ – სებასტოპოლისის მაგისტრალი ციხისძირთან უნდა შეხვედროდა შავიზღვისპირეთის გასწვრივ გამავალ გზას, რომელიც აღმოსავლეთ პროვინციებს დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა. თუმცა ეს საკითხი დასაბუთებას მოითხოვს.

ციხისძირის არქეოლოგიურ შესწავლას საფუძველი ჩაუყარა აკად. ს. ჯანაშიამ. მან მცირე გათხრითი სამუშაოები ჩაატარა საკუთრივ ციხის ტერიტორიაზე[66]. 1962 წლიდან აქ სისტემატურად ფართო მასშტაბის სამუშაოებს აწარმოებდა სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიცია ჯერ ნ. ბერძენიშვილის, შემდეგ ა. ინაიშვილის ხელმძღვანელობით. ციხისძირისა და მისი მიდამოების არქეოლოგიურ შესწავლას ახორციელებდა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიცია აკად. წევრ. კორ. დ. ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობითაც. ციხისძირის მიდამოებიდან ცნობილია ძალზე საინტერესო განძი, რომელიც შეიცავს ოქრომჭედლობის, ვერცხლის და ბრინჯაოს ნივთებს II – III საუკუნეებისას[67]. უშუალოდ ციხეზე გამოვლენილი ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია V საუკუნით დათარიღებული თლილი ქვით ნაგები ხუთწახნაგა შვერილაფსიდიანი, სამნავიანი ბაზილიკა, რომლის ქვეშ გამოვლინდა უფრო ადრინდელი ტაძრის კედლები. აქვე აღმოჩნდა ხუთგანყოფილებიანი აბანო, ქარვასლის ნაშთები და IV – VI საუკუნეების მრავალფეროვანი კერამიკისა და მონეტების შემცველი მძლავრი კულტურული ფენები[68].

უაღრესად საყურადღებო მასალები გამოვლინდა ე. წ. სანერგეს ტერიტორიაზე: ორი აბანოს ნაშთი, დიდი ზომის საზოგადოებრივი ნაგებობა (სასახლე), სხვადასხვა არქიტექტურული დეტალები (მარმარილოს სვეტის ნატეხი, კაპიტელი), მოზაიკის ფრაგმენტები, წითელლაკიანი კერამიკა, მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, საკმაოდ ვრცელი სამაროვანი (ორმოსამარხები, ამფორასამარხები) და სხვა, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ზოგადად ახ. წ. II – VI საუკუნეებში თავსდება[69]. ციხისძირის მონაპოვართა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მრავალრიცხოვან ნუმიზმატიკურ მასალას, რომელშიც შედის ოქროს, ვერცხლის და სპილენძის მონეტები. ისინი წარმოდგენას გვიქმნიან ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარებაზე, ამ ურთიერთობების თავისებურებებზე და იმ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებზე, რომელიც ჰქონდა ციხისძირს (და საერთოდ, ლაზიკას) რომის იმპერიის აღმოსავლეთის პროვინციებთან, არმენიასთან და კაპადოკიის ცენტრებთან[70].

ნუმიზმატიკური და სხვა არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე მკვლევარები ასკვნიან, რომ ციხისძირის მიდამოებში რომაელთა გარნიზონები ფეხს იკიდებენ III საუკუნის მიწურულიდან, ხოლო IV – V საუკუნეებში მათ აქ ძლიერი დასაყრდენი პუნქტი გააჩნიათ. ასე გრძელდება VI საუკუნეშიც[71]. ვფიქრობთ, აღნიშნული დებულება დაზუსტებას საჭიროებს, რადგან, როგორც ვარაუდობენ, ახ. წ. II საუკუნიდან ეგრის-ლაზიკის სამხრეთი ნაწილი იმპერიის

მიერ იყო ოკუპირებული და ის პოლემონის პონტოს პროვინციაში შედიოდა[72]. ვარაუდოებენ, რომ ამ პროვინციის უკიდურესი ჩრდილოეთის სასაზღვრო პუნქტი ციხისძირში უნდა ყოფილიყო (პტოლემაიოსის მიხედვით სებასტოპოლისი). შესაძლოა ციხისძირში იჯდა კაპადოკიის მმართველის ერთ-ერთი მეთვალყურე – მოხელე და ციხისძირის მდიდრულ განძში შემავალი ინვენტარიც მის საკუთრებას წარმოადგენდა[73].

ლაზიკის სამხრეთი ნაწილი პონტოს პროვინციის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო V საუკუნის შუა ხანებამდე, ხოლო გუბაზ I დროს (465 წ.), როგორც ჩანს, კვლავ მოხდა ეგრისის მთლიანობის აღდგენა და ისტორიული საზღვრების დაბრუნება. გ. გრიგოლიას ზემოთ მოტანილი მტკიცებით ლაზიკის სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი თითქოს კვლავ ხოფა – ხუფათთან იქნა გადატანილი[74]. ახ. წ. I – VI საუკუნეების ციხისძირის არქეოლოგიურ ძეგლებს საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ნ. ინაიშვილმა, სადაც ძირითადად გაიმეორა ადრე გამოთქმული დებულებები. მისეული დასკვნით: „ციხისძირში დაახლოებით ახ. წ. III საუკუნის ბოლოდან VI საუკუნის დასასრულამდე არსებობს რომაულ – ბიზანტიური სტრატეგიული პუნქტი, რომლის გვერდით ახ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიქმნება საკმაოდ მნიშვნელოვანი ქალაქური ტიპის დასახლება განვითარებული სახელოსნო წარმოებით. აღნიშნული დასახლების უდიდესი განვითარების პერიოდი ახ. წ. IV – V საუკუნეებზე მოდის".

ავტორი არგუმენტირებულ ეჭვს გამოთქვამს პეტრა – ციხისძირის იგივეობის თაობაზეც და თვლის მას გადაუჭრელად. ამასთანავე ფიქრობს, რომ ციხისძირში დადასტურებული მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი მოხსენიებული უნდა იყოს „**Notitia dignitatium"**-ში „მოხორას" სახით. თუმცა აღნიშნულ საკითხს საბოლოოდ ნათელს მოჰფენს ციხისძირთან ერთად, ხოფას არქეოლოგიური შესწავლაო[75].

ციხისძირის ჩრდილოეთით იყო აგრეთვე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი ფასისი.

ფასისი – რიონის შესართავთან, თანამედროვე ფოთის ტერიტორიაზეა ლოკალიზებული. მის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ფრედერიკ დიუბუას მიერ შედგენილი სქემატური გეგმა, სადაც იგი სწორკუთხა კვადრატული ფორმის სიმაგრეა, კუთხეებში წრიული კოშკებით გამაგრებული[76] (თუმც მრგვალი კოშკის არსებობა გათხრების გარეშე ძნელად დასამტკიცებელია).

წერილობითი წყაროები ფასისთან დაკავშირებით მრავალგზისაა გაანალიზებული სხვადასხვა კუთხით სხვადასხვა მკვლევარის მიერ[77], სადაც უმთავრესი თავსატეხი ფასისის ლოკალიზაციის პრობლემაა. ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლით კიდევ ერთხელ ციტირება მოვახდინოთ ახ. წ. II საუკუნის თვითმხილველის ფლავიუს არიანეს ცნობიდან: „ციხე, სადაც მოთავსებულია 400 რჩეული მეომარი, მე ძალიან მტკიცე მეჩვენა ადგილმდებარეობის ბუნებრივ თვისებათა გამო და ისეთ ადგილზე გაშენებულად, რომელიც მეტად მარჯვეა აქ მენაოსნეთა დაცვისათვის. კედელს ირგვლივ შემოვლებული აქვს ორმაგი თხრილი. ეს ორივე (თხრილი) განიერია. წინათ გალავანი ალიზისა იყო და მასზე იდგა ხის კოშკები, მაგრამ ახლა გალავანიც და კოშკებიც გამომწვარი აგურითაა ნაშენი. იგი ნაგებია მაგარ საძირკველზე, მასზე აღმართულია საომარი მანქანები. ერთი სიტყვით, იგი მომარაგებულია ყოველივე იმით, რაც საჭირო

იმისათვის, რომ ბარბაროსთაგან არავის შეეძლოს გაკარებაც კი, არათუ მასში მყოფი მეციხოვნეთათვის გარემოცვით საფრთხეში ჩაგდება. ხოლო რადგან თვითონ ნავსადგურიც უნდა წარმოადგენდეს ხომალდებისათვის უშიშარ საფარს, აგრეთვე ყველა ის ადგილები, რაც ციხესიმაგრის გარეთ დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედროებით და ზოგიერთი სხვა მოვაჭრე ხალხით, ამიტომ მე გადავწყვიტე ორმაგი თხრილიდან დაწყებული, რომელიც შემოვლებული აქვს გალავანს, გამეყვანა სხვა თხრილი მდინარემდე, რომელიც გარს შემოევლება ნავსადგურს და გალავანს გარეთ მდებარე სახლებს"[78].

არიანეს ზემოთ მოყვანილი ცნობა შესანიშნავია წყაროა (ახ. წ. II ს.) გვიანანტიკურ ხანაში ფასისის გარეგნული სახის და მისი სტატუსის გარკვევისათვის.

როგორც ვხედავთ, ადრე იგი ხის და მიწაყრილისაგან ყოფილა აგებული, როგორც დროებითი ციხესიმაგრე ე. წ. „**Pila muralia**", ხოლო არიანეს დროს მისთვის კედლები და კოშკები აგურით შეუცვლიათ და საგანგებოდ თხრილებით გაუმაგრებიათ. ამდროინდელი ფასისის შესახებ ვლ. ლექვინაძე აღნიშნავს, რომ ეს ციხესიმაგრე რომაული კასტელა იყო, ხოლო მის ირგვლივ თხრილშემოვლებული დასახლება „კანაბა"[79]. ფასისის სტრატეგიულ მნიშვნელობას ასახავს ისტორიკოს ზოსიმეს ცნობა, რომ ის 256 წელს ვერ აიღეს სკვითებმა[80]. მრავალმხრივ საინტერესოა ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის ცნობები: 555 წელს აქ ბიზანტიელებმა გადამწყვეტი ბრძოლა მოუგეს სპარსელებს. იგი აღნიშნავს, რომ მაშინ ციხესიმაგრე, რომელიც ბიზანტიელებს ეპყრათ, ხის კედლებით ყოფილა მოზღუდული და მიუთითებს აგრეთვე საქალაქო დასახლებაზე[81]. VI საუკუნის II ნახევარში ფასისი რომ კვლავ რომაელების ხელში იყო ამას მენანდრეც ადასტურებს[82], ასე გრძელდება შემდგომშიაც, თუმცა იგი ამასთანავე მნიშვნელოვანი ქრისტიანული საეკლესიო ცენტრი ჩანს[83]. ე. ი. ზემოთ მოყვანილი ცნობებით ირკვევა, რომ ფასისი ახ. წ. II – VIII საუკუნეებში (რომაულ – ბიზანტიურ ხანაში) გამორჩეული სტრატეგიული, სავაჭრო – ეკონომიკური და საეკლესიო ცენტრი იყო.

ფასისის არქეოლოგიურ კვლევა – ძიებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს ისტორია ეტაპების მიხედვით თანმიმდევრულადაა განხილული პროფ. თ. მიქელაძის ნაშრომში. „არქეოლოგიური კვლევა – ძიება რიონის ქვემო წელზე" (თბ., 1978 წ.). პირველ რიგში, გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებანი ქალაქის ლოკალიზაციის შესახებ. პრობლემებისადმი დამოკიდებულების მიხედვით იგი მკვლევართა შორის ორ ჯგუფს გამოყოფს: „პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი, რომლებიც ან სავსებით გამორიცხავენ მდინარე ფასისისა და რიონის იგივეობას, ანდა მიაჩნიათ, რომ ფასისი ყოველთვის, თუ ყველა ნაწილში, რიონს არ უდრის და შესაბამისად ქ. ფასისსაც რიონის შესართავიდან სამხრეთით, მერმინდელი გურიის ფარგლებში ათავსებენ (თ. ბრაუნი, ნ. შაფრანოვი, ბ. კუფტინი, გ. გრიგოლია). მკვლევართა მეორე ჯგუფი (დიუბუა დე მონპერე, ლ. ელნიცკი, მ. ბერძნიშვილი, ნ. ლომოური, ჭ. ჯანელიძე) კი პირიქით, ამტკიცებენ ფასისისა და რიონის იგივეობას შემდეგი დაზუსტებით: ფასისი კი მართლაც რიონს უდრის, ოღონდ მისი შესართავი, ზღვის სანაპირო და მაშასადამე, ქ. ფასისი უფრო აღმოსავლეთითაა საძიებელი, ვიდრე დღევანდელი ფოთია ან უკიდურეს შემთხვევაში, დღევანდელი ფოთის ცენტრალური ნაწილია[84]. მკვლევარი საკუთრივ განიხილავს ძველი ფასისის მდებარეობის საკ-

ითხს საისტორიო წყაროებში[85], არქეოლოგიური კვლევა – ძიების შედეგებთან მიმართებაში და აღნიშნავს: ა) ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან მაინც ჭალადიდ – სიმაგრის მიდამოებში არსებობას იწყებენ სამოსახლოები, რომელთა წარმოქმნასა და ხასიათში მოცემულია წინაპირობები საქალაქო ცენტრის აღმოცენებისა და რომელთა საფუძველზე შემდგომ წარმოიშობა ქ. ფასისი.

ბ) ამ ძეგლების ტოპოგრაფიაში მოცემულია შესაძლებლობა მდ. ფასის – რიონის კალაპოტი რიონის ქვემო წელზე – იქვე ვივარაუდოთ, სადაც ახლაა.

გ) ის გარემოება, რომ რაც უფრო ვუახლოვდებით ზღვის თანამედროვე სანაპიროს, სულ უფრო და უფრო გვიანი ძეგლები გვხვდება, შეიძლება ეს იმას გვიჩვენებდეს, რომ ქ. ფასისი სხვადასხვა ეპოქაში ფასის – რიონის სხვადასხვა მონაკვეთზე მდებარეობდა[86].

მართლაც, არ შეიძლება არ დაეთანხმო პატივცემულ მკვლევარს გამოთქმული დასკვნების სისწორეში. ჰიდროგეომორფოლოგიური ცვლილებები[87], რომელიც ზღვის სანაპირომ განიცადა რიონის შესართავთან საუკუნეების განმავლობაში, შეუძლებელს ხდიდა საკუთრივ არა თუ ქალაქის აღმოჩენას, არამედ შესაბამისად საქალაქო ცენტრის ტიპოლოგიური თავისებურებების შესახებ მსჯელობას.

პროფ. თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით 60-70-იან წლებში განხორციელდა ფართო მასშტაბის სამუშაოები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციისა და გეოლოგიური სამმართველოს ერთობლივი მონაწილეობით. შედეგებით მიღებული დასკვნა ასეთია: „დღევანდელი ფოთის უდიდეს ნაწილში ძველი ფასისის არსებობა გამორიცხულია, მაგრამ გარეუბნებში, მაგალითად, ე. წ. „საგოროდოს ტყეში", აეროდრომისა და სანერგის მიდამოებში შეიძლება დადასტურდეს ბიზანტიური და იქნებ რომაული ხანის ქალაქის კვალი"[88]. ამ მოსაზრების გამოთქმისას ის ეყრდნობა ამ ადგილებში აღმოჩენილი არქოლოგიური მასალების (წელგამოყვანილი ამფორები, გვერდებაკეცილი კრამიტები, აგური და სხვა) მონაცემებს, რომლებიც ზოგადად IV – VI საუკუნეებით თარიღდება[89].

არიანესეულ ფაზისს, როგორც ჩანს, მიაგნო დიუბუა დე მონპერემ[90] რიონის მარცხენა ნაპირზე, 700 მ. დაშორებით. როგორც აღინიშნა, ციხესიმაგრე, მისი გეგმის მიხედვით, ოთხკუთხაა (175X175 ნაბიჯზე), კუთხეებში წრიული კოშკებით (დმ. 30 ნაბიჯი). 1955 წელს „ნაჯიხურად" წოდებული ეს ადგილი მოიხილა პროფ. ნ. ლომოურმა[91]. ნაჯიხურზე მან შეამჩნია ოთხი სიმეტრიულად განლაგებული ბორცვი, როგორც ჩანს, კოშკების ადგილი. კედლებს შორის მანძილი დაახლ. 170/150 მ იყო. ე. ი. ციხესიმაგრის ფართობი 2,5 ჰექტარს უდრიდა, რაც სავსებით საკმარისი იყო ერთ კოჰორტამდე (400 ჯარისკაცი) ჯარის ნაწილის ჩასაყენებლად. ფასისის ეს ციხესიმაგრე ფოთის აეროდრომის მშენებლობის დროს დაუნგრევიათ. სამოციან წლებში პროფ. გ. გრიგოლიამ[92] მიუსწრო მის უკანასკნელ ნაშთებს: აგურით ამოყვანილ კოშკის საძირკველს ვარდისფერ კირხსნარზე, წითელლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტებს და იმპერატორ ადრიანეს სახელზე მოჭრილ ვერცხლის მონეტას, გვიანანტიკური ამფორების ნაშთებს და სხვა.

უკანასკნელ წლებში რიონის შესართავთან, ზღვის სანაპირო ზოლში და პალიასტომის ტბის მიდამოებში ჩატარდა ჰიდროარქეოლოგიური კვლევა-ძიება,

რომელიც განახორციელა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ გ. გამყრელიძის ხელმძღვანელობით[93]. აქ ზღვის სანაპიროს ჰიდროარქეოლოგიურმა კვლევამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. სამაგიეროდ, პალიასტომის ტბის ჩრდილო – დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილ იქნა ახ. წ. III – IV საუკუნეების ნამოსახლარი მრავალფეროვანი კერამიკით, მთლიანი ამფორებით და სამაროვნის ნაშთებით. ადგილობრივი წარმოების კრამიტისა და აგურის ფრაგმენტებთან ერთად ყურადღებას იქცევს იმპორტული ნაწარმიც... არქეოლოგიური მონაპოვარი მსგავსია თანადროულ ძეგლებზე (ქუთაისი, ვარდციხე, ნამაშევი, მთისძირი, ვაშნარი, წებელდა) აღმოჩენილი მასალებისა, მაგრამ განსაკუთრებით სიახლოვეს იჩენს ბიჭვინთაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, გუდავასა და ნოქალაქევში აღმოჩენილ მასალებთან[94]. სამწუხაროდ, ქალაქის სტატუსის შესახებ კვლავ წერილობითი წყაროებით გვიხდება გარკვევა, რომელთა მიხედვით იგი კასტელუმის ტიპის ციხესიმაგრეა, ირგვლივ თხრილშემოვლებული დასახლებით, რომელსაც „კანაბა" ეწოდება. აქ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობენ ვეტერანებიც, რომლებიც ეწევიან ხელოსნობას და ვაჭრობას. ამ მხრივ თითქოს ერთნაირი ვითარება ჩანს არიანეს დროს (II ს.) და აგათიას პერიოდში (VI ს.)

გუდავა – გალის რაიონშია, მდ. ოქუმის შესართავთან. გაიგივებულია ზიგანეოსთან[95]. **Notitia dignitatum**-ის მიხედვით იგი IV – V საუკუნეების მიჯნაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, თანაც აქ ლაზიკის ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრია მითითებული[96]. იგი არაერთხელ მოიხსენიება VII – IX საუკუნების ბიზანტიის იმპერიის საეპისკოპოსო კათედრების სიებში[97].

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ 1968-1969 წლებში აქ ჩაატარა პირველი არქეოლოგიური კამპანია[98] და სხვადასხვა პერიოდის მასალებთან ერთად აღმოაჩინა გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის მასალები[99].

1969 წელს ექსპედიციამ გააგრძელა მუშაობა და გამოიკვლია მცირე ზომის სწორკუთხა ნაგებობის ნაშთები, აღმოსავლეთის მხარეზე ნახევარწრიული შვერილი აფსიდით.

1972 წელს ამ ნაგებობის ძირში გამოვლინდა ადრეფეოდალური ხანის მარმარილოს არქიტექტურული დეტალები, რაც მკვლევარებს აფიქრებინებს მის ფუნქციონირებაზე ადრეფეოდალურ ხანაში, როგორც ბაპტისტერიუმი, რადგანაც მის აფსიდს აუზისებური ფორმა აქვს[100].

ექსპედიციამ თითქოს მიაკვლია კასტელუმის ზღუდის ერთ კედელს. ვარაუდობენ, რომ ეს ზღუდის ერთი მხარეა (აღმ. ნაწილი). იგი 110 მ. სიგრძის ყოფილა. წყობა ნაკლებ მეტყველია, ამიტომ ძეგლის ხასიათსა და ფუნქციაზე მსჯელობა მხოლოდ მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალით შეიძლება... პირველ რიგში, აღსანიშნავია IV საუკუნის მონეტები, რომელნიც მოჭრილია კონსტანტინე დიდისა და ლიციინიუსის სახელზე. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ყავისფერკეციანი წელგამოყვანილი ამფორები (IV – V სს.). გარდა ადგილობრივი ნაწარმისა, აღმოჩნდა იმპორტული წარმოშობის ამფორები, წითელლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, მცირეაზიური წარმოშობის ლუთერიები, ხალიანი მინა და სხვა, რომლის ანალოგიები ცნობილია ბიჭვინტაში, სოხუმსა და ციხისძირიდან[101].

იმის გამო, რომ ზოგანეოსის ზღუდე – გალავანი ნაკლებ მონუმენტურია, მას ხსნიან მისი ნაკლები მნიშვნელობით და იმითაც, რომ ამ ჭაობიან ადგილებში არ

არსებობს სამშენებლო ქვის კარიერი[102]. ასეა თუ ისე, აღნიშნული პუნქტი აქტიურად მონაწილეობს IV – VI საუკუნეების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და რაც მთავარია, მისი საეკლესიო დანიშნულება ძალზე მნიშვნელოვანია.

სებასტოპოლისი – გაიგივებულია სოხუმის ციხესთან. მის შესახებ საკმაო ცნობებია დაცული რომაულ და ბიზანტიურ წერილობით წყაროებში (პლინიუსი, NH, V, 14; არიანე, PPE, 26, პროკოპი კესარიელი, BG VIII, 14; იუსტინიანეს ნოველა XXVIII). ამ ცნობების თანახმად დიოსკურია – სებასტოპოლისი ერთ-ერთი თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი პუნქტია შავი ზღვის კოლხურ სანაპიროზე. ამიტომაც მისი არქეოლოგიური შესწავლის ინტერესი უკვე დიდი ხანია არსებობს.

დიოსკურია – სებასტოპოლისის არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში არქეოლოგ – ენთუზიასტი ვლ. ჩერნიაკოვსკი[103]. 1886 წლის გაზაფხულზე მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით სოხუმში ჩამოვიდა ვ. სიზოვი. მან მოიხილა ქალაქის ტერიტორია და მცირე გათხრების შედეგად მიაკვლია მძლავრ კულტურულ ფენებს, რომელშიაც ჭარბობდა გვიანანტიკური ხანის კერამიკა[104].

1925 წელს სოხუმის ტერიტორიაზე არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა პროფ. ა. ბაშკიროვმა[105]. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ძველი ციხესიმაგრის ნაშთებზე და ერთ-ერთი კოშკის შესწავლისას აღნიშნა რომ „ჩვენ აქ ვხედავთ სამი კულტურის ნაშთებს: თურქული, ბიზანტიური და რომაული"[106].

1940 წ. სოხუმის ტერიტორიაზე, შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს გამოვლინდა კულტურული ფენები, რომელიც შეისწავლა ლ. სოლოვიოვმა[107].

სოხუმისა და ზოგადად, კოლხეთის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1951 წლის გაზაფხულზე სოხუმის მთის მიდამოებში ჩატარებულ გათხრებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის და აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით[108].

1952-1956 წლებში სოხუმის მიდამოებში მნიშვნელოვანი საკვლევაძიებო სამუშაოები ჩაატარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტარატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ მ. თრაფშის ხელმძღვანელობით და უაღრესად მდიდარი არქეოლოგიური მასალა მოიპოვა დიოსკურიის ანტიკური ხანის ისტორიისათვის[109].

1957 წელს სოხუმის ციხის არქეოლოგიური შესწავლა განახორციელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ინსტიტუტის ექსპედიციამ (რაზმის ხელმძღვანელი ლ. შერვაშიძე) და სანაპიროს გასწვრივ ორასიოდე მეტრის სიგრძეზე გამოავლინა სასიმაგრო კომპლექსი, რომლის ძირითადი კედლები ზღვაში იყო ჩაძირული[110]. სოხუმის არქეოლოგიურ შესწავლაში ახალი ეტაპი იწყება 1959 წლიდან, როცა შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიცია[111].

სოხუმის ციხეზე მიკვლეული იქნა ჩვენთვის საინტერესო პერიოდის კულტურული ფენები, რომლებიც შეიცავდა წითთელლაკიანი კერამიკის, ხალიანი მინის, გვიანანტიკური ხანის ამფორების ფრაგმენტებს და მონეტებს. სხვადასხვა დროს აღმოჩნდა აბანოს ნაშთები, წყალგაყვანილობის მილები, იმპორტული და ადგილობრივი წარმოების კერამიკა, რკინისა და მინის ნაწარმი და ა. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯერ კიდევ 1896 წელს აღმოჩენილი ლათი-

ნურწარწერიანი კერამიკული ფილა – რომის იმპერიასთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი დოკუმენტი[112].

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ქალაქი აყვავებას განიცდის II – III საუკუნეებში, ხოლო მისი თანდათანობრივი დაქვეითება ხდება IV საუკუნის მეორე ნახევრიდან. მაშასადამე, კვლევის პირველი შედეგებით ციხესიმაგრე ფუნქციონირებს I – IV საუკუნეებში[113]. როგორც აღინიშნა, სოხუმის ციხის (და, საერთოდ, დიოსკურია – სებასტოპოლისის) არქეოლოგიური შესწავლა ახალ ფაზაში შევიდა 1959 წლიდან სანაპიროს ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური კვლევის შედეგად[114]. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოხუმის ციხის ხელახალი ხუროთმოძღვრული გამოკვლევა, რომელიც შეასრულა პროფ. ვლ. ლექვინაძემ[115]. იგი აღნიშნავს, რომ სებასტოპოლისი წარმოადგენდა ერთ-ერთ რომაულ სამხედრო ბაზას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რომელიც მემკვიდრეობით მიიღეს შემდგომ ბიზანტიელებმა[116]. VII – VIII საუკუნეებში იგი გადაიქცევა მსხვილ საქალაქო ცენტრად და მას უწოდებენ „დიდ სებასტოპოლისს"[117]. მკვლევარი თვლის, რომ სებასტოპოლისი გეგმის მიხედვით ტიპური რომაული კასტელაა, თუმცა განსხვავებული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა კასტელათაგან, რადგან მას უნდა ჰქონოდა პარალელოგრამის ფორმა – მომრგვალებული კუთხეებით[118].

არქიტექტურული ანალიზის, არქეოლოგიური მონაცემების და წერილობითი წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ვლ. ლექვინაძე დაასკვნის: „პლინიუსის მოხსენიებული ციხე – სიმაგრე სებასტოპოლისში არ დადასტურდა. შესაძლოა I საუკუნის შუა ხანებში აქ იყო ისეთივე დროებითი სიმაგრე მიწაყრილით, თხრილით და ხის კოშკებით, როგორიც აღწერილი აქვს არიანეს ფასისში. არც არიანეს მიერ მონახულებული სიმაგრე II საუკუნეში სებასტოპოლისში, რომელსაც ჰქონდა ქვის თუ აგურის კედლები, ასევე არ დადასტურდა"[119]. მისი აზრით, სებასტოპოლისში გამოვლენილი სასიმაგრო სისტემის ნაშთები მიეკუთვნება ორ კასტელას. კასტელა I – აგებული უნდა იყოს III საუკუნეში, ხოლო კასტელა II, რომელიც ზომებით ნაკლებია პირველზე, აგებული ჩანს, ბიზანტია – სპარსეთის ომის წინ IV, V ან VI საუკუნის დასაწყისში[120]. ცოტა მოგვიანებით ვ. ლექვინაძე აზუსტებს კასტელა II აგების თარიღს და მას იუსტინიანეს აგებულად თვლის[121].

სოხუმის ციხის სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელი იყო ჰიდროარქეოლოგიური კვლევის გარეშე. პირველი ცდები XIX ს. 50-იან წლებში განხორციელდა[122]. 1985 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჰიდროარქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოხუმის ციხის პირდაპირ ზღვის ნაპირიდან 120 მ. დაშორებით დაადასტურა 50-იან წლებში მიკვლეული ზღუდის კედლის ნაშთები. ისინი უმეტესწილად ჩაფლული ყოფილა ქვიშაში და დაფარული ზღვის მცენარეებით და ნიჟარებით. გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა ე. წ. აგურ – კვადროვანი წყობა, რომელიც დამახასიათებელია ადრე შუა საუკუნეებისათვის[123].

მაშასადამე, სებასტოპოლისის ისტორიულ განვითარებაში ჩვენთვის საინტერესო ორი ძირითადი პერიოდი გამოიყოფა: 1. გვიანანტიკური (რომაული) ხანა და 2. ადრე შუა საუკუნეების (ადრებიზანტიური) ხანა. პირველ პერიოდში აშკარად ჩანს, რომ აქ რომაელთა გავლენა ინტენსიურ ხასიათს ატარებს. როგორც ფიქრობენ, სავსებით მოსალოდნელია, რომ აქ რომაელთა 200-კაციანი გარნიზონი მაინც იდგა[124]. თუმცა, საბოლოო მონაცემებით, სებასტოპოლისი საშუალო

კატეგორიის ციხესიმაგრე ჩანს და, ალბათ, საკოჰორტო კასტელუმიც იყო[125]. არქეოლოგიური მონაცემებიც მიუთითებენ ინტენსიურ კავშირებს იმპერიის მცირეაზიურ ცენტრებთან[126]. როგორც ცნობილია, სებასტოპოლისთან დაასრულა საინსპექციო მოგზაურობა ფლავიუს არიანემ 131 წელს[127]. ე. ი. აქ მთავრდებოდა რომაელთა სამფლობელოები II საუკუნის პირველ ნახევარში და მათი ბატონობის უკიდურესი საყრდენი პუნქტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თავდაპირველად სებასტოპოლისი იყო. შემდგომში ეს ფუნქცია იკისრა პიტიუნტმა.

ანაკოფია — მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ივერიის მთაზე. აფხაზეთის „ციხეთა თავადი" – ასე მოიხსენიებს ანაკოფიას ნ. ბერძენიშვილი და მას თვლის აფხაზეთის აღმოსავლეთ საზღვრად. მისი ვარაუდით, „პროკოპის ტრაქეა... გულისხმობს ანაკოფია – ფსირცხას, სადაც აფხაზეთი მართლაც იწყებოდა". ციხესიმაგრეს საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს (7 ჰექტარი), ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგება: ციტადელი და დიდი გალავანი. ცნობილია, რომ ანაკოფია დიდ როლს ასრულებდა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულის – აფხაზთა საერისთავოს ცხოვრებაში. იგი ამ საერისთავოს პოლიტიკური ცენტრი – ერისთავის რეზიდენცია იყო VII – VIII საუკუნეებში. ანაკოფიას თავისი მნიშვნელობა არც მომდევნო ხანაში (X – XII სს.) დაუკარგავს. ამიტომაც მისი არქეოლოგიური შესწავლის ინტერესი დიდი ხანია გაჩნდა[128]. 1957-1958 წლებში მ. თრაფშის ხელმძღვანელობით ჯერ აფხაზეთის კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების ინიციატივით და შემდგომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მეთვალყურეობით და მეურვეობით განხორციელდა ანაკოფიის ციხის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა[129]. ექსპედიციის მუშაობის შედეგები მოკლედ ასეთია:

1. ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში ჩანს ივერიის მთის სამხრეთი ფერდობი ათვისებული სამოსახლოდ. ცხოვრება აქ გრძელდება ანტიკურ ხანაში ძვ. წ. IV – II საუკუნეებში[130].
2. ძირითადი არქეოლოგიური მონაპოვარის ქრონოლოგიური დიაპაზონი თავსდება VII – XII საუკუნეთა ჩარჩოებში[131].
3. ამავე საუკუნეებით თარიღდება ის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელიც მ. თრაფშის ხელმძღვანელობით ექსპედიციამ შეისწავლა[132].

ვისაც ადგილზე უნახავს ანაკოფიის ციხე, ის თვალის ერთი გადავლებითაც მიხვდება, რომ აქ უფრო ადრინდელ სამშენებლო ფენებთან გვაქვს საქმე. ეს იმთავითვე შენიშნა იმავე ექსპედიციის მონაწილემ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ – თანამშრომელმა ვლ. ლექვინაძემ და სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ამ ძეგლს[133].

ანაკოფიის სასიმაგრო სისტემას ის ორ ნაწილად ყოფს: 1. ციტადელი (შიდაციხე) და 2. ციხე-ქალაქის დიდი გალავანი. მისი აზრით, შიდაციხე მრავალფენიანი არქიტექტურული ძეგლია. მისი უძველესი ფენები ანალოგიურია სკანდის, შორაპნის და არქეოპოლისის ხუროთმოძღვრული კონსტრუქციებისა, რომელიც V – VI საუკუნეებით თარიღდება[134]. სათანადო არქიტექტურული ანალიზისა და პარალელური მასალების მოშველიების საფუძველზე ანაკოფიის შიდაციხე ვლ. ლექვინაძეს IV – VI საუკუნეებით აქვს დათარიღებული[135].

რაც შეეხება ციხე-ქალაქის დიდ გალავანს თავისი კოშკებით, ისე, როგორც ამას მ. თრაფში ფიქრობდა, VII – VIII საუკუნეებში უნდა იყოს აგებული[136]. აქედან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ციხესიმაგრის მთავარი წრიული კოშკი, რომელიც ზედ კარიბჭესთან არის აღმართული[137]. აღნიშნული კოშკი უფრო სწორად დედაბურჯი, გეგმარების მიხედვით ნაწილობრივ წააგავს ქუთაისის ციხესიმაგრის მთავარ ბასტიონს, რაც ძალზე ნიშანდობლივია და ხუროთმოძღვრული ტრადიციების ერთგვარობაზე მეტყველებს.

მართალია, ანაკოფიის ციხე ზღვასთან ახლოს მდებარეობს და მასაც, გარკვეულწილად, თავისუფლად შეეძლო ზემოთ განხილული ციხესიმაგრეების მსგავსი ფუნქციის შესრულება, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება ტიპური რომაული კასტელებისაგან (აფსაროსი, ფასისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი) და ქვეყნის შიდა რაიონების ციხე-ქალაქებთან იჩენს მეტ მსგავსებას (წებელდა, სკანდა, შორაპანი, არქეოპოლისი). ამას, რა თქმა უნდა, თავისი ახსნა აქვს: პირველ ყოვლისა, ესაა ციხესიმაგრის წარმოშობის მიზეზი და მიზანი; 2. ვინ არის სიმაგრის შექმნის მთავარი ინიციატორი; 3. რა ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა მას.

ბიჭვინტა – პიტიუნტი ბერძენ-რომაელი ავტორებისა[138], როგორც ჩანს, არსებობდა ანტიკურ ხანაშიც, ხოლო ახ. წ. I – IV საუკუნეებში იგი ტიპიური რომაული ციხესიმაგრე იყო[139]. პიტიუნტის შესახებ ინტერესი დიდი ხანია არ დამცხრალა. მას განიხილავდნენ დიუბუა დე მონპერე, ა. ნორდმანი, მარი ბროსე, დ. ბაქრაძე, პ. უვაროვა, ად. ბერჟე, ი. ნოვიკოვი, ვ. ჩერნიავსკი, ლეონ მელიქსეთ – ბეგი, ა. ზოტოვი და სხვები[140].

1925 წლის ზაფხულში აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების თხოვნით მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიური ინსტიტუტისა და მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის დავალებით არქეოლოგიურ ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა პროფ. ა. ბაშკიროვი, რომელმაც აფხაზეთის სხვა ძეგლებთან ერთად, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა ბიჭვინთის კონცხზე[141]. მან აქ მიაკვლია ძველი ნაქალაქარის ნაშთებს, გალავნის კედლებს, კოშკებს და ქრისტიანული ტაძრების ნაშთებს[142].

1939 წელს ბიჭვინტის კონცხის არქეოლოგიური ძეგლები მიმოიხილა აფხაზმა მხარეთმცოდნემ ი. აძინბამ და მის მიერ შედგენილი ავტონომიურ რესპუბლიკის არქეოლოგიური ძეგლების ნუსხაში ნაქალაქარის ნაშთებიც შევიდა[143].

1952 წლიდან ბიჭვინტის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით და მრავალწლიანი გათხრების შედეგები გამოქვეყნდა სამ სქელტანიან კრებულში „დიდი პიტიუნტის" სახელწოდებით[144]. ექსპედიციის მუშაობას წინ უძღოდა სადაზვერვო სამუშაოები, რომელიც 1952 – 1953 წლებში ჩაატარა ბიჭვინტის ნაქალაქარზე პირველმა აფხაზმა არქეოლოგმა მ. თრაფშმა[145]. 1975 წლიდან ბიჭვინტის არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა პროფ. გ. ლორთქიფანიძე[146].

„დიდი პიტიუნტის" კვალს ექსპედიციამ ვერ მიაკვლია[147]. უდავოა, რომ რომაელები, რომლებიც ბერძნების მემკვიდრეებად თვლიდნენ თავს, I – II საუკუნეებში აგებენ აქ ჯერ ხის და შემდეგ ქვითკირის ციხესიმაგრეს, სადაც აყენებენ მუდმივ გარნიზონს. აქედან მოყოლებული IV საუკუნის ბოლომდე, ჰუნების გამანადგურე-

ბელ თავდასხმამდე, ციხე – ქალაქის სტატუსის მქონე პიტიუნტი ადმინისტრაციულად შედის რომის პროვინცია კაპადოკიის შემადგენლობაში. ის წარმოადგენდა იმპერიის უკიდურეს ჩრდილო – დასავლეთ საზღვარზე განლაგებულ ფორპოსტს, რომელსაც ევალებოდა ამ მხარეში საკაბოტაჟო ნაოსნობის უზრუნველყოფა და პროვინციის შორეული მისადგომების უსაფრთხოების დაცვა.



სურ. 113. პიტიუნტი

IV საუკუნის დასაწყისიდან პიტიუნტი გადაიქცა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრად – პიტიუნტის საეპისკოპოსოდ, რომელიც იერარქიულად ნეოკესარიის სამიტროპოლიტოში შედიოდა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ემორჩილებოდა. აქ ეწეოდა სამისიონერო მოღვაწეობას ანდრია მოციქული, პირველწოდებული.

II – III საუკუნეების პიტიუნტის კასტელუმის გეგმა ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. მასზე მსჯელობა შეიძლება უფრო გვიანდელი ციხესიმაგრის ზომების მიხედვით, რომელიც ძირითად მონახაზებში უნდა ემთხვეოდეს მას[148].

„დიდი პიტიუნტის" სასიმაგრო სისტემა ძირითადად შედგება ორი ნაწილისაგან: 1. სწორკუთხა – დასავლეთი ზღუდისაგან და 2. მომრგვალებული ფორმის – აღმოსავლეთ ნაწილისაგან (სურ. 113). გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ეს ორი ნაწილი სიმაგრისა სხვადასხვა დროს არის შექმნილი[149]. აქედან პირველი – სწორკუთხა კასტელუმი – უფრო ადრეულია (IV ს.). კედლები გამაგრებულია კოშკებით (სხვადასხვა ზომისა და ფორმის) და კონტრფორსებით. მარაოსებური კოშკები IV საუკუნით არის დათარიღებული, აგურ – კვადროვანი წყობა – IV – V საუკუნეებით[150].

კასტელუმის ცენტრში 50-60-იან წლებში გაითხარა რომაულ სამხედრო ბანაკთან დაკავშირებული III – IV საუკუნეების რამდენიმე ნაგებობა[151], რომელთა შორის გამოირჩვა მეთაურის რეზიდენცია – პრეტორიუმი და აქ დაბანაკებული შენაერთის სამხედრო ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი შენობები: პრინციპია, „ლეგატის სასახლე". პრეტორიის ეზოში განლაგებული იყო საცხოვრებელი ოთახები, სამზარეულო, საკუჭნაო და სხვ. პიტიუნტის გათხრის ანგარიშის მიხედვით, XIII ნაკვეთში გამოვლენილი ნაგებობა ყველაზე გრანდიოზულია. ვარაუდობენ, რომ აქ იყო სასამართლო, ტრიბუნალი, ბაზილიკა – ტაძარი, სამხედრო შტაბის სამუშაო ოთახები, ოფიცერთა საკრებულო, საწყობები და ა. შ. ნაგებობებს ჰქონდათ მოზაიკური იატაკი, კანალიზაცია, იატაკქვეშა გათბობის სისტემა, ფუნქციონირებდა აბანოს კომპლექსი (თერმები), სამკურნალო სახლი და სხვ. არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია სანათურ – ჭრაქებით, სუფრისა და სამზარეულო კერამიკით, რკინის სამეურნეო იარაღებით, მინის ჭურჭლით, მონეტებით და ა. შ.

ციხესიმაგრის დიდი ნაწილი ცენტრის განაპირას პრინციპიის, ოფიცერთა საკრებულოსა და აბანო – ლაზარეთის შემდეგ ლეგიონერთა ყაზარმებს ეჭირა. როგორც ვარაუდობენ[152], პიტიუნტში ექვსამდე ყაზარმა მაინც უნდა ყოფილიყო, სულ ცოტა, ერთი კოჰორტის, ექვსი ცენტურიის დასაბინავებლად. მიუხედავად იმისა, რომ პიტიუნტში გათხრები ჯერ არ დამთავრებულა და რიგი საკითხებისა გაურკვეველია, ზოგადი დასკვნის გაკეთება მაინც შეიძლება:

„პიტიუნტი II – IV საუკუნეებში წარმოადგენდა რომის იმპერიის, კერძოდ, პროვინცია კაპადოკიის შემადგენლობაში მყოფ უკიდურეს სასაზღვრო ციხე-ქალაქს, რომაელ მფლობელთა ავანპოსტს ჩრდილო – დასავლეთ კავკასიაში. პრეტორიის, პრინციპიის და სხვა ნაგებობათა მასშტაბები გვაფიქრებინებს, რომ პიტიუნტში

უნდა ყოფილიყო თავმოყრილი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებული ჯარისა და ფლოტის ნაწილების ვექსილაციების ბირთვი, შტაბითა და პრეტორის რეზიდენციით. პიტიუნტის ციხესიმაგრე საგრძნობლად ჭარბობდა ფასისისა და სებასტოპოლისის ანალოგიური დანიშნულების სამხედრო ბანაკებს"[153].

IV საუკუნის ბოლოსათვის (დაახლ. 370 წ.) პიტიუნტმა გაიზიარა ბოსფორის ქალაქების ხვედრი, იგი ჰუნების შემოსევის მსხვერპლი გახდა[154]. ამის შემდეგ პიტიუნტმა დაკარგა თავისი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა VI საუკუნის დასაწყისამდე. VI საუკუნის პირველი მეოთხედიდან კვლავ იწყება საქალაქო ცხოვრების გარკვეული გამოცოცხლება პიტიუნტში, რაც დაკავშირებულია ბიზანტიელთა აქტიურობასთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და მათი გარნიზონის ჩაყენებასთან. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ბიზანტიელებმა აღადგინეს პიტიუნტის ციხესიმაგრე, რამაც ხელი შეუწყო საქალაქო ცხოვრების განახლებას და აღმავლობას. ამ დროს იგება ახალი ტაძრები როგორც ციხე-ქალაქში, ასევე მის ფარგლებს გარეთ და ამით იწყება ახალი ეტაპი ძველი ქალაქის ცხოვრებაში. პიტიუნტი გადაიქცევა სატაძრო ქალაქად[155]. მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალზე საინტერესო არქეოლოგიური აღმოჩენები VII – VIII საუკუნეებში ბიჭვინტას წარმოადგენენ როგორც საეკლესიო ცენტრს[156].

დასკვნა: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ციხე-ქალაქები და რომის იმპერიის სასაზღვრო სისტემა ახ. წ. I – IV სს.

აღმოსავლეთში ექსპანსიის დასაწყისისთანავე რომაელებს კარგად ჰქონდათ შეგნებული კოლხეთის შავიზღვისპირა ქალაქების სტრატეგიული მნიშვნელობა და ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. 37 წელს ის ვასალური სამეფოს „პოლემონის პონტოს" (კაპადოკიის) შემადგენლობაში შეიყვანეს, ხოლო ახ. წ. 63 წლიდან კოლხეთი თვით იმპერიის შემადგენელ ნაწილად აქციეს[157] და სანაპირო ზოლის სხვადასხვა პუნქტებში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს[158]. საოკუპაციო ჯარებისათვის, როგორც ჩანს, აქ დროებითი მიწაყრილისა და ხისაგან აგებული **(Pila Muralia),** ციხესიმაგრეები მოაწყვეს. ამას მოწმობს არიანეს ცნობა ფასისის შესახებ[159] და პიტიუნტის არქეოლოგიური მონაცემები, სადაც პროფ. გ. ლორთქიფანიძის თქმით, „ძელური სასიმაგრო ნაგებობების აღმოჩენამ გვიჩვენა, რომ რომაელები ჯერ კიდევ არიანეს საინსპექციო მოაგზაურობამდე საფუძველს უყრიან სამხედრო პლაცდარმს, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ნაოსნობის უსაფრთხოება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღნიშნულ სექტორში. II საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისში კი შენდება ხანგრძლივი დროისათვის გამიზნული მძლავრი სამხედრო ბანაკები – კასტელუმები"[160].

ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან რომის სახელმწიფო იმპერიის აღმოსავლეთში სასაზღვრო ზოლს აწესრიგებს სამი ძირითადი პრინციპით: 1. სამხედრო უშიშროება, 2. საგადასახადო სისტემის მოწესრიგება, 3. ადმინისტრაციული მართვისა და მართლმსაჯულების შემოღება.

აღმოსავლეთ სასაზღვრო ხაზის მოდერნიზაცია და მისი დაცვის სისტემის რეორგანიზაცია ძირითადად იმპერატორ ვესპასიანეს სახელთანაა დაკავშირებული (70-79 წწ.). მის შემდეგ ე. წ. „ლიმესმა" იმპერიის აღმოსავლეთში კარგად გამართული თავდაცვითი ხაზის მაღალორგანიზებული კომუნიკაციის სახე მიიღო[161].

ახ. წ. II საუკუნიდან რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების ციხეს-იმაგრეთა სისტემის მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო კოლხეთის სანაპიროს პუნქტები: აფსაროსი, ციხისძირი, ფასისი, ზიგანისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი. ისინი უშუალოდ განლაგებული იყვნენ ზღვის სანაპიროზე და ქმნიდნენ თავდაცვის ერთიან ხაზს, ე. წ. სამხედრო – საზღვაო ხასიათის „პონტოს ლიმესის" სისტემას ანუ უფრო სწორად, კავკასია – პონტოს დაცვის ხაზს[162]. სახელწოდება „პონტოს ლიმესი" უაღრესად პირობითია და იქნებ მართლაც მიუღებელი, როგორც ეს დამაჯერებლად დაასაბუთა ნ. ლომოურმა[163]. უფრო მართებული ჩანს მ. შპაიდელის შემოთავაზებული ტერმინი „კავკასიის საზღვარი", რადგან აღნიშნული პუნქტების ძირითადი დანიშნულება იყო საკაბოტაჟო ნაოსნობის უზრუნველყოფა, სასაზღვრო გზების უსაფრთხოების დაცვა და იმპერიის საზღვრების ჩაკეტვა მტრის მოულოდნელი თავდასხმისაგან.

I – IV საუკუნეებში აფსარუნტ – ფასის – სებასტოპოლის – პიტიუნტში ჩაყენებული ფლოტისა და ცალკეული სამხედრო ვექსილაციების კავშირი ურთიერთშორის რეგულარული და კარგად შეთანხმებული იყო. „პონტოს ლიმესისადმი" მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევაში ვლ. ლექვინაძემ ყურადღება გაამახვილა პლინიუსის, არიანესა და **Notitia dignitatum** – ის ცნობებზე, რომელიც წარმოადგენს სრულ ნუსხას აღმ. შავიზღვისპირეთში რომაელთა სიმაგრეების (კასტელების) არსებობის შესახებ. მისი შენიშვნით, პლინიუსის და არიანეს ცნობები ასახავენ „პონტოს ლიმესის" განვითარების საწყის სტადიას, ხოლო **Notitia** – ში აღნიშნული სიმაგრეები, თუკი ისინი მართლაც ეგრისის სანაპიროზე იყვნენ, რაც ნაკლებ სარწმუნოა, – ასახულია ამ სიმაგრეთა რიცხვის შემცირება, ე. ი. აღნიშნულ ნუსხათა შუალედ პერიოდში (III – IV სს.) მოხდა „პონტოს ლიმესის" სრული რეორგანიზაცია და აყვავება, ხოლო IV საუკუნის ბოლოს დაცემა – განადგურება[164], მაგრამ მთლად ასე არ ფიქრობს **Notitia dignitatum** – ის ცნობილი მკვლევარი კონსტანტინე ცუკერმანი, მისი ვარაუდით, IV საუკუნეში კოლხეთის სებასტოპოლისში და პიტიუნტში (ზიგანეოსშიც) იდგა გარნიზონები, ხოლო ნოტიციაში ჩამოთვლილი დანარჩენი პუნქტები ტრაპიზონის მიდამოებში – ჭანეთის ტერიტორიაზე აქვს მას ლოკალიზებული (სურ. 114).



სურ. 114. რუკა ცუკერმანის მიხედვით

მართლაც, IV საუკუნის ბოლოს, როგორც ჩვენს ისტორიოგრაფიაშია მიღებული, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლი თავისუფლდება რომაელთა გავლენისაგან და ეს ტერიტორია გაგრა – ბიჭვინთის სექტორიდან ჭოროხამდე... ლაზეთის შემადგენლობაშია. ლაზებს ემორჩილებიან აბსილ – აბაზგთა ტომები, რომლებსაც უკვე მართავენ არა ადრინდელი „ბასილევსები" ანდა დამოუკიდებელი „მთავრები", არამედ „პატრიკები". თავის მხრივ, ლაზების მეფე ბიზანტიის იმპერატორის ვასალია[165]. პროკოპი კესარიელის გადმოცემით, ლაზები, მართალია, „რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, მაგრამ არც ხარკს უხდიდნენ და არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ"[166].

მორჩილება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ლაზებს ევალებოდათ დაეცვათ იმპერიის საზღვრები კავკასიელთა შემოტევებისაგან, რასაც წარმატებით ახერხებდნენ, ამიტომაც „ლაზიკა კავკასიაში მოსახლე ბარბაროსებისათვის იყო თავდაცვის ზღუდე"[167]. აღნიშნული შეფასება კარგად ასახავს რომაელ – ბიზანტიელთა დამოკიდებულებას ეგრისის სამეფოსთან. ე. ი. IV საუკუნის ბოლოდან რომაელები ძირითადად აღარ ჩანან კოლხეთის ციხესიმაგრეებში. აღნიშნულ სექტორში ისინი კვლავ გამოჩნდებიან მხოლოდ VI საუკუნეში[168]. ე. ი. კვლავ ხდება „პონტოს ლიმესის" აღორძინება და ძველი სიმაგრეების განახლება. თუმცა ბიზანტიელთა ინტერესები განსხვავებულია. მათი დამოკიდებულება გაცილებით უფრო აგრესიულია და მათი სტრატეგიული მიზნებიც უფრო აქტიურია, ვიდრე რომაელებისა. იუსტინიანეს დროს და მანამდეც, ირანის აგრესიულმა მოქმედებამ შეცვალა ბიზანტიელთა მიდგომა აღმოსავლეთის სასაზღვრო ზოლის საკითხებისადმი[169]. ისინი აღარ კმაყოფილდებიან ზღვის სანაპირო ზოლით და ქვეყნის სიღრმეშიც ზრუნავენ თავდაცვის სისტემის განმტკიცებაზე. ფაქტობრივად იბრძვიან ეგრისში სრული გაბატონებისათვის, რასაც წარმატებით აღწევენ კიდეც. ამაში მდგომარეობს რომაელთა და ბიზანტიელთა პოლიტიკური ინტერესების განსხვავება და, შესაბამისად, საზღვრების დაცვის განსხვავებული პრინციპებიც: რომაელებს მხოლოდ ზღვის სანაპიროზე აქვთ თავიანთი სიმაგრეები, ბიზანტიელებს ქვეყნის შიგნითაც.

I – IV საუკუნეებში რომაელთა სამხედრო პოლიტიკა კავკასიაში ნაკლებ აგრესიული იყო. ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან უფრო მშვიდობიანი და ურთიერთსარგებლიანი ჩანს. ალბათ, არსებობდა სათანადო შეთანხმება რომსა და ეგრისის სამეფოს შორის. I – IV საუკუნეებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაელთა სიმაგრეები ზღვის სანაპირო ზოლს არ გასცდენია. ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი ურთიერთობა, როგორც ჩანს, ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდა[170]. ყოველივე ეს ასახულია არქეოლოგიურ მონაპოვარში. მაგალითად, თუ შევადარებთ რომაელთა „მოღვაწეობას", ე. წ. „რომანიზაციას" დას. ევროპისას (ჩრდ. იტალია, რეინისპირეთი და სხვ.) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან, დავინახავთ მკვეთრ განსხვავებას. რომის კულტურული იმპულსები იქ გაცილებით უფრო მძლავრია და შესაბამისად, რომაული კულტურის რადიაციაც უფრო ძლიერია, ვიდრე კოლხეთში. ასეთი ვითარება ჩანს IV საუკუნემდე. შემდეგ კი კოლხეთში ვითარება იცვლება. ეს ცვლილება კარგად აისახა ჩვენს საკვლევ ობიექტზე ქუთაისზეც...

2. ეგრისის შიდა ქალაქები

ა) რიონ – ყვირილას სასიმაგრო თავდაცვის ხაზი

ვაშნარის – ნაქალაქარი, რომლის ძველი სახელწოდება უცნობია, მდებარეობს ოზურგეთის რაიონში, მდინარეების ნატანების და სკურდების შესართავთან წარმოქმნილ მოხერხებულ შემაღლებაზე. 1833 წელს ის მოინახულა დიუბუა დე მონპერემ[171], ხოლო 50 წლის შემდეგ ქართველმა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ[172]. მათ დაგვიტოვეს ძეგლის მოკლე აღწერილობა და სქემატური გეგმები. 1949 წელს სოფ. ვაშნარში ჩაის ფაბრიკის მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით ჩაატარა მცირემასშტაბიანი სამუშაოები[173].

ნაწილობრივ გაწმენდილ იქნა სწორკუთხა ზღუდე – გალავნის კედლები (კედლის სიგანე 1 მ-ია), შიდა მხრიდან ასევე სწორკუთხა კოშკებით, ადრექრისტიანული ხანის ბაზილიკა, მავზოლეუმი, არქიტექტურული დეტალები (კაპიტელი), წყალსადენის მაგისტრალი და სხვ. გ. გობეჯიშვილი აღნიშნავს, რომ „საერთოდ ვაშნარის გათხრებმა დაამტკიცა, რომ მშენებლობის საქმე V – VIII საუკუნეების ლაზიკაში მყარ ნიადაგზე იდგა. ძლიერ მტკიცე კირის დუღაბი, არაჩვეულებრივად კარგად გამომწვარი აგური და კრამიტი, საკმაოდ კარგად გათლილი ტუფის ქვა, მხატვრულად დამუშავებული მარმარილო და ქვიშაქვა. იატაკის გასამართავად გამოყენებული დანაყილი აგურისა და ქვიშის ხსნარი ნაგებობებს სიმტკიცესაც აძლევდა და ლაზათსაც მატებდა[174]". „ჩვენს წინაშე დგება ისტორიულ წყაროებში აქამდე უცნობი დასავლური ციხე-ქალაქი, მსგავსი და ალბათ, თანამედროვე ისეთი ძეგლებისა, როგორიცაა შორაპანი, სკანდა, ვარციხე, ნოქალაქევი და სხვა"[175].

ვაშნარის არქიტექტურული ძეგლები (ბაზილიკა, მავზოლეუმი) სპეციალურად შეისწავლა ვლ. ლექვინაძემ. მან გაკვირვება გამოთქვა ზღუდე გალავანში კოშკების შიდა მხრიდან განლაგების თაობაზე, რადგან მათ ამის გამო დაკარგული აქვთ კედლების ფლანკირების ფუნქცია. თუმცა შენიშნავს, რომ კოშკების ასეთი განლაგება დამახასიათებელია სამონასტრო ზღუდეებისათვის, სადაც კოშკები საცხოვრებლად და სხვა დანიშნულებისათვისაც იყო გამოყენებული (საკულტო, სამეურნეო)[176]. ვლ. ლექვინაძემ, ბაზილიკისა და მავზოლეუმის ხუროთმოძღვრულ ანალიზთან ერთად, ყურადღება გაამახვილა ე. წ. აგურ – კვადროვან წყობაზე. **(Opus mixtum)** და იქ აღმოჩენილ წარწერაზე. მიიჩნია, რომ ბაზილიკა და მავზოლეუმი დაახლოებით VI – VII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს[177]. პირველ ყოვლისა, ძნელია დაეთანხმო მკვლევარს ნაშრომში გამოთქმული იმ დებულების სისწორეში თითქოს ქრისტიანობა, როგორც სახელმწიფო რელიგია, ლაზიკაში მიღებულ იქნა მხოლოდ 523 წელს[178]. უგულებელყოფილია მოსაზრება ამ მოვლენის IV საუკუნით დათარიღების შესახებ[179] და კიდევ, ვლ. ლექვინაძე, რომელიც ბულგარელი მეცნიერის ბობჩევის ერთგული მიმდევარია (ე. წ. შერეული წყობის აგურის რიგების რაოდენობის მიხედვით ნაგებობათა დათარიღებაში), რატომღაც არ ღალატობს თავის პრინციპს და ვაშნარში აღმოჩენილი სამ და ოთხრიგიან აგურ – სარტყლიან კე-

დლებს IV – V საუკუნეებით კი არ ათარიღებს, როგორც მას სჩვევია, არამედ VI – VII საუკუნეებით. რამდენად სწორია ეს დათარიღება, ჩვენთვის ძნელი სათქმელია, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთს შევნიშნავთ: ერთმეტრიანი სიგანის გალავნის კედლები ცნობილია ქუთაისში, ვარდციხეში, ნოქალაქევის ტერიტორიაზე და შორაპანში, სადაც ისინი ერთობლივი აღიარებით IV საუკუნით არის განსაზღვრული[180]. ვფიქრობთ, ეს ვითარება ვაშნარის ხელახალი კვლევის დროს გასათვალისწინებელია. ამასთანავე, IV საუკუნის პირველ ნახევარში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების მაუწყებელი მრავალი ძეგლი გამოვლინდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, IV საუკუნითაა დათარიღებული ქუთაისის ციტადელში აღმოჩენილი „სამლოცველო სახლი" და რაც მთავარია ქალაქის დიდი ბაზილიკა, ასევე V საუკუნისაა ქუთაისისა და ნოქალაქევის ადრინდელი ბაზილიკები[181]. საწყენია, რომ აღნიშნული ძეგლის იდენტიფიკაცია აქამდე არ მოხერხდა[182]. ძნელია მის ფუნქციაზე და სტატუსზე კონკრეტულად საუბარი, შესაძლოა იგი საკულტო ცენტრი უფრო იყო, ვიდრე სამხედრო – სტრატეგიული პუნქტი. ამიტომ მისი განხილვა ციხესიმაგრეთა რიგში მხოლოდ პირობითია. თუმცა უკანასკნელ პერიოდში ვაჟა სადრაძის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ IV – VII საუკუნეების ვაშნარი – „გურიანი" – „სპონიეთი" წარმოადგენდა ციხე – ქალაქს და მონასტერს წამებულის განსასვენებელი – მარტირიუმით, კათედრალური ტაძრით – სამნავიანი ბაზილიკითა და სასიმაგრო სისტემით[183]. რასაც ჩვენ ვიზიარებთ.

ნესოსი აგათია სქოლასტიკოსის ცნობებში ხშირად იხსენიება. მდებარეობდა იქ, სადაც მდინარე ტეხური უერთდება რიონს. რიონისა და ტეხურის „ხერთვისთან" არხი გაუჭრიათ და ამ ორი მდინარის შეერთებით ხელოვნური კუნძული შეუქმნიათ, რომელიც ირგვლივ მდინარეებითა და არხით იყო გარშემორტყმული.

სიმ. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, ნესოსში იყო ბიზანტიელთა ჯარის ცენტრალური ბანაკი, რომლის სახელწოდება ლათინური „ინსულადან" (რაც კუნძულს ნიშნავს) მომდინარეობს[184]. დღემდე შემორჩა ამ ადგილს ეს სახელი „ისულა". „ამ მიდამოებში ციხესიმაგრის არსებობის არავითარი ნიშანი არ ჩანს. ისტორიკოს აგათიას აღწერილობითაც აქ ციხე არ ყოფილა. ნესოსის სამხედრო მნიშვნელობა და ძალა მდგომარეობდა მის კუნძულისებრ ხასიათში, იმაში, რომ ის, როგორც მდინარეთა მორევებით გარშემორტყმული, ადვილი მისადგომი არ იყო"[185]. ნესოს – ისულა ფასისის აღმოსავლეთით, მისგან დაახლოებით ექვსი ფარსანგის დაშორებით მდებარეობდა. აგათიასეული ეს განსაზღვრება მანძილისა, ნესოსსა და ფასისს შორის, გამოიყენეს ფასისის ლოკალიზაციის გადასაწყვეტად[186]. პროფ. თ. მიქელაძეც თვლის, რომ „აგათიასთან დამოწმებული ნესოსი, ისულა – ისულეთს შეესაბამება და გულისხმობს ტეხურს, რიონსა და სუდგარს შორის მოქცეულ ადგილს, რომელსაც ახლაც ისულეთი ჰქვია"[187]. მისივე დაზუსტებით, ექვსი ფარსანგი შეესაბამება 30-32 კმ. და იმ ადგილს აღწევს (ფოთთან), სადაც ახ. წ. V – VI საუკუნეების არქეოლოგიური მასალები აღმოჩნდა[188]. ე. ი. წმინდა გეოგრაფიულმა ფაქტორმა განაპირობა აქ თავდასაცავი ბაზის მოწყობა, რომელიც აკონტროლებდა ნოქალაქევისა და ქუთაისისაკენ მიმავალ ხეობებს და რაც მთავარია, იცავდა ქალაქ ფასისის მისადგომებს.

ტელეფისი VI საუკუნის შუა ხანებში (553 წ.) აქტიურად მონაწილეობს ირანსა და ბიზანტიას შორის ლაზეთში მიმდინარე საომარ ოპერაციებში. სახელთა

მსგავსების გამო ვარაუდობდნენ (მ. ბროსე, ივ. ჯავახიშვილი) მის ლოკალიზაციას ჩხარის რაიონის სოფ. ტელეფასთან. აღნიშნულ საკითხზე მნიშვნელოვანი კვლევა ჩაატარა აკად. სიმ. ყაუხჩიშვილმა 1935 წელს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ტელეფისი არ შეიძლება ვიგულისხმოთ ჩხარის რაიონში შემდეგი მოსაზრებების გამო:

1. ტელეფისი – აგათიას ცნობების მიხედვით, მდებარეობდა ძნელსავალ მთიანს, კლდიანს, ნაპრალებიან ადგილს. ტელეფა კი დავაკებულ ადგილზეა და არ შეესაბამება აგათიას აღწერილობას.
2. ტელეფისი ნესოსიდან დაშორებული იყო ხუთი ფარსანგით (27 კმ-მდე), ხოლო ჩხარის ტელეფადან ნესოსამდე 80 კმ-ზე მეტია.
3. პროკოპისა და აგათიას ცნობათა კონტექსტში ტელეფისი ივარაუდება არა აღმოსავლეთ ლაზეთში, არამედ დასავლეთ და აღმოსავლეთ ლაზეთის საზღვარზე, ცხენისწყლის შესართავის მიდამოებში[189]. ამ რაიონში, როგორც აკად. სიმ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს და იმოწმებს აკად. აკ. შანიძის მოსაზრებას, მდებარეობს სოფ. ტოლები და მისი ციხე.

ადგილი, სადაც ციხეა, მოედინება მდ. ცხენისწყალი, რომელიც ერთვის რიონს, ხოლო ციხიდან ჩრდილოეთით მოჩანს რიონისა და ცხენისწყლის შესართავი – ტოლების ციხე ზედ დაჰყურებს ამ შესართავს. მკვლევარის დაკვირვებით, ამ ხაზზე მდებარეობს:

როდოპოლისი ყვირილა – რიონის შესართავთან, ტელეფისი ცხენისწყალ-რიონის შესართავთან და ნესოსი აბაშა – ტეხურის შესართავთან. ყველა ეს სტრატეგიული პუნქტი იმხანად გამაგრებული ჰქონდათ ბიზანტიელებს და სპარსელები ლამობდნენ მათ ხელში ჩაგდებას, რომ გზა გახსნოდათ ფასისისაკენ (სიმ. ყაუხჩიშვილი).

ტელეფის – ტოლების ციხეს უჭირავს 2 ჰექტარი ფართობი. ნაგებობა სხვადასხვა დროის სამშენებლო ფენებს შეიცავს. გალავნის კედლის ადრინდელი წყობა თლილი კვადრებითაა შექმნილი, ზედა ნაწილი კი რიყის ქვებისაგან. სამწუხაროდ, არქეოლოგიური გათხრები ტოლებში არ ჩატარებულა, ამიტომ დაწვრილებით მის შესახებ მსჯელობა ჭირს. ამჯერად ჩვენ აღნიშნულ პუნქტს ვაფიქსირებთ როგორც ადრე საშუალო საუკუნეების ციხესიმაგრეს რიონის ხეობაში.

ნესოსისა და ტელეფისის ლოკალიზაციის ახლებური მცდელობა ეკუთვნის პროფ. გ. გრიგოლიას. მისი ვარაუდით, ნესოსი „აგათიასეული ყველა მაჩვენებლის მიხედვით საოცრად ემთხვევა მდ. რიონისა და ცხენისწყალს შორის, შესართავთან არსებულ კუნძულს – ორპირს", ხოლო ტელეფისის ლოკალიზაციის შესაძლებელ ვარიანტად მას ვანის – ციხესულორი მიაჩნია[190]. ნიშანდობლივი წინადადებაა, მაგრამ დამატებით არგუმენტს და კვლევას მოითხოვს.

მთისძირი ახ. წ. I – VIII საუკუნეების საინტერესო ძეგლია რიონის შუა წელზე, ვანის რაიონში. მისი არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო შემთხვევითი აღმოჩენებით, ჯერ კიდევ 1952 წლიდან[191].

1971-1972 წლებში ეს ადგილი მოიხილა ა. რამიშვილმა, თ. ბერაძემ და ამ სტრიქონების ავტორმა[192]. დადგინდა ამ ადგილზე საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლის არსებობა და გადაწყდა მისი გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა, რომელიც დაიწყო 1973 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მთისძირის რაზმმა (ხელმძღვანელი გ. გამყრელიძე)[193], ექსპედიაციამ ველზე დაჰყო

ხუთი საველე სეზონი (1973-დან 1978 წლამდე) და შეასრულა მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაო, რომლის საფუძველზე გაირკვა ნამოსახლარის არსებობის სხვადასხვა ეტაპები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენთვის განსახილველ პერიოდს (ახ. წ. I – VIII ს.).

ამ დროის არქეოლოგიური მასალა ძირითადად აღმოჩნდა ე. წ. „ადეიშვილების გორის" ტერიტორიაზე, რომელშიც, როგორც ძეგლის გამთხრელი შენიშნავს, გვიანანტიკური ხანის პირველ ეტაპზე შეინიშნება ტეხილი, რომელიც მიუთითებს, რომ სამოსახლოზე ცხოვრება თითქოს რამდენადმე ჩაკვდა, ხოლო ახ. წ. IV საუკუნიდან იგრძნობა გამოცოცხლება სამოსახლოს ცხოვრებაში[194].

დასახლების წესი ამ დროის სამოსახლოზე შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: სამოსახლოს ნაგებობები ისევ ტერასებზეა განლაგებული, განსაკუთრებით რაციონალურადაა გამოყენებული „ადეიშვილების გორის" წვერის პლატო, რომელზედაც, როგორც ჩანს, ნაგებობების მოზრდილი კომპლექსი იდგა. საფორტიფიკაციო ნაგებობები ბორცვ – გორის ტერასებზე იყო გამართული. მაგალითად, აღნიშნული გორის ქვედა ტერასაზე შეინიშნება ქვითკირის გალავნის კვალი. გორის ბუნებრივი რელიეფი მოხერხებულად ყოფილა გამოყენებული ნაგებობების გასამართავად და თავდაცვითი სისტემის შესაქმნელად. ასეთი სასიმაგრო ნაგებობები იდგა სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში – გზების ჩასაკეტად გარკვეული მხარის ან „ქვეყნის" საზღვრების დასაცავად.

ძველი მთისძირის აღნიშნული სამოსახლო, როგორც ჩანს, მცირე ციხე-ქალაქი იყო, რომელიც, ერთი მხრივ, გარკვეულ ეკონომიკურ მხარეს საზღვრავდა, ხოლო მეორე მხრივ, სამცხედან, სამხრეთიდან მომავალ (მდ. ყუმურის ხეობაზე) ერთ-ერთ გზას აკონტროლებდა. ციხე-ქალაქის ცხოვრებაში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა მის რიონ – ფასისის სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე მდებარეობას.

მთისძირის სამოსახლოს შენებაში ძირითად საშენ მასალად გამოიყენებოდა ქვა, აგური, კრამიტი, კირხსნარი. სამოსახლოს ცხოვრებაში ორი სამშენებლო პერიოდია გამოყოფილი.

ნაგებობა ოთკუთხაა და შედგება ორი სხვადასხვა ზომის სათავსოსაგან. იგი ორიენტირებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მაგ., სამხრეთი კედლის ფუნდამენტი 29, 40 მ. სიგრძისაა, კედლის სიგანე 1 მ – ია. კედელი და საძირკველი ფლეთილი ქვითაა ნაგები. წყობაში გამოირჩევა ფასადის მხარე, სადაც ქვები სწორი მხრითაა დალაგებული. ნაგებობის დერეფანში დადასტურდა კირხსნარიანი იატაკი. კირხსნარს დამატებული აქვს კერამიკის ფხვნილი. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კრამიტისა და აგურის ნაშთები, როგორც სამშენებლო კერამიკა, ასევე სამეურნეო (ქვევრები, ამფორები) და საყოფაცხოვრებო (ქოთნები, ჯამები, ლუთერიები, დოქები) თიხის ნაწარმი და რკინის ნივთები, რომლის ანალოგიები გვხვდება ვარდციხეში, ბიჭვინთაში, ვაშნარში და სხვა. გარე სამყაროსთან სავაჭრო – ეკონომიკურ ურთიერთობებზე მეტყველებს არქეოლოგიური მასალების მცირე ნაწილი (კერამიკა, მინა), განსაკუთრებით ღია ფერის, ტანდაღარული ამფორების ფრაგმენტები და წითელლაკიანი კერამიკა[195].

როგორც ვხედავთ, მთისძირი („ადეიშვილების" გორა) ახ. წ. IV – VIII საუკუნეების მცირე გამაგრებული პუნქტია. მკვლევარ გ. გამყრელიძეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ მთისძირი „მუხურისია"[196] – პროკოპი კესარიელთან და აგათია სქოლასტიკოსთან მოხსენიებული ცენტრალური კოლხეთის მნიშვნელოვანი გეო-

გრაფიული პუნქტი[197]. მუხურისის საკითხს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით. ამჯერად აღვნიშნავთ იმას, რომ მკვლევარის ზემოთ მოყვანილი იდენტიფიკაცია არადამაჯერებლად გვეჩვენება თუნდაც იმიტომ, რომ პროკოპისავე თქმით, ლაზიკაში „... ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი"[198]. ხოლო მთისძირის შესანიშნავ ქალაქად წარმოდგენა კი, ჩვენი აზრით, ძნელად დასაჯერებელია. არც **Notitia dignitatum**-ში დასახელებული ზღვისპირა სიმაგრე მოხორა ჩაითვლება მუხირისად, სადაც ბიზანტიელთა ერთი კოჰორტა იდგა[199].

ჩვენი ვარაუდით, მუხურისის ძიება ქუთაისის სანახებს გარეთ შეცდომაა. ხოლო მთისძირი მხოლოდ პროკოპისეული კლისურას ტიპის[200] სიმაგრედ უნდა იქნას მიჩნეული, რომლის უმთავრესი დანიშნულება ხეობებისა და გადასასვლელების ჩაკეტვა იყო. სწორედ ასეთი გადასასვლელი მიემართება მთისძირიდან სამცხესაკენ მდ. ყუმურის ხეობით[201].

როდოპოლისი რიონ-ყვირილასა და ხანისწყლის შესართავთან მდებარეობს, თანამედროვე ვარდციხის ტერიტორიაზე. აღნიშნული იდენტიფიკაცია ეკუთვნის აკად. სიმ. ყაუხჩიშვილს[202]. როდოპოლის – ვარდციხე ბიზანტიურ წერილობით წყაროებში სხვადასხვა ეპითეტებითაა მოსხენიებული: „უდიდესი და ძველი", „შესანიშნავი". ამასთანავე, ეგრისის მთავარ ქალაქებთან – არქეოპოლისთან და მოხირისთან კონტექსტში[203]. ეკთეზისებში აღნიშნულია ისიც, რომ აქ ლაზიკის ერთ – ერთი საეპისკოპოსო ოყო[204].

1968 წლიდან დაიწყო როდოპოლის – ვარდციხის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა. 1971 წლამდე ექსპედიციას ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების გამგე, გ. ლომთათიძე.

1972 – 1974 და 1976 – 1978 წლებში ვარციხის არქეოლოგიური ექსპედიცია წარმატებით აგრძელებდა ნაქალაქარისა და მიმდებარე მხარის არქეოლოგიურ შესწავლას ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით[205]. არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები პერიოდულად ქვეყნდება არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობისადმი მიძღვნილ წლიურ ანგარიშებში და სხვადასხვა პუბლიკაციებში. 1989 წელს გამოცემული იქნა ვ. ჯაფარიძის მონოგრაფია „ვარდციხის ნაქალაქარი"[206]. ვარდციხის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევისა და ნაქალაქარიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალების შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ციხე – ქალაქის სტრატიგრაფიულ მონაცემებს. ცენტრალურ უბანზე სტრატიგრაფიულად ძირითადად ორი ფენაა დადასტურებული: X – XI და IV – VI საუკუნეების[207].

ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა:

1. ციხე-ქალაქის ტერიტორია არ შეიცავს ახ. წ. პირველი საუკუნეების მეტ-ნაკლებად მკვეთრად გამოხატულ კულტურულ ფენას (რაც ზღვისპირა ძეგლებისათვის აგრე დამახასიათებელია), თუმცა არ გამოირიცხება პირველი საუკუნის ფენების ან ერთეული მონაცემების პოვნის შესაძლებლობა[208].
2. ციხე-ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემის მშენებლობისა და, საერთოდ, ინტენსიური ცხოვრების დაწყება ვარდციხეში ზოგადად IV საუკუნითა და მომდევნო ხანით (V – VII სს.) უნდა დათარიღდეს. ამ პერიოდისაა საფორტიფიკაციო სისტემის შემორჩენილი და გათხრებით გამოვლენილი მონაკვეთების უდიდესი ნაწილი[209]. ამავე ხანით თარიღდება ციხის შიდა ფართობის

სურ. 115. როდოპოლისი (ვ. ჯაფარიძის მიხედვით)

ქვედა დონის კულტურული ფენები, რაც დადასტურებულია თითქმის ყველა თხრილში. ეგრისში VI საუკუნეში მიმდინარე ომიანობის ხანის მკვეთრად გამოხატული კულტურული ფენა ციხე-ქალაქში არ გამოვლენილა[210].

მაშასადამე, ვარდციხე ძირითადად ადრეული შუა საუკუნეების საწყისი ეტაპის ძეგლია: ნაგებობების ძირითადი ნაწილი სწორედ ამ ხანით თარიღდება. ეს ნაგებობები ძირითადად საფორტიფიკაციო ხასიათისაა, თუმცა ფიქსირებულია საცხოვრებელი დანიშნულების და სამეურნეო ხასიათის ნაგებობათა ნაშთებიც, უფრო სწორად, მათი საძირკვლის ნაშთები, რომლებზედაც თავის დროზე ხის კონსტრუქციები უნდა ყოფილიყო გამართული[211].

ვარდციხის სასიმაგრო სისტემაში ძირითადად სამი სხვადასხვა პერიოდის ზღუდის კედლები განირჩევა. აქედან ყველაზე ძველია 1 მ. სისქის კედელი, რომელიც ზღუდის რიგ მონაკვეთში გეგმაში მომრგვალებულია. მასვე თავდაპირველი მშენებლობით უკავშირდება ყველა სწორკუთხა კოშკი.

მეორე ზღუდე სქელი კედლების მქონეა და პირველისაგან გარეთაა აღმართული (პირველის პარალელურად). ამ ზღუდის კედლების სისქე 2 მ. აღემატება. მესამე ზღუდე ძირითადად მეორე ზღუდის მასიურ კედლებზეა დაშენებული და რიყის ქვისაგანაა შექმნილი[212].

ყურადღებას იქცევს პირველი და მეორე ზღუდის პარალელური მიმართულება, რომელიც მათი თანადროული მოქმედების აუცილებლობაზე არ მიუთითებს, რადგან სტრატიგრაფიული განლაგება მათ თანადროულობას გამორიცხავს. ამასთანავე, წყობის ხასიათიც მკვეთრად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. პირველი ზღუდის კედელი ნაგებია ფლეთილი ქვით, ხოლო მეორე ზღუდეზე ე. წ. იზოდომური წყობაა, ზოგან კი აგურ-კვადროვანი **(Opus mixtum)**.

ყურადღებას იქცევს პირველი ზღუდის ერთი თავისებურება: იგი გარედან ფლანკირებულია სწორკუთხა ყრუ კოშკებით (ბურჯებით). სავარაუდოა, რომ კოშკების (ბურჯები) მხოლოდ ძირა ნაწილი იყო მასიური მეტი სიმტკიცისათვის, ზედა ნაწილის შიდა სივრცე ჩვეულებრივი იქნებოდა.

პირველი ზღუდე – გალავნის ინტერიერის ვაკე მონაკვეთს შუაზე ყოფდა ერთი კედელი, რომელიც ასევე საფორტიფიკაციო მიზნებით იყო აგებული. ციხე-ქალაქის ჩრდილო ნაწილი მასიური კედლით ჩანს გამოყოფილი ქალაქის ძირითადი ნაწილისაგან, ამასთანავე იგი ოდნავ შემაღლებულ ადგილს წარმოადგენს. როგორც ვ. ჯაფარიძე ფიქრობს, ეს ზღუდითა და კოშკებით შემოსაზღვრული ციტადელია[213]. ე. ი. ციხე – ქალაქის არსებობის პირველ ეტაპზე ქალაქის გალავნით შემოკავებული ტერიტორია თითქმის თანაბარ ნაწილად იყო გაყოფილი, ხოლო მეორე ეტაპზე ქალაქი ასევე ორნაწილიანი ჩანს: შიდაციხით და შიდაქალაქით (სურ. 115).

ვარდციხის ნაქალაქარის გეგმა უშუალო და პირდაპირ ანალოგიებს ვერ პოულობს, არც საქართველოში და არც რომაულ – ბიზანტიური სამყაროს არეალში გამოვლენილ და შესწავლილ ძეგლებში. აქ არაა დაცული რომაული კასტელასათვის დამახასიათებელი სწორკუთხოვნება და კუთხეების გამაგრების სპეციფიკური მოყვანილობა. ძველი ზღუდე შესწავლილ ნაწილში გეგმაში მეტწილად მომრგვალებულია. მხოლოდ მოგვიანო მასიური ზღუდე შემოსაზღვრავს ნაქალაქარს მრავალკუთხედის ფორმით[214].

არქეოლოგიური შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ვარდციხე ეგრისის ახალი სამეფოს წარმოქმნა – გაძლიერების შედეგად გაჩენილი სტრატეგიული და

ეკონომიკური მნიშვნელობის ციხე-ქალაქია. ციხე-ქალაქის დაარსება, როგორც კომპლექსისა, ახ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან ივარაუდება[215].



სურ. 116. სარაპანისი

როგორც ჩანს, ციხე-ქალაქი წარმოიშვა და განვითარდა იმ სასოფლო – სამეურნეო დასახლებათა ბაზაზე, რომელთა ეკონომიკური დაწინაურება განპირობებული იყო ქვეყნის ახალი აღმავალი ცხოვრებით. ეს აღმავლობა გამოწვეული იყო ძირეული გარდატეხით ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ვარდციხის არქეოლოგიური მონაპოვარი[216], სხავადასხვა სახის ხელოსნური ნაწარმი სწორედ ამაზე მიუთითებს; მაგ., ნაქალაქარზე დიდი რაოდენობითაა მოპოვებული კერამიკული ნაწარმი. იგი წარმოდგენილია იმპორტული კერამიკის მცირე ჯგუფით და ძირითადად ადგილობრივი კერამიკით. ვ. ჯაფარიძის მიერ საერთოდ ადრეული შუა საუკუნეებით დათარიღებული კერამიკული მასალა შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

1. სუფრის ჭურჭელი (იმპორტული „წითელლაკიანი" და ადგილობრივი ჯამები).
2. სამეურნეო დანიშნულებისა და სითხისათვის განკუთვნილი ნაწარმი.
3. სამზარეულო კერამიკა, საგანგებო დანიშნულების ჭურჭელი.
4. სამშენებლო კერამიკა, თიხის მილები და სხვა.

გარდა კერამიკისა, მოპოვებულია მინისა და რკინის ხელოსნური ნაწარმიც. ასე რომ, ვარდციხის არქეოლოგიური მასალა მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ქალაქისა და ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებაზე ახ. წ. IV საუკუნიდან. როგორც ვ. ჯაფარიძე ფიქრობს, ვარდციხე ქვეყნის ახალი სოციალურ – ეკონომიკური განვითარების შედეგად წარმოქმნილი, გაერთიანებული სამეფოს სასიცოცხლო ეკონომიკური ოლქის ფორპოსტია, მიმართული როგორც აღმოსავლეთიდან, ასევე სამხრეთიდან მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ. ამასთან, იგი ასევე საიმედო სტრატეგიული საყრდენია მოხირისის იმ მონაკვეთისა, რომლის ერთი ნაწილის არსებობა რიონის სამხრეთითაც შეიძლება ვივარაუდოთ. მასზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნებოდა ძველი კოლხეთის ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ რაიონსა და მასზე გამავალ გზებზე კონტროლის დაწესება, როგორიც იყო დიმის ქვეყანა ობჩითურთ, თვით შორაპნამდე. ერთი სიტყვით, ვ. ჯაფარიძის აზრით, ვარდციხე სამეფო ციხეა, იგი კონტროლს უწევდა და აძლიერებდა ეგრისის სამეფოსადმი ხანისწყლის ხეობისა და საერთოდ, სამხრეთ მთიანეთის დამოკიდებულებას, პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურს. ხოლო ეს მხარე, ნაწილობრივ მაინც შედიოდა წყაროებით ცნობილი მესხების განსახლების არეალში, რომელთა შრომითი საქმიანობისა და მხარის ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის პროკოპი კესარიელი. ამასთანავე, ახ. წ. VII – X საუკუნეებში ვარდციხე საეკლესიო ცენტრიც იყო, თუმც შესაბამისმა არქეოლოგიურმა მასალებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

შორაპანი – ბერძენი ავტორების სარაპანისი[217] ეგრისის აღმოსავლეთ სასაზღვრო ხაზის მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე იყო, იბერია – ეგრისის დამაკავშირებელი მთავარი სატრანზიტო გზის ჩამკეტი – მდ. ყვირილას ხეობაში (სურ. 116).

პირველი არქეოლოგიური გათხრები შორაპანში 1949 წელს განხორციელდა აკად. სიმ. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით, 1985 წლიდან კი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ინიციატივით, ძეგლის რესტავრაციასთან დაკავშირებით, განახლდა შორაპნის ციხე-სიმაგრის არქეოლოგიური შესწავლა ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

ადრე შუა საუკუნეების ციხე იმთავითვე წარმოადგენდა ექსპედიციის მუშაობის მთავარ ობიექტს შორაპანში[218]. ციხის შიდა ფართობი პირობითად სამ ტერასადაა დაყოფილი, რომლის ზედა ტერასაზე ადრე შუა საუკუნეების ციტადელი იგულისხმება[219]. ადრე შუა საუკუნეების კულტურული ფენებიც მთელ ფართობზეა ფიქსირებული.

ანტიკური ხანის შორაპანი მნიშვნელოვანი პუნქტი ჩანს ახ. წ. I საუკუნიდან, ხოლო ახ. წ. IV საუკუნეში, ლაზიკის სამეფოს გაძლიერება – გაფართოების დროისათვის, აქ უკვე მნიშვნელოვანი სიდიდის ციხე უნდა არსებულიყო. ჩვენამდე მოღწეული ციხის ადრეული შუა საუკუნეების დროინდელ კედლებში შემორჩენილია ძველი სიმაგრის ფრაგმენტებიც.

ახ. წ. VI საუკუნისათვის ბიზანტია – ირანის ომებთან დაკავშირებით შორაპნის ციხე მნიშვნელოვნად განახლებული და გამაგრებულია, მაგრამ, როგორც ვ. ჯაფარიძე აღნიშნავს, იმავე საუკუნის შუა წლებისათვის იგი დატოვებული და დანგრეული იქნა იმ მიზნით, რომ სპარსელებს ფეხი არ მოეკიდებინათ აღმოსავლეთ კოლხეთში[220].

გეგმაში ციხესიმაგრეს აქვს წაგრძელებული ფორმა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ამას განაპირობებს რელიეფის თავისებურება, რომელიც ციცაბო კლდოვანია. კედლებით შემოზღუდული ფართობი (6650 კვ. მ.) ნახევარ ჰექტარზე მეტია. ზედაპირი მაღლდება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ჩრდილოეთის ტერასაზე, როგორც ვთქვით, იგულისხმება ციტადელის ნაწილი. აღმოსავლეთის კედელთან აგებულია კოშკი, რომელსაც შერეული აგურ – კვადროვანი წყობა აქვს. შერეული წყობა ე. წ. **Opus mixtsum** დადასტურებულია გალავნის გვირაბის სხვა ნაწილშიც. აღნიშნული წყობის აგურები გამოყენებულია გვირაბის კედლებშიც, რომელიც საკმაოდ რთული საინჟინრო ნაგებობა იყო. აღნიშნული ეტაპის მშენებლობა დათარიღებულია V – VI საუკუნეებით[221]. უკნანასკნელი წლების არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა შორაპნის ციხეზე სხვადასხვა ეტაპთან ერთად გამოავლინა ახ. წ. IV – VI საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მშენებლობათა ნაშთები და მდიდარი არქეოლოგიური მასალა. როგორც ჩანს, ადრე შუა საუკუნეებშიაც შორაპანი აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს. მას სკანდესთან და საზანოსთან ერთად აქვს სასაზღვრო ციხესიმაგრის სტატუსი. „ვის ხელშიაც იყო შორაპანი, საზანო და სკანდე, მისთვის უზრუნველყოფილი იყო ლაზეთის თითქმის მთელი აღმოსავლეთი ნახევარი"[222]. აქედან ხორციელდება ძირითადი კონტროლი შიდა ეგრისის (მოხირისის) მხარეზეც.

მაშასადამე, შორაპანი არ იყო მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ციხესიმაგრე. ქართული საისტორიო ტრადიციით, მისი დაარსება ფარნავაზს მიეწერება, რაც ნიშანდობლივი მინიშნებაა იბერიის ექპსანსიისა კოლხეთის მიწა – წყალზე[223]. შესანიშნავადაა დახასიათებული ამ ციხესიმაგრის ფუნქცია პროკოპი კესარიელთან. იგი არაა მარტო ეგრისის სამეფოს, არამედ ეგრისში გაბატონებისათვის მებრძოლი ბიზანტიის იმპერიის სასაზღვრო ციხეა[224], აღმოსავლეთ ლაზეთში და ზოგადად ეგრისის ციხესიმაგრეთა სისტემაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს... ყოველივე ამას მისი ფიზიკურ – გეოგრაფიული გარემო განაპირობებდა და ამიტომაც იგი ანტიკურ ხანაშიც არგვეთის საერისთავოს ცენტრი იყო[225].

სკანდე მეორე სასაზღვრო ციხეა შორაპნის შემდეგ, თერჯოლის რაიონში, ჩხარიდან ათიოდე კოლომეტრითაა დაშორებული, ჩრდილო – აღმოსავლეთ-

ით. მისი ლოკალიზაცია ეკუთვნის აკად. სიმ. ყაუხჩიშვილს, რომელმაც 1932 წელს აკად. ნ. ბერძენიშვილთან ერთად, ლაზიკის ისტორიულ – გეოგრაფიული კვლევის დროს მოინახულა ეს ადგილი[226]. 1949 წელს სიმ. ყაუხჩიშვილს აქ ჩაუტარებია მცირე გაწმენდითი სამუშაოები და მიუკვლევია ე. წ. შერეულწყობიანი გალავნის ნაშთებისათვის[227]. მასვე შეუდგენია ციხე-სიმაგრის სქემატური გეგმა[228], რომლის მიხედვითაც ციხეს უჭირავს კლდოვანი ბორცვი და აქვს კარგად დაცული გარშემოწერილობა. სკანდის ციხის ხუროთმოძღვრება ნაწილობრივ განიხილა ვლ. ლექვინაძემ და წყობის ხასიათის მიხედვით ათარიღებს მას ადრებიზანტიური ხანით[229]. მკვლევართა ყურადღება გამახვილებულია ხელოვნურ გვირაბზე, რომელიც დასავლეთის კედლიდან ეშვება კლდის ძირში გამავალ მდინარეზე. გვირაბის შუა წელი ფართოა დანარჩენი ნაწილისაგან განსხვავებით, წყლის მზიდავებისათვის გვერდის ასავლელად[230].

ნ. ბერძენიშვილის აზრით, სკანდაზე გადიოდა ერთ – ერთი მთავარი გზა: „სკანდე – მუჯირეთი – თავასა – ბილა – ქვაციხე – საკურწე – ნავარძეთი – ჭიათურა" ე. წ. „ქართლის შარა", რომელიც ეგრისის სამეფოს ქართლთან აკავშირებდა[231].

მაშასადამე, რიონ – ყვირილას ხეობაში განლაგებული ციხესიმაგრეების ჯაჭვი ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება და მათ შექმნაში გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება. ფაქტობრივად აქაც თავდაცვის ერთიანი ხაზია, რომელიც კეტავს ქვეყნის შიგნით შემომავალ გზებს და ხეობათა გადასასვლელებს, გზაჯვარედინებს. ეს თეორია ბოლო პერიოდში წყაროთა ანალიზით კარგად წარმოაჩინა ვ. ჯაფარიძემ (იხ. მისი აღმოსავლეთ კოლხეთის სასაზღვრო გამაგრების სისტემა: შორაპანი, საზანო, სკანდა, დიმი); ასეთივე ვითარებაა კოლხეთის ბარისა და მთების გარდამავალ ზონაში გამავალ ხაზზე წებელდიდან ნოქალაქევ – არქეოპოლისამდე და არქეოპოლისიდან ქუთაის – უქიმერიონამდე, როგორც ეს ადრე პ. ზაქარაიამ შენიშნა და შემდეგ დ. ლომიტაშვილმა ახალი მასალებით გაამდიდრა.

ბ. კოლხეთის მთისა და ბარის გარდამავალი ზოლის თავდაცვითი სისტემის ხაზი

წებელდა (წიბილე), მტკიცე და მიუდგომელი ციხესიმაგრე იყო კოდორის ულამაზეს ხეობაში, ძველი აფშილების მიწა-წყალზე. იგი V – VI საუკუნეებში ჩანს აგებული შავი ზღვის აღმოსავლეთი სასაზღვრო ხაზის განმტკიცების მიზნით და ბატონობდა აღნიშნულ „ქვეყანაზე". პროკოპი კესარიელის ცნობით, „აფსილები ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომნი არიან ამ ქვეყანაში არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე, ადგილობრივი მცხოვრებლებიც მას წიბილეს უწოდებენ"[232].

წებელდის სიძველეებით დაინტერესება გასული საუკუნიდან შეინიშნება[233]. 1907 წელს წებელდის ციხეზე საკვლევაძიებო სამუშაოები განახორციელა არქეოლოგმა ა. მილერმა და ძირითადად ყურადღება გაამახვილა საკულტო ძეგლებზე[234]. 1924 წელს ნ. მარის ხელმძღვანელობით მეცნიერთა ჯგუფმა მოიხილა წებელდის ციხის ნანგრევები და აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია იქ გათხრების ჩატარება[235].

შემდგომში აქ არქეოლოგიური კვლევა ჩაატარეს: მ. ივაშჩენკომ, ვ. სტრაჟევმა, ლ. სოლოვიოვმა, ი. გრძელიშვილმა[236].

1960 წლიდან წებელდის არქეოლოგიურ ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა ცნობილი აფხაზი არქეოლოგი მ. თრაპში, რომლის ხელმძღვანელობით წარმატებით განხორციელდა აღნიშნული ხეობის გვიანანტიკური და ადრებიზანტიური ხანის სამაროვანთა და ნამოსახლართა შესწავლა[237]. შემდგომში ეს საქმე გააგრძელეს გ. შამბამ[238], მ. გუნბამ[239], ი. ვორონოვმა[240], ო. ბღაჟბამ[241] და, საერთოდ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის სხვა წევრებმა, რომლებიც 1960 წლიდან აქ ახორციელებენ სისტემატურ არქეოლოგიურ კვლევა – ძიებას.

წლების განმავლობაში ითხრება წებელდის ციხესიმაგრის ტერიტორია. აქ სასიმაგრო სისტემის გეგმარება განპირობებულია რელიეფის სირთულით, რომელიც კლდოვანია და ძნელად მისადგომი. თავდაცვის ხაზი ნახევარწრიულად ზღუდავს ციტადელს, რომელიც შიგნიდან პირობითად ოთხ ნაწილად იყოფა. კედლებისა და კოშკების წყობა ძირითადად ორგვარია: იზოდომური და დიდკვადროვანი. კედლების სისქე 2,5 მეტრია, ზოგან 3,5 მეტრიც. სიმაგრის სიმტკიცისათვის გამოყენებულია ე. წ. პროტეხეიზმა. ყურადღებას იპყრობს ორმაგი კარიბჭე, სადაც გარე და შიდა შესასვლელები ერთმანეთთან კორიდორითაა დაკავშირებული. ციტადელში დადასტურდა აბანო ჰიპოკაუსტური სისტემით, სატაძრო კომპლექსი, ორსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობა, მარანი, წყლის ორი რეზერვუარი, რომელსაც კვებავდა ნახევარკილომეტრიანი წყალსადენის მაგისტრალი და სხვა[242].

წებელდის სასიმაგრო სისტემის აღმოცენება, მკვლევართა ვარაუდით უნდა მომხდარიყო IV საუკუნის ბოლოს ან V საუკუნის დასაწყისში. ჩვენი ვარაუდით, იგი ტიპიური V – VI საუკუნეების ძეგლია, უფრო სწორად, ციხე-ქალაქია, რომლის ხუროთმოძღვრული ანსამბლის ახლო ანალოგიები ქართულ საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრებაში მრავლად გვხვდება (ნოქალაქევი, ქუთაისი, შორაპანი, სკანდე).

გათხრების შედეგად აღმოჩენილია მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც მიუთითებს სავაჭრო – ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებაზე. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს კერამიკული ნაწარმი, მათ შორის სამეურნეო დანიშნულების (ქვევრები, ამფორები), სამზარეულო კერამიკა (ქოთნები, დერგები) და სუფრის ჭურჭელი (თეფშები, ჯამები, სასმისები). დიდი რაოდენობით აღმოჩნდა რკინისა და მინის ნაწარმი[243], რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი IV – VII საუკუნეებით განისაზღვრება. არქეოლოგიურ მასალებში ჩანს, რომ ეს მხარე მჭიდროდ დასახლებულია და აქვს ახლო (ეთნო – კულტურული) კავშირები კოლხეთის ცენტრალურ რაიონებთან, აგრეთვე რომაულ და ბიზანტიურ სამყაროსთან (მინა, წითელლაკიანი კერამიკა, მონეტები). ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ინტენსიურია V – VI საუკუნეებში. წებელდაზე გადიოდა სავაჭრო გზა, რომელიც სებასტოპოლისს ქლუხორის უღელტეხილით ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა[244]. უფრო მეტიც, როგორც ვარაუდოებენ, V – VI საუკუნეებში კოდორის ხეობაზე გადიოდა გზა, რომლითაც ბიზანტია დაკავშირებული იყო შუა აზიასთან და ეს ხდებოდა კასპიის ზღვის გვერდის ავლით[245].

პოლიტიკური თვალსაზრისით წებელდა და კოდორის ხეობის სხვა სიმაგრეები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ. კავკასიელი ტომების შემოჭრისაგან

დაეცვათ არა მარტო კოლხეთის მიწა – წყალი, არამედ რომისა და ბიზანტიის იმპერიების საზღვრები. მაშასადამე, კავკასია – პონტოს სასაზღვრო ხაზისათვის წებელდა ე. წ. ფორპოსტის როლს განახორციელებდა განსაკუთრებით სებასტოპოლისათვის.

წებელდის ხეობის მოსახლეობის ეთნოპოლიტიკურ ვითარებაზე საყურადღებო დებულებები გამოთქვა აკად. გ. მელიქიშვილმა. მისი აზრით, უცნობია როდის მოხდა ლაზების მიერ აფსილების დამორჩილება. პროკოპი კესარიელის მიხედვით ისინი „ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები არიან". VI საუკუნეში აფშილეთი ლაზეთის სამეფოს შემადგენლობაშია. აქ, როგორც ჩანს, ლაზების გარნიზონი იდგა და აფშილეთი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლაზეთთან[246]. აფშილეთის გეოგრაფიული მდებარეობა, დასავლეთ საქართველოს კავკასიასთან დამაკავშირებელი გზები ქლუხორისა და მარუხის უღელტეხილებით აიძულებდა ლაზთა ხელისუფლებას აქტიური ღონისძიებები გაეტარებინა აფშილებთან ურთიერთობაში, თუმცა აფშილებს შენარჩულენებული ჰქონდათ გარკვეული ავტონომიური უფლებები. ზ. ანჩაბაძის აზრით, აფშილეთი ცალკე ეთნოპოლიტიკური ერთეულია და წებელდას ციხე აფშილებს ეკუთვნის[247]. ამ შემთხვევაში ცოტა გაუგებარია პროკოპის ცნობები, რომელიც პირდაპირ მიუთითებს რომაელებისა და განსაკუთრებით ლაზების აქტიურ მონაწილეობაზე წებელდის ციხის გარშემო მომხდარ მოვლენებში[248]. ამ ხაზის სხვა ციხეებია: **წარჩე, რეკა, სკური, სათანჯო, ჭაქვანჯი, ეკი, „საკალანდარიშვილოს" ციხე, შხეფი** და **კოტიანეთი** – ნოქალაქევამდე რომლებიც მიმოიხილა და სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ციხესიმაგრეების ცნობილმა მკვლევარმა პ. ზაქარაიამ. მართალია, ყველა ამ ციხის შესახებ არქეოლოგიური მონაცემები არ არსებობს, ანდა ძალზე მცირეა, მაგრამ არქიტექტურული თვალთახედვით, აღნიშნული სიმაგრეები მას ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანით – IV – VI საუკუნეებით აქვს განსაზღვრული და, საერთოდ ძალზე ნიშანდობლივი და ალღოიანი მიგნებაა ქვეყნის ერთიანი თავდაცვითი სისტემის შესწავლის თვალსაზრისით[249]. ეს სიმაგრეები იცავდნენ და კონტროლს უწევდნენ ზღვის სანაპიროდან (კელასურ – სოხუმიდან) აღმოსავლეთისაკენ მომავალ ერთ-ერთ ძირითად სახმელეთო გზას[250], რომელსაც „სამეგრელო-აფხაზეთის" გზა ეწოდებოდა[251].

არქეოპოლისი (ცეხეგოჯი, ნოქალაქევი) ეგრისის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი იყო, მდ. ტეხურის ხეობაში. იგი თანამედროვე სოფ. ნოქალაქევთან დამაჯერებლადაა იდენტიფიცირებული, თუმც, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომელსაც ამჯერად არ განვიხილავთ.

ნოქალაქევში შემონახულმა ნაქალაქარმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებში მიიქცია დიუბუა დე მონპერეს ყურადღება. იგი აქ მიუთითებს ვრცელ ციხესიმაგრეს, რომელსაც გარს უვლის მდ. ტეხური და გალავნის ოთხკუთხა კოშკებიანი კედლები, რომელსაც პროკოპი კესარიელის აღწერილ ქვედა სიმაგრედ მიიჩნევს[252]. ამავე გალავანს აღწერს აგრეთვე ა. მურავიოვი[253]. დიუბუაც და მურავიოვიც ეხებიან ქალაქში შემორჩენილ ნაგებობათა ნაშთებს (სასახლე, ეკლესია...), რომელსაც აღწერს მ. ბროსეც და ერთ-ერთს დიდი პიროვნების სასახლედ თვლის[254]. ამავე ხანებში ნაქალაქარი მოუნახულებია კ. კოხს[255] და პლ. იოსელიანს[256], შემდგომში დ. ბაქრაძეს, რომელსაც აღნიშნული აქვს ნოქალაქევის იგივეობა არქეოპოლისთან და ციხეგოჯთან[257].

მცირე ცნობები აქვს ნოქალაქევზე რ. ერისთავს[258], ხოლო შედარებით ვრცელი მეცნიერული კომენტარი გაუკეთებია თ. ჟორდანიას[259] და ცნობილ სიძველეთმცოდნეს კ. განს[260]. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. გ. ჩუბინაშვილის ნაშრომი ნოქალაქევის შესახებ რომელიც გამოქვეყნდა ცოტა მოგვიანებით (1970 წ.) მისივე კრებულში და ასახავს ძეგლის მდგომარეობას 1930 წლისათვის, არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე[261].

პირველი არქეოლოგიური გათხრები ნოქალაქევში 1930-1931 წლებში ჩატარდა გერმანელი მეცნიერის ალფონს მარია შნაიდერის ხელმძღვანელობით. გათხრების შედეგებს გვაწვდის ორი პუბლიკაცია[262], რომელიც ასეთ სურათს იძლევა[263]:

1. უძველესი სამოსახლო ციხითურთ (ციხეგოჯი) განლაგებული იყო მთის თხემის დასავლეთ მხარეს.
2. IV საუკუნის შუა ხანებში აქ აიგო დიდი ქალაქი, მძლავრი ციხესიმაგრით, ე. წ. I გალავანი კოშკებითა და 7 კარით, რომელიც დაინგრა VI საუკუნის დამლევს მიწისძვრისაგან.
3. VI საუკუნის დამლევს ან VII საუკუნის დასაწყისში აქ აუგიათ ე. წ. II კედელი, რომელმაც შემოზღუდა მხოლოდ ქვედა ქალაქი.
4. II გალავანი გვიან დაზიანდა მიწისძვრისაგან და იგი რიყის ქვით შეუკეთებიათ.
5. საცდელმა თხრილებმა დაადასტურა 50 სმ. სიმძლავრის კულტურული ფენა IV – VIII საუკუნეების კერამიკის შემცვლელი.

შნაიდერის შემდეგ ნოქალაქევში გათხრები აღარ გაგრძელებულა 1973 წლამდე, თუმცა მის შესახებ გამოქვეყნდა ი. გრძელიშვილის წერილი, რომელიც ციხე – ქალაქის გეოლოგიური პირობებს და სამშენებლო ტექნიკას ეხებოდა[264], ხოლო 1956 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ ნოქალაქევში მივლინებული იყო პროფ. ვლ. ლექვინაძე, რომელმაც საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ნოქალაქევის სასიმაგრო ხუროთმოძღვრებას[265] და ე. წ. „ორმოცმოწამეთა" ეკლესიას[266]. ნოქალაქევში მცირე საძიებო სამუშაოები ჩაატარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს საძიებო – არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. გრიგოლიას ხელმძღვანელობით, რომლის დამსახურება ისაა, რომ ფაქტობრივად პირველად დადასტურდა ნოქალაქევში ელინისტური ხანის კულტურული ფენა[267].

1973 წლიდან ნოქალაქევში გათხრებს აწარმოებს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით, რომელმაც აქ 16 საველე კამპანია ჩაატარა და ძირითადად წარმოაჩინა ციხე – ქალაქის ტოპოგრაფია, საფორტიფიკაციო, საერო, საკულტო ნაგებობები, სანიტარულ – ჰიგიენური და წყალმომარაგების სისტემები, ელინისტური ხანის სამაროვანი და IV – VIII საუკუნეების მასალების შემცველი კულტურული ფენები. ნაქალაქარზე ექსპედიციამ გამოავლინა ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული სამი პერიოდის ნაშთები[268]. „ეს პერიოდი ქრონოლოგიურად შემდეგი სახით ლაგდება: მშენებლობის პირველი პერიოდი მოდის ძვ. წ. III – I საუკუნეებზე. ეს ის პერიოდია, როდესაც აქ ერისთავმა ქუჯიმ საერისთავოს ცენტრი გააჩინა და ციხე-გოჯი ააგო (თუმცა ეს ციხე მიუკვლეველია).

მეორე პერიოდი მოდის ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ხანაზე, რომელიც თავსდება ახ. წ. IV – VIII საუკუნეებში (მურვან ყრუს ლაშქრობამდე).

მესამე პერიოდი ემთხვევა ნოქალაქევში დადიანების რომელიღაც უმცროსი შტოს დასახლებას (XVI – XVIII სს.)”[269].

სურ. 117. არქეოპოლის-ნოქალაქევის გეგმა

ნოქალაქევის ხუროთმოძღვრებაში განსაკუთრებით შთამბეჭდავია საფორტიფიკაციო სისტემა. ციხე-ქალაქი ძირითადად სამ არათანაბარ ნაწილადაა დაყოფილი; ამათგან ქვედა მონაკვეთი სხვებზე მოხერხებული და მთავარია. მისი დიდი ნაწილი ვაკეა, რომელიც ჩრდილოეთით ფერდობს წარმოადგენს. ამ აღმართის თავზე მთის პლატო მოკავებული აქვს ციტადელს, შიდაციხეს. მისი გეგმა აღმოსავლეთ – დასავლეთის ხაზზე წაგრძელებულია და უსწორმასწორო აბრისით სამკუთხედს უახლოვდება. გალავნის ჩრდილოეთის ხაზს აღმოსავლეთით და დასავლეთით ამთავრებს თითო კოშკი[270].

ქალაქის ქვედა მონაკვეთსა და შიდაციხეს აერთიანებს გალავანშემოზღუდული საკმაოდ დიდი მონაკვეთი, რომელიც განლაგებულია შესამჩნევად დამრეც ფერდობზე. მისი დასავლეთის გალავანი მთის ქედს მიჰყვება. აღსანიშნავია, რომ ქალაქის გალავნის მთლიანი პერიმეტრი სამ კილომეტრს აღემატება და მთლიანად გამოვლენილი ჯერ კიდევ არაა[271].

მაშასადამე, ციხე – ქალაქი, რომელიც მოიცავდა დაახლოებით 18 ჰექტარ ფართობს, სამი ნაწილისაგან შედგებოდა: 1. შიდაციხე, რომელიც გორაკის თხემზეა გამართული, 2. ქვედა ქალაქი, რომელიც მდ. ტეხურის მარცხენა სანაპიროზე ვაკე ნაწილში მდებარეობს; 3. ციხესიმაგრის მოზღუდული შუა ნაწილი, რომელიც ციტადელსა და ქვედა ქალაქს აერთიანებს და მათ შორისაა მოქცეული საკმაოდ დამრეც ფერდობზე (სურ. 117).

ყველაზე ადრინდელი ნაგებობები ციტადელშია დაფიქსირებული (ერისთავის სასახლე, დიდი კოშკი, V საუკუნის ეკლესია...). „შუა ქალაქი” ჯერჯერობით შეუსწავლელია, თუმცა ეს ნაწილი იმდენად დაქანებული ფერდობია, რომ იქ მძლავრი და მნიშვნელოვანი კულტურული ნაშთების და ფენების შენარჩუნება საეჭვოა.

საინტერესო ნაწილია ე. წ. ქვედა ქალაქი, სადაც დადასტურდა ციხე-გოჯის „სამზღუდიანობა”, მთავარი კარიბჭე, ორი „სამეფო” სასახლე IV და V საუკუნეების ორი აბანო, აქედან ერთი „სამეფო” აბანოდაა მიჩნეული. შესანიშნავად მოწყობილი მდინარეზე ჩასასვლელი გვირაბი, ბაზილიკები და ა. შ. ერთი სიტყვით, ნოქალაქევში არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა IV – VIII საუკუნეების ეგრისის საქალაქო ცხოვრების ამსახველი უმნიშვნელოვანესი ნივთიერი მასალა, მაგრამ ქალაქის სტატუსთან დაკავშირებით უფლება არა გვაქვს ყურადღება არ გავამახვილოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ეჭვი იმის თაობაზე, რომ ნოქალაქევის „გრანდიოზული თავდაცვითი ნაგებობანი” არ შეესაბამება ქალაქის ცხოვრების ინტენსივობას, რომ აქაურ არქიტექტურას აქვს „საერთაშორისო” ხასიათი, ხოლო კულტურული ფენები „უაღრესად ღარიბია” და ვერ მოხერხდა სტრატიგრაფიული დაკვირვების ჩატარება და სტრატიგრაფიული ჭრილების შედგენა. შიდაციხის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ძალზე მცირეა და „მოულოდნელ” ხასიათს ატარებს. ყოველივე ეს ქალაქის „წმინდა თვადაცვით” ფუნქციაზე მიუთითებს, რაც მისი სამხედრო – სტრატეგიული დანიშნულებით აიხსნებაო[272]. აღნიშნული კონცეფციის ავტორები არიან ცნობილი სპეციალისტები, თანაც ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომლები ვლ. ლექვინაძე და ლ. ხვედელიძე. ამ მკველევართა ზემოთ

გამოთქმული დებულებები კატეგორიულად უარყო და საპირისპირო მოსაზრებები გამოთქვა ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილემ პროფ. ნ. ლომოურმა[273]. მისეული შეფასების დასკვნა ასეთია: „არქეოლოგიური მასალის უდიდესი ნაწილი ნოქალაქევში IV – VIII საუკუნეებით თარიღდება და ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა არქიტექტურულ ძეგლთა უმრავლესობაც: აბანოები, სასახლეები, ეკლესიები, საფორტიფიკაციო ნაგებობები. მაშასადამე, არქეოლოგიურად ცხადია, რომ ციხე – გოჯ – არქეოპოლისის საქალაქო ცხოვრების ყველაზე ინტენსიური ხანა სწორედ ამ საუკუნეებზე მოდის და ეს კარგად ეთანხმება იმ მონაცემებს, რომლებიც ჩვენ წერილობით წყაროებში გვაქვს"[274].

ნოქალაქევ – არქეოპოლისზე გამოქვეყნებულ მეორე კრებულში ვლ. ლექვინაძეს ადრე გამოთქმული კონცეფცია აღარ გაუმეორებია[275], მაგრამ, როგორც ჩანს, ისიც და ნ. ლომოურიც კვლავ ძველ პოზიციებზე დარჩნენ და ამიტომაც საკითხიც საბოლოოდ გადაუწყვეტელი რჩება. მართალია, მისი გადაწყვეტის პრეტენზია არც ჩვენ გვაქვს, მაგრამ შევნიშნავთ შემდეგს:

1. სასიმაგრო სისტემა, რომელიც ასე მეტყველია ნოქალაქევ – არქეოპოლისში და ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, უმჯობესი იქნებოდა მკვეთრად ყოფილიყო გამიჯნული შესაბამის არქეოლოგიურ მასალასთან ერთად და ძეგლის მრავალფენიანობაც მეთოდოლოგიურად სწორად იქნებოდა დაფიქსირებული.
2. ნოქალაქევის, როგორც ციხე – ქალაქის აღმოცენება, ჩვენი ღრმა რწმენით, ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების შედეგია და არა საგარეო – საერთაშორისო მიზეზებით ნაკარნახევი, მაგრამ IV საუკუნეში ერთბაშად და პირდაპირ ნოქალაქევის დედაქალაქად აღმოცენება (გამოცხადებაც) სრულიად დაუჯერებლად გვეჩვენება.
3. და თუ ეს ასეა, მაშინ დედაქალაქობის ხანის ოთხსაუკუნოვან (IV – VIII სს.) კულტურულ ცხოვრებას უნდა შეექმნა ქალაქის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების მაუწყებელი მძლავრი და მდიდარი კულტურული ფენები, სადაც ეტაპობრივად ასახული იქნებოდა კულტურული და ეკონომიკური პროცესების განვითარების ინტენსივობა, რაც საბოლოოდ განსაზღვრავდა კიდეც ქალაქის სტატუსს და ყოველგვარი „დაპირისპირების" გარეშე ეგრისის სხვა ქალქებთან მიმართებაში შექმნიდა სარწმუნო და რეალურ სურათს ამ ქალაქის როლისა და ადგილის შესახებ ეგრისის სამეფოს საქალაქო სისტემაში. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ასეთ რამეს ნოქალაქევში გარკვეულად მოკლებული ვართ. ეს კი განამტკიცებს აზრს მისი „თავდაცვითი" მნიშვნელობის პრიორიტეტზე და სამხედრო – სტრატეგიული ფუნქციის უპირატესობაზე.
4. დებულება იმის შესახებ, რომ ნოქალაქევში მოსახლეობა უფრო „მსახურობდა" ვიდრე ცხოვრობდაო, ძნელად გასაზიარებელია, რადგან თუკი მსახურობდნენ, ეს იმას ნიშნავს, ცხოვრობდნენ კიდეც. ასე იყო ფასისში, სებასტოპოლისსა და პიტიუნტში. დროის გარკვეულ მონაკვეთში (VI ს.) ასე ჩანს ეს ნოქალაქევშიც ბიზანტიელებთან მიმართებაში. ამ დროს, როგორც ცნობილია, მათი გავლენა მთელს ეგრისში სრულიად უდავოა. ყველაფერი ეს შესანიშნავად აისახა შესაბამის არქეოლოგიურ მასალაში და შთამბეჭდავ ხუროთმოძღვრულ ძეგლებში, როგორც საერო, ისე საკულტო და სანიტარულ – კომუნალური დანიშნულების ნაგებობებში, რომელიც VI საუკუნის

წერილობით მონაცემებთან ერთად ექსპედიციის ხელმძღვანელობას აძლევს საფუძველს იგი სამეფოს პოლიტიკურ ცენტრად წარმოადგინოს. VI საუკუნის 80-იან წლებში ნოქალაქევის დანგრევას ვარაუდობს ვლ. ლექვინაძე. იგი ეყრდნობა თეოფილაქტე სიმოკატტას ცნობას, სადაც ნათქვამია, თუ როგორ „დაამარცხა მომთაბარე თურქთა ხაკანმა ოგორების ტომი და კოლხების ბელადი სიკვდილით დასაჯა. თურქებმა გაწყვიტეს სამასი ათასი კაცი და ოთხი დღის სავალზე გზები მოფენილი იყო გვამებით"[276].

5. ნოქალაქევ – არქეოპოლისის პოლიტიკურ ცენტრად აღზევების თაობაზე უაღრესად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა აკად. დ. მუსხელიშვილმა. „... IV – VI სსაუკუნეების ეგრისის სამეფოს ცენტრს არქეოპოლის – ციხეგოჯი წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სამეურნეო თვალსაზრისით სამეფოს ყველაზე მდიდარი და დაწინაურებული რაიონიდან – მოხერისიდან – რამდენადმე მოშორებით მდებარეობდა, ხოლო ამ უკანასკნელის ბუნებრივ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს სწორედ ქუთაისი წარმოადგენდა. სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა თავდაცვისუნარიანობას ჰქონდა"[277]. და ამ გარემოებას იგი ქართლის სამეფოს პოლიტიკური ექსპანსიით ხსნის, რომელიც იწყება ფარნავაზის დროიდან, ე. ი. ძვ. წ. III საუკუნეში. მისაღებია ამ მომენტმაც (დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთის ოლქების ქართიზაციამ) ნოქალაქევის გადიდქალაქებაში ითამაშა გარკვეული როლი, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, რატომ გაჭიანურდა ეს პროცესი პოლიტიკური ცენტრის გადმოტანა ქუთაისიდან თითქმის მთელი შვიდი საუკუნის მანძილზე, მითუმეტეს, IV საუკუნეში ეგრისის სამეფოს გაძლიერება გამორიცხავს გარეშე ძალების აქტიურ ზემოქმედებას აღმავლობის გზაზე დამდგარი ქვეყნის ცხოვრებაზე.

ჩვენი ვარაუდით, ეს მომენტი შედარებით მოგვიანო ხანის პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობეს და ის ბიზანტია – ირანის აგრესიის გააქტიურებას უკავშირდება, V საუკუნის ბოლოს. ასევე VI საუკუნეში ბიზანტიის ეგრისში საბოლოო გაბატონების შედეგია.

მაშასადამე, V საუკუნის დასასრულამდე ნოქალაქევ – არქეოპოლისი „საეგრო" – ის ერთ-ერთი მთავარი ციხესიმაგრე ჩანს, ხოლო VI საუკუნეში იგი იღებს მთლიანი ქვეყნის პოლიტიკური ცენტრის სტატუსს და ხდება კიდეც მისი მნიშვნელოვანი გამაგრება და გაძლიერება. ამ საკითხის ახსნას შედარებით გასაგებს ხდის ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლის შედეგები, რომელსაც ქვემოთ შევეხებით და კვლავ ნ. ბერძენიშვილის მახვილგონივრული შენიშვნა: „საფიქრებელია, რომ აფხაზთა მეფეებმა არა მარტო საუკეთესო რაიონი მიიტაცეს, არამედ გარკვეული ტრადიციის ადგილი, როგორც ოდესმე მეფის საქონებელი ხელთ იგდეს (რატომ ნოქალაქევი არ აირჩიეს?)"[278].

ნოქალაქევ – არქეოპოლისის კვლევის ისტორიაში ახალი ეტაპი უკავშირდება დ. ლომიტაშვილის სახელს, რომელმაც 2003 წელს სადოქტორო დისერტაცია მიუძღვნა ნოქალაქევის „ქვეყანაში" მის მიერ ჩატარებულ 23-წლიან საკვლევაძიებო მუშაობას. მისი წყალობით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა დღემდე უცნობი ოთხი ციხე: ხორშის, მენჯის, სორტისა და აბედათის „უსახელო" ციხეები, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ეგრისის სამეფოს საერთო თავდაცვითი სისტემის ჩრდილო – დასავლეთ სექტორში.

ასევე პირველად მონოგრაფიულად დასაბუთდა ის ფაქტი, რომ „ნოქალაქევ – არქეოპოლისმა დედაქალაქობის ფუნქცია დაკარგა, როგორც მანამადე ფიქრობდნენ არა VIII საუკუნის 30-იან წლებში, არამედ VI საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის დასაწყისში". ძირითადად მისაღებია ავტორის მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგია, თუმცა ვერ დავეთანხმებით იმას, თითქოს ახ. წ. III საუკუნის II ნახევრიდან ვიდრე VII საუკუნემდე ის ეგრისის სამეფოს დედაქალაქია[279]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ VI საუკუნემდე ის „საეგრო"-ს მნიშვნელოვანი ციხექალაქია და არა ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი.

ნოქალაქევის აღმოსავლეთით ქუთაის – უქიმერიონამდე რამდენიმე მნიშვნელოვანი სასიმაგრო პუნქტი იყო განლაგებული. ისინიც ზემოთ განხილული ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილებია.

ონოგურისის ციხე აკად. ნ. ბერძენიშვილს „არქეოპოლისის ახლოს, მის საკონტროლო ზონაში" აქვს ნაგულისხმევი. ამ თვალსაზრისით მას ძალზედ საცდურად მიაჩნდა ონოგურისისა და სოფელ ონოღიას სახელწოდებათა მსგავსება[280]. სიმ. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, „აგათიას ონოგურისის ციხე მდებარეობდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ლაზეთის საზღვარზე, ამავე სახელწოდების უნაგირას მთაზე, რომლის ერთ-ერთ კალთაზე არქეოპოლის – ნოქალაქევია მოთავსებული"[281]. მანვე გამოთქვა ვარაუდი კათარის წყლისა და მდ. აბაშას იგივეობის შესახებ[282]. თუ მართლაც კათარის წყალი მდ. აბაშაა, მაშინ სოფ. აბედათი სწორედ აბაშის ხეობაშია ნოქალაქევის ჩრდილო – აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრზე. ამიტომაც დამაჯერებელი ჩანს პ. ზაქარაიას მტკიცება, რომ „ახლანდელი აბედათის ციხე ძველი ონოგურისის ციხეა"[283].

აბედათის ციხის არქეოლოგიური შესწავლა რამდენიმე წელია დაიწყო ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით[284]. ციხე, რომელსაც უჭირავს საკმაოდ მოზრდილი ფართობი, წარმოადგენდა მრავალფენიან ხუროთმოძღვრულ კომპლექსს. მისი ადრინდელი კედლები ავტორის მიერ IV – VI საუკუნეებითაა დათარიღებული[285] და ნოქალაქევის თანადროულადაა მიჩნეული.

ონოგურისის ციხის დანიშნულება შესანიშნავადაა ნაჩვენები აგათიას ცნობებში. იგი არქეოპოლისის ფორპოსტია აღმოსავლეთის მხრიდან და მის „სასიმაგრო საფარს" წარმოადგენდა, ე. ი. კეტავდა მუხირისიდან არქეოპოლისისაკენ მიმავალ გზას, უფრო სწორად, არქეოპოლისის მისადგომებს. ამიტომაც ბიზანტიელები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ[286].

მაშასადამე, როგორც წესი, ყველა სიმაგრეს თავისი ფუნქცია აქვს თანაც ურთიერთშორის მიმართებაში. სწორედ ამ მომენტის გამო პ. ზაქარაიას დასავლეთ საქართველოში წლების განმავლობაში მუშაობის შედეგად გაუჩნდა აზრი, რომ არსებობს დაცვის ერთიანი სისტემა. ესაა ერთიანი ძლიერი ქვეყნის კარგად მოფიქრებული სიმაგრეთა განლაგება[287]. მისი დაკვირვებით, ლაზიკის აღმოსავლეთ მონაკვეთში ისეთი დიდი ციხეები, როგორიც იყო ვარდციხე, შორაპანი, სკანდე და სხვა, აღმართულია მთავარი მაგისტრალების გადამკეტი გზაჯვარედინების გათვალისწინებით. ცხენისწყლის დასავლეთით კი სხვა სურათია: აქ ციხეები განლაგებულია მთისა და ბარის, კოლხეთის დაბლობისა და ჩრდილოეთით მისი მომიჯნავე მთების შეერთების ზოლზე, რითაც ქვეყნის სიღრმეში შეღწევის შესაძლებლობა ისპობოდა მტრისათვის[288].

დიდღვაბუნას ციხე (სურ. 118) ონოგურისის აღმოსავლეთით მდ. ცხენისწყალზეა გორდის გადასასვლელთან. ციხესიმაგრე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მხოლოდ ი. სიხარულიძემ სცადა ამ ციხის „უქიმერიონთან" გაიგივება[289], რადგან 1968 წელს ცხენისწყლის ხეობაში ისტორიულ – გეოგრაფიული დაზვერვის დროს მისი ყურადღება აღნიშნულ ციხეს მიუქცევია, როგორც ადრე შუა საუკუნეების ხანის ძეგლს. მისივე დაკვირვებით, დიდღვაბუნას დიდი ციხე კონტროლს ამყარებს იმ გზაზე, რომელიც ცხენისწყლის ხეობაში გადიოდა და ლეჩხუმს (სკვიმნია) და სვანეთს ბართან აკავშირებდა[290]. ჩვენ იმთავითვე არ დავეთანხმეთ ავტორს დიდღვაბუნასა და უქიმერიონის იგივეობაში[291] და ამ საკითხზე იგივე აზრი გვაქვს დღესაც. რაც შეეხება დიდღვაბუნას ციხეს და მის მიმდგომ მხარეს ჩვენ ის საგანგებოდ მოვიხილეთ. (უფრო მეტიც, შევამოწმეთ აგრეთვე მეორედ ქუთაის – სორმონიდან ლეხიდრის ხეობაში ე. ი. ლეჩხუმში გადამავალი უმოკლესი გზა, რომლის საკომუნიკაციო პრიორიტეტი ეჭვს არ იწვევს. დიდღვაბუნა გორდის „ქვეყნის" მთავარი ციხეა (ციხე – კოშკია). იგი აგებულია ტყლიპის ქედის მიუვალი კლდის ქიმზე, აქვს მართკუთხედის ფორმა (ზომები: 15X7მმ.), როგორც ვხედავთ მცირე ზომისაა. მიუხედავად ამისა, აქვს შესანიშნავი მდებარეობა, აქედან ხელისგულივით მოსჩანს ცხენისწყლის ხეობის ორივე მიმართულება და რაც მთავარია ესაა საზღვარი კოლხეთის დაბლობისა და კავკასიონის კლდოვან ფერდობებს შორის (და ნოქალაქევ – არქეოპოლისის „ქვეყნიდან" ლეჩხუმ – სვანეთისაკენ მიმავალი ერთ-ერთი მთავარი გზის კარიბჭეა, გორდის „ქვეყნის" მთავარი ბასტიონია). მისი მთავარი ფუნქცია ცხენისწყლის ხეობის ჩაკეტვაა. ციხესიმაგრის მშენებლობაში, რამოდენიმე სამშენებლო ფენა ჩანს, შესაბამისად წყობა არასტანდარტულია. ერთი ეტაპი აშკარად ადრინდელია (IV – V სს.). უფრო მეტიც, ზედაპირზე ანაკრეფი მასალები (სამშენებლო კერამიკა, ქვევრებისა და დერგების ფრაგმენტები) მიუთითებენ ინტენსიურ ცხოვრებას უფრო გვიანანტიკურ ხანაში. ამას ადასტურებს არქეოლოგიური მონაპოვარი ორმოსამარხებიდან, რომელიც ქალბატონმა ვ. ჩიხლაძემ შეისწავლა (ბრინჯაოს წინწილი, სამაჯურები, მშვილდსაკინძი, მძივები და სხვა, რომელიც III – IV საუკუნეებით აქვს დათარიღებული[292]. ჩვენ ვიზიარებთ ამ თარიღს, მაგრამ დიდღვაბუნასა და

სურ. 118. დიდღვაბუნას (გორდის) ციხე

უქიმერიონის იდენტიფიკაციის მისეული ვარაუდის კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ. გნებავთ იმიტომ, რომ უქიმერიონი ნახსენებია VI საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით და არა IV საუკუნისა, თანაც კონტექსტიდან ჩანს, რომ ის ქუთაისის მახლობლადაა, მის აღმოსავლეთით შორაპნისაკენ მიმავალ გზაზე და არა არქეოპოლისის ქვეყანაში. (იხ. ქვემოთ...).

ნამაშევის ციხე მდებარეობს მდ. გუბისწყალზე, სოფ. დიდი გუბის (ხონის რ-ნი) ტერიტორიაზე. პირველი არქეოლოგიური დაზვერვები აქ ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით 1980 წელს ჩაატარა ეგრისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ[293], ხოლო მომდევნო წლებში გაითხარა ძეგლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ციხესიმაგრე ღია – ვაკე ადგილზეა აგებული, რომელსაც აღმოსავლეთით მდ. გუბისწყალი საზღვრავს. დასავლეთიდან უნდა ჰქონოდა ხელოვნური თხრილი. მართალია ცუდად, მაგრამ მაინც შემორჩენილია გალავნის კედლები, კოშკები და სხვა ნაგებობათა ნაშთები. გეგმაში ციხესიმაგრე ძირითადად ოთხკუთხა ფორმისაა, ჩრდ. კუთხეში სწორკუთხა კოშკის ნაშთებით. ციხესიმაგრის კომპლექსში შედის ორი სადარაჯო კოშკი სამხრეთისა და დასავლეთის მხარეს, რომელიც იცავდა სიმაგრის მისადგომებს. გათხრებმა აჩვენა, რომ ეს პუნქტი ფუნქციონირებს IV – VI საუკუნეებიდან, როგორც ადრე შუა საუკუნეების ციხესიმაგრე და ცხოვრება აქ გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიც[294]. ნამაშევი ქუთაისის მისადგომებს იცავდა დასავლეთიდან და გუბისწყლის ხეობის ვაკე „ქვეყანაზე" ბატონობდა.

დასკვნა: ეგრისის სამეფოს თავდაცვის ერთიანი სისტემა

ეგრისის სამეფოს თავდაცვის ერთიანი სისტემა შემდეგ სახეს იღებს:

1. საზღვისპირო ციხესიმაგრეები: აფსაროსი, ბათუმის ციხე, ციხისძირი, ფასისი, ზიგანისი, სებასტოპოლისი, (ანაკოფია), პიტიუნტი.

აღნიშნული ციხესიმაგრეების აღმოცენება უპირატესად I – II საუკუნეებში ხდება რომის იმპერიის სამხედრო – სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. მათი აყვავების ხანაა II – III საუკუნეები. ციხესიმაგრის ძირითადი ტიპი კასტელაა.

2. რიონ – ყვირილას ხაზზე განლაგებული სასიმაგრო პუნქტები: ნესოსი – ტეხურ – რიონის შესართავთან, ტელეფისი – ცხენისწყლის შესართავთან, მთისძირი – ყუმურის შესართვათან, როდოპოლისი – ყვირილა – რიონის შესართავთან, შორაპანი – ყვირილაზე, საზანო და სკანდა, როგორც სასაზღვრო ციხესიმაგრეები და ე. წ. „ქართლის შარას" ჩამკეტი.
3. მთისწინა ზოლის გასწვრივ განლაგებული ციხესიმაგრეები: წებელდა, წარჩე, რეკა, სკური, სათანჯო, ჭაქვინჯი, ეკი, შხეფი, კოტიანეთი, ნოქალაქევი, აბედათი, დიდღვაბუნა, ნამაშევი, ქუთაისი, უქიმერიონი და კვლავ სკანდე – შორაპანი.
4. ჭოროხის ხეობის თავდაცვის ხაზი, რომელსაც ეგრისის სამეფოს თავდაცვის ერთიან სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა და არმენიასა და იბერიაში გადამავალი გზების ჩამკეტი იყო აფსაროსიდან ბეიბურთამდე, სამწუხაროდ, ჯერ შეუსწავლელია.

ქვეყნის სიღრმეში მითითებული ამ სასიმაგრო პუნქტების აღმოცენება ხდება უპირატესად ახ. წ. IV საუკუნეში, თანაც სამეფოს სტრატეგიული მიზნების შესაბამისად: გზების, გადასასვლელების, გზაჯვარედინების ჩასაკეტად და ხე-

ობებზე და „ქვეყნებზე" კონტროლის გათვალისწინებით. სიმაგრის ძირითადი ტიპებია ციხე-ქალაქი და ციხე, ე. ი. ზღუდე – გალავანში მოქცეული გარკვეული ტერიტორია (შიდაციხით და შიდაქალაქით). ციხესიმაგრეთა მშენებლები, როგორც წესი, ითვალისწინებდნენ:

1. ადგილმდებარეობის თავისებურებას და გარემოზე კონტროლის შესაძლებლობას.
2. სიმაგრის მცველთა რაოდენობას.
3. ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

ე. ი. თუ თავდაცვის ერთიანი სისტემის შექმნის პირველ ეტაპზე ახ. წ. I – IV საუკუნეებში, მხოლოდ საზღვისპირო ხაზის ჩამოყალიბება და განვითარება ხდება, უკვე მეორე ეტაპზე ახ. წ. IV საუკუნიდან ქვეყნის შიდა რაიონების სასიმაგრო სისტემის ქსელი იქმნება საერთო სტრატეგიული, კარგად გააზრებული გეგმის შესაბამისად. ყოველივე ეს, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, შედეგია ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკური განვითარებისა და ფეოდალური წყობის უპირატესობის, როცა „ქვეყანა თავს აღწევს პასიური მომწოდებლის მდგომარეობას და ზღვისიქითელთა პოლიტიკურ ბატონობასაც. ცხოვრების ცენტრი ქვეყნის შიგნით გადმოდის, შრომის განაწილების შემდგომი გაღრმავების ნიადაგზე ნაწარმის გაცვლა – გამოცვლა მხარეებს (და სოფლებს) შორის ცხოველდება. ამ ნიადაგზე წარმოიშობიან ქალაქები ქვეყნის შიგნით. ამავე დროს ქვეყანა პოლიტიკურად თავისუფლდება ამ ზღვისიქეთელთაგან. ასე რომ, საზღვისპირო ციხე – ქალაქების მოშლა ნიშანია არა ქვეყნის დაცემის, არამედ მისი ეკონომიკური და პოლიტიკური შემდგომი დაწინაურების..."[295].

მეორე ეტაპზე (IV – VIII სს.) თავდაცვის ერთიანი სისტემის შექმნა ორი მიმართულებით მიმდინარეობს:

1. საზღვისპირო ციხესიმაგრეების აღდგენა (ე. წ. „პონტოს ლიმესის" ანუ „კავკასიის საზღვრის" მემკვიდრეების განახლება).
2. ქვეყნის შიდა რაიონების ციხესიმაგრეების შექმნა, რომელთა განლაგება მოხდა მთავარი გზების გათვალისწინებით, ქვეყნის ბუნებრივ – ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრების გარშემო.

ერთ – ერთი ასეთი მთავარი საქალაქო ცენტრი ქუთაისი იყო, რომლის ირგვლივ აღმოცენდა: როდოპოლისი – ვარდციხე, მთისძირი, ნამაშევი, (შესაძლოა ხომულის ციხეც), უქიმერიონი, სკანდა და შორაპანი[296] (სურ. 119).



სურ. 119. რუკა

შენიშვნები

1. ***ლომოური ნ.,*** *ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968 წ., გვ. 66-67;* ***მისივე,*** *საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში. თბ., 1989 წ., გვ. 65*
2. ***მუსხელიშვილი დ.,*** *საქართველო IV – VIII საუკუნეებში. გვ. 100.*
3. *Plin, NHH VI, 11, 12, 14.*
4. *Arr, PPE, 6;* ***შპაიდელი მ.,*** *კავკასიის საზღვარი. II საუკუნის გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში. მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია) №1, 1985, გვ. 138;* ***Элницкий Л. А.,*** *Из исторической географии др. Колхиды. ВДИ № 2, 1938 г.,*
5. *Itineraria Romana, Ravenatis anonymi Cosmographia Et Guidonis Geographica, Edidit* ***Joseph Schnetz,*** *Stuttgart MCMXC, გვ. 92, 135;* ***K. Miller,*** *Itineraria Romana, Stutgart, 1916, გვ. 639;* ***ლომოური ნ.,*** *ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, 1959 წ., გვ. 99 – 118.*
6. *Proc. BG. VIII, 2;* ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *გეორგიკა, II, 1965 წ., გვ. 123-124.*
7. ***Agathia,*** *Hist, III, 14;* ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *გეორგიკა, III, 1936 წ., გვ. 82-83.*
8. ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *გეორგიკა, IV, ნაკვ. I, 1941 წ., გვ. 19.*
9. ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *გეორგიკა, IV ნაკვ. II, 1952 წ., გვ. 57.*
10. ***კეკელიძე კ.,*** *ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. თბ., 1935 წ., გვ. 66.*
11. *ზოგიერთი თვლის, რომ ციხეს ორი ან სამი შესასვლელი ჰქონდა. იხ.* ***კომახიძე დ.,*** *აფსარ – გონიოს ციხის არქიტექტურისა და ისტორიის ზოგიერთი საკითხი, კრ., სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, I, ბათ., 1980 წ., გვ. 37 – 46. აფსარ – გონიოს არქეოლოგიური შესწავლა კვლავ გრძელდება, შესაბამისად ძირითადი დეტალების დაზუსტება ხდება, მაგ. უახლესმა გათხრებმა დაადასტურა რომ ციხესიმაგრეს 22 კოშკი იცავდა.*
12. ***შპაიდელი მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 134-140. აფსაროსში მყოფი გარნიზონის რიცხობრივ შემადგენლობას აზუსტებს გ. ლორთქიფანიძე და აღნიშნავს, რომ აქ „ხუთი სპეირა" იდგა, რაც დაახლოებით 900 კაცს უდრის* ***(ლორთქიფანიძე გ.,*** *ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991 წ., გვ. 50-51). ახ. წ. II საუკუნის 30-იან წლებისათვის აფსაროსში ათასკაციან გარნიზონს ვარაუდობს აგრეთვე თ. თოდუა (იხ.* ***მისი,*** *რომაული სამყარო და საქართველოს შავიზღვისპირეთი, სადისერტაციო მაცნე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1995 წ., გვ. 12).*
13. ***Леквинадзе В. А.,*** *Материалы по истории и архитектуре апсарской крепости „Византийский временник" XX, 1961, с. 225-242.*
14. *იქვე, გვ. 241 – 242; მისივე, „Понтиский лимес", ВДИ, 1969 г., №2 с., 78-79.*
15. *იქვე.*
16. ***ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ.,*** *მასალები ბათუმის რაიონის არქეოლოგიური შესწავლისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, №6, თბ., 1960 წ., გვ. 761 – 768.*
17. *იქვე, გვ. 766 – 767.*
18. ***გრძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ., ინაიშვილი ა.,*** *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები.*

კრ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, III, თბ., 1973 წ., გვ. 8, 30.

19. ***ლორთქიფანიძე ოთ., ხახუტაიშვილი დ., მიქელაძე თ.,*** *გონიოს განძი. თბ., 1980 წ.,* ***Лордкипанидзе О. Д.,*** *Наследие древней грузии ТБ., 1989 г., с. 339-347.*
20. ***კახიძე ა., მამულაძე შ.,*** *სამხრეთ კარიბჭესა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995 – 1999 წლებში წარმოებული კვლევა – ძიების უმთავრესი შედეგები. გონიო – აფსაროსი, IV, ბათ., 2004 წ.,* ***მამულაძე შ.,*** *(ბათუმი), ქართველი გამომცემლის შესავალი სიტყვა, გონიო – აფსაროსი III, თბ., 2002 წ., გამომც. „ლოგოსი", გვ. 13 – 14;* ***კახიძე ა., ხალვაში მ.,*** *გონიო – აფსაროსი წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით I – VI სს. კულტურის ისტორიის საკითხები V, თბ., გამომც. „ირმისა", 1998 წ., გვ. 26 და შმდ.*
21. ***Леквинадзе В. А.,*** *Материалы по истории и архитектуре Апсарской крепости. ВВ, т. XX, 1961 г., с. 23;* ***его-же*** *,,Понтийский Лимес", с. 77, 78.*
22. ***შპაიდელი მ.,*** *დასახ. ნაშრომი. გვ. 135-136.*
23. ***ლორთქიფანიძე გ.,*** *ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991 წ., გვ. 31.*
24. *თავისი ინსპექტირების დროს არიანემ ჯარისკაცებს ხელფასი დაურიგა და რაც მთავარია, მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა გარნიზონისათვის პურის მარაგის შევსება (AArr. PPE, 6; შდრ.* ***ლორთქიფანიძე გ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 52).*
25. ***Леквинадзе В. А.,*** *Об одной Византийской крепости, сообш. АН ГССР, X L VII, 2, 1967 г., с. 505-510*
26. ***Леквинадзе В. А.****, О постройках Юстиниана в западной Грузии-Византийский временник, 34, 1973 г., с. 171-173.*
27. ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950-1951 წწ., გვ. 17 – 20.*
28. ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *გეორგიკა, II, 1965 წ., გვ. 58-77;* ***მისივე,*** *რას მოგვითხრობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ. თბ., 1964 წ., გვ. 60.*
29. ***სიხარულიძე ი.,*** *ბათუმის წარსულიდან. კრ. რუსთაველის სახ. ბათუმის პედინსტიტუტის შრომები, V, 1956 წ., გვ. 83 – 91;* ***მისივე,*** *სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათ., 1959 წ., გვ. 79 – 80;* ***მისივე,*** *აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათ., 1962 წ., გვ. 26 – 28.*
30. ***ლომოური ნ.,*** *კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1963 წ., გვ. 83.*
31. ***სურგულაძე აბ.,*** *ბათუმის ისტორიისათვის. კრ., აჭარის მოსახლეობის ყოფა და კულტურა. თბ., 1965 წ., გვ. 239-248;* ***მისივე,*** *ქალაქ ბათუმის ისტორიისათვის, ჭოროხი, 1983 წ., №5, გვ. 78.*
32. ***ინაიშვილი ა.,*** *ბათუმის ისტორიისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე. კრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1965 წ., გვ. 69 – 75.*
33. ***კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ.,*** *მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVIII, გვ. 42-57. ისტორიოგრაფიულ ნაწილში დეტალურადაა განხილული 150 წლის მანძილზე ბათუმის შესახებ სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოთქმული ცალკეული მოსაზრებები (იქვე, გვ. 5 – 41), ამიტომ ისტორიოგრაფიული მიმოხილვისაგან ჩვენ თავს ვიკავებთ.*
34. *იქვე, გვ. 56.*
35. *იქვე, გვ. 57.*
36. ***Леквинадзе В. А.****, Об одной Византийской крепости... с. 505 и т. д.*
37. *არც ისაა გამორიცხული, რომ აქ, ადგილობრივი ტრადიციების გაგრძელების თვალსაზ-*

რისით, ძველი სამოსახლოს ადგილზე, ლაზთა ინტერესების გამო გაჩენილიყო თავდაცვითი პუნქტი, როგორც პლაცდარმი სამხრეთის ტერიტორიების შემომტკიცებისათვის ბრძოლაში. ერთი სიტყვით, რეალობა ბათუმის ციხის შესახებ კვლავ გამოცანად რჩება...

38. *ეგრისის სამეფოს ციხე – ქალაქის პეტრას ლოკალიზაციის საკითხს უკანასკნელ ხანს ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. გ. გრიგოლიამ (იხ.* ***მისი,*** *ეგრის – ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები. თბ., 1994 წ., გვ. 11 – 78. იქვე, მითითებული ლიტერატურა).*

39. ***ჯანაშია ს.,*** *ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. შრომები, I, თბ., 1949 წ., გვ. 30-44.*

40. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *„ს, ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე", რეცენზია, მიმომხილველი, III, თბ., 1953 წ., გვ. 291.*

41. ***ხოშტარია ნ.,*** *ციხისძირის ისტორიისათვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესიის თეზისები. 1953 წ.,* ***მისივე,*** *ციხისძირი. თბ., 1962 წ.,*

42. ***ინგოროყვა პ.,*** *გიორგი მერჩულე. თბ., 1954 წ., გვ. 230 – 234.*

43. ***ლომოური ნ.,*** *ქალაქი პეტრა და მისი მდებარეობა. სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციის შრომები, ნაწ., I, 1948 წ., გვ. 24-27.*

44. ***სულეიმანოვი მ.,*** *პეტრა (ციხისძირი), აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, II, ბათ., 1957 წ., გვ. 5-41.*

45. ***სიჭინავა ვ.,*** *ახალი ცნობები (ციხისძირი) პეტრას ისტორიისათვის... აჭარის სახ. მუზეუმის შრომები, ტ. II ბათ., 1957 წ., გვ. 51-52.*

46. ***სიხარულიძე ი.,*** *სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II გვ. 97-103;* ***მისივე,*** *აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათ., 1962 წ., გვ. 25-26.*

47. ***ქათამაძე ალ.,*** *პეტრა ციხე – ქალაქის შესახებ. საბჭოთა აჭარა, №178, 1963 წ., 9 სექტემბერი.*

48. ***ინაიშვილი ა.,*** *ციხე – ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. კრ., სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, თბ., 1971 წ., გვ. 74 – 88;* ***მისივე,*** *პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, 1971 წ., გვ. 91-107;* ***მისივე,*** *სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევა – ძიების ძირითადი შედეგები (1959-1971). სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ძეგლები, III, თბ., 1973 წ., გვ. 3-7.*

49. ***ხახუტაიშვილი დ., ინაიშვილი ა.,*** *ქართული მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლები. საბჭოთა აჭარა, 1962 წ., VIII. №17;* ***ხახუტაიშვილი დ.,*** *სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1979 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები. სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XV, თბ., 1982 წ., გვ. 3-17.*

50. ***მუსხელიშვილი დ.,*** *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977 წ., გვ. 102, 104, 228.*

51. *დაწვრილებით იხ.* ***გრიგოლია გ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 11 და შმდ.*

52. ***Berthold Rybin****, Das Zeitalter lustinians I band, berlin, 1960, Karte 8, გვ. 115.*

53. ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *გეორგიკა, II, 1965 წ., გვ. 58-60, 77;* ***მისივე,*** *რას მოგვითხრობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964 წ., გვ. 60. საინტერესოა, რომ დიუბუა დე მონპერე პეტრას ვაშნარის ნაშთებთან აიგივებდა (****Dubois*** *de Montpereux, Voyage…t III, p.86).*

54. ***გრიგოლია გ.,*** *დასახ. ნაშრ., გვ. 50. „ერთი სიტყვით, პროკოპის ყველა ცნობა, რაც გაუგებარი და ურთიერთსაწინააღმდეგოა რიონ – ფასისთან დაკავშირებით, სავსებით ნათელი და ლოგიკურია ფასის – ჭოროხთან მიმართებაში" – საუბარია სპარსეთ – ბიზანტიას შორის წარმოებული ომის პირველ ეტაპზე (541 – 552 წწ.).*

55. *იქვე, გვ. 55.*

56. *იქვე, გვ. 77.*

57. *გეორგიკა, II, გვ. 126. ამ ცნობის საფუძველზე წინამორბედი მკვლევარები ორიენტირად სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართულებას იღებდნენ და ამან მიიყვანა ისინი პეტრა – ციხისძირის იდენტიფიკაციამდე. გ. გრიგოლია, პირიქით, აფსაროსიდან სამხრეთის მიმართულებას ირჩევს და როგორც ჩანს, მართებულად.*

58. ***გრიგოლია გ.,*** *დასახ. ნაშრომი გვ. 77.*

59. *ხოფას მიდამოებში დამოწმებულია ტოპონიმი ჯიხა (ციხე), ყალა – დიბი (ციხისძირი) და რაც მთავარია, ჰიდრონიმი პეტრაღალი (პეტრას ღელე), იქვე, გვ. 77.*

60. ***ხოშტარია ნ.,*** *ციხისძირი. 1962 წ;* ***ინაიშვილი ნ.,*** *სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ძველი ქალაქები (ციხისძირი). 1990 წ., (ხელნაბეჭდი);* ***ჯანაშია სიმ.,*** *ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. შრომები, I, თბ., 1949 წ., გვ. 24-49;* ***ინაიშვილი ა.,*** *ციხე – ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. კრ., სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, 1971 წ., გვ. 74-80;* ***მისივე,*** *პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. იქვე, გვ. 91-107.*

61. *Proc. Bp II-15, 17; De aedificilis, II, 7; პროკოპის თქმით, მანამდე იქ სოფლის ტიპის დასახლება იყო.*

62. ***გრიგოლია გ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 89 და შმდ.*

63. ***ინაიშვილი ნ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 38-169;* ***Леквинадзе В. А.****, Римский кирпич со штампом из Цихисдзири. сообщ. АН ГССР, XLV, 3, 1967 г., с. 797-800;* ***Кигурадзе Н. Ш., Лордкипанидзе Г. А., Тодуа Т. Т.,*** *Клейма XV легиона из Цихисдзирского городища, ВДИ, 1987 г., №2, с. 88-92;* ***შპაიდელი მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 138.*

64. ***ლომოური ნ.,*** *ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. გვ. 100-103.*

65. ***გრიგოლია გ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 110-114.*

66. ***ჯანაშია სიმ.,*** *შრომები, I, გვ. 44.*

67. ***ხოშტარია ნ.,*** *ციხისძირი. თბ., 1962 წ;* ***Мачабели К. Г.,*** *Позднеантичная теоревтика. ТБ., 1976 г., с. 38-40;* ***ინაიშვილი ნ.,*** *ციხისძირის განძი. სდსძ, XVI, 1987 წ., გვ. 118 – 146.*

68. ***ინაიშვილი ა.,*** *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის მუშაობის შედეგები და პერსპექტივები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, II, თბ., 1974 წ;* ***მისივე,*** *პეტრა – ციხისძირში 1962-1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. სდსძ, IV, თბ., 1974 წ., გვ. 118-153.*

69. ***ინაიშვილი ნ.,*** *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი ქალაქები. თბ., 1990 წ.,* ***მისივე,*** *ციხისძირის გვიანანტიკური ხანის აბანოები. სდსძ, XVII, თბ., 1988 წ., გვ. 118-148;* ***Инаишвили Н. А.****, Петра-Цихисдзири?, ТБ., 1991 г.*

70. ***ინაიშვილი ნ., იაშვილი ი.,*** *I – VI საუკუნეების ნუმიზმატიკური ძეგლები ციხისძირიდან. სდსძ, XX, თბ., 1991 წ.*

71. ***ინაიშვილი ნ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 155.*

72. *ამ მოვლენას უნდა ასახავდეს გიორგი სინეგელოზის ცნობა „სევერემ დაიმორჩილა კოლხიკე ე. ი. ლაზიკეო" – გეორგიკა, IV, ნაკვ. I, 1940 წ., გვ. 48; შდრ.* ***თოდუა თ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 8;* ***გრიგოლია გ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 142.*

73. *იქვე, გვ. 130. საინტერესოა მ. შპაიდელის მოსაზრება, რომ ციხისძირი (პეტრა) ახ. წ. II საუკუნეში უფრო ავანპოსტი იყო, ვიდრე დამოუკიდებელი ციხესიმაგრე (**შპაიდელი მ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 138).*

74. ***გრიგოლია გ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 143. პატ. მკვლევარი ეყრდნობა კასტორიუსის, ზოსიმეს, Notitia dignitatum – ის, პრისკე პანიონელის და დანიელ მესვეტეს ცნობებს.*

75. ***ინაიშვილი ნ.,** ციხისძირის ახ. წ. I – VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბ., „მეცნიერება", 1993 წ.,*

76. ***Dubois** de Montpereux, Voyage…atlas aute serie, tab. XVIII Paris 1939.*

77. ***ბერძნიშვილი მ.,** ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის. თბ., 1969 წ., გვ. 100-175; **მიქელაძე თ.,** არქეოლოგიური კვლევა – ძიება რიონის ქვემო წელზე (მასალები ძველი ფასისის ისტორიისათვის). თბ., 1978 წ., გვ. 3-21-83; სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემისადმი (მოხსენებები), თბ., 1973 წ.,*

78. ***ფლავიუს არიანე,** მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. (ნ. კეჭაყმაძის გამოცემა), თბ., 1962 წ., გვ. 39 – 40.*

79. ***Леквинадзе В. А.,** „Понтийский Лимес", ВДИ, 1969 г., №2, с. 79; საინტერესოა IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის ცნობა ფასისში რიტორიკული სკოლის არსებობის შესახებ, სადაც თვით ბერძნებიც იღებდნენ განათლებას (**ყაუხჩიშვილი სიმ.,** რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში, სსმმ, X – B, თბ., 1940 წ.).*

80. ***Zosim, I,** 32. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია V ს. ანონიმის ცნობა Anonimi periplus, §.3, გეორგიკა, II, გვ. 4.*

81. ***აგათია,** III, 20, გეორგიკა, III, გვ. 97.*

82. ***მენანდრე,** ფრაგმ. 3 – გეორგიკა, III, გვ. 209.*

83. ***ბერძნიშვილი მ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 184-187.*

84. ***მიქელაძე თ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 13.*

85. *სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი, არიანე, კლავდიოს პტოლემაიოსი, V ს. ანონიმი, აგათია და სხვა.*

86. ***მიქელაძე თ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 92; **ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ.,** ფასისის ისტორიულ – არქეოლოგიური შესწავლის პრობლემა. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ფასისის ლოკალიზაციის პრობლემისადმი. მოხსენება, თბ., 1973 წ.*

87. ***ჯანელიძე ჭ.,** ფაზისის ლოკალიზაციის გეომორფოლოგიური ასპექტი. სამეცნიერო სესია..., თბ., 1973 წ.,*

88. ***მიქელაძე თ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 20.*

89. *იქვე, გვ. 88.*

90. ***Dubois** de montpereux, Voyage…vol IV P. 1939, p. 67-76 Atlas eu te serie, t. XVIII.*

91. ***Ломоури Н. Ю.,** Из исторической географии древней Колхиди. ВДИ, №4, 1957 г., с. 90.*

92. ***გრიგოლია გ.,** ქალაქ ფასისის ლოკალიზაციისათვის. სამენციერო სესია... გვ. 36.*

93. ***Гамкрелидзе Г. А.,** К Археологии долины фасиса. ТБ., 1992 г., с. 30-48.*

94. *იქვე, გვ. 42., **გამყრელიძე გ., თოდუა თ.,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 67 და შმდ.*

95. ***ბერძენიშვილი ნ.,** სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. ენიმკის მოამბე, №10, თბ., 1941 წ., გვ. 299; **Леквинадзе В. А.,** „Понтийский Лимес", ВДИ, 1969 г., №2, с. 81-82.*

96. *პირველად ზიგანეოსი იხსენიება III – IVსს. მიჯნის ამბების აღწერის დროს „წმ. ორენტის მარტვილობაში", რომლის მიხედვით იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა დევნის გამო ზიგანეოსში დაკრძალეს ორენტის თანამოაზრე კირიაკი (Acta sancterum IV, Antverpiae TDCC VIII, გვ. 809).*

97. ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *გეორგიკა, IV ნაკვ. II, 1952 წ., გვ. 123.*

98. ***ზაქარაია პ., ლექვინაძე ვლ.,*** *ჭაქვინჯისა და გუდავას 1968-1969 წწ. ექსპედიციის წინასწარი ანგარიში. კრ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., 1971 წ., გვ. 100-101.*

99. *იქვე.*

100. ***ზაქარაია პ., ლექვინაძე ვლ.,*** *გუდავაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974 წ., გვ. 140.*

101. *იქვე, გვ. 143-147.*

102. ***ზაქარაია პ., ლექვინაძე ვლ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 143-147.*

103. ***Чернявский В.,*** *Записка о памятниках Западного Закавказъя, исследование которых наиболее настоятельна. Пятый археологический съезд в Тифлисе, Протоколы подгот. комитета. 1879.*

104. ***Сизов В.,*** *Восточное побережье Черного моря. Материалы по археологии Кавкавза, вып.11, М., 1889.*

105. ***Башкиров А.С.,*** *Археологические изыскания в Абхазии летом 1925 г., изв. Абхазского науч. общ. 4, Сухуми, 1926 г.*

106. *იქვე, გვ. 7-10.*

107. ***Соловьев Л.,*** *Диоскурия—себастополис—Цхуми. Труды Абхазского гос. Музея, вып. 1, Сухуми, 1947 .,*

108. ***კალანდაძე ალ.,*** *სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი, 1954 წ.,*

109. ***Трапш М. М.,*** *некоторые итоги археологического исследования в Сухуми в 1951-1953 гг., СА, XXII 1955 г., с. 209; Трапш М. М., Труды 11, Древний Сухуми. Сухуми, 1969 г; 1951 წ. სოხუმის ციხე ინახულა აკად. ნ. ბერძენიშვილმა და მიუთითა მისი არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობაზე (იხ.* ***მისი,...*** *საკითხები, I, გვ. 294).*

110. ***Шервашидзе Л. А., Соловьев Л. И.,*** *Исследование древнего Себастополиса. СА. №3, 1960 г., с. 171-179.*

111. ***აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე ოთ.,*** *მასალები დიოსკურია – სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის. მაცნე, №3, 1965 წ., გვ. 104 და შმდ.*

112. ***Ростовцев.,*** *Надписъ из Сухуми ЗООИД, XXVI, 1907 г., с. 365 сл;* ***Елницкий Л. А.****, О малоизвестных или утраченных греческих и латинских надписях Закавказъя. ВДИ 1964 г., №2, с. 139.*

113. ***Шервашидзе Л. А., Соловьев Л. Н.****, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.*

114. ***აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე ოთ.,*** *შავიზღვისპირეთის ექსპედიციის მუშაობის ანგარიში 1953 წ., ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, თბ., 1960 წ., გვ. 34-42.*

115. ***Леквинадзе В. А.,*** *Оборонительные сооружения Себастополиса. СА, 1, 1966 г., с. 203-209;* ***Его-же*** *„Понтийский Лимес", с. 82-84.*

116. *იქვე, გვ. 203.*

117. *იქვე, გვ. 204.*

118. *იქვე, გვ. 206.*

119. *იქვე, გვ. 207-209.*

120. *იქვე, გვ. 210.*

121. ***Леквинадзе В. А.,*** *„Понтийский Лимес", с. 84.*

122. ***აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე ოთ.,*** *მასალები დიოსკურია – სებასტოპოლისის არქე-*

ოლოგიისათვის. მაცნე, 1965 წ., №3, გვ. 126-127.
123. **Гамреклидзе Г. А.**, К Археологии долины фасиса. ТБ., 1992 г., с. 44.
124. **Леквинадзе В. А.,** „Понтийский Лимес", с. 84.
125. **ლორთქიფანიძე გ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 56.
126. **Шервашидзе Л. А., Соловьев Л. Н.,** Указ. соч... с. 177.
127. **Арр**. PPE, 17; ახ. წ. I – II საუკუნეებში – თ. თოდუას ვარაუდით დიოსკურია – სებასტოპოლისი ქალაქი და რომაული ციხეა ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ხოლო ფუნქციური დანიშნულებით მნიშვნელოვანი სამხედრო – სტრატეგიული პუნქტი (იხ. **მისი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 17).
128. **Башкиров А.С**., Археологические изыскания в Абхазии летом 1925 г., „Известия Абхазского научного общества". вып. IV, 1926 г.
129. **Трапш М. М.,** Археологические раскопки в Анакопии в 1957-1958 гг. Византийский временник, т. XIX, 1961 г. с. 260.
130. იქვე, გვ. 279.
131. იქვე, გვ. 280.
132. იქვე, გვ. 282.
133. **Леквинадзе В. А.,** По поводу Анакопийской крепости; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXV-B, გვ. 89-104.
134. იქვე, გვ. 102. ასე ფიქრობდა პროფ. ა. ბაშკიროვიც, რომელმაც 20-იან წლებში აქ გარკვეული სამუშაოები ჩაატარა (**Башкиров А.С.,** упом. соч, с. 53).
135. **Леквинадзе В. А.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 103.
136. იქვე, გვ. 94-102.
137. იქვე, გვ. 97 (იხ. გეგმა და ტაბულა IIᵇ).
138. პიტიუნტის შესახებ ცნობები შემოგვინახეს არტემიდორე ეფესელმა, სტრაბონმა (VI, II, 14), პლინიუს სეკუნდუსმა (NH VI, 15, 16), ფლავიუს არიანემ (PPE 17), ზოსიმემ (1, 32), თეოდორიტე კვირელმა (გეორგიკა, I, გვ. 224), პროკოპი კესარიელმა (BG VIII, 4) და სხვებმა.
139. „დიდი პიტიუნტი", I, თბ., 1975 წ., გვ. 17-19; **ლორთქიფანიძე გ.,** ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991 წ.,
140. იქვე, გვ. 17-24.
141. **Башкиров А.С**., Археологические изыскания в Абхазии летом 1925 г., Известия Абхазского научного общества. IV, Сухуми, 1926 г.
142. შდრ. **ლორთქიფანიძე გ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 29-30.
143. **Адзинба И.,** Архитектурные памятники Абхазии. Сухуми, 1958 г., с. 40.
144. „დიდი პიტიუნტი", I, II, III, თბ., 1975, 1977, 1978 წწ.
145. „დიდი პიტიუნტი", I, გვ. 53.
146. **Лордкипанидзе Г., Агрба З.,** Раскопки на территории комплекса Пицундского храма. Археологические Открытия 1980 г., в Абхазии, ТБ., 1982 г., с. 26-31; **Лордкипанидзе Г.,** Исследования в Пицунде. АО, 1980 г., М, 1981 г., с. 902-924.
147. ძვ. წ. V – VI სს. ფენები მხოლოდ ინკიტის ტბის სანახებშია დადასტურებული (**ლორთქიფანიძე გ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 167).
148. **ლორთიფანიძე გ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 84-85.
149. „Великий Питиунт", III,…с. 62
150. **Леквинадзе В. А.,** „Понтийский лимес" с. 86.

151. *„დიდი პიტიუნტი", I, გვ. სურ. 6.*

152. ***ლორთქიფანიძე გ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 91.*

153. *იქვე; არქეოლოგიური არტეფაქტებიდან ძალზე საინტერესოა ბიჭვინთის ნაქალაქარზე აღმოჩენილი გლიპტიკური მასალა, რომლის ძირითადი ნაწილი III საუკუნეს განეკუთვნება (იხ.* ***მშვილდაძე მ.,*** *ბიჭვინთის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ბეჭდის ფორმები (პრეპრინტი) თბ., 1993 წ.*

154. ***Гаидукевич В. Ф.****, Боспорское царство М. Л., 1949 г., с. 478-483; Степи Евразии в эпоху средневековья. Арх. СССР, М., 1981 г., с. 11;* ***ლორთქიფანიძე გ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 93.*

155. *იქვე, გვ. 173.*

156. *იქვე, გვ. 23; „Великий Питиунт", III, с. 21.*

157. ***Меликишвили Г. А.****, К истории древней Грузии. Тб., 1959 г., с. 333;* ***Ломоури Н. Ю.,*** *Грузино-римское взаимоотношение, 1, ТБ., 1981 г., с. 126;* ***Инадзе М. П.,*** *Причерноморские города древней Колхиды. ТБ., 1968 г., с. 240-244.*

158. *ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ რომაელთა სამხედრო ნაწილები თითქოს ჯერ კიდევ არ დგანან აღმ. შავიზღვისპირეთში (იხ.* ***Леквинадзе В. А.*** *„Понтийский ВДИ, 1969 г., №2, с. 75).*

159. ***Arr.*** *PPE, 12.*

160. ***ლორთქიფანიძე გ.,*** *ბიჭვინთის ნაქალაქარი. გვ. 43.*

161. *იქვე, გვ. 43-44; იქვე, დასახ. ლიტერატურა.*

162. ***Леквинадзе В. А.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 75-92.*

163. ***ლომოური ნ.,*** *საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში. გვ. 69-75; იქვე, დასახ. ლიტ. ასეთივე აზრისაა თ. თოდუაც (იხ.* ***მისი,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 12).*

164. ***Леквинадзе В. А.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 88; „პონტოს ლიმესის" აყვავების (II – IV სს.) და დაცემის პერიოდს ასახავს პიტიუნტსა და სებასტიპოლისში აღმოჩენილი მონეტების სიხშირე. მათი რაოდენობა იზრდება განსაკუთრებით II ს. ბოლოდან და მცირდება IV ს. ბოლოს (გ. დუნდუა, გოლენკო). ამ მომენტს ყურადღება მიაქცია გ. ლორთქიფანიძემაც. მისი თქმით, IV ს. ბოლო პერიოდით დათარიღებული სულ რამდენიმე მონეტაა აღმოჩენილი პიტიუნტში, V საუკუნისა კი – მხოლოდ ერთადერთი (ფეოდოს II, 408-450 წწ.). VI ს. დასაწყისისათვის 120-ზე მეტი ბიზანტიური მონეტა ჩნდება.*

165. ***ჯანაშია სიმ.,*** *ეგრისის სამეფოს წარმოშობა. შრომები, II, თბ., 1952 წ., გვ. 317 – 318;* ***მუსხელიშვილი დ.,*** *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977 წ., გვ. 82;* ***ლომოური ნ.,*** *ეგრისის სამეფოს ისტორია.*

166. ***Proc.*** *BP. II, 15.*

167. ***Proc.*** *BP. II, 28.*

168. ***Леквинадзе В. А.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 88.*

169. *იხ. პროკოპი კესარიელის შეფასება* ***(BG*** *VIII, 4; BP II, 28; de aed III, 7).*

170. *ასეთი ურთიერთობის დადასტურებაა მცხეთის ცნობილი წარწერაც. იხ.* ***წერეთელი გ.,*** *ვესპასიანეს ხანის ბერძნული წარწერა მცხეთიდან. თბ., 1958 წ;* ***ყაუხჩიშვილი თ.,*** *ბერძნული წარწერები საქართველოში. თბ., 1951 წ., გვ. 234 და შმდ.*

171. ***Dubois****…t. III, Paris 1939, გვ. 86-94; Atlas au serie, 1843, PL. XIX.*

172. ***ბაქრაძე დ.,*** *არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. სანკტ – პეტერბურგი, 1878 წ., თარგმანი* ***არჩილ ტოტოჩავასი,*** *გამ. „საბჭოთა აჭარა", 1987 წ., გვ. 230-233. იხ. თანდართული გეგმა.*

173. ***გობეჯიშვილი გ.,*** *არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952 წ., გვ. 154-156. ტაბ. XXI.*

174. ***გობეჯიშვილი გ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 155.*

175. *იქვე, გვ. 156. 1965 წელს ვაშნარში მცირე მასშტაბის საველე – საძიებო სამუშაოები ჩაატარა ბათუმის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციამ (ინაიშვილი).*

176. ***Леквинадзе В. А.****, Материалы по монументальному строительству в Лазике, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII – B, 1961 წ., გვ. 153. Раннесреднековые памятники Вашнари, СА №3, 1972 г., с. 309.*

177. *იქვე, გვ. 164.*

178. *იქვე. ქვევით შენიშნავს, რომ რომაელების მიერ ანექსირებული ზოგიერთი პუნქტი (ფასისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი) თითქოს უფრო ადრე გაქრისტიანებულიყოს.*

179. *საკითხთან დაკავშირებით იხ.* ***ლომოური ნ.,*** *ეგრისის სამეფოს ისტორია. გვ. 112-120, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973 წ., გვ. 186-188.*

180. ***ჯაფარიძე ვ.,*** *ვარდციხის ნაქალაქარი. თბ., 1989 წ., გვ. 112 და შმდ;* ***ზაქარაია პ., კაპანაძე თ.,*** *ნოქალაქევ – არქეოპოლისი. 1991 წ., გვ. 17;* ***ლანჩავა ო.,*** *ქუთაისი ეგრისის სამეფოს მთავარი ქალაქი IV საუკუნეში. კრ. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. თბილისი-ქუთაისი, 1995 წ., გვ. 54; ვაშნარის მინის ნაწარმი გამოიკვლია* ***ლ. ჩხაიძემ*** *და ამ მასალის მიხედვით არც ის გამორიცხავს ციხე – ქალაქის აღმოცენებას IV საუკუნეში (იხ. სდსძ, V, თბ., 1975 წ., გვ. 107 და შმდ).*

181. ***ზაქარაია პ., კაპანაძე თ.,*** *ციხეგოჯი... გვ. 165 და შმდ.*

182. *დიუბუა დე მონპერემ ვაშნარის ნაქალაქარი, რომელსაც ის „უჯენარს" უწოდებს, ციხე – ქალაქ პეტრასთან გააიგივა, მაგრამ ამ იდენტიფიკაციამ, სრულიად კანონზომიერად, აღიარება ვერ პოვა.*

183. ***სადრაძე ვ.,*** *ვაშნარი „სპონიეთი" – „გურიანი". მეცნიერება, 2003 წ.*

184. ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 316-318.*

185. *იქვე, გვ. 317.*

186. ***ბერძნიშვილი მ.,*** *ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციისათვის. გვ. 18-19. შდრ. გეორგიკა, ტ. III, გვ. 97.*

187. ***მიქელაძე თ.,*** *არქეოლოგიური კვლევა – ძიება რიონის ქვემო წელზე..., გვ. 88. ასევე ფიქრობდა* ***მ. ბროსეც*** *(იხ.* ***მისი,*** *საქართველოს ისტორია ნაწ. I, 1985 წ., გვ. 89-90).*

188. ***მიქელაძე თ.,*** *არქეოლოგიური კვლევა – ძიება რიონის ქვემო წელზე..., გვ. 89.*

189. ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *ბიზანტიური ეპოქის ციხესიმაგრეები..., გვ. 311 – 312.*

190. ***გრიგოლია გ.,*** *ეგრისის სამეფოს სტრატეგიული ცენტრების (ნესოსი, ტელეფისი) ლოკალიზაციისათვის. არქეოლოგიური კრებული, I, თბ., 1994 წ., გვ. 112-140.*

191. ***Хоштариа Н. В.****, Археологические исследования в Вани и в Ванском районе в 1952 году. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ტ. II, თბ., 1959 წ., გვ. 149 – 162.*

192. ***რამიშვილი ა., ლანჩავა ო.,*** *„ვანის ქვეყანა", ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წელი (თეზისები), თბ., 1973 წ., გვ. 20.*

193. ***გამყრელიძე გ.,*** *ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ., 1989 წ., გვ. 3 და შმდ;* ***მისივე,*** *К археологии долины фассиса, ТБ., 1992 г., с. 101.*

194. ***გამყრელიძე გ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 101.*

195. ***გამყრელიძე გ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 101 – 118.*

196. *იქვე, გვ. 118-122.*

197. ***Proc.*** *BP II, 29; BG VIII, 1, 14, 16, 17; Agath II, 19, 22; III; 6, 7, 19, 28; IV, 9, 13.*

198. ***Proc.*** *BP II, 29.*

199. *ამ პუნქტის სწორი ლოკალიზაციის განსაზღვრა ისტორიული ჭანეთის ტერიტორიაზე, ვფიქრობთ, ნ. ადონცს ეკუთვნის –* ***Адонц Н. Г.,*** *Армения в эпоху Юстиниана. СПБ, 1907 г., с. 100; ამასვე იზიარებს ნ. ლომოური –* *Notitia dignitatum-ის ზოგიერთი ცნობის გარკვევისათვის. კრ. არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა, თბ., 1975 წ., გვ. 68-60;* ***გრიგოლია გ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 122 და შმდ;* ***კონსტანტინე ცუკერმანიც*** *მოხორას ტრაპიზონ – სატალას ხაზზე ვარაუდობდა (იხ. რუკა I) და კატეგორიულად უარყოფს მის იგივეობას მოხირისთან.*

200. ***Леквинадзе В. А.,*** *Материалы по монументальному строительству в Лазике სსმმ, XXII, გვ. 152.*

201. ***გამყრელიძე გ.,*** *დასახ. ნაშრომი, ტაბ. I.*

202. *გეორგიკა, III, გვ. 308-31. თუმცა წინამორბედი ავტორებიც ვარციხეს როდოპოლისად მიიჩნევდნენ (დიუბუა დე მონპერე, გამბა, პლ. იოსელიანი და სხვა).*

203. *გეორგიკა, II, გვ. 35-36, 101.*

204. *გეორგიკა, IV, ნაკვ. II, თბ., 1952 წ., გვ. 186 და შმდ.*

205. *ექსპედიციაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ცნობილი მკვლევარები: გ. ცქიტიშვილი, კ. მელითაური, თ. ბერიძე, ჯ. ჯღამაია და სხვ.*

206. *იხ. 1968, 1969, 1971 წლების სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები. კრ. ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, II, IV, თბ., 1974, 1982 წწ;* *Археологические исследования на новостройах Груз. ССР. ТБ., 1976 г., ПАИ 1973, 1974, 1976, 1980 гг. „ძეგლის მეგობარი", №39, 46, თბ., 1975, 1977 წწ;* ***ჯაფარიძე ვ.,*** *ვარდციხის ნაქალაქარი. თბ., 1989 წ.,*

207. *იქვე, გვ. 13.*

208. *იქვე, გვ. 16.*

209. *იქვე.*

210. ***ჯაფარიძე ვ.,*** *ვარდციხის ნაქალაქარი. გვ. 17.*

211. *იქვე, გვ. 18, 19.*

212. *იხ. ნაქალაქარის გენ. გეგმა, ვ. ჯაფარიძის მითითებულ მონოგრაფიაში.*

213. ***ჯაფარიძე ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 121.*

214. *იქვე, გვ. 126, 127.*

215. *იქვე, გვ. 131.*

216. *იქვე, გვ. 19-120.*

217. ***Strabo,*** *XI, 3, 4; Proc. BP. 1, 12; II, 29; BG VIII, 13, 16.*

218. ***ჯაფარიძე ვ.,*** *ანტიკური ხანის შორაპნის (სარაპანისი) ახალი არქეოლოგიური მონაცემები (პრეპრინტი). თბ., 1990 წ., გვ. 2. შორაპნის საკითხებით იყო დაინტერესებული ან განსვენებული ცნობილი ქართველი არქეოლოგი გ. ცქიტიშვილი. იხ.* ***მისი,*** *ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული II, თბ., 1964 წ.,*

219. ***ჯაფარიძე ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 2;* ***Джапаридзе В.,*** *Раннесредневековый Шорапани (Сарапанис—византииских источников) по данным новейщих раскопок ТБ., 1991 г.,*

220. ***ჯაფარიძე ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 6, 7.*

221. ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *ბიზანტიური ეპოქის ციხესიმაგრეები ეგრისში. გეორგიკა, III, თბ., 1936 წ., გვ. 304-307;* ***Леквинадзе В. А.,*** *Материалы по монументальному*

сроительству в Лазике. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII – B, 1961 წ., გვ. 146.

222. ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 304.*

223. ***ლეონტი მროველი,*** *ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955 წ., გვ. 24, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა;* ***ვახუშტი ბატონიშვილი,*** *აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 757.*

224. ***Proc.*** *BP. 11, 29; BG VIII, 13 (გეორგიკა, II, გვ. 72-73, 155).*

225. ***ცქიტიშვილი გ.,*** *დასახ. ნაშრომი.*

226. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1964 წ., გვ. 11-18.*

227. ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები... გვ. 307-308.*

228. *იქვე, ტაბ., IV.*

229. ***Леквинадзе В. А.,*** *Материалы..., с. 147.*

230. *იქვე.*

231. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 17.*

232. ***Proc****. BP. VIII, 10 (გეორგიკა, II, გვ. 162).*

233. ***Уварова П. С.,*** *Кавказ, Абхазия, Аджария Шавшети, Посховский участок. Пут. заметки, часть II, 1891 г., с. 103.*

234. ***Миллер А. А.,*** *Разведки на Черноморском побережье Кавказа в 1907 г., ИАК, 33, 1909 წებელდის მიდამოებში ხშირი იყო შემთხვევითი აღმოჩენები მიწის სამუშაოებთან დაკავშირებით.*

235. *Бюллетень №3 распорядительного комитета первого съезда, деятелей по краеведению Черноморского побережья и западного кавказа, Сухуми, 1924 г.,*

236. ***Воронов Ю. Н.,*** *Тайна Цебельдинской долины. М., 1975 г., с. 13; იქვეა დასახელებული ლიტერატურა.*

237. ***Трапш М. М.,*** *Культура Цебельдинских некрополей, Труды III, ТБ., 1973 г.,*

238. ***Шамба Г. К.,*** *Ахаччарху –древний могильник нагорной абхазии. 1970 г., Его-же, Позднеантичные погребения нагорной Абхазии, СА. 1965 г., №2.*

239. ***Гунба М. М.,*** *Археологические раскопки в. с. Цебельда в 1969 г., сб. Археологические исследования в Грузии в 1969 г., ТБ., 1971 г.*

240. ***Воронов Ю. Н.,*** *Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1969 г.,* ***Его-же,*** *История Абхазии с древнейщих времен до раннего средневековья (по данным археологии). Автореферат. М., 1971 г.*

241. ***Бгажба О. Х.,*** *Чёрная металлургия и металлообработка в древней и средневековой Абхазии. ТБ., 1983 г.,*

242. *1987 წლის ზაფხულში საშუალება მოგვეცა საგანგებოდ მოგვეხილა წებელდის ციხე-სიმაგრე და მასთან ერთად აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ადრესაშუალო საუკუნეების სხვა ძეგლები: დიოსკურია, ანაკოფია და სხვ.*

243. ***Воронов Ю. В.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 39 და შმდ. გათხრების შედეგები პერიოდულად ქვეყნდებოდა ПАИ. 1977-1985 гг.*

244. ***Анчабадзе З. Б.****, История и культура древней Абхазии. М., 1964 г., с. 200.*

245. ***Иерусалимская А. А.,*** *О северо-кавказском „шелковом пути" в раннем средневековье, СА, 1967 г., №2.*

246. ***Меликишвили Г. А.,*** *К историии древней Грузии. ТБ., 1959 г., с. 384.*

247. ***Анчабадзе З. Б.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 207.*

248. ***Proc.*** *BP. VIII, 10, 17 (გეორგიკა, II, გვ. 162 – 165, 211). რომ ამ ციხეში იმყოფებოდა გუბაზის და რომ ლაზმა წარჩინებულმა გადასცა ეს ციხე სპარსელებს და ა. შ.*

249. *იხ.* ***მისი,*** *ეგრისის სამეფოს დასავლეთი ნაწილის დაცვის სისტემა. კრ. ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი, თბ., 1991 წ., გვ. 126-161, სურ. 42.*

250. ***ლომოური ნ.,*** *ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. კრ. ნოქალაქევ – არქეოპოლისი, I, თბ., 1987 წ., გვ. 41.*

251. ***გრიგოლია გ.,*** *ეგრის – ლაზეთის სამეფოს უმთავრესი საგზაო არტერიები. თბ., 1984 წ., გვ. 165.*

252. ***Dubois*** *de montpereux, Voyage…III, gv. 55-56.*

253. ***Муравьев А.,*** *Грузия и Армения. ч. ш. СПБ, 1848 г., с. 265.*

254. ***Brosset M.,*** *rapperts sur un, voyage arxeologigue dans la Georgia et dans L, Armenie SPB, 1851 ud. 23.*

255. ***Koch k.,*** *Reise Durch russland nach dem kaukasischen istmus in den jahre 1836-1838 Bd, II, Stuttgart u Tübingen 1843, gv. 180.*

256. ***Иоселиани П.,*** *Города существовашие и сушествуюшие в Грузии, Тифлис, 1850 г., с. 57.*

257. ***Бакрадзе Д. З.,*** *Кавказ в древних памятниках христянства, Тифлис, 1875 г., с. 94-95.*

258. ***Эристов Р.,*** *Путевые заметки по Мингрелии. ,,Кавказская археологическая летопись”., №3, 1873 г.*

259. ***ჟორდანია თ.,*** *ციხე ქუჯისა, ანუ ციხე-გოჯი, ერთი უძველესი ნაშთთაგანი საქართველოს სიძველეთა. „ივერია”, 1900, №№192, 193.*

260. ***Ган К.,*** *Экскурсия в Нокалакеви летом 1903 г., Известия Кавквзского отделения импер. Московского археологического обшества. вып. II, 1907 г., с. 1-17.*

261. ***Чубинашвили Г. Н.,*** *К вопросу о Нокалакеви. Вопросы истории искуства т. 1, Тб., 1970 г., с. 93-103.*

262. ***Schneider A. M.,*** *Arxeopolis (Nokalakevi) „Forschungen und Fortschitte” Bd. VIII, №27, გვ. 354.* ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. თბ., 1948 წ., გვ. 188. დამატება: „გათხრა ნოქალაქევ – არქეოპოლისში”.*

263. ***ლომოური ნ.,*** *ნოქალაქევის შესწავლის ისტორია. ნოქალაქევ – არქეო-პოლისი. თბ., 1981 წ., გვ. 67; ნოქალაქევის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით სიმ. ყაუხჩიშვილს და გ. გოზალიშვილს (იხ. გეორგიკა, III, 1936, დამატება);* ***გოზალიშვილი გ.,*** *ნოქალაქევი (არქეოპოლისი) ბიზანტია – ირანის ურთიერთობაში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI – XVII, 1972 წ., გვ. 214-227.*

264. ***გრძელიშვილი ი.,*** *ნოქალაქევის ციხე-ქალაქის მშენებლობის გეოლოგიური პირობებისა და ტექნიკის ზოგიერთი საკითხი. საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, 1948 წ., ტ. IX, №5, გვ. 326-327.*

265. ***Леквинадзе В. А.,*** *О древнейщих оборонительних сооружениях Археополиса-Нокалакеви, СА, №3, 1959 г., с. 144-158.*

266. ***Леквинадзе В. А.,*** *Базилика Археополиса. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXXB, 1974 წ., გვ. 112-119.*

267. ***გრიგოლია გ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ.,*** *დასავლეთ საქართველოს საძიებო – არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის ანგარიში. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, 1973 წ., გვ. 36.*

268. *ნოქალაქევ – არქეოპოლისი, II, არქეოლოგიური გათხრები 1978-1982 წწ., თბ., 1987 წ;* ***ზაქარაია პ., კაპანაძე თ.,*** *ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი ხუროთმოძღვრება.*

თბ., 1991 წ., ნოქალაქევ – არქეოპოლისი, I, არქეოლოგიური გათხრები 1973-1977 წწ., თბ., 1981 წ.

269. ***ზაქარაია პ., კაპანაძე თ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 5.*

270. *იქვე, გვ. 16.*

271. ***ზაქარაია პ., კაპანაძე თ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 17.*

272. ***Леквинадзе В. А., Хведелидзе Л. И.,*** *Массовые археологические находки из раскопков Археополиса, კრ: ნოქალაქევ – არქეოპოლისი, I, გვ. 121-148. დასკვნების საფუძვლად მათ მოაქვთ კულტურული ფენების სიღარიბე, IV – VII საუკუნეების სამარხთა მცირე რაოდენობა და პროკოპი კესარიელის ცნობა არქეოპოლისის დაშორების შესახებ ლაზიკის ეკონომიკურად მდიდარი და ინტენსიურად დასახლებული რაიონიდან მოხირისიდან. ამასთანავე, VII – IX საუკუნეებში საეპისკოპოსოს კათედრის არარსებობას ნოქალაქევში ისინი თვლიან არქეოპოლისისა და მისი მიდამოების ნაკლებად დასახლების შედეგად და გამოაქვთ საბოლოო დასკვნა: „მოქალაქეები აქ არა იმდენად ცხოვრობდნენ, რამდენადაც მსახურობდნენ" – იქვე, გვ. 147-148.*

273. ***ლომოური ნ.,*** *ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. კრ. ნოქალაქევ – არქეოპოლისი, II, თბ., 1987 წ., გვ. 17-44.*

274. *იქვე, გვ. 36.*

275. ***ლექვინაძე ვლ.,*** *ნოქალაქევის ნაქალაქარზე 1978-1982 წლებში გამოვლენილი IV – IX საუკუნეების მასობრივი არქეოლოგიური მასალა. ნოქალაქევ – არქეოპოლისი, II, თბ., 1987 წ., გვ. 237-246.*

276. *იქვე, გვ. 246. ამ ლაშქრობის ნივთიერ საბუთად მას მიაჩნია მავრიკუსის სახელზე მოჭრილი 23 ოქროს მონეტა, რომელიც 1930 წელს ერთ-ერთ კოშკში იქნა აღმოჩენილი და სარტყლის ბალთა, თურქული წარმოშობისა.*

277. ***მუსხელიშვილი დ.,*** *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1980 წ., გვ. 82.*

278. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *საქართველოს ისტორიის საკითხები. II გამოც., თბ., 1990 წ., გვ. 532., ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, „ეგრისი, შეიძლება, მთიანეთის (მანრალოი) გაბატონება იყო და ამ მთიელების მთავარ საყრდენს ციხე – გოჯი წარმოადგენდა ქუთაისის საპირისპიროდ" (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი).*

279. ***ლომიტაშვილი დ.,*** *ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII – ახ. წ. VI სს. (ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი), სადოქტ. დისერტაცია, თბ., 2003 წ.*

280. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975 წ., გვ. 463.*

281. *გეორგიკა, III, თბ., 1936წ., გვ. 61 (სქოლიო).*

282. *იქვე, გვ. 60-61.*

283. ***ზაქარაია პ., კაპანაძე თ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 129.*

284. *იქვე, გვ. 127 – 137.*

285. *იქვე, გვ. 134.*

286. *იქვე, გვ. 50 და შმდ.*

287. ***ზაქარაია პ., კაპანაძე თ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 126, სურ. 42.*

288. *იქვე.*

289. ***სიხარულიძე ი.,*** *„უქიმერიონის" ადგილმდებარეობისათვის. ძეგლის მეგობარი, XXI, გვ. 39 – 41.*

290. *ბოლო დროს იგივე იდენტიფიკაცია გაიმეორა* ***ვერა ჩიხლაძემ.*** *იხ.* ***მისი,*** *ნასოფლარი*

დიდღვაბუნა შუა საუკუნეთა ხანის ქართული სოფელი... II კონფერენციის მასალები, თბ., 2003 წ., გვ. 53.

291. ***ლანჩავა ო.,*** *ქუთაისის ძველი ისტორიისათვის. თბ., 1975 წ., გვ. 13, შენიშვნა 67;* ***მისივე,*** *ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. თბილისი – ქუთაისი, 1994 წ., გვ. 86-88.*

292. ***ჩიხლაძე ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 54.*

293. ***Джапаридзе В. М.,*** *Археологические раскопки и разведки в Эгриси, ПАИ в 1982 году. ТБ., 1985 г., с. 49-51.*

294. *იქვე.*

295. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 295.*

296. *როგორც აღინიშნა, თითქმის ანალოგიური ვითარებაა ნოქალაქევ-არქეოპოლისის მიმართ (აბედათი – დიდღვაბუნა, კოტიანეთი, შხეფი, „საკალანდარიშვილო”) და წებელდას მიმართ კოდორის ხეობაში განლაგებულ სიმაგრეთა ჯაჭვის გამო.*

V თავი | ქუთაისი IV საუკუნეში

IV საუკუნიდან ეგრისის სამეფოს ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება. იგი ფაქტობრივად თავისუფლდება ბიზანტიის იმპერიის ვასალური დამოკიდებულებისაგან და განსაკუთრებულ ძლიერებას აღწევს[1].

ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში მეურნეობრივი თვალსაზრისით, ტრადიციულად ძალზე დაწინაურებული იყო რიონისპირა ცენტრალური ოლქი (ბიზანტიელ ავტორთა „მოხირისის მხარე") მისმა მოწინავეობამ, უდავოა, ხელი შეუწყო აღნიშნული სამეფოს გაძლიერებას მთლიანად და საკუთრივ ამ მხარეში საქალაქო ცხოვრების ჩამოყალიბება – აღმავლობას და ისტორიული განვითარების ახალი ეტაპის დაწყებას. დღეს ჩვენ გაბედულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ეტაპი ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში იწყება III – IV საუკუნეებიდან. ეს პერიოდი უპირატესად არქეოლოგიური მასალებით გახდა ცნობილი. ისინი მოწმობენ ცხოვრების გამოცოცხლებას უკვე III საუკუნიდან. ამ დროის ნამოსახლარის ნაშთები (ხის საცხოვრებელი ნაგებობანი თიხატკეპნილი იატაკით, მასზე გამართული კერები რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩებისა და მოედნების ფრაგმენტები) მრავლად ფიქსირდება „არქიელის გორად" წოდებული მაღლობის თხემზე. როგორც ჩანს, ეს დასახლება გახდა საფუძველი ამ მიდამოებში დიდი ციხე – ქალაქის (შემდგომი ხანის „დიდი ქუთათისის") ჩამოყალიბებისა.

არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით IV საუკუნის ქუთაისის განვითარების ისტორიაში ორი ეტაპი გამოიყოფა: პირველ ეტაპზე (ე. ი. IV საუკუნის დასაწყისიდან) მთლიანად იცვლება არქიელის გორაზე გაჩენილი ახალი სამოსახლოს ტოპოგრაფია: მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე, ე. წ. ხორხის მთის კლდოვან ბორცვზე შენდება შიდაციხე (აკროპოლისი) და ამით ფაქტობრივად იწყება გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ქუთაისის „ახალქალაქობის" ხანა.

1. დაგეგმარება. სასიმაგრო სისტემა. წყალმომარაგება.

სტრატეგიული თვალსაზრისით შიდაციხე (ციტადელი) აგებულია ძალზე მოხერხებულ ადგილას (სურ. 120). ეს გორაკი ნახევარკუნძულის მსგავსად შეჭრილია მდინარე რიონისა და მისი მცირე შენაკადის მდ. რუას ხერთვისში და სამი მხრიდან ციცაბო, კლდოვანი ფერდობებით ბუნებრივად არის დაცული. სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და ნაწილობრივ ჩრდილოეთიდანაც შიდაციხე ფაქტობრივად მიუვალი იყო, მხოლოდ დასავლეთით ჰქონდა ციხეს ადვილმისადგომი მხარე. ამიტომაც მასზე იმთავითვე საგანგებოდ იზრუნეს და ზღუდე – გალავნის ეს ნაწილი მძლავრი სასიმაგრო სისტემით, კოშკებითა და ორმაგი კედლებით განამტკიცეს.

სურ. 120. არქიელის გორა, შიდაციხე

შიდაციხის თვადაპირველი გეგმა არასწორი ექვსკუთხედის ფორმისაა. მისი ფართობი 0, 6 ჰექტარია. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი, ჩვენამდე მოღწეული შიდაციხის ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია: ზღუდე – გალავნის ძირითადი კედელი, ორი სწორკუთხა კოშკი, ორმაგი კედელი (პროტეიხიზმი) მთავარი კარიბჭითურთ, „ცოტა კარი"[2] და წყალმომარაგების რთული სისტემა (სურ. 121).



სურ. 121. „ცოტა კარი'' წყალგაყვანილობის გეგმა (IV ს)

სასიმაგრო მშენებლობის პირველ ეტაპზე ზღუდე – გალავნის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით. დუღაბი შერეული ფერისაა. ტექნიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ დუღაბისათვის გამოყენებულია მდ. რუას ხრეში, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ფერის მინერალებს. გალავნის კედლის სიგანე 140 სმ-ია, დღეისათვის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 4 მ-მდეა. მისი თავდაპირველი სიმაღლე 8 მ-მდე ივარაუდება და კბილანებით ბოლოვდებოდა. საინტერესოა, რომ მშენებლობის ასეთი წესი ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღარ მეორდება. იგი მომდევნო სამშენებლო ფენებისაგან, რომლებიც აქ ძალზე მრავლადაა, მკაფიოდ გამოირჩევა, სამწუხაროდ, სხვაგან ჩვენთვის არც მისი ზუსტი ანალოგიებია ცნობილი.

შიდაციხეს ორი კარიბჭე ჰქონდა: 1. მთავარი „ბჭისკარი" და 2. „ცოტა კარი".

მთავარი კარიბჭე აგებული იყო დასავლეთის მხრიდან, საიდანაც შიდაციხე შედარებით ადვილმისადგომი იყო. შესასვლელს ორმაგი პარალელური კედელი იცავდა, რომელთა შორის მანძილი 1, 5 მეტრია. შესაბამისად, იგი წყვილი კარით იქნებოდა ჩაკეტილი. თუმცა მთავარი ბჭისკარის რეკონსტრუქცია მაინც ვარაუდის დონეზე რჩება. კარიბჭისაკენ მიემართებოდა კირხსნარით მოკირწყლული ქუჩა, რომელიც რელიეფის სირთულის გამო ტერასებად ყოფილა გამართული. კარიბჭე ორთავე მხარეს მძლავრი სწორკუთხა კოშკებით იყო დაცული (ზომები: 6X4 მმ.). ერთ – ერთი კოშკის აღმოსავლეთ კედელში აგურის ფილებით ამოყვანილი ბუხრის ნაშთი დადასტურდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კოშკები საცხოვრებლადაც გამოიყენებოდა. სავარაუდოა აგრეთვე მათი ორსართულიანობა.

გაცილებით უკეთაა შემონახული ე. წ. „ცოტა კარი"[3] (სურ. 122, 123). მისი თავდაპირველი აგებულება ასეთია: Г-ს მაგვარი კვადრებისაგან შედგენილია სწორკუთხა ჩარჩო, რომლის სიმაღლე 2 მეტრია, სიგანე 1 მეტრი. ჩარჩოში ამოკვეთილია ვერტიკალური საკარე ფოსოები და ურდულისათვის ამოღებულია გვერდითი ღიობები. გვიან საუკუნეებში ციტადელის განახლების დროს კარებს გარედან ოვალური ფორმის ბურჯისმაგვარი მინაშენი გაუკეთეს (სიმაღლე 2, 40 მ.,

სურ. 122. „ცოტა კარი''

სურ. 123. „ცოტა კარი'' დეტალი

სურ. 124. წყლის რეზერვუარის ნაშთები ციტადელში

სიგრძე 2, 50 მ., სიგანე 1, 40 მ.) და ამით მისი შეუვალობა უფრო განამტკიცეს, რადგან აქაც მეორე დამატებითი კარი ჩადგეს. „ცოტა კარს" ორმაგი დანიშნულება ჰქონდა: პირველ რიგში, იგი სიმაგრიდან საიდუმლო გასასვლელს წარმოადგენდა და აღმოსავლეთ მხარეს კლდეში ნაკვეთი საცალფეხო ბილიკით მეციხოვნეთ ფარულად „გარე სამყაროსთან" აკავშირებდა. მეორე, და შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია მისი წყაროსთან ჩაღწევა და ციხე – ქალაქის სასმელი წყლით უზრუნველყოფა იყო. ბოლო წლებში გათხრებით დადასტურდა გვირაბის ის ნაწილიც, რომელიც მას კარიბჭესთან აერთებდა.

წყალმომარაგება ციხე ქალაქობის საწყის ეტაპზე ძალზე რთულად და საინტერესოდ წარმოგვიდგება. აქ დღემდეა შემორჩენილი წყარო, ციცაბო კლდეზე დაშვებული ხელოვნური (ქვითკირის) გვირაბი, გვირაბის ფსკერზე ჩადუღაბებული თიხის მილების მაგისტრალი, აქვედუკის ნაშთები და წყლის აუზი – რეზერვუარი, რომელიც აგებულია ზღუდე – გალავნის აღმოსავლეთ კუთხეში (სურ. 124), მართკუთხა ფორმისაა (ზომები: 3X2X1 მ.) და 6 ტონა წყალტევადობისა იყო. აუზი გარედან ნაგებია ნატეხი ქვით, ხოლო შიგნიდან აგურის რიგებით. წესისამებრ, შელესილი იყო ჰიდრავლიკური ხსნარით.

სავარაუდოდ, წყლის ამოქაჩვა მთავარ რეზერვუარში ხდებოდა ე. წ. „არტერიული" წესით: წყაროზე მოწყობილი იყო სწორკუთხა ფორმის წყლის შესაკრებ – შესაგროვებელი აუზი. მის ფსკერთან დაკავშირებული იყო თიხის მილების მაგისტრალი, რომელიც გვირაბის ფსკერზე იყო ჩადუღაბებული და მაღლა შუალედური აუზისაკენ მიუყვებოდა. საწყისი აუზის შუაში აღმართული უნდა ყოფილიყო ხრახნიანი ღერძი. მასზე ვერტიკალურად მოძრაობდა ტუმბოს სარქველი. სარქველზე მექანიკური დაწოლით წყალი შედიოდა მაგისტრალში და აედინებოდა აქვედუკით შუალედურ აუზში, ბოლოს კი ცისტერნაში. ეს იყო წყალმომარაგების ურთულესი მექანიზმი[4], რომელიც, როგორც ჩანს, სპეციალურ სამსახურს მოითხოვდა და მას არაერთი კაცი ემსახურებოდა. ამიტომაც წყაროზე ჩასასვლელი შენიღბული იყო კლდეზე მიშენებული ქვითკირის გვირაბით, რომ მეციხოვნეებს წყლის ამოტუმბვის პროცედურა შეუფერხებლად და შეუმჩნევლად შეესრულებიათ. წყალმომარაგების მსგავსი სისტემა უნდა არსებულიყო გელათში, დოხორას ქედზე, სადაც, ე. წ. „ბერის ციხეზე", დაახლოებით 150 მ. სიმაღლის შვეულ კლდეზე ახდენდნენ წყლის ამოქაჩვას ანალოგიური მეთოდით (მისი ნაშთები იქ ფრაგმენტულად დღემდეა შემორჩენილი). არტერიული სისტემით შენობების წყლით მომარაგება გელათში აღწერილი აქვთ XVII საუკუნის შუა ხანებში იმერეთში მყოფ რუს ელჩებს ა. იევლიევსა და ნ. ტოლოჩანოვს: „ციხე-გალავნის მახლობლად ქვის სვეტია აშენებული, ორი საჟენი სიგანის, სვეტთან წყალია მიყვანილი. სვეტს ზემოდან ხრახნილი აქვს გაკეთებული. როგორც კი ხრახნილს შემოაბრუნებ წყალს სვეტიდან ერთი საჟენის სიმაღლეზე ასხამს, გვერდებზე კი ორ საჟენზე სცემს წყალი. იმ სვეტიდან მიწის ქვეშ გაყვანილია წყალი გალავნის შიგნით და მილებით მიედინება მთელ ციხე-გალავანში და მიყვანილია პალატებში და ყველა სათავსოებში"[5]. ამგვარად, წყალმომარაგების აღნიშნულ წესს დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოში. თუმცა არც ისაა გამორიცხული, წყლის აყვანა აქ გარკვეულ სიმაღლეზე ზიარჭურჭლის პრინციპითაც რომ ხდებოდა, მაგრამ ამის დადგენას დამატებითი კვლევა და ექსპერიმენტი სჭირდება.

შიდაციხეში გამოვლენილია ამავე პერიოდის ხის საცხოვრებელი სახლების კვალი თიხატკეპნილი იატაკებით, სადაც კერა იყო გამართული. იქვეა დადასტურებული სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები, კერძოდ, ხელსაფქვავის ქვები, დერგები და მრავალრიცხოვანი საყოფაცხოვრებო კერამიკა. გამოვლინდა აგრეთვე რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩებისა და მოედნების ფრაგმენტები (სურ. 125). ხის ნაგებობები უმეტეს შემთხვევაში მიშენებული ყოფილა გალავნის კედლებზე, მათი უმრავლესობა ჯარგვალს წარმოადგენდა. ზოგიერთი ნაგებობა ქვის საძირკველზეც ყოფილა გამართული.

მაშასადამე, საქმე გვაქვს ძალზე საინტერესო საფორტიფიკაციო სისტემასთან, რომელიც აგებული ჩანს III საუკუნის ბოლოს – IV საუკუნის დასაწყისში. დათარიღება დაფუძნებულია სტრატიგრაფიულ მონაცემებზე და კედლებთან აღმოჩენილ მდიდარ არქეოლოგიურ მასალაზე. ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით შიდაციხე გახდა დომინანტი და ქალაქმშენებლობის მთავარი ორიენტირი შუა საუკუნეების ქუთაისის განვითარებაში და თავისი მოხერხებული მდებარეობით კეტავდა მდ. რიონზე გამავალ გზებს, როგორც სახმელეთოს, ისე სამდინაროს, მიმართულს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

ციხე – ქალაქის განვითარების მეორე ეტაპი IV საუკუნის შუა ხანებზე მოდის. იგი აღინიშნება ახალი ინტენსიური მშენებლობით და მისი სასიმაგრო სისტემისა და საერთოდ, გარეგნული სახის სრულყოფით. ამ დროს მიმდინარეობს შიდაქალაქის შემოზღუდვა და მისი გამოცალკავება ქალაქის ძირითადი ნაწილისაგან. შესაბამისად, ციხე – ქალაქი უკვე ორნაწილიანი ხდება (შიდაციხე და შიდაქალაქი) (სურ. 126).

ზღუდე – გალავანში, რომლის პერიმეტრი 1200 მეტრია, ექცევა 4 ჰექტარი ფართობი. ქალაქის განვრცობა – განვითარება მოხდა ციტადელიდან ჩრდილო-დასავლეთით. ამისათვის აქ ყველა პირობა არსებობდა, განსაკუთრებით კი ხელსაყრელი რელიეფი, რომელიც ქალაქის ზრდის ფართო შესაძლებლობას იძლეოდა. ამ დროს, როგორც წესი, აგებენ 1 მეტრიანი სიგანის კედლებს. გალავნის კედლები ყველგან ამოყვანილია რიყის ქვის საძირკველზე, პერანგი ნაწყობია მცირე ზომის შუბლგამოყვანილი ქვებით. დუღაბი რიონის ხრეშიან სილაზეა დამზადებული, ჭარბობს კირხსნარი. სამშენებლო კირქვა მშენებლობის ამ ეტაპზე უფრო თეთრია და მყიფე ჯიშისაა. შეძლებისდაგვარად დაცულია რიგების ჰორიზონტალობა, რომლითაც ის წააგავს რომაულ ხუროთმოძღვრე-



სურ. 125. საცხოვრებლის ნაშთები (IV ს)

სურ. 126. ქუთაისის ციხის გეგმა (IV ს)

ბაში კარგად ცნობილ ე. წ. **Opus incertum**-ს. ანალოგიური კედლები გვხვდება ვარდციხე – როდოპოლისში[6] და ნოქალაქევ – არქეოპოლისში[7]. ეს უკანასკნელი პროფ. პ. ზაქარაიას IV საუკუნის დასაწყისით აქვს დათარიღებული[8].

სტრატიგრაფიული მონაცემებით და სამშენებლო ფენაში აღმოჩენილი შესაბამისი მასალით (წითელლაკიანი კერამიკა, ხალიანი მინა, ამფორები და სხვ.) აღნიშნული ხუროთმოძღვრება ქუთაისში IV საუკუნით თარიღდება. საფორტიფიკაციო არქიტექტურის მაღალი დონის უტყუარი მოწმობაა შიდაქალაქის სამხრეთი კედლის გამაგრება ე. წ. გოდლედების სისტემით. ისინი სწორკუთხა ბურჯების სახით ამოყვანილია შიდაქალაქის გალავნის კედლის გასწვრივ მთელ პერიმეტრზე და კედლიდან 1, 70 მ. არის დაშორებული. მათ შორის ინტერვალი 2, 20 მ-ია. გოდლედები გალავნის კედელთან და ერთმანეთთან თაღედით ყოფილა დაკავშირებული და მის ზემოთ ქმნიდა 4 მ. სიგანის საბრძოლო ბაქანს, რომლის სიგრძე ამ ადგილზე 40 მ. იყო. საინტერესოა, რომ საკუთრივ გალავანი ერთ სწორ ხაზზე არ იყო აგებული. იგი სწორი კუთხით, ზიგზაგისებურად მიემართებოდა „დედაბურჯიდან" „კონწოლისაკენ" და რამდენიმე მართკუთხეს ქმნიდა. ყოველივე ეს რელიეფის სირთულით და შესაბამისი სტრატეგიული მიზნებით იყო ნაკარნახევი. აქ კი თითქმის ვაკე ადგილია და კედლის სანგრევი ტექნიკის გამოყენება ადვილად შეიძლებოდა, ამიტომაც ეს მონაკვეთი ასე ბეჯითად განამტკიცეს გოდლედების სისტემით.

გალავნის კედლების გოდლედებით ანუ კონტრფორსებით გამაგრება საერთოდ უცხო არ არის ქართული არქიტექტურისათვის. მშენებლობის ასეთი წესი განსაკუთრებულ მოდად ქცეულა V – VI საუკუნეებისათვის სასიმაგრო სისტემაში; მაგრამ ზუსტად ზემოთ აღნიშნული წესით გოდლედების გამართვა ჩვენ სხვაგან არსად გვეგულება. გვხვდება სხვა ვარიანტებიც, მაგალითად, კონწოლთან შიდაქალაქის ჩრდილო – აღმოსავლეთ კუთხეში, გალავნის კედელს შიგნიდან პერპენდიკულარულად მიშენებული მოკლე კედლები აქვს. ისინი როგორც ფიქრობენ, საბრძოლო ბილიკის მოსაწყობად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ანალოგიური ხერხი თავდაცვით სისტემაში გამოყენებულია ნოქალაქევში, ციხისძირში, რუსთავის ციხეზე[9].

2. საკულტო და საერო ხუროთმოძღვრება

ქალაქის წარმატებული აღმშენებლობა სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა. სასიმაგრო ხუროთმოძღვრების პარალელურად მზარდი აღმავლობა განიცადა საკულტო და საერო ხუროთმოძღვრებამ. ალბათ ძნელია დავასახელოთ დასავლეთ საქართველოში ახ. წ. IV საუკუნის ქალაქი ან გეოგრაფიული პუნქტი, სადაც ასეთი მასშტაბური სამშენებლო საქმიანობა იყოს ჩატარებული. ნიშანდობლივია ისიც, რომ ყველა ეს ნაგებობა უკანასკნელ ოცწლეულში, მხოლოდ არქეოლოგიური კვლევის შედეგად იქნა გამოვლენილი: მანამდე, მათ შესახებ, არავინ არაფერი იცოდა. არც წერილობითი წყაროები გვაწვდიდა რაიმე ინფორმაციას გარდა, ზედმიწევნით მწირი, არაპირდაპირი და ზოგადი მინიშნებისა.

2004 წელს ქუთაისის არქეოლოგიურ ექსპედიციას დაევალა ბაგრატის ტაძრის ინტერიერის კვლევა, შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ბაგრატის ტაძრის იატაკქვეშ გამოვლინდა ხუთი დიდი სამშენებლო ფენა, აქედან უძველესი როგორც ზემოთ მოგახსენებდით ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ნაგებობათა კომპლქსია, სავარაუდოდ წარმართული სამლოცველოს ნაშთებით, ხოლო მასზე თანმიმდევრობით ცალკეულ ფენებად განლაგებულია ოთხი ქრისტიანული ტაძრის იატაკ-საძირკვლები და კედლები. ჩვენდა საბედნიეროდ ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთად თავმოყრილი ასეთი კულტურული საგანძური იშვიათობაა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკულტო ხუროთმოძღვრების ეტაპობრივი განვითარების თვალსაზრისით. სწორედ ერთ-ერთი ასეთი საეტაპო ნაგებობაა ქუთაისის დიდი სამნავიანი ბაზილიკა[10].

• დიდი ბაზილიკა

გრანდიოზული და გამორჩეულად შთამბეჭდავი ადრექრისტიანული ხანის ნაგებობაა. მისი სიგრძე 38 მეტრია, ძირითადი ნაგებობის სიგანე 15 მ-ია, მინაშენებიანად – 29 მ. (სურ. 127). დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებისათვის სრულიად უჩვეულო სწორკუთხა საკურთხევლით და პასტოფორიუმებისმაგვარი გვერდითი სათავსებით (ზომები: 8X2 მმ), რომლებიც ცენტრალური საკურთხევლიდან კედლებითაა გამოყოფილი და ამბიონის ადგილიც გარკვეულ სიმაღლეზე სწორკუთხად აქვს ამაღლებულ-შემოსაზღვრული. მსგავსი გეგმარების საკურთხეველი საქართველოში ჯერჯერობით დადასტურდა ჭაბუკაურის ეკლესიაზე, რომელიც აღმოჩენილია კახეთში ნეკრესის ნაქალაქარზე და შესწავლილია ნოდარ ბახტაძის მიერ[11]. მისგან განსხვავებით ქუთაისის დიდ ბაზილიკას აქვს ნართექსი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მინაშენები.

ჩრდილოეთი მინაშენი ორგანყოფილებიანი სათავსია. მონაცემების მიხედვით იგი სანათლავის ფუნქციას ასრულებდა. მის ინტერიერში აღმოჩენილია სწორკუთხა ფორმის, ჰიდრავლიკური ხსნარით შელესილი აუზის კედლები,



სურ. 127. დიდი ბაზილიკის გეგმა

სურ. 128. სანათლავის სარიტუალო ღვარსადენი (IV ს)

სურ. 129. საკარე ზღურბლის ნაშთი ჩრდ. კედელში

რომელსაც უერთდება აგურებით ნაგები და მოპირკეთებული სარიტუალო ღვარსადენი არხი (სურ. 128), რომელიც თავდაპირველად გაუყვებოდა სანათლავის აღმოსავლეთის კედელს, შემდეგ მკვეთრად, მართი კუთხით უხვევდა დასავლეთისაკენ და ისე უერთდებოდა სანათლავ აუზს. მასში დიდი რაოდენობით ჩალექილია ადრექრისტიანული ხანის სამშენებლო კერამიკა: აგურების, მაღალბორტიანი სოლენისა და კალიპტერის ფრაგმენტები. სანათლავის მეორე განყოფილება შემდეგაა მიშენებული ბაპტისტერიუმზე დასავლეთის მხრიდან. სწორედ ცენტრალური დარბაზიდან (ნაოსი), ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი კარით (სურ. 129) შეიძლებოდა მოხვედრა ამ მინაშენში და შემდეგ სანათლავში ან პირიქით.

ნაგებობის მეორე სამხრეთი მინაშენი ერთგანყოფილებიანი სათავსია და მისი ზუსტი დანიშნულება ამჟამად ჩვენთვის უცნობია. შესაძლოა, იგი მღვდელ – დიაკვანთა მოსასვენებელ სათავსოთადაც წარმოვიდგინოთ; მის გვერდით, დასავლეთის მხრიდან კარის ღიობის კვალი ჩანს, რომლის ზღურბლი ვარდისფერი ჰიდრავლიკური ხსნარით იყო მოლესილი (სურ. 130). ამ კარით სამხრეთით ტაძრის ეზოში შეიძლებოდა გასვლა. ხოლო საერთოდ დარბაზში შესვლა ხდებოდა დასავლეთის (ცენტრალური), სამხრეთის და ჩრდილოეთის კარებების საშუალებით. მათ შორის პრიორიტეტული მნიშვნელობა დასავლეთის მთავარ შესასვლელს ჰქონდა, რაც ვიზიტორისათვის ინტერიერის აღქმის კარგ შესაძლებლობას იძლეოდა.

სურ. 130. სიგნინიანი საკარე ზღურბლი

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნაგებობის სივრცითი ორგანიზაციის საკითხი. აქ ნავების გამყოფ საყრდენებად ხის სვეტები (კოლონები) ჩანს გამოყენებული. ისინი იმდენადაა განადგურებული რომ, დარბაზის ჩრდილოეთ ნაწილში მხოლოდ ორი ორმო იქნა დაფიქსირებული, სავარაუდოდ, სვეტის ძირისათვის განკუთვნილი. ნავების გამყოფ ელემენტებად ხუთი წყვილი ხის სვეტი უნდა წარმოვიდგინოთ, ასევე ხის მზიდი კონსტრუქციებისაგან შედგენილი ორკალთა სახურავით. ამის მაგალითები მრავლად მოიპოვება ქრისტიანული სამყაროს როგორც დასავლეთ ისე განსაკუთრებით აღმოსავლეთ პროვინციებში. (სირია, პალესტინა). უძველესი ბაზილიკების ორკალთა სახურავები უმთავრესად ხის მზიდ კონსტრუქციებს ეყრდნობოდა, რომელიც ან გამჭვირვალედ ჩანდა დარბაზის ინტერიერიდან ან ხისავე ჭერით იყო „აფიცრული[12]".

აკად. გ. ჩუბინაშვილი[13] სავსებით სამართლიანად ბაზილიკების უძველეს ნაირსახეობად მიიჩნევს ორკალთა გადახურვის მქონე ეკლესიებს. იმის გამო, რომ ასეთი ძეგლები უპირატესად გავრცელებულია სირიაში და მცირე აზიაში ზოგიერთი მეცნიერი მათ მცირეაზიურ ტიპადაც თვლის[14]. ზოგიც კიდევ, ბაზილიკების აზიურ პროტოტიპად[15]. სამნავიანი ბაზილიკების ქართველი მკვლევარი ნ. ჯაბუა ორკალთა სახურავიანი ძეგლების ინტერიერის თავისებურ გადაწყვეტას ეხება: ის რომ შუა და გვერდით ნავებს შორის სიმაღლეში განსხვავება მცირეა და არ არსებობს ცენტრალური სივრცის შუა ნავში გაჭრილი სარკმლებით განათების შესაძლებლობა – ეს ტრადიციული სამნავიანი ბაზილიკებისაგან განსხვავებულ ინტერიერს ქმნის, ასევე განსხვავდება ექსტერიერიც ე. წ. „ბაზილიკური ჭრილის" მიხედვით[16].

საქართველოში სამნავიანი ბაზილიკების მშენებლობის ქრონოლოგიურ საზღვრად ძირითადად V – XI საუკუნეებს თვლიან, ხოლო მათი აქტიური მშენებლობის პერიოდად V – VI საუკუნეებია მიჩნეული[17]. არქეოლოგიური კვლევის შედეგები დამაჯერებლად მიუთითებს იმაზე, რომ ქუთაისის დიდი სამნავიანი ბაზილიკის სივრცულ-გეგმარებით აღნაგობაში ჯერ კიდევ არ იგრძნობა ის თვითმყოფადი სტილი, რაც V – VI საუკუნეების საქართველოს ბაზილიკებისათვის იყო დამახასიათებელი. აქ ისე როგორც ჭაბუკაურის ეკლესიაში ხუროთმოძღვრული თემა ნასაზრდოები ჩანს IV-V საუკუნეების რომაულ-ბიზანტიური სამყაროს ბაზილიკური ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ტენდენციებით, თუმცა მის სხვადასხვა დეტალში იგრძნობა აღმოსავლურ – ქრისტიანული ძეგლებისათვის დამახასიათებელი კერძო ნიშნები: (მარკუთხა გეგმარების საკურთხეველი, პასტოფორიუმების მსგავსი გვერდითი სივრცეები, მინაშენები, რომელიც სანათლავად და მღვდელ-დიაკვნების მოსასვენებლად იყო განკუთვნილი, ორკალთა სახურავი).

მორთულობის ელემენტთაგან საგანგებოდაა აღსანიშნავი ღია, ვარდისფერი, ჰიდრავლიკურხსნარიანი იატაკი, რომლითაც მოპირკეთებული იყო არა მხოლოდ ძირითადი ნაგებობის ნაწილი, არამედ სანათლავიც. ნაგებობის ადრეულობაზე აგრეთვე მეტყველებს ის, რომ მას არ გააჩნია პილასტრები. ამის დასტურია სანათალავის ცალკე არსებობაც, თანაც ის, რომ სანათლავის სარიტუალო არხებში ჩალექილია გვიანანტიკური ხანის არტეფაქტები (მაღალბორტიანი კრამიტები, აგურები და სხვ.), რომელიც მკაფიოდ მიუთითებს ეკლესიის ფუნქციონირებას (და განადგურებას) ადრექრისტიანულ ხანაშივე (IV – VI სს.). ნაქალაქარზე მშენ-

სურ. 131. ბაზილიკის კედლის ფრაგმენტი (IV ს)

ებლობის ანალოგიური ტექნიკა და წესი თანაც ზუსტი ანალოგია, კონწოლის სამეფო სასახლეზეა დადასტურებული, რომელიც სტრატიგრაფიული თვალსაზრისით კარგადაა შესწავლილი და IV საუკუნის დასაწყისითაა დათარიღებული. ორთავე ნაგებობა რიყის ქვის საძირკველზეა ამოყვანილი (სიმაღლე 0, 80 სმ.) და მცირე ზომის, მყიფე ჯიშის შუბლგამოყვანილი კირქვისაგანაა ნაგები. ორივეგან კედლების სიგანე 140 სმ. უტოლდება, შემორჩენილია ერთ მეტრამდე სიმაღლის კედლები (სურ. 131, 132), დუღაბი ჭარბკირიანია და რიონის ხრეშნარევ სილაზეა დამზადებული.

ის რომ ნაგებობა კრამიტით იყო გადახურული ამას ადასტურებს ნგრევისა და სამშენებლო ფენაში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი სოლენისა და კალიპტერის ფორმის ფრაგმენტები. ასევე მართკუთხა და სამკუთხა ფორმის აგურები, რომელიც გვიანანტიკური ხანისათვის არის დამახასიათებელი. იმის გამო, რომ ეს შენობა საკულტო ნაგებობას წარმოადგენდა და მისი განადგურება ერთბაშად არ მომხდარა, სამწუხაროდ, მცირე რაოდენობით შემოინახა საყოფაცხოვრებო კერამიკა, თუმცა მაინც იშვიათად გვხვდება სარტყლისებურად ტანდაღარული ამფორის ფრაგმენტები და სხვა არტეფაქტები, რომელიც განსაზღვრავს ნაგებობის ფუნქციონირების თარიღს. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია ხელით ნაძერწი ანტეფიქსი, რომელიც წარმოადგენს რომბისებური ფორმის თიხის ფირფიტას, რომლის ზედაპირზე ტოლმკლავა ჯვარია რელიეფურად გამოყვანილი (ამოზიდული). როგორც ცნობილია, ანტეფიქსები ძირითადად ყალიბში მზადდებოდა. ჩვენს შემთხვევაში იგი ხელით ნაძერწია, რაც ერთი მეტყველი ნიშანია მისი ადრეულობისა (სურ. 133), ამასვე მოწმობს მასზე გამოსახული ჯვრის ფორმაც.

როგორც დავინახეთ ნაგებობა ადრექრისტიანული ხანის სამნავიანი ბაზილიკების ჯგუფს განეკუთვნება. მასში არქიტექტურული ტიპის კონცეფცია მკაფიოდ არის გამოკვეთილი. ხაზგასმულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ღერძზე დამხრობა, ნათლად გამოირჩევა შიდა სივრცის მთვარი და დაქვემდებარებული ნაწილები, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება ჰარმონიული წონასწორობის პრინციპზეა დაფუძნებული. ისე როგორც შემდგომში დასავლეთ საქართველოს სხვა ბაზილიკებში. როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველო გამოირჩევა ბაზილიკური თემის მრავალფეროვნებით, ამის დასტურია

სურ. 132. წყობის ხასიათი (IV ს)

პირველ ყოვლისა საკუთრივ ქუთაისის ბაზილიკები[18], ასევე ნოქალაქევის[19], ბიჭვინტის[20], ციხისძირის[21], სეფიეთის[22], განთიადის[23] და სხვ. ვფიქრობ, სრულიად ნათელია ქუთაისის დიდი ბაზილიკის განსაკუთრებულობა, (მასშტაბი, მშენებლობის დრო და უზადო ტექნიკა, სამშენებლო მასალა, ტრადიცია).

სამნავიანი ბაზილიკების, როგორც ქრისტიანული ხუროთმოძღვრების არქიტექტურული ტიპის ქუთაისში ადრეული ხანიდანვე დამკვიდრება ქრისტიანულ სამყაროსთან სრულფასოვანი ინტეგრაციის შედეგია და კულტურული ურთიერთობების მჭიდრო ინტენსიობაზე მეტყველებს.

სრულიად ნათელია, რომ ეს ეკლესია ოფიციალური სტატუსის მქონე ნაგებობა იყო. სავსებით დასაშვებია მისი წარმოდგენა ეპისკოპოსის რეზიდენციადაც, თუკი ჩავთვლით, რომ ახ. წ. IV საუკუნეში ქუთაისი სამეფო ქალაქი და შესაბამისად საეკლესიო ცენტრია. ალბათ დადგა დრო ისტორიკოსთა და ხელოვნებათმცოდნეთა ნაშრომებში გათვალისწინებულ იქნას ქუთაისის არქეოლოგიური კვლევის ბოლოდროინდელი შედეგები, რაც არსებითად შეცვლის აქამდე დოგმადქცეულ დებულებებს ქუთაისის სტატუსის (დედაქალაქობის) და ქრისტიანობის გავრცელების შესახებ.

დიდი ბაზილიკის განახლება-გადაკეთება IV საუკუნის შუა ხანებიდან VI საუკუნის შუახანებამდე არაერთხელ მომხდარა. დროის ამ მონაკვეთში ზოგჯერ მისი ფუნქციონირებაც ჩანს შეჩერებული. ამას მიუთითებს ნართექსის იატაკზე განთავსებული მიწის ფენა, რომელშიც იკითხება ნგრევისა და ხანძრის შრეები. (სურ. 134).

V საუკუნის მეორე ნახევარში ამავე შენობაში ჩართული ჩანს ოთხსათავსიანი სექციური ნაგებობა, რომლის ერთ-ერთ სათავსში ცეცხლის ხანგრძლივი ნთებისაგან გადაწითლებული იატაკი დაფიქსირდა, ხოლო მეორე განყოფილებაში ფართო, ბრტყელძირიანი სადაზედაპირიანი ქვევრი. ყოველივე ეს ნაკლებად უკავშირდება ქრისტიანულ კულტმსახურებას, სავარაუდოდ, აქ ცეცხლის კულტის არსებობასთან შეიძლება გვქონდეს საქმე V საუკუნის მეორე ნახევარში. VI საუკუნის მეორე მეოთხედში ბაზილიკა საფუძვლიანად ჩანს განახლებული. თუმცა მალე ეგრისში, ბიზანტია-ირანის „დიდი ომიანობის" დროს (VI ს. შუა ხანები) მთლიანად ჩანს განადგურებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბიზანტიელთა მიერ ეგრისის წარმატებულმა ოკუპაციამ, განარისხა პოზიციადათმობილი ირანელები და შურისძიების მიზნით დიდი ბაზილიკა მიწასთან გაასწორეს. წინამდებარე ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე არქეოლოგიური კვლევის შედეგების უფრო დეტალური ანალიზი ამჟამად საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ.

სურ. 133. ადრექრისტიანული ხანის ანტეფიქსი

სურ. 134. ადრექრისტიანული ხანის დერგის ფრაგმენტი

• „სამლოცველო სახლი” (?)

მეორე ეტაპის ნაგებობათა შორის საგანგებო ყურადღებას იპყრობს ციტადელში აღმოჩენილი დიდი ზომის მართკუთხა ფორმის ნაგებობა (სურ. 135), რომელიც დამხრობილია **W-O** ღერძზე და ჩრდილოეთისაკენ ოდნავ გადახრილია. ნაგებობის სიგრძეა 26 მ., სიგანე აღმოსავლეთ კედლისა 12, 30 მ., ხოლო დასავლეთის კედლისა – 10, 30 მ., ე. ი. აღმოსავლეთით ნაგებობა ოდნავ გაშლილია.

ჩრდილოეთის კედელში დაფიქსირდა კარის ზღურბლი, რომელიც კირქვის დიდ მონოლითს წარმოადგენს (1, 60 მ.), კარის ჩარჩოს ჩასამაგრებელი ორი ცილინდრული ფორმის ფოსოთი. ნაგებობის საერთო ფართობია 284 კვ. მ., ხოლო ინტერიერის მოცულობა 227 კვ. მ-ია. წყობა მეორე ეტაპისათვის დამახასიათებელი მცირე ზომის შუბლგამოყვანილი მყიფე ჯიშის კირქვითაა შექმნილი **(Opus incertum)**. შენობა გადახურული ყოფილა მაღალბორტიანი სოლენითა და შვერილქიმიანი კალიპტერით. მათი ნაშთი მრავლად აღმოჩნდა შენობის ირგვლივ წარმოქმნილ ნგრევის ფენაში. სამწუხაროდ, ინტერიერში რაიმე კონსტრუქციის კვალი არ დადასტურდა, არც იატაკი იქნა ფიქსირებული. მისი დონე მხოლოდ კარების ზღურბლით უნდა განისაზღვროს. ნაგებობის სახურავი ორფერდა უნდა ყოფილიყო. უეჭვოა, რომ ის ხის კონსტრუქციებით იქნებოდა გამართული. მართალია, ნაგებობა მარტივი გეგმისაა, მაგრამ მშენებელთა დახვეწილი გემოვნება აქ მაინც თვალსაჩინოა.

თუ რა ფუნქციის მატარებელი იყო ეს შენობა, ძნელი სათქმელია. გარეგნული ფორმის მიხედვით იგი ადრინდელი ბაზილიკების ფორმას იმეორებს ნაწილობრივ, რაც ასე დამახასიათებელია რომაულ – ბიზანტიური არქიტექტურისათვის[24]. როგორც ცნობილია, ქრისტიანობის დამკვიდრების საწყის ეტაპზე კულტმსახურებისათვის საჭირო ყველა ელემენტი ნაგებობებში გათვალისწინებული არ იყო. ალბათ ასე უნდა ყოფილიყო აქაც და ამან განაპირობა ნაგებობის მარტივი ფორმა. ასე რომ, არსებული მონაცემით, იგი საკულტო დანიშნულების „სამლოცველო სახლად” შეიძლება წარმოვიდგინოთ. ამის მაგალითები ადრექრისტიანული ხანის რომაულმა არქიტექტურამ კარგად იცის[25]. ძველი ქართული ტერმინოლოგიით მას ბაგინი ეწოდებოდა[26]. თუმცა არ გამოვრიცხავთ მის საერო დანიშნულებასაც. ამ თვალსაზრისით ის „კაზარმას” გვაგონებს. აღნიშნულ ვარაუდს აძლიერებს ის, რომ ნაგებობის აფსიდი ჯერჯერობით არაა აღმოჩენილი და შესწავლილი. უფრო მეტიც, ნაქალაქარის ტერიტორიაზე უკვე აღმოჩნდა ახ. წ. IV საუკუნის I ნახევრის დიდი ბაზილიკის ნაშთები, რაც განამტკიცებს მოსაზრებას ზემოთ დასახელებული ნაგებობის საერო დანიშნულების ძეგლად წარმოდგენის შესახებ.



სურ. 135. სამლოცველო სახლის ზღურბლიანი კედელი (IV ს)

• „სამეფო სასახლე" (ციხე–დარბაზი)

საერთოდ, ადრე შუა საუკუნეების ნაგებობათა შორის თავისი დახვეწილი გეგმითა და გრანდიოზულობით ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი „კონწოლ-თან" აგებულ სასახლეს უჭირავს (სურ. 136). „კონწოლი" შიდაქალაქის ყველაზე უფრო შემაღლებული ადგილია ნაქალაქარზე. ალბათ მისი თანამედროვე სახელწოდებაც აქედან გაჩნდა.

სასახლე მრავალსათავსოიანი, მართკუთხა ფორმის მძლავრკედლებიანი ნაგებობაა, რომელიც დამხრობილია SW-NO მიმართულებით. მისი სიგრძე 35 მეტრია, სიგანე 20 მეტრი და განფენილია 700 კვ. მ. ფართობზე[27]. ეჭვი არაა, რომ ის ორსართულიანი ნაგებობა იყო. ამჟამად გამოვლენილია მისი ქვედა სართულის ექვსი განყოფილება (ოთახები): (სურ. 137).

1. დიდი დარბაზი (შუაზე გაყოფილი კამარა – თაღიანი ტიხრით).
2. მცირე დარბაზი.
3. მისაღები.
4. გარე სათავსები ანუ გრძივ მხრებზე გამართული ოთახები, რომელიც თავ-ის დროზე თავდაცვის ფუნქციასაც ასრულებდა, როგორც ორმაგი კედელი (პროტეიხიზმა).

მეორე სართულის გეგმა, როგორც ჩანს, ძირითადად ქვედას განლაგებას იმეორებდა, თუმცა დიდი დარბაზი აქ გაერთიანებული უნდა ყოფილიყო და არა გატიხრული, ხოლო გრძივ მხრებზე განლაგებული სათავსების თავზე ღია აივნები შეიძლება წარმოვიდგინოთ, ისე როგორც ნოქალაქევის სასახლის რე-კონსტრუქციაზე აქვს ნავარაუდევი პ. ზაქარაიას[28].

სასახლის იატაკი მოკირწყლული ყოფილა აგურის ფილებით (ზომები: 31X17X5 სმ). კედლის წყობა მეორე სამშენებლო ეტაპის ზუსტი ანალოგია, მხოლოდ კედ-ლის სიგანე აქ 140 სმ-ია და არა 1 მეტრი, როგორც ეს საერთოდ მეორე სამშენ-ებლო პერიოდისათვისაა დამახასიათებელი. ე. ი. კედლის სისქე აქ I სამშენებლო ეტაპს შეესაბამება. ზუსტად ისევე როგორც დიდი ბაზილიკისა. საერთო მონაცე-მებით ნაგებობა IV საუკუნის I ნახევრში უნდა იყოს შექმნილი და V საუკუნის მეო-რე ნახევრამდე ასრულებდა სასახლის ანუ ციხე – დარბაზის ფუნქციას. ასე, რომ ნაგებობის საერო დანიშნულება ეჭვს არ იწვევს. ჩვენი ვარაუდით, იგი ამ ტიპის შენობათა შორის დასავლეთ საქართველოში ყველაზე ადრინდელია და მონუმენ-ტური. მის მცირე ანალოგიად გამოდგება ნოქალაქევში აღმოჩენილი „სამეფო სასახლე"[29], რადგან გეგმით მათ თითქოს აქვთ რაღაც საერთო, თუმცა ქუთაისის



სურ. 136. სამეფო სასახლე (IV ს)

სურ. 137. IV საუკუნის სამეფო სასახლის აქსონომეტრია

სასახლე ბევრად უფრო დიდია, რთული და დახვეწილი გეგმითაა შექმნილი, რომ არაფერი ვთქვათ საკუთრივ მშენებლობის ტექნიკაზე და შესრულების ხარისხზე.

ბუნებრივია, ინტერესს იწვევს სასახლის მფლობელის ვინაობის გარკვევა, ვინ იყო ის უზენაესი ხელისუფალი (მეფე?, უფლისწული?, თუ ერისთავი?), რომელიც ამ ციხე-დარბაზში ცხოვრობდა ან რა გავლენის სფეროებს ფლობდა ის, მაგრამ ამისათვის დამატებითი კვლევაა საჭირო. არადა, ბოლო პერიოდში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები იმას მეტყველებენ, რომ ქუთაისი განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქია, ალბათ ეგრისის მეფეთა რეზიდენციაა. ე. ი. ქვეყნის პოლიტიკური ცენტრია. ამიტომ ვფიქრობთ, უკვე დადგა დრო დამატებით გადაიხედოს ეგრისის სამეფოს რეზიდენციის საკითხი, რა თქმა უნდა უახლესი არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით და სათანადო ადგილი მიუჩინოთ ქუთაისს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

• წყალმომარაგება

ქალაქის ცხოვრების ამ ეტაპზე წყალმომარაგების ძველი სისტემა, ბუნებრივია გაზრდილ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდა. ამიტომ საჭირო შეიქმნა ახალი წყაროს მოძიება. ასეთ ადგილს მივაკვლიეთ თეთრამიწას ქედის ძირში, რომელსაც დღესაც „წყაროს უბანი" ეწოდება (ყოფილი წყაროს ქუჩა). იქ გამოედინება უხვნაკადიანი წყაროები და დღემდეა შემორჩენილი წყლის სათავე ნაგებობანი და წყალსადენის მაგისტრალის ნაშთები. შიდაქალაქიდან „წყاროსუბნამდე" თითქმის ერთი კილომეტრია და თანაც საკმაოდ მაღალი გორაკია გადმოსალახავი, რაც ზიარჭურჭლის პრინციპით იყო გადაწყვეტილი.

ჩვენ მივაკვლიეთ იმ მაგისტრალის ნაშთებს, რომელიც IV – VI საუკუნეებში ფუნქციონირებდა. იგი ჩასმულია ყვითელი ფერის წებოვანი თიხის გარსში (ამით განსხვავდება სხვა დანარჩენი 6 მაგისტრალისაგან, რომლებიც კირდუღაბის გარსშია გახვეული). თიხის მილები კერამიკულ ჩარხზეა დამზადებული, თუმცა არასტანდარტულია. მათი სიგრძე მერყეობს 45-დან 52 სმ-ს შორის. გადასაბმელი შვერილი 6-9 სმ-ია. მილები წაკვეთილი კონუსის ფორმისაა, ოდნავ გამობერილი მუცლით, ფართო ბოლოს dm-12 სმ., ხოლო ვიწრო ბოლოსი – 9 სმ. კეცი უხეშია და მინარევებიანი.

3. არქეოლოგიური მასალები (კერამიკა, მინა, რკინა)

ციხე – ქალაქის IV საუკუნის კოლტურულმა ფენებმა შემოგვინახა საკმაოდ მდიდარი არქეოლოგიური მასალა. განსაკუთრებით მეტყველია თიხის ნაწარმი, როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული წარმოებისა. დანიშნულების მიხედვით კერამიკული ნაწარმი ოთხ ჯგუფად უნდა გაიყოს:

1. სამეურნეო (ქვევრები, ამფორები, დერგები, ქოცოები).
2. საოჯახო (დოქები, ხელადები, ჭრაქები, ქოთნები, თონეები).
3. სუფრის (ჯამები, ბადიები, ლუთერიები, თეფშები, ფიალები).
4. სამშენებლო (აგურები, კრამიტები, თიხის მილები).

ქვევრი (პითოსი) ადრე შუა საუკუნეების კერამიკული ნაწარმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და წამყვანი ფორმაა. იგი გვხვდება ჯერ კიდევ ციხე – ქალაქობის წინარე ხანის კულტურულ ფენებში (ახ. წ. II ს.) და კოლხეთში გავრცელებული ელინისტური ხანის ქვევრის ნიშნებს ატარებს: სქელკედლიანი, გლუვი და შავი ზედაპირით, ფართო ძირით. ერთ-ერთი ასეთი ქვევრის პირის გვირგვინზე შტამპით დატანილია ტოლმკლავა ჯვარი, რაც ნიშანდობლივი შემთხვევაა ამ დროისათვის.

საერთოდ, გვიანანტიკური ხანის ქვევრებისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია სქელკედლიანობა, ბრტყელი და ფართო ძირი, გლუვი ზედაპირი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ჩალისფერი ანგობითაა დაფარული, სამკუთხა განივკვეთიანი პირის გვირგვინი, რომლის ბაკო შიგნითკენაა დაქანებული. კეცი ან მოშავო – რუხია, ან აგურისფრადაა გამომწვარი (ზომები მერყეობს: სიმაღლე – 1 მ., პირის დმ – 24 სმ-დან 40 სმ-მდე, მუცლის დმ – 55 სმ-დან ზევით. კედლის სისქე 2-3 სმ., ძირის დმ 15 სმ-დან 25 სმ-მდე) (სურ. 138). აღნიშნულ ქვევრებს შორის რამდენიმე ვარიანტის გამოყოფა შეიძლება. მათი განმასხვავებული ნიშანია პირის გვირგვინის მოყვანილობა და ძირის აგებულება, რომელთაგან ზოგი ფართოა და საგულდაგულოდაა გამოყვანილი. შეინიშნება განსხვავება კეცის გადანატეხსა და ზედაპირის ანგობირებაშიც[30].

ანალოგიური მასალები ცნობილია ნოქალაქევიდან[31] და ვარდციხედან[32]. ეჭვი არაა, რომ ქვევრების სიმრავლე მიუთითებს სამეურნეო საქმიანობის იმ დარგზე, როგორიცაა მევენახეობა – მეღვინეობა.

ქოცო – ქვევრისმაგვარი მცირე ზომის ჭურჭელია და ხასიათდება ქვევრის საერთო ნიშნებით. ქუთაისში ამ ჭურჭლის მთლიანი ეგზემპლარი შემონახული არ არის. ამიტომ მასზე სრული მსჯელობა გვიჭირს. ნაქალაქარზე აღმოჩენილია ქოცოს პირ – ყელისა და კედლის ფრაგმენტები. მათი საერთო მახასიათებელია მაღალი, თანაბრად შეზნექილი ყელი, გამოყვანილი პირის გვირგვინი ან სადა გადაშლილი პირბაკო (სურ. 139). ანალოგიურ ჭურჭლებს განეკუთვნება





სურ. 138. ქვევრები (IV-VI სს)

სურ. 139. ქოცოები და ქოთნები (IV-VI სს)

სურ. 140. დერგები

ვარდციხეში ნაპოვნი სქელკედლიანი ჭურჭლების ნატეხების ერთი ნაწილი, რომელთა პირი მომრგვალებულია, ბაკოშესქელებული და პროფილში ოთხკუთხა მოყვანილობისაა[33].

დერგები – ასევე გაბატონებული და ტიპიური ფარმაა ადრე შუა საუკუნეების კერამიკულ კომპლექსებში[34]. აგებულებით ისინი ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდებიან. განსხვავება გამოიხატება პირგვირგვინის მოყვანილობასა და ძირის ფორმაში. დერგების სიმაღლე საშუალო 70 სმ-მდეა. როგორც წესი, ყველა ფართოპირიანია და პირმოყრილი. მუცელი განიერი აქვთ. პირის გვირგვინზე, თითქმის ყველას, აქვს ხუფის ჩასადგმელი ამოზიდული ლილვაკი. იშვიათად გვხვდება ამ ლილვის გარეშეც.

ძირ-ქუსლის ორი ვარიანტია უპირატესად გავრცელებული: ერთი ამფორისმაგვარი შვერილძირიანი, ტანიდან გამოყოფილი ოვალური მოხაზულობით, მეორე – ჩვეულებრივ ბრტყელძირიანია. იშვიათად, ადრინდელ ფენებში შეგვხვდება ისეთი დერგის ფრაგმენტები, რომელსაც წნეხვით გამოყვანილი ზედაპირი და ტანიდან მკვეთრად გამოზიდული კონუსისებრი ძირი აქვს. ჩვენი ვარაუდით, ეს ტიპი აშკარად IV საუკუნით უნდა დათარიღდეს. ამას მოწმობს სტრატიგრაფიული მონაცემებიც.

დერგების უმრავლესობა, როგორც წესი, ყურიანია. ისინი მიძერწილია პირყელის კიდეზე, თუმცა გვხვდება ეს ჭურჭელი სახელურის გარეშეც (სურ. 140). ჭურჭლის კეცი აგურისფრად ან რუხ-ნაცრისფრად არის გამომწვარი. თიხა უპირატესად უხეშია და მინარავებიანი. დერგების ერთი ნაწილის ყელზე ორნამენტად ჰორიზონტალური ან ტალღისებური კონცენტრული ხაზები შემოუყვება. ზემოთ აღნიშნული ფორმის დერგებიდან მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთი ტიპი, რომელსაც ფართო მუცელი, დაბალი ყელი და ოდნავ გადაშლილი პირბაკო აქვს, რომლის ძირში და მხრების არეში მიერთებული აქვს ორი ბრტყელგანივკვეთიანი ყური (სურ. 141).

საინტერესოა, რომ ეს ჭურჭელი დამახასიათებელია ადრე შუა საუკუნეებისათვის და გავრცელებული იყო ცენტრალურ კოლხეთში[35]. როგორც ფიქრობენ, იგი გამოიყენებოდა ყველისა და სულგუნის შესანახად ან მწნილისათვის. ასე რომ, ეს ჭურჭელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადრე შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში.



სურ. 141. ორყურა დერგი (III-IV სს)

სურ. 142. ამფორები (IV-V სს)

ამფორები – მრავალრიცხოვანი და უმნიშვნელოვანესი ელემენტია ქალაქის ეკონომიკური ისტორიის შესწავლისათვის. იგი მეტად გავრცელებული კერამიკული ტარაა საშუალო საუკუნეების ქუთაისში. როგორც შესწავლამ უჩვენა, ძირითადად ხმარებაში ყოფილა IV საუკუნიდან XIV საუკუნემდე. მრავალსაუკუნოვან პერიოდში სხვადასხვა ტიპის ამფორა ყოფილა გამოყენებული. ნაქალაქარზე დადასტურდა სულ ამფორის 20 ტიპი, რომელთაგან უდიდესი ნაწილი ტანდაღარულია, თუმცა გვხვდება გლუვზედაპირიანებიც. ყველა ეს ტიპი ერთიანდება ოთხ ქრონოლოგიურ ჯგუფში:

1. IV – VII საუკუნეები.
2. VIII – IX საუკუნეები.
3. IX – XI საუკუნეები.
4. XI – XIII საუკუნეები.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესო პირველი ჯგუფი იყოფა ორ ქვეჯგუფად: IV და V – VII საუკუნეები. (სურ. 142, 143).

1. IV საუკუნით თარიღდება დიდი ზომის შვერილძირიანი ამფორა, რომელიც დამზადებულია სუფთად განლექილი თიხისაგან, აქვს ღია ფერის კეცი და დაფარულია თეთრი ანგობით[36]. მისი ანალოგიური აღმოჩენილია ილურატში და III საუკუნით არის დათარიღებული[37]. ქუთაისის ამფორა ძეგლის საერთო სტრატიგრაფიის გათვალისწინებით ასევე III – IV საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. როგორც ფიქრობენ, IV საუკუნეში ხდება ფორმირება ცილინდრული ფორმის ამფორისა, რომელსაც აქვს სფეროსმაგვარი ძირი და ტანზე ჰორიზონტალური ღარები. აღნიშნული ამფორის ყელი ან ცილინდრულია, ან ძაბრისებრი. ისინი თხელკედლიანია, აქვთ მოვარდისფრო კეცი, შეღებილია ღია ჩალისფერი ანგობით და „Г" – ს მაგვარი მასიური ყურები აქვს. მხარი კარგადაა გამოყოფილი და მასზე ერთმანეთზე მიჯრილი დაბალი ღარები შემოუყვება. რაც შეეხება ტანს, იქ სარტყელისებრი ღარები ამშვენებს.

ასეთი ტიპის ამფორები ფართოდ იყო გავრცელებული IV – VII საუკუნეების ბიზანტიურ სამყაროში შავიზღვისპირეთიდან ეგვიპტემდე[38]. ქუთაისში აღმოჩენილი ამფორა IV – V საუკუნეებით უნდა დათარიღდეს და ჩვენეული კლასიფიკაციით ამფორათა II ტიპს უნდა განეკუთვნოს.

IV საუკუნით უნდა დათარიღდეს საშუალო ზომის, თხელკედლიანი კვერცხისებური მოყვანილობის ტანის მქონე ამფორა, რომელსაც ზედაპირზე სუსტად





სურ. 143. ამფორები (V-VII სს)

სურ. 144. ამფორათა ფრაგმენტები დამახასიათებელი ნიშნებით

გამოყვანილი ღარები ამშვენებს (ტანის შუა ნაწილი გლუვია). კეცი მოწითალოა, ზედაპირი დაფარულია ჩალისფერი ანგობით. თიხა შედარებით კარგადაა განლექილი; ყელი ცილინდრულია, ვიწრო და დაბალი. პირბაკო ლილვისებურადაა მომრგვალებული. აქვთ ზემოთ მორკალური ნახევრად ოვალურგანივკვეთიანი დაბალი ყურები. პარალელური მასალები გვხვდება ტირიტაკის[39], მირმეკიონის[40], ბიჭვინტის[41], და ნოქალაქევის[42] მონაპოვარში. როგორც ფიქრობენ, ჭურჭლის ზედაპირის დაღარვა პრაქტიკაში შემოდის უპირატესად III საუკუნიდან, განსაკუთრებით კი IV საუკუნიდან. სავარცხლისებური შაბლონით დაღარულ-ზედაპირიანი ჭურჭლები ძირითადად დამახასიათებელია V – VI საუკუნეებისათვის[43] (სურ. 144).

ქოთნები – სამზარეულო კერამიკის ყველაზე მრავალრიცხოვანი სახეობაა. ზოგადად, ადრე შუა საუკუნეების ქოთნები ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა: IV – VI და VII – X საუკუნეები. უფრო დეტალური დიფერენცირება ამ ჭურჭლების ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ ისინი ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან. ტიპების განსაზღვრისას ძირითადი ნიშანია პირ-ბაკოს და ყელის მოყვანილობა. ძირი ყველა ქოთანს თითქმის ერთნაირი აქვს.

პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში გაერთიანებული ქოთნებისათვის დამახასიათებელია უხეში ნაცრისფერი კეცი, საშუალო სიმაღლის შეზნექილკისრიანი ყელი და ლილვაკისებურად მომრგვალებული ორმხრივი კონუსური გარეთ გადახრილი პირ – ბაკო. ზოგიერთი ქოთნის პირბაკო გარედან შესქელებული, ოთხკუთხაგანივკვეთიანია. ჭურჭლის ზედაპირს კარგად ეტყობა ხშირი კონცენტრული ხაზები (ჩარხის კვალი).

ადრეული ხანის ზოგიერთი ქოთანი თხელკედლიანია და აქვს ზემოდან დაბრტყელებული პირ-ბაკო. მათი კეცი კარგად განლექილია; ზოგიც დაბალყელიანია მომრგვალებული პირ-ბაკოთი. მათი ზედაპირი ზოგ შემთხვევაში შემკულია ტალღისებური ორნამენტით. აღსანიშნავია ის ქოთნები, რომელთაც აქვთ მაღალი, შეზნექილპირიანი, შედარებით ვიწრო ყელი, გარეთგადაზნექილი და ლილვაკისებურად შესქელებული პირ-ბაკო და ფართო მუცელი (სურ. 145).

ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფს განეკუთვნება ერთი ყურიანი ქოთანი[44], რომელსაც სხვა ცალებისაგან განსხვავებით აქვს სითხის გადმოსაღვრელი ტუჩი (ჩაიდნისებურად) (სურ. 146). ეს ქოთანი უხეშკეციანი და სქელკედლიანია, გარედან ყელის არეში ამშვენებს ტალღისებური ორნამენტი. ზემოთ განხილული ქოთნების ანალოგიური მასალები ცნობილია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ნამოსახლარებიდან (ვარდციხე, ნოქალაქევი, ბიჭვინტა)[45].

სურ. 145. ქოთანი (IV ს)

სურ. 146. ჩაიდნისებური ქოთანი

სურ. 147. დოქი (IV ს)

დოქები – საოჯახო კერამიკის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ადრე შუა საუკუნეების დოქებიდან ექვსი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება.

პირველი ჯგუფის დოქებს აქვთ ვიწრო, მაღალი ყელი და ფართოდ გადაშლილი პირი. ყური ოვალურგანივკვეთიანია. ზოგიერთ მათგანს წნეხვით გამოყვანილი ზედაპირი აქვს და ზოგსაც წნეხვით დატანილი ჩაღრმავებები[46] (სურ. 147, 148).

სურ. 148. დოქები (IV-VI სს)

მეორე ჯგუფში ერთიანდება დაბალყელიანი დოქები, რომელთაც აქვთ ვიწრო მოგრძო ტანი და თანაბრად მორკალული ყური, რომელიც პირს ქვემოთ და მხარზეა მიძერწილი. ეს დოქები სქელკედლიანია და უხეშკეციანი, თუმც გამომწვარია საკმაოდ კარგად[47].

მესამე ჯგუფის დოქებს ასევე დაბალი ყელი აქვთ, მაგრამ ფართოდ გადაშლილი პირი. პირს ბაკოზე ქედისებური ლილვაკი შემოუყვება[48]. ამავე ჯგუფში თავსდება ორყურიანი (ბრტყელი განივკვეთით) დოქები[49] და ასევე ორყურა ჩაფები, რომელთაც დაბალი ყელი და ფართო პირი აქვთ. ეს ჭურჭელი ტექნოლოგიურად კარგადაა დამზადებული. ზოგჯერ მათში ცალყურა ცალებიც გვხვდება.

ხელადები – გვიანანტიკური და ადრებიზანტიური ხანის ქუთაისური ინვენტარის საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს. აქედან აღსანიშნავია სამტუჩა ხელადა (სურ. 149), დაბალი მსხლისებური ტანით, ფართოდ გადაშლილი პირით. ყური მიძერწილი ჰქონია პირის კიდეზე და ტანის ქვედა ნაწილზე. ძირი ბრტყელი აქვს, ზედაპირი გლუვი, კეცი მონაცისფრო-აგურისფერია[50], თიხა მინარევებიანი – კირქვისა და ქვიშის ნამცეცებით. ასეთი ჭურჭელი გავრცელებული ჩანს IV – V საუკუნეებში და ფორმით წააგავს წებელდაში აღმოჩენილ ჭურჭელს, თუმცა წებელდური ხელადები ტანდაღარულია და არა გლუვზედაპირიანი[51].

სურ. 149. სამტუჩა ხელადა (IV ს)

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ორი ცალი ტანმორჩილი ხელადა, რომელიც კარგად დათარიღებულ IV საუკუნის ფენაში აღმოჩნდა. მათ აქვთ მსხლისებური ტანი, ფართოდ გადაშლილი პირი და მრგვალგანივკვეთიანი ყური, რომელიც ასევე უშუალოდ პირის კიდეს უერთდება[52] (სურ. 150). ამავე ხელადებთან ერთად აღმოჩნდა მწვანედ მოჭიქული პართული კოჭობის პირ-გვერდის ფრაგმენტი (სურ. 151) და ლუთერი, გამოყვანილი ფართო, ბრტყელი ძირით. ეს ჭურჭელი განკუთვნილი იყო თხევადი მასისათვის, რაზეც მიუთითებს სითხის გადმოსაღვრელი დამღიანი ტუჩი (სურ. 152). იგი ფართოდ ყოფილა გავრცელებული გვიანანტიკური ხანის როგორც დასავლეთ საქართველოში (ბიჭვინტა, ნოქალაქევი, ვარდციხე)[53], ასევე ქართლში და მთელს ამიერკავკასიაში[54]. გვიანანტიკური ხანის ფენაში გვხვდება აგრეთვე სფერულტანიანი, ძაბრისებურად პირგადაშლილი დოქები. (სურ.152ბ).

სურ. 150. ხელადები (IV ს)

სურ. 151. მწვანედ მოჭიქული კოჭობი

სურ. 152. ლუთერი (IV ს)

სურ. 152.ა სფერულტანიანი დოქები ძაბრისებური პირ-ყელით (IV-III ს.ს.)

სურ. 153. ჭრაქები

ჭრაქები – გვიანანტიკური ხანის ქუთაისის არქეოლოგიურ მონაპოვარში ძირითადად ორი ტიპითაა წარმოდგენილი. პირველი ტიპი საკმაოდ მარტივი და ორიგინალური ფორმით ხასიათდება. ესაა წრიულფორმიანი, ბრტყელძირიანი დისკოსმაგვარი სადგარი, რომლის შუაგულში ამოყვანილია საწვავი კამერა. ერთ ჭრაქს მცირე ზომის პირგადაშლილი საწვავი კამერა აქვს. მეორე ჭრაქის საწვავი კამერის პირბაკო წიბომომრგვალებულია და კონუსური ფორმისაა. ორთავე ჭრაქის ძირი ბრტყელი და ოდნავ კიდეებაკეცილია. ასეთი ჭრაქები, როგორც ჩანს, ხელით სატარებლად არ იყო განკუთვნილი. ის იდგმებოდა შენობის ინტერიერში (სურ. 153). სრულიად განსხვავებული ფორმისაა ჭრაქის მეორე სახეობა. იგი რომაულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული მცირე ზომის ნავისებური ფორმის ჭრაქია, რომელსაც საპატრუქე ხვრელი და სახელური აქვს.

წითელლაკიანი კერამიკა ნაქალაქარის კულტურულ ფენებში მოპოვებული კერამიკის ერთ – ერთი საინტერესო ნაწილია. თუ ასეთი კერამიკა ზღვისპირეთში პირველი საუკუნეებიდან იწყებს გავრცელებას, ჩვენთან იგი IV საუკუნიდან ჩნდება და ადგილობრივი მინაბაძების ჩათვლით, არსებობას განაგრძობს VII საუკუნემდე. მასალაში გამოიყოფა სამი ტიპის ასეთი ჭურჭელი, ძირითადად ჯამებისა და თეფშების ფრაგმენტების სახით. აღნიშნული ნაწარმი კარგადაა შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში[55], როგორც ქართველ, ისე უცხოელ მკვლევართა მიერ[56]. გამოყოფილია ცალკეული ტიპები და ქვეტიპები. ჩვენთან მოპოვებული მასალები ძირითადად შეესაბამება ვარდციხეში, ნოქალაქევში, სოხუმსა და ბიჭვინტაში მოპოვებულ მასალებს (სურ. 154) და ამდენად, მათი დეტალური დახასიათება ამჯერად საჭიროდ არ მიგვაჩნია, თუმცა მათი მნიშვნელობა ფენების სტრატიგრაფიის, ზოგადი დათარიღების და სავაჭრო – ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლისათვის ძალზე დიდია.

სურ. 154. წითელლაკიანი კერამიკა



ნაქალაქარის კულტურულ ფენებში განსა-კუთრებით მრავლად აღმოჩნდა წითელლაკიანი ჭურჭლის მინაბაძები. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი IV – VI საუკუნეებს მოიცავს.

საყურადღებო მასალას წარმოადგენს IV საუკუნის ადგილობრივი ჯამები და ბადიები. მაგ. ერთ-ერთი ჯამი დიდი ზომისაა პირის კიდეზე ლუთერისებურად სითხის გადმოსაღვრელი ტუჩი აქვს, ძირი კი ფართო და გამოყვანილი, კალთა დაქანებულია და ოდნავ პირმოყრილი (სურ. 155). თითქმის ანალოგიური ჯამი ნაპოვნია ნოქალაქევში.

ნაქალაქარის ადრინდელი ფენებიდან მომდინარე კერამიკულ ინვენტარში ძალზე მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ჯგუფს წარმოადგენს სამშენებლო კერამიკა. მათ შორის წამყვანი ფორმაა აგური და კრამიტი.

სურ. 155. ბადია

სურ. 156. აგურის იატაკი

აგური – ფართოდაა გამოყენებული ახ. წ. IV საუკუნიდან ნაგებობათა კედლებზე და იატაკის მოპირკეთებისათვის (სურ. 156). ძირითადად გამოიყენებოდა სამი ტიპის აგური: მართკუთხა ფორმის, იშვიათად სამკუთხა და ტრაპეციის ფორმის აგური, რომელთა გამოყენება თაღების მშენებლობაში ივარაუდება (მრგვალი აგურის აღმოჩენის ფაქტი ქუთაისში ჯერჯერობით არ დადასტურდა).

მართკუთხა აგურის ზომებია: 31X17X5 სმ., 32X23,5X4,2 სმ., 24X18X4,5 სმ., 40X16,7X4,5 სმ. როგორც ვხედავთ, ამ ფორმის აგურები არასტანდარტულია, იმიტომ რომ ისინი სხვადასხვა ყალიბში იჭრებოდა, თუმცა კეცის ფაქტურა იდენტურია – ღია ფერის კარგად გამომწვარი ადგილობრივი თიხისაგან. ყველა აგურის ერთი (ქვედა) გვერდი, როგორც წესი ხორკლიანია, ხოლო ზედაპირზე ეტყობა მკრთალი ხაზები.

სამკუთხა აგურებიც[57] ასევე ხის ყალიბში ჩანს დამზადებული. კეცი ღია ფერისაა და კარგად გამომწვარი. მისი ფუძე 23 სმ-ია, სიმაღლე 29,5 სმ., დახრილი გვერდის სიგრძე – 37,5 სმ.

ტრაპეციის ფორმის ერთი აგური იქნა აღმოჩენილი, მაგრამ ფრაგმენტულობის გამო მისი ზუსტი ზომების დადგენა არ ხერხდება[58].

კრამიტი – ორი სახითაა წარმოდგენილი ნაქალაქარის კულტურული ფენებიდან. ესაა ბრტყელი, გვერდებაკეცილი სოლენი და ღარიანი კალიპტერი, რომელთა ნატეხები ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება არქეოლოგიურ მონაპოვარში.

ყველაზე ადრინდელი ფრაგმენტები III – IV საუკუნეებით განისაზღვრება. ისინი გენეტიკურ კავშირშია გვიანელინისტური ხანის კრამიტებთან, აქვთ სქელი კედელი და დაბალი, ფართო ბორტი (სურ. 157). კეცი კარგად გამომწვარია და შედარებით კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული, რომელსაც აქვს კირქვის მარცვლების მინარევი (კედლის სისქე – 3,7 სმ.), ბორტის სიმაღლე – 2,5 სმ., ბორტის სიგანე – 2,8 სმ).

IV – V საუკუნეების კრამიტი (სოლენი) სრულიად განსხვავდება ადრინდელი ფორმისაგან. მისთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია, მაღალი, ხშირად ზურგმომრგვალებული ბორტი, რომლის სიმაღლე 5 სმ – მდეა[59]. მომდევნო პერიოდში ეს სიმაღლე საგრძნობლად კლებულობს (3-4 სმ). ამდროინდელი მასალა საკმაოდ მაღალხარისხოვანი პროდუქციაა, კარგადაა გამომწვარი და ღია ნათელი ფერით გამოირჩევა. თიხა აშკარად ადგილობრივი ჯიშისაა. აღნიშნული სოლენის თანადროულია იგივე ნედლეულზე დამზადებული ღარიანი კრამიტი – კალიპტერი, რომელსაც აქვს საკმაოდ მაღალი და გაშლილი კალთები და როგორც წესი, ზურგზე რქისებური შვერილი ქიმი (სურ. 158)[60].

მინის ნაწარმი – IV საუკუნის ნაქალაქარის კულტურული ფენებიდან მომდინარეობს მნიშვნელოვანი რაოდენობის გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების მინის ნაწარმი, რომელიც წარმოდგენილია სასარკმლე მინის და სხვადასხვა ფორმის ჭურჭელთა ფრაგმენტების სახით. ფრაგმენტულობის გამო ვერ ხერხდება მინის ჭურჭელთა ზოგიერთი ფორმის აღდგენა, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული მასალის ცალკეული ნაწილების დაჯგუფების საფუძველზე იქმნება

შესაძლებლობა ანალოგიების მოშველიებით გამოვყოთ სხვადასხვა ფორმები: ჭიქისებრი და ფეხიანი სასმისები, კოლბისმაგვარი სანელსაცხებლე, სფეროსებურტანიანი ქილისმაგვარი სანელსაცხებლე და სხვ. (სურ. 159).

1. ხალიანი ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი[61] ოდნავ მომწვანო – მოყვითალო ფერის მინისაგანაა დამზადებული, ბუშტულებიანია. კედლის სისქე 1 მმ. ფრაგმენტი უნდა ეკუთვნოდეს ჭიქისმაგვარ სასმისს, რომელსაც ტანის შუა ნაწილზე განლაგებული ჰქონდა წვეთების სახით ლურჯი მინის ხალები. ასეთი ჭურჭლები[62] ჩნდება III საუკუნიდან და ფართოდაა გავრცელებული IV საუკუნეში. როგორც ცნობილია, ხალიანი მინა V საუკუნის პირველ ნახევარშიც განაგრძობს არსებობას. ჩვენთან ეს ფრაგმენტი ნაპოვნია IV საუკუნის გალავნის კედლის ძირში, იატაკის დონეზე და გალავნის მშენებლობის პირველ ეტაპს შეესაბამება – შიდაციხეში. მსგავსი ჭურჭლები აღმოჩენილია ვაშნარის ნაქალაქარზე[63], ბიჭვინტაში[64], წებელდასა[65] და სოხუმში[66].

2. მინის ჭურჭლის ძირი, წაკვეთილი პირამიდის ფორმის, გადადის კონუსისებრ ტანში, რომელიც ღრმა ტევადობისაა და ზემოთკენ ფართოვდება[67]. ასეთი კონუსური ფორმის სასმისები, მაგრამ მომრგვალებული ძირით, ცნობილია ვაშნარიდან[68], წებელდიდან[69] და ჩრდ. შავიზღვისპირეთიდან[70]. სავარაუდოა, რომ ეს ფრაგმენტი ხალიანი ჭურჭლების რიგს განეკუთვნება და IV – V საუკუნეებით თარიღდება.

ამავე პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ ჭიქისმაგვარ სასმისთა კონუსისებურად შეზნექილი ძირები[71], რომლებიც დამზადებულია მომწვანო ფერის ბუშტულებიანი მინისაგან, ლ. ჩხაიძის განმარტებით, ვაშნარის ანალოგიური მასალა IV – V საუკუნეებით თარიღდება[72]. ასეთივე ძირები ცნობილია ვარდციხედან, რომლის ქრონოლოგიური ზედა ზღვარი VIII საუკუნით არის განსაზღვრული[73]. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ე. წ. ფეხიანი სასმისების ქუსლები, საყრდენი ღეროებით. ქუსლის დიამეტრი მერყეობს 3,5 სმ-დან 4 სმ-მდე[74]. მინის ფერი ან ღია მწვანეა და ბუშტულებიანი, ან ცისფერი. ერთ-ერთის საყრდენი ღერო და ქუსლიც მილისებურია. ასეთ სასმისებს ბევრი ანალოგია მოეპოვებათ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში[75]. ისინი ადრე შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე ჩანს გავრცელებული[76]. დანიშნულების მიხედვით ისინი ლამპრებადაც მიაჩნიათ, თუმცა მათი გამოყენება ორივე დანიშნულებით შეიძლებოდა.



სურ. 157. კრამიტი (სოლენი)



სურ. 158. კრამიტი (კალიპტერი)



სურ. 159. მინისა და რკინის ნაწარმი (IV-V სს)

ნაქალაქარიდან მომდინარე მინის ნაწარმში გვხვდება უსახური ფრაგმენტებიც, რომლებიც ამა თუ იმ ჭურჭლის ტანის ნაწილია. მათგან აღსანიშნავია სფეროსებურტანიანი ჭურჭლის ფრაგმენტი[77], რომელიც ქილისმაგვარი ფორმის ჭურჭელს უნდა ეკუთვნოდეს. მას უნდა ჰქონოდა ფართო ყელი, რომელიც ზემოთკენ იშლებოდა[78]. ახ. წ. IV – V საუკუნეების მასალებს შეიძლება მივაკუთვნოთ მინის ჭურჭლის ყური[79], მუქი მწვანე ფერის, მცირე ზომის, რომელიც ვაშნარის მინის ნაწარმში პოულობს ანალოგიას[80].

ამგვარად, ქუთაისის ციხე-ქალაქის ადრინდელმა ფენებმა მოგვცა სხვადასხვა ფორმის მინის ჭურჭელი; ჭიქები, ფეხიანი სასმისები, კონუსური ჭურჭელი, ქილისმაგვარი ჭურჭელი. აღნიშნულ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს ახ. წ. IV საუკუნის საქალაქო ცხოვრების სოციალურ – ეკონომიკური მხარის გარკვევისათვის და კულტურული კავშირების წარმოჩენისათვის, რაც მომავალში დამატებით კვლევას მოითხოვს.

რკინის სულ სამიოდე ნივთია (სურ. 159) ნაქალაქარის ადრინდელ ფენებში აღმოჩენილი. აქედან საყურადღებოა წერაქვისმაგვარი იარაღი, სატარე ხვრელის გარეშე, რომელსაც ტარის დასამაგრებლად მირჩილული აქვს სწორკუთხა მოყვანილობის ტარის ჩასამაგრებელი შვერილები. წერაქვის ზედა ბოლო სარჭისმაგვარად დაწვრილებულია, ხოლო ქვედა ბოლო გაბრტყელებულ – გაფართოებული. ამ იარაღის ზუსტი ანალოგია ჩვენთვის ცნობილი არ არის. ამდენად, მისი დათარიღება კარგად განსაზღვრული სტრატიგრაფიით ხერხდება და IV – V საუკუნეებში თავსდება.

თოხი – რკინის ტიპური იარაღია ადრე შუა საუკუნეების კოლხეთისათვის. მიწათმოქმედებაში მისი გამოყენება ადრებრინჯაოს ხანიდან ფიქსირდება[81] და ჩვენს დრომდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა, როგორც უნივერსალურ სამიწათმოქმედო იარაღს. ქუთაისში აღმოჩენილი თოხი ახლო ანალოგიას პოულობს ლ. ძიძიგურის კლასიფიკაციის გვიანანტიკური ხანის IV სახეობის ბ ტიპთან, რომელსაც აქვს წაგრძელებული ფორმა, შევიწროებული წელი, შედარებით ვიწრო სამუშაო პირი და მომრგვალებული ყუა. ანალოგიური იარაღის შემთხვევით აღმოჩენებს ადგილი ჰქონდა საკუთრივ ქუთაისში და ჩხარში. ამ ტიპის თოხები მიწის პირველადი დამუშავებისათვის გამოიყენებოდა (ბელტების დაშლა, ფესვების ამოძირკვა და სხვ.)[82].

ურო – ჩაქუჩი ფართო ყუითა და სოლისებურად დაბრტყელებული პირით ქვის სატეხ – საკოდი იარაღი იყო. ქვისმთლელებისათვის ბოლო დრომდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

დასკვნა: გვიანანტიკური ხანის ქუთაისის შესახებ დღემდე ძალიან ცოტა რამ იყო ცნობილი. დღეს ჩვენს თვალწინ გადაიშალა სრულიად ახალი სურათი. ამდროინდელი დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელი მძლავრი სასიმაგრო სისტემა კოშკებითა და კარიბჭეებით, უზენაეს ხელისუფალთა ციხე – დარბაზი (სამეფო სასახლე), საკულტო – რელიგიური ცენტრისათვის დამახასიათებელი დიდი ბაზილიკა და „სამლოცველო სახლი", წყალმომარაგების ურთულესი საინჟინრო სისტემა და რაც მთავარია, ქალაქის ყოფის ამსახველი მდიდარი არქეოლოგიური მასალა. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქუთაისი IV საუკუნეში თვალსაჩინო აღმავლობის გზაზეა. აქვს მძლავრი შიდაკოლხური ეკონომიკური კავშირები და ჩაბმულია საერთაშორისო სავაჭრო ორბიტაში. ამ-

იტომაც სავარაუდოა, რომ IV საუკუნის რომაულ რუკაზე ქუთაისიც შეიძლება ყოფილიყო მითითებული, ისევე როგორც რავენელი ანონიმის კოსმოგრაფიაში არტაშატ – სებასტოპოლისის გზაზე დასახელებული პუნქტი **Cotaisin**-ქუთაისი[83]. გარე სამყაროსთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებით აიხსნება ზემოთ განხილული წითელლაკიანი კერამიკის, ხალიანი მინის, გვიანანტიკური ამფორების, მწვანედ მოჭიქული პართიული ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტები.

III – IV საუკუნეებში ქუთაისის აღმავლობა და დაწინაურება ეგრისის სამეფოს აღმავლობასა და გაძლიერებას უკავშირდება. ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკური და კულტურული პროგრესი შესანიშნავად აისახა ამ ქალაქის მაგალითზე, იგი თანადროულ ქალაქთა შორის დასავლეთ საქართველოში ყველაზე უფრო განვითარებული და მასშტაბურია. ჩვენი ვარაუდით, იგი არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური ცენტრია, რაც პოლიტიკური მორჭმულობის საფუძველთ-საფუძველია, არამედ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრიც უნდა იყოს. ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ, ლაზ მეფეთა ადგილსამყოფელი ციხე-გოჯ – არქეოპოლისის დაწინაურებამდე (VI საუკუნემდე) ქუთაისი იყო და ბიზანტიელ ისტორიკოსებთან დაცული ტრადიცია ქუთაისის დედაქალაქობის თაობაზე არა მხოლოდ წინარე (ანტიკურ) ხანას გულისხმობს, არამედ ამ პერიოდის გამოძახილია.

შენიშვნები

1. *როგორც აღნიშნავენ, იმპერიისაგან ვასალური დამოკიდებულება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ლაზეთის სამეფო არც ხარკს იხდიდა და არც ბიზანტიის გარნიზონები იდგა მის ტერიტორიაზე* ***(ლომოური ნ.,*** *ეგრისის სამეფოს ისტორია. გვ. 74-76);* ***მუსხელიშვილი დ.,*** *საქართველო IV – VIII საუკუნეებში, თბ., 2004 წ., გვ. 100.*
2. *ტერმინისათვის იხ.* ***ჯავახიშვილი ივ.,*** *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946 წ., გვ. 48-50.*
3. *ბოლო წლებში აღნიშნული ძეგლის რესტავრაცია შესრულდა ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ პროფ. ვ. ცინცაძის პროექტით (იხ. ძეგლის მეგობარი, 1986 წ., №4. გვ. 42-48).*
4. *იგი პირველად აღწერა დიუბუა დე მონპერემ.*
5. *ალექსი იევლიევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა,* ***იასე ცინცაძის*** *რედაქციით, თბ., 1959 წ., გვ. 135. ქუთაისის ციხის წყალმომარაგების საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ნ. სუხიაშვილმა (იხ.* ***Сухиашвили Н. К.,*** *Водоснабжение Цитадели г. Кутаиси и примыкающей к ней террит. მაცნე, №1, 1977 წ., გვ. 109-114).*
6. ***ჯაფარიძე ვ.,*** *ვარციხის ნაქალაქარი. თბ., 1989 წ., გვ. 112 და შმდ.*
7. ***ზაქარაია პ., კაპანაძე თ.,*** *ციხე – გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. თბ., 1991 წ., გვ. 17 და შმდ.*
8. *იქვე, გვ. 21.*
9. ***ზაქარაია პ.,*** *ნოქალაქევ – არქეოპოლისი. თბ., 1987 წ., გვ. 182.*
10. ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ.,*** *არქეოლოგიური გათხრები ბაგრატის ტაძრის ინტერიერში. კრ. „ქართველური მემკვიდრეობა". ტ. 8. 2004 წ. გვ. 136 და შმდ;* ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ბერძენიშვილი დ., ქარციძე ნ., ჭუმბურიძე მ.,*** *გათხრები ქუთაისსა და გელათში. ძიებანი №19, თბ. 2010 წ., გვ. 67-73;* ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ.,*** *არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში, გელათსა და მონამეთაში 2008-2009 წლებში. ძიებანი №20. თბ., 2011 წ., გვ. 153-161.*
11. ***ბახტაძე ნ.,*** *ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის. ძიებანი, №19. თბ., 2010 წ., გვ. 210; იხ. იქვე დასახ. ლიტერატურა.*
12. ***ბახტაძე ნ.,*** *ნეკრესი (ავტორ-შემადგენლები: ნოდარ ბახტაძე, ნათელა თევდორაშვილი, გიორგი ბაგრატიონი), ნეკრესი 2010 წ.*
13. ***ჩუბინაშვილი გ.,*** *ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1936 წ., გვ. 32 და შმდ;* ***ბერიძე ვ.,*** *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974 წ., გვ. 22-25.*
14. ***ჯაბუა ნ.,*** *სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში. თბ., 2009 წ., გვ. 151., იქვე დასახ. ლიტერატურა.*
15. ***Шуази О.,*** *История архитектуры. т. II., Москва., 1957 г., стр. 54., Чубинашвили Г., Архитектура Кахети. ТБ., 1959 г., стр. 138.*
16. ***ჯაბუა ნ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 151, 152; სამნავიანი ბაზილიკების გადახურვის რამოდენიმე ხერხს გამოყოფს და მათ შორის ხის ძელებიან გადახურვას მიუთითებს, რომელიც ადრექრისტიანული ხანის სირიის ბაზილიკებში გამოიყენებოდა.*

17. ***ჯაბუა ნ.,*** *სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში. თბ., 2009 წ., გვ. 2004.*
18. ***ლანჩავა ო.,*** *ქუთაისის შიდაციხის ბაზილიკა. ქართველური მემკვიდრეობა X. ქუთ., 2006 წ., გვ. 156-161;* ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ.,*** *არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში. ჟურნალი-ძველი ხელოვნება დღეს. 2010 წ., გვ. 4-13;* ***ისაკაძე რ.,*** *ქუთაისის ადრექრისტიანული ეკლესიები. ქართველური მემკვიდრეობა XIII, ქუთ., 2009 წ., გვ. 138-153.*
19. ***კაპანაძე თ.,*** *ნოქალაქევის ბაზილიკები. კრ. ნოქალაქევ-არქეოპოლისი. 1987 წ., გვ. 90-125.*
20. ***ციციშვილი ირ.,*** *ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი. კრ., დიდი პიტიუნტი, II, თბ., 1977 წ., გვ. 83-120.*
21. ***ინაიშვილი ა.,*** *პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები II. თბ., გვ. 91-107.*
22. ***Закарая П.,*** *Базилика западной Грузии. IV международный симпозиум по грузинскому искуству. ТБ., 1983 г.*
23. ***Леквинадзе В. А.****, Гантиадская Базилика. Советская археология №3., М., 1970 г., стр. 162-174.*
24. ***Борисов Б. Д.,*** *Старохристианские Базилики (IV-VI вв.) Крам С. караново. Бургяска область „Археология, кн. 3", 1988 г., Архинт и музей при БАН;* ***Richard Krautheimer*** *Early christian and Byzantine architecture, 1965. ანალოგიური ნაგებობა ცნობილია რეგენსბურგში (იხ.* ***Gian Carlo*** *Menis La Basilica paleochristiana Welle Regioni delle Alpi Orientale Autichita. adriatiche IX, AQuileil El Arco Alpino Orientall 1976. გვ. 375-405.*
25. *Всеобщая история архитектуры. т. 4, с. 19.*
26. ***ჯავახიშვილი ივ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 72-74.*
27. *სასახლის მისადგომი გარე მხარე ჯერჯერობით ბოლომდე გათხრილი არ არის. იქ ამჟამად თანამედროვე საცხოვრებელი სახლი დგას.*
28. ***ზაქარაია პ., კაპანაძე თ.,*** *ციხე-გოჯი, არქეოპოლისი, ნოქალაქევი. გვ. 87-89.*
29. *იქვე, გვ. 87.*
30. *საავ. №№4613-86, 2389-84, 1674-84, 2599-84.*
31. *კრ. ნოქალაქევ – არქეოპოლისი, I, გვ. 135, სურ. 15.*
32. ***ჯაფარიძე ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 67, ტაბ. XII.*
33. *იქვე, გვ. 68.*
34. *საავ. №№4297 – 85; 4347-85; 2032 – 84; 2280 – 84; 6097 – 87; 4571 – 86; 6481 – 87; 4281 – 85; 2466 – 84; 1662 – 84; 5495 – 86.*
35. ***ჯაფარიძე ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 68 – 69;* ***Леквинадзе В. А., Хведелидзе Л. И.****, დასახ. ნაშრომი, გვ. 137 – 138.*
36. *საავ. №3511 – 85.*
37. ***Гайдукевич В. Ф.,*** *Илурат, МИА, 85, с. 54, рис. 43.*
38. ***Кузманов Г.,*** *Типология и хронология на ранневизантииские амфоры (IV _ VI вв.) Археология 1973 г., I, с. 18-19;* ***Якобсон А. Л.*** *Средневековые амфоры Северного причерноморья, СА, 1951 г., с. 329-330, рис. 3.*
39. ***Гайдукевич В. Ф.,*** *Раскопки Тиритаки в 1935-1940 гг. Боспорские города. 1 М-Л., 1952 г., с. 24.*
40. ***Якобсон,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 327, სურ. 12.*
41. ***ბერძნიშვილი ქ., ფუთურიძე რ.,*** *ბიჭვინთაში მოპოვებული ამფორები. „დიდი პიტიუნტი", I, გვ. 273, ტაბ. 59-2.*

42. ***Леквинадзе В. А., Хведелидзе Л. М.,*** *Массовые археологические находки из раскопок Археополиса. ნოქალაქევ – არქეოპოლისი, I, 1981 წ., გვ. 134, ტაბ. X III – 3.*
43. ***Гайдукевич В. Ф.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 100.*
44. *საკ. №2484-85; 1598-86.*
45. ***ჯაფარიძე ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 20 და შმდ., ტაბ. XVII, XVIII;* ***ლექვინაძე ვლ.,*** *ნოქალაქევის ნაქალაქარზე 1978-1982 წლებში გამოვლენილი IV – XI საუკუნეების მასობრივი არქეოლოგიური მასალა. კრ. ნოქალაქევ – არქეოპოლისი, II, თბ., 1987 წ., გვ. 239;* ***ლორთქიფანიძე გ.,*** *დასახ. ნაშრომი, ტაბ. XII – 7, XV – 1, 2.*
46. *საკ. №№1459 – 84; 2715 – 85; 5018 – 85; 3980-87.*
47. *საკ. №4942-85; 5139-85.*
48. *საკ. 2336-87.*
49. *საკ. №4572-87.*
50. *საკ. №6183-87.*
51. ***Шамба Г. К.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 32, ტაბ. XVIII.*
52. *საკ. №6697 – 88; 6698 – 88.*
53. ***ჯაფარიძე ვ.,*** *ვარციხის..., გვ. 83-84.*
54. ***სინაურიძე მ.,*** *აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა. გვ. 50.*
55. ***Книпович Т. Н.,*** *Краснолаковая керамика первых веков н. э. из раскопков Боспорской экспедиции 1935-40 гг., МИА, вып. 25;* ***Силантъева Л. Ф.,*** *Краснолаковая керамика из раскопок Илурата. МИА, 85;* ***Беляев С. А.,*** *Краснолаковая керамика херсонеса IV-XI вв. сб. Античная история и культура Средиземноморья и Причерноморья. Л. 1968 г;* ***ბერძნიშვილი ქ.,*** *ბიჭვინთის წითელლაკიანი თიხის ჭურჭლის შესწავლისათვის (1952 – 53 წწ. განათხარის მიხედვით), მსკა, ტ. III, 1963 წ., გვ. 107-123;* ***ფუთურიძე რ.,*** *წითელლაკიანი კერამიკა სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიიდან. მსკა, ტ. IV, 1965 წ., გვ. 95-106;* ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ბიჭვინთის წითელლაკიანი კერამიკა (ძირითადი ტიპები და დათარიღება). სმამ. №1, 1962 წ., გვ. 231-255;* ***ჯაფარიძე ვ.,*** *ვარციხის ნაქალაქარი... გვ. 28;* ***მისივე,*** *ეგრისის ახ. წ. I – VII სს. მატერიალური კულტურის ძეგლები. თბ., 2006 წ., გვ. 103.*
56. *წითელლაკიანი კერამიკის წარმომავლობის და მისი დამზადების ტექნოლოგიას საინტერესო მონოგრაფია ეძღვნება:* ***Bernard Hofmann,*** *La ceramigue sigilee, Paris, 1986. 1986 წ. სექტემბერში იტალიური Sigilata-ს შესწავლას მიეძღვნა საგანგებო კოლოკვიუმი ცნობილი სპეციალისტების მონაწილეობით (იხ. Materialen Zur Romisch-germanischen Keramik, Heft-10, conspectus Formarum terrae sigilatae Italico mode confectae von Dr. Rudolf Habelt GMBN (Bonn, 1990).*
57. *საკ. №7807-90.*
58. *საკ. №7807-90.*
59. *საკ. №№6260-87; 4574-86; 5986-87; 4509-86.*
60. *საკ. №№7287-89; 4492-86; 7286-89; 7324-89.*
61. *საკ. №6954-88.*
62. ***Сорокина Н. П.,*** *Позднеантичное и раннесредневековое стекло с Таманского городища Сб. Керамика и стекло древней Тмутараканы. М., 1963 г., с. 154.,* ***უგრეხელიძე ნ.,*** *ადრეულ შუა საუკუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის. თბ., 1967 წ., გვ. 68.*
63. ***ჩხაიძე ლ.,*** *მინის ნაწარმი ვაშნარის ნაქალაქარიდან. სდსძ, V, თბ., 1975 წ., გვ. 107 და შმდ. ტაბ. XXXII.*

64. ***ლორთქიფანიძე ოთ.,*** *ინკიტის ტბის მიდამოებში ჩატარებული სადაზვერვო არქეოლოგიური მუშაობის წინასწარი ანგარიში. მსკა, III, 1963 წ., გვ. 98;* ***რამიშვილი რ.,*** *არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში. იქვე, გვ. 72.*

65. ***Шамба Г. К.,*** *Ахаччарху, древний могильник нагорной Абхазии. Сухуми, 1970 г.*

66. ***აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე ოთ.,*** *მასალები..., მაცნე, 1965 წ., №3, გვ. 117.*

67. *სავ. №4292-85.*

68. *ჩხაიძე ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 108-109, ტაბ. XXXII – 16.*

69. ***Шамба Г. К.,*** *Указ. соч., таб. XIX.*

70. ***Сорокина Н. П.,*** *Указ. соч., с. 32.*

71. *სავ. №№7236-89; 7215-89.*

72. ***ჩხაიძე ლ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 113. ტაბ. XXXII – 11, 12, 13, 14.*

73. ***ჯაფარიძე ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 100, ტაბ. XXVIII, 4.*

74. *სავ. №№6181-87; 6370-87; 7320-89.*

75. ***უგრეხელიძე ნ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 68.*

76. ***ჩხატარაიშვილი მ.,*** *მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში. თბ., 1978 წ.*

77. *სავ. №7322 – 89.*

78. *შდრ. ჩხაიძე ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 113, ტაბ. XXXII-21.*

79. *სავ. №7169-88.*

80. ***ჩხაიძე ლ.,*** *დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXII – 18, 19.*

81. ***ძიძიგური ლ.,*** *ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა (შრომის იარაღები). თბ., 1994 წ., გვ. 43 და შმდ.*

82. ***ძიძიგური ლ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 126-127.*

83. *Tabula Peutingeriana-1916 წელს გამოსცა და ვრცელი კომენტარები დაურთო კონრად მილერმა (იხ. დასახ. ლიტ.);* ***Манандян Я. А.,*** *О горговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен. Эреван, 1930 г.,* ***Еремян С. Т.,*** *Торговые пути Армении в эпоху сасанидов. ВДИ, 1939 г., №1;* ***ლომოური ნ.,*** *ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. I, 1958 წ., გვ. 100 და შმდ.*

VI თავი | ქუთაისი V–VI საუკუნეებში

1. თავდაცვითი სისტემა

სურ. 160. ციხე-ქალაქის გეგმა (V-VI სს)

ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში შემდგომი აღმავლობის ხანა V საუკუნეზე მოდის. ქალაქის აღზევების პროცესი, როგორც წესი, მთლიანად ემთხვევა ეგრისის სამეფოს ძლიერების პერიოდს. ციხე-ქალაქის გამაგრების თვალსაზრისით ამ დროს მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. იგება დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელი მძლავრი მონუმენტური, ახალი სასიმაგრო სისტემა. ძველი ფორტიფიკაციის ადგილზე უფრო დიდი ფართობის შემოზღუდვით შენდება „დიდი ქუთათისის" დიდი ციტადელი (სურ. 160). ამავე დროს დაიწყო ქვედა ქალაქის გამაგრება გალავნის კედლებით, კერძოდ, აშენდა მისი შვეული კედლის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ციცაბო კლდის ქარაფზე ეშვება, გადადის მდ. რიონზე და ზღუდავს მდინარის მარცხენა ნაპირსაც. ამრიგად, გალავნის კედლებით შემოზღუდული ქალაქი სამნაწილიანი გახდა: შიდაციხესა და შიდაქალაქს დაემატა ქვედა ქალაქიც, რომელიც მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე გადადიოდა. გალავნის საერთო პერიმეტრი 2 კმ-ია. შემოზღუდული ტერიტორიის ფართობი 12 ჰექტარი. კედლები მასიურია და ფართო, მისი სიგანე 2,40 მეტრია, სიმაღლე 12 მეტრამდე. ერთგან იგი დღესაც 8 მეტრამდეა შემორჩენილი.

ზღუდე – გალავანი (დრუსო) ყოველ 40-50 მეტრში გამაგრებულია მძლავრი სწორკუთხა კოშკებით. მათი ზომებია: 8X12 მ., (სურ. 161). წრიული ყოფილა მხოლოდ დედაბურჯის წინამორბედი ცენტრალური კოშკი, რომლის მხოლოდ მცირე ფრაგმენტმა მოაღწია ჩვენამდე. სამშენებლო მასალად გამოყენებულია რბილი ჯიშის მოყვითალო ფერის კირქვა[1]. კედლის პერანგი საშუალო ზომის შუბლგამოყვანილი კვადრებითაა ნაწყობი (ე. წ. „იზოდომური" წყობა) (სურ. 162). ყველგან, შეძლებისდაგვარად, დაცულია რიგების ჰორიზონტალობა. დუღაბი რიონის ხრეშზეა დამზადებული. ნიშანდობლივი ნიუანსი ისაა, რომ კედლები თითქმის უსაძირკვლოა და ყველგან არც კლდექანზე ზის.

სურ. 161. კონწოლის კოშკი

სურ. 162. იზოდომური წყობა

მშენებლობის ასეთი წესი ფართოდ ყოფილა გავრცელებული V საუკუნეში არა მარტო საქართველოში, არამედ, საერთოდ, ევროპასა და წინა აზიაშიც[2]. უფრო მეტიც, „იზოდომური “ წყობა ჯერ კიდევ ადრიანეს დროიდანაა ცნობილი ბრიტანეთში[3]. მაგრამ ეს არაა მთავარი. მნიშვნელოვანი აქ ისაა, რომ V საუკუნეში ქალაქებისა და ქვეყნის გამაგრების (თუ თავდაცვის) თვალსაზრისით თვალსაჩინო „ნახტომი" გაკეთდა, რაც უპირველესად, განპირობებული იყო ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების შედეგებით და რა თქმა უნდა, საგარეო პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებით. აშკარაა, რომ ქვეყანა დიდი პოლიტიკური კატაკლიზმების მოლოდინშია, ამიტომაც ასე გულმოდგინედ და ეკონომიკური სახსრების დაუზოგავად შენდება თავდაცვისათვის განკუთვნილი სასიმაგრო სისტემების ქსელი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღინიშნა, ესაა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ერთიანი გეგმით განხორციელებული ღონისძიება – თავდაცვის ერთიანი სისტემის შექმნა[4]. თავდაცვის ხაზი, პირველ ყოვლისა, მთავარი გზებისა და მოთავე ცენტრების (აფსაროსი, არქეოპოლისი, ქუთაისი) ირგვლივ განლაგდა. ეს ორი მომენტი შემდგომშიაც (VI საუკუნე) განაპირობებდა ახალი სასიმაგრო პუნქტების შექმნას.

გამაგრების თვალსაზრისით, ქუთაისთან ერთად ამ პერიოდში დაწინაურდნენ ისეთი პუნქტები, როგორიცაა: სკანდე, საზანო, შორაპანი, როდოპოლის – ვარდციხე, უქიმერიონი, ნამაშევი და სხვ.

მიუხედავად ამისა, ეგრისის სამეფოს ძლიერება V საუკუნის ბოლოსათვის შეირყა[5].

ქვეყნის მთავარმა ქალაქმაც მიიღო ეს დარტყმა[6]. არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, როგორც სასიმაგრო სისტემის, ისე სხვადასხვა ნაგებობების ნგრევა – განადგურებას. ამ პერიოდში ნადგურდება სამეფო სასახლე (ციხე-დარბაზი), „სამლოცველო სახლი" და ზღუდე-გალავნის ნაწილი. აშკარად ჩანს, გარეგანი აგრესიის კვალი, თუმცა კონკრეტულად აგრესორის დადგენა ჭირს. მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კატასტროფა ბიზანტიელთა დამსჯელ ექსპედიციას უნდა დაუკავშირდეს V საუკუნის 60-იან წლებში[7].

სურ. 163. გოდლედებიანი ზღუდე (VI ს)

სურ. 164. გოდლედებიანი ზღუდის დეტალი

სურ. 165. დედაბურჯი (V-VI სს)

აღნიშნული აგრესიის შედეგები მოკლევადიანი გამოდგა. მას დიდი ხნით ქუთაისის დაცემა – დაქვეითება არ გამოუწვევია. სულ მალე დგება დიდი აღდგენა – განახლების პერიოდი (V – VI სს. მიჯნა). კვლავ უმთავრესი ყურადღება სასიმაგრო სისტემის რეკონსტრუქცია – განახლებას ეთმობა.

ამ განახლებით იწყება ახალი ეტაპი ქუთაისის სასიმაგრო ხუროთმოძღვრებაში. იგი საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების გვირგვინია, საერთოდ შუა საუკუნეების ეპოქის ქუთაისში. ამ დროს განახლებამ მოიცვა მთელი სასიმაგრო სისტემა. განახლება განხორციელდა დიდკვადროვანი წყობით ვარდისფერ დუღაბზე, ზოგან რეტიკულატით (Opus reticulatum), პირველ რიგში, ეს შეეხო ძველ შიდაციხეს, შეკეთდა მისი ჩამოშლილი კედლები და რაც მთავარია, მათ შიგნიდან ჩაუშენდათ პილონები ანუ გოდლედები (სურ. 163, 164). გოდლედების თავზე მოწყობილ იქნა საბრძოლო ბილიკები, რითაც ძველი სიმაგრის ბრძოლისუნარიანობა კიდევ უფრო განმტკიცდა, მთლიანად გადაკეთდა დიდი ციტადელი. აშენდა ახალი დედაბურჯები და კოშკები, მძლავრი გოდლედებიანი კედლები და კარიბჭეები. ქუთაისელი ქვითხუროები შესანიშნავად ფლობენ იმდროინდელი რომაულ – ბიზანტიური არქიტექტურის მიღწევებს და თავადაც ანვითარებენ მას. ეს კარგად ჩანს ქალაქის მთავარი ბასტიონის, ცენტრალური დედაბურჯის მაგალითზე (სურ. 165). იგი გარედან წრიული ფორმისაა, ხოლო შიგნიდან წარმოადგენს ასევე წრიულ ანტრესოლზე ამოყვანილ ექვსკუთხედს, რომელსაც მიდგმული აქვს სწორკუთხა მინაშენი. მინაშენი კიბის გასამართ „სადარბაზოს" წარმოადგენდა. მის ცენტრში ამოყვანილი იყო საყრდენი ბურჯი, რომელსაც ებჯინებოდა სამ სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა სიმაღლეზე დალაგებული მონოლითები და მოხვეულ კიბეს ქმნიდა, საიდანაც დედაბურჯის მეორე სართულზე შეიძლებოდა ასვლა. დედაბურჯის შემორჩენილი სიმაღლე დღეს 12 მეტრია, მისი ფუნდამენტი 7 მეტრს აღწევს და როგორც წესი, კლდექანზე ზის. ესაა V – VI საუკუნეების ციხე – ქალაქის მთავარი საყრდენი ბურჯი, თანაც ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე აღმართული. მასთან დაკავშირებული ზღუდე – გალავნის გოდლედებიანი კედელიც აქ 4 მ. სიღრმეზეა ჩაშვებული. ამით გათვალისწინებულია რელიეფის სირთულე და არამდგრადობა. ქუთაისის დედაბურჯი სრულიად უნიკალური ნაგებობაა თავის დახვეწილი და ძალზე რთული გეგმით[8]. მისი გეგმარების ზუსტი ანალოგია საქართველოში არსად გვეგულება, შედარებისათვის მხოლოდ ანაკოფიის ციხის მთავარი კოშკი თუ გამოდგება, თუმცა იგი მოგვიანო

პერიოდშია აგებული და, საბედნიეროდ, გაცილებით უკეთაა სადღეისოდ შემონახული[9]. ამიტომაც კარგად ჩანს გენეტიკური კავშირი ქუთაისის დედაბურჯთან.

ქართული საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლია ციხე-ქალაქის ჩრდილო – აღმოსავლეთ განაპირა კუთხეში, ადგილ „კონწოლზე" აგებული სწორკუთხა კოშკი, რომელიც დედაბურჯის თანადროულია და იგივე წესითაა ნაგები – დიდკვადროვანი წყობით ვარდისფერ დუღაბზე. კოშკის ზომებია: 10X8 მ. „კონწოლის"კოშკი ამოყვანილია ადრინდელი კოშკის ნანგრევებზე, თუმცა მათი გეგმები არ ემთხვევა ერთმანეთს. კოშკის გარე ფასადი სადა სწორხაზოვანია, ინტერიერში კი უფრო რთულ გეგმასთან გვაქვს საქმე. იგი ნიშებითა და პილონებითაა დამშვენებული. სამწუხაროდ, არც „კონწოლის" კოშკის მეორე სართულია გადარჩენილი. მისი გეგმა ალბათ იმეორებდა ქვედა ნაწილისას. საინტერესოა, რომ კოშკიდან გამომავალი გალავნის კედელი აქაც გოდლედებითაა გამაგრებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დიდკვადროვანი წყობა აქ IV საუკუნის კედლის ფუნდამენტზეა დაშენებული და არა საკუთარ საძირკველზე. საინტერესოა ისიც, რომ „კონწოლის" კოშკისა და მასთან დაკავშირებული ზღუდე – გალავნის მშენებლობის დროს (ე. ი. VI ს. დასაწყისი) „კონწოლზე" არსებული IV საუკუნის სასახლე უკვე აღარ არსებობს, აქ მხოლოდ მისი ნანგრევებია და მის ადგილზე სამშენებლო მოედანია გამართული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ დიდ განახლებას V – VI საუკუნეების მიჯნაზე წინ უსწრებდა დიდი ნგრევა V საუკუნის მეორე ნახევარში.

საფუძვლიანი განახლება და რეკონსტუქცია ძირითადად შეეხო სამ ადგილს: დედაბურჯს, კონწოლს, შიდაქალაქის სამხრეთის კედელს და მთავარ კარიბჭეს. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელთა გათხრა ჯერჯერობით არ მოხერხდა. იქ ოთხი კოშკი და ორი კარიბჭე თითქმის ხელუხლებელია არქეოლოგიურად. მხოლოდ ზედაპირული მიმოხილვით ჩანს, რომ სასიმაგრო სისტემაში ეს მხარე ძალზე მნიშვნელოვანი იყო თავისი კომუნიკაციებით. მასზე დღეს თანამედროვე სახლებია დაშენებული და კოშკებში სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანია გამართული.

ნაწილობრივ იკითხება მთავარი კარიბჭის გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის მიწასთან დაგვხვდა გასწორებული, თანამედროვე სახლების მშენებლობის გამო, საძირკველი მიანიშნებს, რომ კარიბჭეს კორიდორული შესასვლელი ჰქონდა და ორმაგი კარით იკეტებოდა. მისი ანალოგიური ძეგლი ცნობილია სირიაში სერგიპოლისის ციხესიმაგრეზე[10].

სამხრეთის კედელში დატანებული მეორე კარი თაღიანი ყოფილა. იგი შედარებით მცირე და მარტივი ნაგებობაა. თაღი ამჟამად აგურითაა ამოყვანილი, ვფიქრობთ, გვიანდელი გადაკეთების გამო. აღნიშნულ კარს იცავდა გვერდით აღმართული დიდკვადროვანი კოშკი, რომელზედაც დღეს კინოოპერატორ ვასილ ამაშუკელის სახლი დგას, კონწოლთან მესამე მცირე კარი ჰქონდა ციტადელს. ამჟამად იქ მხოლოდ საკარე ღიობია და კარის წირთხლის ქვები ყრია უწესროგოდ.

ამავე პერიოდში დიდკავადროვანი წყობითაა აგებული ჯაჭვის ხიდის წინამორბედი ხიდი რიონზე. დღეს მხოლოდ მისი ერთი ბურჯის ნაშთია შემორჩენილი მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ჯაჭვის ხიდის ოდნავ აღმოსავლეთით. ეს ხიდი იყო დამაკავშირებელი საშუალება ზედა ქალაქისა – ვაკე ქუთაისთან. ქალაქის წყალმომარაგება, როგორც ზემოთ აღინიშნა, „წყაროს უბნიდან" ხდებოდა, ერთკილომეტრიანი თიხის მილების მაგისტრალით.

ასე რომ, ზემოთ განხილული მასალებითაც კარგად ჩანს, რომ V საუკუნეში ქუთაისი არ არის რიგითი ციხესიმაგრე, პირიქით, დიდი ქალაქებისათვის (პოლიტიკური ცენტრები) დამახასიათებელი ყველა ნიუანსი ქუთაისის მაგალითზე თვალსაჩინოა.

მარტო გალავნის კედლებისათვის ასეთი საგანგებო ყურადღების დათმობა, რომ არაფერი ვთქვათ საერთოდ საფორტიფიკაციო მშენებლობის ფართო მასშტაბებზე, მისი საფასადე-საპირე ქვების გულმოდგინე დამუშავება, საერთოდ მშენებლობის მონუმენტური ხასიათი, რთული და დახვეწილი ხუროთმოძღვრული ფორმების შექმნა, მიუთითებს არა მხოლოდ მომხმარებელთა მაღალმხატვრულ გემოვნებას და მომთხოვნელობას, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს და საერთო ინტერესებიდან გამომდინარე გამორჩეულ მიდგომას ქალაქის აღზევებისათვის.

მშენებლობის ანალოგიური წესი არც თუ იშვიათია მაშინდელი ბიზანტიური სამყაროსათვის. დიდკვადროვანი კედლები გვხვდება ნოქალაქევ-არქეოპოლისში[11], წებელდაში[12], ნაწილობრივ გონიოში (აფსაროსი[13]), ყირიმში[14], ეგვიპტესა და სირიაში[15].

აშკარაა, რომ შავიზღვისპირეთში მშენებლობის მოდას ბიზანტიელები კარნახობენ.

რა თქმა უნდა, ისინი უშუალოდ თვითონ არ აშენებენ ყველა სიმაგრეს, მაგრამ მათი გავლენა მთელს ხმელთაშუაზღვის აუზში ძალიან დიდია. პირველ რიგში, ეს კარგად ჩანს ზემოთ განხილულ სასიმაგრო ხუროთმოძღვრებაში. აშკარაა, რომ საქართველოშიც ფართოდ იყენებდნენ ბიზანტიური არქიტექტურული სკოლის მიღწევებს. სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს ქუთაისში დაახლ. V – VI საუკუნეების მიჯნაზე ზღუდე – გალავნის რეკონსტრუქცია-განახლება დიდკვადროვანი წყობით. საერთოდ, კვადროვანი წყობით ციხესიმაგრეთა მშენებლობა ფართოდაა გავრცელებული VI საუკუნეში მცირე აზიაში (ქ. ედესა)[16], სამხრეთ იონიაში[17], ბალკანეთში[18] და ეთიოპიაშიც კი[19].

2. საკულტო ხუროთმოძღვრული ძეგლები

• შიდაციხის ბაზილიკა

ქალაქის კულტურული ცხოვრების მძლავრი მაჯისცემა კარგად ჩანს არა მხოლოდ საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების მაგალითზე, არამედ საკულტო არქიტექტურაშიც. ქალაქის შიდაციხის ტერიტორიაზე ნანგრევების სახით მოაღწია XIII საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის დარბაზულმა ეკლესიამ, (სურ. 166), რომელიც გაიწმინდა ჩვენს მიერ XX საუკუნის 80-იან წლებში. განთავისუფლდა ნაშალისაგან და მომზადდა არქეოლოგიური კვლევისათვის. თავდაპირველად რესტავრატორთა თხოვნით ექსპედიციის მიერ გაიხსნა შენობის იატაკი, რომლის ქვეშ აღმოჩნდა ძველი ეკლესიის ნაშთები (სურ. 167). სხვადასხვა სეზონზე ჩატარებულ იქნა, როგორც ინტერიერის ისე ექსტერი-



სურ. 166. წმ. გიორგის ეკლესია ციტადელში

სურ. 167. შიდაციხის ბაზილიკის ნაშთები

ერის არქეოლოგიური გათხრები. სურათი მთლიანობაში ერთობ შთამბეჭდავია: მაშასადამე, საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა დროის სხვადასხვა ტიპის ეკლესიასთან მრავალი სამშენებლო პერიოდებით (აღდგენა – განახლება, გადაკეთება).

ამჯერად ყურადღებას ძველ ეკლესიაზე შევაჩერებთ:

იგი დგას მყარ საძირკველზე, რომელიც ჩაშენებულია ყვითელი ფერის მერგელოვან ყამირში ან დაშენებულია ბუნებრივი კირქვის კლდექანზე (ჩრდ. აღმოსავლეთით).

ფუნდამენტის სიმაღლე 1 მ-მდეა, სიგანეც ამდენივე და შედგება რიყის ქვისა და დუღაბისაგან. ნაგებობის სიგრძეა – 12,5 მ., სიგანე – 8,10 მ. გეგმაში თითქმის კვადრატს უახლოვდება. კედლის სიგანე 86 სმ. აღწევს, შემორჩენილი სიმაღლე 60 სმ-მდეა, კედლის შემადგენელი თითოეული კვადრის სიმაღლე 20 სმ-ია, ნავების გამყოფი ბურჯის ბაზისები 85-დან 105 სმ-ს შორის მერყეობს. ეკლესიის კედლები, შედარებით კარგად შემორჩენილია სამხრეთით და ჩრდილოეთით (სურ. 168). დასავლეთის კედელი თავდაპირველი სახით არ არსებობს, აქ მხოლოდ ფუნდამენტია გადარჩენილი. სამხრეთ კედელთან გამოვლენილია ორსაფეხურიანი ცოკოლი, რელიეფის შესაბამისობის მიხედვით. ჩრდილოეთის კედელს ცოკოლი არ დასჭირდა, იგი უშუალოდ ფუნდამენტზე ან კლდექანზე დგას. ეკლესიის ცენტრალური და სამხრეთი აფსიდი (სურ. 169) ქვაფენილზეა ამოყვანილი, ხოლო ჩრდილოეთის აფსიდი კი კლდექანზე. ეკლესიის გეგმა სრულად გარკვეულია და ხუროთმოძღვრული ტიპის განსაზღვრაც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ეს არის სამნავიანი ბაზილიკა ნახევარწრიული შვერილი აფსიდებით. სამივე აფსიდი სრულად არის გადარჩენილი. მათზე დაშენებულია გვიანდელი ეკლესიის აფსიდი. როგორც ცნობილია, ბაზილიკური არქიტექტურული სტილი დამახასიათებელია ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ადრეული ეტაპისათვის, თუმცა სხვადასხვა მხარეებში განსხვავებული ვარიანტებითაა წარმოდგენილი. პირველ ყოვლისა, აღმოსავლური სამყაროსათვის ნიშანდობლივია ნაგებობათა შემცირებული (ანუ დამოკლებული) ფორმები, რაც გამოწვეული იყო ამბიონის და საკულტო ცენტრის ცენტრალური ნავის შუაგულში გადმოტანით, სადაც ტარდებოდა კულტმსახურთა სხდომები[20].

ბაზილიკას არ გააჩნდა ცალკე სათავსები სამკვეთლოსა და სადიაკვნესათვის, როგორც ჩანს ისინი განახლება-აღდგენის შემდეგ მიუმატეს. კიდურა აფსიდები მთლიანად იხსნება ეკლესიის ნავში. დასავლეთის კედლის შემორჩენილი წყობა მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი კედლების წყობისაგან. სავარაუდოდ იგი განახლების დროინდელია და მეორადი გამოყენების კვადრებითაა ნაგები.

ფუნდამენტი აქ თავდაპირველია და წესისამებრ ებმის დანარჩენი კედლების ფუნდამენტს. ეკლესიის შესავლელი კარიც აქ ივარაუდება, თუმცა იგი გადარჩენილი არ არის. განსაკუთრებით შთამბეჭდავია კედლების წყობა. სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლების შემორჩენილი ფრაგმენტები მეტყველებს, რომ ეკლესია ნაგები იყო ოთხივე მხრიდან კარგად დამუშავებული, ერთმანეთზე მჭიდროდ მორგებული ბრტყელი ოდნავ (დაბალი) კვადრებით. მკაცრადაა დაცული რიგების ჰორიზონტალობა. წყობა ერთიანია, შევსება შიგა და გარე პირს შორის თითქმის არ არის. დუღაბი მომჭირნედაა ნახმარი, თუმცა აფსიდებში დუღაბის შრე უფრო განიერია. ყოველივე ეს მის ადრეულობაზე მეტყველებს, ამასვე მიუთითებს ის, რომ სამკვეთლო და სადიაკვნე არ არის ცალკე სათავსებად გამოყოფილი, რაც საქართველოში VI საუკუნის მეორე ნახევრიდან ხდება სავალდებულო კულტმსახურებისათვის.

ნავთა გამყოფი ბურჯების საძირკვლების ორი წყვილია აქ წარმოდგენილი (ე. ი. სულ ოთხი ძირითადი ბურჯია), თუმცა აფსიდების შეერთების ადგილას დამატებით ორი შედარებით მცირე ზომის ბურჯის ნაშთიც აღმოჩნდა. ალბათ აფრების გადასაყვანად. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, რომელიც გაზიარებულია არქიტექტორ – ხელოვნებათმცოდნეთა მიერ, ბაზილიკა V – VI სს. მიჯნით განისაზღვრება[21]. მართალია, შიდაციხის სამნავიანი ბაზილიკა ფრაგმენტულად თითქმის საძირკვლის დონეზეა შენარჩუნებული, მაგრამ შემორჩენილი ნაწილი ნათლად მიუთითებს მშენებლის უზადო გემოვნებაზე და ხუროთმოძღვრული ხელოვნების მაღალ დონეზე, ამდენად იგი ქართული ქრისტიანული არქიტექტურის მნიშვნელოვანი შენაძენია და კიდევ ერთი თვალსაჩინო დასტურია იმისა, რომ V – VI საუკუნეებშიც ქუთაისი არა რიგითი ციხე – სიმაგრეა, არამედ ეგრისის სამეფოს უმთავრესი რელიგიური და პოლიტიკურ – ადმინისტრაციული ცენტრია[22].

სავარაუდოდ, აღნიშნული ეკლესიის პირველი ნგრევა უნდა მომხდარიყო VI საუკუნეში დიდი ბაზილიკის თანადროულად, როცა ბიზანტიელთაგან დამარცხებული ირანელები ტოვებენ ეგრისს. მისი აღდგენა, როგორც ჩანს VIII საუკუნის შუა ხანებში განხორციელებულიყო, არაბთა შემოსევის შემდეგ, როცა აღმშენებლობით საქმიანობას ქუთაისში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამავე პერიოდში აიგო ციტადელში ახალი აგურის სასახლე და ეს ეკლესია სავარაუ-

სურ. 168. წყობის ხასიათი (V-VI სს)

სურ. 169. აფსიდის ნაშთები

დოდ მაშინ აღადგინეს, როგორც სამეფო კარის ეკლესია, ჩრდილოეთიდან მას ახალი სათავსი მიუმატეს სანათლავისათვის, ხოლო სამხრეთიდანაც, შესანიშნავი წყობით მცირე ზომის სათავსი მიაშენეს. ცენტრალური აფსიდი ნახევარწრიულის ნაცვლად სწორი ხაზით შეცვალეს. არავინ იცის, როდის შეწყდა აღნიშნული ეკლესიის ფუნქციონირება, შესაძლოა იმავე დროს, როცა აგურის სამეფო სასახლეს ანგრევენ ან ინგრევა. (X საუკუნე). ფაქტია, რომ XIII საუკუნეში მას საძირკვლამდე ასწორებენ და მის ადგილზე ახალ დარბაზულ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას აგებენ, რომლის ნანგრევებმა ჩვენ დრომდე მოაღწია (ასევე, რამოდენიმე ნგრევა – გადაკეთება აღდგენის შემდეგ. (ასეთია მოკლედ ამ ძეგლის შთამბეჭდავი ისტორია...)[23].

3. „დიდი ომიანობა" და ქუთაისი

VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ძალზე გამწვავებული პოლიტიკური სიტუაციაა. მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე ერთმანეთის პირისპირ მდგარი ორი დიდი სახელმწიფოს – ბიზანტიისა და ირანის ინტერესები მჭიდროდ დაუკავშირდა ეგრისის სამეფოს.

ამ საუკუნის დასაწყისში ბიზანტიელები ახერხებენ ეგრისში გაბატონებას[24]. 523 წლიდან სპარსელებიც დაეუფლებიან ქართლს და ეგრისის დაპყრობას განიზრახავენ. ბიზანტიელთა მფლობელობას ეგრისში საფრთხე დაემუქრა. 520 წელს სპარსელები ეგრისში შეიჭრებიან, მაგრამ ბიზანტია – ეგრისის გაერთიანებული ძალები მათ უკუაქცევენ.

532 წელს იუსტინიანეს და ხოსრო I შორის დაიდო „უვადო ზავი". ამით მეომარმა მხარეებმა ერთმანეთს დაპყრობილი ადგილები დაუბრუნეს. იუსტინიანე I-მა ეგრისში ციხესიმაგრეების განმტკიცებას მიჰყო ხელი (არქეოპოლისი, პეტრა...)[25]. 542 წელს ირანელთა ჯარი კვლავ შემოიჭრება ეგრისში. ბიზანტიელებს განდგომილი გუბაზ მეფე სპარსელების მხარეზე გადადის. ეგრისის მდგომარეობა უკიდურესად გართულდა. ბიზანტია – ირანის დაპირისპირება ლაზეთში გამწვავდა. ციხესიმაგრეები ხელიდან ხელში გადადიოდა. 550 წლისათვის ლაზები და რომაელები გარკვეულ წარმატებას მოიპოვებენ მტერზე, მაგრამ სპარსელები მაინც აღწევენ ლაზეთის აღმოსავლეთი მხარის შენარჩუნებას და მუხურისის ოლქში გამაგრდებიან. პროკოპი კესარიელის დახასიათებით, „მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწა – წყალზეც ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ"[26]. როგორც ცნობილია, ამ მხარის ბუნებრივი ცენტრი ქალაქი ქუთაისი იყო, მან წინა საუკუნეებში მოთავე ქალაქის მოწინავე როლი შეასრულა ეგრისის სამეფოს აღმავალი გზით განვითარებაში, მაგრამ ქვეყნის თავზე დატეხილმა მეტად რთულმა საგარეო – პოლიტიკურმა ვითარებამ ქუთაისსაც თავისი უარყოფითი კვალი დააჩინა. აქ საქალაქო ცხოვრება მნიშვნელოვნად დაეცა და დაქვეითდა. მისი სასიმაგრო სისტემაც თითქოს დაზიანებულია და საჭიროების შემთხვევაში მას სახელდახელოდ ხის კედლებით ამაგრებენ[27]. ალბათ იმიტომ,

რომ ძალზე დიდია ქუთაისის სამხედრო სტრატეგიული დანიშნულება. ის, ვინც ფლობს ქუთაისს და მის „მახლობლად მდებარე მეტად მაგარ" უქიმერიონის[28] ციხეს, ფაქტობრივად ბატონობს მთელს აღმოსავლეთ ლაზეთზე და საიმედოდ კეტავს სვანეთისა და რაჭა – ლეჩხუმისაკენ მიმავალ გზას. ასე მოხდა 552 წელს, როცა სპარსელებმა დაიკავეს ქუთაის-უქიმერიონის ციხეები, მაგრამ მალე (555 წელს) მათ ეგრისში მარცხი იწვნიეს და იძულებულნი გახდნენ 50-წლიანი ზავი დაედოთ ბიზანტიელებთან (562 წ.) მოვლენები შემდგომში ისე განვითარდა, რომ ეგრისი მთლიანად ბიზანტიელთა ხელში გადადის[29]. სავარაუდოა, რომ ქუთაისშიც ბიზანტიელთა გარნიზონი დგას, თანაც VII საუკუნის დასაწყისამდე მაინც. უნდა ვიფიქროთ, რომ გაუთავებელი საომარი ოპერაციების შეწყვეტა ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა. ეს კარგად შეინიშნება საქალაქო მეურნეობის გამოცოცხლების მაგალითზე. არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღორძინებას და მჭიდრო კავშირებს ბიზანტიურ სამყაროსთან (კერამიკა, მინა, ფულადი მიმოქცევა). VI საუკუნის მეორე ნახევარში თუ რამე კეთდება ქუთაისის მიწა-წყალზე, იგი ძირითადად დამპყრობთა ინტერესებს შეესაბამება. როგორც ჩანს, ბიზანტიელთა ინტერესების გათვალისწინებით აიგო აბანოს უბანთან, შიდა ქალაქის ტერიტორიაზე დარბაზული ტიპის შვერილაფსიდიანი ეკლესია, რომელიც შემდეგ ორნავიან ეკლესიად გადაუკეთებიათ. ამასთანავე, არაერთგზის ჩანს განახლებული აბანოს კომპლექსიც, ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური მეურნეობის ამსახველი მთავარი ატრიბუტი.

4. ახალი საკულტო ნაგებობანი

ადრექრისტიანული ხანის საკულტო ნაგებობათა შორის ყურადღებას იქცევს აბანოს უბანთან აგებული შვერილაბსიდიანი ორნავიანი დარბაზული[30], ტიპის ეკლესია, რომელმაც ჩვენამდე ძალზე დაზიანებული სახით მოაღწია, მაგრამ მისი გეგმა და განახლება – გადაკეთების კვალი მაინც კარგად იკითხება (სურ. 170).

ეკლესია დამხრობილია W-O ღერძზე. თავდაპირველად იგი ერთნავიანი, მცირე ზომის დარბაზული ტიპის ნაგებობა ყოფილა. შემდეგ მისთვის მიუშენე-



სურ. 170. ორაფსიდიანი ეკლესია (VI ს.)

სურ. 171. ორაფსიდიანი ეკლესიის გეგმა

ბიათ მეორე ნავი, ასევე შვერილი აბსიდით. ეკლესიის იატაკი განადგურებული და-გვხვდა. იატაკის (ცოკოლის) დონეზე მრავლად დაფიქსირდა რიყის მცირე ქვები, შესაძლოა იგი თავის დროზე იატაკის მომზადებას წარმოადგენდა.

მთავარი ნავი გეგმაში კვადრატული ფორმისაა (სურ. 171). მისგან მხრებით გამოყოფილია ნალისებური აფსიდი. ეკლესიის სიგრძე აფსიდამდე 4,5 მეტრია, აფსიდიანად – 7,20 მ. დასავლეთის მხრიდან აქვს შემოსავლელი. კარის სიგანე 1,70 მ-ია, მეორე ნავთან დამაკავშირებელი კარის სიგანე 1,74 მ-ია. მეორე ნავი, რომელიც სამკვეთლოს უნდა წარმოადგენდეს შედარებით კარგად დაცული დაგვხვდა. აქ კედლის სიმაღლე 1,50 მ. აღწევს. კედლები ამოყვანილია დაბალ საძირკველზე (სიგანე 65 სმ.), რომელიც კირქვისა და რიყის მონაცვლეობითაა შექმნილი ჭარბხრეშიან დუღაბზე. მშენებლობაში გამოყენებული ქვები სხვა-დასხვა ჯიშის და ზომისაა. მშენებლობის ტექნიკა არაერთგვაროვანია: ზოგან „იზოდომური" წყობაა, ზოგან „თევზიფხური" (opus spicatum). დუღაბში შერეულია მცირე რაოდენობის კერამიკის ფხვნილიც. ზოგან მშენებლობაში ფრაგმენტულად აგურიცაა გამოყენებული (ზომები: 31X15X5). ასე რომ, მშენებელი საგულდაგულოდ არ ირჩევს სამშენებლო მასალას და აქ არსებული ძველი კედლების ნაშალს იყენებს. სამკვეთლო რომ შემდეგაა მიშენებული ძირითად ნაგებობაზე, ეს კარგად ჩანს კედლებისა და ფუნდამენტების შეერთების ადგილზე და დუღაბის ფაქტურით. ამასთანავე, მინაშენის კედლის სიგანე ნაკლებია ძირითადზე. იგი 50 სმ-ია. ეკლესია გადახურული ყოფილა სოლენისა და კალიპტერის ტიპის კრამიტით. ისინი მრავლად აღმოჩნდა ნგრევის ფენაში. აქ ერთი საინტერესო დეტალია აღსანიშნავი: ეკლესიის მინაშენს დასავლეთიდან აქვს მცირე ზომის განყოფილება (ზომები: 1,84X0,60 მ). მისი იატაკი დუღაბითაა მოლესილი და იატაკის საერთო დონიდან 0,6 მეტრითაა აწეული. მისი დანიშნულების გარკვევა ვერ მოხერხდა.

ეკლესია მიეკუთვნება მცირე ეკლესიათა რიგს, რომელიც განკუთვნილი იყო მცირერიცხოვანი მრევლისათვის. საერთო მონაცემებით იგი ფუნქციონირებდა VI – VII საუკუნეებში, ამ უბანზე განლაგებული აბანოს კომპლექსის თანადროულად. ამის დასტურია იქ აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტა (VI ს.) და საკმაოდ მეტყველი კერამიკული მასალა, რომელიც ეკლესიის ინტერიერში იქნა გამოვლენილი. ორნავიანი და ორაფსიდიანი ეკლესია აღმოჩენილია ბიჭვინტაში, რომელიც იქ V – VI საუკუნეებით არის დათარიღებული[31].

5. აბანოს კომპლექსი

აღნიშნული ეკლესიის გვერდით ძალზე მნიშვნელოვანია შიდაქალაქის სამხრეთ ნაწილში აბანოს კომპლექსის გამოვლინება, რომელშიც შედის: 1. საკუთრივ აბანო. 2. წყლის აუზი – რეზერვუარი. 3. შეშის საწყობი და 4. გართობა – დასვენებისათვის განკუთვნილი სასტუმრო.

აბანო თავდაპირველად ანფილადური ტიპის ჯვრის ფორმის ნაგებობა ყოფილა. შემდგომში (VI ს.) იგი სამჯერაა გადაკეთებული და განახლებული, შესაბამისად, თავდაპირველმა გეგმამ ცვლილებები განიცადა. აბანო დამხრო-

ბილია ეკვადორულ ღერძზე W-O მიმართულებით. მისი თავდაპირველი სიგრძეა 12,40 მ., სიგანე 6,70 მ. განახლების შემდეგ ფართობი 145 კვ. მეტრია, ხოლო მთლიანად კომლექსისა – 1000 კვ. მ.

აბანო ქვითკირის ნაგებობაა. პერანგი საშუალო ზომის კირქვის კვადრებითაა ამოყვანილი. კედლის შუაგულში გამოყენებულია ჭყორდუღაბი. კედლების სიგანე 0,51 – 0,65 მ-ია, სიმაღლე 1,30 მ-მდეა შემორჩენილი (სურ. 172).

ნაგებობა თავდაპირველად შედგებოდა შვიდი განყოფილებისაგან, ხოლო განახლების შემდეგ ათი ნაწილისაგან:

1. გასათბობი განყოფილება.
2. სამხრეთ მკლავში გამართული აბაზანა.
3. ჩრდილოეთის მკლავში გამართული აბაზანა.
4. საქვაბე განყოფილება.
5. ცხელი აბანო (კალდარიუმი).
6. თბილი აბანო (ტეპიდარიუმი).
7. ცივი აუზი

განახლების შემდეგ დაემატა:

8. ცივი აუზი (ლავაკრა).
9. გასახდელი (აპოდიტერიუმი).
10. ნახევარწრიული აბაზანა.

1. საცეცხლე განყოფილება აღმოსავლეთის მხარესაა აგებული. მისი შიდა ფართობია 3,45X1,80=6,21 კვ. მ. შემორჩენილი კედლის სიმაღლე 1 მ., სიგანე 1,10 მ. აღმოსავლეთიდან აქვს თაღიანი ღიობი კარისათვის, საიდანაც ცეცხლფარეშს შეშა შეჰქონდა. ღიობის ორთავე მხარეს პილონებია ამოყვანილი, რომელიც თაღით მთავრდებოდა. სავარაუდოა, რომ განყოფილება მთლიანად თაღიანი იყო. საცეცხლურის წინ დევს ქვიშაქვის ლოდი, რომელიც შეშის მორების თავის ჩამოსადებად იყო განკუთვნილი (წვის გასაძლიერებლად).
2. სამხრეთის მკლავში გამართული აბაზანა თავდაპირველად სწორკუთხა იყო (1,40X1,15 მ). განახლების შემდეგ მისთვის ელიფსური ფორმა მიუციათ და ორთავე შემთხვევაში ჰიდრავლიკური ხსნარით – სიგნინით შეულესიათ. აბა-



სურ. 172. აბანო (V-VI სს)

ზანას ქვემოდან აქვს ორი ხვრელ – ღიობი ცხელი ჰაერის სამოძრაოდ.

3. ჩრდილოეთის მკლავში გამართული აბაზანაც ზუსტად იმეორებს სამხრეთისას, მხოლოდ ერთი განსხვავებით – აქ ცხელი ჰაერის ღიობი აღარ ჩანს. შესაძლოა იგი გადაკეთების დროს გააუქმეს. საერთოდ, გაუქმებულია ეს აბაზანა განახლების III ეტაპზე. სამაგიეროდ, საპირისპირო მხარეს მიაშენეს ახალი ნახევარწრიული ფორმის აბაზანა.
4. საქვაბე უშუალოდ ებმის გასათბობს. მის ქვეშ გადის სწორკუთხა ხვრელი ცხელი ჰაერისათვის და უერთდება ცხელი აბანოს გასათბობ სისტემას – ჰიპოკაუსტს (საქვაბის ზომებია: 2,62X1,35). საქვაბის შუაში იატაკზე დატანებულია ლითონის ქვაბის ჩასადგმელი ღიობი. ისიც შელესილია სიგნინით. იატაკზე და კედლებზე კარგად ჩანს ორჯერ შელესვის კვალი. აშკარაა, რომ აქ ცხელი წყლის დიდი მარაგი (3,5 ტონა) იყრიდა თავს და შემდეგ ნაწილდებოდა აბაზანებში. მაგ., საქვაბისა და კალდარიუმის გამყოფ კედელში დატანებულია თიხის მილი, რომელიც უერთდება №9 განყოფილებას.
5. ცხელი აბანოს მხოლოდ ქვედა სართულია ძირითადად გადარჩენილი. იგი ტიპიური ჰიპოკაუსტია (სურ. 173). იატაკი დაფუძნებული იყო როგორც ქვიშაქვისაგან გათლილ სწორკუთხა სვეტებზე, აგრეთვე ცილინდრული ფორმის თიხის მილებზე. სიახლე აქ ისაა, რომ ზოგიერთი საყრდენი თიხის სვეტი წელშეზნექილია და ორმუცლიანი. როგორც წესი, თიხის საყრდენები ამოვსებულია კირხსნარით და კედლებზე დატანებული აქვს მცირე ზომის ხვრელები. ცხელი და თბილი აბანოს კალორიფერები კედლითაა გაყოფილი, მაგრამ ისინი ერთმანეთს სავენტილაციო არხით უკავშირდებიან. თუ ცხელი აბანოს კალორიფერები შერეული ფორმის სვეტებით იყო გამართული, თბილი აბანოს კალორიფერებში მხოლოდ აგურისაგან ამოყვანილი სწორკუთხა სვეტებია იატაკის საყრდენად და თანაც ისინი კედლის გასწვრივაა მხოლოდ შემორჩენილი. ყოველ ოთხ სვეტზე დიდი ზომის კერამიკული ფილაა დაყრდნობილი. თითოეული სვეტი ოთხ ასეთ ფილას იმაგრებდა. ცხელ აბანოში სვეტების ასეთი წესით გამართვა, როგორც ცნობილია, განპირობებული იყო ცეცხლგამძლეობისა და გარსშემოდენილობის დიდი უნარით, ხოლო თბილ აბანოში ცხელი გაზების სწრაფ მოძრაობას აღარ ექცევა ისეთი დიდი ყურადღება და სვეტებიც ამიტომ ოთხკუთხაა. კალდარიუმის იატაკი, ისევე

სურ. 173. ჰიპოკაუსტის ნაშთები

როგორც ტეპიდარიუმისა, სიგნინით იყო მოპირკეთებული და დაქანებული იყო ტეპიდარიუმისაკენ ნაბანი წყლის მოშორებისათვის. კალდარიუმს ჩრდილო – დასავლეთ კუთხეში დატანებული აქვს გამწოვი სავენტილაციო არხი, რომ სიმხურვალე და ცხელი ჰაერი დიდი რაოდენობით მისწვდომოდა ცხელი აბანოს იმ ნაწილს, რომელსაც საოფლე-სუდატორიუმი ეწოდება.

6. თბილი აბანო გასასვლელით უკავშირდება კალდარიუმს. მთლიანად მისი ზომებია 3,00X1,65 მ. საინტერესო აქ ისაა, რომ თბილი განყოფილების სამხრეთ ნაწილში მოთავსებული ყოფილა მცირე ზომის ცივი წყლის აუზი – სწორკუთხა ფორმის. იგი მალე გაუუქმებიათ და დასავლეთის მხრიდან აბანოს მიაშენეს დიდი ზომის ცივი აბაზანა (ლავაკრა). ამავე დროს მიამატეს ჩრდილოეთის მხრიდან გასახდელი განყოფილებაც. სავარაუდოა, რომ აბანოს თავდაპირველად გასახდელი ჰქონდა დასავლეთიდან და იგი პირდაპირ უკავშირდებოდა ტეპიდარიუმს. ასეთი ვარაუდის საშუალებას იძლევა ტეპიდარიუმის დასავლეთ კედელში დატანებული გასავლელის ნაშთის არსებობა, რომელიც ლავაკრას მოშენების დროს გაუქმებულა.
7. ცივი წყლის აუზი, როგორც ითქვა, ტეპიდარიუმის სამხრეთ ნაწილში იყო გამართული (1,60X0,90 მ). იგი განახლების მეორე ეტაპზე გაუქმებულია, ალბათ მისი მცირე მოცულობის გამო, თანაც ტეპიდარიუმს ავიწროებდა.
8. ცივი წყლის აუზი (ლავაკრა), როგორც ვთქვით, განახლების დროინდელია. მას გარედან სწორკუთხა ფორმა აქვს. შიგნიდან თავდაპირველად ელიფსური ფორმისა იყო (ზომები: 2,50X1, 70X90), მაგრამ განახლების III ეტაპზე იგი სწორკუთხა გაუხდიათ. IV ეტაპზე კი, კვლავ ელიფსური ფორმა მიუციათ. შესაბამისად, მისი მოცულობა საგრძნობლად შემცირდა.
9. ნახევარწრიული ფორმის აბაზანა აბანოსათვის სამხრეთიდან მიუშენებიათ განახლების III ეტაპზე. ამ დროს გააუქმეს №3 განყოფილება. მასში ჩაშენებულია საცეცხლესა და საქვაბეს შორის მეორედ ამოყვანილი განახლებული კედელი. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქვაბედან ეს განყოფილება პირდაპირ იღებდა წყალს, კედელში დატანებული მილის საშუალებით.
10. გასახდელი განყოფილება ასევე განახლების III ეტაპზეა შექმნილი აბანოს ჩრდილო – დასავლეთ ნაწილში ჩრდილოეთის მხრიდან (ზომები: 5,50X3,90 მ). მისი აიატაკი აგურის ფილებითაა მოკირწყლული. იატაკის დონეზე აღმოჩნდა 10 ცალი ბიზანტიური მონეტა, აქედან ზოგიერთი აგურებს შორის იყო ჩავარდნილი. მონეტები მოჭრილია ანასტასი I, იუსტინე I, იუსტინიანე დიდის, მავრიკიუსის და ფოკას სახელზე.

გასათბობი განყოფილების წინ აბანოს ნგრევის ფენაში ერთი სპარსული მონეტაც იქნა ნაპოვნი. ყოველივე ეს შესანიშნავად ათარიღებს აბანოს ფუნქციონირების ვადებს V საუკუნის ბოლოდან VII საუკუნის დასაწყისამდე, ე. ი. მთელი VI საუკუნის მანძილზე.

შესანიშნავად იყო მოგვარებული აბანოდან ნახმარი წყლის გაშვება-გატარების საკითხი საკანალიზაციო ღვარსადენი არხებით. არხების იატაკად გამოყენებულია აგური და კედლებისათვის ცერზე დაყენებული შუბლგამოყვანილი ქვები, ხოლო სახურავად ბრტყელი ქვები, რომელთა გადაბმის ადგილი მოლესილია დუღაბით.

აღსანიშნავია, რომ პირველ ეტაპზე №3 აბაზანიდან გამომდინარე ნახმარი წყლის არხი ჩრდილოეთიდან უვლიდა აბანოს და გარშემოვლით მიემართებოდა

სამხრეთისაკენ, ხოლო №2 აბაზანის და ტეპიდარიუმის წყალი ერთად იკრიბებოდა და გარეთ გადიოდა. განახლების II ეტაპზე ჩრდ. მკლავის ძირში ნაგებობის გარეთ კედელთან ტრაპია მოთავსებული. აქედან არხი მიედინება სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ.

III ეტაპზე ტეპიდარიუმისა და ნახევარწრიული აბაზანის ნახმარი წყალი ღვარსადენი არხით ამ უკანასკნელის გარშემოვლით სამხრეთ – აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული. თავისთავად ცხადია, რომ სანიტარულ – ჰიგიენური მეურნეობა ქუთაისში მაღალ დონეზე იყო მოგვარებული.

ყურადღების ღირსია აბანოს გადახურვის საკითხი. სავარაუდოა რომ, გადახურვა გრძივ ღერძზე გამართულ ქვითკირის კამარას წარმოადგენდა, მკლავებისათვის განივი კამარებით. თავდაპირველად იგი ჯვრის ფორმის იყო, ხოლო ძნელი წარმოსადგენია გადახურვის სტრუქტურა განახლების შემდეგ. საერთოდ, აბანოს მიდამოებში მრავლადაა ნაპოვნი სარკმლის მინის ფრაგმენტები მომრგვალებული და შესქელებული ნაპირებით, რაც წარმოდგენას გვიქმნის სარკმლების შესახებ.

2. ბანაობის შემდგომი რიტუალის (გართობა – დასვენების) სასტუმრო განყოფილება აბანოს ჩრდილოეთით გასახდელთან დაკავშირებული ნაგებობაა, კვადრატული ფორმისაა. მისი სიგრძე 10 მეტრია, სიგანე 10,5 მეტრი. თავის დროზე ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. პირველ სართულზე ივარაუდება სასადილო განყოფილება, ხოლო მეორე სართულზე სასტუმრო – საძინებელი.
3. წყლის აუზი – რეზერვუარი აბანოს კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. იგი აგებულია აბანოს ჩრდილო-დასავლეთით 20 – ოდე მეტრის დაშორებით, შედარებით უფრო მაღალ ადგილზე. აუზის სიგრძე 6 მ-ია, სიგანე 4 მ., სიმაღლე 2 მ – მდე. რეზერვუარი სავარაუდოდ 50 ტონა წყალტევადობისა იქნებოდა. აუზის კედლები და იატაკი სიგნინითაა მოლესილი, ხოლო სამხრეთის კედელს, რელიეფის თავისებურებების გათვალისწინებით, მიშენებული აქვს გარე პილონები. აუზი ქმნიდა მუდმივი წყლის მარაგს და იშვიათ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენდა. სადღეისოდ დადგენილია, წყალსადენის რომელი მაგისტრალი კვებავდა მას ნაქალაქარზე აღმოჩენილი 7 მაგისტრალიდან.

სურ. 173.ა აბანოს კომპლექსი

4. შეშის საწყობი მოთავსებული იყო გასათბობი განყოფილების წინ კომპლექსის აღმოსავლეთ მხარეს, ძველი გალავნის კედელთან. იგი მართკუთხა ფორმის იყო (სიგრძე 7 მ., სიგანე 3,50 მ.) 24,5 კვ. მ. ფართობით. ამ განყოფილებაში რამდენიმე კუბური მეტრი შეშის შენახვა შეიძლებოდა. დასავლეთ საქართველოში V – VI საუკუნეების არაერთი აბანოა აღმოჩენილი[32], მაგრამ იშვიათია ისე სრულყოფილად შემონახული კომპლექსი, როგორიც ეს ქუთაისშია. (სურ.173[ა]). ამ ბედნიერმა შემთხვევამ ძველი ქალაქების სანიტარულ – ჰიგიენური მეურნეობის მრავალ ატრიბუტს მოჰფინა ნათელი. მითუმეტეს იმ ოთხი აბანოს ნაშთებიდან, რომელიც ქუთაისშია აღმოჩენილი ეს ყველაზე ადრინდელია.

როგორც აბანოს კომპლექსისათვის, ისე მთელი ქალაქისათვის საჭირო იყო წყლის დიდი მარაგი. ეს საკითხი აქ სათანადოდ იყო გადაწყვეტილი.

6. არქეოლოგიური მასალა: კერამიკა, ნუმიზმატიკური მონაცემები

V – VI საუკუნის ნაგებობისა და კულტურული ფენების გათხრებისას მოპოვებული საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალა, სრულიად ახალი და უძვირფასესი წყაროა V – VI საუკუნეების ქუთაისის ისტორიისათვის.

V – VII საუკუნეების კერამიკული მასალა არსებითად იმეორებს იგივე ფორმებს, რაც წინა საუკუნეში გვქონდა. თუმცა განსხვავება მაინც საგრძნობია ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიაში, ნედლეულის ხარისხში, ნაწარმის გაფორმებაში და სხვ., რაც თავისთავად სტრატიგრაფიასთან ერთად იძლევა ქრონოლოგიური დიფერენციაციის საშუალებას. სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი კვლავ ქვევრებით, დერგებითა და ამფორებითაა წარმოდგენილი.

ქვევრები აგებულების მიხედვით უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ადრინდელი ცალებისაგან. მათი მოყვანილობა ასევე ნაწილობრივ იცვლება. ზოგ შემთხვევაში პირის გვირგვინი ხდება ოთხკუთხაგანივკვეთიანი, თორემ ძირითადად გვხვდება სამკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინიანი ქვევრები. როგორც წესი, ქვევრების ძირი ბრტყელია და ფართო, ადრინდელთან შედარებით ოდნავ დავიწროებულია და გამოყვანილი. მუცლის უდიდესი დიამეტრი მხრების არეში მოდის, წელს ზემოთ. ყელი დაბალი აქვთ და შეზნექილი. კედლის სისქე მერყეობს 1-3 სმ. შორის. თიხა უხეშია, კვარცისა და ქარსის მინარევებით. გამომწვარია არათანაბრად. ზედაპირზე ეტყობათ ვარდისფერი ან ჩალისფერი ანგობის კვალი.

ამ პერიოდის ქვევრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია V საუკუნის კოშკში აღმოჩენილი (in Situ მდგომარეობაში) სამი ცალი სხვადასხვა ზომის ქვევრი (სურ. 174), რომელთაც აქვთ კვერცხისებური ფორმის ტანი, მხრებისაკენ შედარებით ფართო, სამკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინი, დაბალი ყელი და დავიწროებული ძირი[33].

ქვევრებს ზედაპირზე წნეხვით გამოყვანილი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები ამშვენებს. გამომწვარია ღია ჩალისფრად. ზომები: სიმაღლე 1 – 1,5 მ., პირის დმ – 25-27 სმ., ძირის დმ – 9,5 – 13 სმ., მუცლის დმ – 45 – 70 სმ.



სურ. 174. ქვევრები (V-VI სს)

ამ პერიოდის ბევრი ქვევრი წარმოდგენილია მხოლოდ პირ – ყელისა და ძირის ფრაგმენტების სახით[34]. აქვე უნდა აღინიშნოს მცირე ზომის ქვევრების ანუ **ქოცოების** შესახებაც. მათი პირ – ყელის ფრაგმენტები მრავლადაა აღმოჩენილი. ისინი თითქმის იმეორებენ აღწერილი ქვევრების ფორმებს, თუმცა მათი თიხის ფაქტურა და დამზადების ტექნოლოგია თითქოს ზოგჯერ უმჯობესია ქვევრებთან შედარებით, მაგრამ მაინც იდენტურია.

ანალოგიური ვითარებაა **დერგების** მიმართ. ადრე საშუალო საუკუნეების (IV – VIII საუკუნეები) დერგები იმდენად ერთგვაროვანია და უმნიშვნელო მახასიათებელით გამოირჩევა ერთმანეთისაგან, რომ მათი დიფერენცირებული წარმოდგენა აქ საჭიროდ აღარ მივიჩნიეთ. ერთი მომენტი კი მაინც გასათვალისწინებელია: კეცის ხარისხით და გამოწვის ტექნოლოგიით ადრინდელი (IV – V სს.) დერგები განსხვავდებიან მოგვიანო პერიოდისაგან.

საერთოდ, ქვევრებიცა და დერგებიც დიდი რაოდენობით გვხვდება ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ნამოსახლარზე, როგორც ზღვისპირეთში, ისე კოლხეთის შიდა რაიონებში (ვარდციხე, შორაპანი, მთისძირი, ნამაშევი, ნოქალაქევი). მასალის ასეთი სიუხვე, პირველ ყოვლისა, მიუთითებს ეგრისის სამეურნეო ცხოვრებაში ასეთი ჭურჭლების ფართოდ გამოყენებას, საკუთრივ კერამიკული ხელოსნობის მრავალდარგობრიობას, ამასთანავე, მრავალი და სხვადასხვა საწარმოო ცენტრების არსებობას.

სწორედ ერთ – ერთ საწარმოო ცენტრად უნდა იქნეს მიჩნეული ქუთაისი, სადაც გაბაშვილის გორაზე ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიაკვლია გ. წერეთელმა კერამიკული სახელოსნოს ნაშთებს.

ამფორები წინა საუკუნეში მხოლოდ სამიოდე ტიპით იყო წარმოდგენილი. აქედან **ერთი ტიპი – II** (ცილინდრული ფორმის სფერულძირიანი, სარტყლისებურად ტანდაღარული ამფორა) V – VI საუკუნეებშიც განაგრძობს არსებობას. ამდენად, შესაძლოა იგი უფრო ამ საუკუნეებით დათარიღდეს, ვიდრე IV საუკუნით[35] (სურ. 143). აღნიშნული ამფორა დასავლეთ შავიზღვისპირეთიდან შემოტანილად მიაჩნიათ[36]. ისინი აღმოჩენილია ჩრდ. შავიზღვისპირეთში (ფანაგორია, მირმეკიონი, ტირიტაკი, ქერსონესი) და თანმხლები მონეტის საფუძველზე ა. იაკობსონს IV საუკუნით აქვს განსაზღვრული და სხვა ამფორების ამოსავალ

ფორმად მიაჩნია[37]. ზემოთ განხილული ამფორა ჩვენეული კლასიფიკაციით **მეორე ტიპს** განეკუთვნება.

სურ. 175. ამფორა (V ს)

ტიპი III წარმოდგენილია დიდი ზომის სფეროსებური ფორმის, მრგვალ-ძირიანი, კონუსური ყელით. ეს ამფორები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. გამოწვის შემდეგ მიღებული აქვთ ღია ვარდისფერი, დაფარულია მოთეთრო ან ჩალისფერი ანგობით. ტანზე სავარცხლისებური შაბლონით დატანილი აქვს ორნამენტი (სურ. 143). ამგვარი ამფორები ფართოდ ყოფილა გავრცელებული შავიზღვისპირეთში და მას V – VII საუკუნეებით ათარიღებენ[38]. სტრატიგრაფიის გათვალისწინებით ჩვენთან იგი V საუკუნის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს და რა თქმა უნდა, იმპორტულ ნაწარმად მივიჩნევთ[39].

ტიპი IV მაღალი, ცილინდრული ფორმის, ტანშეზნექილი, გლუვზედაპირიანი (ზოგჯერ მხრის არეში აქვთ სუსტად გამოხატული ღარები) ამფორაა[40]. კეცი ან აგურისფერია, ან ღია ყავისფერი, ზოგჯერ გადანატეხში ნაცრისფრად გამოიყურება. ზოგიერთი ერთეულის ზედაპირი დაფარულია ჩალისფერი ანგობით, ხოლო შიდა ზედაპირი – კუპრით. თიხა ძირითადად უხეშია და შეიცავს კირქვის, ქარსის და კვარცის ნამცეცებს. აქვთ ცილინდრული, დაბალი ვიწრო ყელი, რთულპროფილიანი პირი, ზემოთ მორკალული ბრტყელგანივკვეთიანი, პირის ქვემოთ, მხრებზე მიძერწილი ყურები, დაბალი ქუსლი (კონუსური ფორმის). ზომებია: სიმაღლე 60 – 65 სმ., ყელის დმ – 10-12 სმ., ყელის სიმაღლე 5 – 5,6 სმ., მუცლის დმ – 18 – 20 სმ., კედლის სისქე – 0,5 – 0,8 სმ.

ტანშეზნექილი და ორმუცლიანი ამფორები ფართოდ იყო გავრცელებული მთელს ხმელთაშუა ზღვის აუზში და შავიზღვისპირეთში[41], მათ შორის დასავლეთ საქართველოში (ბიჭვინთა, ნოქალაქევი, ვარდციხე). ისინი აქ კოლხურ ნაწარმად მიაჩნიათ[42]. ამ ტიპის ამფორებმა IV – VII საუკუნეების განმავლობაში განიცადა ცვლილება ზოგიერთი მახასიათებლის მიხედვით) ტანდაღარულობა, ზომები, თიხის ხარისხი და სხვ.) ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ამ ტიპის ამფორის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტი მიანიშნებს მათ ადგილობრივ წარმოებას, მაგრამ ფორმა აღებული უნდა იყოს იმპორტული ამფორიდან. ქუთაისში აღმოჩენილი ამფორები ანალოგიების მიხედვით და სტრატიგრაფიული მონაცემებით, რომელსაც განსაზღვრავს აგრეთვე თანმხვედრი სპარსული თუ ბიზანტიური მონეტები, V საუკუნის ბოლო მეოთხედითა და VII საუკუნის დასაწყისით უნდა განისაზღვროს. ე. ი. მათი ფართო გამოყენება აქ თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ეჭვს არ იწვევს (სურ. 175).

ტიპი VI ამფორისკია, მცირე ზომის პირ-ყელის ფრაგმენტითაა წარმოდგენილი, ჰქონდა წაგრძელებული ტანი. აქვს ვიწრო ცილინდრული ყელი, რომელზედაც მიძერწილია ძალიან პატარა ყური. პირ-ბაკო ლილვაკისებურადაა მომრგვალებული და შესქელებული. ამ ტიპის, მაგრამ დიდი ზომის ამფორების ფორმა ჩამოყალიბდა IV – V საუკუნეებში. იგი გენეტიკურად უკავშირდება პუნიკურ პროტოტიპს და შავიზღვისპირეთში ვრცელდება საბერძნეთის გზით[43]. ანალოგად გამოდგება ბულგარეთში, თრაკიასა და ქვედამეზიის კომპლექსებში აღმოჩენილი ამფორები, რომელთაც VI საუკუნით ათარიღებენ[44]. ჩვენთან იგი V საუკუნით დათარიღებულ ფენაში აღმოჩნდა.

ტიპი VII იმპორტულ ამფორათა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი[45]. ესაა აგურისფერკეციანი ჭურჭელი მოყვითალო

ელფერით. თიხა არ გამოირჩევა განლექილობით და შეიცავს კირქვის წვრილ მარცვლებს. ზედაპირი დაფარულია თეთრი ან ჩალისფერი ანგობით. აქვს სუსტად გამოხატული ყელი, რომელიც ერთბაშად გადადის მხრებში, მასზე მიძერწილი ნახევრადოვალურგანივკვეთიანი ყურებით. მხრის არეში ერთმანეთზე მიჯრილი ჰორიზონტალური ღრმა ღარები ამშვენებს. ყურის ქვემოთ 2 სმ – იანი გლუვი სარტყლის შემდეგ იწყება დაღარვის სხვა ფორმა. ღარები აქ შედარებით ფართოა. ამ ტიპის ამფორები ფართოდ იყო გავრცელებული შავიზღვისპირეთში[46]. ათენში აღმოჩენილი ანალოგიური ჭურჭელი თარიღდება VI საუკუნით[47]. ჩვენ საშუალება გვქონდა გამოგვეყო ამგვარი ტიპის ერთი ვარიანტი, რომელიც ქუთაისში ინტენსიურ ხმარებაში უნდა ყოფილიყო V საუკუნის ბოლო მეოთხედიდან, რაც კარგად დასტურდება აბანოს კომლექსში და საერთოდ, კულტურულ ფენებში მისი ფრაგმენტების აღმოჩენის სიჭარბით.

ტიპი VIII განეკუთვნება სქელკედლიანი, ვარდისფერკეციანი ამფორის ფრაგმენტები, რომლის ზედაპირი დაფარულია ფართო, დაბალი, ჰორიზონტალური ღარებით[48]. თიხა კარგად განლექილია, თუმც შეიცავს მცირე შავ ნამცეცებს.ზედაპირი დაფარული აქვს ჩალისფერი ანგობით. ჩვენთან ასეთი ტიპის რამდენიმე ფრაგმენტია ნაპოვნი, მაგრამ შესაძლებელი გახდა გამოგვეყო ამ ტიპის ერთი ვარიანტი, კოლხეთსა და შავიზღვისპირეთში ვერ შევძელით პარალელის მოძებნა. ამგვარი ჭურჭელი ცნობილია სამოსიდან და მას IV საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ[49]. ჩვენთან ამ ამფორის ფრაგმენტები V საუკუნის ფენაშია ნაპოვნი.

ტიპი IX შედარებით სქელკედლიანი, მოწითალო ფერის კეცის მქონე ამფორის კედლებია, თიხა კარგადაა განლექილი. კედლის ზედაპირზე 1,5 – 2 სმ. ინტერვალით, დაშორებული ღრმა ღარები შემოუყვება ჰორიზონტალურად მიმართული. კეცის ზედაპირი ვარდისფერი ანგობითაა დაფარული[50]. ხერსონესში აღმოჩენილ ამ ტიპის ამფორას VI – VII საუკუნეებით ათარიღებენ. მას აქვს ქვემოთ დავიწროებული ტანი, ცილინდრული ყელი, ლილვაკისებურად მომრგვალებული პირ – ბაკო და სფეროსებრი ძირი[51].

ტიპი X – ვიწრო, კონუსურყელიანი ამფორაა, თხელკედლიანი, მოწითალო კეცით. თიხა განლექილია. ზედაპირი დაფარულია ჩალისფერი ანგობით. ყელზე აქვს ჰორიზონტალურად განლაგებული სუსტად გამოხატული ღარები[52]. გარეთ დაბრტყელებული პირის კიდე, რომელიც ოდნავ შესქელებულია. მასალა ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, ამიტომ ხსვა მახასიათებლებზე მსჯელობა არ ხერხდება. პარალელური მასალები ცნობილია დასავლეთ შავიზღვისპირეთიდან, რომელსაც კუნძულ სამოსიდან შემოტანილად თვლიან[53].

ტიპი XI – კონუსურყელიანი, სფერულტანიანი, ძაბრისებური პირის მქონე ამფორაა. გამომწვარია აგურისფრად, კარგად განლექილი თიხისაგან. პირს ქვემოთ და მხრებზე მიძერწილი აქვს ოვალურგანივკვეთიანი ყური[54]. ყელის ფორმის მიხედვით მსგავსებას ავლენს ბიჭვინთაში აღმოჩენილ ამფორასთან, რომელსაც IV საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებენ[55]. ზოგი მახასიათებლის მიხედვით იგი ასევე მსგავსებას ავლენს დასავლეთ შავიზღვისპირეთში აღ-მოჩენილი ამფორის პირ-ყელთან, რომელსაც გარდამავალ ფორმად მიიჩნევენ და VI საუკუნით ათარიღებენ[56]. ჩვენთან იგი V საუკუნის მეორე ნახევრით და VI საუკუნით დათარიღებულ ფენაში აღმოჩნდა.

როგორც ვხედავთ, V – VII საუკუნეების კულტურულმა ფენებმა ქუთაისის ციხეზე სულ ცხრა ტიპის ამფორა დაადასტურა. მათი ძირითადი ნაწილი იმპორტულია (დას. შავიზღვისპირეთი, კუნძული სამოსი, მცირე აზია...). ამასთანავე, ისინი ფართოდ არიან გავრცელებული მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ V საუკუნის მეორე ნახევრიდან ეგრისის შიდა რაიონები (შიდა ეგრისი) მჭიდრო ეკონომიკურ კავშირშია ხმელთაშუა ზღვის კულტურულ ცენტრებთან, რასაც, როგორც ჩანს, ბიზანტიის იმპერიის საგარეო – ეკონომიკური პოლიტიკა უწყობდა ხელს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს საკმაოდ მრავალრიცხოვანი მონეტების აღმოჩენები (იხ. ქვემოთ). მაშასადამე, იმპერიასთან კულტურულ – ეკონომიკური კავშირები IV საუკუნიდან შეინიშნება. იგი განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იღებს V საუკუნის მეორე ნახევრიდან, VII საუკუნის ჩათვლით. ამავე პერიოდის კულტურულ ფენებში აღმოჩნდა სხვადასხვა ტიპის ამფორათა ფრაგმენტები დამღებითა და სხვადასხვა ნიშნებით (სურ. 144).

• სამზარეულო კერამიკა:

ქოთნები სამზარეულო კერამიკის წამყვანი ფორმაა და მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა ადრე შუა საუკუნეების კერამიკულ ინვენტარში. მათი ძირითადი მახასიათებელია პირ-ბაკოს და ყელის მოყვანილობა და რა თქმა უნდა, ზოგიერთი მორფოლოგიური ნიშანი, რომლის მიხედვითაც გამოიყო 12 ტიპი და 50-მდე ვარიანტი, რომლებიც ზოგადად ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად დაიყო – IV – VI და VII – X საუკუნეები. თუ პირველი ჯგუფის ქოთნებისათვის დამახასიათებელია საშუალო სიმაღლის შეზნექილი ყელი, ლილვაკისებურად მომრგვალებული ორმხრივკონუსური, გარეთ გადახრილი პირ-ბაკო, ანდა გარედან შესქელებული ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირ-ბაკო, კეცის ზედაპირზე ჰორიზონტალური კონცენტრული ღარები (ხაზები) ან ზოგჯერ ტალღური ორნამენტი, მეორე ჯგუფის ქოთნებისათვის დამახასაითებელია მომრგვალებულპროფილიანი, ანდა გარედან დაბრტყელებული შესქელებული პირ-ბაკო. ზოგიერთ ეგზემპლარზე შეინიშნება მცირეოდენი ცვალებადობა მოცემული ფორმის შიგნით. ასეთი ქოთნების კეცი რუხი ან მოყავისფროა. დამზადებულია ქარსის მინარევებიანი თიხისაგან.

ამ პერიოდის ზოგიერთ ცალს თხელი პირ-ბაკო აქვს და ძლიერ შეზნექილ – პროფილიანი საშუალო სიმაღლის ყელი (სურ. 145). ცალკე აღსანიშნავია ყურიანი ქოთნები, რომელთაც აქვთ ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირ-ბაკო[57].

ქვაბ – ქოთანი თუ IV – VI საუკუნეების სამზარეულო კერამიკაში შედარებით მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი, უკვე მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში მათი რაოდენობა მატულობს. ამასთანავე, მათი მახასიათებელი დიდად არ განსხვავდება ადრინდელი, ზემოდან დაბრტყელებული პირ-ბაკოიანი ერთეულებისაგან.

ამ პერიოდის ქვაბ-ქოთნებისათვის დამახასაითებელია მოშავო მონაცრისფრო, უხეში კეცი, ზედაპირზე ტალღისებური ორნამენტით, გარეთ გადახრილი, გარედან სოლისებურად დაბრტყელებული პირ-ბაკო და საშულო სიმაღლის ოდნავ შეზნექილპროფილიანი ყელი[58]. ქუთაისური ქოთნებისა და ქვაბ-ქოთ-

სურ. 176. დოქები (V-VI ს.ს.)

სურ. 177. დოქები

ნების ზუსტ ანალოგიებს ვხვდებით ვარდციხის ნაქალაქარზე[59], ნოქალაქევში[60], მთისძირში[61] და სხვ.

დოქები რამდენიმე ტიპით განისაზღვრება. I ტიპს მიეკუთვნება საშუალო სიმაღლის, ფართო, დაბალყელიანი დოქები[62], რომელსაც ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებული ჰქონია პირ – ბაკოს ქვეშ. კეცი მოყავისფრო – აგურისფერია, თიხა საკმაოდ კარგად განლექილი, თუმცა შეიცავს წვრილ მინარევებს. ზედაპირი ჩალისფერი ანგობითაა დაფარული. სტრატიგრაფიული მონაცემებით ეს ჭურჭელი V – VI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს (სურ. 176).

II ტიპში გაერთიანდა ასევე დაბალყელიანი და ფართოპირიანი, მაგრამ ორყურა დოქები[63]. ვარდისფერი კეცით და ასეთივე ფერის ანგობით. დოქების ყელი დაბალია და შეზნექილი, პირ – ბაკო გარეთ გადახრილია და პროფილირებული. ყურები პირის კიდეს ქვემოთ და მხარზე აქვს მიძერწილი. ასეთი ჭურჭელი ცნობილი არის ვარდციხის მასალებშიც[64] (სურ. 177).

III ტიპის დოქებს აქვთ დაბალი, ვიწრო ყელი და მოგრძო ტანი[65], რომელიც შუა წელს ქვემოთ ოდნავ დავიწროებულია და მართი კუთხით უერთდება ბრტყელ ძირს. კეცი აგურისფერია, თიხა უხეში. ეტყობა მოვარდისფრო ანგობირების კვალი. ერთ – ერთი დოქის ბრტყელ ყურზე ამოკაწრულია ადამიანის სტილიზებული გამოსახულება, ერთს კი ყელზე ორნამენტი ამშვენებს. ანალოგიებისა და სტრატიგრაფიის გათვალისწინებით ამ ტიპის დოქები V – VII საუკუნეებით განისაზღვრება (სურ. 178).

IV ტიპის დოქები შედარებით ფართო და მაღალყელიანია, აქვს სადა, მომრგვალებული პირის გვირგვინი, რომლის კიდეზე და ტანზე მიძერწილი აქვს ოთხკუთხაგანივკვეთიანი შედარებით სქელი ყური. დოქის ტანი ძირისკენ ვი-



სურ. 178. დოქი

სურ. 179. დოქები (V-VI ს.ს.)

წროვდება და ოდნავ გაშლილი კუთხით ებმის ბრტყელ ძირს. კეცი აგურისფერია, თიხა უხეში, მინარევიანი. ზედაპირზე ეტყობა ჩარხის კვალი, კონცენტრულად განლაგებული ხაზები[66], მხარზე კი ჭდეები (სურ. 179).

V – VII საუკუნეების ფენებში აღმოჩნდა დიდი ზომის დოქისმაგვარი ჭურჭლის – კოკის (თუ ჩაფის) ფრაგმენტები. ისინიც რამოდენიმე ტიპით არის წარმოდგენილი. აქვთ შეზნექილპროფილიანი დაბალი ყელი, ოდნავ გარეთკენ, ე. ი. გარედან დაბრტყელებული წიბომომრგვალებული პირ – ბაკო. ფართო ოვალურგანივკვეთიანი ყური პირს ქვემოთ აქვს მიძერწილი. კეცი მოვარდისფროა და ასეთივე ფერის ანგობით არის დაფარული[67].

მეორე ტიპის ჩაფიც დაბალყელიანია და შეზნექილპროფილიანი, მაგრამ პირ – ბაკო როგორც ზემოდან, ისე გვერდიდან დაბრტყელებული აქვს. მისი ყურიც ოვალურგანივკვეთიანია და მიძერწილი აქვს პირს ქვემოთ[68]. მსგავსი ჭურჭელი ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია ორი ყურით. ისინი მრავლად აღმოჩნდა დასავლეთ (ვარდციხე, ვაშნარი, ციხისძირი, მთისძირი...) და აღმოსავლეთ (ურბნისი, უჯარმა, მცხეთა...) საქართველოში[69].

• წითელლაკიანი კერამიკა და მათი მინაბაძები

აღნიშნული ჭურჭელი, რომელიც ძირითადად იმპორტულად არის მიჩნეული, IV საუკუნიდან შემოდის ქუთაისში და შედარებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. ამით ეს პუნქტი მკვეთრად განსხვავდება ზღვისპირა ქალაქებისაგან და თვით ნოქალაქევ – არქეოპოლისისაგანაც კი, რომელიც ქვეყნის სიღრმეშია, ისევე როგორც ქუთაისი. ვფიქრობთ, ეს მომენტი გარკვეულწილად გასათვალისწინებელია არა მარტო სავაჭრო – ეკონომიკური ურთიერთობების კვლევის დროს, არამედ აღნიშნული საგნის მომხმარებელთა სოციალური და შესაძლოა, ეთნიკური კუთვნილების გარკვევისათვის, ამასთანავე ქრონოლოგიის დაზუსტებისათვის.

V – VII საუკუნეების კულტურულმა ფენებმა ქუთაისში შედარებით მრავლად წარმოაჩინა წითელლაკიანი კერამიკის ადგილობრივი მინაბაძები, რაც მოსახლეობის ზედაფენის მაღალი მოთხოვნილების სურვილის შედეგად უნდა შექმნილიყო. მინაბაძები ფორმით ძირითადად იმეორებენ იმპორტულ ვარიანტებს, თუმცა დამზადების ტექნოლოგიით საგრძნობლად ჩამორჩებიან მათ.

1. ჩვენს მასალაში იმპორტული წითელლაკიანი კერამიკის სულ სამი ტიპი გამოიყო: (სურ. 154).

ტიპი I – რამდენიმე თეფშითაა წარმოდგენილი. მათთვის დამახასიათებელია ოდნავ გამობერილი დაბალი კალთა და ფართოდ გადაშლილი პირ – ბაკო[70]. კალთასა და ბრტყელ ძირს გამოყოფს დაბალი ოთხკუთხაგანივკვეთიანი ქუსლი. ზედაპირი დაფარულია ღია წითელი ფერის წერნაქით. თიხა კარგად განლექილია და მაღალხარისხოვანია.

ამავე ჯგუფში ერთიანდება ასევე დაბალკალთიანი, პირბაკოგადაშლილი თეფშები, რომელთა ზედაპირი დაფარულია ღია ფერის წერნაქით და ბაკოს ზედაპირი შემკულია ტალღისებური ორნამენტით, რომელიც მასზე გამოწვამ-

დეა დატანილი. სხვა განმასხვავებელი ნიშანი კიდევ ისაა, რომ ბრტყელი ძირისა და კალთის ქუსლი, რომელიც მომრგვალებული ფორმისაა, ირგვლივ ღარითაა შემოსაზღვრული[71]. ამავე ტიპის უნდა იყოს ერთი პირ – ბაკოს ფრაგმენტი[72], რომელსაც ღარით გამოყოფილი პირის კიდე აქვს.

ტიპი II წარმოდგენილია კალთადაქანებული, ბრტყელძირა ჯამებით, რომელთაც პირის კიდე მომრგვალებული და შიგნით ჩაკეცილი აქვთ, ხოლო კალთისა და ძირის გამყოფი ქუსლი დაბალი. თიხა ასევე მაღალი ხარისხისაა და კარგად განლექილია, ხოლო ზედაპირი შედარებით მუქი წითელი ფერის წერნაქითაა დამშვენებული[73].

ამ ტიპის მეორე ჯამის ძირი, პირველისაგან განსხვავებით, შედარებით თხელია, ხოლო ქუსლი მომრგვალებული ფორმისაა[74]. ამ ტიპის ჯამებში შეიძლება ერთი ქვეტიპის გამოყოფა, რომლის ძირითადი მახასიათებელია ფართო, ზემოდან დაბრტყელებული პირის გვირგვინი ორი პარალელური ვიწრო ღარით[75]. ანალოგიური მასალები ცნობილია ვარდციხის ნაქალაქარზე[76], ბიჭვინთაში[77] და სებასტოპოლისიდან[78].

ტიპი III ლანგრის ძირია, რომელსაც უნდა ჰქონოდა დაბალი, ოდნავ დაქანებული კალთა, ფართო, ბრტყელი ძირისაგან გამოყოფილი დაბალი ქუსლით. ფსკერზე გამოსახულია ამოღარვის ტექნიკით შესრულებული წრეში ჩასმული ცხრაქიმიანი ვარსკვლავი, ზედაპირზე ჩანს წითელი საღებავის კვალი. თიხა კარგად განლექილი და გამომწვარია, თხელკედლიანია და ოდნავ დეფორმირებული, შესაძლოა ხანძარში მოხვედრის გამო[79].

ზემოთ განხილული მასალები ზოგადად ექცევა ახ. წ. IV – VI საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოში და ზოგიერთი მათგანი ადგილობრივ ნაწარმადაც მიაჩნიათ[80]. თუმცა VI საუკუნეში აღნიშნული ჭურჭლის მოხმარება ალბათ, უფრო ბიზანტიელთა საჭიროებას უნდა დაუკავშირდეს ან ადგილობრივი არისტოკრატიისას.

2. წითელლაკიანი სუფრის ჭურჭლის ადგილობრივ მინაბაძებში ოთხი ტიპი გამოიყო: **ტიპი 1** – კალთამომრგვალებული, ჰორიზონტალურად პირგადაშლილი ჯამებია[81], ძირი ბრტყელია, ქუსლი დაბალი და ოთხკუთხა-განივკვეთიანი. თიხა საგანგებოდაა შერჩეული, მიესადაგება ადგილობრივ ნედლეულს. ზედაპირი ნაპრიალებია და მოგლუვებული, შეღებილი ჩანს ასეთივე თხევადი მასით გამოწვამდე და ღია აგურისფერი აქვთ. კედელი, იმპორტულისაგან განსხვავებით, სქელია და ტლანქი. ამგვარი ჯამები ცნობილია ვარდციხეში[82], სხვაგან ეგრისის შიდა რაიონებში ისინი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

ტიპი II კალთადაქანებული, ძირბრტყელი ჯამია, რომელზედაც გამოყვანილია ორი პარალელური ქუსლი, აქვს სადა, დათხელებული პირის კიდე. ასევე სქელკედლიანია. ზედაპირი მოგლუვებულია და ნაპრიალები. კეცი ღია ჩალისფერია[83].

ტიპი III – დაბალი, კალთადაქანებული, პირმოყრილი ჯამის ძირგვერდის ფრაგმენტია. ბრტყელ ძირზე გამოყვანილია ვიწრო მომრგვალებული ქუსლი. პირის კიდე სადა და დათხელებული აქვს. კეცი გადანატეხში შეიცავს კირქვის წვრილ ნამცეცებს. გამომწვარია მაღალხარისხოვნად და ზედაპირიც გულმოდგინედაა დამუშავებული, რომელიც ღია აგურისფერს ატარებს ამავე ტიპს მიეკუთვნება მეორე ფრაგმენტი[84], რომლის მახასიათებელია ოდნავ მსხვილი

მომრგვალებული ქუსლი. ვარდციხეში აღმოჩენილ ასეთი ტიპის ჯამებს ვ. ჯაფარიძე მიაკუთვნებს წითელლაკიანი ჯამების II ტიპს.

ტიპი IV – კალთადაქანებული ჯამია[85], სადა სწორი პირ-ბაკოთი. კალთისგან ქუსლი გამოყოფილია ღარით. ზედაპირი წნეხვითაა დამუშავებული და მოგლუვებულია. კეცი ღია აგურისფერია. იმპორტულისაგან განსხვავებით შედარებით სქელკედლიანია.

საგანგებო დანიშნულების ჭურჭელი, რომლის საკმაოდ მრავალი ფრაგმენტი შეგვხვდა V – VI საუკუნეების კულტურულ ფენებში, დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას (ვ. ჯაფარიძე, ვ. ლექვინაძე). ესაა პირმოყრილი და ძირღია, ზედაპირგაპრიალებული ჭურჭელი, რომლის დანიშნულება ბოლომდე მთლიანად გარკვეული არ არის. მის აგებულებაზე წარმოდგენას გვიქმნის ნოქალაქევის ერთ-ერთ კოშკში ნაპოვნი და აღდგენილი ცალი, რომლის ზომებია: პირი დმ – 15 სმ – მდე, ძირის დმ – 32 სმ., ძირის ღია ნაწილის დმ – 15-17 სმ. და სიმაღლე 25 სმ – მდე. ქუთაისში მოპოვებული ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეს ჭურჭელი თითქოს სტანდარტულია, თუმცა არსებობს მცირეოდენი განსხვავებაც ზომებში. ეს ჭურჭელი, ისევე როგორც წითელლაკიანის მინაბაძები, საგულდაგულოდაა დამზადებული. კარგად განლექილი თიხა ხარისხოვნადაა გამომწვარი. ზედაპირი წნეხვითაა დამუშავებული და გაპრიალებული. რიგ შემთხვევაში წერნაქგასმულია.

ადრე მისი დანიშნულების შესახებ ფიქრობდნენ, რომ ეს იყო გადასატანი კერა ან სხვა რამ საქმიანობასთან დაკავშირებული ელემენტი[86]. საკითხის შემდგომი კვლევით და ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალების გაანალიზებით ბატონი ვახტანგ ჯაფარიძე (მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიურ ჭურჭელს კოლხეთის გარეთ არ იცნობს), მაინც ფიქრობს, რომ ეს ჭურჭელი იდგმებოდა სპეციალურ სადგარზე და შიგ მოთავსებული სანთლის წვისათვის იყო განკუთვნილი[87]. საინტერესო დეტალია, რომ ქუთაისში აღმოჩენილი ასეთი ჭურჭლის კედლის ფრაგმენტზე ტოლმკლავა ჯვარი იყო ამოკაწრული.

კერამიკულ მასალაში ყურადღებას იმსახურებს თიხის საბეჭდავი, რომელიც წრიული ფორმისაა, ზედაპირი ამოზნექილი აქვს და მასზე ამოღარულია ტოლმკლავა ჯვრისებური გამოსახულება. მისი დიამეტრია 8 სმ., სიმაღლე 3 სმ[88] (სურ. 180). მისი ზუსტი ანალოგია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმშია დაცული.

სამშენებლო კერამიკა: აგური V – VII საუკუნეებში გაცილებით ფართოდ გამოიყენება, ვიდრე წინა პერიოდში. მას ხმარობენ კედლის რიგების გასასწორე-

სურ. 180. თიხის საბეჭდავები ჯვრის გამოსახულებით (V ს)

ბლად, შენობათა ინტერიერში იატაკის დასაგებად, აბანოს კალორიფერებად და სხვ. ამ პერიოდში აგური შედარებით სტანდარტული ხდება. მისი ზომებია: 28X19,5X4,5 სმ., უკვე ხმარებაში შემოდის კვადრატული ფორმის აგურიც- 27X27X4,5 სმ. და საერთოდ, ერთდროულად გამოიყენება აგურთა მრავალსახეობა. მაგალითად VI საუკუნის აბანოსათვის კალორიფერები ამოყვანილია მართკუთხა ფორმის აგურით (ზომები: 29X17X4 სმ) ხოლო ჰიპოკაუსტის იატაკი დაგებულია დიდი ზომის კერამიკული ფილებით, რომლის ზომებია: 39,7X40,5X4 სმ., ან 36X22X3 სმ. ყველა ისინი ხის ყალიბში ჩანს მოჭრილი. თიხა ძირითადად წინა დროის სამშენებლო კერამიკის იდენტურია, თუმცა გამოწვის ხარისხია შედარებით განსხვავებული.

კრამიტებს რაოდენობის მიხედვით კვლავ გაბატონებული მდგომარეობა უჭირავთ V – VI საუკუნეების არქეოლოგიურ მონაპოვარში. გვიანანტიკური ხანიდან მოყოლებული წამყვანი ფორმა კვლავ სოლენი და კალიპტერია. განსხვავება ისაა, რომ სოლენის აკეცილი გვერდი შედარებით დაბალია 3 – 4 სმ., გვიანანტიკური კრამიტის მსგავსად, ბორტი სამკუთხაგანივკვეთიანია, შიგნითკენ დახრილი, რომელიც ბლაგვი კუთხით უერთდება ზურგს. შესამჩნევი განსხვავებაა თიხის ფაქტურისა და დამზადების ხარისხშიც. ამ პერიოდის კალიპტერისათვის დამახასიათებელი გლუვი ზედაპირი და მასზე დაბალი ღილისებური კოპი ან წრიული ფორმისაა, ან ოთხკუთხა.

კალორიფერები აბანოს ცხელი და თბილი განყოფილების იატაკის საყრდენი სვეტებია. ისინი მზადდებოდა ქვისაგან, მრგვალი ან სწორკუთხა აგურებისაგან და კერამიკული სვეტებისაგან. ჩვენ ამჟამად ეს უკანასკნელი გვაინტერესებს. იგი ორი განსხვავებული ფორმით გვხვდება: 1. ორმუცლიანი ანუ წელშეზნექილი და 2. ცილინდრული ფორმის, ოდნავ თანაბრად მუცელგამობერილი. პირველის სიმაღლეა 62 სმ., კედლის სისქე – 3 სმ., ხოლო თავისა და ბოლოს დმ – 10 სმ. ცილინდრული კალორიფერების სიმაღლეა 55 სმ., კედლის სისქე 2,3 სმ., დიამეტრიც 13 სმ. აღნიშნული საყრდენები საგანგებოდაა დამზადებული. მათი კედლები ალაგ – ალაგ დახვრეტილია და შიგა ნაწილი კირხსნარით არის ამოვსებული სითბოს უკეთ გამტარიანობისათვის ჰიპოკაუსტში.

კერამიკას რომ ფართო გამოყენება ჰქონდა საერთოდ ხუროთმოძღვრებაში და, რაც მთავარია, ჰიდროსაინჟინრო მშენებლობაში, ამის დასტურია ის ერთკილომეტრიანი სიგრძის თიხის მილების ჰიდრომაგისტრალი მთელი თავისი დახვეწილი სისტემით (აქვედუკები, თანგირი და სხვ.), რომელიც ასევე ძირითადად კერამიკისაგანაა შედგენილი თუ დამზადებული და საქალაქო ცხოვრების ბოლო პერიოდამდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

მინა – პირის საფარეშო ჭურჭელია:

1. სანელსაცხებლის ყელ – გვერდი ირიბად დაქანებული, ვერტიკალური კანელურებით, ძლიერ ირიზებული[89]. აქვს ვერტიკალური სადა პირი და ცილინდრული, ქვემოთკენ ოდნავ გაფართოებული მაღალი ყელი და კვერცხისებური ტანი.

ასეთი ჭურჭელი საკმაოდ იშვიათია ადრე შუა საუკუნეების ფენებისათვის, როგორც ფიქრობენ, ქრისტიანობის შემოღების შემდგომ IV საუკუნეში ისინი თითქოს გამოდიან ხმარებიდან[90] და მხოლოდ გადმონაშთის სახით გვხვდება. სპეციალისტთა ზეპირი განცხადებით, ეს ჭურჭელი V – VII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

კოლბისებური ჭურჭლის[91] პირ – ყელის ფრაგმენტი, ცილინდრული ოდნავ შესქელებული, გარეთ გადახრილი დეფორმირებული პირის გვირგვინით. აღმოჩენილია აბანოს ინტერიერში. თარიღდება V – VII საუკუნეებით.

ფიალა – ფართოდ გადაშლილი პირით, შესქელებული პირის გვირგვინით[92]. ზუსტი ფორმის აღდგენა ჭირს, ამიტომაც ჩვენი ვარაუდი ფორმის შესახებ პირობითია. ისიც აბანოში აღმოჩნდა და შესაბამისად V – VI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

სურ. 181. ბიზანტიური და სასანური მონეტები VI-VII სს

აბანოშივე აღმოჩნდა ჭიქისებური სასმისის ძირი, შეზნექილი კონუსური ფორმის ღია მწვანე ფერის მინისაგან დამზადებული[93] და ფეხიანი სასმისების ქუსლები[94], განსაკუთრებით აღსანიშნავია იქვე აღმოჩენილი ჭურჭლის ძირის სქელი და ბრტყელი ფრაგმენტი, ღია იასამნისფერი. მცირედ ირიზებული[95] მინის ასეთივე ფაქტურით ხასიათდება მომრგვალებულ – შეზნექილპროფილიანი სქელი ძირი, რომელიც ჭიქისებური სასმისების ფორმას იმეორებს[96]. ღია იასამნის ფერისაა კიდევ ერთი ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი, რომელიც კონუსურად შეზნექილი აქვს[97].

დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სასარკმლე მინა, განსაკუთრებით აბანოს გათხრის პროცესში. ესაა ბრტყელი, კიდემომრგვალებული, მწვანე ფერის ფრაგმენტები.

ნუმიზმატიკური მასალები საკმაოდ მრავლადაა წარმოჩენილი სპარსული და ბიზანტიური მონეტებით. მათი განსაზღვრა ეკუთვნის ქალბატონებს ირ. ჯალაღანიას და ი. ცუხიშვილს.

1. სპარსული მონეტები სასანიდი მეფეების ხოსრო I-ის (531 – 579) და ჰორმიზდ IV – ის სახელზეა მოჭრილი ქ. ბარდამირში 532 – 33 წლებში.

2. ქუთაისში აღმოჩენილი ბიზანტიური სპილენძის მონეტები, რომელთა რაოდენობა სულ 25 ერთეულს შეადგენს და აქედან 14 ცალი ადრებიზანტიური ხანისაა მდიდარი ინფორმაციის შემცველი მასალაა V საუკუნის ბოლოდან VII საუკუნის დასაწყისამდე პერიოდის შიდა ეგრისის და ქუთაისის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის საილუსტრაციოდ. ნუმიზმატიკური მონაპოვრის დიდი ნაწილი აღმოჩენილი იქნა ნაქალაქარის იმ მონაკვეთში, რომელსაც აბანოს უბანს ვეძახით და ტოპოგეგმის მიხედვით ნაქალაქარის B – სექტორს წარმოადგენს. იგი უშუალოდ აბანოს კომპლექსის ინტერიერ – ექსტერიერთანაა დაკავშირებული (სურ. 181). ქრონოლოგიური თვალსაზრისით ეს მონეტები ასე ჯგუფდება:

1. ანასტას I (491 – 518 წწ.) – 2 ც. მოჭრილია კონსტანტინეპოლში.
2. იუსტინე I (518 – 527 წწ.) – 2 ც. კონსტანტინეპოლი.
3. იუსტინიანე I (527 – 565 წწ.) – 5 ც. კონსტანტინეპოლი.
4. იუსტინე II (565 – 578 წწ.) – 1 ც. ნიკომედია.
5. ტიბერიუს II (578 – 582 წწ.) – 1 ც. კონსტანტინეპოლი.
6. მავრიკი (582 – 602 წწ.) – 3 ც. ორი – მოჭრილია თეოპოლისში, ერთი – ნიკომედიაში.
7. ფოკა (602 – 610 წწ.) – 1 ც. ნიკომედია.

ამ პერიოდის ბიზანტიური მონეტების სიჭარბე დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს სხვა პუნქტებისათვისაც: ციხისძირი, ნოქალაქევი, სოხუმი, წებელდა, ბიჭვინთა. მათი ძირითადი ნაწილი კონსტანტინეპოლის

ზარაფხანაშია მოჭრილი[98]. საყურადღებოა, რომ დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის იმპერიის განსაკუთრებული აქტიურობა იუსტინე I (518 – 528 წწ.) მმართველობის დროს დაიწყო. ლაზიკა ამ პერიოდში ბიზანტიელებს გადაქცეული აქვთ ირანელების საწინააღმდეგო მოქმედების ბაზად[99]. ლაზიკის მნიშვნელობას ბიზანტია – სპარსეთის ურთიერთობაში განიხილავენ, როგორც საშუალებას პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენისას ამიერკავკასიაში და შავი ზღვის სანაპიროზე[100]. თუ რა გზით შემოდიოდა VI საუკუნეში ბიზანტიური სპილენძის ფული დასავლეთ საქართველოში ამის შესახებ არსებობს საკმაოდ დამაჯერებელი მოსაზრება, რომ პირველ რიგში იგი იჭრებოდა ჯარის საჭიროებისათვის[101] და მისი გადიდებული მოთხოვნა დაკავშირებული იყო ბიზანტიის ექსპანსიურ პოლიტიკასთან[102].

ჩვენს შემთხვევაში საინტერესო ისაა, რომ ზღვისპირა ციხექალაქებთან ერთად ბიზანტიური სპილენძი აღწევს კოლხეთის შიდა რაიონებშიც (ნოქალაქევი, ქუთაისი), რაც მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ ბიზანტიური გარნიზონები ამ პერიოდში (VI ს.) შიდა ეგრისის ტერიტორიაზეც იდგნენ. ამასთან ერთად არქეოლოგიური მასალების დიდი ნაწილი მკაფიოდ მიუთითებს ცხოველ სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე, რომელსაც ეგრისის სამეფო აწარმოებდა იმპერიის სავაჭრო ცენტრებთან...

სარკოფაგი – (საინვ. №8894-A-648 (ძვ. 2560); ზომები: სიგრძე 2,32 სმ, სიგანე 63 სმ, სიმაღლე 45 სმ, კედლის სისქე-8 სმ). აღმოჩენილია ქუთაისში, არქიელის გორაზე, ე. ი. ბაგრატის ტაძრის მიდამოებში. ნაცვალოვის სამოსახლო ეზოში. მუზეუმში შემოსულია 1929 წლის 15 დეკემბერს ქუთაისის კომუნალური მეურნეობის გამგისაგან. დაწვრილებითი ინფორმაცია ამ აღმოჩენის შესახებ არ არსებობს. ჩვენი ვარაუდით, სარკოფაგს სახურავიც უნდა ჰქონოდა, რომელიც არ შემოინახა. სახურავი შეიძლება ყოფილიყო ბანურიც და ორკალთიანი. იმის გამო, რომ სარკოფაგი ზუსტად იმეორებს ადრე შუა საუკუნეების შვერილაფსიდიანი ბაზილიკის ფორმას არ გამოირიცხება სახურავის ორკალთიანობა. ასეთი ტიპის ბაზილიკები ადრექრისტიანულ ხანაში V-VI-VII საუკუნეებში იგებოდა. შესაძლოა სარკოფაგიც ამ პერიოდით (V-VII საუკუნეებით) დათარიღდეს.

თუ ეს ასეა, მაშინ იგი ადრინდელ (II) ბაზილიკასთან კავშირში შეიძლება განვიხილოთ, როგორც წარჩინებული პირის (შესაძლოა საეკლესიო პირის) განსასვენებელი და სოციალური სტატუსის განმსაზღვრელ ნივთიერ დოკუმენტად შეიძლება გამოვიყენოთ. (სურ. 182).

სურ. 182. სარკოფაგი

7. ბიზანტიური წყაროების „კოტაის" – „მოხირისისა" და „უქიმერიონის" ლოკალიზაციის საკითხი არქეოლოგიურ მონაცემებთან მიმართებაში

VI საუკუნეში ბიზანტიური წერილობითი წყაროები (პროკოპი, აგათია) ქუთაისთან ერთად ძალზე ხშირად ასახელებენ ორ გეოგრაფიულ პუნქტს: „მოხირისს"[103] და „უქიმერიონს"[104].

ცნობათა მიხედვით, მოხირისი უპირატესად მხარეა – „ქვეყანაა", რაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში სრულიად უყოყმანოდ ერთხმადაა გაზიარებული. ძირითადად შემოიხაზა ამ „ქვეყნის" საზღვრებიც: მდ. ცხენისწყლიდან სკანდა – შორაპნის სასაზღვრო ხაზამდე და ითქვა, რომ მოხირისის მხარე ეს იგივე ქუთათისის მხარეა, ე. ი. „ქუთათისის ქვეყანაა" – შემდეგდროინდელი „სამოქალაქოა"[105]. მაშასადამე, ამ საკითხზე მკვლევართა შორის სრული თანხმობაა, მაგრამ დღემდე გაურკვეველი რჩება „მოხირისის", როგორც გეოგრაფიული პუნქტის საკითხი, ალბათ იმიტომ, რომ ეს საკითხი ცალკე, სპეციალური კვლევის საგნად ჯერ არავის გაუხდია, თუმც იყო ცდები მისი იდენტიფიკაციისა გეგუთთან[106], დაბლაგომთან[107], მთისძირთან[108].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც გეგუთში და არც დაბლაგომში ჯერჯერობით ადრე შუა საუკუნეების ციხის (მითუმეტეს, ციხე – ქალაქის) ნაშთები დადასტურებული არ არის. ამდენად, მოხირისის ამ პუნქტებთან ლოკალიზაცია უსაფუძვლოდ გვეჩვენება. ასევე არადამაჯერებელია მთისძირის ნამოსახლართან მოხირისის გაიგივება. ეს ნამოსახლარი ვერ გამოდგება მოხირისის ლოკალიზაციის ნივთიერ საბუთად, პირველ რიგში, დასახლების მასშტაბების გამო და მეორეც მოხირისის ძიება რიონის სამხრეთით, ჩვენი აზრით, სრულიად უსაფუძვლოა, რადგან მთავარი ქალაქი „ქვეყნის" განაპირას ვერ იქნებოდა და, საერთოდ, მისი ქუთაისისაგან ჩამოცილება და სხვაგან ძიება იმთავითვე შეცდომაა, რადგან პროკოპიც და აგათიაც ამ პუნქტს ყოველთვის ქუთაისთან ერთად მიუთითებენ და მის ორგანულ ნაწილად თვლიან. მაგ., არქეოპოლისიდან გამობრუნებულმა სპარსელებმა „ქუთაისისა და მოხირისისაკენ დაიხიეს" (BG. VIII, 17). „მერმეროე კვლავ მოვიდა მუხურისისა და კოტაისის ციხეში" (აგათია II, 19, 22). „სპარსელები იმყოფებიან მუხურისსა და კოტაისში" (აგათია III, 6) და ა. შ. მხოლოდ ერთგან პროკოპი პირდაპირ აღნიშნავს: ...„ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ **როდოპოლისი** და **მოხირისი**" (BP. II, 29). ასეთი დახასიათების შემდეგ აღნიშნული პუნქტის[109] ლოკალიზაცია თითქოს არ უნდა გაძნელებულიყო, რადგან მოხირის – ქუთაისის მხარეში ყველაზე შესანიშნავ ქალაქთა შორის ქუთაისის არ მოხსენიება პირდაპირ მიუთითებს იმას, რომ პროკოპი მოხირისში გულისხმობს ქუთაისს, ისევე როგორც მხარეს.

აკად. ნ. ბერძენიშვილისათვის სრულიად გასაგებია, რომ მოხირისის ქვეყანა ერთი ორგანული, მთლიანი იყო (სხვა ასეთივე ქვეყნებივით) და გააჩნდა „ცენტრი", საიდანაც მისი მართვა ხორციელდებოდა. ეს იყო შეიძლება ვიფიქროთ, ქვეყანა „სამოქალაქო", „ქვეყანა ქუთათისისა"... მისი ძველი სახელი, საფიქრებელია, სწორედ მუხური იყო, გვიან გაქუთათისებული"[110]. ნათელია, რომ ბატონი ნიკოსათვის მოხირისი და ქუთაისი ერთი და იგივეა, ერთი პუნქტის ორი

სახელწოდებაა. ამასვე ადასტურებს აგათიას ცნობის მისეული ანალიზი: „ზამთარი რომ დადგა, სპარსელები მაშინვე დაიძრნენ იქიდან და გაბრუნდნენ კოტაისსა და იბერიაში, რადგან იქ უნდოდათ ზამთარი გაეტარებინათ".

თუ ამ საგეოგრაფიო სახელებში, დამახინჯება ან შეცდომა არაა, მაშინ მეტად საინტერესო შენიშვნის საბუთი ჩნდება: რომ ქუთაისი ისეთივე ქვეყნის სახელია, როგორც იბერია. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ქუთაისი აქ მოხირისის ნაცვლად არის ნახმარი (ამის მსგავსი რაღაც სხვაგანაც შეინიშნება)[111]. ეს დაკვირვება თითქოს გარკვეულად ეხმაურება იმას, რომ გვიან შუა საუკუნეებშიაც „ქუთაისი" არა მხოლოდ ქალაქის, არამედ „ქუეყანა ქუთათისისა" ან კიდევ, სამოქალაქო ქვეყნის შინაარსითაც იხმარება"[112].

მეტი დამაჯერებლობისათვის ძალზე მნიშვნელოვანი არგუმენტია სახელწოდების ეტიმოლოგიური გარკვევა. პროფ. გ. ჟორდანია თვლის, რომ „მოხირისის", „მუხურის" ფორმით დასავლურ-ქართულ ტოპონიმიკაში შემოინახა ხურიტების და მათი ქვეყნის სახელწოდებაო[113].

„მოხირისი" – „მუხურისი" – „მოხორისი", ჩვენი ვარაუდით, მეგრულ – ჭანური წარმოშობისაა და სახელწოდება „ო-ხორ" – იდან მომდინარეობს. ჭანური „ო – ხორ – ამ – ს – სახლობს, მეგრ. ო – ხორ – ანს – სახლი, სახლობს[114] მა – ხორ – ო=მოსახლე, ნო – ხორ – ი=ნამოსახლევი[115]. საინტერესოა, რომ ქუთაისის მახლობლად დღემდე შემორჩა ტოპონიმი „დოხორა" (დოხორას ქედი), რომლის ჩრდილო – დასავლეთ კალთაზე გელათის მონასტერია აგებული და საკუთრივ ქუთაისში, მაღლობს, რომელზედაც ძველი ქალაქი არსებობდა, დღესაც ხორხის მთას („ოხორი" – „მოხირისი"?!) უწოდებენ. მაშასადამე, მოხირისი, როგორც მეგრულ – ჭანური სახელწოდება, ნიშნავს ცნობილ და მნიშვნელოვან დასახლებას (უფრო საქალაქო დასახლებას), სადაც მაღალი რანგის, ანგარიშგასაწევი პირი სახლობს (მეფე, ერისთავი, ციხისთავი, ეპისკოპოსი) და ცენტრალური ხელისუფლების ადგილსამყოფელია – სამეფო სახლია... თუ ეს ასეა, მაშინ მოხირისი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ქუთაისის მეორე სახელწოდება, მისი აღმატებულ ხარისხში მოხსენიება და ამით მისი მნიშვნელობის ხაზგასმა.

ამას მიუთითებდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, როცა აღნიშნავდა: „პროკოპის ან (აგათიას) ერთიმეორის შესატყვისობით აქვს ხმარებული ქუთაისის ქვეყანა ან მოხირისის ქალაქი და „მოხირისის ქვეყანა", რადგან ციხე მაშინ უქვეყნოდ არ წარმოიდგინებოდა და ამიტომაც იყო, ქვეყანას ციხის სახელი ერქვა, ხოლო ციხეს – ქვეყნის სახელი"[116]. ამ შემთხვევაში ზედმიწევნით გასაგებია პროკოპი კესარიელის მოწოდებული ინფორმაცია „ბოას – ფასისის" მარჯვენა მხარის ლაზიკის შესახებ: „მარჯვნივ მთელი ეს ქვეყანა ვიდრე იბერიის საზღვრებამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით. ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ. მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის იქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა სარაპანი იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის „როდოპოლისი და მოხირისი" (BP. II, 29). ე. ი. მოხირისი იგივე კოტაისის ციხეა და ის ლაზიკაში ყველაზე შესანიშნავი ქალაქია. სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა ამ ჩამონათვალში ქუთაისის არ მოხსენიება.

მაშასადამე, „მუხურისის” ქვეყანა ეს იყო იგივე ქუთაისის ქვეყანა, ან სამოქალაქო (გვიანი). ამ ქვეყნის ერთიანობას, მის ნაყოფიერებას რომ აღნიშნავენ... და ამავე ქუთათისს უწოდებენ, აქედან ცხადად ჩანს, რომ ეს არის ორგანიზებული (ბუნებრივი) ერთეული, რომლის ცენტრი არის ქუთათისი... ეს იგულისხმება (და ალბათ ამას გულისხმობენ) კიდევაც ის ძველი მწერლები და შემდეგ გვიან ქართველი მწერლები „სამოქალაქოში”[117,] გამოდის, რომ მეგრულ – ჭანური „მოხირისი” ქართული „სამოქალაქოს” შესატყვისი ძველი სახელწოდებაა, ე. ი. სინონიმია.

უქიმერიონი (**Ουχείμερίον**) პროკოპი კესარიელი-VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი, ერთადერთი ავტორია, რომელიც მოიხსენიებს ლაზების ციხესიმაგრეს უქიმერიონს **Ουχείμερίον**[118]

„...ქუთაისის მახლობლად არის ერთი მეტად მაგარი ციხე, სახელად უქიმერიონი; აქ ჰყავდათ ლაზებს კარგი მცველი რაზმი. ამ ციხის დაცვაში მონაწილეობას ღებულობდა რამდენიმე რომაელი ჯარისკაციც – აი, აქ დაბანაკდა მერმეროე მთელი თავისი ჯარით. კოლხიდის საუკეთესო ნაწილი მას ეპყრა და მოწინააღმდეგეებს დაბრკოლებას უქმნიდა, რომ უქიმერიონის ციხეში სურსათი მიეწოდებინათ, ან სვანიისა და ეგრეთწოდებულ სკვიმნიაში ევლოთ, თუმცა ეს ქვეყანა მათი ქვეშევრდომი იყო. ვინაიდან, მოწინააღმდეგე რომ მოხირისში იჯდა, ლაზებსა და რომაელებს ამ ქვეყნისაკენ გზა მოჭრილი აღმოაჩნდათ”. (BG, VIII, 14). იქვე განაგრძობს: თუ, როგორ ჩაიგდო მოღალატის შემწეობით მერმეროემ ხელში უქიმერიონის ციხე და „მოხირისიდან-იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გამოაცალა ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს” ან კიდევ: „რადგან უკვე ზამთრის ჟამი იყო დამდგარი მერმეროემ ხის კედელი ააგო კოტაისში და ჩააყენა იქ სპარსელ მეომართაგან შედგენილი მცველი რაზმი, არანაკლებ სამი ათასი კაცისა: უქიმერიონშიც დასტოვა საკმაო ხალხი. თვითონ კი ააშენა ლაზთა მეორე ციხე, რომელსაც სარაპანისს ეძახიან და რომელიც ზედ ლაზიკის საზღვრებთან მდებარეობს და იქ დარჩა”. (BG, VIII, 16); ეს არის სულ! არსად სხვაგან უქიმერიონის შესახებ არანაირი ცნობა არ არის.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ქუთაისში იმოგზაურა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ. სწორედ მან სცადა პირველად პროკოპი კესარიელთან მოხსენიებული უქიმერიონის ციხის ლოკალიზება არქიელის გორაზე შემორჩენილი ძველი ქუთაისის ციხექალაქის ნაშთებთან (დიუბუა, 1843): დიუბუა შეცდომაში შეიყვანა იმან, რომ ის საკუთრივ ქუთაისის ციხეს ქალაქის ვაკე ნაწილში ვარაუდობდა[119].

სამწუხაროდ, ეს მცდარი იდენტიფიკაცია ბოლო დრომდე რჩებოდა დამკვიდრებული, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში, ისე ადგილობრივ მოსახლეობაშიც კი [გორგაძე ს., 1911, 3[120]; ჯავახიშვილი ივ., 1960, 428[121]; ბაქრაძე დ., 278[122]; ჩაკვეტაძე ვ., 1960, 17[123]; ჯაოშვილი ვ., 1989, 65[124]]. ტრადიციის მიხედვით, ზოგიერთი ავტორი ამას იმეორებს დღესაც [ჩაჩხუნაშვილი ც; გვ. 46[125]; ნიკოლეიშვილი მ., 2009, 17[126]]; თუმცა იმთავითვე ასე არ ფიქრობდა ყველა, მაგ. აკად. მ. ბროსე. იგი უქიმერიონს ქუთაისის გარეთ ეძებდა და ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად ოკრიბაში, წყალწითელას ხეობაში არსებული ტოპონიმი ოხომირა წარმოედგინა [ბროსე, Add, 102, 3[127]]. უდავოდ მომხიბვლელი სახელწოდებაა „ოხომირა”-„უხიმერიონი”, „ოხვამერი”. (სალოცავი...), მაგრამ ამ სოფლის ტერიტორიაზე ციხის ნაშთების არანაირი კვალი არ არსებობს.

ამ მიმართულებით ძალზე საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა აკად. ნ. ბერძენიშვილმა; მისი აზრით: „უქიმერიონის ციხე მოხირისის ქვეყანაშია და არა მის გარეთ, თანაც ცხენისწყლის აღმოსავლეთით, თუმცა არა მარტო ცხენისწყალსა და რიონს შუა". [ბერძენიშვილი ნ., 1990, 518-520][128]; და იქვე, იმავე სექტორში არსებულ ცუცხვათის ციხეზე აჩერებს თავის ვარაუდს. წყაროთა შესანიშნავმა ანალიტიკოსმა მისთვის ჩვეული ინტუიციით მიმართულება ზედმიწევნით სწორად განსაზღვრა, მაგრამ ძეგლების არქეოლოგიური შეუსწავლელობის გამო, გადამწყვეტი დასკვნის მიღება ვერ შეძლო ამიტომაც საკითხი ღიად დარჩა. ჩვენი მონაცემებით ცუცხვათის ციხე გვიან შუა საუკუნეების ნაგებობაა, იგი სავარაუდოდ, ერთ-ერთი ოკრიბელი ფეოდალის საკუთრება უნდა ყოფილიყო.

ძირეული გარდატეხა უქიმერიონის ლოკალიზაციის საკითხში შეიტანა ცნობილმა წყაროთმცოდნემ და ბიზანტიოლოგმა აკად. სიმ. ყაუხჩიშვილმა. მისი აზრით: „ქართულ საიასტორიო ძეგლებში, როდესაც ქუთაისზეა ლაპარაკი [იხ. მაგ. ჯუანშერი: ქ. ცხ. I, 236, 242; მატიანე ქართლისა: ქ. ცხ. I, 281; სუმბატის ქრ, ქ. ცხ. 385; პაპუნა ორბელიანი გვ. 55, 240, ჭიჭინაძის გამოც. და სხვაგანაც] უქიმერიონის ხსენებაც კი არაა; არსად ქუთაისის ციხე ცალკე სახელწოდებით არ იხსენიება: „ქუთაისით" იგულისხმება ქალაქიცა და ციხეც ერთად". [გეორგიკა II, 1965, გვ. 203][129]; ბატონი სიმონის სხვა არგუმენტებითაც ქუთაისის ციხე და უქიმერიონი ორი სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტია, რაც აბსოლუტური ჭეშმარიტებაა.

ამ სამართლიანმა აღიარებამ (აღმოჩენამ!) ბიძგი მისცა ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტებს-უქიმერიონის ციხე მდ. ცხენისწყლის ხეობაში დაეძებნათ. ასეთად იური სიხარულიძემ დიდღვაბუნას (გორდის) ციხეზე შეაჩერა თავისი არჩევანი [ძეგლის მეგობარი XXI][130]; აღნიშნული იდენტიფიკაციის საფუძველს წარმოადგენდა დიდღვაბუნას (გორდის) ციხის შესანიშნავი მდებარეობა: იგი ცხენისწყლის მარჯვენა, კლდოვან ნაპირზე მდებარეობს კოლხეთის მთისა და ბარის გამყოფ მიჯნაზე და შესანიშნავად კეტავს ლეჩხუმისაკენ მიმავალ ერთ-ერთ ძირითად გზას (ცხენისწყლის ხეობას); ალბათ, ამავე ფაქტორმა მოხიბლა ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი აკად. დ. მუსხელიშვილი, როცა მან სიხარულიძისეულ ლოკალიზაციას დაუჭირა მხარი. [მუსხელიშვილი დ.., 2004, 287][131];

ბოლო პერიოდში გამოქვეყნდა ვ. ჩიხლაძის წერილი „ნასოფლარ დიდღვაბუნას" შესახებ, სადაც ასევე პატ. მკვლევარი კვლავ აყენებს საკითხს დიდღვაბუნას ციხის უქიმერიონთან იდენტიფიკაციის თაობაზე [ჩიხლაძე ვ., 2003, 51][132];

როგორც ვხედავთ, უქიმერიონის ლოკალიზაციის შესახებ აზრთა სრული სხვადასხვაობა იყო. დამკვიდრებული ტრადიციით, მეტნაკლები ინტენსივობით ასე გრძელდება დღესაც. პრობლემის საბოლოო გადაწყვეტისათვის პრიორიტეტი არქეოლოგიას ეკუთვნის. საბედნიეროდ მასზე უკვე დღესდღეობით თამამად შეიძლება საუბარი.

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ჩვენ აღნიშნულ საკითხს ვიკვლევთ ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური შესწავლის ფონზე. უფრო მეტიც, საგანგებოდ განვახორციელეთ ცხენისწყლისა და წყალწითელას ხეობების ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა და სათანადოდ შევისწავლეთ გზები, გადასასვლელები, საკონტროლო პუნქტები და ა. შ. შესაბამისად, არაერთგზის გამოვხ-

ატეთ ჩვენი დამოკიდებულება ამ თემასთან დაკავშირებით. [ლანჩავა ო., 1996, 180[133]; ლანჩავა ო., 1996, 36[134]; ლანჩავა ო., 2007, 141][135]; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თემის განხილვისას პირველყოვლისა ჩვენ ვეყრდნობით წყაროში მოცემულ პირდაპირ ეპითეტებს („ქუთათისის მახლობლად", „მეტად მაგარი"), კონტექსტის ანალიზს, (ორი მიმართულების დაცვა, თანაც ქუთათისის აღმოსავლეთით), ამასთანავე ვითვალისწინებთ მთავარი მაგისტრალის სტატუსს, მანძილს, რელიეფის სირთულეს, გზის უსაფრთხოებას და მასზე სახელმწიფო კონტროლის შესაძლებლობას, მარშრუტის უპირატესობას და რა თქმა უნდა, ბოლოდროინდელ არქეოლოგიურ მონაცემებს, რომელსაც ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ.

ადრე გამოთქმული დებულებების განმეორება რომ არ გამომივიდეს, უქიმერიონის ლოკალიზაციის საკითხზე ამჯერად მოკლე დასკვნებით შემოვიფარგლებით:

1. **უქიმერიონი** – არქიელის გორაზე არაა. ეს კარგად დაადასტურა ქუთაისის 25 წლიანმა არქეოლოგიური კვლევის შედეგებმა. არქიელის გორაზე-პროკოპისეული „კოტატის-მოხირისის" ციხეა. ე.წ „დიდი ქუთათისის" ციხე ანუ დედაციხე...

2. **უქიმერიონი** – არ შეიძლება იყოს დიდღვაბუნას ციხე. იმიტომ, რომ დიდღვაბუნა არქეოპოლისის „ქვეყნის" სასაზღვრო ციხეა და რაც მთავარია, „მოხირისის მხარის" გარეთ რჩება ცხენისწყლის გაღმა. ქრონოლოგიურადაც ციხე და მის ირგვლივ არსებული ნამოსახლარი უპირატესად გვიანანტიკური ხანისაა (III – IV სს.) და არა ბიზანტიური ეპოქისა (VI ს.). მოცულობითაც არ შეესაბამება პროკოპის მიერ აღწერილ უქიმერიონს. საშუალო საუკუნეებში ის გორდის ციხედაა ცნობილი და განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა მას ცხენისწყლის ხეობისთვის და საკუთრივ „გორდის ქვეყნისათვის".

3. **უქიმერიონი** – კონტექსტის მიხედვით აღმოსავლეთ ლაზეთშია, კოტაის-მოხირისის აღმოსავლეთით, შორაპან-იბერიისაკენ და ლეჩხუმისაკენ მიმავალ გზებზე. უფრო სწორად ამ გზების განტოტებაზე. მისი განსაკუთრებული თვისება, სწორედ ორი მიმართულების დაცვა და კონტროლია. თუ გავითვალისწინებთ რომ, აღნიშნული გზის გაყოლებაზე ბრინჯაოს ეპოქის მრავალი განძია აღმოჩენილი და ვახუშტის გეოგრაფიაც ამ მარშრუტს აძლევს პრიორიტეტს [ქართლის ცხოვრება IV, გვ. 754-762][136], მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

ციხე-ქალაქად უქიმერიონის არსებობა წყაროთა მიხედვით მხოლოდ VI – (VII) საუკუნეებს უკავშირდება. ასეთი პუნქტი „ქუთათისის მახლობლად" თანაც „მეტად მაგარი" და ქრონოლოგიურად ეპოქის შესატყვისი მოწამეთის მონასტერია. (სურ. 183). დავითისა და კონსტანტინეს ცხოვრების ავტორი მოიხსენიებს: „ადგილსაი მას, რომელსა რჰქვიან წყალ წითელ, რამუთუ იყო ადგილი იგი ციხე ქალაქ და ერ მრავალ" [საბინინი, 1882, 330][137]; აკად. ნ. ბერძენიშვილი მიანიშნებს: „მოწამეთა შესანიშნავი ადგილია წყალწითელას მიერ შექმნილი ნახევარკუნძული. უეჭველია ადრეფეოდალური ხანის ძეგლი" [ბერძენიშვილი ნ., 1990, 468][138]; ბატონი ნიკოს თვალთახედვა უტყუარად დაადასტურა მიმდინარე წელს მოწამეთაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა. ამ წამოწყების ინიციატორი გახლდათ იმერეთის მხარის გუბერნატორი, როცა დაიგეგმა მოწამეთის მონასტრის სრული რეაბილიტაცია, იგი დაევალა გელათის კომპლექსის სარეაბილიტაციო პროექტის ავტორებს კ. ტრაპაიძის ხელმძღვანელობით. ამ ბედნიერმა შემთხვევამ საშუალება მოგვცა ჩაგვეტარებია ფართომასშტაბიანი სადაზვერვო–არქეოლოგიური კვლევები და გადაგვემოწმებინა ჩვენი ადრინდელი მოსაზრებები.

ერთი თვის განმავლობაში, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისა და აკაკი წერთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ* ზედმიწევნით შედეგიანი სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოებით დადო სრულიად ახალი სამეცნიერო დასკვნა VI საუკუნეში მძლავრი ციხესიმაგრის არსებობის შესახებ მოწამეთის მონასტრის ტერიტორიაზე.

ჩვენი მოლოდინი გამართლდა; უქიმერიონი მოწამეთაშია, იგი წმინდანთა ცხოვრებაში მოხსენიებული „ციხე ქალაქი წყალ წითელია", რომელიც VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბებს დაურბევიათ: „რამეთუ ყრუსა მურვანსა გამოეღო, აღეოხრა და დაეწვა და იყო უკაცურ".

სურ. 183.
საერთო ხედი

*ექსპედიცია მუშაობდა იგივე შემადგენლობით როგორც ქუთაისსა და გელათში: პროფ. ო. ლანჩავა (ხელ-ლი), მ/დ. რ. ისაკაძე (მოადგილე), მ/დ. ნ. ქარციძე (ოპერატორი), მ/დ. მ. ჭუმბურიძე, მ/კ. მ. ხვედელიძე, უნივერსიტეტის მაგისტრები და დოქტორანტები: შ. ბუაძე, თ. შალამბერიძე, ნ. აბჟანდაძე, რ. არშილავა, ა. ჩუბინიძე, ზ. გაჩეჩილაძე.

არქეოლოგიური კვლევის შედეგები ასეთია:

სასიმაგრო სისტემა გამართულია წყალწითელას ხეობაში შეჭრილ ნახევარკუნძულისებურ პლატოზე, მისი გეგმარება განპირობებული იყო რელიეფის შესანიშნავი ფორმით. იგი გამოირჩევა განსაკუთრებული თავდაცვისუნარიანობით ციცაბო ქარაფებიანი ფერდობებით და მიუვალია. დამხრობილია ჩრდილოეთიდან-სამხრეთისაკენ. მისი საერთო ფართობი იყო 5350 მ2. ციხე-ქალაქის გეგმარებაც აქედან გამომდინარეობს. (სურ. 184, 185).

იგი შედგებოდა სამი ნაწილისაგან:

1. ზედა სიმაგრე

2. შუა სიმაგრე (ციტადელი)

3. ქვედა სიმაგრე

ზედა სიმაგრე, რომლის საერთო ფართობი დაახლ. 2000 კვ. მეტრია ჩრდ. მხრიდან 60-ოდე მეტრი სიგრძის ვიწრო ყელით (სიგანე 3 მ.) უკავშირდებოდა გარე სამყაროს. სტუმარს უპირველესად ხვდებოდა გზის აღმოსავლეთით შემაღლებულ ქარაფზე აღმართული მთავარი ბასტიონი – სწორკუთხა კოშკი. (ინტერ. ფართობი 40 კვ. მ.) ამჟამად, აქ მხოლოდ გალავნის კედლის დიდკვადროვანი წყობის ნაშთებია შემორჩენილი, ხოლო, საკუთრივ კოშკის გეგმას მიანიშნებს კლდექანში ამოკვეთილი, კვადრების ჩასაწყობი ბუდეები. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შემაღლება შიშიანობის დროს მცირე ციტადელის ფუნქციასაც ასრულებდა. (სურ. 186, 187)

ყოველ შემთხვევაში, ციხესიმაგრის მცველთათვის სტარტეგიულად იგი მოხერხებული და ხელსაყრელი ადგილი იყო. აღნიშნული სიმაგრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა ქალაქში შესასვლელი მთავარი კარიბჭე. ბჭე თაღიანი იყო. ახლა აქ მრავალი გადაკეთების კვალი ჩანს, მაგრამ საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი დიდკვადროვანი წყობით ამოყვანილი ბურჯები. განსაკუთრებით დასავლეთის მხარეს, რომელიც შიდა მხრიდან გამაგრებული იყო მრავალკუთხა კოშკით, რომელიც შიდა კარის მოვალეობას ასრულებდა. ე. ი. ფლანკირებას უწევდა ალაყაფის კარს. ფაქტობრივად კარიბჭეს ორმაგი შესასვლელი ჰქონდა. (ინტერიერის ზომები დაახლ. 30 კვ. მ.), საკუთრივ კედლის სიგანე 1,60 მ-ია.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი არქეოლოგიური მასალა მოგვცა კარიბჭის კოშკის ინტერიერის გათხრებმა. პირველ ყოვლისა, ესაა ბზენარევი აგურის ბლოკები, რომელიც აქამდე ჩვენთვის ცნობილი იყო მხოლოდ ელინისტური





სურ. 184. სიტუაციური გეგმა

სურ. 185. ტოპოგეგმა

სურ. 186. წყობის ხასიათი

სურ. 187. კოშკის ინტერიერის ფრაგმენტი

ხანის ნამოსახლარებიდან. (მაგ. ვანის ნაქალაქარი). ასევე ალიზით ნაგები კედლების არსებობა დადასტურებულია არაგვის ხეობის ადრე შუა საუკუნეების ციხის გათხრებისას. ისე როგორც ურბნისში და მცხეთის გალავანზე [რამიშვილი რ., 2008, 8][139] უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ზოგიერთი ნაგებობა სწორედ აგურისაგან იყო აგებული. კოშკის სახურავად გამოყენებული ყოფილა მაღალბორტიანი კრამიტები სოლენი და კალიპტერი, ზუსტად ისეთი, როგორიც ქუთაისის ნაქალაქარზეა აღმოჩენილი. მრავლად აღმოჩნდა საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკის ფრაგმენტებიც (ქვაბქოთნები, ქოთნები და სხვ.)

ციხესიმაგრის ამ ნაწილში ბევრი ნაგებობა აღარ შემორჩა. ციცაბო ფერდობებმა კულტურული ფენები ცუდად შეინახა. თითქმის მთლიანად გადარჩა აღმოსავლეთ ფერდობზე არსებული ე. წ. ჭა-მაცივარი, რომელიც შესანიშნავი ოსტატობით არის ამოყვანილი, იქვეა, **ზედა სიმაგრის** ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ერთმანეთში ჩადგმული ქვევრები, როგორც ჩანს მეციხოვნეთათვის წყლის მარაგის შესანახად. შემორჩენილ ძეგლთა შორის განსაკუთრებით შთამბეჭდავია ქვაკვადრი „ბოლნური ტიპის ჯვარმედალიონით". (სურ. 188).

ჯვარ – მედალიონიანი კვადრი კედელში მიწის ზედაპირიდან 2,5 მ. სიმაღლეზეა ჩაშენებული, იგი ძირითადი წყობის ქვებისაგან სრულიად განსხვავებულია, ძლიერ გამოფიტულია და პატინიზირებული, რაც მის არქაულობაზე მეტყველებს. კარგად ჩანს, რომ ეს კვადრი აქ ერთ-ერთი რეკონსტრუქციის დროს ჩააშენეს. მანამდე, როგორც ჩანს, იგი სხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა და შესაძლოა ადრექრისტიანული ხანის ქვაჯვარის ბაზისი იყო.

მედალიონში ჩასმული ჯვრის გამოსახულება სიბრტყის გარეთაა ამოზიდული. იგი მარჯვენა და მარცხენა წიბოდან თანაბარი მანძილითაა დაშორებული, მაგრამ ქვევითაა დაწეული ისე, რომ ქვედა ნაწილი თითქმის ებჯინება კვადრის ქვედა წიბოს. ჯვარი ორმაგ წრეშია ჩასმული, რომლის დიამეტრიც 30 სმ – ია. ჯვრის ასეთი გამოსახვა დამახასიათებელია ქრისტიანობის ადრეული ეტაპისათვის და იგი „ძლევის ჯვარად" („ჯუარი ძლევისაი") არის მიჩნეული, რადგან წარმართულ კულტთან გამარჯვება, როგორც წესი, ჯვრის აღმართვით იწყებოდა. [ბერძენიშვილი დ., 1966: 156, 164, 382; ჩუბინაშვილი გ., 1936, 38; ამირანაშვილი ჯ., 1968: 29][140].

მოწამეთის ჯვრის ანალოგიები ცნობილია ბოლნისის, სამწევრისის, ეძანის და თეთრიწყაროს რელიეფებში. [ჩუბინაშვილი ნ., 1972: 5-35; ბერძენიშვილი დ., 1976: 108,116][141] ამასთანავე, იგი წააგავს გომარეთის, პანტიანისა და კოჯრების ქვაჯვართა ბაზისის ჯვრებსაც. [ალადაშვილი ა., 1971: 9-62][142]. თუმცა მათთან შედარებით უფრო რელიეფურია და ვიწრომკლავებიანი. მიუხედავად ამისა,

სურ. 188. ბოლნური ჯვარი, VI ს.

სურ. 189. კრიპტაში შესასვლელი

მოწამეთის ჯვარ – მედალიონი უყოყმანოდ თავსდება ჯვრების იმ ჯგუფში, რომლებიც VI საუკუნით თარიღდება და „ბოლნური" ჯვრების სახელით იწოდებიან. [ლანჩავა ო., 1980: 21. VI][143].

2. ციხე-ქალაქის შუა ნაწილი **(ციტადელი)** ბუნებრივად (შესაძლოა ხელოვნურადაც) ფლატეებით იყო გამოყოფილი დანარჩენი ორი ნაწილისაგან. (მისი ფართობი უდრის 600 კვ. მ.). სავარაუდოდ, როგორც ჩანს, **ზედა სიმაგრეს**, იგი ასაწევი ხიდით უკავშირდებოდა. ასე აქვს იგი აღწერილი XVIII საუკუნის მოღვაწეს გ. ავალიშვილს [მგზავრობა, 1967], ხოლო ქვედა სიმაგრესთან კიბით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ციტადელის ნაგებობათა შორის, დომინანტი ეკლესია იყო, თუმცა შემორჩენილი ნაშთებით, ძნელია მისი ხუროთმოძღვრული ტიპის ზუსტად განსაზღვრა, სავარაუდოდ, აქ მცირე ზომის ბაზილიკასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამას მიანიშნებს ნაგებობის აფსიდი და ე. წ. კრიპტა, (სურ. 189), რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება, იგი გადაკეთებულ-აღდგენილია ახალი ეკლესიის მშენებლობის დროს. წყობა დიდკვადროვანია, დახვეწილი და აშკარად ადრექრისტიანული ხანისაა. წმინდანთა ცხოვრების ავტორის მიხედვით ამ კრიპტაში დაუკრძალავთ არაბებისაგან ნაწამები დავითისა და კონსტანტინეს ცხედრები, წყაროებში ეს ეკლესია ხარების სახელით მოიხსენიება.

ციტადელს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ორი მძლავრი კოშკი იცავდა. მრავალგზის გადაკეთების მიუხედავად მათი ძირითადი ნაწილი დღემდეა შემორჩენილი. ჩრდილოეთის კოშკი კვადრატული ფორმისაა (4X4). აღსანიშნავია ის, რომ ეს კოშკი სალოცავის ფუნქციასაც ასრულებდა. ამჟამად მასზე ბერების საცხოვრებელია დაშენებული.

სამხრეთის კოშკი კარგად იკითხება მრავალფენიან კედლის წყობაში. ამ მხარეს მას კარის ღიობი აქვს დატანებული. კლდის ზედაპირიდან იგი 4 მ. სიმაღლეზე მდებარეობს და როგორც აღინიშნა, ქვედა სიმაგრიდან საგანგებოდ გადაჭრილი ყელით იყო გამოყოფილი. კარგადაა შემორჩენილი კლდეზე ამოკვეთილი კიბის საფეხურები, რომლის ბაქნიდან კოშკში შესვლა ასევე ხის კიბით ხდებოდა. სავარუდოა, რომ აღნიშნული კოშკი ნაწილი იყოს იმ დიდი არქიტექტურული კომპლექსისა, რომელიც წარჩინებულ პირთა ან მეციხოვნეთა ღია აივნიან სასახლეს წარმოადგენდა და მოხდენილად გადაჰყურებდა წყალ-წითელას ხეობის თვალუწვდენელ ციცაბო ქარაფებს...

3. **ქვედა სიმაგრეს**, როგორც წესი ყველაზე დიდი ფართობი ეჭირა (2750 კვ. მ.) ფაქტობრივად ისიც მიუვალი იყო, მაგრამ მისი შედარებით მისადგომი ადგილები კედლებით იყო ამოყვანილი, ზოგან ტიპიური იზოდომური წყობით. ერთ-ერთ კედელში

სურ. 190. კედლის ფრაგმენტი თაღიანი შესასვლელით.

სურ. 191. წყლის რეზერვუარი ქვედა სიმაგრეში

(აღმოს.) ჩვენთვის გაურკვეველი დანიშნულების თაღიანი ღიობია დატანებული, შესაძლოა იგი საიდუმლო გასასვლელის ფუნქციასაც ასრულებდა.... (სურ. 190).

აქ არის გვიან განახლებული გალავნის კედელი მცირე კარიბჭითურთ, რომელშიც ადრინდელი კვადრების მეორადი გამოყენება კარგად ჩანს. რაც გვაძლევს ვარაუდის საშუალებას, მისი წინამორბედის არსებობის შესახებ. ასევე საინტერესო ატრიბუტად გვევლინება დიდი ზომის ბუნებრივი ორმო ანუ რეზერვუარი წვიმის წყლის შესაგროვებლად. (სურ. 191). წვიმის წყალს მიმართულებას რეზერვუარისაკენ აძლევდა კლდის დაქანებულ ზედაპირზე ამოკვეთილი ღარები. ზოგან ორმო-რეზერვუარის კედლები შელესილიც იყო. მასში შეიძლებოდა სულ ცოტა ხუთი ტონა წყლის შეგროვება. დღეს ამ ტერიტორიაზე კელიების მრავალი ნაშთებია და სვეტებიანი აკლდამის ნანგრევები მცირეწლოვანი ბავშვისათვის, რაც გვიან შუა საუკუნეებში აქ სამონასტრო ცხოვრების აყვავებაზე მიუთითებს.

ამ გარემოებით აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტის მეორე ფუნქცია (საკულტო-რელიგიური) სამონასტრო ცხოვრება* გამოდის წინა პლანზე, რითაც სრულ დავიწყებას მიეცა VI – VII საუკუნეების ციხექალაქობის პერიოდი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი ამ წმინდა ადგილის ცხოვრებაში.

მაშასადამე, VI – VII საუკუნეებში ქუთაისი (მოხირისი) და უქიმერიონი დიდი სტრატეგიული დატვირთვის მქონე მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეებია. ქუთაისის ქვეყანა (მოხირისი) ეგრისის შემადგენელი ნაწილია, „მაგრამ ეგრისის შიგნით რაღაც ნიშნით ცალკე ქვეყანას ქმნის". ქუთაისი ამ ქვეყნის ბუნებრივი და პოლიტიკური ცენტრია. თვით ეგრისის სამეფოს პოლიტიკური ცენტრის სტატუსი ამ დროს (VI ს.) ციხე-გოჯს უნდა ჰქონდეს. ქუთაისიდან ციხე-გოჯში ცენტრის გადატანა პოლიტიკური მოტივებითაა ახსნილი და ეგრისში ქართლის სამეფოს ექსპანსიას უკავშირებენ[144]. ჩვენი ვარაუდით, ამ პროცესის დაჩქარებაში გადამწყვეტი როლი ბიზანტიის აგრესიამ შეასრულა, რომელმაც V საუკუნის ბოლოდან მკვეთრად შეცვალა არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ მთელი შავიზღვისპირეთის პოლიტიკური სურათი.

---

*მოწამეთას მონასტრის არქეოლოგიური კვლევის შედეგები განხილულ იქნა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კრებულში, XIX. 2009 წ., ლანჩავა ო., ქარციძე ნ., უქიმერიონი „ციხექალაქი წყალწითელია" გვ. 9).

ამჟამად საკითხს მონოგრაფიულად სწავლობს მ/დ. რ. ისაკაძე, შესაბამისად ამ საინტერესო გეოგრაფიული პუნქტის სრული ისტორია მის მიერ ცალკე ნაშრომში იქნება წარმოდგენილი. დღეს მოწამეთის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია დასრულებულია.

შენიშვნები

1. *ამ ჯიშის კირქვა მრავლად მოიპოვება ციხე-ქალაქის მომიჯნავე ტერიტორიაზე. საერთოდ, ამ სამშენებლო მასალით ძალზე მდიდარია ქუთაისის მიდამოები, რაც სხვადასხვა პერიოდში ქალაქმშენებლობის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი პირობა იყო. მითუმეტეს, აქვე ხდებოდა კირის გამოწვაც.*
2. *მაგალითად, ტრაპეზუნტის ციტადელის იზოდომური წყობა ტყუპის-ცალივით ჰგავს ქუთაისის ზღუდის წყობას (იხ. The Bizantine monuments and topography the pontos, Ant hazony Bryer and **David Winfield**. Waschington. 1985, სურ. 137ბ და 154ბ.*
3. *Britania: the Roman conguest and ocupation of Britain bi george Patrick welch. 1963, გვ. 179-195.*
4. ***ზაქარაია პ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 126.*
5. *V საუკუნის 70-იან წლებამდე ეგრისის სამეფოს ძლიერება ეჭვს არ იწვევს, მაგრამ შემდგომში აშკარაა მისი ერთგვარი დასუსტება, რაც სვანეთის დაკარგვაში გამოიხატა. დასუსტების მიზეზებს ხედავენ ქართლის სამეფოს გაძლიერებაში, რაც ნაწილობრივ მისაღებია, მაგრამ ბიზანტიასთან ურთიერთობის გამწვავებამ, მისი აგრესიის გაძლიერებამ, ვფიქრობთ, დაასუსტა ეგრისის აყვავებული ქვეყანა (შდრ. **ლომოური ნ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 79).*
6. *V ს – ის შუა ხანებიდან ქუთაისს უჩნდება ღირსეული მეტოქე არქეოპოლისის სახით, რომელმაც თანდათან პოლიტიკური პირველობა მოიპოვა.*
7. ***ბოგვერაძე ა.,** პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ..., გვ. 191 – 192; **ლომოური ნ.,** საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში. გვ. 77 – 80. ავტორი ვარაუდობს, რომ ამ დროს მნიშვნელოვნადაა დაზარალებული ციხე-გოჯიც.*
8. *წრიული დედაბურჯები ცნობილია სირიის ძეგლებზე. ისინი აქაც ზღუდე – გალავნის კუთხეებშია გამართული-**Horst Klengel,** sirien. გვ. 195-197. საერთოდ, დედაბურჯისმაგვარი წრიული ფორმის კოშკები ძირითადად დამახასიათებელი იყო სიმაგრეთა კუთხეებისათვის, როგორც ზღუდე – გალავნის დამჭერი და მთავარი საყრდენი საშუალება. მათი აგება ძნელი იყო და ამიტომაც აუცილებლობის შემთხვევაში აკეთებდნენ მხოლოდ (Architectura Bizantina, Venezia, 1974, gv. 31-39).*
9. ***Леквинадзе В.,** По поводу Анакопийской крепости. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXV-B, თბ., 1968 წ., გვ. 89 და შმდ., ტაბ. IIა.*
10. ***Horst Klengel,** დასახ. ნაშრომი, გვ. 187. იხ. გენ. გეგმა.*
11. ***ზაქარაია პ., კაპანაძე თ.,** ციხე-გოჯი, არქეოპოლისი – ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991 წ.*
12. ***Воронов Ю. Н.,** Тайна Цебельдинской долины...с. 29.*
13. ***Леквинадзе в. А.,** Материалы по истории и архитектуре Апсарской крепости, ВВ-XX, 1961 г., с. 45-55.*
14. ***Якобсон,** Раннесредневековый херсонес..., **Веймарн Е. В.,** О двух неясных вопросах средневековъя юго-западного Крима. Археологические исследования средневекового Крима. Киев, 1968 г., с. 45-55.*
15. ***Klaus Wessel** christentum am nil. გვ. 171.*
16. ***Fridrich Hild,** das Bysantinische strassen system in Kappadokien Wien 1977, edessa*

the blessend City by B, Segal, oxford 1970, გვ. 62 და შმდ., **Hamilton A.,** Bysantine Architecture. London. 1956.

17. **Wolfgang Muller,** wiener mittelalterliche Befestigungen in sudlichen jonien Deutsches archeologisches institut abteilung Istanbul heft 11, 1961, გვ. 8 და შმდ.
18. **Овчаров Димитър,** Визанийский и българский крепости V-X век. София, 1982 г., с. 36, 66.
19. **Klaus Wessel**, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.
20. Всеобшая история архитектуры. Ленинград-Москва, 1966 г., с. 25.
21. **ლანჩავა ო.,** ქუთაისი ეგრის – ლაზიკის ციხე – ქალაქთა სისტემაში. 1996 წ., გვ. 137; მისივე, ქუთაისის შიდაციხის ბაზილიკა, ქართველური მემკვიდრეობა, X. ქუთაისი, 2006 წ. გვ. 159-160; **ჩაჩხუნაშვილი ც.,** უქიმერიონის წმ. გიორგის სახ. ეკლესია ქუთაისში. „წელიწდეული" III, გვ. 46 და შმდ.
22. ქ – ნ ც. ჩაჩხუნაშვილი ქუთაისის ციხეს კვლავ უქიმერიონს უწოდებს.
23. შედარებისათვის იხ. ლიტ: **ბერიძე ვ.,** ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974 წ., გვ. 17 და შმდ; **Чанева Н.,** Старохристианскати и ранно-византийската Базилика от IV-VI вв. България. Археология, кн. 2, 1968 г; Altchristlische und Byzantinische Kunst, von prof. Dr. **Oskar Wulf,** I Berlin, 1914; **ზაქარაია პ., კაპანაძე თ.,** ნოქალაქევის ბაზილიკები. ციხე – გოჯი..., გვ. 165 და შმდ; ინაიშვილი ა., პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. სდსძ, II, გვ. 91 და შმდ; **Закарая П. А.**, Особенности раннехристянских культовых сооружений Грузии и Армении. თსუ შრომები, 283, გვ. 118; **Horst Klengel** დასახ. ნაშრომი, გვ. 193. აღსანიშნავია, რომ აქ ინტერიერში სვეტების ხუთი რიგია, ჩვენთან კი – სამი.
24. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973 წ., გვ. 169.
25. იქვე, გვ. 251.
26. **Proc.** BG. VIII, 14.
27. სპარსელმა სარდალმა მერმეროემ განიზრახა ეს ციხე აღედგინა, მაგრამ ვინაიდან ამისათვის არაფერი არ ჰქონდა მომზადებული და ამასთანავე ზამთარიც ჩამოწვა, სასწრაფოდ შეაკეთა ხის მასალით ციხის ის ნაწილები, რომლებიც დანგრეული იყო და იქ დაისადგურა (იქვე).
28. უქიმერიონის შესახებ იხ. ქვემოთ.
29. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973 წ., გვ. 283.
30. ეკლესია გადაკეთებამდე ერთნავიანი დარბაზული ტიპის იყო.
31. **მიქელაძე თ.,** ბიჭვინთის ორაფსიდიანი ეკლესია. მსკა, III, გვ. 125 – 130. ორაფსიდიანი ეკლესიები ცნობილია პონტოს აუზში (სამხრეთ – აღმოსავლეთ სანაპიროზე), თუმცა ისინი თავიდანვე ორი აფსიდითაა აგებული (იხ. The Byzantine monuments and topograply of the Pontos Anthary bryger and **David Ninfield,** Waschington, 1985 წ., გვ. 167. სურ. 35) ასეთივე ეკლესიის ნანგრევები აღმოჩნდა ფულმადენში, რომელიც მცირე ზომისაა და აშკარად ადრექრისტიანული ხანისაა (იქვე, სურ. 93).
32. **Закарая П. П., Леквинадзе В. А.,** Археологические раскопки в Шухути, მაცნე, 1966 წ., №1, გვ. 120; **ზაქარაია პ., კაპანაძე თ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 97. თითქმის ყველა ეს აბანო რომაული თერმების პრინციპზეა აგებული, თუმცა მათ შორის დიდი განსხვავებაა როგორც ზომებში, ასევე გეგმასა და დანიშნულებაში. შდრ. SEAVI DJ OSIJA, ic terme del foro odi gavio Massimo, d: Pietro Cicerchia E Alfredo Morimuei Jstituto Poligrafico e zecea dello stato.შდრ. **ჯაფარიძე ვ.,** პატრიკეთის აბანოს შესახებ. ეგრისი ახ. წ. I – VII სს. გვ. 137.

33. *ინვ. №4306 – 85, 4309 – 85, 4303 – 8. ამავე ტიპისაა პირის გვირგვინები. ინვ. №1846 – 84, 2050 – 84.*
34. *ინვ. №4613 – 86, 2389 – 84, 1674 – 84, 5669 – 89, 6471 – 87, 4565 – 86, 3655 – 85, 4171 – 85, 6476 – 87, 6479 – 87 და სხვ.*
35. *საკ. №2439 – 84, 4945 – 86, 3299 – 85, 3460 – 85.*
36. ***Кузманов Г.,** Ранновизантийски керамика от Тракия и Дакия и (IV-началсто на VII в.) разкопки и прошвания книга XIII, София, 1985 г., с 18, тип XIV, кат, №-А-85-а-89.*
37. ***Якобсон А. Л.,** Раннесредневековый херсонес. МИА-63, 1959 г., с. 303, рис. 157.*
38. *Scorpan C., Originu si linii evolutive in ceramica Romano-Bizantina (sec IV-VII) div spc-tial mediterancar si Pontic-Pontica, 9, 1976, P-160, n-23.*
39. *საკ. №4306 – 85, 4649-87, 6448-87, 3813-85.*
40. *საკ. №7447 – 89, 6440 – 87, 6437 – 87.*
41. ***Зеест И. Б.,** Керамическая тара боспора. МИА, 1960 г., №83, с. 121, таб. XI; **Якобсон А. Л.,** Средневековые амфоры Северного Причерноморъя, СА, XV, 1951 г., с. 328-329.*
42. ***ბერძნიშვილი ქ., ფუთურიძე რ.,** ბიჭვინთაში მოპოვებული ამფორები. „დიდი პიტიუნტი", I, თბ., 1975 წ., გვ. 277.*
43. ***Scorpan C**, o. p. C. t. (მითით. ნაშრომი), p. 166, ტ. 48 pl XIV, 1-3.*
44. ***Кузманов**, დასახ. ნაშრომი, გვ. 14, ტიპი VIII.*
45. *საკ. №3788 – 85, 7253 – 88, 6466 – 87.*
46. ***Гайдукевич В. Ф.,** Раскопки Тиритаки в 1935-40 гг. МИА М-Л, 1952 г., с. 100, рис. 120.*
47. ***Robinson H. S.,** Pottery of Roman period. The Athenian Agora vol V. Princcton, new jevseg 1959, p 115 pl 32 (m 329-330).*
48. *საკ. №7292-89, 6274-87, 7037-88.*
49. ***Кузманов Г.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 11-12, ტიპი II.*
50. *საკ. №410 – 84, 4741 – 86, 300-84, 5107-86.*
51. ***Антонова И. А.,** Даниленко В. Н., Ивашута Л. П., Кедеев В. И., Романчук А. И., Средневековые амфоры херсонеса. Античная древность и средние века, Сборник VII, Свердловек, 1971 г., с. 87, тип. X, рис. II.*
52. *საკ. №6473 – 87, 6474 – 87 (ტაბ. XI, 2).*
53. ***Кузманов Г.,** დასახ. ნაშრომი, VII ტიპი, 39.*
54. *საკ. №6774 – 86, 244 – 84 (ტაბ. XI, 4).*
55. ***ბერძნიშვილი ქ., ფუთურიძე რ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 275, ტაბ. 614.*
56. ***Кузманов Г.,** დასახ. ნაშრომი, ტიპი I, 20, 21, 25.*
57. *საკ. №2159 – 84, 232 – 84, 6296 – 87, 2135 – 89, 2593 – 84, 2476 – 84, 2717 – 84, 4284 – 85.*
58. *საკ. №4509 – 86, 4625 – 86, 3314 – 85.*
59. ***ჯაფარიძე ვ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 87 – 89.*
60. ***Леквинадзе В. А., Хведелидзе В. И.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 140, სურ. 17.*
61. ***გამყრელიძე გ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 111.*
62. *საკ. №4604 – 87, 5040 – 87, 2336 – 84.*
63. *საკ. №4572 – 86.*
64. ***ჯაფარიძე ვ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 76.*
65. *საკ. №4942 – 86, 4670 – 86, 5512 – 87.*
66. *საკ. №5139 – 87.*

67. *სავ. №2753 – 84.*
68. *სავ. №3503, 4507.*
69. ***ჯაფარიძე ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 70;* ***სინაურიძე მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 58, ტაბ. X, 1 – 3.*
70. *ინვ. №2213 – 84.*
71. *ინვ. №1458 – 84.*
72. *ინვ. №1338 – 84.*
73. *ინვ. №2351 – 84.*
74. *ინვ. 6943 – 88.*
75. *ინვ. №2170 – 84.*
76. ***ჯაფარიძე ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 34.*
77. ***ბერძნიშვილი ქ.,*** *ბიჭვინთის წითელლაკიანი..., გვ. 113.*
78. ***ფუთურიძე რ.,*** *წითთელლაკიანი კერამიკა სოხუმის ძველი ციხის ტერი-ტორიიდან. მსკა, ტ. IV, 1965 წ., გვ. 105.*
79. *ინვ. №2342 – 84.*
80. ***ჯაფარიძე ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 20-36 და იქვე დასახ. ლიტერატურა.*
81. *ინვ. №2180 – 84.*
82. ***ჯაფარიძე ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 35, ტაბ. VII.*
83. *ინვ. №2180 – 84.*
84. ***ჯაფარიძე ვ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 31.*
85. *ინვ. №2181 – 84.*
86. ***ჯაფარიძე ვ.,*** *ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის. გვ. 98 – 99.*
87. ***ჯაფარიძე ვ.,*** *ვარდციხის ნაქალაქარი..., გვ. 91.*
88. *ინვ. №2220 – 84.*
89. *სავ. №520 – 85.*
90. ***Сорокина Н. П.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 156.*
91. *სავ. №7239 – 89.*
92. *სავ. №7233 – 89.*
93. *სავ. №7319 – 89.*
94. *სავ. №7168 – 89, 7181 – 87, 7235 – 89.*
95. *სავ. №7238 – 89.*
96. *სავ. №4149 – 85.*
97. *სავ. №7167 – 88.*
98. ***Курбатов Г.,*** *Основные проблеми внутреннего развитя Византийского города IV _ VII вв. Л., 1971 г.*
99. ***ცუხიშვილი ი., ლანჩავა ო.,*** *ბიზანტიური სპილენძის მონეტები ქუთაისიდან. ქსუ შრომები, ტ. I (35), გვ. 82.*
100. ***Успенский А. Ф.,*** *История Византии, т. I, СПБ, 1914 г., стр. 425.*
101. ***ცუხიშვილი ი.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 82.*
102. ***Hahn W.,*** *Moneta imperi Byzantini. t. I. Wien, 1973, 54.*
103. *პროკოპი კესარიელთან ეს სახელწოდება ასე გამოითქმის (Mocherisin) (მოხერესი – მოხირისი), აგათია სქოლასტიკოსთან კი: (Moucheirisis) (მუხურისი – მუხირისი).*
104. *(**Ουχείμερίον**) (უქიმერიონი) მხოლოდ პროკოპის აქვს ნახსენები (BG. VIII, 14, 16).*
105. ***ჯავახიშვილი ივ.,*** *ქართველი ერის ისტორია. წიგნი I, თბ., 1960 წ., გვ. 254, 274, 425;* ***ჯანაშია ს.,*** *ეგრისის სამეფოს წარმოშობა. შრომები, II, თბ., 1952 წ., გვ. 320 – 321;* ***მისივე,***

ფეოდალური რევოლუცია სქართველოში. თბ., 1935 წ., გვ. 91, 114; ***ბერძენიშვილი ნ.,*** *ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის. ქუთაისის ისტორიულ – ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, თბ., 1968 წ., გვ. 30;* ***მისივე,*** *საქართველოს ისტორიის საკითხ-ები. თბ., 1990 წ., გვ. 442. და შმდ;* ***მუსხელიშვილი დ.,*** *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. მაცნე, №4, 1974 წ., გვ. 134 და შმდ;* ***გაბუნია გ.,*** *ქუთაისი და „ქუთა-თისის" ქვეყანა (შიდა ეგრისი). ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ – ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, VI, ქუთ., 1993 წ., გვ. 124 და შმდ.*

106. *Dubois…Voyage…II, Pარის, 1839, გვ. 200-210. ეს გაიზიარეს კ. კეკელიძემ, ს. კაკ-აბაძემ და ვლ. ჩაკვეტაძემ (იხ.* ***კეკელიძე კ.,*** *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერა-ტურის ისტორიიდან, VII, 1961 წ., გვ. 29;* ***კაკაბაძე ს.,*** *საისტორიო კრებული, III, გვ. 114;* ***ჩაკვეტაძე ვლ.,*** *გეგუთის ციხე – დარბაზი, თბ., 1958 წ., გვ. 25).*

107. ***ყაუხჩიშვილი სიმ.,*** *გეორგიკა, II, თბ., 1934 წ., გვ. 178. ამ მოსაზრებას იზიარებს დ. მუსხელიშვილი (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125).*

108. ***გამყრელიძე გ.,*** *ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982 წ., გვ. 118.*

109. *აკად. კ. კეკელიძე მუხურისს მუხასთან აკავშირებდა. მართლაც, მრავალსაუკუნო-ვანი მუხის ტყეებით იყო დაფარული ვაკე იმერეთის ძირითადი ნაწილი (გეგუთი, პატრიკეთი, ტყაჩირი, მუხიანი და სხვ.). მუხის კორომები დღემდე შემორჩა ცნობილ აჯამეთის ნაკრძალსა და მუხნარში (სალორია). ტოპონიმები: მუხიანი და მუხნარი, რომელიც ქუთაისის შემოგარენშია დადასტურებული, სწორედ მუხასაგან არის გაჩე-ნილი. თ. ბერიძის განმარტებით მუხური – მხარეა.*

110. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 525.*

111. *სხვაგან ეს შეინიშნება: მარტინესა და ნახორაგანის დიალოგში ნესოსთან, სადაც მარ-ტინე ურჩევს ნახორაგანს: უკეთესი იქნება „რაც შეიძლება მალე გადახვალ იბერიაში, მე კი მუხურისში წავალ" (აგათია, III, 19). ან პროკოპის განმარტებაში: უქიმერიონის ხელში ჩაგდებით „მოხირისიდან – იბერიამდე" მთელი მიწა – წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს" (BG VIII, 16).*

112. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 525.*

113. ***ჟორდანია გ.,*** *მუხურელნი, თბ., 1956 წ., გვ. 51 და შმდ. მასვე მიაჩნია, რომ „ქუთაისი შეიძლება იყოს წარმოშობილი საკუთარი სახელიდან ქუთათი-საგან, რომლის ანალო-გიური სახელები ძვ. წ. III ათასწლეულის ურის III დინასტიის ხანაში გვხვდება" (იქვე, გვ. 168-173).*

114. ***ჩიქობავა არნ.,*** *ჭანურ – მეგრულ – ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938 წ., გვ. 150, 430.*

115. *იქვე, გვ. 151.*

116. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 513-515.*

117. *იქვე, გვ. 237.*

118. *ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო აკად. სიმ. ყაუხჩიშვილმა. გეორგი-კა II, თბილისი, 1965, გვ. 194-204;*

119. *დიუბუას ნაშრომი-„მოგზაურობა კავკასიაში" (ტ. I, პარიზი, 1939 წ., გვ. 384-432) ფრან-გულიდან თარგმნა ფატი გოკიელმა. 1943 წ. პარიზში გამოიცა ატლასი დიუბუასეული ჩანახატებით ერთ-ერთი ილუსტრაცია ეძღვნება ბაგრატის ტაძარს და ძვ. ქუთაისის ხუროთმოძღვრულ კომპლექსს, რომელსაც ის უქიმერიონის ციხედ მოიხსენიებს. (Vou-age Autor da Caucase, Frederic Dubois de Montpereyx, Paris, 1843, II, sezie III a);*

120. ***გორგაძე ს.,*** *ბაგრატის ტაძარი, თბილისი, 1911, გვ. 3;*

121. ***ჯავახიშვილი ივ.,*** *ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 428;*

122. ***ბაქრაძე დ.,*** *საქართველოს ისტორია, 1889, გვ., 278;*

123. ***ჩაკვეტაძე ვლ.,*** *ქუთაისის ისტორიიდან, თბილისი, 1960;*

124. ***ჯაოშვილი ვ.,*** *ქუთაისი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა), თბილისი, 1989, გვ. 55;*

125. ***ჩაჩხუნაშვილი ც.,*** *უქიმერიონის წმ. გიორგის ეკლესია ქუთაისში, „წელიწდეული", III, გვ. 46 და შმდ.*

126. ***ნიკოლეიშვილი მიხ.,*** *ქუთაისი (გზამკვლევი), ქუთაისი, 2009, გვ.*

127. ***ბროსე*** *(Add. 102, 3); ციტირებულია, გეორგიკა II, გვ., 204 (შენიშვნა სქოლიოში);*

128. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1990, გვ. 518-520;*

129. *გეორგიკა II, 1965, გვ. 203; ადრე პატივცემული მკვლევარი უქიმერიონის აგათისეულ ონოგურისის ციხესთან გაიგივებას ცდილობდა, რომელიც შემდეგ უარყო... (გეორგიკა III, 1936, გვ. 62);*

130. ***სიხარულიძე ი.,*** *უხეიმერიონის ადგილმდებარეობისათვის, ძეგლის მეგობარი XXI;*

131. ***მუსხელიშვილი დ.,*** *საქართველო IV – VIII საუკუნეებში, თბილისი, 2004, გვ., 287;*

132. ***ჩიხლაძე ვ.,*** *ნასოფლარი დიდღვაბუნა, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის II კონფერენციის მოსხენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 2003, გვ. 51-54;*

133. ***ლანჩავა ო.,*** *ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთაისი, 1996, გვ. 180;*

134. ***ლანჩავა ო.,*** *ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებები ბიზანტიური წყაროების „კოტაის-მოხირისისა" და „უქიმერიონის" ლოკალიზაციის შესახებ და არქეოლოგიური მონაცემები, ქუთაისის მუზეუმის მასალები, კრ. VIII, 1996, გვ. 36;*

135. ***ლანჩავა ო.,*** *ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი, 2007, გვ. 141 და შმდ.*

136. ***ვახუშტი ბატონიშვილი,*** *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1973, გვ. 754, 762; მოწამეთა სორმონის გავლით ე. წ. „ოჯოლას ხევით", უმოკლესი მანძილია საჩხეურ-დღნორისამდე (ე. ი. ლეჩხუმამდე) „ხოლო დღნორსას ზეით არს რიონზედ არპანი, არპანს ზეით გუელისთავი" ამ გადასასვლელით შეიძლება სვანეთში მოხვედრა. ეს უძველესი გზა ჩანს, რასაც ადასტურებს ამ გზის გაყოლებაზე ბრინჯაოს განძების: (ოჯოლას, დღნორის, თხმორის და გურნის) აღმოჩენაც.*

137. ***საბინინი გ.,*** *საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, გვ. 323-330;*

138. *აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს:* ***ნ. ბალან-ჩივაძემ*** *– გაზ., ქუთაისი, 1976, 17. 08;* ***პ. ვაჭრიძემ*** *– გაზ., ქუთაისი, 1985, 8-1;* ***მ. კეზევაძემ*** *– ქვითხუროონი ბერეკაშვილები, ძეგლის მეგობარი №68, გვ. 64;* ***გ. გეგეჭკორმა*** *– მოწამეთა, 1991 წ;*

139. ***რამიშვილი რ.,*** *აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეთა ხანის ნასოფლარები. კრ. საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2008, გვ. 8*

140. ***ბერძენიშვილი დ.,*** *საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი, 1996, გვ. 156, 164, 382;* ***ჩუბინაშვილი გ.,*** *ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბილისი, 1936, გვ. 38;* ***ამირანაშვილი ჯ.,*** *ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბილისი, 1968, გვ. 29. სურ. 11;*

141. ***Чубинишвили Н.,*** *Хандиси..., ТБ., 1972 г., с. 5-35;* ***ბერძენიშვილი დ.,*** *ორი ქვაჯვარის ბაზისი ქვემო ქართლიდან. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 108 – 116.*

142. ***Аладашвили А. Н.,*** *Монументальная скулптура Грузии. 1971 г., с. 9-62.*

143. ***ლანჩავა ო.,*** *მოწამეთის წარსულისათვის, გაზ., ქუთაისი, 1980, 20-4;*

144. ***Мусхелишвили Д. Л.,*** *К вопросу о центре Эгрисского царства, сб. Кавказ и Средиземноморье. ТБ., 1980 г., с. 135-138.*

VII თავი | ქუთაისი VII–VIII საუკუნეებში

ბიზანტიის ბატონობა ეგრისში VII საუკუნეშიაც გაგრძელდა. ჯერ კიდევ VII საუკუნის 20-იანი წლებიდან ჰერაკლე კეისრის ძლევამოსილი აღმოსავლური ლაშქრობების მთავარი დასაყრდენი პონტოსპირეთში ეგრისი იყო. აქ ახდენდა ის ჯარის რეორგანიზაციას და შევსებას მოკავშირეებით[1]. მაგ. მეორე ლაშქრობისას იგი უშუალოდ ლაზიკის გზით შეიჭრა სპარსეთში (626 წ.) და კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი გავლენა ამ მხარეში. ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლები ამიერკავკასიაში ჰეგემონიისათვის საბოლოოდ ბიზანტიის ძლევამოსილი გამარჯვებით დასრულდა. კეისრის ხელში მოექცა და იმპერიის პოლიტიკური და კულტურული სივრცის ნაწილი გახდა ეგრისი, ქართლი და სომხეთი[2]. მართალია, ამ ქვეყნების სამეურნეო განვითარებაში დამარბეველი ომები სერიოზულ დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცა, მაგრამ ახალგაზრდა ფეოდალური ქვეყნის გლობალური სოციალურ – ეკონომიკური განვითარების წინსვლა მაინც არ შეჩერებულა და ზოგადად კვლავ წარმატებულ ხასიათს ატარებდა. თუ გადავხედავთ ამ პერიოდის „ნუმიზმატიკურ რუკას" თვალსაჩინოდ დავინახავთ ამიერკავკასიის დიდ სავაჭრო – სატრანზიტო მნიშვნელობას და ამ რეგიონის აქტიურ როლს საერთაშორისო საქონელგაცვლით პროცესში, სადაც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხიც იყო ჩართული. საერთაშორისო სავაჭრო – ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე წარმატებით ვითარდებოდა შიდაკავკასიური და შესაბამისად შიდაქართული კულტურულ – ეკონომიკური კავშირები, რაც გამოწვეული იყო ამა თუ იმ ქვეყნის ცალკეული ოლქების სამეურნეო – ეკონომიკური აღმავლობით. არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ ქუთაისის (მოხირისის) მხარის ეკონომიკურ აღმავლობასაც, რაც პოლიტიკური მორჭმულობის საფუძველი უნდა გამხდარიყო უთუოდ, რა თქმა უნდა, საგარეო – პოლიტიკურ ფაქტორთა გათვალისწინებით და ხელშეწყობით. საინტერესოა რომ, ბიზანტიის პოლიტიკური სუვერენიტეტის დამყარება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებას უწყობდა ხელს და საერთო ქართული კულტურული განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, რომლის დასაყრდენ ფორპოსტად დასავლეთ საქართველოში ქუთაისი გვევლინება.

სამწუხაროდ, წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მოძრაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე VII საუკუნის შუა ხანებში საქართველოში გამოჩნდნენ არაბები, რამაც რადიკალურად შეცვალა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ვითარების ბალანსი და სამი დიდი იმპერიის: ბიზანტიის საკეისროს, არაბთა სახალიფოს და ხაზართა კაგანატის სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებს დაუქვემდებარდა ქვეყნის შემდგომი პოლიტიკური განვითარების პროცესი. განსაკუთრებით აუტანელი შეიქნა ეგრისში ბიზანტიელთა ბატონობის შედეგები. ამიტომაც როგორც ბიზანტიელი ქრონოგრაფი თეოფანე ჟამთაღმწერელი გადმოგვცემს 697 წ. „აჯანყდა ლაზიკის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე და ეს ქვეყანა არაბებს დაუქვემდებარა"[3].

როგორც ვხედავთ, ეს ხდება VII საუკუნის დასასრულს. არა და, თითქმის VII საუკუნის 60-იან წლებამდე ნათლად არაფერია ცნობილი ეგრისთან დაკავშირებით. მხოლოდ ამ დროისათვის გვაქვს ერთი მეტად სანდო წყარო. ესაა ანასტასი აპოკრისიარის წერილი, რომელიც მან მისწერა თეოდოსი განგრელს. ეს უკანასკნელი კი, ჩამოსული იყო ეგრისში მაქსიმე აღმსარებლის სიკვდილის შემდეგ (662 წ.), რათა შეეკრიბა ცნობები ლაზიკაში გადასახლებულთა შესახებ და ესაუბრა „ლაზიკის პატრიკიოს – ლებარნიკიოსს".

როგორც ანასტასი აპოკრისიარის წერილიდან, ასევე თეოდოსის „მოგონებებიდან" ჩანს VII საუკუნის 60-იანი წლებისათვის ეგრისში მეფობა კარგა ხნის გაუქმებულია და ქვეყანას პატრიკიოსები მართავენ. აფხაზეთი ამ დროს ცალკე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია, (როგორც ჩანს ეკლესიურადაც), ხოლო აფშილეთი მისიმიანეთი, სვანეთი და ლეჩხუმი ეგრისის უშუალო პროვინციებია. ეგრისის ფარგლებში ჩანს, რაჭა, არგვეთი და აჭარაც[4].

ეგრისის სამთავროს შინაგანი სოციალურ – პოლიტიკური მდგომარეობა არასტაბილურია. სულ რაღაც, რამოდენიმე წელიწადში ოთხი მმართველი ჩანს შეცვლილი. აქედან ორი ძალით გაუძევებიათ. მეოთხეა „ლაზიკის პატრიკიოსი ლებარნიკიოსი", რომელიც მამა იყო 697 წ. ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებული სერგი ბარნუკის ძისა, რომელმაც ქვეყანა დაუმორჩილა არაბებს და უკვე VIII საუკუნის დასაწყისისათვის „სარკინოზებს უპყრიათ აბაზგიაც, ლაზიკეც და იბერიაც" (თეოფანე).

ახლა საინტერესოა რა ხდებოდა (არაბობამდე და მათ დროს) ეგრისის ერთ – ერთ მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრში ქუთაისში. წყაროთა ცნობების მეტისმეტი სიმწირის გამო ამ ქალაქზე სრულყოფილი ინფორმაცია არ გაგვაჩნია, მაგრამ მაინც შეიძლება გარკვეული წარმოდგენის შექმნა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მაქსიმე აღმსარებლის მოწაფეების ანასტასი ბერისა და ანასტასი აპოკრისიარის მუკორისისში (მოხირისში) მიყვანა, საიდანაც ისინი შემდეგ სვანეთისა და თაკვერიის ციხეებში გადაანაწილეს. მუკორისისა და მოხირისის იდენტურობას თითქმის ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, ხოლო მოხირის – ქუთაისის იგივეობაზე ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. ამჯერად აღვნიშნავთ იმას, რომ აქ პირდაპირი მითითებაა აღნიშნული პუნქტის სატრანზიტო დანიშნულებაზე და მასზე გამავალი გზების პრიორიტეტზე. (ასე იყო ეს წინა VI საუკუნეში უქიმერიონთან მიმართებაში...), მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ სავარაუდოდ აქვე უნდა ყოფილიყო პატრიკიოსის რეზიდენცია, რომელიც საეკლესიო ხელისუფალიც იყო და უშუალოდ კონსტანტინეპოლის მითითებებს განახორციელებდა ქვეყანაში. ალბათ ამან განაპირობა გადასახლებულთა მოხირისში მიყვანა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქუთაისის მახლობლად სოფელ პატრიკეთის სახელწოდების დადასტურება და იქ აღმოჩენილი ადრებიზანტიური ხანის აბანოს ნაშთების არსებობა[5], რაც შესაძლოა პატრიკიოსის საზაფხულო რეზიდენციის შემორჩენილი კვალის დასტურიც იყოს. მოხირის – ქუთაისის დიდ მნიშვნელობას მიუთითებს VII საუკუნის რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფიაში" Gotaisin-ის მოხსენიება, როგორც მოქმედი სავაჭრო – სატრანზიტო და ეკონომიკური პუნქტისა. ალბათ ამასვე ადასტურებს VII საუკუნის სომხური გეოგრაფის „აშხარაცუიცი" – ს ცნობა, რომელიც ეგრისის ხუთ დიდ ქალაქთა შორის ასახელებს ქუთაისს (კოტას). მაშასადამე, ამ ცნობების

საფუძველზე ქუთაისი VII საუკუნეში მნიშვნელოვანი სავაჭრო – სატრანზიტო – ეკონომიკური და რელიგიურ – პოლიტიკური ცენტრი ჩანს.

ბოლო დრომდე ქართულ ისტორიოგრაფიაში მტკიცედ იყო გაბატონებული აზრი მურვან ყრუს შემოსევამდე (VIII ს. 30-იან წლები) დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად ნოქალაქევ – არქეოპოლისის აღიარების თაობაზე. საინტერესოა, რომ ნოქალაქევის არქეოლოგიისა და არქიტექტურის ერთ – ერთმა თვალსაჩინო სპეციალისტმა ვლ. ლექვინაძემ ჯერ კიდევ ადრე გამოთქვა აზრი VI საუკუნის ბოლოს არქეოპოლისის დაცემა-განადგურებასთან დაკავშირებით. შესაბამისად მისი სტატუსის შეცვლის შესახებ. უკანასკნელ ხანებში ციხეგოჯ – არქეოპოლის – ნოქალაქევის არქეოლოგიურ შესწავლას მეტად საინტერესო საკვალიფიკაციო ნაშრომი მიუძღვნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. ლომიტაშვილმა, სადაც პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში „მოხდა დასაბუთება იმ ფაქტისა, რომ ნოქალაქევ – არქეოპოლისმა დედაქალაქობის ფუნქცია დაკარგა არა VIII საუკუნის 30 – იან წლებში, არამედ VI საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის დასაწყისში". ჩვენ ამჯერადაც სავსებით ვიზიარებთ ამ დებულებას, თუმცა ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია ახ. წ. III საუკუნიდან (II ნახევარი) ვიდრე VII საუკუნემდე არქეოპოლისის ეგრისის დედაქალაქად გამოცხადება. ავტორის მიერ მოშველიებული წყაროები (იუსტინიანე, პროკოპი, აგათია და სხვ.) არანაირად არ იძლევა საფუძველს III – V საუკუნეებში ნოქალაქევის პირველქალაქობის თაობაზე[6]... ჩვენი ვარაუდით ეს სტატუსი VI საუკუნემდე ქუთაისს ჰქონდა. VI საუკუნეში ნოქალაქევს და VII საუკუნიდან ისევ ქუთაისს. VI-VII საუკუნეებში ცენტრის მონაცვლეობას უპირატესად საგარეო-პოლიტიკური ფაქტორი განაპირობებდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის ქუთაისის გარეგნული სახე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. იგი ძირითადად ისეთივე იყო, როგორც წინა საუკუნეში. თუმცა ზოგიერთი ძველი ნაგებობა უკვე კარგავს თავის ფუნქციას და ზოგიც ახალი ჩნდება. მაგალითად, „ქუთათისის საყდარი", რომელიც სულ ახლახან ბაგრატის ტაძრის ინტერიერში არქეოლოგიური კვლევის შედეგად იქნა გამოვლენილი. იგი, ამავე ადგილზე რიგით მეორე ბაზილიკაა, და სწორედ VII საუკუნეში ჩანს აგებული ძველი (IV ს.) ადრექრისტიანული ბაზილიკის ნანგრევებზე. ასეთი მნიშვნელოვანი სატაძრო ნაგებობის აღმართვა ქვეყნის კულტურულ – ეკონომიკურ ცენტრში წარმატებული განვითარების შედეგია, რომელსაც, როგორც ჩანს, ბიზანტიური პოლიტიკაც უწყობდა ხელს. აქვე მინდა ერთ უაღრესად საინტერესო ნიუანსს მივაპყრო ყურადღება: ეს შეეხება ბიზანტიური სპილენძის მონეტების მიმოქცევას დასავლეთ საქართველოში.

თუ VI საუკუნეში ზოგადად ეგრისში და მათ შორის ქუთაისშიც მრავლადაა აღმოჩენილი სპილენძის ფული, VII საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში თითქოს მისი გაქრობა ხდება. ქუთაისის ნუმიზმატიკურ მონაპოვარში მხოლოდ ფოკას (602 – 610) ერთი ფელსია აღმოჩენილი. ასევე VIII – IX საუკუნეების ბიზანტიური სპილენძი არ არის აღრიცხული ქუთაისშიც და ის მკვეთრად შემცირებულია მთელს დასავლეთ საქართველოში. მართალია, აღნიშნულ მოვლენებს, VII საუკუნის პირველი ნახევრიდან სპილენძის მონეტების კრიზისს უკავშირებენ იმპერიაში, რაც დამახასიათებელია პროვინციული ზარაფხანებისათვის, ამასთანავე ეს ვითარება VIII საუკუნიდან არაბების გაბატონებასაც უკავშირდე-

ბა. მაგრამ ჩვენი ვარაუდით ბიზანტიური მონეტების სიმცირე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უფრო იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგებით უნდა აიხსნას, ვიდრე არაბების გაბატონებით. აქვე აღსანიშნავია, ის რომ ქუთაისში VIII საუკუნის, მხოლოდ ორი ცალი არაბული ფელსია ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი[7], რაც არანაირად არ განსაზღვრავს ბიზანტიური ფულის არაბულით შეცვლას, არამედ იგი მხოლოდ ინტენსიური საერთაშორისო სავაჭრო – ეკონომიკური ურთიერთობებით უნდა აიხსნას.

• „ქუთათისის საყდარი"

VIII საუკუნის 30 – იანი წლების ტრაგიკული მოვლენების აღწერისას, რომელიც მურვან ყრუს მეთაურობით არაბთა სისხლიან შემოსევას ეძღვნება, ქართლის ცხოვრების თხზულების ავტორი გადმოგვცემს სამეფო კარის „შფოთიან" თავგადასავალს, თავშესაფრის ძიებაში ქართლიდან – ეგრისს გადმოხვეწილი ერისმთავრის სტეფანოზის გარდაცვალებას. ზემოხსენებული პირი მირისა და არჩილის მამა, იგივე ატენის სიონის წარწერის მამფალი – სტეფანოზია, რომელიც „ქართუელთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალია" და ნერსე დიდის ძეა. სწორედ მის დროს მოხდა მურვან ყრუს შემოსევა საქართველოში. 734 – 735 წწ. (დ. მუსხელიშვილი);

არაბთა სარდალმა „...ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყნისანი" (ჯუანშერი).

სრულიად უეჭვოა, რომ არაბთა რისხვას ვერც ეგრისის სამეფოს მთავარი ქალაქი გადაურჩა. როგორც არქეოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, არაბებს ბრძოლით აუღიათ ქუთაისი, დაუნგრევიათ კიდეც მისი სასიმაგრო სისტემის დიდი ნაწილი და ქალაქის სხვადასხვა ნაგებობანი. გალავნის კედლის ნგრევის

სურ. 192. ნგრევის ფენა დასავლეთის ზღუდის გასწვრივ

სურათი შემაძრწუნებელია, იერიში განხორციელებულია დასავლეთის მხრიდან. მტრის მიერ საბრძოლო ტექნიკის გამოყენება სწორედ ამ მხრიდან იყო ყველაზე უფრო შესაძლებელი. კედლის სანგრევი ურნალებით გადმოყირავებული ზღუდე – გალავნის ზედა ნაწილი გაფანტულია დასავლეთის ზღუდის გასწვრივ მთელს პერიმეტრზე (სურ. 192). როგორც ჩანს ამ დროს შეიმუსრა ქალაქის მთავარი კარიბჭე და დაზიანდა ქალაქის მთავარი ბასტიონი – დედაბურჯი. ნგრევის სურათი კარგად იკითხება ტაძრის წინ სამხრეთ ფერდობზე, რომელიც ბოლო წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქნა გამოვლენილი. არაბებისათვის წინააღმდეგობის გაწევა ძალიან ძვირად ფასობდა. წყაროებით ქუთაისთან ერთად ერთ-ერთი მთავარი დარტყმა მიიღო ეგრისის სამზღუდეგალავნიანმა ციხე – გოჯმა, რომელიც ამ ამბების შემდეგ ნოქალაქევის უმნიშვნელო რიგით პუნქტად იქცა. (ნ. ლომოური).

სავარაუდოდ მაშინ განადგურდა „ქუთათისის საყდარიც" ანუ VII საუკუნეში აგებული ქალაქის მთავარი ეკლესია, რომელიც ამ დროისათვის არსებობის საუკუნოვან პერიოდს მოითვლიდა. მითუმეტეს, არაბთა განსაკუთრებული სისასტიკე სწორედ ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ იყო მიმართული. არადა ამ მოვლენებთან დაკავშირებით, ჩვენამდე მოღწეულ წყაროში ის პირველად იხსენიება თანაც ასეთ კონტექსტში: წყლულებისაგან დაუძლურებული მეფე მირი ანდერძით მიმართავს თავის ძმას არჩილს: რადგან „...მამაცა ჩუენი მოკუდა შფოთსა ამას შინა და ვერ წარვეცით იგი მცხეთას, წარსცენ ძუალნი მისნი და დაფლენ „საყდარსა ქუთათისსა"[8].

მაშასადამე, „ქუთათისის საყდარი" – დიდმნიშვნელოვანი საეკლესიო ნაგებობა ჩანს, რომელიც შეუბღალავად დახვდა მურვან ყრუს ექსპედიციას და როგორც ვთქვით მის შესახებ აქამდე ფაქტობრივად არაფერი ვიცოდით, იგი ბაგრატის ტაძრის წინამორბედ ნაგებობათა შორის რიგით მეორე ბაზილიკაა (იხ. გეგმა). მხოლოდ 2003 წლის არქეოლოგიური კვლევის შედეგად გახდა ჩვენთვის ცნობილი. მისი შესწავლა გაგრძელდა 2005 – 2010 წლებში: ესაა დიდი ზომის ნაგებობა, რომელიც მოცულობით, მცირედით თუ ჩამოუვარდება ბაგრატის ტაძარს (სურ. 193), დამხრობილია ასევე W-0 ღერძზე და მთლიანად გაითხარა მისი გადარჩენილი ნაწილი. ნაგებობის კედლები უმრავლეს შემთხვევაში



სურ. 193. მეორე ბაზილიკა („ქუთათისის საყდარი", VII ს)

სურ. 194. „ქუთათისის საყდრის" ჩრდილოეთის კედლის ცოკოლი (შუაში)

სურ. 195. „ქუთათისის საყდრის'' სახმრეთი კედლის ცოკოლი

სურ. 196. მეორე ბაზილიკის ქვის იატაკის ნაშთები

უშუალოდ გადადის ახ. წ. IV საუკუნის ბაზილიკის სტრუქტურაზე (სურ. 194, 195). დასავლეთისა და სამხრეთის მხარეს დაფიქსირდა ეკლესიაში შესასვლელი საკარე ღიობები. როგორც ჩანს, ნაგებობას მთავარი შესასვლელი დასავლეთიდან ჰქონდა, ხოლო სამხრეთის კარი ეზოში გადიოდა. ნაგებობის სიგრძე 28,3 მეტრია, სიგანე 15,8 მ., შემორჩენილი კედლის სიმაღლე 0,5 მეტრამდე აღწევს და ზემოდან ბაგრატის ტაძრის იატაკით არის დაფარული. კედლის სიგანე 1,40 სმ – ია. პერანგი ნაგებია ზედაპირდაკეჭნილი, უხეშად დამუშავებული კვადრებით. კედლის შუაგული ამოვსებულია ჭყორდულაბით. ზოგან კედლის გასასწორებლად დიდი ზომის აგურებია გამოყენებული. საძირკველიც ასევე ნატეხი ქვითა და ჭარბკირიანი დუღაბითაა ამოყვანილი. კირხსნარში გამოყენებულია რიონის სილა, რის გამოც დუღაბს გამორჩეულად ტყვიისფერი აქვს. საინტერესოა, რომ აღნიშნულ ტაძარს მისი წინამორბედისაგან განსხვავებით გარე შვერილი აფსიდი აღმოაჩნდა, რომელიც ბაგრატის ტაძრის მშენებლების მიერ საგრძნობლად არის დაზიანებული. თუმცა გეგმა მაინც საკმარისად იკითხება. არადა ამ ძეგლის საბოლოო გათხრამდე ჩვენ საკურთხევლის სხვაგვარ ფორმას ვვარაუდობდით. კერძოდ, სწორკუთხედში ჩაწერილ აფსიდს, რაც არ დადასტურდა. საერთოდ, ნაგებობის ძირითადი ნაწილი გარდა ნაწილობრივ ჩრდილო – დასავლეთი კუთხისა, სადაც კედლის სიმაღლე 3 მ-მდეა შემორჩენილი ნიველირებულია ბაგრატის დროინდელი ნაგებობის იატაკის დონეზე.

ტაძრის დასავლეთი და ჩრდილოეთის კედელი ცოკოლის გარეშეა, მხოლოდ სამხრეთის კედლის ნაწილზე არის ერთსაფეხურიანი ცოკოლი. ინტერიერში ნავების გამყოფი საყრდენების ხუთი წყვილი უნდა ვივარაუდოთ. სვეტები სწორკუთხა ფორმის იყო, გადარჩენილია მხოლოდ ორი ბაზისი. იატაკი კარგად დამუშავებული მკვრივი ჯიშის კირქვის ფილებით ყოფილა მოკირწყლული. მისი ნაშთები დადასტურდა საკურთხეველში და დარბაზის დასავლეთ ნაწილში (სურ. 196) საკურთხევლის ცენტრში კვადრატული ფორმის ტრაპეზი დგას, მის მარჯვნივ და მარცხნივ პასტოფორიუმებია გამართული. კედლებზე ზოგან შეინიშნება პილასტრების კვალიც. თარიღის გარკვევაში გვეხმარება კარგად წარმოდგენილი სტრატიგრაფია და არც თუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავი არქეოლოგიური მასალა, მათ შორის პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ანტეფიქსი ქარაგმიანი წარწერით „გაბრიელი". წარწერის ქვედა ნაწილი დაკარგულია. (სურ. 197). ანალოგიური ანტეფიქსი აღმოჩენილია აფხაზეთში, კერძოდ გუდაუთაში, დათარიღებულია ამავე პერიოდით და მასზე იკითხება

სურ. 197. ანტეფიქსი ასომთავრული წარწერით (VII-VIII სს)

სურ. 198. აგურის კედლებიანი სამარხი (VIII ს)

„მიქაელი". ჩვენი ვარაუდით მათი თარიღი ტაძრის ფუნქციონირებას (VIII ს.). უკავშირდება მრავლად გვხდება სამშენებლო კერამიკაც, კრამიტები და აგურები, რომელთა თარიღი ასევე ზოგადად VII – VIII საუკუნეებით განისაზღვრება. „ქუთათისის საყდარს" ეკუთვნის არქეოლოგიური კვლევით გამოვლენილი ორი აგურის კედლებიანი უინვენტარო სამარხი, რომელიც დაზიანებულია შემდგომი მშენებლობების მიერ. ერთი კოშკურა ნაგებობის მშენებლობას შეეწირა, ხოლო მეორე ბაგრატის ტაძრის გუმბათის საყრდენი სვეტის საძირკველს (სურ. 198). თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკურ სიტუაციას „ქუთათისის საყდარი" VII საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ უნდა იყოს აგებული ჰერაკლე კეისრის ლაშქრობიდან სერგი ბარნუკის ძის აჯანყებამდე (697 წ.), ხოლო VIII საუკუნის 30 – იან წლებში არაბთა შემოსევის შედეგად ჩანს განადგურებული. ამის შემდეგ 40-იანი წლებიდან ქუთაისში არჩილ მეფის მიერ მნიშვნელოვანი სამშენებლო განახლებითი საქმიანობა უნდა იყოს ჩატარებული. ალბათ ეს იგულისხმება მის მოწოდებაში: „გარნა აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ წარვალ და დავეშენები ციხე – გოჯს და ქუთათისს"... და „წარმოვიდა არჩილ და დაემკვიდრა ეგრისს ვიდრე შორაპნამდე და განაგნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი"... (ჯუანშერი). მაშასადამე, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ არჩილის დროს ქუთაისში მნიშვნელოვან აღმშენებლობას ჰქონდა ადგილი.

მართალია, დასავლეთ საქართველომ დიდი ზარალი ნახა, მაგრამ VIII საუკუნის 40 – 50 წლებში აქ არაბთა მძლავრობას ძირითადად ბოლო მოეღო და მხოლოდ ბიზანტიის იმპერიის ვასალური დამოკიდებულება იქნა შენარჩუნებული. ამიტომაც VIII საუკუნის შუა წლებიდან ფართო ფრონტით გაიშალა ბრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ. ამ დიდ ეროვნულ საქმეს აფხაზთა ერისთავი ლეონი ედგა სათავეში, რომელმაც მემკვიდრეობით (სიძეობით) მიიღო ეგრისის ტახტი და გვირგვინი და სახელმწიფოს დედაქალაქად ქუთაისი გამოაცხადა[9].

ქუთაისი და დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი მანამდე ქართლის ერისმთავრების ხელისუფლებაში შედიოდა[10], როგორც ფიქრობენ, ამან ხელი შეუწყო VII – VIII საუკუნეებში ქუთაისის ხელახალ აღორძინებას, როგორც დასავლურ – ქართული სამყაროს პოლიტიკური ცენტრისას[11]. ამის ხელშემწყობ მიზეზებს ხედავენ აგრეთვე ქართლიდან მოსახლეობის მიგრაციაში, რომელიც ადრე დაწყებული პროცესის – იბერიის დიდი ეთნიკური და პოლიტიკური ექსპანსიის გაგრძელებას წარმოადგენდა[12]. ამასთან ერთად იქმნება პირობა რომ, „ეგრისი დაადგეს სამეურნეო აღმავლობის გზას და მისი ეკონომიკურად

მძლავრი რაიონი (მოხერისი ანუ ვაკე იმერეთი) და ამ უკანასკნელის ბუნებრივი ცენტრი (ქუთაისი) კვლავ დაწინაურდეს"[13].

ასე თუ ისე ჯუანშერის ცნობებით და მკვლევართა ვარაუდით, მურვან ყრუს სამხედრო ექსპედიციის დროისათვის ქუთაისი დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. აკად. მ. ლორთქიფანიძის განმარტებით, „VII საუკუნეში, როდესაც ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა შედეგად განხორციელდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება და დასავლეთ საქართველო (ეგრისი) ქართლის ერისმთავართა იურისდიქციაში შემოვიდა, ქართლის ერისმთავრები თანდათან ქუთაისს უქმნიან სატახტო ქალაქის სტატუსს, კერძოდ: ციხე – გოჯსა და ქუთაისში ფლავენ სამეფო საგანძურს, ეშენებიან ციხე – გოჯსა და ქუთათისში, მაგრამ აშკარად უპირატესობას ქუთაისს აძლევენ, იმიტომ რომ აქ ქმნიან სამეფო საძვალეს – მეფის საფლავს"[14]. მისივე თქმით, „ქუთაისის სატახტო ქალაქად აღიარებისა და დამკვიდრების პროცესი თითქმის საუკუნენახევარი გაგრძელდა, ჰერაკლეს ეპოპეიდან და განძის დაფლვიდან ანაკოფიასთან მურვან ყრუს წინააღმდეგ ბრძოლამდე და ამ ბრძოლის შემდეგ სტეფანოზის ნეშტის ქუთაისს გადმოსვენება – დაკრძალვამდე"[15].

ამ დროს დასავლეთ საქართველოში ქართიზაციის პროცესი უკვე დამთავრებული იყო. ბუნებრივია, ქუთაისი ქართიზებული მოსახლეობის დასაყრდენს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში. ამიტომაც გასათვალისწინებელია ის თვალსაზრისი, „რომ ქუთაისი აღსდგა არა მხოლოდ როგორც „ქართლის" და ეგრისის პოლიტიკური ცენტრი, არამედ ქართული ნაციონალური კულტურის ცენტრი"[16], და ზოგადქართული კულტურის მძლავრი ფორპოსტი დასავლეთ საქართველოში. შედეგად: „ქართული ფეოდალური სახელმწიფო „აფხაზეთი" იშვა ქუთაისით სათავეში..."[17].

„ამგვარად, VII საუკუნის 20-იანი წლებიდან ქუთაისი, დასავლეთ საქართველოს ერთ – ერთი მნიშვნელოვანი და მთავარი ქალაქია. VIII საუკუნის 20-იანი წლებიდან კი ჯერ დასავლეთ საქართველოს (უაფხაზეთოდ) სატახტო ქალაქია, ხოლო VIII საუკუნის 30-40-იანი წლებიდან მას შემდეგ, რაც ლეონ – არჩილის შეთანხმება მოხდა და მათი სამფლობელოები გაერთიანდა, ქუთაისი მთელი დასავლეთ საქართველოს სამეფოს (აფხაზეთის ჩათვლით) სამეუფეო ქალაქია[18], მისი სტატუსი გაფართოვდა და შესაბამისად მნიშვნელოვნად იცვლება მისი მდგომარეობა, რაც შესანიშნავად დასტურდება არქეოლოგიური კვლევის შედეგებით. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ამანვე აღაშენა (ლეონმა – ო. ლ.) ქუთათისი ქალაქი და ციხე და ჰყო საყდარი აფხაზთა მეფისა, ვითარცა ანაკოფია, ჰყო ტახტად მეორედ ესე ქუთათისი"[19].

• სასიმაგრო სისტემის განახლება

როგორც ჩანს „აღაშენაში" ქუთაისის გამაგრება – კეთილმოწყობის სამუშაოები იგულისხმება. არქეოლოგიურმა გათხრებმა კარგად დაადასტურა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობების სისწორე „აღაშენა ქუთათისი ქალაქი და ციხე". მართლაც, VIII საუკუნის მეორე ნახევარში საგანგებო ზრუნვის საგანი გამხდარა

სურ. 199. დიდი დარბაზის საფეხურებიანი ცოკოლი (IX ს)

სურ. 200. დიდი დარბაზის ინტერიერი (დეტალი)

სასიმაგრო სისტემის განახლება – აღდგენის საქმე. ამ დროს აუგიათ ქვედა ქალაქის დასავლეთი მხარის შვეული კედელიც, რომელიც ქალაქის მთავარი ბასტიონიდან იწყება და მდ. რიონისაკენ ეშვებოდა. განახლებული და გადაკეთებული ჩანს საკუთრივ დედაბურჯი. საქმე ისაა, რომ მისი შესასვლელი საგანგებოდ ამოქოლეს. ამით დედაბურჯის თავდაპირველი გეგმა და ფუნქცია შეიცვალა. მაშასადამე, ფართო მასშტაბის სამუშაოებია ჩატარებული ციხესიმაგრის თავდაცვისუნარიანობის გაზრდის მიზნით. ასევე საგანგებო ზრუნვის საგანია საცხოვრებელი ნაგებობებიც. მაგალითად, ამავე პერიოდში V საუკუნის კოშკს ჩრდილოეთის მხრიდან მიაშენეს თითქმის კოშკისავე ზომის სწორკუთხა ნაგებობა (სურ. 199), რომლის ფასადი შესანიშნავი საპირე ქვებით არის ამოყვანილი. ეს იმდენად მაღალხარისხოვანი მშენებლობაა, ეჭვი არ არის, იგი მაღალი რანგის, წარჩინებული პირის საცხოვრისს წარმოადგენდა. განახლებული ნაწილის ინტერიერში მრავალი მცირე ზომის დაუკირავი ჰორიზონტალურქედებიანი ქვევრი (ქოცო) აღმოჩნდა, რაც მიუთითებს ამ ნაგებობის სარდაფის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ფაქტს[20]. XIII საუკუნეში დარბაზის ჩრდილოეთის კედელი საძირკვლამდე მოასწორეს და ნაგებობის გაფართოების მიზნით ოდნავ მოშორებით ახალი კედელი ამოიყვანეს, რომლის ცენტრში საყრდენი ბურჯი აადგეს, საინტერესოა რომ ამ ბურჯის ძირში აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი 84 ცალი დასავლეთ-ქართული კირმანეული თეთრი (სურ. 200).

• კერამიკული სახელოსნო

იქვე გაითხარა კერამიკული სახელოსნოს ნაშთები. სახელოსნო გოდლედებიანი კედლის გასწვრივ ყოფილა მიშენებული ხის ფარდულის სტილში. საკუთრივ კონტრფორსებს შორის წყვილად ორ – ორი ქურის ნაშთი დაფიქსირდა (სულ. 6 ცალი), რომელიც უწვავი თიხისაგან იყო ამოყვანილი (დმ – 1 მ). სახელოსნოს კუთხეში კარგად განლექილი ნედლი თიხის ბლოკების შტაპელი იქნა გამოვლენილი, რომელიც ჭურჭლის დასამზადებელ ნედლეულად იყო განკუთვნილი. ერთ – ერთ ქურაში აღმოჩნდა ორი დამსხვრეული დოქი, ფართოპირიანი, ბრტყელგანივკვეთიანი ყურით, რომელიც უშუალოდ პირის ბაკოზე იყო მიერთებული და ფართო ბრტყელძირიანი, დაბალკალთიანი ჯამი (ფიალა) VIII –

IX საუკუნეებით დათარიღებული. ამავე პერიოდის ფენები მდიდარია წნეხვით ნაპრიალები, ხშირად წითელი და თეთრი საღებავებით მოხატული კერამიკით და ჭიქურიანი ჭურჭლებით, განსაკუთრებით კი სქელკედლიანი ტანდაღარული ამფორის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებით.

• სამეფო სასახლის კომპლექსი

სატახტო ქალაქს რომ განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდებოდა ეს კარგად ჩანს ახალი ხუროთმოძღვრული ატრიბუტებით. სამეფო სასახლის კომპლექსი, წარმოდგენილია ოთხი ძირითადი კომპონენტით:

- აგურის სასახლე.
- აბანო.
- ახალი წყალგაყვანილობა.
- სასახლის კარის ეკლესია.

აგურის სასახლე დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. იგი ორ-განულადაა დაკავშირებული თავდაპირველი ციტადელის გეგმასთან და მთავარ შესასვლელთან, რომელიც მრავალი განახლება-გადაკეთების მიუხედავად, აგრძელებდა ორიენტირის ფუნქციას ამ ეპოქაშიც. ადგილი, სადაც სასახლეა გამართული, წარმოადგენს სამი მხრით დაქანებულ ფერდობს, რაც ყოველ ეპო-ქაში განაპირობებდა აქ ნაგებობათა გამართვის თავისებურებებს.

სამეფო სასახლე სწორკუთხა (თითქმის კვადრატული) ფორმისაა (სურ. 201, 202). მისი ზომებია: სიგრძე 21 მეტრი, სიგანე 18,5 მეტრი, საერთო ფართობი 400 კვ. მეტრია. სამხრეთ ნაწილში გამართულია ორი დიდი დარბაზი, რომელ-იც დანარჩენ ოთახებს ორი გრძივი კორიდორით უკავშირდებოდა. ნაგებობის ფუნდამენტი და ცოკოლი ნატეხი ქვითა და დუღაბითაა ამოყვანილი. მისი სი-მაღლე ზოგან 2 მეტრია. ცოკოლის ფასადი ზედაპირდაკეჭნილი, საშუალო ზომის კვადრებითაა შექმნილი. სასახლეს ჰქონია კამარათაღიანი კარ-ფანჯრები. ერთ – ერთი ასეთი თაღი დაუშლელად იყო ჩაწოლილი აღმოსავლეთის ფერდობზე ცოკოლის წინ. ინტერიერში დიდი დარბაზის კარის წინ, კედლის გაყოლებაზე შემორჩენილია იატაკის დონე. იატაკიც აგურის ფილებით ყოფილა მოკირწყ-ლული. კედლების სიგანე 90 სმ-ია. ე. ი. სისქეს ქმნის ერთმანეთის გვერდით დაწყობილი სამი ცალი აგური. მაქსიმალურად შემორჩენილი სიმაღლე 1 მ-მდეა.



სურ. 201. სამეფო სასახლე (VIII ს)

სურ. 202. აგურის სასახლის აღმოსავლეთი კედლის ქვის ცოკოლი

აგური სტანდარტული ზომისაა (27X27X5). განსაკუთრებით აღსანიშნავია აგურის კეცის ფაქტურა. ამ მახასიათებლით იგი განხსვავდება ნაქალაქარზე აღმოჩენილი ყველა სხვა ეპოქის აგურისაგან და ზუსტად იმეორებს სამეფო სასახლის კომპლექსში შემავალი სამეფო აბანოს სამშენებლო პროდუქციას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს აგურები VIII საუკუნეში სამეფო სასახლის კომპლექსისათვის თითქოს სპეციალურადაა მოჭრილი. სასახლის ირგვლივ აღმოსავლეთითა და სამხრეთით ნგრევის ორი ფენაა შექმნილი. ნაშალით ფერდობებია მოვაკებულ – მოსწორებული. პირველი ნგრევა მომხდარა X საუკუნის II ნახევარში, ამის უტყუარი დასტურია ამ ფენაში აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტები (2 ცალი), მეორე ნგრევა გვიან შუა საუკუნეებში განუხორციელებიათ, უფრო სწორად, ამ დროს აგურის სასახლე თითქმის უკვე საძირკვლამდე მოუსწორებიათ ამავე ადგილზე კიდევ ახალი ნაგებობის შესაქმნელად. ამ შემთხვევაში სამშენებლო მოედანი მთლიანად გაათავისუფლეს ძველი კედლებისაგან (ნანგრევებისაგან). როგორც ჩანს, პირველი ნგრევა ბაგრატიონთა ახალი სასახლის მშენებლობამ გამოიწვია. საინტერესოა, რომ ბაგრატიონთა სასახლე ნაწილობრივ დააშენეს კიდეც აგურის სასახლის მორღვეულ კედლებზე და ამით ეს კედლები დააკონსერვეს. მაშასადამე, აგურის სამეფო სასახლის ფუნქციონირების ხანა განისაზღვრება VIII საუკუნის შუა ხანებიდან X საუკუნის მეორე ნახევრამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აგურით სასახლეების მშენებლობის ტრადიცია ქუთაისის მიწა – წყალზე გრძელდება განვითარებულ ფეოდალურ ხანაშიც. ამის ბრწყინვალე ნიმუშია გეგუთის ციხე – დარბაზი, სადაც ჯერ კიდევ VIII საუკუნეში არის ნავარაუდევი მეფეთა სანადირო სახლის არსებობა[21].

აბანო VIII – X საუკუნეების სამეფო სასახლის კომლექსის ნაწილია. იგი აგებულია შიდაციხის სამხრეთ – აღმოსავლეთ კუთხეში „ცოტა კარის" მახლობლად. დამხრობილია NS ღერძზე. დამხრობა, როგორც ჩანს განაპირობა აქ არსებულმა ადრინდელი გალავნის კედლების თავდაპირველმა განლაგებამ, რომელიც გამოყენებული ჩანს აბანოს კედლებადაც სამხრეთ – აღმოსავლეთ მხრიდან. აბანომ ჩვენამდე ძალზე დაზიანებული სახით მოაღწია, მაგრამ გეგმის გარკვევა მაინც ხერხდება. იგი ანფილადური ტიპის აბანოების რიგს განეკუთვნება ჰიპოკაუსტური სისტემით, თუმცა საკმაოდ თავისებური მარტივი აგებულებისაა. თავდაპირველად იგი ოთხნაწილიანი ყოფილა:

1. საცეცხლე განყოფილება (პროპიგეონი).
2. საქვაბე.
3. აბაზანა.
4. გასახდელი (აპოდიტერიუმი).

1. **საცეცხლე** განყოფილება აბანოს ჩრდილოეთ ნაწილშია გამართული (სურ. 203). გარე მხრიდან მას აქვს თაღიანი ღიობი, რომლის სიმაღლე ერთი მეტრია, სიგანე 65 სანტიმეტრი. შიდა ნაწილი, სადაც საკუთრივ ცეცხლი ენთო, წარმოადგენს მართკუთხა ფორმის სივრცეს, რომლის სიგრძე 1,20 მ – ია, სიგანე 0,80 სმ, სიმაღლე 1 მეტრი. საცეცხლე ნაგებია კარგად გათლილი მცირე ზომის კვადრებითა და აგურის მონაცვლეობით. აგურის პერანგით ყოფილა ამოყვანილი შიდა სივრცის კედლები და თაღი, რითაც მისი ცეცხლგამძლეობა იყო გათვალისწინებული. საცეცხლე განყოფილების შიდა სივრცეში და მის გარეთ აღმოჩნდა მძლავრი ნაცროვანი ფენა, რაც ხანგრძლივი ცეცხლის ნთების შედეგია.



სურ. 203.
აბანოს ნაშთები
(VIII ს)

2. **საქვაბე** გამართულია ზედ საცეცხლე განყოფილების თავზე. იგი სწორკუთხა ფორმის აბაზანას წარმოადგენს და სიგნინის სქელი (4 სმ) ფენით არის შელესილი. მისი ზომებია: სიგრძე 1,60 მ., სიგანე 1 მ., შემორჩენილი სიმაღლე 0,80 სმ. იტევდა დაახლოებით 1500 ლიტრ წყალს, აქ წყალი ცხელდებოდა და გაედინებოდა საბანაო განყოფილებაში.

3. **აბაზანა** საქვაბე განყოფილების სამხრეთით არის ამოყვანილი აგურის საყრდენებზე. მისი იატაკი საქვაბე განყოფილების დონესთან შედარებით 40 სმ. დაბლაა გამართული. საცეცხლე განყოფილება აბაზანის ქვედა განყოფილებას უკავშირდება ღიობით, საიდანაც ცხელი ჰაერი მოძრაობდა აბაზანის იატაკის ქვეშ, ათბობდა მას და ჩრდილოეთის კედელში დატანებული სწორკუთხა ვერტიკალური სავენტილაციო არხით გარეთ გაიწოვებოდა. აბაზანას ზომებია: სიგრძე 3, 25 მ, სიგანე 3,23 მ., შემორჩენილი სიმაღლე 1 მეტრამდე. ე. ი. იგი დიდი ზომის კვადრატული ფორმის განყოფილებაა.

4. **გასახდელი** აბანოს უაღრესად ცუდი დაცულობის გამო, ვარაუდის დონეზე რჩება. მისი ადგილის განსაზღვრაში ნაგებობის ერთ ღერძზე განლაგება გვეხმარება, მითუმეტეს, რომ ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მისი მოთავსება სრულიად გამორიცხულია. რჩება მხოლოდ სამხრეთი და დასავლეთი მხარეები. აქედან უპირატესობა სამხრეთ ნაწილს ენიჭება, იმის გამო რომ, აქ უკვე, ადრინდელი გალავნის ორი კედელი არსებობდა და ბუნებრივია მისი გამოყენება გასახდელისათვის და საერთოდ აბანოსათვის მშენებლებს საქმეს გაუადვილებდა.

აბანო კარგად გათლილი, ზედაპირდაკეჭნილი კვადრებითა და ქართული აგურით არის ნაგები. (აგურის ზომები 27X27X5 სმ). ზუსტად ასეთი აგურითაა აგებული VIII საუკუნის სამეფო სასახლე. თანაც მშენებლობის წესი და ტექნიკა ორივეგან ერთი და იგივეა, თუნდაც აგურის რიგებს შორის მოთავსებული კირხსნარის ფენაც ერთი ტექნოლოგიითაა დამზადებული. მაშასადამე, აღნიშნული ნაგებობა ეგრის – აფხაზთა მეფეების სამეფო სასახლის კომპლექსის მთავარი შემადგენელი ატრიბუტია, როგორც მისი სანიტარულ – ჰიგიენური ნაწილი. საინტერესო ისაა, რომ ამ კომპლექსთანაა დაკავშირებული თიხის მილების ახალი მაგისტრალი, რომელიც მოედინება თეთრამიწას გორის ძირიდან („წყაროს უბანი”), გამოივლის შიდა ქალაქის (B სექტორი) ტერიტორიას, ერთი ტოტი შემოდის შიდაციხეში და უკავშირდება სამეფო სასახლესა და აბანოს, ხოლო მეორე ტოტი დედაბურჯისაკენ მიემართება და როგორც ჩანს, კერამიკულ სახელოსნოსა და „ქართულ დარბაზს” ამარაგებდა სასმელი წყლით.

მაშასადამე, მას შემდეგ, რაც ქუთაისი დასავლეთ საქართველოს დედაქა-

ლაქი გახდა, აქ ბევრი აღდგენითი და განახლებითი სამუშაოები ჩატარებულა, რომელმაც ფაქტობრივად არსებითად შეცვალა ქალაქის გარეგნული სახე. განახლება – აღდგენა შეეხო V საუკუნეში ციტადელში აგებულ სამაფსიდიან ეკლესიას, რომლის დაზიანება ისე როგორც დიდი ბაზილიკისა ირანელთა სამხედრო ექსპედიციას უნდა დაუკავშირდეს. VIII საუკუნეში აღდგენილი ჩანს ამ ეკლესიის დასავლეთი კედელი, რომლის წყობაში მეორადი გამოყენებით მოხვედრილია ვარდისფერდულაბიანი ზედაპირდაკეჭნილი ქვაკვადრი, რომე-ლიც ადრე გალავნის კედელს ეკუთვნოდა და არაბთა შემოსევას შეეწირა. მაშასადამე, განახლება VIII საუკუნის 30 – იანი წლების შემდეგ მომხდარა, როგორც ჩანს, ამ საუკუნის 40 – იანი წლებიდან, არჩილის ეპოქაში, აგურის სასახლის მშენებლობის დროს, როგორც სამეფო სასახლის კარის ეკლესია. მშენებლები მარტო ძირითადი კედლის აღდგენით არ დაკმაყოფილებულან. გაურკვეველი მიზნით მათ ცენტრალური აფსიდი რატომღაც სწორი ხაზით შეუცვლიათ და ეკლესიისათვის ჩრდილოეთიდან ორგანყოფილებიანი სათავსი (სანათლავი?) მიუშენებიათ. მინაშენი გაუმართავთ სამხრეთის მხრიდანაც. შეიძლება ვიფიქროთ, რომ VIII – X საუკუნეებში უკვე ეს ნაგებობა სასახლის კარის ეკლესიას წარმოადგენდა და სამეფო კომპლექსის ერთ – ერთ ატრიბუტად ითვლებოდა. გათხრების შედეგად დაფიქსირდა ქვაფენილით მოკირწყლული ქუჩების ნაშთები, სადრენაჟე-ღვარსადენები, კანალიზაციის არხები და ა. შ. მაშასადამე, სანდო გამოდგა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა ლეონის მიერ ქუთაისში განახლებითი და აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შესახებ[22].

• ახალი ნაგებობები

VIII – IX საუკუნეების ნაგებობათა შორის საგანგებო აღნიშვნის ღირსია 2005 წელს მიკვლეული ბაგრატის ტაძრის სამხრეთი მკლავის გათხრების დროს აღმოჩენილი ახალი ნაგებობის ნაშთები, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ე. წ. „კოშკურა" ანუ კოშკისებური ნაგებობა.

იგი დგას „ქუთათისის საყდრის" გვერდით მისგან განცალკევებით, სამხრეთ მხარეს კვადრატული ფორმისაა (ზომები: 5,7X5,7 მმ). რის გამოც პირობითად მას „კოშკურა" ვუწოდეთ. შენობა ნაგებია კარგად გათლილი კვადრებით და ამოყვანილია სამსაფეხურიან ცოკოლზე. (სურ. 204). დასავლეთის მხრიდან შე-

სურ. 204. კოშკურა ნაგებობის საფეხურებიანი ცოკოლი

სურ. 205. კოშკურა ნაგებობის დასავლეთის კედელი

სურ. 206. კოშკურას ცოკოლის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე

ნობას უნდა ჰქონოდა შესასველელი, რასაც მიუთითებს ცოკოლზე ქვების ცვეთის კვალი. აღნიშნულ ნაგებობას მშენებლობის დროს ჩაუჭრია ახ. წ. IV საუკუნის დიდი სამნავიანი ბაზილიკის სამხრეთის მინაშენის აღმოსავლეთი კედელი და VIII საუკუნის აგურით ნაგები სამარხი, რაც იმას ნიშნავს რომ ამ ნაგებობას აქ VIII საუკუნის დასაწყისის მნიშვნელოვანი (საეკლესიო?) პირის სამარხი დახვდა. ზუსტად მისი ანალოგიური სამარხი აღმოჩნდა საყდრის ინტერიერში, სამწუხაროდ სრულიად უინვენტარო. კოშკურას ერთი კედელი გამოყენებულია ბაგრატის წინა ტაძრის სამხრეთის კედლის ნაწილად, ხოლო ბოლოს ბაგრატის მშენებლებს მათზე გაუმართავთ სამხრეთის კონქის აღმოსავლეთი კედელი. (სურ. 205). ერთი სიტყვით ამ საინტერესო სტრატიგრაფიის ფონზე კოშკურას ფუნქციონირება VIII საუკუნის I ნახევრიდან უნდა ვივარაუდოთ. შესაძლოა მისი მშენებლობა ქუთაისში არჩილის მოღვაწეობას დაუკავშირდეს და მისი მამის სტეფანოზის ნეშტის განსასვენებელ მარტირიუმად (სამარხ-სამლოცველოდ) შეიძლება გავიაზროთ. (სურ. 206).

• მკლავებიანი ბაზილიკა (VIII–IX სს.)

მურვან ყრუს ლაშქრობის შედეგად დაზიანებული „ქუთათისის საყდარი" საფუძვლიანად ჩანს გადაკეთებული ლეონ II მიერ VIII საუკუნის მეორე ნახევარში: გაფართოებულია ინტერიერი, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს ჩნდება ახალი კედლები, რაც მთავარია სწორკუთხა მკლავებით; სამხრეთის სწორკუთხა მკლავში სანათლავია მოწყობილი, ამის დადასტურებაცაა ღარებიანი ქვაფენილითა და კრამიტებით შედგენილი არხები; (სურ. 207, 208). ნაგებობას ამკობს შესანიშანავად დამუშავებული საფასადო ქვებით მიშენებული კარიბჭე. კარიბჭის ცენტრში ორ, დამატებით პარალელურ

საყრდენ ფუნდამენტზე დაფიქსირებულ ჯვრის ფორმის სვეტებზე გადაყვანილი თაღებით სივრცე სამ არათანაბარ ნაწილად ყოფილა გაყოფილი, ნაოსის დასავლეთის კედელში კვლავ ფუნქციონირებს ძველი (VII ს.) კარი. ამავე ზომის კარი უნდა წარმოვიდგინოთ ნართექსის შესასვლელშიც. ეზოში გასასვლელი საკარე ღიობების ნაშთები ფიქსირდება ნაოსის გვერდითა კედლებზეც. ერთი სიტყვით საქმე გვაქვს სრულიად ახალ შენობასთან ახალი გეგმით (სურ. 209) და ახალი არქიტექტურული გადაწყვეტით, რომელიც ამ ადგილზე რიგით მესამე დიდი სამნავიანი ბაზილიკაა....

VIII საუკუნის რეკონსტრუქციის თუ განახლება-გადაკეთების კვალი „ქუთათისის საყდრის" ინტერიერშიც კარგად ჩანს. გათხრილ მონაკვეთებში აღმოჩნდა ერთმანეთისაგან თითქმის თანაბარი ინტერვალებით (2,5 მ) დაშორებული ჩრდილოეთისა და ცენტრალური ნავების გამყოფი ჯვრის ფორმის 6 სვეტის ბაზისი. ერთი მათგანის საფეხურები თითქმის მთლიანადაა გადარჩენილი, დანარჩენები კი მომდევნო მშენებლობის დროსაა დაზიანებული ან გადაფარული. არსებული მონაცემებით ექვსი წყვილი სვეტით სამ ნავად გაყოფილი ბაზილიკის ნაოსი გარე სწორკუთხედში ჩაწერილი სამი ნალისებური აბსიდით შედგენილი საკურთხევლით მთავრდებოდა, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს სამაფსიდიანი საკურთხეველი მომდევნო სამშენებლო, (განსხვავებულ) ფენას წარმოადგენს ალბათ IX საუკუნისას და ამჯერად ახალი რესტავრაციის ფენითაა დაფარული, თუმცა ბაგრატის ტაძრის სამკვეთლოსა და სადიაკვნეში ფუნდამენტის დონეზე მკრთალად, მაგრამ მაინც იკითხება ძველი აფსიდების რკალის ნაშთები, რაც გეგმის სრულად აღდგენის საშუალებას არ იძლევა. (სურ. 210).

2009-2012 წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად კიდევ ერთი სამშენებლო ფენა გამოიყო. ამ ეტაპზე მთლიანად განახლებულია საკურთხევლის აფსიდები. განახლების კვალი ჩრდილოეთის სწორკუთხა მკლავის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის ინტერიერსა და ექსტერიერში სართულნახევრის სიმაღლეზე თვალნათლივ იკითხება. ამავე ფენის კუთვნილია საკურთხევლისწინა ნახევარწრიული შესანიშნავად ორნამენტირებული სვეტები და ბაგრატის ტაძრის დასავლეთის კედლის ამოყვანისას გაუქმებული კარიბჭის თაღი, რომელიც მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს იქნა განთავისუფლებული ბაგრატისდროინდელი კედლის პერანგისაგან. ძეგლის სტრატიგრაფიის გათვალისწინებით ეს ფენა ზოგადად IX-X საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

სურ. 207. მკლავებიანი ბაზილიკის კედლის ნაშთები

სურ. 208. მკლავებიანი ბაზილიკის ჰორიზონტალური სტრუქტურა





სურ. 209. მკლავებიანი ბაზილიკის გეგმა

სურ. 210. არქეოლოგიური ფენების გეგმა (ბაგრატის ტაძარი)

გამოდის რომ რიგით III მკლავებიანი ბაზილიკა სხვადასხვა დროს ეტაპობრივად შენდებოდა. თავდაპირველად იგი იყენებს „ქუთათისის საყდრის", ანუ II ბაზილიკის დასავლეთ კედელს და მასზე შემდგომში მიშენებულ კარიბჭერს, ზოგ შემთხვევაში, ძველ საყრდენთა ბაზისებსაც, სატრაპეზოს, ცენტრალურ საკურთხეველსა და კოშკურა ნაგებობის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლებს. ე. ი. ნაგებობის ადრინდელი ფენები VII საუკუნისაა, ძირითადი კედლები მკლავებიანად VIII საუკუნის მეორე ნახევრის (ცოტა ადრინდელია სამხრეთი მკლავის კოშკურასეული ნაწილი). საბოლოოდ ამ ნაგებობის სრულყოფა მოხდა IX საუკუნეში საკურთხევლისა და კარიბჭის განახლებით. გეგმარების მიხედვით იგი წარმოადგენს გარდამავალ ფორმას ბაზილიკიდან ჯვარ-გუმბათიან არქიტექტურულ სტილზე, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა ახალი სტილის დამკვიდრების თვალსაზრისით. საერთო ჯამში სამივე ბაზილიკა ადრე შუა საუკუნეების დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებს განეკუთვნება და ღირსეულ ადგილს იჭერს საეკლესიო ხუროთმოძღვრების ეტაპობრივ განვითარებაში.

დედაქალაქობამ რადიკალურად შეცვალა ქალაქის გარეგნული იერსახე. ცხოვრების ცენტრი კვლავ შიდაციხეა და შიდა ქალაქის ის ნაწილი, სადაც X საუკუნის ბოლოს ბაგრატის ტაძრის მშენებლობა დაიწყო. სწორედ VIII საუკუნეში ქალაქის ამ ნაწილში ხდება ინტენსიური განახლება – აღდგენითი სამუშაოები (ქართული დარბაზი, სამეფო სასახლე, ტაძარი, ეკლესია, აბანო, წყალსადენი, კერამიკული სახელოსნო და სხვ.).

ზედაპირული მიმოხილვით მნიშვნელოვანი ძვრები ჩანს ამ დროს ქვედა ქალაქის უბანშიაც, მაგრამ ეს ნაწილი იმდენად ინტენსიურადაა დასახლებული სადღეისოდ, რომ აქ არქეოლოგიური კვლევა – ძიების ჩატარება შეუძლებელი ხდება. მხოლოდ ის დადგინდა, რომ დედაბურჯიდან დაშვებული ქვედა ქალაქის დასავლეთის ზღუდის კედლის ნაწილი ამ დროს აუგიათ ან განუახლებიათ. ეს რა თქმა უნდა, ხაზგასმით მიუთითებს ქვედა ქალაქის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზეც ამ პერიოდში. ეჭვი არ არის, რომ რიონის სანაპირო ამ დროისათვის უპირატესად სავაჭრო – სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა, მითუმეტეს, სამიმოსვლო გზების არსებობა (სამდინარო, სახმელეთო) ქალაქის ამ ნაწილის ასეთ აქტიურ ფუნქციას იმთავითვე განაპირობებდა.

• არქეოლოგიური მასალა: კერამიკა, ნუმიზმატიკური მონაცემები

კერამიკა. VIII – IX საუკუნეებში ქალაქის სამეურნეო ცხოვრებაში მოხმარების თვალსაზრისით, კვლავ წამყვანი ადგილი ქვევრებს, დერგებს და ამფორებს უჭირავს. ქვევრების ახალი ჯგუფისათვის, რომელიც VII – VIII საუკუნეებში იყო ხმარებაში, წინა საუკუნეების ქვევრების მსგავსად ძირითადი ელემენტი უცვლელი რჩება, თუმცა შემკულობის თვალსაზრისით ჩნდება ახალი ნიუანსი. მაგალითისათვის გამოდგება მთლიანი ქვევრი, (სურ. 211)[23], რომელსაც ზომიერად და სიმეტრიულად გამობერილი მუცელი აქვს, სადა ზედაპირი და მხატვრულად გაფორმებული ძირის კიდე. ადრინდელი ქვევრების მსგავსად მისი ძირი ბრტყელია, ფართო და გამოყვანილი, მაგრამ ძირის კიდის გარე წრეზე თითით დატანილი მიჯრილი ჭდეები ამშვენებს, ხოლო პირის ბაკოზე ჯვრებია ამოკაწრული. მაშასადამე, იგრძნობა სწრაფვა ქვევრის მხატვრულად გაფორმებისათვის, ეს კი ხელოსნის დიდ ოსტატობაზე, მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს და მომხმარებლის ესთეტიკურ გემოვნებაზე მიუთითებს. ქვევრების მხატვრული გაფორმებისაკენ სწრაფვა განსაკუთრებით მკვეთრად შეინიშნება მომდევნო, IX – X საუკუნეებში. ამდროინდელი ქვევრები რადიკალურად განხვავდებიან ადრინდელი ერთეულებისაგან. პირველ ყოვლისა, თვალშისაცემია ჭურჭლის გარეგნული ფორმის ცვლილება და შემდეგ თიხის და გამოწვის ხარისხი[24]. ამ ჯგუფის ქვევრების ტანი კონუსისებური ფორმისაა, პირის გვირგვინი მასიური და დაბალი ყელი, ტანი ბოლოვდება შედარებით ვიწრო, კარგად გამოყვანილი ძირით. კედლის ზედაპირი შემკულია ფართო ჰორიზონტალური ქედებით (ჭრილში სამკუთხა განივკვეთით). თიხა უხეშია, მაგრამ საგანგებოდ ჩანს შერჩეული და გამომწვარია მაღალხარისხოვნად. ამ ჯგუფის ქვევრთა პირის გვირგვინები ასევე მრავლადაა აღმოჩენილი[25] კულტურულ ფენებში. ანალოგიური მასალა დიდი რაოდენობით გვხვდებოდა ვანში, ციხე – სულორის ნაციხარის გათხრების დროს.

ქვევრის ზედაპირზე ქედების დატანის ტრადიცია წინარეანტიკური ხანიდან მოდის. ადრეფეოდალური ხანის ადრინდელ ეტაპზე, IV – VI საუკუნეებში ქვევრის ზედაპირს ხშირად მიჯრილი ჰორიზონტალური ქედები ამკობს. VIII – X საუკუნეებში ქედებს შორის მანძილი ფართოვდება და ქედებიც შესამჩნევად მასიურია და მაღალი. ეს ტრადიცია გრძელდება გვიან საშუალო საუკუნეების ჩათვლით, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ადრე შუა საუკუნეების ქვევრისათვის ქედებს მხატვრული დანიშნულება აქვს და ის სამკაულის ფუნქციას ასრულებს. გვინდელი ქვევრებისათვის მას კირდუღაბის შენარჩუნების მოვალეობა უნდა ჰქონოდა, რადგან ბევრი ასეთი ქედებიანი ქვევრი კირხსნარის გარსშია გახვეული და ბუნებრივია, მის მხატვრულ გაფორმებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

VIII – IX საუკუნეებში ფართოდ გამოიყენება მცირე ზომის ქვევრები – ქოცოები. გარდა იმისა, რომ მათი ფრაგმენტები დიდი რაოდენობით გვხვდებოდა კულტურულ ფენებში, ისინი ორჯერ **in situ** მდგომარეობაში მიკვლეულ იქნა ჯგუფურად – მარანის სახით, ან როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. მაგ., ასეთი იყო ქართული დარბაზის სარდაფში აღმოჩენილი მარნისა და „ცოტა კარის" შიდა, ჩრდილოეთის მხარეს შვიდიოდე ქოცოს ერთად აღმოჩენის ფაქტები.

სურ. 211.
ქვევრი (VIII ს)

ძირითადად ეს ჭურჭელი ღვინის მოსაკავებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, თუმცა მათი მცირე მოცულობა გვაფიქრებინებს, რომ მათში შეიძლებოდა მწნილის, თაფლის და სხვა პროდუქტების შენახვა. ფაქტია, რომ IX – X საუკუნეებში ეს ჭურჭელი განსაკუთრებით ინტენსიურ ხმარებაშია.

დერგებშიაც VIII – X საუკუნეებში შესამჩნევი ცვლილება შენიშნება. თუ IV – VII საუკუნეების დერგებს ჰქონდათ პროფილირებული, მასიური პირის გვირგვინი, უკვე VIII – IX საუკუნეებში ასეთი რამ აღარ შეინიშნება. ამ პერიოდის დერგები შედარებით მცირე ზომისაა, თხელკედლიანი და ბრტყელძირიანი.

ძალზე შთამბეჭდავია, რომ წინა საუკუნეებთან შედარებით ამ ჭურჭლის რაოდენობა კლებულობს, ხოლო ქოცოების რაოდენობა იზრდება. ე. ი. თანდათან თითქოს მცირე ზომის ქვევრი იკავებს მის ადგილს. ასე ჩანს ქუთაისის მასალების მიხედვით.

ამფორა კვლავ ინარჩუნებს პრიორიტეტს VIII – X საუკუნეებში ქალაქის სამეურნეო ცხოვრებაში. ამ პერიოდში ძირითადად სამი ტიპის ამფორა გვხვდება.

ტიპი – XII – კვერცხისებურტანიანი მოყვანილობის ამფორა, აგურისფერკეციანი. თიხა შეიცავს კირქვის ნამცეცებს. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მხრებზე და პირს ქვემოთ აქვთ მიძერწილი. ძირითადად გლუვზედაპირიანია, მაგრამ მხრის არეში შემკულია ჰორიზონტალური წვრილად დაღარული სარტყლებით, რომლებიც ერთმანეთისაგან 1,5 სმ. არის დაშორებული და ღარების რიგი ხუთი ერთეულისაგან შედგება. ასეთი ტიპის ამფორები დამახასიათებელია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისათვის, სადაც მას VIII – IX საუკუნეებით ათარიღებენ და ადგილობრივ ნაწარმად თვლიან[26]. ჩვენთან ამგვარი ამფორის კედლის ორიოდე ფრაგმენტია აღმოჩენილი[27], მისი აქ მოხვედრა ალბათ სავაჭრო ურთიერთობების შედეგად უნდა აიხსნას.

ტიპი XIII – ღია ყავისფერკეციანი ამფორა, ზედაპირზე ჰორიზონტალურად განლაგებული კონცენტრული ხაზებით (სავარცხლისებური ორნამენტი), თხელკედლიანია, ზედაპირი დაფარულია ჩალისფერი ან ვარდისფერი ანგობით. თიხა შეიცავს კირქვის და ქარსის მინარევებს, რის გამოც ზედაპირი ბრწყინავს[28].

ასეთი ამფორების ზუსტი პარალელები ცნობილია ჩრდილოთ შავიზღვისპირეთში. ისინი აღმოჩენილია კერამიკულ ქურებთან და ამიტომაც ადგილობრივ ნაწარმად თვლიან. ისინი VIII საუკუნიდან მოყოლებული XI საუკუნემდე აგრძელებენ არსებობას და კულტურულ ფენებში წარმოადგენენ მასიურ მასალას[29].

ტიპი XIV – მსხლისებურტანიანი, სქელკედლიანი ამფორა. კორპუსის ზედა ნაწილში ფართოა, ქვემოთ სფეროსებური მოყვანილობის ძირი აქვს. დაბალყელიანი, რთულპროფილიანი პირით, ოვალურგანივკვეთიანი ,,Г"-მაგვარი ყურით, რომელიც მიძერწილი აქვს პირის კიდესთან და მხრებზე. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ზედაპირი შემკულია დადაბლებული ჰორიზონტალური ღარებით და დაფარულია ჩალისფერი ანგობით.

სურ. 212. ამფორა (VIII ს)

ასეთი ტიპის ამფორები დადასტურებულია ქერსონესში IX – X საუკუნეებით დათარიღებულ ფენებში, რომლის საყრდენია ვასილ I და ვასილ II მონეტები. ისინიც ადგილზე დამზადებულად ითვლება[30]. ამ ტიპის ამფორები საერთოდ გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს ბიზანტიაში[31]. ქუთაისშიც ამ ტიპის[32] ფრაგმენტები ყველაზე მეტია აღმოჩენილი. მოვიპოვეთ აგრეთვე ერთი მთლიანი ეგზემპლარი VIII საუკუნის სამეფო აბანოს მახლობლად. მისი სიმაღლეა 37 სმ, მუცლის დმ – 29 სმ, ძირის დმ – 15,5 სმ., პირის დმ – 8,5 სმ., ყელის დმ – 7,5 სმ., კედლის სისქე – 1 სმ. (სურ. 212).

• სამზარეულო კერამიკა

ქოთნები – თავდაპირველად ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად გავყავით. პირველის შესახებ წინა თავში იყო საუბარი. მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (VIII – X სს.) ქოთნებისათვის დამახასიათებელია მომრგვალებულპროფილიანი ანდა გარედან დაბრტყელებული, შესქელებული პირ – ბაკო[33]. ზოგიერთ ეგზემპლარზე შეინიშნება მცირეოდენი სხვაობა მოცემული ფორმის შიგნით. უპირატესად ასეთი ქოთნები რუხკეციანია ან ყავისფერკეციანი. დამზადებულია ქარსიანი თიხისაგან. ამ პერიოდის ზოგიერთი ქოთანი თხელპირბაკოიანია და აქვთ ძლიერ შეზნექილი საშუალო სიმაღლის ყელი. ცალკე აღნიშვნის ღირსია ყურიანი ქოთნები, რომელთაც აქვთ ოთხკუთხაგანივკვეთიანი თხელი პირ – ბაკო.

VIII – IX საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ფორმას წარმოადგენს ქვაბ – ქოთნები, რომელთაც აქვთ გარეთ გადახრილი და გარედან ისრისებურად დაბრტყელებული პირ – ბაკო, საშუალო სიმაღლის ყელი და მასზე უმრავლეს შემთხვევაში ტალღისებური ორნამენტი. ქვაბ – ქოთნების კეცი რუხი – ნაცრისფერია, თიხა უხეში – მინარევებიანი. ამ ეტაპის ადრეულ საფეხურზე როგორც ქოთნების, ისე ქვაბ – ქოთნების ზედაპირი გლუვია, ხოლო ბოლო პერიოდში ზედაპირი დაფარულია კონცენტრული ხაზებით (ჩარხის კვალი) (სურ. 213).

სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის დოქებით, ჯამებით და სასმისებით.

დოქებში სამი ვარიანტია გამოყოფილი, ძირითადად მოყვანილობის მიხედვით. პირველ ჯგუფში გაერთიანებულია თითქმის ცილინდრული ფორმის ტანის მქონე დოქები[34] დაბალი ყელით, ფართოდ გადაშლილი პირით და სადა ბრტყელი ძირით. დოქს ყური მიძერწილი აქვს მუცლისა და ყელის არეში, რომელიც ნახევრადოვალურგანივკვეთიანი ფორმისაა. თიხა უხეშია, მინარევებიანი, კეცი გამომწვარია ღია ყავისფრად. ზომები: სიმაღლე – 17,5 სმ., მუცლის დმ – 9 სმ., პირის დმ – 7,8 სმ., ყელის სიმაღლე – 4 სმ., პირის დმ – 6 სმ., ყელის დმ – 4 სმ.

ამავე ჯგუფში გავაერთიანეთ მთელი დოქი[35], რომელსაც აქვს მაღალი ფართო ყელი და სადა პირი. დოქის ტანი ძირისკენ ოდნავ ვიწროვდება და გაშლილი კუთხით უერთდება ბრტყელ ძირს ყური მასაც ტანზე და ყელზე აქვს მიძერწილი. თიხა მინარევებიანია. ზედაპირზე ეტყობა ჩარხის კვალი. კეცი აგურისფერია.

საერთო მონაცემებით, ამ ჯგუფის დოქები IX – X საუკუნეებით არის დათარიღებული, თუმცა არ გამოირიცხება მათი გამოყენება XI საუკუნეშიც (სურ. 214, 215, 216).

სურ. 213.
ქოთნები (VIII-IX სს)







სურ. 214. დოქი (IX-X ს)

სურ. 215. დოქი (IX-X ს)

სურ. 216. დოქი (IX-X ს)

დოქების მეორე ჯგუფი მსხლისებური მოყვანილობის ფორმებია[36]. ერთ – ერთი მათგანის ზომებია: სიმაღლე – 17 სმ., მუცლის დმ – 12,5 სმ., ძირის დმ – 9 სმ. პირ-ყელი გადამსხვრეული აქვს. კეცი აგურისფერია, გადანატეხში ნაცრისფერი. თიხა უხეშია, მინარევებით.

ამავე ჯგუფში თავსდება შედარებით მაღალი მსხლისებური ტანის დოქი, რომელსაც აქვს ვიწრო დაბალი ყელი და ოდნავ გადაშლილი პირი. მრგვალ-განივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მხარზე და ყელის შუა ნაწილში. ზომები: სიმაღლე – 22 სმ., მუცლის დმ – 15 სმ., ძირის დმ – 8,5 სმ., ყელის სიმაღლე – 6 სმ., ხოლო დმ – 2,5 სმ., პირის დმ – 3,5 სმ. ჩვენი ვარაუდით, ეს დოქები IX საუკუნიდან ხმარებაში უნდა ყოფილიყო XII საუკუნის ჩათვლით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კერამიკულ ქურაში აღმოჩენილი სამტუჩა დოქი[37], რომელიც შედარებით მაღალყელიანია, შეზნექილი პროფილით. ყელი მხრებისაგან გამოყოფილი არ არის. ტანი ძირისაკენ საგრძნობლად ვიწროვდება და აქვს ბრტყელი ძირი. ბრტყელი ყური მხარზე და პირის კიდეზე აქვს მიძერწილი. ზომები: სიმაღლე – 26 სმ., მუცლის დმ – 11 სმ., ძირის დმ – 7 სმ. აღნიშნული დოქი კარგად თარიღდება კომპლექსის საშუალებით, VIII საუკუნით.

IX – X საუკუნეებით უნდა დათარიღდეს ერთი ბიკონუსური ფორმის ზედა-პირგაპრიალებული ვიწროყელიანი ხელადა[38], რომელსაც აქვს ბრტყელი პროფილირებული ძირის ქუსლი. ზომები: სიმაღლე – 16 სმ., ყელის დმ – 3 სმ., ძირის დმ – 7,5 სმ. თიხა კარგად განლექილია, კეცი ვარდისფერი, ზედაპირი წნეხვითაა მოგლუვებული (სურ. 217).

ამავე პერიოდის უნდა იყოს **ფეხიანი სასმისი**, ზედაპირგაპრიალებული, კალთააკეცილი, სწორი, მომრგვალებული პირის კიდით[39]. შიდა ნაწილი მოხატულია თეთრი საღებავით, მასზე გეომეტრიული ორნამენტით გამოყვანილია მზის სიმბოლო. საყრდენი ფეხი ორიარუსიანია, თითოეულ მათგან-ზე თეთრი საღებავით წერტილებია დატანილი. ძირი ფართო და ბრტყელია. ზომები სიმაღლე – 9,5 სმ., პირის დმ – 10 სმ., კალთის სიმაღლე – 4 სმ., ფეხის სიმაღლე – 4,5 სმ., ძირის დმ – 8 სმ, ხოლო საყრდენი ფეხისა – 6 სმ. ასეთი სასმისები ძალზე იშვიათად გვხვდება. იგი ნაწილობრივ მინისაგან დამზადებულ ფეხიან სასმისებს წააგავს.

ჯამი (ფიალა) – ფართოძირიანი, დაბალკალთიანი. უხეში თიხისაგანაა დამზადებული. ქურაში მოპოვებული მასალების მიხედვით VIII საუკუნით თარიღდება.

სურ. 217. ვიწროყელიანი ხელადა (IX-X ს)

სურ. 218. მოჭიქული ჯამი (IX ს)

IX – X საუკუნეებიდან სუფრის ჭურჭლის ახალი სახეობა გვხვდება მოჭიქული ჯამების სახით. მათ დასამზადებლად გამოყენებულია ისეთივე ხარისხის თიხა, როგორიც სქელკედლინი ტანდაღარული ამფორებისათვის. ე. ი. თიხა, როგორც წესი, კარგად განლექილია, თეთრი ან ღია აგურისფერია. ჭურჭელი სქელკედლიანია, გარედან შეუმჩნევლად არის დაღარული, ხოლო შიდა ზედაპირი მოჭიქულია (პოლიქრომული).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ – ერთი მოჭიქული (პოლიქრომული) ჯამი[40], (სურ. 218), რომელსაც აქვს ფართოდ გადაშლილი, დაქანებული კალთა, მრგვალი ძირიდან ოდნავ გამოყოფილი წრიული ქუსლი. შიდა ზედაპირი დაფარულია ყავისფერი ჭიქურით, რაც საერთო ფონს ქმნის და მასზე მწვანე და მოყვითალო ჭიქურით დატანილია გულისმაგვარი ფორმები. ჯამის გარე ზედაპირი კი შემკულია ჩალისფერი ანგობით და ბლაგვი რელიეფური ღარებით. თიხა, როგორც წესი, კარგადაა განლექილი. ზომები: პირის დმ – 27 სმ., სიმაღლე – 6 სმ., ძირის დმ – 11 სმ., ქუსლის სიმაღლე – 1 სმ.

ასეთივე ტიპისაა პოლიქრომული ჯამი[41], კალთაგადაშლილი, მომრგვალებულ – პროფილიანი ძირით, დაბალი ქუსლით, რომლის გარე ზედაპირი დაფარულია ჩალისფერი ანგობით, ხოლო შიდა ზედაპირი მრავალფერა ჭიქურით (მწვანე, ღია ყვითელი და მუქი ყავისფერი).

პოლიქრომულ ჯამებში გვხვდება ისეთებიც, რომელთაც აქვს ძალიან ფართო ძირი (დმ – 17 სმ.) და დაბალი ქუსლი[42]. ისინიც სამი ფერის (მწვანე, ყვითელი, ყავისფერი) ჭიქურითაა დაფარული. კეცი ღია აგურისფერია. ზოგიერთი მხოლოდ ყვითლად და ყავისფრადაა მოჭიქული[43], ან ყვითლად და მუქმწვანედ[44]. საერთოდ ჭარბობს ის ჯამები, რომელთაც ყავისფერი ჭიქურის ფონზე შიდა ზედაპირი შემკული აქვს მწვანე და ყვითელი ფერის ჭიქურით შესრულებული გეომეტრიული სახეებით[45] ან მხოლოდ მწვანედ მოჭიქულია[46].

საერთო მონაცემებით ზემოთ აღწერილი პოლიქრომული ჯამები IX – X საუკუნეებით თარიღდება. დათარიღების ერთ – ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს კეცის ფაქტურის იდენტურობა VIII – X საუკუნეებში ტანდაღარულ ამფორებთან. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ ამფორებისა და ჯამებისათვის ერთი და იგივე ნედლეული იყოს გამოყენებული, უფრო სწორად, ერთ საწარმოო ცენტრში, ერთ პერიოდში მათი დამზადება არის სავარაუდებელი.

• სამშენებლო კერამიკა

კრამიტები კვლავ სოლენითა და კალიპტერითაა წარმოდგენილი, მაგრამ მათში VIII – X საუკუნეებში, ზოგიერთი ნიშნის მიხედვით, ცვლილება შეინიშნება. კერძოდ, ამ პერიოდის სოლენი ფორმით მსგავსია ადრინდელი კრამიტისა, მაგრამ შედარებით მცირე ზომისაა და დამოკლებულია გადასაბმელი შვერილი სიგრძეც, ამასთანავე აკეცილი გვერდის (ბორტის) სიმაღლეც საგრძნობლად შემცირებულია.

გარკვეული ცვლილება განიცადა კალიპტერმაც. უკვე საერთოდ აღარ გვხვდება შვერილქიმიანი ან კოპებიანი კრამიტები და მათ ნაცვლად სამი ჰორიზონტალური ღარი დაუყვება.

ეპოქის დასასრულისათვის კრამიტთა გაფორმებაში სრულიად ახალი მოტივი გაჩნდა. ესაა კრამიტის ზედაპირის ჭიქურით დაფარვა, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა X საუკუნიდან. ამ პერიოდის კრამიტებისათვის, ადრინდელთან შედარებით, უკეთ განლექილი თიხაა შერჩეული და გამოწვის ხარისხიც თითქოს უკეთესია.

აგური განსახილველ პერიოდში ძირითადად სამშენებლო მასალას წარმოადგენს. თუ ადრინდელ პერიოდში აგური დამხმარე მასალის ფუნქციას ასრულებდა – კედლის რიგების გასწორება, კუთხეების ამოყვანა, თაღების გამართვა, იატაკის მოპირკეთება და სხვა, ახლა ძირითადი ნაგებობები აგურისაგან კეთდება (სამეფო სასახლე, აბანო და სხვ.). ამ პერიოდში გაბატონებულია ერთი ტიპის – კვადრატული აგური (ე. წ. ქართული აგური). იგი დამზადებულია ადგილობრივი ბზენარევი, ფორებიანი თიხისაგან, რაც მის სიმსუბუქეს და სიმტკიცეს განაპირობებდა. აგურის ზომებია: 27X27X5. VIII საუკუნის მეორე ნახევარში სამეფო სასახლის კომლექსისათვის, როგორც ჩანს, საგანგებოდ მოუჭრიათ ეს აგური, რადგანაც ასეთი ტექნოლოგიით დამზადებული აგური არც მანამდე და არც შემდეგ აღარ გვხვდება.

ლითონის ნივთებიდან ამ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქრისტიანულ კულტმსახურებასთან დაკავშირებული ბრინჯაოს საცეცხლური



სურ. 219. სასაკმევლე (VII-VIII სს)

(სასაკმევლე) (სურ. 219). სამწუხაროდ, ეს ნივთი ძლიერ დაზიანებული დაგვხვდა, სულ სამიოდე ფრაგმენტის სახით: საკიდი ჯაჭვითა და სახელურით. გაწმენდის შემდეგ შემორჩენილი ნაწილის ზედაპირზე გამოჩნდა, რომ იგი ორ ფრიზად ყოფილა გაყოფილი რელიეფური ქედით და ზედა ფრიზზე გეომეტრიული ორნამენტია დატანილი, ხოლო ქვედა ფრიზზე რელიეფური გამოსახულებები ჩანს. სტრატიგრაფიის გათვალისწინებით და პარალელურ მასალების მოშველიებით ხელოვნებათმცოდნეებმა ეს ნივთი VII – VIII საუკუნეებით დაათარიღეს, რაც შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

ნუმიზმატიკური მასალა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ბიზანტიასთან მჭიდრო სავაჭრო – ეკონომიკურ კავშირებზე. აღმოჩენილია რომანოზ I ერთმმართველის (919 – 921 წწ.), იოანე ციმისხის (969 – 976 წწ.), ბასილ II და კონსტანტინე VIII (976 – 1025 წწ.), მიხეილ IV პაფლაგონელის (1034 – 1041 წწ.). თეოდორას (1055 – 1056 წწ.), კონსტანტინე X დუკას (1059 – 1067 წწ.) და რომანოზ II დიოგენეს (1067 – 1071 წწ.) სახელზე მოჭრილი მონეტები.

მაშასადამე, VIII საუკუნის დასასრულში იწყება ახალი ეტაპი ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში. იგი დასავლეთ-ქართული სახელმწიფოს (ეგრის – აფხაზთა სამეფოს) ერთადერთი დედაქალაქი გახდა. აფხაზთა მეფეების პოლიტიკური კურსი ზოგად ქართული მიმართულების იყო. ამიტომაც ქუთაისი გახდა ქართული სახელმწიფოს მშენებლობის აკვანი. სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია საეკლესიო პოლიტიკა. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსების საკითხს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ეს ფაქტი XI საუკუნის დასაწყისში მომხდარა. მისი თქმით, ბაგრატ მეფემ ქუთაისში „დასვა ეპისკოპოზი"[47].

პ. ინგოროყვას აზრით, ქუთაისში საეპისკოპოსო კათედრა ვარდციხე – როდოპოლისიდან უნდა გადმოეტანათ[48]. ნ. ბერძენიშვილი ნდობას უცხადებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას და თვლის, რომ ეს აქცია ბაგრატ III დროს მოხდა და ფოთიდან გადმოიტანეს საეპისკოპოსო ცენტრი ქუთაისშიო[49]. მ. ლორთქიფანიძეს დასაშვებად მიაჩნია, რომ ქუთაისის საეპისკოპოსო VIII საუკუნეში ლეონ აფხაზთა პირველი მეფის (ან აფხაზთა რომელიმე სხვა მეფის) დროსვე შეიქმნა[50].

„ქუთაისის დედაქალაქობა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით თითქოს დასაშვებს ხდის ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას. ამას მხარს უჭერს დიდი საეკლესიო ნაგებობის („ქუთათისის საყდარი") არსებობა და შიდაციხეში ძველი ეკლესიის განახლება – გაფართოება VIII საუკუნის შუა ხანებში"[51]. ჩვენი ვარაუდით, სწორი უნდა იყოს პ. ინგოროყვა, რომ ქუთაისმა ვარდციხის საეპისკოპოსო შეცვალა. ვარდციხის არქეოლოგიური კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ VIII – X საუკუნეებში „ციხე – ქალაქში რომლის ზღუდისა და კოშკების დიდი ნაწილი ალბათ დანგრეულია, ცხოვრების მაჯისცემა შენელებულია"[52]. ქუთაისში კი საპირისპირო ვითარებაა. ამიტომაც ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ VIII საუკუნის ბოლოს ვარდციხედან ქუთაისში იქნა გადატანილი საეპისკოპოსო კათედრა. თუმცა საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ ლოგიკურია ასეთი მსჯელობა: ის, რომ ქრისტიანული კულტმსახურების ადრინდელ ეტაპზე ბერძნული ეკლესია თავისი ენით, კულტურით, საეპისკოპოსო ცენტრებით და ტრადიციებით ღრმად იყო შეჭრილი ეგრისში[53], ეს რა თქმა უნდა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ V საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ვახტანგ გორგასალმა

გააერთიანა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო ზოგადქართული კულ-ტურული ელემენტები აქტიურად იწყებს შემოჭრას დასავლეთ საქართველოში, რომლის ფორპოსტსაც აქ ქუთაისი წარმოადგენდა[54], ესეც უეჭვო ფაქტია. მით-უმეტეს VI – VII საუკუნეთა მიჯნაზე ქართლის კათალიკოსი კირიონი ხედლას-მულ იქნა „მეგრელთა არქიეპისკოპოსად წინანდელ წესთა მაგალითისამებრ". რაც იმის მაჩვენებელია, რომ მცხეთის საკათალიკოსოს სამწყსოში დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილი შედიოდა, სადაც ქრისტიანული კულტიც ქართულ ენაზე სრულდებოდა[55]. დ. მუსხელიშვილის ვარაუდით, VII საუკუნეში მცხეთის კათალიკოსის იურისდიქცია მთელ რიონისპირეთს მოიცავდა ტეხურ-ამდე[56]. ის გარემოება, რომ VII საუკუნეში ქუთაისში ახალი ტაძარი („საყდარი ქუთათისისა") აშენდა და როგორც ზემოთ ვივარაუდეთ პატრიკიოსის რეზიდენ-ციაც აქ შეიძლებოდა ყოფილიყო, დასაშვებს ხდის VII საუკუნიდან ეპისკოპოსის რეზიდენციაც ქუთაისში ვივარაუდოთ.

ე.ი. X საუკუნის ბოლოსათვის მომზადდა ყველა პირობა რათა ქუთაისი საქართველოს გაერთიანების მოთავე გამხდარიყო. ამ ხანგრძლივი ისტორიუ-ლი პროცესის დაგვირგვინება დაკავშირებულია ბაგრატ III სახელთან, რომლის დროსაც ქუთაისი უკვე სრულიად საქართველოს დედაქალაქი გახდა.

და ბოლოს კიდევ ერთხელ შეიძლება დავასკვნათ: ქართულ ისტორიოგრა-ფიაში ბაგრატის ტაძრის სტატუსის საკითხს პირველად შეეხო ვახუშტი ბაგრა-ტიონი: ის, რომ ბაგრატ III „დასუა ეპისკოპოზი, მწყემსი იმერეთისა და გური-ისა" პირდაპირ მიუთითებს XI საუკუნის დასაწყისში ქუთაისში საეპისკოპოო რეზიდენციის არსებობაზე[57] და „ზის აწცა არღარა ეგდენითა სამწყოსოთი"... ე.ი. ვახუშტის დროსაც XVIII საუკუნეში ქუთაისში ეპისკოპოსის კათედრა კვლავ ფუნქციონირებს. სამწუხაროდ წყაროები არაფერს ამბობენ საეპისკოპოსოს დაარსების თაობაზე და აღნიშნული სტრუქტურის ადრინდელ წლებზე.

მაშინ, როდესაც „მატიანე ქართლისა" პირდაპირ აღნიშნავს: „მანვე დიდ-მან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყვსა საეპისკოპოსო....აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი". კო-მენტარის გარეშე აქ ყველაფერი ნათელია, თუმცა „ამანვე აკურთხა ეკლესია ქუთათისისა განგებითა დიდითა და მიუწვდომლითა. რამეთუ შემოკრიბნა მახ-ლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქვემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი და სხუათა ყოველთა სახელმ-წიფოთანი"[58]. ალბათ ეს ნიშნავს, რომ ბაგრატამდე საეპისკოპოსო კათედრა ქუთაისში არსებობდა და ბაგრატმა მხოლოდ ახლადაშენებული, განახლებული ტაძარი აკურთხა. როგორც პ. ინგოროყვა ფიქრობდა: VIII-IX საუკუნეებში რო-დოპოლისიდან და პეტრადან კათედრა გადატანილ იქნა აფხაზთა დედაქალაქ-ში-ქუთაისში"[59]. თითქმის იგივე მოსაზრებას გამოთქვამს მ. ლორთქიფანიძე: „...ქუთაისის საეპისკოპოსო ლეონ აფხაზთა პირველი მეფის დროს შეიქმნა"[60].. დოც. პ. ვაჭრიძე აკად. ნ. ბერძენიშვილის შეხედულებების გათვალისწინებით საეპისკოპოსო ცენტრების ცვლილებას-პოლიტიკური ცენტრების გადაადგ-ილებით ხსნის და მასაც შესაძლებლად მიაჩნდა ქუთაისში საეპისკოპოსო ცენ-ტრის ახ. წ. VIII საუკუნიდან გადმოტანა და საკითხის გასამყარებლად ციტა-დელში VIII საუკუნეში ეკლესიის განახლება აქვს მოხმობილი[61]. ბატონი პეტრეს

მახვილგონივრული ინტუიცია მისასალმებელია. თუმცა აღვნიშნავთ იმას, რომ ციტადელის ეკლესია ჩვენ მხოლოდ სამეფო სასახლის კარის სამლოცველოდ მიგვაჩნია და არა ეპისკოპოსის რეზიდენციად. ეპისკოპოსის კათედრად ბაგრატის ტაძრის იატაკქვეშ აღმოჩენილი რიგით III ჯვრის ფორმის სამნავიანი ბაზილიკა უნდა წარმოვიდგინოთ, რომელიც VIII საუკუნის ბოლოს არის აგებული და IX-X საუკუნეებში არაერთხელ განახლებული და რეკონსტრუქციაქმნილი[62]. კონტექსტში გასათვალისწინებელია აღნიშნული ნაგებობის მასშტაბიც.

• ქალის მდიდრული სამარხი „ქუთათისის საყდრიდან"

ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში 2003-2012 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დადგინდა ძეგლის სტრატიგრაფია და სამშენებლო ეტაპები[63].

ტაძრის იატაკის ქვეშ არსებული ადრე შუა საუკუნეების საკულტო არქიტექტურის ძეგლების შესწავლის პარალელურად ინტერიერსა და ექსტერიერში 100-ზე მეტი სამარხი გაითხარა, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო V-XIX საუკუნეებს მოიცავს.

გათხრებისას აღმოჩენილ ადრე შუა საუკუნეების სამარხებში ორი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყოფა: 1. ორმოსამარხები, რომელთაც ფარავს VI საუკუნის დასაწყისის ბაზილიკის ჰიდრავლიკურხსნარიანი იატაკი. მათ ჩაჭრილი აქვთ IV ს-ის ბაზილიკის იატაკის დონე. 2. VIII ს-ის მეორე ნახევრის შემდგომი დროის ორმოსამარხები და კირხსნარიანი სამარხები.

კირხსნარიანი სამარხები საერთოდ იშვიათი მოვლენაა, დაკრძალვის ფორმების ისტორიაში იგი ძირითადად რომაული ხანის სამაროვნებზე გვხვდება, ხოლო საქართველოში აქამდე მხოლოდ ბიჭვინთის გვიანანტიკური ხანის სამაროვნიდან იყო ცნობილი[64].

გათხრების ამ ეტაპზე ქუთაისში 6 კირხსნარიანი სამარხია გამოვლენილი, რომლებიც ბიჭვინთის სამარხებისგან განსხვავებულია ქრონოლოგიურადაც და კამერის მოწყობის პრინციპითაც. მათ შორის გამორჩეულია №50-ე სამარხი, რომელშიც ქრისტიანული ეპოქის სამარხებისათვის უჩვეულო, მდიდრული ინვენტარი აღმოჩნდა[65].

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ უახლესი მონაცემებით №50-ე სამარხი გამართულია გათხრებით გამოვლენილი III ბაზილიკის კარიბჭეში, რომლის აგებაც ეგრის-აფხაზთა მეფის ლეონ II სახელს უკავშირდება. VIII საუკუნის მეორე ნახევარში[66].

სამარხის კონსტრუქციის ზედა ნიშნული VIII საუკუნის ბაზილიკის კარიბჭის იატაკის დონეზეა გასწორებული და ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ გარდაცვლილი არა მშენებარე, არამედ უკვე დასრულებულ ბაზილიკაში დაკრძალეს. აქედან გამომდინარე, სამარხის ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა VIII ს-ის მიწურულით შეიძლება განისაზღვროს, თანაც მისი გამართვის დროს ჩაჭრილია VI საუკუნის დასაწყისში განახლებული პირველი ბაზილიკის (IV ს.) ნართექსის ჰიდრავლიკურხსნარიანი იატაკი (სურ. 220).

სურ. 220. სამარხის კონსტრუქციის ზედა ნაწილი

სურ. 221. სამარხი კამერა

№50-ე სამარხის კონსტრუქცია სამნაწილიანია:

1. ზედა ნაწილი წარმოადგენს **w-o** ხაზზე დამხრობილ, გარედან კარგად დამუშავებულ საშუალო ზომის ქვის ფილების ერთი რიგით შეკრულ ყუთს, რომლის სამხრეთისა და ჩრდილოეთის გვერდითა კედლებში ოთხ-ოთხი, თავსა და ბოლოში კი თითო ფილა დევს. ქვაყუთის გარე ზომებია 2,3×0,68 მ., სიმაღლე 0,4 მ-დე. კედლები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო სუსტი კირხსნარით. ასეთივე ხსნარის თხელი ფენით გადალესილი შიდა სივრცე ქვის ფილებით ყოფილა დაფარული, რომელთაგან უძრავად აღმოსავლეთის ნაწილში მხოლოდ ერთი ფილა იყო შემორჩენილი (ქვაყუთის სახურავი თავის დროზე ნიველირებული იყო VIII საუკუნის კარიბჭის იატაკის დონეზე, რითაც შემსვლელთათვის მონიშნული იყო საფლავის ადგილი), დანარჩენები, როგორც ჩანს, ბაგრატის ტაძრის მშენებლობის დროს იქნა აღებული, მაგრამ საბედნიეროდ სიღრმეში აღარ ჩავიდნენ და ზემოდან სამშენებლო ანატკეცებით გადაფარეს.

ეს სტრუქტურა შევსებული იყო 0,2-0,3 მ-ის სიმძლავრის ღორღიანი მიწით, რომელიც თავის დროზე დაფენილი იყო სამარხის კამერაზე. (სურ. 221).

2. შუა ნაწილი მართკუთხედის ფორმის კამერას წარმოადგენდა. იგი შემოსაზღვრული იყო გაურანდავი ხის ფიცრებით შეკრული კარკასით და მიწაში გაჭრილ ორმოში ჩასხმული, ადვილად შლადი დუღაბის შეფიცრულ კედელს წარმოადგენდა (სიმაღლე 0,4 მ. სიგანე 0,5-0,10 მ.).

3. ქვედა ნაწილი, ასევე ტრაპეციის ფორმის შეფიცრულ (ფეხებისკენ დავიწროებულ) სივრცეს წარმოადგენდა, სადაც მიცვალებული დაუკრძალავთ უშუალოდ მიწაზე, რომელსაც ზემოდან მთელ ტანზე ზეწარივით ეფარა სილისა და კირხსნარის თხელი ფენა ისე, რომ მხოლოდ სახის ნაწილი ჩანდა. დუღაბის ფენამ ძლიერ გაართულა ჩონჩხის პრეპარაცია, თუმცა ინვენტარის ძირითადი

სურ. 222. კირხსნარის ქვეშ

სურ. 222ა. სამარხის დეტალი ინვენტარით

ნაწილი **in situ** მდგომარეობაში დაფიქსირდა (სურ. 222-222ᵇ). ზოგიერთი ნივთის დულაბისგან გამოცალკევება კი მხოლოდ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ლაბორატორიაში მოხერხდა.

მიცვალებულის დამხრობა კანონიკურად ქრისტიანულია, ხელებისა და ფეხების პოზაში კი წარმართული ელემენტები ჩანს: მარჯვენა ხელი ედო მკერდზე, მარცხენა კი მენჯზე. მარჯვენა ფეხის წვივის ძვლები კი გადაჯვარედინებული (გადალაგებული) იყო მარცხენაზე. ფეხის თითები ნაკლული და გაბნეულია (სურ. 223).

ხელების ანალოგიური პოზა ხშირად გვხვდება სხვადასხვა რეგიონის (მათ შორის საქართველოს) წინა და ადრექრისტიანული ხანის სამაროვნებზე, ერთ შემთხვევაში იგი დადასტურდა ბაგრატის ტაძრის ინტერიერში აღმოჩენილ V ს-ით დათარიღებულ №88-ე უინვენტარო ორმოსამარხშიც. (სურ. 224).

ფეხების გადაჯვარედინებული პოზა გვხვდება ყუბანისპირეთში მეოტებთან (ძვ. წ. I – ახ. წ. I სს-ში), სარმატებთან (II-III სს-ში)[67] და სხვ[68]. საქართველოში დადასტურებულია წებელდაში, აბგიძრახუს სამაროვანზე (№9 და №54 სამარხები). მ. თრაპში მათში სარმატული დაკრძალვის წესს ხედავს[69], თუმცა მკვლევართა სამართლიანი დასკვნით ფეხების გადაჯვარედინებული პოზა არ განეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ არქეოლოგიურ კულტურას და მით უმეტეს არ წარმოადგენს ეთნიკურ მახასიათებელს[70]. (შდრ. სამთავროს №29 ფილასამარხი III ს.), რაც აღნიშნული წესის სიძველეზე მეტყველებს საქართველოში.

№50-ე სამარხის ინვენტარი წარმოდგენილია ოქროს, ვერცხლის, მინის და ძვირფასი ქვებისაგან შედგენილი სამკაულებით:

1. დიდი ზომის ოქროს სასაფეთქლეები, 2 ცალი (სურ. 225).
2. ოქროს ბეჭდები. მარცხენა ხელზე ფირუზისთვლიანი, მარჯვენა ხელზე ლალისთვლიანი (სურ. 226, 227);
3. ნახევრადძვირფასი თვლებით დამშვენებული ოქროს შედგენილი სამაჯურები. თითო ხელზე 4-4 ცალი (სურ. 228-229);
4. ოქროს მთლიანადსხმული სამაჯური [მარცხენა ხელზე]. (სურ. 230);
5. ვერცხლის მთლიანადსხმული, ჭვირულგამოსახულებიანი სამაჯური მარჯვენა ხელზე (სურ. 231);
6. შავი მინის სამაჯურები, 2 ცალი (სურ. 232); და ფერადი მინის სამაჯურები 2 ცალი. (სურ. 233).

სურ. 223. დაკრძალვის პოზა

სურ. 224. დაკრძალვის ანალოგიური პოზა, მამაკაცის სამარხიდან

სურ. 225. ოქროს სასაფეთქლეები

სურ. 226. ფირუზისთვლიანი ოქროს ბეჭედი

სურ. 227. ლალისთვლიანი ოქროს ბეჭედი

7. ტრაპეციის ფორმის ოქროს საკიდები, 3 ცალი (სურ. 234);
8. პირამიდული ფორმის ოქროს ფირფიტებით შედგენილი სამაჯური (სურ. 235).

ოქროსა და ვერცხლის ნივთების ჭედურობის ტექნოლოგიაში შეინიშნება გარკვეული მსგავსება ბიზანტიური სამყაროსა და VII-VIII სს-ის აღმოსავლეთ ევროპის კულტურების საიუველირო ნაწარმთან. ფირუზისთვლიანი ოქროს ბეჭედი კი თითქმის იმეორებს VIII საუკუნით დათარიღებულ ბალიჭის (აღმოსავლეთ საქართველო) სარკოფაგში აღმოჩენილ ოქროს ბეჭედს[71].

ზემოთ აღნიშნული ფაქტების მიუხედავად, გარდაცვლილის ვინაობის დადგენა კვლევის ამ ეტაპზე შეუძლებელია, ხოლო მდიდარი ქალბატონის სამარხი დაკრძალვის წესისა და ინვენტარის თავისებურებებიდან გამომდინარე მაშინვე კომპლექსური კვლევის საგანი გახდა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ მიცვალებულს ჩაუტარდა ანთროპოლოგიური, ზოოლოგიური და პალინოლოგიური ანალიზი[72]. კომპლექსური კვლევის შედეგად ასაკი განისაზღვრა 20-25 წლით. პოსტკრანიალური ჩონჩხის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ „მდიდარი ქალბატონის" ცხოვრების წესი არ იყო აქტიური, მისი კიდურები იყო საშუალოდ განვითარებული. სხეულის სიმაღლე იყო 156,9 სმ., რაც საშუალო სიმაღლედ მიიჩნევა, ხოლო წონა 40,9 კგ. უდრიდა. თავის ქალისა და სხეულის შედარების საფუძვლეზე ვარაუდობენ, რომ გარდაცვლილს ბავშვობაში რაქიტი ჰქონდა გადატანილი. ამის დასტურია სხვა მაჩვენებლებიც (მაგ. ქათმის ფორმის გულმკერდი და მცირე ზომის მენჯი და თავის ქალა...). მკვლევართა აზრით მიცვალებული ზამთარში უნდა დაბადებულიყო, თანაც დღენაკლული.

განსაზღვრულ იქნა ძვლისა და სამარხი გრუნტის მიკროელემენტების შემცველობა, რათა აღედგინათ მდიდარი ქალბატონის ცხოვრების წესის თავისებურება (კვების რაციონი და ა.შ).

უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი აღმოჩნდა პალინოლოგიური მასალა, კომპლექსში დიდია ხემცენარეთა, განსაკუთრებით წიწვოვანთა შემცველობა.

პალინოლოგიური სპექტრების ანალიზით გაირკვა, რომ №50 სამარხის მიცვალებული ცხოვრობდა ე. წ. „ედემის ბაღში", სადაც ლიბანური კედარის გარდა იზრდებოდა უამრავი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეთიდან შემოტანილი მცენარე: კვიპაროსი, პეკანი, ზეთისხილი, ეგზოტიკური გვიმრები, კაკალი, თხილი, წაბლი, ძელქვა და სხვ.

სურ. 228. შედგენილი სამაჯური

სურ. 229. შედგენილი სამაჯური

პოსტკრანიალური ჩონჩხის საფუძველზე შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ „მდიდარი ქალბატონის" ცხოვრების წესი არ იყო აქტიური. ძვლოვანი მასალა მიუთითებს საშუალოდ განვითარებულ ქვედა კიდურე-

სურ. 230. ოქროს სამაჯური

სურ. 231. ვერცხლის სამაჯური

სურ. 232. შავი მინის სამაჯურები

სურ. 233. ფერადი მინის სამაჯური

ბზე და სუსტად განვითარებულ სხეულის ზედა სარტყელზე. პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით, ქალბატონი ძალიან ბევრ დროს ატარებდა ბუნებაში (სუფთა ჰაერზე), რაც რაქიტის მკურნალობის ულტრაიისფერი სხივების მიღებისა და ორგანიზმში D ვიტამინის გამომუშავების ერთადერთი საშუალებაა დიეტურ კვებასთან ერთად.

ახალგაზრდა ქალბატონის გარდაცვალების მიზეზი რაქიტი არ უნდა ყოფილიყო. რაქიტისთვის დამახასიათებელია იმუნიტეტის დაქვეითება. ამიტომ, სავარაუდოდ, გარდაცვალების მიზეზი შეიძლება ნებისმიერი ინფექცია ყოფილიყო ტუბერკულოზის გარდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან დასტურდება, რომ მდიდარი ქალბატონი უთუოდ დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი იყო. მისი დამარხვა კანონიკურად ქრისტიანულია, ხელებისა და ფეხების პოზაში წარმართული ელემენტები აღინიშნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ქრისტიანულ ეპოქაში ძვირფასი სამკაულების ჩატანება სამარხში იშვიათობას წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტები გარდაცვლილის ვინაობის საკითხს ჯერჯერობით ღიად ტოვებს. ბაგრატის ტაძრის მდიდარი ქალბატონის კომპლექსური კვლევა გრძელდება.

ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილ სამარხთა შორის ის ერთადერთია, რომელსაც ასეთი შედარებით სრულყოფილი კვლევა შეეხო. თანამშრომლობისათვის განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ქალბატონების: ლია ბითაძის, ელისო ყვავაძის, შორენა ლალიაშვილის და მარია დობროვოლსკაიას მიმართ, რომელთა ძალისხმევითაც შესაძლებელო გახდა სამარხის საფუძვლიანი კვლევის განხორციელება.

სურ. 234. საკიდი ტიხრული მინანქრით

სურ. 235. პირამიდისებური ოქროს კილიტები

შენიშვნები

1. ***მუსხელიშვილი დ.,*** *საქართველო IV – VIII საუკუნეებში. გვ. 316 და შმდ.*
2. *იქვე, გვ. 344.*
3. *იქვე, გვ. 359; (იქვეა მითითებული ლიტერატურა).*
4. *იქვე, გვ. 360 – 361.*
5. ***ჯაფარიძე ვ.,*** *ეგრისის ახ. წ. I – VII სს. მატერიალური კულტურის ძეგლები. თბ., 2006 წ., გვ. 122, 138 და შმდ;* ***ბერძენიშვილი ნ.,*** *საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1990 წ., გვ. 448 – 456.*
6. ***ლომიტაშვილი დ.,*** *ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII – ახ. წ. VI სს. (ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი), სადოქტ. დისერტაცია, თბ., 2003 წ;* ***მისივე,*** *ავტორეფერატი, გვ. 4 – 5 და 49.*
7. ***ცუხიშვილი ი., ლანჩავა ო.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 83. (იქვეა დასახ. ლიტერატურა).*
8. *ალბათ ტრადიციის გამო შემდგომში ბაგრატის ტაძარიც ზოგჯერ იგივე ეპითეტით იხსენიება. მაგალითად 1027 წ. თრიალეთში გარდაცვლილი გიორგი მეფე „მატიანე ქართლისას" მიხედვით „წარიყვანეს და დამარხეს საყდარსა ქუთათისსა". ქართლის ცხოვრება I,...გვ. 291; აღსანიშნავია, რომ „საყდარი" წყაროებში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, 1) პირველ ყოვლისა, იგი ეკლესიას ან ტაძარს ნიშნავს: გიორგი მეფემან „აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა და შექმნა საეპისკოპოსოდ"; დავით კურაპალატმა „აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა წმიდა ეკლესია ხახულისა"; ბაგრატ III – „დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ"; დემეტრე I – „საყდართა და ეკლესიათა...შემწირველია სოფელთა და აგარაკთა"; 2) სხვა შემთხვევაში საყდარი ტახტს და რეზიდენციას ნიშნავს: „დასუა საყდართა თვისთა ძე თვისი დიმიტრი; ან „საყდართა და საჯდომთა მამაპაპეულთა აღსუეს" (თამარი).*
9. ***ჯუანშერი,*** *გვ. 242 – 243;* ***მატიანე ქართლისაი,*** *გვ. 251;* ***Джанашия С. Н.,*** *О времени и условиях возникновения Абхазского царства.* ***მისივე,*** *შრომები II, გვ. 322 – 341;* ***ლორთქიფანიძე მ.,*** *ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973 წ., გვ. 438;* ***მისივე,*** *ქუთაისი – დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი. კრ. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. თბილისი – ქუთაისი, 1994 წ., გვ. 93.*
10. ***ჯანაშია ს.,*** *შრომები, I, გვ. 89.*
11. ***მუსხელიშვილი დ.,*** *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, 1980 წ., გვ. 81 – 86.*
12. *იქვე, გვ. 84 – 85; ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ VII – VIII საუკუნეებში ქართლის შეღწევა დას. საქართველოში განსაკუთრებით ინტენსიური უნდა ყოფილიყო (იქვე, გვ. 578 – 579);* ***ჯავახიშვილი ივ.,*** *ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948 წ., გვ. 85;* ***ლორთქიფანიძე მ.,*** *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 124 – 125;*
13. ***მუსხელიშვილი დ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 83.*
14. ***ლორთქიფანიძე მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 101, 106.*
15. *იქვე.*
16. ***მუსხელიშვილი დ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 152.*
17. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 589.*

18. ***ლორთქიფანიძე მ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 107; ციხე – გოჯი მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ სრულიად დაეცა და დაქვეითდა არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ დანიშნულებითაც. მისმა ნგრევამ VII საუკუნიდან ხელი შეუწყო ქუთაისის აღზევებას პირველქალაქის როლში.*
19. ***ვახუშტი,*** *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 796.*
20. *საინტერესოა, რომ ცოტა მოგვინებით (XIII საუკუნეში) აღნიშნული ნაგებობა ქართულ დარბაზად უქცევიათ. მისთვის ჩრდილოეთის კედელი საძირკვლამდე მოუშლიათ და ნაგებობის ფართობის გაზრდის მიზნით უხეშად თლილი დიდი საპირე ქვებით ახალი კედელი აუგიათ (მიუშენებიათ). ნაგებობის ცენტრში კი დედაბოძის საყრდენი ბურჯი ამოუყვანით. სწორედ ამ ბურჯის ძირში აღმოჩნდა 84 ცალი მონეტა დასავლურ – ქართული კირმანეული, თეთრი, რაც კარგად ათარიღებს დარბაზის გადაკეთებას XIII საუკუნით.*
21. ***ჩაკვეტაძე ვ.,*** *გეგუთის ციხე – დარბაზი. თბ., 1958 წ.*
22. *ამ თვალსაზრისით საინტერესოა პლატონ იოსელიანის ინფორმაცია: ლეონმა ქუთაისში „მთაზე ააშენა ციხე, მდინარეზე ქვითკირის ხიდი, ხოლო ქალაქში ააგო სასახლე" (იხ.* ***Иоселиани Пл.,*** *Города...с. 50).*
23. *ინვ. №6586 – 87.*
24. *ინვ. №6730 – 87.*
25. *ინვ. №3849 – 88, 3867 – 88.*
26. ***Якобсон А. Л.,*** *Раннесредневековый Херсонес...с. 307, рис. 160,* ***მისივე,*** *Средневековые амфоры...с.333, рис.4-10.*
27. *ინვ. №171 – 84.*
28. *ინვ. №6291 – 89, 4646 – 86, 4703 – 86, 4699 – 91. ზოგადად კედლის სისქე 8 – 9 მმ – ია, ზოლებს შორის დაცილება 2 სმ. ამავე ტიპისაა 4644 – 86, 2517 – 84, 7291 – 89, 7294 – 89, 4502 – 86, 2239 – 84, 3803 – 85, 3784 – 85 და სხვა.*
29. ***Гайдукевич В. Ф.,*** *Раскопки Тиритаки _ в 1935-1940 гг. МИА. 25. М. Л., с. 51, рис. 58;* ***Антонова И.А., Даниленко В. Н.,*** *Указ. соч., с. 89.*
30. ***Якобсон А. Л.,*** *Средневековые амфоры...с. 335, рис. 6-27.*
31. *იქვე, გვ. 335.*
32. *ინვ. №4297 – 85. ამავე ტიპს განეკუთვნება ფრაგმენტები: №№7450 – 89, 5119 – 86, 6813 – 88, 7449 – 89, 7451 – 85, 3676 – 85, 3364 – 85 და სხვა.*
33. *ინვ. №2476 – 84, 2492 – 84, 2479 – 84, 2593 – 84, 3320 – 85.*
34. *ინვ. №4105 – 85.*
35. *ინვ. №5139 – 88.*
36. *ინვ. №4174 – 85.*
37. *ინვ. №3182 – 85.*
38. *ინვ. №3181 – 85.*
39. *ინვ. №2813 – 85.*
40. *ინვ. №4340 – 85.*
41. *ინვ. №8021 – 90, 3742 – 85.*
42. *ინვ. №5120 – 86.*
43. *ინვ. №3332 – 85.*
44. *ინვ. №3934 – 85.*
45. *ინვ. №6366 – 87.*
46. *ინვ. №5033 – 86, 6203 – 87, 1585 – 84, 4475 – 86.*

47. ***ვახუშტი,*** *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 761.*
48. ***ინგოროყვა პ.,*** *გიორგი მერჩულე, გვ. 249.*
49. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 526.*
50. ***ლორთქიფანიძე მ.,*** *ქუთაისი – დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი. კრ. ქუთაისი უძველესი დროიდან..., გვ. 116 – 117.*
51. *იქვე.*
52. ***ჯაფარიძე ვ.,*** *ვარდციხის ნაქალაქარი. გვ. 143 – 144. საინტერესოა, რომ ვარდციხეში შესაბამისი ხანის ქრისტიანული ტაძარი არ დადასტურდა. როგორც ჩანს, მისი საძირკვლები თანამედროვე სასაფლაომ გაანადგურა. არც ისაა გამორიცხული, რომ საეკლესიო ნაგებობა ხისაგან ყოფილიყო აგებული და ბუნებრივია, მისი ნაშთები ვერ გადარჩებოდა. მითუმეტეს, „სამწუხაროდ, ციხე – ქალაქის ტერიტორიაზე შესაბამისი ხანის სხვა მასალები, კულტურული ფენები ან ერთეული მონაპოვარი სუსტადაა გამოვლენილი" (**ჯაფარიძე ვ.,** დასახ. ნაშრომი, გვ. 143).*
53. ***ბერძენიშვილი ნ.,*** *საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 49 – 53.*
54. ***მუსხელიშვილი დ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 380 და შმდ.*
55. ***ჯავახიშვილი ივ.,*** *ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 341; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 151, 152; „თუ უფრო ადრე არა, VII საუკუნიდან მაინც, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონი ეკლესიურად მცხეთის სამწყსოში შედიოდა". (მ. ლორთქიფანიძე).*
56. ***მუსხელიშვილი დ.,*** *საქართველო IV – VIII საუკუნეებში. გვ. 49 – 53.*
57. *ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973 წ., გვ. 761.*
58. *ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955 წ., გვ. 281.*
59. ***ინგოროყვა პ.,*** *გიორგი მერჩულე. თბ., 1955 წ., გვ. 248-249.*
60. ***ლორთქიფანიძე მ.,*** *ქუთაისი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი. კრ. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. თბ., ქუთ., 1994 წ., გვ. 116-117;*
61. ***ვაჭრიძე პ.,*** *ბაგრატის ტაძრის ისტორიიდან. ხელნაწერი გვ. 3;* ***ბერძენიშვილი ნ.,*** *საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII, თბ., 1990 წ., გვ. 52.*
62. ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ.,*** *არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში, გელათსა და მოწამეთაში 2008-2009 წლებში. ძიებანი №20. 2011 წ., გვ. 158.*
63. ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ.,*** *არქეოლოგიური გათხრები ბაგრატის ტაძრის ინტერიერში, ქართველური მემკვიდრეობა, VIII, ქუთ. 2004, გვ. 136-140;* ***ლანჩავა ო.,*** *ქუთაისის არქეოლოგია. ქუთ. 2007, გვ. 109-162;* ***ისაკაძე რ.,*** *ქუთაისის ადრექრისტიანული ეკლესიები, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთ. 2009, გვ. 138-153;* ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ.,*** *არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში, გელათსა და მოწამეთაში 2008-2009 წლებში. ძიებანი №20, 2011 წ., გვ. 153-170;*
64. ***ლორთქიფანიძე გ.,*** *ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ. 1991, გვ. 117-156.*
65. ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ქარციძე ნ.,*** *ქალის მდიდრული სამარხი „ქუთათისის საყდრიდან" (ახალი აღმოჩენა), ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XIX, ქუთ. 2009, გვ. 17-20.*
66. ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ.,*** *2009 წელს ბაგრატის ტაძრის ფუნდამენტების გამაგრებასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე არქეოლოგიური მეთვალყურეობის ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2010, გვ. 13-14; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ. 1973, გვ. 216.*

67. ***Мошкова М. Г.,*** *К вопросу о катакомбных погребальных сооружениях как специфическом этническом определителе, История и культура сарматов. Саратов, 1983, стр. 30-31.*

68. ***Тахнаева П.,*** *Христианская культура средневековой Авари (VII-XVI вв.) в контексте реконструкции политической истории. Махачкала, 2001, стр. 243-245.*

69. ***Трапш М.,*** *Культура Цебелъдинских некрополей.Труды, Т. 3, ТБ. 1971. стр. 121.*

70. ***Мошкова М. Г.,*** *К вопросу о катакомбных погребальных сооружениях как специфическом этническом определителе, История и культура сарматов. Саратов, 1983, стр. 30-31.*

71. ***სინაურიძე მ.,*** *კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ. 1985. გვ. 147; შედარებისათვის იხ. ბიზანტიური სასაფეთქლე (FG 977), რომელიც ფილიგრანული ტექნიკითაა დამზადებული და ცვარათი გამოყვანილი პირამიდები ამშვენებს დათარიღებულია VIII-IX სს. Germanisches Natioanal-museum, Nurnberg, 2001. გვ. 30.*

72. ***ბითაძე ლ., ყვავაძე ე., ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ლალიაშვილი შ., ვაჩეიშვილი ნ., გაფრინდაშვილი პ., დობროვოლსკაია მ.,*** *ბაგრატის ტაძარში აღმოჩენილი „მდიდარი ქალბატონის" სამარხის კომპლექსური კველევის წინასწარი შედეგები. ანალები №6, 2010 წ.*

VIII თავი | ქუთაისი IX–XI საუკუნეებში

IX საუკუნე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მღელვარე მოვლენებით აღსავსე ეპოქა იყო ქრისტიანული სამყაროსათვის. საქართველოს გაერთიანებამდე (978 წ.) ზედმიწევნით აქტიური იყო ბიზანტიის პოლიტიკა ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში.

მართალია ამ პერიოდში იმპერიამ წერტილი დაუსვა ხატმებრძოლებს (843 წ.), რომელმაც საუკუნეზე მეტხანს გააწამა ბიზანტიის საზოგადოება, მაგრამ დაპირისპირებები საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის კვლავ გრძელდებოდა. ყველაფერი ეს შესაბამის ასახვას ჰპოვებდა „პროვინციებზე", თუმცა იმპერია მაინც ახერხებდა კავკასიის ქვეყნებთან მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობის განმტკიცებას და თავისი იდეოლოგიური პრინციპების დამკვიდრებას.

X საუკუნის პირველ მეოთხედშიც ბიზანტია ცდილობდა მოკავშირის პოზიცია შეენარჩუნებინა კავკასიის ქვეყნებთან და აღიარებდა მათ მნიშვნელოვან როლს მუსულმანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში...

ამ დამოკიდებულების ხელშეწყობით დასავლეთ საქართველო გაფართოვდა აფხაზთა დიდი მეფის გიორგი II დროს (X საუკუნის II ნახევარი) და იგი სამხრეთ კავკასიაში წამყვან ძალად იქცა.* მიუხედავად პოლიტიკური სირთულეებისა თანდათანობით მომზადდა ნიადაგი საქართველოს გაერთიანებისათვის.

საქართველოს გაერთიანების ხანგრძლივი, კანონზომიერი პროცესის მეწინავე აფხაზთა სამეფო იყო ქუთაისით სათავეში. პროგრესულმა ძალებმა სწორედ აქ აიყვანეს სამეფო ტახტზე 978 წელს ბაგრატ III ბაგრატიონი (978 – 1014 წწ.), რომელიც ისტორიაში სამხრეთ კავკასიის უდიდესი ნაწილის გამაერთიანებლად გვევლინება: „დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობით, ჯიქეთიდან ვიდრე გურგენამდე"[1]. (კასპიის ზღვამდე).

ქართველი მემატიანის გადმოცემით: „შემდგომად დიდისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა; ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლისმოქმედი ყოველთა კაცთათვის"[2].

მას შემდეგ რაც ბაგრატ ბაგრატიონი „შთაიყვანეს... აფხაზეთს" და „დალოცეს მეფედ" – ვიდრე 1122 წლამდე ქუთაისი სრულიად საქართველოს დედაქალაქია. ამიტომაც ქართული ნარატიული წყაროებისათვის „სახლი სამეფოა" ან „სახლი სამკვიდრებელი"[3]. აქ ამ სამეფო რეზიდენციაში წყდებოდა ძირითადად საქართველოს ბედი-ღბალი, ეწყობოდა მეფეთა კურთხევის (ინაუგურაციის) საზეიმო ცერემონიალი და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქართველ მეფეთა საძვალე – სამკვიდრებელიც აქ იყო ჯერ ე. წ. „ქუთათისის საყდარში" – და შემდეგ გელათში (1125 წლიდან).

ქუთაისში ფუნქციონირებდა სარეზიდენციო ქალაქისათვის დამახასიათებელი ყველა საჭირო დაწესებულება (ინსტიტუტი): ხაზინა, ზარაფხანა, სასამართლო ადმინისტრაცია, სავაზირო და ა. შ.[4]

ქვეყნის გაერთიანებას, მნიშვნელოვანი ტერიტორიების შემომტკიცებას ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა მოჰყვა შედეგად. ამან კი განსაკუთრებული ბიძგი მისცა დედაქალაქის ზრდა – განვითარებას. მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალაქის გარეგნული სახე (ტოპოგრაფია). ძველმა ზღუდე – გალავანმა დაკარგა თავის პირვანდელი ფუნქცია და ახალი დასახლებები გაჩნდა გალავნის გარეთაც (სურ. 236) „ცაცხვების უბანში", „ქვედა ქალაქში" და სხვ. ე. ი. მოხდა მოსახლეობის „გადმოდინება" და ახალი უბნების შექმნა. შიდაქალაქში ძველის განახლებით აშენდა ახალი საკრებულო ტაძარი, შიდაციხეში – ბაგრატიონთა სამეფო სასახლე, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი, აბანო და წყალგაყვანილობის ახალი სისტემა, ხიდები, გზები და ა. შ.

მაშასადამე, X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ქუთაისის მნიშვნელოვანი აღმშენებლობისა და აღზევების ეპოქაა... მაგრამ XI საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა თავს ე. წ. „დიდი თურქობის" სახით. 70 – იანი წლებიდან თურქ – სელჩუკებმა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილი დაიკავეს და მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნეს ქვეყნის ხელისუფლებას. ამას დაერთო არეულობა ქვეყნის შიგნითაც. დიდგვაროვან ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა „აუშალეს ქუეყანა" გიორგი მეფეს და ნიანია ქუაბულის – ძემან „წარუღო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა; და ვარდან გაადგინნა სუანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყვჳდეს საეგრო"[5]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, განსაკუთრებით მძიმე მდგმორეობა შეიქმნა 1080 წლისათვის: თურქნი „...მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა ვითარცა მკალნი და დღესა ივანობისასა ასისფრონი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი"[6].

მაშასადამე, სულ რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში სამეფო ქალაქმა ორჯერ განიცადა რბევა – აწიოკება. პირველად ეს იყო 1073 წ. ქართველი



სურ. 236. ტოპოგეგმა

დიდებულის მიერ; მეორედ – 1080 წ. თურქთაგან. რა მასშტაბის იყო ქალაქის რბევის შედეგები, დღეს ამის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: შემორჩენილ ძეგლებს აშკარად ეტყობათ მრავალი აღდგენისა და განახლება – გადაკეთების კვალი. ე. ი. როგორც ჩანს, ჭრილობების მოშუშება სწრაფად ხდებოდა და ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის ამას მნიშვნელოვნად ხელი მაინც არ შეუშლია. ის კი არა და დროთა განმავლობაში სარეზიდენციო ქალაქს დასჭირდა ახალი უბნები: ესაა, საუფლისწულო რეზიდენცია **კახიანოურში**, რომლის ნაშთებიც დღემდე არაა მიკვლეული; **მწვანეყვავილას** უბანი, სადაც ამ დროის ეკლესიაა შემონახული; სამონასტრო კომპლექსი **გელათში**, რომელიც დიდი ქალაქის ორგანული ნაწილი იყო, როგორც ბაგრატიონთა საძვალე და კულტურულ – საგანმანათლებლო ცენტრი; მეფეთა საზამთრო რეზიდენცია **გეგუთში**, რაც სატახტო ქალაქებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი და საჭირო ატრიბუტი იყო, როგორც სამეფო რეზიდენციის განუყოფელი ნაწილი. სანადირო და სანადიმო ადგილი.

„ტაძრებისა და მონასტრების შენებით ერი სულის წყურვილს იკლავს, ეს საპატიო წყურვილია, რადგან ის არის სათავე წარმატებისა" .
(ილია ჭავჭავაძე)

- **ქუთაისის კათედრალი** – ანუ ქუთაისის საკრებულო ტაძარი აღდგენილი იქნა X საუკუნის ბოლოს ბაგრატ III (978 – 1014 წწ.) დროს ღვთისმშობლის მიძინების სახელზე: „ამანვე აკურთხა ეკლესია ქუთათისისა განგებითა დიდითა და მიუწდომელითა. რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღვარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუათა ყოველთა სახელმწიფოთანი"[7].

ტაძრის აგების ზუსტ თარიღს გვამცნობს წარწერა ჩრდილოეთის კედელზე; „ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223" (ე. ი. 1003 წ.); იქვეა ბაგრატ მეფის განმადიდებელი ადორაციული წარწერა: „ჰოი მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო, უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, თანა მამით, დედით, დედოფლით და ძით მ(ათით)... ამინ"[8].

1650 – 52 წლებში იმერეთის სამეფოში მყოფი რუსი ელჩები ალექსი იევლიევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი აღწერენ სატახტო ქალაქს ქუთაისს და ასე ახასიათებენ მის საკრებულო ტაძარს[9]: „ქუთაისის დიდ ციხე – გალავანში ქვის საკრებულო ტაძარია, ერთგუმბათიანი, საუცხოოდ აგებული. გუმბათი გადახურულია სპილენძით, თექვსმეტ წახნაგად. საყდარი დიდი თლილი ქვებით არის აგებული, საჟნიანით და ზოგჯერ მეტი სიდიდის. ამ საკრებულო ტაძრის საერთო გარშემოწერილობა ოთხმოცდაექვსი „დიდი საჟენია".

საკრებულო ტაძარს გარშემო ქვის გალავანი აქვს შემოყოლებული. ორი საჟენი სიმაღლის, სისქით ნახევარი საჟენი. გალავანთან მისვლამდე, წმინდა ალაყაფის კარებამდე, სამი დიდი პალატია, რვასაჟნიანი. გალავანშივე ქვისაგან აგებული სამრეკლოა, მრგვალი ზედ ერთი ზარია, რვა ფუთი იქნება, შიგ ორი ენა აქვს. გალავნის წრე ასოცი „დიდი საჟენია".

სურ. 237. ქუთაისის ღმრთისმშობლის (პალიასტომის) ხატი

საკრებულო ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობის არის. შიგ წინათ კედლის მხატვრობა ყოფილა. საყდარში მრგვალად თლილი რვა სვეტია. საყდარში ამ სვეტებზე, აქეთ – იქით გვერდებზე თაღებს ქვემოთ შანიშინია შესანიშნავად გაკეთებული...” ელჩები დეტალურად აღწერენ ტაძრის სიწმინდეებსაც, მათ სასწაულმოქმედებას (მაგ. „პალიასტომის ხატი” – (სურ. 237) და მდიდარ საგანძურს. ბუნებრივია ტაძარი მდიდარი ორგანიზაცია იყო, ის ფლობდა დიდ მამულებს. შემონახულია 1578 წ. შედგენილი „დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგარისა”, რომელიც გამოაქვეყნა აკად. ე. თაყაიშვილმა. ამ თვალსაზრისით აგრეთვე საინტერესოა ს. კაკაბაძის მიერ 1921 წელს გამოცემული „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებიც”.

განსაკუთრებით მძიმე დრო დაუდგა საქართველოს ძველ დედაქალაქს გვიან შუა საუკუნეებში. მიუხედავად რთული ისტორიული კატაკლიზმებისა ტაძარმა იარსება თითქმის შვიდასი წლის განმავლობაში და 1698 წელს[10] დაანგრიეს თურქებმა. ქართული კულტურის სიამაყე ბაგრატის საკრებულო ტაძარი იავარქმნილი იქნა. თითქოს ძველი დიდება ჩაკვდა და დავიწყებას მიეცა, (სურ. 238). მოგვიანებით, XIX საუკუნის 80 – იან წლებში ცალკეულ პირთა მხრიდან შეინიშნება დაინტერესება ტაძრის ბედ – იღბლით. პირველი გათხრები აქ ჩაუტარებია ქუთაისის გიმნაზიის დირექტორს ე. სტოიანოვს და პ. უვაროვას. 1912 – 13 წლებში ტაძრის გალავნის აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა. გასაბჭოების შემდეგ ტაძარს მცველიც კი დაუნიშნეს. 30 – იან წლებში გამოიყო სახსრები კედლების გასამაგრებლად. 1936 წელს ჩატარდა გაწმენდითი სამუშაოები. 1940 წლიდან ტაძრის ხუროთმოძღვრულ კვლევას იწყებენ აკად. გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი. 1952 წლიდან არქიტექტურული კვლევისა და სარესტავრაციო – საკონსერვაციო სამუშაოების წარმმართველი პროფ. ვ. ცინცაძეა, რომლის ხელმძღვანელობით დამუშავდა ტაძრის რესტავრაციის პროექტი და ნაწილობრივ აღდგენილ იქნა კედლები, გუმბათქვეშა ბურჯები და დასავლეთის კარიბჭე. ახალი ეტაპი ძეგლის კომპლექსურ (არქიტექტურულ, არქეოლოგიურ, გეოლოგიურ, კონსტრუქტორულ) კვლევაში დაიწყო 2005 წლიდან, არქიტექტორ ვ. გრემელაშვილის პროექტით და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაკვეთით, ტაძრის ბედ-იღბალი უკვე სახელმწიფო ზრუნვის საგანი გახდა. ათი წელია მიმდინარეობს ტაძრის ინტერიერისა და ექსტერიერის შესწავლა. ეტაპობრივად მთლიანად გაითხარა ტაძრის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნავი, ცენტრალური ნავის გუმბათქვეშა ფართობი, სამკვეთლო და სადიაკვნე, მთავარი საკურთხეველი, კარიბჭეები, დასავლეთი მკლავის მონაკვეთი და ექსტერიერი. ბაგრატის ტაძრის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა კიდეც, მაგრამ ახალი კვლევის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ტაძარი დაშენებული გამოდგა სხვადასხვა დროის ნაგებობებზე (ტაძრებზე). (გამართლდა ცნობილ სპეციალისტთა წინასწარმეტყველება: „ბაგრატის ტაძარი ცარიელ ადგილზე არ აიგებოდაო”). სტრატიგრაფიული თვალსაზრისით აქ სულ ხუთი მთავარი სამშენებლო ფენაა. ქრონოლოგიური შკალის მიხედვით ფენების განლაგება ასეთია:

I ფენა – სიმძლავრე 3 მ – ია, იგი წინარეანტიკური ხანის ძვ. წ. VIII – VII საუკუნეების ხის ნაგებობათა კომლექსის ნაშთებისაგან შედგება, უფრო სწორად, აღნიშნულ ნაგებობათა თიხით შელესილობის გამომწვარი ბათქაშებია, რომელიც ზოგან კომპაქტურადაა ჩალექილი.

სურ. 238. ბაგრატის ტაძარი (1910)

II ფენა – 1,5 მ – ია ადრექრისტიანული ხანის სწორკუთხასაკურთხევლიანი დიდი ბაზილიკის ნაშთებით (IV ს.) ე.წ. I ბაზილიკა.

III ფენა – 1 მ – მდე სიმძლავრისაა ახ. წ. VII – VIII საუკუნის ტაძრის ნაშთებითაა წარმოდგენილი. („ქუთათისის საყდარი"). II ბაზილიკა.

IV ფენა – ჯვრის ფორმის მკლავებიანი ბაზილიკის ნაშთები, VIII საუკუნის მეორე ნახევარი-IX საუკუნის დასაწყისი (ლეონის დროინდელი) რიგით III ბაზილიკა.

V ფენა – საკუთრივ საკრებულო ტაძარია (X ს. ბოლო XI ს – ის დასაწყისი), რომელიც წინარე მკლავებიანი ტაძრის რეკონსტრუქციის საფუძველზე იქნა აგებული. მისი კედლები დაშენებული და შერწყმულია VIII საუკუნის ტაძრის ქსოვილებზე. თუ სწორად ვიმსჯელებთ დავინახავთ, რომ ამ ძეგლში გაერთიანებულია VIII-IX-X-XI საუკუნეების ნაგებობათა ფენები...

ბაგრატის ტაძარი ერთ – ერთი უდიდესი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა იყო დასავლეთ საქართველოში (ზომები: 35X43 მმ. მინაშენის გარეშე). ეკლესიის გუმბათი ოთხ მძლავრ ბურჯს ეყრდნობოდა. გუმბათქვეშა კვადრატს სამი მხრიდან აფსიდები ამშვენებს, დასავლეთიდან კი წაგრძელებული მართკუთხა ფორმის მკლავი ერთვის, რომელიც წყვილი ბურჯების მეშვეობით სამნავადაა გაყოფილი. მეორე სართულის დონეზე აქ მოწყობილია პატრონიკე. სამხრეთი და ჩრდილოეთის აფსიდები გარედან მართკუთხა მოხაზულობისაა და შენობიდან გამოწეულ მკლავებს ქმნის. საკურთხევლის აფსიდის აქეთ – იქით სამკვეთლოსა და სადიაკვნეს თავზე ორსართულად განლაგებული სათავსებია. ტაძრის იატაკი მოლესილი იყო ვარდისფერი ჰიდრავლიკური ხსნარით – სიგნინით. საკურთხევლის წინა ამბიონი მოზაიკით იყო დამშვენებული, რომელიც შექმნილია ე. წ. „ინკრუსტაციის" წესით. მოზაიკა სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმული სამი დიდი ვარდულისაგან შედგება, (სურ. 239), რომელიც ასევე სამ ფერშია გადაწყვეტილი. (ვარდისფერი, იისფერი და თეთრი). კედლების პერანგი თეთრი (მოყვითალო) ფერის კირქვის ფილებითაა ამოყვანილი და გაფორმებულია დეკორატიული თაღნარით. მაგალითად, აღმო-

სურ. 239. მოზაიკა (XI ს)

სურ. 240. სტრატიგრაფია ბაგრატის ტაძრის ინტერიერში იატაკის შესაბამისი დონეებით

სავლეთის ფასადზე შუისაკენ ამაღლებული ხუთი თაღია, მათგან ორი კედელში ღრმად შეჭრილ სამკუთხა ნიშებს შემოწერს. დასავლეთის ფასადი ასიმეტრიულია. მის ჩრდილო – დასავლეთ კუთხეში სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკია აღმართული. ტაძრის ფასადი უხვად ყოფილა გაფორმებული მოჩუქურთმებული დეკორით და ქანდაკებებით, განსაკუთრებით უხვი სკულპტურული გაფორმებით გამოირჩევა კარიბჭეთა სვეტისთავები.

საკრებულო ტაძრის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა (სამაფსიდიანი გეგმა, ფასადთა შემკულობა) X საუკუნის II ნახევრის ტაო-კლარჯეთის ძეგლებიდან მომდინარეობს (მაგ. ოშკის ეკლესია 963 – 973). ქუთაისის ტაძარიც X საუკუნის ბოლოსაა აგებული. როგორც აღინიშნა, VIII-IX საუკუნეების ნაგებობათა რეკონსტრუქციის საფუძველზე წარწერის მიხედვით 1003 წ. ცალკეული სამუშაოები XI საუკუნეშიც შესრულებულა. ტაძრის ინტერიერი და ექსტერიერი XIX საუკუნეში გადაქცეული იყო სასაფლაოდ (პ. უვაროვა)[11.] ამის შედეგად კულტურული ფენები დაზიანებული და ამოტრიალებული დაგვხვდა. საკუთრივ ძველ ნაგებობათა კედლებშიც კი გაუჭრიათ სამარხები, რომლის გამოც კედლებიცა და ნაგებობათა საყრდენი ბურჯებიც უპირატესად განადგურებული აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა უძრავ მდგომარეობაში შემორჩენილი სხვადასხვა სამშენებლო ფენის შესაბამისი ნაგებობის გეგმების და კულტურულ ფენათა სტრატიგრაფიის დადგენა[12] (სურ. 240).

სურ. 241. №1 აკლდამა ტაძრის სამკვეთლოში

სურ. 242. №2 აკლდამა სადიაკვნეში (IX-X სს)

ტაძრის განუყოფელი ნაწილია სამკვეთლოსა და სადიაკვნეში აღმოჩენილი XI საუკუნის ორი გაძარცვული აკლდამა. ერთს თაღოვანი გადახურვა ჰქონდა, მეორეს კი ბანური.

№1 აკლდამა (სურ. 241) ნაგებია კარგად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვათლილებით დასავლეთიდან მიცვალებულის შესასვენებელი კარით, რომელიც დახშული იყო დიდი ზომის სწორკუთხა მონოლითით. (აკლდამის ზომებია: სიგრძე – 1,97 სმ., სიგანე – 86 სმ., სიმაღლე – 1,68 სმ.) აღმოსავლეთით იატაკის დონეზე ნიშა იყო დატანებული, ხოლო კედლის გაყოლებაზე (სამხრეთით და დასავლეთით) სწორკუთხა მოგრძო ზომის ფორმის ქვათლილები ცოკოლის სახით იყო მიდგმული, ალბათ სარიტუალო ინვენტარის დასალაგებლად. იატაკის დონეზე გადარჩენილ მასალათა შორის აღსანიშნავია XI საუკუნის ფენებისათვის დამახასიათებელი წნეხვით ნაპრიალები კერამიკული ფრაგმენტები და თხელკედლიანი მინის ჭურჭლის ნაშთები.

შესაბამისი ფენებიდან საერთოდ მომდინარეობს მოჭიქული კრამიტების ნატეხები, ქვის ლორფინები და არქიტექტურული დეტალები. ამავე ფენებშია ღვიძლისფრად მოჭიქული წარწერიანი ანტეფიქსები, მწვანედ მოჭიქული ან მრავალფრად მოჭიქული თიხის ნაწარმი და ა.შ.

№2 აკლდამაც (სურ. 242) სადიაკვნეში აფსიდის ცენტრში იყო გამართული. დამხრობა აქაც წესისამებრ ქრისტიანულია. ნაგებია საგანგებოდ დამუშავებული ქვათლილებისაგან, ბანური გადახურვით. სპეციალურ ცოკოლზე ამოყვანილი ორრიგიანი წყობით. (აკლდამის ზომებია: სიგრძე – 1,87 სმ., სიმაღლე – 1,47 სმ., სიგანე – 86 სმ.). მშენებლობის ტექნიკა აქ უზადოა, მაღალხარისხოვანი. იატაკი კირხსნარით იყო მოსწორებული, რომლის დონეზე აღმოსავლეთის კედელში აქაც ნიშია დატანებული. მასალა აქ უფრო მეტყველი აღმოჩნდა, ვიდრე №1 აკლდამაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მინის ლამპართა საყრდენი ფეხები, (8 ცალი, სურ. 243), ბრინჯაოს ქოთნისმაგვარი ჭურჭლის პირ-ბაკოს სარტყელი – რგოლი (სურ. 244). წნეხვით ნაპრიალები თიხის თხელკედლიანი ჭურჭლების ნატეხები, მოჭიქული, პოლიქრომული ჯამის ფრაგმენტები და სხვ. მასალათა მიხედვით და სტრატიგრაფიის გათვალისწინებით ეს აკლდამა უნდა დათარიღდეს IX-X საუკუნეებით. მითუმეტეს სადიაკვნეს სამალავში მისი სინქრონული მასალა იქნა აღმოჩენილი (სურ. 245).

სრულიად უეჭვოა, რომ ორთავე აკლდამა ეკუთვნოდა წარჩინებულ სახელმწიფო (ან საეკლესიო) მოღვაწეებს. იმის გამო, რომ სამარხები მრავალგზის იყო ხელყოფილი და განადგურებული, რომელიმე ცნობილ ისტორიულ პირთან ან მოღვაწესთან მათი უეჭვო იდენტიფიკაცია არ ხერხდება. თუმცა ნიშანდობლივია ქართველი მემატიანის ცნობები, რომ „ქუთათისის საყდარში"

სურ. 243.
მინის ლამპართა ნაშთები

სურ. 244.
ბრინჯაოს ჭურჭლის პირ-ბაკო



სურ. 245. ტაძრის სადიაკვნეს თავზე სამალავში ნაპოვნი არტეფაქტები

სურ. 246. მოჭიქული ანტეფიქსები ასომთავრული წარწერით

დაუკრძალავთ საქართველოს მეფე გიორგი I და ბაგრატ IV მეუღლე დედოფალი ელენე. ასევე მრავლისმეტყველია ტაძარში და მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამდროინდელი ანტეფიქსები წარწერით: „ქრისტე ადიდე მეფე გიორგი". სრულიად უეჭვოა, ტაძრის განსრულების საქმეში მისი აქტიური და უშუალო მონაწილეობა. ამიტომ წარწერებიც მისი განდიდების მაუწყებელია. (სურ. 246)

ქუთაისის განსაკუთრებულობა იმაშია, რომ ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ატარებდა მოწინავე და გამორჩეული ქალაქის სტატუსს. ამიტომაც ის ქვეყნის გაერთიანების სათავეში იდგა და პროგრესული წამოწყებების მედროშე იყო. საკრებულო ტაძარი აღმოცენდა ქვეყნის ძლიერებისა და მთლიანობის სიმბოლოდ არა თავისუფალ ცარიელ ადგილზე, არამედ რწმენისა და ღვთისმოსაობის ისტორიულად ჩამოყალიბებულ უბანში, რომელსაც წინ ათასი წლების კულტურული ცხოვრება უძღოდა. არქეოლოგიური გათხრების წყალობით დღეს ჩვენ კარგად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ შენდებოდა ბაგრატის ტაძარი. აღსანიშნავია, რომ ტაძრის მშენებლობის პერიოდში მის დასავლეთ ნაწილში განლაგებული ყოფილა ხელოსან – მშენებელთა საცხოვრებელი კვარტალი, ნაგებობები დროებითი იყო და ხისაგან იყო შექმნილი, ზოგიერთი ფარდულის სახით, სადაც ქვის გათლა – დამუშავება ხდებოდა და ამის დასტურია ქვის ანატკეცებიანი ვრცელი ფენის აღმოჩენა ამ უბანში და მრავალრიცხოვანი ჭა-მაცივრები, რომელიც პროდუქტის შესანახად მუშათა საცხოვრებელი კვარტლის შემადგენელი ელემენტი იყო. იქვე, სამხრეთის ფერდობზე მიკვლეული იქნა კირის გამოსაწვავი დიდი წრიული ქურა, სადაც დამზადებული კირი, უშუალოდ ერთ-ერთი ტაძრის მშენებლობის დროს გამოიყენებოდა, ხოლო ტაძრის დასრულების შემდეგ X საუკუნის ბოლოს ამ უბანმა მთლიანად სახე იცვალა. პირველ რიგში ტაძრის უბანი საკუთარი გალავნით გამოეყო შიდა ქალაქის დანარჩენ ნაწილს და იქ განთავსდა სამრეკლო, მარანი და სხვა დანიშნულების ნაგებობანი, რომელთა შესწავლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მთლიანად იქნა შესწავლილი ე. წ. „სამხრეთის კვარტალი" ანუ დედაბურჯის მიმდებარე ტერიტორია. აქ ფუნქციონირებას აგრძელებდა ძველი კოშკები და დიდი დარბაზი, რომელიც XIII საუკუნეშიც გადააკეთეს და იქვე ახალი სწორკუთხა აბანო ააგეს, საკმაოდ რთული გათბობის სისტემით. მასზე დღეს 150 – წლოვანი კოლხური კედარი დგას. ბოლოდროინდელმა კვლევამ უჩვენა, რომ სახელოსნო უბანი ტაძრის ჩრდილოეთით არის განთავსებულ-გადატანილი, ამის ნათელი მოწმობაა იქ აღმოჩენილი შესანიშნავი კირის გამოსაწვავი ქურა, (სურ. 246ბ) მოჭიქული ჭურჭლის დასამზადებელი სახელოსნო და კერამიკის გამოსაწვავი ქურა. მათი ფუნქციონირების თარიღი XI-XII საუკუნეებით განისაზღვრება.

ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული მასალა მოგვცა ბაგრატის ტაძარმა, მართალია მის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ბოლო პერიოდში ყველა ეს მასალა ახალი არქეოლოგიური მონაცემებით გაამდიდრა და შესანიშნავი შრომები მიუძღვნა ცნობილმა წყაროთმცოდნემ ვალერი სილოგავამ[13].

მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ტაძრის სამშენებლო წარწერებზე. ერთ – ერთი წარწერა ამოკვეთილია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლებს ზემოდან შემოყოლებულ ჩუქურთმიანი კამარის ქვედა წახნაგზე:

„შეწევნითა ღმრთისაჲთა ბაგრატისაგან – ნებითა ღმრთისაჲთა აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და დედისა მათისა გურანდუხტ დედოფლისა, აღეშენა წმიდაჲ ესე საყდარი ხელითა"...[14].

მეორე წარწერა ტაძრის ჩრდილოეთის კედელზეა ამოკვეთილი სარკმლის აღმოსავლეთ და დასავლეთ მონაკვეთში ქვის დიდ ფილაზე. ორ სტრიქონად განლაგებული მარჯვენა წარწერა გადმოგვცემს ტაძრის იატაკის დაგების თარიღს, რაც ცხადია მშენებლობის დასრულებასაც გულისხმობს:

„ოდეს განმტკიცნა იატაკი ქორონიკონი იყ 223" (ე. ი. 1003 წ.)[15]. ამ წარწერის სიმეტრიულად ქვის ფილის მარცხენა მხარეს იკითხება:

„ქ მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო, უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე თანა: მამით, დედით დედოფლით და ძით მათით ამენ"[16]. წარწერა თარიღდება 1001 – 1008 წწ.

ბაგრატის ტაძრის კედლებზე კიდევ გვხვდება XI საუკუნის სხვა წარწერებიც:

1. იოვანეს წარწერა ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე თაღების შეერთების ადგილას[17].
2. მიქაელის წარწერა – სამხრეთ კარიბჭის აღმოსავლეთ სვეტზე[18].
3. წარწერის ფრაგმენტი სამკვეთლოს ჩრდილოეთ კედელზე[19].
4. წარწერის ფარგმენტი ტაძრის ჩრდილოეთ კარიბჭეზე[20].
5. ოქროპირის წარწერა – ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ცოკოლის ქვაზე[21].

ბაგრატის ტაძართანაა დაკავშირებული ის ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად – ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ან ინტერიერში. ესენია ანტეფიქსების ფრაგმენტები, რომელთა ძირითადი ნაწილი X – XI საუკუნეებით განისაზღვრება. ზოგიერთი წარწერა გიორგი მეფის განმადიდებელ ტექსტს შეიცავს: „ქრისტე ადიდე || გიორგი მეფე"[22].

ერთ – ერთ ანტეფიქსზე ასევე დაბალი ტანის, მსხვილი რელიეფური ასომთავრულით გამოყვანილია სახელი „ან | ტონი"[23]. ანტეფიქსების ერთი ნაწილი მოჭიქული იყო მწვანედ ან ღვიძლისფრად, მეორე ნაწილი მოუჭიქავია, თუმცა კეცი ორივე შემთხვევაში იდენტურია და დამზადების ტექნიკაც ერთგვაროვანი. ვ. სილოგავას განმარტებით ეს ანტეფიქსები X – XI საუკუნეების მიჯნით უნდა დათარიღდეს. ამავე პერიოდისაა ერთ – ერთი კერამიკული წარწერა დოქის ტარზე: „ქრისტე, შეიწყალე ფიჩოსანი" და ჯამის ფსკერზე ამოკაწრული ნუსხური: „ეკლ(ე)ს(იისაჲ);[24]

1989 წელს ციტადელის ტერიტორიაზე გათხრების დროს აღმოჩნდა ქვის სვეტისთავი, რომელზედაც გამოსახულია სამი ტოლმკლავიანი რელიეფური ჯვარი (ზომები: 14X14), რომელიც ერთიმეორეზე ნასკვით გადაბმულ ორ-მაგ წრეშია ჩასმული. ჯვრების ზემოთ ერთ სტრიქონად ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა:

სურ. 246ა. კირის გამოსაწვავი ქურა

სურ. 247. მშვიდლოსნის რელიეფური გამოსახულება

„წმიდაჲ ეკატერინა. წმიდაჲ ბარბარა. წმიდაჲ მარინა"[25].

ფაქტობრივად ეს არის გათხრების შედეგად აღმოჩენილი X – XI საუკუნეებ-ის ლაპიდარული წარწერა, რომელიც აშკარად ციტადელის ეკლესიის მორთულობის ნაწილი უნდა იყოს. კაპიტელის (ზომებია: 64X31) მხოლოდ წინა მხარეა დამუშავებული, ჩამოსწორებულია გვერდითი კიდეები, ხოლო უკანა მხარე დაუმუშავებელია, მაშასადამე, ის წარმოადგენდა ამოყვანილი სვეტის ან ნახევარსვეტის თავს. ბაგრატის ტაძრის რელიეფურ გამოსახულებათა შესწავლა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, ამ მდიდარ მასალაში ნიშანდობლივია მშვილდოსნის რელიეფური გამოსახულება VIII-IX სს. სამხრეთის კედლის კარნიზზე (სურ. 247).

• ბაგრატიონთა სამეფო სასახლე

დიუბუას გეგმაზე ის ლაზების მეფეთა სასახლედაა მითითებული. დიუბუა აშკარად მოხიბლა სასახლის მდებარეობამ და ბიზანტიელ მწერალთა ცნობების საფუძველზე მან ასეთი მინიშნება გააკეთა. ადრებიზანტიური ხანის სასახლე აქ დღეს აღარ ჩანს. ვარაუდის დონეზე ის შესაძლოა აქ ყოფილიყო, თუმცა, მაშინდელი სასიმაგრო სისტემა, რაც არქეოლოგიური კვლევით დადასტურდა აქ დღემდე არსებობს. როგორც ზემოთ განვიხილეთ ბაგრატიონთა სასახლის ნაწილი დაშენებულია აგრეთვე VIII – IX საუკუნეების ეგრის – აფხაზთა მეფეებ-ის მიერ აშენებულ აგურის სასახლეზე.

მაშასადამე, X საუკუნეში აგებულ სასახლეს აქ სულ ცოტა ორი მთავარი სამშენებლო ფენა მაინც დახვდა: 1. III – IV საუკუნეების ფორტიფიკაცია, V საუკუნეში განახლებული და 2. VIII – IX საუკუნეების აგურის სასახლის ნაშთები. გვიან შუა საუკუნეებში კი აქ იმერეთის მეფეთა პალატებია გამართული. ე. ი. ყველაფერს ამას კიდევ მეოთხე ფენა დაემატა გვიან შუა საუკუნეებში.

X – XI საუკუნეების მეფეთა სასახლე დიდი ზომის სწორკუთხა ნაგებობაა. კედლების წყობა სუფთად გათლილი საპირე ქვებითაა ამოყვანილი (სურ. 248, 249). შენობის სიგრძე 40 მ – ია, სიგანე 25 მ., დამხრობილია N-S ღერძზე და მოიცავს 600 კვ. მ. ორგანულადაა შერწყმული უძველეს საფორტიფიკაციო სისტემასთან და დომინანტია სამეფო კომპლექსის ნაგებობათა შორის.



სურ. 248. ბაგრატიონთა სასახლის სავარაუდო გეგმა

სურ. 249. ბაგრატიონთა სასახლის აღმოსავლეთ კედლის ფრაგმენტი

სავარაუდოა, რომ სასახლე თავის დროზე ორსართულიანი იყო. ალბათ, ისევე როგორც ბედიაში აგებული სამეფო სასახლე, რომელმაც ბოლო დრომდე მოაღწია და ამ დანიშნულების გადარჩენილ ნაგებობათა შორის ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა. სასახლეზე რამდენიმე სამშენებლო პერიოდი შეინიშნება. XI საუკუნეში ჩრდილო – დასავლეთის მხრიდან მისთვის წინწამოწეული სათავსი მიუშენებიათ ღია აივნით, რითაც მისი გეგმა მნიშვნელოვნად შეიცვალა. შიდაციხე, სადაც ბაგრატიონთა სასახლე აიგო ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტოპოგრაფიული ერთეული გახლავთ. იგი ყოველთვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა ქალაქის განაშენიანებაში. მართალია, X საუკუნისათვის მას თავდაპირველი ფუნქცია თითქოს დაკარგული აქვს, მაგრამ, ის როგორც უმაღლეს ხელისუფალთა განცალკევების ადგილი, საცხოვრისი, კვლავ რჩება საზოგადოებისაგან იზოლაციის და თავდაცვის საშუალებად, რისთვისაც კვლავ კარგად იყენებენ ძველი გალავნის შემადგენელ ატრიბუტებს ახალი ელემენტების შევსებით. მაგალითად, X – XI საუკუნეში ჩანს აგებული სასახლის ფლანკირებისათვის დასავლეთის კედელი, რომლის სიგრძე 40 მეტრია, სიგანე 1 მეტრი. ამ სამეფო კომპლექსის შემადგენელ ნაწილად კვლავ რჩება შიდაციხის ეკლესია, რომლის შესახებაც ადრე გვქონდა საუბარი. სავარაუდოა, რომ ეს ეკლესია სამეფო კარის ეკლესიად კვლავ რჩება... სწორედ მისი ნახევარსვეტის კაპიტელი უნდა იყოს ზემოთ განხილული ლაპიდარულ – წარწერიანი ქვა.

მეფისა და მისი ოჯახისათვის იყო განკუთვნილი აგრეთვე სამეფო აბანო, რომელიც ძველი კედლების რეკონსტრუქციის შემდეგ განთავსებული იყო ციტადელის სამხრეთ მხარეს. მართალია იგი საძირკვლამდე დაგვხვდა მოშლილი, მაგრამ ჩანს, რომ გეგმაში მართკუთხა ფორმისაა (ზომები: 7X5 მმ.) და ოთხგანყოფილებიანია (სურ. 250). აღსანიშნავია რომ, მის ერთ-ერთ განყოფილებაში აღმოჩნდა ცილინდრული ფორმის კალორიფერი. ამ აბანოს წყლით ამარაგებდა წყალსადენის ახალი სისტემა, რომლის მაგისტრალის დიდი ნაწილი გასულ წლებში აღმოჩენილი იქნა შიდაქალაქის ტერიტორიაზე, შესაძლოა მასვე დაუკავშირდეს 2003 წელში აღმოჩენილი აკვედუკების და თანგირის ნაშთები ციტადელის შესასვლელთან ჩრდილოეთ მხარეს მდებარე. საერთოდ, უნდა აღინიშნოს წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის და საერთო სანიტარულ – ჰიგიენური მეურნეობის მაღალი დონე. ბაგრატიონთა სასახლის ერთ – ერთ კედელში დღემდეა შემორჩენილი ვერტიკალური არხი, რომელიც უერთდება ასევე საგანგებოდ აგებულ დახურულ მოზრდილ ღვარსადენს, რომლითაც შე-

სურ. 250. აბანოს ნაშთები (X-XI სს)

სურ. 251. საკანალიზაციო არხი – ღვარსადენი

ნობიდან ნახმარი წყალი კედლებს გარეთ გადიოდა (სურ. 251). ამ ღვარსადენში აღმოჩნდა ჩალექილი დიდი რაოდენობით თხელკედლიანი კათხების და თეფშების ფრაგმენტები, რომელთა ასაკი X – XI საუკუნეებით არის განსაზღვრული.

ქუთაისის ნაქალაქარზე ჩატარებული თითქმის 30 - წლიანი არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი მასალებიდან განსაკუთრებით მეტყველია IX – XI საუკუნეების არქეოლოგიური არტეფაქტები. მათ შორის პირველ ყოვლისა გამოირჩევა ნუმიზმატიკური მონაპოვარი, რომელიც კარგად ასახავს ბიზანტია – საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობას თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში და მიუთითებს მეგობრობა – მოკავშირეობის საკმაოდ მტკიცე თანამშრომლობაზე. ამიტომაც უკვე IX საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში შემოსვლას და ფართოდ გავრცელებას იწყებს ბიზანტიური სპილენძის ფული. IX საუკუნისაა: ლეონ V (813 – 820), თეოფილეს (829 – 842), ლეონ VI (886 – 912) სახელზე მოჭრილი მონეტები. ამან კი შეცვალა ადრე გამოთქმული შეხედულება, რომ თითქოს ბიზანტიური სპილენძი დასავლეთ საქართველოში X საუკუნიდან ჩნდება[26]. ქუთაისში აღმოჩენილი X საუკუნის რომანოზ I ერთმმართველის (919 – 921) – 1 ცალი, იოანე ციმისხის (969 – 976) – 3 ცალი, ბასილ II და კონსტანტინე VIII (976 – 1025) – 2 ცალი მონეტა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სპილენძი, როგორც ადრე (VI – VII სს.) ქვეყნის შიდა რაიონებშიც აღწევს და ცირკულირებს.

XI საუკუნის 60 – იანი წლებიდან ბიზანტია – საქართველოს ურთიერთობაში არსებითი ხასიათის გარდატეხა ხდება. თურქ – სელჩუკთაგან შევიწროებულ საქართველოს ბიზანტია სერიოზულ ანგარიშს უწევს და მის ღირსეულ პარტნიორად და მფარველად გვევლინება. ბიზანტიური მონეტა უკვე საერთაშორისო ვალუტის როლს ასრულებს ამიტომაც ის ფართოდ მიმოიქცეოდა დასავლეთ საქართველოში[27]. ქუთაისში გათხრების შედეგად გამოვლენილი ბასილ II და კონსტანტინე VIII (976 – 1025) – 2 ცალი, მიხეილ IV პაფლაგონელის (1034 – 1041) – 2 ცალი, თეოდორას (1055 – 1056) – 1 ცალი, კონსტანტინე X დუკას (1059 – 1056) – 1 ცალი, რომანოზ IV დიოგენეს (1067 – 1074) – 1 ცალი მონეტები სწორედ ამის დასტურია. ამას მიუთითებს აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღმოჩენილი სპილენძის სამი განძი: ოჩამჩირის, სოხუმის და აბანოეთის (ამბროლაურის რ – ნი), ამიტომაც ბიზანტიური სპილენძის საყოველთაო მიმოქცევაზე შეიძლება ლაპარაკი და გარდა ზღვისპირა ოლქებისა სპილენძი მთიან რაჭაშიც აღწევს, ხოლო ძვირფასი ლითონის მიმოქცევა ქუთაისში არ დასტურდება, თუმცა 1983 წელს ლიხნში (გუდაუთის რ – ნი) აღმოჩენილი განძი შესანიშნავად ასახავს ბიზანტიური ოქროს და ქართულ – ბიზანტიური ვერცხლის ბაგრატ IV (1027 – 1072), გიორგი II (1072 – 1082), ფართოდ მიმოქცევას ამ რეგიონში[28].

მონეტის ცნობილ სპეციალისტებს უჭირთ იმის ახსნა თუ რატომ არ მიმოიქცეოდა დიდი სელჩუკების მოჭრილი ფული საქართველოს ტერიტორიაზე: „საინტერესოა, რომ დღესდღეობით არც ერთი მონეტა დიდი სელჩუკებისა ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ნაპოვნი არ არის"[29]. თუმცა, სამაგიეროდ, როგორც აღინიშნა XI – XII საუკუნეებში ძირითადად მიმოიქცეოდა ბიზანტიური ოქროსა და სპილენძის მონეტები, რომელიც ფართოდ ცირკულირებდა საქართველოს სამონეტო სისტემაში[30]. ამიტომ ქუთაისსა და მის შემოგარენში ბიზანტიური

მონეტების საკმაო რაოდენობის აღმოჩენა სრულიად კანონზომიერია, ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბიზანტიურ ვერცხლსა და ოქროს მონეტას საერთაშორისო ბაზარზე ფართო გასავალი ჰქონდა და ეს დადასტურდა არა მარტო არქეოლოგიური გათხრებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უშუალოდ ქუთაისის შემოგარენში, იმპერატორ მიხაილ IV (1034 – 1041), თეოდორას (1055 – 156), ნიკიფორე III (1078 – 1081) და სხვა მონეტების შემთხვევით აღმოჩენას[31]. სავარაუდოა, რომ დიდი საქართველოს დედაქალაქობის დროს ქუთაისის ზარაფხანაში იჭრებოდა ქართველ მეფეთა: ბაგრატ III (975 – 1014), ბაგრატ IV (1027 – 1072), გიორგი II (1072 – 1083) და დავით აღმაშენებლის სახელზე გამოშვებული მონეტები. ფიქრობენ, რომ რუსუდანისა და ორი დავითის (ულუ და ნარინი) სახელზე მოჭრილი მონეტებიც ქუთაისში არის გამოშვებული[32]. ქართველ მეფეთა მიერ ქუთაისში მონეტების მოჭრა გამოწვეული იყო არა მარტო ფულზე დიდი მოთხოვნილებით, არამედ ქვეყნის დიდი სამეურნეო აღმავლობით და ქალაქის წარმატებული ცხოვრებით.

• სამეურნეო-ეკონომიკური ვითარება IX-XI სს.

საკვლევ პერიოდში ქუთაისში ზედმიწევნით განვითარებული ჩანს ხელოსნობის სხვადასხვა დარგები. მათი განვითარების მაღალი დონე კარგადაა ილუსტრირებული სათანადო ფაქტებით. ხელოსნური ნაწარმის საერთო ანალიზი უჩვენებს ხელოსნური წარმოების ღრმა დიფერენციაციას და ვიწრო სპეციალიზაციას, ტექნოლოგიური პროცესების მაღალ მაჩვენებელს, რომლითაც ადგილობრივი პროდუქცია ტოლს არ უდებდა იმდროინდელი განვითარებული ქვეყნების ნაწარმს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამეთუნეო ნაწარმის სერიული და სტანდარტული დამზადება, რაც ადგილზე ქალაქის საწარმო – სახელოსნოებში ხდებოდა. ერთ – ერთი ასეთი სახელოსნოს შესახებ ჩვენ ადრე გვქონდა საუბარი, სავარაუდოა, რომ იგი ფუნქციონირებდა X – XI საუკუნეებშიც. აღმოჩენილ მასალათა დიდი რაოდენობა (ქოთნები, ქვაბქოთნები, დოქები, ჭიჭილები, სასმისები და სხვ.) და მისი ანალიზი აგრეთვე სტრატიგრაფიული მონაცემები იმაზე მიუთითებენ, რომ ეს სახელოსნოც ძირითადად ორიენტირებული იყო სუფრისა და სამზარეულო ჭურჭლის წარმოებაზე. იგი განადგურებული ჩანს XI საუკუნის 80 – იან წლებში „დიდი თურქობის" შედეგად. X – XI საუკუნეების თიხის ჭურჭლეულში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უუჭირავს სამეურნეო დანიშნულების ქვევრებს. გაირკვა, რომ მახასიათებლის მიხედვით მათი ზომები შემცირდა. მათ აქვთ სამკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინი, იშვიათად გვხვდება ორნამენტებიანიც. თუმცა XI საუკუნიდან ქვევრის ზომები საგრძნობლად იზრდება და მათი ძირითადი მახასიათებელი იგივე რჩება. პირის გვირგვინი ან სამკუთხა ან ოთხკუთხაგანივკვეთიანი მოყვანილობისაა. ორნამენტიც (ჯვრები, იქსები, წიბოების დაკეჭვნა) იგივეა. ძირითადი აქცენტი გადატანილია პირის გვირგვინ-



სურ. 252.
ამფორები (XI-XII სს)

ის შემკობაზე და სარტყლებზე. ძირ-ქუსლი ყველას ვიწროდ გამოყვანილი აქვთ. საინტერესოა, რომ ამ ქვევრებს შიშველი კეცით მიწაში ფლავდნენ და ზემოდან ზოგჯერ რიყის სარქველს ახურავდნენ ან ხის სარქველზე რიყის ქვას ადებდნენ. გათხრებმა უჩვენა, რომ ქვევრების დაკირვა ანუ კირდუღაბით შემოსვა ამ პერიოდიდან იწყება. ამაზე მეტყველებს ერთნაირი ქვევრების ზოგჯერ შიშვლად აღმოჩენა და ზოგჯერ კირდუღაბში ჩასმულის პოვნა.

კერამიკულ ჩარხზე ჩანს დამზადებული დერგების ანუ ქოცოების ძირითადი ნაწილი. ისინი ქვევრთან შედარებით თხელკედლიანებია, თხელი პირის გვირგვინით. ტანზე მათ ზოგჯერ ნაჭდევებიანი ქედები ამშვენებს.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია კოკურები და ჩაფები. ისინი ჩნდებიან IX – X საუკუნეებში და არსებობას განაგრძობენ გვიან საშუალო საუკუნეების ჩათვლით. ფიქრობენ, რომ ადრე ინტენსიურ ხმარებაში მყოფი სამეურნეო – სატრანზიტო ჭურჭელი ამფორა ადგილს უთმობს კოკებსა და ჩაფებს, თუმცა ამ პერიოდში ამფორები კვლავ განაგრძობენ არსებობას. ამფორათა მრავალრიცხოვანი ნაშთებიდან აღსანიშნავია სქელკედლიანი ზედაპირდაღარული ცალები, რომელთა ტანი ღია, მოვარდისფრო ანგობითაა დაფარული. მათი ზუსტი პარალელები აღმოჩენილია ყირიმში. ისინი ჩნდებიან VIII – IX საუკუნეებში და არსებობენ XI საუკუნემდე. ამფორათა სხვა ტიპებისათვის დამახასიათებელია თხელი კეცი, მუცელგანიერი მოყვანილობა, ვიწრო კონუსური ყელი და ძაბრისებური პირი. ზედაპირი შემკულია მუქი ჩალისფერი ანგობით. ყურები ოვალურგანივკვეთიანია და მიერთებული აქვთ პირს ქვემოთ და მხრებზე, თანაბრად მორკალულია. ასეთი ამფორები XI – XII საუკუნეებში იყო ძირითადად ხმარებაში. ამავე პერიოდისაა კვერცხისებურტანიანი ამფორა, რომელსაც ოვალურგანივკვეთიანი ყურები პირს ზემოთ აქვთ მორკალული და მიერთებული უშუალოდ პირის კიდეზე და ძლიერ დაშვებულ მხრებზე. აღნიშნული ამფორების კეცი აგურისფრად გამომწვარია, ხოლო ზედაპირი თეთრადაა ანგობირებული. მსგავსი ჭურჭელი ქერსონესშია დადასტურებული (სურ. 252).

პირს ზემოთ მორკალული ყურებით გამოირჩევა აგრეთვე მსხლისებურტანიანი ამფორები. აქაც ყურები უშუალოდ პირზეა დაძერწილი და ქერსონესის მიხედვით XII – XIII საუკუნეებით თარიღდებიან.

რაოდენობის მიხედვით გამორჩეული ადგილი უჭირავს სამზარეულო კერამიკას (ქოთნებს, ქვაბ-ქოთნებს, თონეებს და სხვ.)

ქოთნებსა და ქვაბქოთნებში ძირითადად ორი ქრონოლოგიური ჯგუფის გამოყოფა შეიძლება შესაბამისი ტიპებითა და ქვეტიპებით. მათი დათარიღება ეყრდნობა სინქრონულ მასალას, სტრატიგრაფიასა და ნუმიზმატიკურ მონაცემებს.

სურ. 253.
კათხები (X-XI სს)

სურ. 254.
დოქები (X-XI სს)

საინტერესოა, რომ თონეების ძირები თითქმის იმეორებენ ამავე დროის ქვევრებისა და ქოცოების პირის გვირგვინის მოყვანილობას. აქვთ საჰაერო ღიობები. მათი კეციც იდენტურია და გამომწვარია ყავისფრად ან აგურისფრად. ზედაპირი დამშვენებულია სხვადასხვა სახის ორნამენტით, თუმცა გვხვდება ორნამენტის გარეშეც.სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია ჯამების, სასმისების, ფიალების, დოქებისა და სამარილეების სახით. მასალა ძირითადად მზადდება სუფთად განლექილი თიხისაგან, ზედაპირი წნეხვით გაპრიალებულია. ზოგიერთი ჭურჭელი სადაა, ზოგიც ანგობითაა დაფარული. ხშირ შემთხვევაში ჭურჭელი მოხატულია წითლად ან თეთრად. ორნამენტი გეომეტრიულია (წერტილები, სამკუთხედები, წრეები, სვასტიკა და ბორჯღალი). მრავლადაა კათხისებური სასმისები (სურ. 253). სასმისებისათვის დამახასიათებელია თხელკედლიანობა და პრიალა ზედაპირი. მათ შორის არის მაღალი ტანის, მუცელზე ღრმა ვერტიკალური კანელურებით. დაბალი სასმისები სფეროსებური ტანით გამოირჩევა. პირყელი დავიწროებული აქვთ. გვხვდება, აგრეთვე მაღალმუცლიანი ჭიჭილები. ნაირსახეობით გამოირჩევა X – XI საუკუნეების დოქებიც (სურ. 254). ისინი ზედაპირგაპრიალებულია. ზოგის ტუჩი მრგვალია, ზოგის კი სამტუჩა. ყელი შეზნექილპროფილიანია, შედარებით სუფთად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული ტუჩიანი დოქები (ოინოხოია), მათი გამოყენება ღვინისათვის ეჭვს არ იწვევს. კეცი ვარდისფერია, ზოგიერთის ტანი დაფარულია ჩალისფერი ანგობით და მოხატულია თეთრად. ზოგიერთ დოქს ზოომორფული ყური აქვს (სურ. 255, 256). საერთოდ დოქების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია წერტილოვანი და რომბული ბადით შედგენილი ორნამენტი. X-XI საუკუნეების კულტურულ ფენაში აღმოჩნდა სრულიად ორიგინალური ფორმის ჭურჭელი (სურ. 257), რომელიც სარიტუალო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. ასეთივე დანიშნულებით გამოიყენებოდა ბრინჯაოს სანთლავი (სურ. 258). ამავე საუკუნეების თიხის ნაწარმში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამშენებლო კერამიკას. დიდი რაოდენობით გვხვდება მოუჭიქავი და მოჭიქული კრამიტები (სოლენი და კალიპტერი, კალორიფერები, აგურები, ანტეფიქსები, თიხის მილები და სხვ.). აღნიშნულ მასალებს ერთი საერთო მახასიათებელი აქვთ. მათი თიხა კარგადაა განლექილი და მაღალხარისხოვანია, ასევე კეციც კარგადაა გამომწვარი.



სურ. 255. დოქი (X-XI სს)

სურ. 256. სამტუჩა (XI ს)

საგანგებო აღნიშვნის ღირსია კერამიკის ის ნაწილი, რომელიც ჭიქურითაა დაფარული. იმის გამო, რომ გათხრების დროს მრავლად აღმოჩნდა მოჭიქული ჭურჭელი, ისეთივე ფაქტურით, როგორც ჩვეულებრივი ნაწარმი, რაც მიანიშნებს ჭიქურის ადგილობრივ წარმოებას იმ მასალებთან ერთად, რომელიც უშუალოდ წარმოების ნაშთებად მიგვაჩნია, (ნახევარფაბრიკატები, ჭიქურით დაფარული რი-

სურ. 257. სარიტუალო დანიშნულების ჭურჭლის ფრაგმენტი

სურ. 258. ბრინჯაოს სანათლავი (XI ს)

სურ. 259. მოჭიქული ჯამი (XIIს)

სურ. 260. მოჭიქული ჯამი (XIIს)

ყის ქვები და სხვ.). მოჭიქული ჭურჭელი ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა:

1. სამშენებლო (კრამიტები, აგურები, ანტეფიქსები), რომელიც მოჭიქულია მწვანედ ან ღვიძლისფრად.

2. საყოფაცხოვრებო (ძირითადად სუფრის ჭურჭელი) ერთფერად (მწვანე, ყვითელი, ღვიძლისფერი ჭიქურით დაფარული) ან მრავალფრად მოჭიქულები. ერთფერად მოჭიქულებში უმრავლესობა მწვანედ მოჭიქული ჭურჭელია. ჯამების შიდა ზედაპირი დაფარულია თეთრი ანგობით, ზოგჯერ მასზე ამოკაწრულია გეომეტრიული სტილის ორნამენტი. ჯამების ერთი ჯგუფი დიდი ზომისაა დაბალი, გაშლილი კალთით. სუფრის ჭურჭლის ჯგუფისათვის დამახასიათებელია მოწითალოდ გამომწვარი კეცი, ზედაპირის ანგობირება და სხვადასხვა ფერის ჭიქური. საკმაოდ მრავალრიცხოვანია ღვიძლისფრად მოხატული ჭურჭელი, განსაკუთრებით კი ჯამები. ასევეა ყვითლად მოჭიქული სადა, უორნამენტო ან ამოკაწრულ – ორნამენტიანი ჯამები. ყვითლად მოჭიქული ჭურჭლებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია იმპორტული ნაწარმი. ასეთ ჯამებს აქვთ სწორი პირი,

სურ. 261. მაცხოვრის ხატი მოწამეთადან (XIIს)

სურ. 262. საწინამძღვრო ჯვარი მოწამეთადან (XIს)

დაბალი გამოყვანილი ქუსლი. კეცი ვარდისფრად გამომწვარია. გარდა ჯამებისა, აღსანიშნავია აგრეთვე სხვა ფორმებიც: სამარილეები, ქილა, კოჭობი, სასმისი და სხვ. (სურ. 259, 260).

სურ. 263. ოქროს ბარძიმი (XIIს)

სურ. 264. ტონდო წმინდა მამაის გამოსახულებით (XIIს)

გათხრების შედეგად საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა მინის ნაწარმიც. ძირითადად ორი სახეობითაა წარმოდგენილი: 1) ჭურჭლეული, 2) სამკაული. ფორმათა სიმრავლით ყურადღებას იპყრობს სასმისები. ისინი თავისუფალი ბერვითაა დამზადებული და ოთხ ტიპად არის დაყოფილი: ჭიქისებური, ძაბრისებური, ძირშეზნექილი და ძირსარტყლიანი. მრავლად აღმოჩნდა ლამპარი (ბურთულიანი და ყურიანი) და მინის სამაჯურები (სხვადასხვა ტიპის). ზოგის ღერო მრგვალგანივკვეთიანია, სადა ფერადი ძაფებით შემკული, ზოგიც ფიგურულღეროიანია (ქედებიანი, სამკუთხაგანივკვეთიანი). დამოუკიდებელ ჯგუფს შეადგენს გრეხილი სამაჯურები, თუმცა მათ შორის არის წვრილად ან მსხვილად გრეხილი ცალები. საინტერესოა, რომ მინის ჭურჭლის დიდი ნაწილი სასახლის ტერიტორიაზე ან ტაძრის ინტერიერში აღმოჩნდა.

ქუთაისიდან და ახლომდებარე რაიონებიდან ცნობილია X – XI საუკუნეების ჭედური ხელოვნების მრავალი შესანიშნავი ნიმუში: XI საუკუნის შობის ლორფინი მოწამეთადან (ვერცხლი), მაცხოვრის ხატი (XII ს. სურ. 261), საწინამძღვრო ჯვარი (XI ს. სურ. 262). საგანგებო აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია X საუკუნის ოქროს ბარძიმი, რომელიც ბაგრატ III და მის დედას გურანდუხტს შეუწირავთ მათ მიერვე აშენებული ბედიის ტაძრისათვის 999 წ. ჩვენი მოკრძალებული ვარაუდით, შესაძლოა, ეს ბარძიმი დამზადებული იყოს ქუთაისში, სამეფო ქალაქში, სადაც მხატვრული ხელოსნობის მნიშვნელოვანი კერა იგულისხმება ამ პერიოდში (სურ. 263). ამასვე ადასტურებს ტონდო წმ. მამაის გამოსახულებით გელათიდან (XI ს. სურ. 264).

ქუთაისის უბნები და გარეუბნები X – XI საუკუნეებში

• მწვანეყვავილა

მწვანეყვავილას კონცხი ქუთაისის ციხის პირდაპირ, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზეა აღმართული (სურ. 265). ეს ქალაქის ერთ – ერთი უძველესი უბანია. მწვანეყვავილაზე გადიოდა ისტორიული გზა გელათისაკენ. აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია: ადრეული კოლხური ცული, ლისიმაქეს ოქროს სტატერი და მითრიდატე ევპატორის სახელზე მოჭრილი მონეტა.

კონცხზე შემორჩენილ ნაგებობათაგან უძველესია მაღალი სუბსტრუქციით ამოშენებული ქარაფის პირას მდგომი პატარა დარბაზული ეკლესია. (ზომები: 7X4 მმ.). შემოინახა მისი ნახევარწრიულად შვერილი აფსიდი და გრძივი კედლების ქვედა ნაწილები. ფასადები დიდი მართკუთხა ქვებით არის მოპირკეთებული. კამარა, რომლის ძირი ჩრდილოეთ მხარეს შემორჩა, სუფთად თლილი ქვისა იყო. შესასვლელი ეკლესიას დასავლეთიდან ჰქონდა. კარის ტიმპანის ქვაზე ამოკვეთილი წარწერიდან ჩანს, რომ ეკლესია წმ. მთავარგანგელოზთა

სურ. 265. მწვანეყვავილა

სახელობისა იყო და, სავარაუდოდ, 1117 წელს აშენდა (ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ქვის დაზიანება მეცნიერთა მიერ მშენებლობის თარიღის სხვადასხვაგვარ წაკითხვას განაპირობებს)[33].

კონცხის ქვედა ბაქანზე თეთრი თლილი ქვით მოსილი სადა, პატარა დარბაზული ეკლესია დგას. იგი 1637 – 1660 წწ.-ს შორის წმ. მთავარგანგელოზთა სახელზე გაენათელმა მიტროპოლიტმა ზაქარიამ (ქვარიანი) ააგო. 1860 წელს ეკლესია განაახლეს და დასავლეთიდან ღია კარიბჭე მიაშენეს.

მწვანეყვავილაზე მიტროპოლიტ ზაქარიას რეზიდენციაც იყო. ეკლესიის აღმოსავლეთით ნატეხი ქვით ნაგები, მართკუთხა გეგმის დიდი კოშკი შემორჩა, რომლის ყრუ კედლებში მხოლოდ ერთი პატარა კარი და სათოფურებია გაჭრილი[34]. ბოლო წლებში ჩვენს მიერ გაკეთებულმა სადაზვერვო შურფებმა ამ ადგილზე მნიშვნელოვანი კულტურული ფენები არ დაადასტურა.

• მოწამეთა

მოწამეთას მონასტერი ქუთაისიდან 5 კმ – ით ჩრდილო – აღმოსავლეთით, მდ. წყალწითელას ხეობაში შეჭრილ ვიწრო და მაღალ კონცხზეა განლაგებული (სურ. 183). ადრეულ შუა საუკუნეებში აქ, ციხე – ქალაქ წყალწითელაში, ხარების ეკლესია იყო, რომელიც 735 – 737 წწ. – ში მურვან ყრუს (მარვან – იბნ – მუჰამედი) მეთაურობით შემოსეულმა არაბთა ლაშქარმა დაანგრია. შემოსევისას მოწამებრივად აღსრულებული არგვეთის მთავრები დავითი და კონ-

სტანტინე ხარების დანგრეული ეკლესიის კრიპტაში დაკრძალეს. სავარაუდოდ, მეფე ბაგრატ IV – მ (1027 – 1072) აქ მონასტერი ააგო და მის ეკლესიაში წმ. მოწამეთა საფლავი მოაწყო. მოგვიანებით ამ ადგილს „მოწამეთა" ეწოდა.

კარიბჭის ორსავ მხარეს გალავნის ნაშთებია შემონახული. კედლების წყობა დიდკვადროვანია და იმეორებს V – VI საუკუნეების ქუთაისის, ნოქალაქევისა და წებელდის ციხეებზე შემონახულ წყობას. ამიტომაც გვაქვს მოსაზრება მოწამეთასა და უქიმერიონის ციხის იდენტურობის შესახებ. (იხ. ზემოთ...)

მონასტრის გარეთ სასტუმროს ნაშთი და XVI საუკუნის სამსართულიანი კოშკია. მის კედელში ჩართულია მედალიონში ჩასმული რელიეფური ტოლმკლავა ე. წ. ბოლნური ჯვარი, რომელიც შესაძლოა თავდაპირველი, ხარების ეკლესიის დეტალს წარმოადგენდეს (VI – VII სს.) ან ქვაჯვარის ბაზისი იყოს. მოწამეთადან ცნობილია XI – XII საუკუნეების ჭედური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები.

მოწამეთის მონასტრის პირდაპირ, წყალწითელას მარცხენა ნაპირზე კარსტულ მღვიმეში მრავლად არის აღმოჩენილი ფაუნისტური, პალეობოტანიკური და პალეოანთროპოლოგიური მასალა.

• სამონასტრო კომპლექსი გელათში

XI საუკუნის ბოლოსათვის შინააშლილობით დასუსტებული და საჭურჭლე გაძარცვული, დიდი თურქობისას გადამწვარი ქუთაისის განახლება – გაძლიერება უკვე მეფე დავით აღმაშენებლის დროს მოხდა. დავითისეულმა აღმშენებლობამ დედაქალაქს სრულიად ახალი მნიშვნელობა შესძინა – 1106 წელს ქუთაისის სიახლოვეს დაარსდა გელათის მონასტერი და აკადემია, „მეორედ იერუსალიმად" და „სხუად ათინად" წოდებული გელათი მთელი საქართველოსათვის სიწმინდისა და სიბრძნის კერად იქცა (სურ. 266).

მონასტერი დავითმა „აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათასა... დასხნა მუნვე დიდთა და ხოსროანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი და კუალად გჳრგჳნნი და მანიაკნი". აკადემიაში სამოღვაწეოდ მეფემ არა მარტო საქართველოდან, არამედ უცხოეთიდანაც შეკრიბა სწავლულნი. „კაცნი პატიოსანნი, ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა". დავით აღმაშენებელმა გელათი თავის და შთამომავალთა სამარხად განაწესა „...მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შჳლთა ჩემთა... აწ შჳლმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ ჩემთჳს და მისთჳს და მომავალთა ჩემთათვის".

გელათის მონასტერი ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის, დასავლეთ საქა-რთველოს კათალიკოსების და გენათელი ეპისკოპოსების საძვალეს წარმოადგენდა. წყაროთა ცნობებით წმ. დავით აღმაშენებლის გარდა აქ განისვენებენ გაერთიანებული საქართველოს მეფეები: დემეტრე I (1125 – 1156), გიორგი III (1156 – 1184), თამარი (1184 – 1213), გიორგი IV ლაშა (1213 – 1223), რუსუდანი (1223 – 1245), დავით ნარინი (1245 – 1293), ვახტანგ II (1289 – 1293), დავით IX (1346 – 1360), ბაგრატ VI (1463 – 1478); იმერეთის მეფეები და კათალიკოსები.

სურ. 266.
გელათის მონასტერი

გელათის სამონასტრო კომპლექსი სხვადასხვა დროის ნაგებობებს შეიცავს. ცენტრალური ნაგებობაა მთავარი ტაძარი, რომელიც აგებულია 1106 წ. ღვთისმშობლის მიძინების სახელზე დიდი ზომის თლილი ქვებისაგან. გეგმაში ტაძარი „ჩახაზული ჯვრის" ტიპის დიდი ხალვათი ნაგებობაა, თექსვსმეტსარკმლიანი გუმბათით, რომელიც ეყრდნობა ორ მსხვილ ბურჯსა და აფსიდის კედლების კუთხეებს. დასავლეთის მკლავში პატრონიკეა გამართული. საკურთხევლის აფსიდის ხუთწახნაგოვანი კედელი მორთულია ხუთი თანაბარი სიმაღლის დეკორატიული კამარით. შენობის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავი ფასადზე შემკულია სამი დეკორატიული კამარით, რომელთაგან შუა უფრო მაღალია.

სურ. 267.
საბას საყდარი

სურ. 268.
„დავითის კონცხი'' (წყობის ხასიათი)

სურ. 269.
აკადემიის ინერიერი სატრაპეზოს მერხებით

ტაძრის კონქში დაცულია XII საუკუნის პირველი ნახევრის მოზაიკა, რომელიც მონუმენტური ფერწერის სრულყოფილ ნიმუშს წარმოადგენს. ფრესკებით ყოფილა დაფარული ტაძრის დანარჩენი კედლებიც. განსაკუთრებით შთამბეჭდავია წმ. დავით აღმაშენებლის ფრესკული პორტრეტი. მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით XIII საუკუნის შუა ხანებში აგებული წმ. გიორგის სახელობის ეკლესია დგას, რომელიც შემცირებული ფორმით იმეორებს მთავარი ტაძრის არქიტექტურას. თავდაპირველად ეკლესია „სადედოფლო"იყო და სავარაუ-

დოდ დედოფალთა საძვალეს წარმოადგენდა, XVI საუკუნიდან საკათალიკოსო გახდა. დასავლეთით წმ. ნიკოლოზის ორსართულიანი ეკლესიაა, ასევე XIII საუკუნის ბოლოს აგებული. ძველი საბუთებით მას უწოდებენ „ოთხსვეტიან საყდარს". იქვე ჩრდილო – აღმოსავლეთით XIII საუკუნის მეორე ნახევარში აგებული სამსართულიანი სამრეკლო დგას, რომლის ქვედა სართულზე წყარო გადმოედინება. მეორე სართულს ზოგჯერ საპყრობილედაც იყენებდნენ, ხოლო მესამე სართულზე რვა თაღით გახსნილი ფანჩატური დგას, რომელშიც ზარები ჰკიდია.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია აკადემიის შენობა, რომელიც წმ. ნიკოლოზის გვერდით მართკუთხა ფორმის წაგრძელებულ ნაგებობას წარმოადგენს. სამხრეთიდან მშვენიერი კარიბჭით, რომლის ფრონტონზე განათლების ემბლემაა გამოსახული. მონასტრის ეზოს, სავარაუდოდ მონასტრის დროინდელი გალავანი ფარგლავს. მასში ორი კარიბჭე იყო დატანებული. მთავარი კარიბჭე სამხრეთიდან ქმნის ფართო თაღედით გახსნილ გრძელ კამაროვან გასასვლელს, რომლის შუა ნაწილში წმ. დავით აღმაშენებლის საფლავის ქვაა. კარიბჭეში ინახება რკინით გაჭედილი კარი, რომელიც 1062 წელს არის დამზადებული, ხოლო 1139 წელს მეფე დემეტრე I – მა განძის დალაშქვრის შემდეგ ალაფის სახით წამოიღო და გელათს შესწირა.

მონასტრის ახლოს ჩრდილო – აღმოსავლეთით შემაღლებულ მინდორზე გაშენებულია სოხასტერის კომპლექსი. სავარაუდოდ, იგი სნეულთა თავშესაფარს (ქსენონს) წარმოადგენდა. გელათის მონასტრის ტერიტორიაზე მრავალი სხვადასხვა დროის ნაგებობა და ეკლესიაა. აქედან ჩვენი ექსპედიციის მიერ ნაწილობრივ შესწავლილი იქნა წმინდა საბას საყდარი (XI ს.) (სურ. 267) და „დავითის კონცხი", (სურ. 268), რომელიც გელათის თავდაცვითი სისტემის ერთ – ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. გელათის სიძველეების საუკეთესო მცოდნის მ. კეზევაძის განმარტებით გელათის მიდამოებში ცხრა მეტნაკლებად შემონახული ხიდია. ხუთი მდ. წყალწითელაზე, სამი მდ. ქორენაზე და ერთიც საკირის ღელეზე. გელათზე გადიოდა სამოქალაქოს აღმ. საქართველოსთან დამაკავშირებელი გზა (ცუცხვათ – თუზი – სკანდე – ქვაციხე).

უძველესი დასახლება გელათში ანტიკურ ხანას განეკუთვნება. გამოვლენილია ამდროინდელი ნამოსახლარი და სამარხები (ტიპიური კოლხური კერამიკით, შუბისპირითა და სატევრით).

სურ. 270. თაღოვანი გალერეა

სურ. 271. თაღოვანი გალერეა XIII-XIV სს

გელათის სიძველეებისადმი საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის გამო 2007 წლის დეკემბერში კულტურის სამინისტროს (ნ. ვაჩეიშვილი) დავალებით ჩავატარეთ სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები კომპლექსის ტერიტორიაზე და მონიტორინგი ვაწარმოეთ გეოლოგიურ თხრილებზე[35], ხოლო მომდევნო წელს (2008) სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტით დაგვევალა აკადემიის შენობის ინტერიერ-ექსტერიერის გათხრები, რომელიც წარმატებით გაგრძელდა 2009 წელს[36]. (სურ. 269, 270, 271).

• გეგუთი

გეგუთი ქუთაისიდან 7 კმ – ით სამხრეთით მდებარეობს. მის მახლობლად, მდ. რიონის მარცხენა ნაპირას გაშლილ ველზე დიდი სასახლის ნანგრევი დგას. VIII – IX საუკუნეებში აქ სანადირო სახლი აშენდა, რომელიც ერთ დიდ ბუხრიან ოთახს შეიცავდა. მოგვიანებით მას სხვა სადგომები მიაშენეს (სურ. 272) და ქალაქგარეთ სამეფო სამყოფლად აქციეს. ივარაუდება, რომ დღევანდელი სახე ნაგებობამ ძირითადად, მეფე გიორგი III – ის დროს (1156 – 1184) მიიღო. მართკუთხა გეგმის სასახლე აგურით არის ნაშენი და თლილი ქვით ამოყვანილ თითქმის სამმეტრიან ცოკოლზე დგას. ნაგებობის მთავარი ნაწილია 14 მ. დიამეტრის მქონე გუმბათით გადახურული ოთხმკლავიანი დარბაზი. მის ირგვლივ საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსებია განლაგებული. შენობის კუთხეები და კედლების შუა ნაწილები გარედან მრგვალი ბურჯებით არის გამაგრებული.

სურ. 272. გეგუთი (ციხე დარბაზი)

გეგუთი გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ერთ – ერთი რეზიდენცია

იყო. აქ ჩამოვიდა სანადიროდ და დასავენებლად დავით აღმაშენებელი 1122 წლის შემოდგომაზე, გეგუთს ხშირად სტუმრობდნენ მეფე გიორგი III და თამარ მეფე. 1360 წელს აქ გარდაიცვალა მეფე დავით IX. ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ გეგუთი XVIII საუკუნემდე იმერეთის მეფეთა რეზიდენცია იყო. XIX საუკუნეში უპატრონოდ დარჩენილი სასახლე დაინგრა და გაპარტახდა. 1950 – იან წლებში შენობა გაამაგრეს და ნაწილობრივ აღადგინეს.

XIII საუკუნეში სასახლის სამხრეთით აიგო დიდი დარბაზული ეკლესია, რომელიც ახლა ასევე ჩანგრეულია. აგურით ნაგები კედლები გარედან ქვის დიდი ფილებით იყო მოპირკეთებული (პერანგი თითქმის მთლიანად შემოძარცულია). ინტერიერში თლილი ქვით გამოყვანილია მხოლოდ პილასტრები, რომლებიც გრძივ კედლებს შუაზე ყოფს. აგურის კედლები შიგნიდან შელესილი და მოხატული იყო. მოხატულობა ძალზე ფრაგმენტულად არის შემორჩენილი.

გეგმაზომიერ არქეოლოგიურ სამუშაოებს გეგუთში ფაქტობრივად ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ ციხე-დარბაზის არქიტექტურული შესწავლისათვის 1937 წელს ჩაუტარებიათ აქ გაწმენდითი სამუშაოები. გასული საუკუნის 80-იან წლებში ვახტანგ ჯაფარიძის მეთაურობით სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა ვარდციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და 1984 წელს ქუთაისის ექსპედიციის რაზმმა ვ. ლიჩელის ხელმძღვანელობით. ციხე – დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა ადრინდელი ნაგებობის ნაშთები, მაგრამ გათხრები აღარ გაგრძელებულა და გეგუთი კვლავ მომავალი არქეოლოგიური კვლევის საგნად დარჩა.[37] გეგუთიდან ცნობილია ბრინჯაოს ქალის ითიფალური ქანდაკება (ძვ. წ. V ს.), რომელიც ქუთაისის ისტორიულ მუზეუმშია დაცული.

შენიშვნები

**ჭყოიძე ე.,* ბიზანტიის რელიგიური პოლიტიკა კავკასიაში და აფხაზეთის სამეფო საქართველოს გაერთიანებამდე (978 წ.) კრ. ბიზანტიოლოგია საქართველოში. თბ., 2007 წ. გვ. 472-481.

1. ***მატიანე ქართლისა***, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 281.
2. იქვე, გვ. 282.
3. ***ლორთქიფანიძე მ.,*** ქუთაისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქი. კრებული ქუთაისი უძველესი დროიდან..., გვ. 119.
4. მაგალითად, ქუთაისში წყვეტდა მეფე სადავო საკითხებს (იხ. ბაგრატ IV – ის სიგელი ოპიზართა და მიჯნაძორელთა სამამულე დავის გამო. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 1984 წ., გვ. 32.).
5. ***ქართლის ცხოვრება,*** I, გვ. 316.
6. ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 319 – 320.
7. ***ნიკოლეიშვილი მიხ.,*** ქუთაისის დედაქალაქობის მთავარი „ვერტიკალური დომინანტები" XI – XII სს. ქუთაისის მუზეუმის მასალები XI, 1992 წ., გვ. 11.
8. ***მატიანე ქართლისა,*** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 281.
9. ***ცინცაძე ვ.,*** ბაგრატის ტაძარი.
10. ალექსი იევლიევის 1650 – 1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა. თბილისი, 1969 წ., (გამოსცა **იასე ცინცაძემ**), გვ. 136 – 137.
11. ***ისაკაძე რ.,*** ქუთაისი XV – XVIII საუკუნეებში. საკანდ. დისერტაცია, ავტორეფერატი. 1770 წლიდან ტაძრის სამხრეთ კარიბჭეში ეკლესია იქნა მოწყობილი. 1820 წლამდე აქ ქუთათელი ეპისკოპოსის კათედრა იყო, ხოლო 1820 – 1871 წლებში იმერეთის ეპარქიის მმართველის კათედრა. 1871 წლიდან 1923 წლამდე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის და ქუთათელ მიტროპოლიტთა კარის ეკლესია იყო.
12. Кавказ-Путевие заметки гр. Уваровой, част I, 1887 г., стр. 152.
13. ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ.,*** არქეოლოგიური გათხრები ბაგრატის ტაძრის ინტერიერში. ქართველური მემკვიდრეობა VIII, ქუთ., 2004 წ., გვ. 136 – 140; ***ლანჩავა რ., ისაკაძე რ., ბერძენიშვილი დ., ქარციძე ნ.,*** ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2005 და 2006 წლის საველე სამუშაოების წინასწარი ანგარიში.
14. ***სილოგავა ვ.,*** ეპიგრაფიკული მასალა ბაგრატის ტაძრიდან და მისი მიდამოების არქეოლოგიური გათხრებიდან. ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 1995 წ., №4., გვ. 55 და შმდ., ***მისივე,*** ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, ტ. II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I, (IX – XIII სს.). თბ., 1980.
15. ქწკ, II, გვ. 53.
16. ქწკ, II, გვ. 51 – 52.
17. ქწკ, II, გვ. 53 – 54.
18. ქწკ, II, №134.
19. აღმოჩნდა შემთხვევით სამშენებლო ფენისაგან კედლის ფასადის გაწმენდის შემდეგ.
20. ქწკ, II, №135.
21. ქწკ, II, №133.
22. ***სილოგავა ვ.,*** დასახ. ნაშრომი, გვ. 56 – 58. შენიშვნა 5.

23. *იქვე, გვ. 61.*
24. *იქვე, გვ. 62.*
25. *იქვე, გვ. 66.*
26. *ქვე. გვ. 65.*
27. ***Пахомов Е.,*** *Монеты Грузии. Тб., 1970 г., стр. 49.*
28. ***აბრამიშვილი თ.,*** *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები. თბ., 1965 წ., გვ. 95 – 110.*
29. ***ცუხიშვილი ი., ლანჩავა ო.,*** *ბიზანტიური სპილენძის მონეტები ქუთაისიდან. ქსუ შრომები, I, თბ., 1999 წ., გვ. 83.*
30. ***დუნდუა გ., დუნდუა თ.,*** *ნუმიზმატიკა I, არტანუჯი, გვ. 244.*
31. ***აბრამიშვილი თ.,*** *დასახ. ნაშრომი, გვ. 131 – 136.*
32. ***კაპანაძე დ.,*** *ქართული ნუმიზმატიკა. გვ. 52.*
33. *წარწერას 1838 წელს მიაკვლია დიუბუა დე მონპერემ. მისი გამომცემელი ვალერი სილოგავა სავარაუდო თარიღად 1113 წელს მიიჩნევს, თუმცა არ გამორიცხავს 1013 წელსაც. (იხ. დასავლეთ საქართველოს წარწერები, I, გვ. 149 – 150).*
34. *მწვანეყვავილას სასაფლაოს ქვედა ბაქანზე ქუთაისის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონია. აქ განისვენებენ: მელიტონ ბალანჩივაძე, კირილე ლორთქიფანიძე, დიმიტრი ნაზარიშვილი, იოსებ ოცხელი, გიორგი ზდანოვიჩი და სხვ.*
35. ***ისაკაძე რ.,*** *გელათის კომპლექსის ტერიტორიაზე გაჭრილ გეოლოგიურ შურფებზე ჩატარებული არქეოლოგიური მეთვალყურეობის ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთაისი, 2008 წ;* ***ლანჩავა ო. ისაკაძე რ.,*** *გელათის სამონასტრო ანსამბლის ტერიტორიაზე 2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 30 იანვრამდე ჩატარებული სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ხელნაბეჭდი, ქუთაისი, 2008 წ;* ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ.,*** *გელათის აკადემიის 2008 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთაისი, 2008 წ.,*
36. ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ბერძენიშვილი დ., ჭუმბურიძე მ., ქარციძე ნ.,*** *გათხრები ქუთაისსა და გელათში. ძიებანი №19, 2010 წ., გვ. 67-73; ძიებანი №20, 2011 წ., გვ. 153-154;* ***ლანჩავა ო., ისაკაძე რ.,*** *არქეოლოგიური კვლევები გელათსა და მოწამეთაში. ჟურნალი „ძველი ხელოვნება დღეს". №1, თბ., 2010 წ., გვ. №14-20.*
37. *2015 წლის ზაფხულში გეგუთის ციხე-დარბაზის არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ.*

ო. ლანჩავა

ქუთაისის არქეოლოგია

რეზიუმე

არქეოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე ქუთაისის ისტორია უძველესი დროიდან XII საუკუნემდე ასე წარმოგვიდგება:

1. მდინარე რიონის შუა წელზე, კოლხური სამყაროს ცენტრალურ ნაწილში, საქალაქო ცენტრის აღმოცენება განაპირობა სხვადასხვა ფაქტორმა. უპირველეს ყოვლისა, ესაა ფიზიკურ – გეოგრაფიული ანუ ბიოგეოგრაფიული გარემო, როგორც საფუძველი მხარის წარმატებული სამეურნეო – ეკონომიკური, დემოგრაფიული, სტრატეგიული, საკულტო – რელიგიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისა.

საინტერესოა, რომ ადამიანებს ქუთაისის მიდამოებში ცხოვრება ჯერ კიდევ მუსტიეს ეპოქიდან დაუწყიათ (საკაჟია, ჭახათა, თეთრამიწა). არქეოლოგიური ძეგლები მკაფიოდ მიუთითებენ აქაური საზოგადოების მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლასაც ნეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში. ქუთაისისა და მისი მიდამოების ფართო სამეურნეო ათვისება და მჭიდრო დასახლება დაკავშირებულია კოლხური კულტურის ჩამოყალიბება – განვითარების რთულ პროცესთან (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი); კოლხური კულტურის ელემენტების გავრცელება არქეოლოგიურ ძეგლებში ფიქსირდება ძვ. წ. XV – XIII საუკუნეებიდან, სწორედ ამ დროს ჩნდება სასოფლო ტიპის პირველი სამოსახლოები, როგორც ქალაქის ტერიტორიაზე (არქიელის გორა, ცაცხვების უბანი, ვარდისუბანი, გაბაშვილის გორა თეთრამიწა, მწვანეყვავილა), ისე მის მიდამოებში (პატრიკეთის გორა, ფარცხანაყანევი, გოდოგანი, ფარნალი); საცხოვრებლად უპირატესად გამოყენებულია ბუნებრივი გორასამოსახლოები, რომელთა განვითარების შედეგად ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს წარმოიშვა დაბური ტიპის მსხვილი სამოსახლო, სახელოსნო უბნებით, სავაჭრო მოედნებით და ცივილიზაციის სხვა ატრიბუტებით. ხოლო წელთაღრიცხვათა მიჯნაზე იგი მსხვილ ურბანისტულ ცენტრად იქცა.

2. ნამდვილი დემოგრაფიული აფეთქება კი ძვ. წ. VIII საუკუნიდან იწყება. განსაკუთრებით ძვ. წ. VIII – VII საუკუნეების ვრცელი დასახლების ნაშთები 3 – 4 მ. სიმძლავრის კულტურული ფენებით ამჟამად აღმოჩენილია მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ გორაკ – ბორცვიან ნაწილში, ბაგრატის ტაძრის მიდამოებში, ცაცხვების უბანთან და გაბაშვილის გორაკზე. მართალია, აქ გამოვლენილი კულტურული ფენები მნიშვნელოვანწილად დაზიანებულია შემდგომი ხანის მშენებლობათა შედეგად, მაგრამ მაინც კარგად ფიქსირდება ძველი სამოსახლოების განვითარების მაღალი დონე, ცხოვრების ინტენსიური ხასიათი, რაც გამოიხატა მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ არტეფაქტებში და უძველეს არქიტექტურაში. მაგალითად, არქიელისა და გაბაშვილის გორაზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიდი ნაგებობების ნაშთები, რომელთაც ხელოვნურ მიწატკეპნილზე ამოყვანილი ქვის საძირკველი ჰქონდათ. მასზე კი თავის დროზე თიხით შელესილი ხის კედლები იყო ამოყვანილი. აქვეა გამოვლენილი რიყის ქვით მოკირწყლული ეზოების ნაშთები. საინტერესოა, რომ ქვის საძირკვლიანი შენობების აღმოჩენა პირველი შემთხვევაა კოლხეთის არქეოლოგიაში. ნამოსახლარის გათხრებისას გამოვლენილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი

ტიპიური კოლხური კერამიკა (კანელურებიანი ჭურჭლები, ზოომორფულყურებიანი დოქები და ქოთნები, ძირწვეტიანი სასმისები და ჯამები, პირგვირგვინიანი ქვევრები, ყურმილიანი დოქები, ბრტყელძირიანი ჯამები და სხვ.), რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ. წ. IX – VIII საუკუნით განისაზღვრება მიუთითებენ კერამიკული ფორმების სტანდარტიზაციას, ადგილობრივ ნედლეულზე დაფუძნებული საკუთარი ტიპოლოგიური მოდელის არსებობას და სამეთუნეო წარმოების ცალკეულ დარგებად დიფერენციაციას, შესაბამისად, კერამიკული სახელოსნოების და სახელოსნო უბნების არსებობას, რაც ქალაქური ცხოვრების ერთ – ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ამასთანავე აღსანიშნავია ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის განვითარების მაღალი დონე, განსაკუთრებით კი ძვ. წ. VI საუკუნის რკინის სახელოსნო საწარმოთა ნაშთების აღმოჩენა (თიხის საბერველი მილები, ცულის და სატეხის ყალიბები, წიდები და სხვ.). აგრეთვე დიდ ინტერესს იწვევს კოლხური თეთრის წვრილი ნომინალიების აღმოჩენის ფაქტებიც ძვ. წ. VI საუკუნის კულტურულ ფენებში. ასეთი მონეტები კოლხეთში ძირითადად ძვ. წ. V – IV საუკუნეებში იყო გავრცელებული. VI საუკუნის ნამოსახლარის კულტურულ ფენაში ამ მონეტის აღმოჩენა (რაც ასევე პირველი შემთხვევაა), მოწმობს იმას, რომ კოლხური თეთრის წვრილი ნომინალები შიდა კოლხეთში მიმოქცევაში იყო უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან. ეს კი სულ ცოტა, თუ მეტი არა, აღნიშნული სამოსახლოს სავაჭრო ცენტრად დაწინაურებაზე მაინც მეტყველებს. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ბერძნული შავლაკიანი კერამიკის (V ს.) და ატიკური ბრინჯაოს მუზარადის შემთხვევითი აღმოჩენებიც ქუთაისის ტერიტორიაზე.

ამრიგად, ქუთაისში მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროს გორაკ – ბორცვიან ნაწილში ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩნდება სასოფლო ტიპის დასახლებები, რომელიც ამავე ათასწლეულის დასასრულს ყალიბდება დაბური ტიპის მსხვილ სამოსახლოდ. ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებიდან ეს სამოსახლო განვითარდა ქალაქად და გახდა საერო და რელიგიური მმართველობის ფუნქციონალური ცენტრი, რომელიც არქიელის გორადან ძვ. წ. VI საუკუნიდან გადმოდის ქალაქის ვაკე ნაწილში. ეს „მოძრაობა" ზოგადად გამოიწვია გეოპოლიტიკურმა ვითარებამ და კერძოდ, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა გააქტიურებამ. როგორც პროფ. ო. ლორთქიფანიძე ვარაუდობს, ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს ქუთაისის პირველმოხსენიებაც ბერძნულ წერილობით წყაროებში. ეს სურათი დაადასტურა 2005 წლის საველე მუშაობის შედეგებმა.

3. ეპოქას ძვ. წ. IV – III საუკუნეებიდან ახ. წ. III – IV საუკუნეებამდე ქალაქის ისტორიაში ადრე „ბნელ პერიოდს" ვუწოდებდით, მაგრამ ეს ლაკუნა შეივსო ბოლო დროის აღმოჩენებით ქალაქის ვაკე ნაწილში, სადაც ადრეანტიკური ხანის მძლავრი ნამოსახლარი გამოვლინდა. ეს ადგილი ელინისტურ ხანაში კი სამაროვნად იყო გამოყენებული. ქუთაისის შემოგარენშიც (გეგუთი, მაღლაკი, ჭოგნარი, კვახჭირი) ელინისტური პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლები და სამოსახლოებია დაფიქსირებული, რაც ახალი ეთნოკულტურული ცვლილებების მაუწყებელია. აღნიშნული გამოიხატა დაკრძალვის ახალ წესში, კერძოდ, ქვევრსამარხების კულტურის გავრცელებაში. ამ პერიოდში იმ სამოსახლოების დაწინაურება ხდება, რომლებიც მდინარეების გასწვრივ არიან განლაგებული („ნიკალას უბანი", სარბევის ბორცვი", „ციხურა", „ბარონის გორა", „მაღლაკის დასახლება"). აქ აღმოჩენილ მასალებშიც გარე სამყაროსთან მჭიდრო ეკონო-

მიკური კონტაქტების მაუწყებელი მრავალი ნიუანსია წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ამდროინდელი ქალაქის ცხოვრებაზე სრულყოფილი წარმოდგენა ჯერჯერობით ჭირს და ისტორიის ამ მონაკვეთის შესწავლა გრძელდება.

4. უკანასკნელი წლების არქეოლოგიური კვლევის შედეგად ცნობილი გახდა, რომ ახ. წ. III – IV საუკუნეებიდან ახალი ეტაპი იწყება ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში.

სტრატეგიული მოსაზრებიდან გამომდინარე, ამჯერად ცხოვრების ცენტრი კვლავ არქიელის გორაზე გადმოდის და ფეოდალური ეპოქის მთელ სიგრძეზე უწყვეტი აღმავლობით ვითარდება. ბაგრატის ტაძრის მიდამოებში ცხოვრების გამოცოცხლება ეგრისის სამეფოს წარმოქმნის ხანას ემთხვევა (II საუკუნე) და ახ. წ. III – IV საუკუნეების მიჯნაზე ციხე-ქალაქის აღმოცენებით აღინიშნება. ციხე – ქალაქის მთავარი კომპონენტი შიდაციხეა (ციტადელი), რომელმაც იკისრა დომინანტისა და ორიენტირის მთავარი ფუნქცია ქალაქმშენებლობის შემდგომ განვითარებაში.

შიდაციხის თავდაპირველი გეგმა არასწორი ექვსკუთხედის ფორმისაა. მისი ფართობი 0,6 ჰექტარია. ციხეს დასავლეთიდან იცავდა ორი სწორკუთხა კოშკი, რომელთა შორის მოციქული იყო მთავარი კარიბჭე. შიდაციხეს ჰქონდა ე. წ. „ცოტა კარი" და წყალმომარაგების რთული სისტემა.

შიდაციხეში და მის ირგლივ გამოვლენილია ამავე პერიოდის ხის საცხოვ-რებელი სახლების კვალი თიხატკეპნილი იატაკით, სადაც კერა იყო გამართული. აქვეა დადასტურებული სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთებიც: ხელსაფქვავის ქვები, დერგები და მარავალრიცხოვანი საყოფაცხოვრებო კერამიკა. გამოვლინდა აგრეთვე ქვით მოკირწყლული ქუჩებისა და მოედნების ფრაგმენტები. უმეტეს შემთხვევაში ხის ნაგებობები მიშენებული ყოფილა გალავნის კედლებზე და მათი უმრავლესობა ჯარგვალს წარმოადგენდა. ზოგიერთი ნაგებობა ქვის ფუნდამენტზეც ყოფილა გამართული, რაც მიუთითებს იმას, რომ ქართული ხუროთმოძღვრების ადრინდელი ტრადიციები ძირითადად შენარჩუნებული ჩანს გვიანანტიკურ ხანაშიც.

5. ციხე – ქალაქის განვითარების მეორე ეტაპი IV საუკუნის შუა ხანაზე მოდის. იგი აღინიშნება ახალი ინტენსიური მშენებლობებით, რაც გამოიხატება ქალაქის სასიმაგრო სისტემის და, საერთოდ, გარეგნული სახის სრულყოფაში.

ამ დროს მიმდინარეობს შიდაქალაქის შემოზღუდვა და მისი გამოცალკავება ქალაქის ძირითადი ნაწილისაგან. შესაბამისად, ციხე – ქალაქი ორნაწილიანი ხდება (შიდაციხე და შიდაქალაქი). ზღუდე – გალავანში, რომლის პერიმეტრი 1200 მეტრია, ექცევა 4 ჰექტარი ფართობი. ქალაქის განვრცობა – გაფართოება მოხდა ციტადელიდან ჩრდილო – დასავლეთით. IV საუკუნის შუა ხანების საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების მაღალი დონის უტყუარი მოწმობაა შიდაქალაქის სამხრეთ კედლის გამაგრება ე. წ. გოდლედების სისტემით, რომელიც კედლის შიგნიდან ქმნიდა ფართო საბრძოლო ბაქანს მტრის უკეთ მოგერიებისათვის. გოდლედური სისტემის გამოყენება ქუთაისის სასიმაგრო ხუროთმოძღვრებაში შემდგომშიაც სხვადასხვა სახით გვხვდება, რაც სასიმაგრო მშენებლობის დიდ ტრადიციებზე მეტყველებს.

მეორე ეტაპის ნაგებობათა შორის პირველ რიგში საგანგებო ყურადღებას იპყრობს დიდი სამნავიანი ბაზილიკის ნაშთები, რომელიც გამოვლინდა ბაგრატის ტაძრის იატაკის ქვეშ (II – ფენა). მისი სიგრძე 38 მეტრია, სიგანე 25 მეტრი. ბაზილიკას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ჰქონდა მინაშენები; ჩრდილოე-

თის მინაშენი ბაპტისტერიუმი იყო. ასეთი მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლის აღმოჩენა სრულიად უეჭვოდ ქუთაისის საეკლესიო ცენტრად დაწინაურებაზე მიუთითებს. ციტადელშია აღმოჩენილი დიდი ზომის მართკუთხა ფორმის ნაგებობა. მისი სიგრძე 26 მეტრია, სიგანე 12 მეტრამდე, დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ჩრდილოეთის კედელში დაფიქსირდა საკარე ზღურბლი, გამოთლილი კირქვის დიდი მონოლითისაგან (სიგრძე 160 სმ.). ნაგებობის საერთო ფართობი 284 კვ. მ-ია. გადახურული ყოფილა როგორც ბრტყელი, ისე ღარიანი კრამიტით, მათი ნაშთები მრავლად აღმოჩნდა ნგრევის ფენაში. საკუთრივ სახურავი აქაც ორფერდა უნდა ყოფილიყო, გამაგრებული ხის კონსტრუქციებზე, რომელთა ნაშთი, სამწუხაროდ, არ შემორჩენილა. ნაგებობის ფუნქციაზე მსჯელობა გვიხდება ანალოგიების მიხედვით. იგი ადრექრისტიანული ხანის „სამლოცველო სახლის" განმეორებაა, რომელსაც ძველი ქართული ტერმინოლოგიით „ბაგინი" ეწოდება. თუ ეს ასეა, მაშინ IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების კიდევ ერთი ნივთიერი საბუთია აღნიშნული ნაგებობა დასავლეთ საქართველოში. თუმცა არ გამოირიცხება ამ ნაგებობის საერო დანიშნულებითაც გამოყენება.

შიდაქალაქის უკიდურეს ჩრდილო – აღმოსავლეთ კუთხეში ამავე პერიოდში აგებენ ორსართულიან გრანდიოზულ ციხე – დარბაზს, რომლის გამოვლენილი ნაწილის ფართობი 700 კვ. მ. მოიცავს. ნაგებობა მრავასათავსოიანი მართკუთხა ფორმის მძლავრკედლებიანი (სისქე 140 სმ.) ციხე – დარბაზია, რომლის სიგრძე 35 მეტრია, სიგანე 20 მეტრი. პირველი სართული ზოგან გადახურულია კამარა – თაღიანი ფორმით, ხოლო იატაკი აგურის ფილებით ყოფილა მოკირწყლული. გეგმარების მიხედვით იგი ნაწილობრივ წააგავს ნოქალაქევ – არქეოპოლისში აღმოჩენილ სამეფო სასახლეს, თუმცა მასზე ბევრად მასშტაბურია, რომ არაფერი ვთქვათ მშენებლობის ხარისხზე და შესრულების ტექნიკაზე. საერთო მონაცემებით იგი IV საუკუნის შუა ხანებში ჩანს აგებული და ფუნქციონირებდა V საუკუნის მეორე ნახევრამდე – თავდაპირველი დანიშნულებით, როგორც საერო ნაგებობა (მეფის ან უფლისწულის სასახლე).

როგორც ვხედავთ, გვიანანტიკური ხანის ქუთაისის შესახებ დღემდე თითქმის არაფერი იყო ცნობილი. დღეს კი თვალწინ გადაიშალა სრულიად ახალი სურათი: იმდროინდელი დიდი ქალაქისათვის დამახასიათებელი მძლავრი სასიმაგრო სისტემა, კოშკებითა და კარიბჭეებით, უზენაეს ხელისუფალთა რეზიდენცია (ციხე – დარბაზი), საკულტო დანიშნულების დიდი ბაზილიკური ეკლესია და „სამლოცველო სახლი", წყალმომარაგების ურთულესი საინჟინრო ნაგებობანი და ა. შ. ყოველივე იმაზე მეტყველებს, რომ ქუთაისი IV საუკუნეში აღმავლობის გზაზეა. აქვს მძლავრი შიდაკოლხური ეკონომიკური კავშირები და ჩაბმულია საერთაშორისო სავაჭრო ორბიტაში (დადასტურება: წითელლაკიანი კერამიკის, ხალიანი მინის, გვიანანტიკური ამფორების, მწვანედ მოჭიქული პართული კოჭობის აღმოჩენის ფაქტები). III – IV საუკუნეებში ქუთაისის აღმავლობა და დაწინაურება ეგრისის სამეფოს გაძლიერებას უკავშირდება. ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკური და კულტურული პროგრესი შესანიშნავად აისახა ამ ქალაქის მაგალითზე. იგი თანადროულ ქალაქთა შორის დასავლეთ საქართველოში ყველაზე უფრო მასშტაბურია და თვალსაჩინო. ყველა მონაცემით ქუთაისი ეგრისის სამეფოს არა მარტო ბუნებრივი ცენტრია, არამედ სავარაუდოა მისი

პოლიტიკურ – ადმინისტრაციული პრიორიტეტიც და შესაძლოა ციხეგოჯ – არქეოპოლისის დაწინაურებამდე (VI ს.) ლაზ მეფეთა ადგილსამყოფელი აქ იყო.

6. ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში მეორე აღმავლობის ხანა V საუკუნეზე მოდის. ქალაქის გამაგრების თვალსაზრისით ამ დროს მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. იგება სრულიად ახალი, დედაქალაქებისათვის დამახასიათებელი მონუმენტური საფორტიფიკაციო სისტემა II – ზღუდე – გალავანი. ძველი ციხე-სიმაგრის ადგილზე მნიშვნელოვანი ფართობის შემოზღუდვით შენდება „დიდი ქუთათისის" დიდი ციტადელი. გალავნის საერთო პერიმეტრი უკვე 2 კილომეტრს აღემატება, ზღუდე – გალავანში მოქცეული ფართობი 12 ჰექტარია. ციხე – ქალაქი ამ დროს უკვე სამი ნაწილისაგან შედგება: შიდაციხესა და შიდაქალაქს დაემატა ქვედაქალაქი, რომელიც მდ. რიონზე გადადის და მის ვაკე ნაწილსაც ზღუდავს. გალავნის კედლები ყოველ 40 – 50 მეტრში გამაგრებულია მძლავრი სწორკუთხა კოშკებით (ზომები: 8X12 მ.), კედლების სიგანე 2,5 მეტრია, სიმაღლე 12 მეტრი. წყობა შესრულებულია საშუალო ზომის შუბლგამოყვანილი კვადრებისაგან, როგორც წესი, დაცულია რიგების ჰორიზონტალურობა. შიდაქალაქის ცენტრალურ ნაწილში იგება აბანოს კომპლექსი, სადაც რომაული თერმების მსგავსად სრულადაა წარმოდგენილი საკუთრივ აბანო, 50 ტონა წყალტევადობის რეზერვუარი, შეშის საწყობი და ბანაობის შემდეგ გართობა – დასვენებისათვის განკუთვნილი ორსართულიანი განყოფილება. ეს აბანო მრავალგზის განახლება – გადაკეთების შემდეგ VI საუკუნეშიც განაგრძობს არსებობას.

V საუკუნის მეორე ნახევარში საგარეო პოლიტიკური ვითარება გამწვავდა. არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ, როგორც სასიმაგრო სისტემის, ასევე სხვადასხვა ნაგებობების ნგრევა – განადგურებას. ამ პერიოდში ნადგურდება ციხე – დარბაზი, დიდი ბაზილიკა, „სამლოცველო სახლი" და სხვა ნაგებობანი აშკარაა გარეგანი აგრესიის კვალი.

აგრესიის შედეგები მოკლევადიანი გამოდგა. მას დიდი ხნით ქუთაისის დაცემა – დაქვეითება არ გამოუწევია. პირიქით, სულ მალე დადგა დიდი განახლების პერიოდი (V – VI სს. მიჯნა). უმთავრესი ყურადღება კვლავ სასიმაგრო სისტემის აღდგენა – განახლებას დაეთმო. განახლებამ მოიცვა მთელი ზღუდე – გალავანი. იგი განხორციელდა დიდკვადროვანი წყობით ვარდისფერ დუღაბზე. შეკეთდა ძველი ციხის ჩამოშლილი კედლები და შიგნიდან მათ ჩაუშენდათ პილონები ანუ გოდლედები. მთლიანად გადაკეთდა დიდი ციტადელიც. აშენდა ქალაქის მთავარი ბასტიონი დედაბურჯი, გოდლედებიანი კედლები, კარიბჭეები და კოშკები. აიგო ახალი ხიდი მდინარე რიონზე, რომელმაც ქვედა ქალაქი და ციტადელი დააკავშირა ერთმანეთს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ციტადელის შიგნით „სამლოცველო სახლის" ადგილზე ახალი სამაფსიდიანი ეკლესიის (ბაზილიკა) აშენება, რომელიც ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. ეკლესია, რომლის ფორმა კვადრატს უახლოვდება, ნაგებია სუფთად გათლილი კვადრებით. ინტერიერში აღმოჩენილია სიმეტრიულად განლაგებული ოთხი სწორკუთხა სვეტის ბაზისი, რომელიც ნაგებობას სამ ნაწილად ყოფს. მოგვიანო ხანაში მისთვის ჩრდილოეთიდან მინაშენი გაუკეთებიათ, როგორც ჩანს, სანათლავისათვის. ეკლესიის შიდა ნაწილსაც ეტყობა შემდგომი გადაკეთების კვალი, რადგან მისი დაზიანება უნდა მომხდარიყო VI საუკუნის მეორე ნახევარში დიდ ბაზილიკასთან ერთად.

V საუკუნეში ქუთაისის აღმავლობა ასახულია საკმაოდ მდიდარ და მრავალფეროვან არქეოლოგიურ მონაპოვარში. პირველ ყოვლისა, ესაა კერამიკული ნაწარმი: ქვევრები, დერგები, ამფორები, ქოთნები, დოქები, ლუთერიები, კრამიტები, აგურები, სხვადასხვა ფორმის თიხის მილები და სხვა.

მიკვლეულია კერამიკული სახელოსნოს ნაშთები, რომელსაც აგურფენილი იატაკი ჰქონდა და რაც მთავარია, აღმოჩენილია ქვისაგან დამზადებული კერამიკული ჩარხი და სამშენებლო კერამიკის გამოსაწვავი ქურა.

კულტურული ფენებიდან მომდინარეობს მინის ნაწარმი: სასმისთა ძირებისა და კედლების სახით, აგრეთვე სარკმლის მინა, რკინის იარაღები, მონეტები და ა. შ.

ყოველივე ეს ქალაქის მძლავრ ეკონომიკურ განვითარებაზე მეტყველებს V საუკუნეში.

7. VI საუკუნეშიც ქუთაისში არქეოლოგიური მონაცემებით ინტენსიური ცხოვრება ჩანს, თუმცა ბიზანტია – ირანის დიდი ომიანობის შედეგად ქალაქის სოციალურ – ეკონომიკური განვითარება ადრინდელი აღმავლობით აღარ გრძელდება. ხშირმა საომარმა ოპერაციებმა ქუთაისს შესამჩნევი კვალი დააჩინა.

აშკარაა, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით ის კვლავ ქვეყნის ერთერთ მოთავე ცენტრად რჩება. ამ დროს იქმნება თავდაცვის ახალი სისტემა: მთავარი ცენტრის ირგვლივ იგება ახალი დამატებითი სიმაგრეები. ასე, მაგალითად, ქუთაისთან, რომელიც ამ დროს ბიზანტიურ წყაროებში „კოტაის – მოხირისის" სახელით იხსენიება, ჩნდება უქიმერიონის „მეტად მაგარი ციხე". ჩვენი ვარაუდით, პროკოპი კესარიელთან მოხსენიებული „უქიმერიონი" მდებარეობდა წყალწითელას ხეობაში, თანამედროვე მოწამეთას ადგილზე. ასეთ ნაგებობათა რიგს განეკუთვნება „ნამაშევის" ციხე (გუბისწყალზე) და შესაძლოა ხომულის ციხეც. ამ დროს დიდ მშენებლობას საკუთრივ ქუთაისში ადგილი არ ჰქონია, მაგრამ საქალაქო ცხოვრება ჩვეული რიტმით გრძელდება. ამას მოწმობს აბანოს კომპლექსის განახლება – გადაკეთება, იქვე ორაფსიდიანი ეკლესიის აგება და აბანოს გასახდელში და საერთოდ, კულტურულ ფენებში ირანული და ბიზანტიური მონეტების აღმოჩენის არაერთი შემთხვევა იმ მდიდარ არქეოლოგიური მასალებთან ერთად, რომლითაც ასე დატვირთულია VI საუკუნის კულტურული ფენები.

აქ მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: VI საუკუნეში ქუთაისი აღარ არის ეგრისის პოლიტიკურ – ადმინისტრაციული ცენტრი; ეს ფუნქცია დროის ამ მონაკვეთში ეგრისის „მთავარმა ქალაქმა" არქეოპოლისმა იკისრა, როგორც ჩანს, პოლიტიკური ვითარების გამო (ბიზანტიელთა გაბატონება ეგრისში). ქუთაისი მხოლოდ მოხირისის მხარის ცენტრად რჩება, ალბათ, VI საუკუნის ბოლომდე, თუმცა ქვეყნის ბუნებრივ – ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა მას არც ახლა დაუკარგავს. ამ თვალსაზრისით საინტერსოა ე. წ. „სომხური გეოგრაფიის" და რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფიის" ცნობა, რომლის ავტორები კოლხეთის ხუთ დიდ ქალაქს შორის VII საუკუნეში ასახელებენ ქუთაისს. ქალაქის პრიორიტეტი VII – VIII საუკუნეებში საკულტო არქიტექტურაშიც გამოიხატა. ბაგრატის ტაძრის იატაკის ქვეშ გამოვლინდა რიგით მეორე ტაძარი, რომელიც IV საუკუნის ბაზილიკის ნანგრევებზე დაუშენებიათ. იგი მოცულობით ბევრად არ ჩამოუვარდება ბაგრატის ტაძარს. VIII საუკუნის მეორე ნახევარში „ქუთათისის საყდრის" საძირკველზე

აიგო ახალი ჯვრის ფორმის მკლავებიანი რიგით III ბაზილიკა. სავარაუდოდ ეპისკოპოსის კათედრა-რეზიდენცია.

8. VIII საუკუნის შუა ხანებიდან ქართლის ერისმთავრების ეგრისში დამკვიდრებას უნდა დაუკავშირდეს ქუთაისის ხელახალი აღზევება, როგორც დასავლეთ საქართველოს ცენტრისა. ამას ემატება აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია დასავლეთ საქართველოში, როგორც არაბთაგან შედარებით დაცულ მხარეში, და ეგრისი კვლავ სამეურნეო აღმავლობას განიცდის. მისი ბუნებრივი ცენტრი ქუთაისი კვლავ წინაურდება (დ. მუსხელიშვილი, მ. ლორთქიფანიძე).

ქუთაისის ხელახალ აღზევებაში დიდი როლი შეასრულა მურვან ყრუს შემოსევამ VIII საუკუნის 30 – იან წლებში. ამ ექსპედიციის შედეგად მთლიანად განადგურდა ეგრისში ბიზანტიელთა დასაყრდენი ციხე – გოჯი, რომელმაც მიიღო არაბების უმთავრესი დარტყმა. მართალია, არქეოლოგიური მონაცემები ამ დროს ქუთაისის ზღუდის ნგრევასაც მოწმობენ, მაგრამ ქართველ ისტორიკოსებთან ამის შესახებ პირდაპირი მითითება არ გვაქვს. ჯუანშერის ცნობები ამ საკითხის ირგვლივ იმითაა საინტერესოა, რომ ქუთაისი ქართლის ერისმთავართა რეზიდენცია ხდება დასავლეთ საქართველოში. ისინი „ქუთათისის საყდარში" კრძალავენ თავიანთ მამას სტეფანოზს.

VIII საუკუნის 20 – იანი წლებიდან ქუთაისი დასავლეთ საქართველოს (ეგრისის) სატახტო ქალაქია, ხოლო 40 – იანი წლებიდან მისი სტატუსი ფართოვდება ლეონ აფხაზის შესვლით ქართლის ერისმთავრის არჩილის ვასალობაში. ქუთაისი ამ დროს მთელი დასავლეთ – ქართული სახელმწიფოს, ე. წ. ეგრის – აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი ხდება. ლეონ II აფხაზთა ერისთავის ხელისუფლების მთელ დასავლეთ საქართველოზე გავრცელების შემდეგ, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი ამბობს, „აღაშენა ქუთაისი ქალაქი და ციხე ჰყო საყდარი აფხაზთა მეფისა ვითარცა ანაკოფია, ჰყო ტახტად მეორედ ესე ქუთაისი". ლეონ აფხაზმა, ქართლის ერისმთავართა სახლის სიძემ, ამ სახლის უკანასკნელი მამაკაცი წარმომადგენლის გარდაცვალების შემდეგ VIII საუკუნის ბოლოს დაიმკვიდრა მათი სამფლობელო და დაფუძნდა სატახტო ქალაქ ქუთაისში. აღნიშნული აქტით დამთავრდა ერთი ეტაპი ქუთაისის ხელახალი აღორძინების ხანაში (მ. ლორთქიფანიძე).

ქუთაისის სამეფო ქალაქად აღზევება თვალსაჩინოდ გამოვლინდა არქეოლოგიურ მასალებში. ამ დროს დასრულდა ქვედა ქალაქის ზღუდის დასავლეთ კედლის მშენებლობა. შეკეთდა და განახლდა გალავნის კოშკები და ბურჯები. V საუკუნის კოშკზე ახალი სათავსოს მიშენებით აიგო ქართული დარბაზი, ინტერიერის შუაში ცენტრალური საყრდენი ბურჯით, რომელმაც შემდგომში მრავალი გადაკეთება განიცადა.

განსაკუთრებით აღასანიშნავია ახალი სამეფო სასახლის მშენებლობა. სასახლე აგურისაგანაა აგებული. იგი სწორკუთხა ფორმისაა: სიგრძე 21 მეტრია, სიგანე 18,5 მეტრი, საერთო ფართობი 400 კვ. მეტრია. სამხრეთ ნაწილში გამართული იყო ორი დარბაზი, რომელიც დანარჩენ ოთახებს ორი გრძელი კორიდორით უკავშირდებოდა. სასახლეს ჰქონია კამარათაღიანი კარ-ფანჯრები. იატაკი აგურის ფილებით იყო მოგებული. ნაგებობა ფუნქციონირებდა VIII საუკუნის ბოლოდან X საუკუნის მეორე ნახევრამდე. პირველ ნგრევის ფენაში აღმოჩნდა ორი ბიზანტიური მონეტა.

ქუთაისის მიწა – წყალზე აგურით სასახლეების მშენებლობის ტრადიცია გრძელდება განვითარებული ფეოდალიზმის ხანაშიც. ამის ბრწყინვალე ნიმუშია გეგუთის ციხე – დარბაზი, სადაც VIII საუკუნეში იყო მეფეთა სანადირო სახლი.

სამეფო სასახლის კომპლექსის შემადგენელი ნაწილია აბანოს ნაშთები, რომელმაც ჩვენამდე ძალზე დაზიანებული სახით მოაღწია, მაგრამ მაინც კარგად ჩანს, რომ იგი ანფილადური ტიპის აბანოების რიგს განეკუთვნება ჰიპოკაუსტური სისტემით. შემორჩენილია მისი ოთხი განყოფილება: 1. საცეცხლე, 2. საქვაბე, 3. აბაზანა, 4. გასახდელი. აბანო ნაგებია კარგად გათლილი, ზედაპირდაკეჭნილი კვადრებით და ისეთივე აგურით, რომლითაც ზემოთ განხილული სასახლე აუგიათ. მშენებლობის წესი და ტექნიკა ორივეგან ერთი და იგივეა. საინტერესოა, რომ სასახლის კომლექსთანაა დაკავშირებული თიხის მილებისაგან გამართული წყლის ახალი მაგისტრალი, რომელიც თეთრამიწის გორის ძირიდან მოედინება და ამ პერიოდშია საგანგებოდ აგებული. აღნიშნული მაგისტრალის ერთი ტოტი დედაბურჯისაკენ უხვევდა და იქ კერამიკულ სახელოსნოს ამარაგებდა. ამ უკანასკნელის ნაშთები აღმოჩნდა დედაბურჯსა და ქართულ დარბაზს შორის. კულტურულ ფენებში აღმოჩენილია შესანიშნავი ქართული კერამიკა, როგორც სამეურნეო დანიშნულების (ქვევრები, დერგები, ამფორები) ასევე სამზარეულო (ქოთნები, ქვაბ – ქოთნები) და სუფრის ჭურჭლეული (დოქები, ფიალები, ჯამები და სხვ.).

9. ბაგრატ III გამეფებით კიდევ ერთი ახალი ეტაპი იწყება ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში, როდესაც ბაგრატ ბაგრატიონი „შთაიყვანეს იგი აფხაზეთს დალოცეს მეფედ", ქართლ – მესხეთ – აფხაზეთის გაერთიანებული სახელმწიფოს, საქართველოს დედაქალაქი გახდა ქუთაისი. ქუთაისი ერთიანი საქართველოს მეფეთა, ბაგრატიონთა „სახლი სამკვიდრებელია", „სახლი სამეფოა".

ამჯერად ციტადელში ყველაზე მაღალ ადგილზე ყოფილი აგურის სასახლის მაგიერ და მისგან ჩრდილოეთით შენდება ახალი ქვითკირის სასახლე, რომელიც 600 კვ. მ. ფართობზეა განლაგებული. შენობა მართკუთხა გეგმარებისაა, დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. კედლები სუფთად გათლილი, შესანიშნავი საპირე ქვებითაა ამოყვანილი. ბაგრატიონთა სასახლე შემდგომში მრავალგზისაა გადაკეთებული. ჯერ კიდევ XI – XII საუკუნეებში ჩრდილოეთის მხარეს მისთვის საერთო გეგმიდან წინწამოწეული სათავსი მიუშენებიათ (ტაძრის მხარეს ღია აივნით), შემდეგ იქ იმერეთის მეფეებს დიდი მარანი გაუმართავთ, კედლებზე ახალი სამეფო პალატები დაუშენებიათ და სახლის ნაწილიც ციტადელის კედლების ქვეშ მოუქცევიათ. ბაგრატიონთა სამეფო კომპლექსის შემადგენლობაში შედის აბანო, რომელიც ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა და ერთ – ერთში მრგვალი კალორიფერი იქნა აღმოჩენილი (ზომები: 7X5 მმ.) და სასახლის კარის ეკლესია, მაგრამ ქართული ხუროთმოძღვრების გვირგვინს წარმოადგენს საკუთრივ ქუთაისის საკრებულო ტაძარი, რომელიც ბაგრატ III მიერ 1003 წელს იქნა აგებული და 1698 წელს თურქებისაგან განადგურებული. ბაგრატის ტაძრის აღდგენა დასრულებულია. მისი შესწავლა ამჟამადაც მიმდინარეობს. სარეზიდენციო ქალაქის განუყოფელი, ორგანული ნაწილი იყო სამონასტრო კომპლექსი გელათში, გეგუთის ციხე – დარბაზი, უფლისწულის სასახლე კახიანოურში, მწვანეყვავილა, მოწამეთა და სხვ.

Omar Lanchava

THE ARCHAEOLOGY OF KUTAISI

Summary

Based on the study of the archaeological data, the history of Kutaisi, since the ancient times till the 12th c. AD, can be presented in the following way:

1. The emergence of an urban center in the middle part of the Rioni basin, in the central part of the Colchic world, was conditioned by various factors. First of all, it was a physical and economic, that is, bio-geographic environment, as a basis of the successful economic, demographic, strategic, religious, political, and cultural development of the province.

Interestingly enough, humans had started to inhabit the territory of Kutaisi since the Moustier period (Sakazhia, Chakhata, Tetramitsa). Archaeological monuments overtly demonstrate that the local community transferred to the producing economic activities in the Neolithic-Early Bronze Era. The wide-spread economic acquisition and dense settlement of Kutaisi and its surroundings were associated with the complex process of the establishment and development of the Colchic culture (later half of the 2nd millennium BC); the spread of the elements of Colchic culture has been evidenced in archaeological monuments since the 15th-13th cc. BC. This was the period when the first rural settlements appeared both on the city territory (Archbishop's Hill, Tsatskhvebi Quarter, Vardisubani, Gabashvili's Hill, Tetramitsa, Mtsvanekvavila); and its surroundings (Patriketi Hill, Partskhanakanevi, Godogani, Parnali); mainly natural hilly settlements were inhabited, after the development of which, at the end of the 2nd millennium BC, a larger settlement emerged with craftsmen's quarters, trade squares, and other attributes of civilization.

2. A real demographic outburst started in the 8th c. BC. Remnants of the vast settlement with the cultural layers of 3-4m of the 8th-7th cc. BC were discovered on the hilly part of the River Rioni, in the surroundings of Bagrat's Cathedral, at Tsatskhvebi Quarter, and on Gabashvili's Hill. It is true that the discovered cultural layers have been significantly damaged due to later constructions, however, the high level of the development of old settlements, intensive way of life, manifested in numerous archaeological artifacts and ancient architecture. For instance, on Archbishop's and Gabashvili's Hills, special interest has been attracted by the remnants of large facilities with stone fundaments based on a specially rammed ground, which once had wooden clay-covered walls. The remnants of cobbled yards have also been discovered here. It is noteworthy that it was for the first time in Colchic archaeology that stone-based constructions were discovered. The excavations of the former settlement have revealed numerous and different types of Colchic ceramics (crockery with cannelures, jugs and pots with zoomorphic handles, pointed cups and basins, large crowned-shaped pots (pythos), tube-handled jugs, flat-bottomed basins, etc.), chronologically ranging between the 9th-8th cc. BC, and indicating the standardization of ceramic shapes, the existence of their own typological model based on local raw materials, and the branch differentiation of pottery production, hence, pottery workshops and crafts-

men's quarters, as one of the peculiar traits of urban life. Besides, high level of the development of bronze and iron metallurgy is also noteworthy, especially the discovery of remnants of smith workshops of the 6th c. BC (inflation clay pipes, axe and hammer moulds, slag, etc.). Particularly notable have been the fact of the discovery of smaller-value Colchic coins (tetri) in the cultural layers of the 6th c. BC. Such coins had been in circulation in Colchis mainly in the 5th-4th cc. BC. The discovery of this coin in the cultural layer of a settlement of the 6th c. (also for the first time) attests to the fact that smaller-value silver coins had been in circulation in Inner Colchis since the 6th c. BC. This allows to assume that the said settlement had advanced as a trade center. The assumption in question can be supported by accidental discoveries of Greek black-varnished ceramics and of an Attic bronze helmet on the territory of Kutaisi.

Thus, in the later half of the 2nd millennium, in Kutaisi, in the hilly area of the right bank of the River

Rioni, rural settlements emerged, where, at the end of the same millennium, a larger settlement was established. Since the 8th-7th cc. BC, the settlement developed into a town, and became a functional center of secular and religious authorities, which, since the 6th c, BC, moved to the lowland part of the town from Archbishop's Hill. The movement in question was due to general geopolitical situation, and, specifically, to the activation of international trade relationships. According to Prof. O. Lortkipanidze's assumptions, the first reference to Kutaisi in Greek sources should be attributed to the same period. The assumption in the point was proved by the results of the field work in 2005.

3. The epoch between the 4th-3rd cc. BC to the 3rd-4th cc. AD in the history of the city was referred to as 'a dark period', however, this gap has been filled by recent discoveries in the lowland part of the city, where a strong dwelling-station of the Early Antiquity era revealed. In the Hellenistic period, the area in question had been used as a sepulture. In the surroundings of Kutaisi, significant monuments and settlements of the Hellenistic period have been detected (Geguti, Maglaki, Chognari, Kvakhchiri), indicative of new ethno-cultural changes. The said was manifested in novel burial rituals, specifically, in the spread of burial jugs (pythos). In that period, the settlements (Nikala's Quarter, Sarbevi Hill, Tsikhura, Baron's Hill, Maglaki Settlement), being situated along the rivers, advanced. A lot of nuances, attesting to the close economic links with the outer world, have been presented in the discovered materials. Irrespective of this, the urban life of that period can hardly be outlined perfectly, and, hence, the study of the period in question is an on-going process.

4. As a result of late archaeological investigations, it has become clear that, since the 3rd-4th cc. AD, a new period had started in the urban life of Kutaisi.

Based on strategic standpoints, the city center once again moved to Archbishop's Hill, and progressively developed for the whole feudal epoch. Rebirth of life in surroundings of Bagrat's Cathedral coincided with the period of the establishment of the Kingdom of Egrisi (2nd c.) and with the emergence of a city-fortress at the turn-over of the 3rd-4th cc. AD. The principal component of the city-fortress is a citadel, serving the dominant and orientation function in the further urban development process.

The initial plan of the inner fortress had an irregular hexagonal shape. Its area was 0,6 ha. From the west, the fortress was protected by two rectangular towers with the main gates between them. The inner fortress had Smaller Gates and a complex system of water supply.

The inner fortress and its surroundings have revealed traces of wooden clay-floored houses with hearths. Besides, there are things associated with household activities: hand-mill stones, pots, and a great number of ceramic utensils. Fragments of cobbled streets and squares have also been revealed. In most cases wooden structures were added to fence walls and basically they were log houses. Some buildings appear to have had stone foundations, evidencing that the Georgian architectural traditions were likely to have been preserved in the Post-Antiquity period.

5. The second stage of the development of the city-fortress falls in the middle 4th c. It has been marked with new intensive construction activities including the fortification of the defense system and the improvement of its outward appearance as a whole.

In this period the inner shows a tendency to be fenced and separated from its basic part. Thus, the city-fort appears to be divided into two parts (inner fortress and inner city). The city wall, comprising the perimeter of 1200m, has the area of 4 ha. The city expanded to the north-west from the citadel. The high level of the fortification architecture in the middle 4th c. has strikingly been evidenced by enforcing the southern wall of tripartite the inner city with the system of towers, providing a spacious inner battle-field for better warding off enemies. Various manifestations of the application of the tower system in the fortification architecture of Kutaisi can also be seen in a later period indicating to the deep-rooted traditions of defensive constructions.

The remnants of a large tripartite basilica, detected under the floor (2nd layer) of Bagrat's Cathedral, have been primarily remarkable among the constructions of the second stage. Its length is 38m and the breadth is 25m. From the north and the south the basilica had added constructions; the northern construction was a baptistery. The discovery of a such significant architectural monument undoubtedly shows the advancement of Kutaisi as a religious center. A large rectangular building has been detected within the citadel. It is 26m long and up to 12m wide, bending eastwards from the west. The north wall has a door threshold cut out of a limestone monolith (160cm long). The total area of the building is 284 sq m. It was roofed by both plane and channel tile, numerous relics of which were found in the destruction layer. Here The roof itself should have been double-sloped enforced with wooden constructions, the remnants of which, unfortunately, have not reached our days. We can only judge by analogy what was the purpose the building served. It resembles an early Christian chapel called Bagini, according to the ancient Georgian terminology. If that is true, then the above building may be considered one more valuable demonstration of the fact that Christianity was proclaimed a state religion in western Georgia in the 4th c. though one cannot exclude its application as that of a secular building.

In the same period, a two-storey immense castle was built in the extreme north-eastern corner of the inner city, the area of its detected parts covering 700 sq m. The building has been a multi-spacious rectangular thick-walled (140 cm) castle

of 35 m long and 20 m wide. At some places, the ground floor was ark-overlapped and brick-laid. According to the layout, it partially resembled a royal palace discovered in Nokalakevi-Archaeopolis, though much larger, to say nothing of the quality and technology of the construction. Based on the common data, it could have been built in the middle 4th c., and lasted till the later half of the 5th c. as a secular facility in its primary function (either a royal or a prince's palace).

As it is seen, till our days, almost nothing has been known about Kutaisi of the late antiquity period. Presently, there has been a completely different picture: a powerful fortification system with towers and gates, the residence of supreme authorities (a castle), a large basilica for religious purposes and a chapel, complex facilities for water-supply, etc. All these indicate that, in the 4th c., Kutaisi was on the way to progress. It had strong intra-Colchic economic links and was involved in the orbit of the international trade (proofs: the of the discovery of red-varnished glass with moles, late Antiquity amphorae, Parthian bowl covered with green glaze). In the 3rd and 4th cc., the rise and advancement of Kutaisi was associated with the strengthening of the Kingdom of Egrisi. The city was a wonderful example of the social, economic and cultural progress of the country. It was the largest and the most distinguished city among other ones in western Georgia of those times. According to all the data, Kutaisi was not only an economic and natural center of the Kingdom of Egrisi, but also, probably, its political and administrative priority, and. possibly, a royal residence of Laz kings before the strengthening of Tsikhe-Goji-Archaeopolis (6th c.).

6. The second period of rise and progress of the urban life of feudal Kutaisi falls on the 5th c. For the period in question the significant progress in terms of fortification of the city had been apparent. An absolutely new monumental fortification system, that is a defensive wall, characteristic of capitals, was built. The considerable area was protected with defensive walls and a large citadel of Greater Kutaisi were built on the site of the old fortress. The total perimeter of the defensive walls was more than 12 ha. By that time, the city fortress consisted of three parts: inner fortress, inner city, and downtown, crossing the River Rioni and also comprising its plain part. At every 40-50 meters, the defensive walls were fortified with strong rectangular towers (dimensions: 8x12 m); the walls were 2,5 m in width and 12 m in height. The masonry was carried out with stones of average size. As a rule, the horizontal order of rows has been maintained. In the central part of the inner town, there was a bath facility which, like Roman thermae, included a bath itself, 50t reservoir, and a two-storey compartment for rest and amusement after bathing. After numerous renewals and reconstructions, the bath had still been in use till the 6th c.

In the later half of the 5th c. the foreign political situation was aggravated. The archaeological data indicate to the destruction of the fortification system as well as other facilities. The castle, the large basilica, the chapel, etc. were also destroyed. The footprints of external aggression have been obvious.

The grave outcomes of the aggression did not last long. It had not caused the fall of Kutaisi. On the contrary, the era of great renewal started soon (turno-

ver of the 5th-6th cc.). The attention was again focused on the restoration and reconstruction of the fortification system. The defensive walls were wholly reconstructed. The collapsed walls of the old fortress were repaired, and pylons or towers were built into walls. The big citadel was also totally reconstructed. The main bastion, principal bulwark of the city, walls with towers, gates, and pylons were erected. A new bridge was thrown across the Rioni joining the downtown with the citadel. It is particularly noteworthy that a new church with three absides (basilica) was erected inside the citadel, on the site of the chapel, and it was a brilliant specimen of the Georgian Christian architecture. The church has been built of well-squared stones, being almost square in its shape. Four rectangular pillar bases, located symmetrically, have been discovered in the interior. They divide the building into three parts. Later, an annex, apparently for christening, was added to its northern side. The interior of the church also reveals traces of later reconstructions, as far as the church should have been damaged together with the basilica in later half of the 6th c.

The rise of Kutaisi in the 5th c. has been well attested in rather rich and diverse archaeological findings. First of all, these are ceramics: huge wine jars, amphorae, jugs, pots, bricks, tiles, and clay pipes of various shapes, etc.

The remnants of ceramic brick-floored workshop, and a furnace for burning building ceramic have been discovereed also, most significantly, a stone lathe for ceramics.

Cultural layers have revealed glassware: walls and bottoms of cups, glass from windows, coins, iron tools, etc.

All these tell about the strong economic development of the city in the 5th c.

7. Based on the archaeological data, Kutaisi lived an intensive life in the 6th c. as well. However, the war between Byzantium and Iran slowed down the social and economic development of the city, and, at the same time, frequent military operations left considerable traces on Kutaisi.

It has been obvious that, strategically, it however maintained its function of one of the principal centers of the country. It was the time when a new defensive system was built: new, additional fortifications were erected around the main center. For instance, not far from Kutaisi, having been referred to as Cotais-Mochirisis in Byzantine sources of the time, a very powerful fortress of Ukimerioni was erected. In my opinion, Ukimerioni, referred to by Procophius of Caesaria, was situated on the site of present-day Motsameta, in the Tskantsitela gauge. Namashevi fortress and, possibly, Khomuli fortress belonged to the same kind of facilities. It is true that under the severe military conditions there were no large-scale constructions in Kutaisi, however, the urban life remained the same. The reconstruction and renewal of the bath facility, the erection of the church with two absides, and the reiterated discovery of Byzantine and Iranian coins in the cloakroom of the bath and elsewhere, together with other rich archaeological data from the cultural layers from the 6th c. serve as a proof to it.

A single conclusion can be drawn here: in the 6th c., Kutaisi was no longer a political and administrative center of Egrisi; During this period this function was

taken on by Archeopolis, the principal city of Egrisi, probably, owing to the political situation (Byzantines' domination in Egrisi). Kutaisi remained a center of Mochirisis region only, probably, up to the end of the 6th c., however, it had not lost its significance of a natural and economic center of the country. With this respect, there is the remarkable information, contained in so called Armenian Geography and Ravenan anonymous author's Cosmography, naming Kutaisi among the five largest cities in the 7th c. The city's priority was manifested in the religious architecture of the 7th-8th cc. Another cathedral revealed under the floor of Bagrat's Cathedral, built upon the 8th c. Basilica. It was not very much less than Bagrat's Cathedral. In the second half of VIII c. on the basis of "Kutaisi church" the fhird new basilica with the cross-shaped wings, presumably a residence of a bishop was built there.

8. The repeated revival of Kutaisi as a political center of western Georgia should be associated with the establishment of Kartlian principals in Egrisi in the middle 8th c., and with the migration of the population of eastern Georgia to the country's western part, as it was a relatively protected region from the Arabs.

The advance of economics has again been evidenced in Egrisi. Kutaisi, as its natural center, has still been in the vanguard (D. Muskhelishvili, M. Lortkipanidze).

Murvan the Deaf's invasion in the 730s played a dramatic role in the repeated revival of Kutaisi. The expedition has resulted in total destruction of Tsikhe-Goji, Byzantines' principal bastion, having received the main blow from the Arabs. It is true that the archaeological data confirm the destruction of the defensive walls Kutaisi, however, Georgian historians have given no direct information about the fact. Juansher's information concerning the issue has been noteworthy as Kutaisi became the residence of Kartlian principals in western Georgia; they buried Father Stephanos in Kutaisi Cathedral.

Since the 720s, Kutaisi had become a capital of Western Georgia (Agrisi), and, since the 740s, its status had expanded as Leon Apkhazi baceme a vassal of Kartlian Principal Archil. At this time, Kutaisi became a capital of the whole western Georgian state, that is of the Kingdom of Egrisi-Abkhazia. After the authorities of Leom II, Principal of Abkhazia, spread over whole western Georgia, as Vakhushti Bagrationi has put it, he «built Kutaisi, a city and fortress, and made it the residence of Abkhazian kings as Anakopia, and made it the second capital». Leon Apkhazi, the son-in-law of Kartlian principals, after the death of the last male representative of those rulers, took on their authorities and lands, and established himself in Kutaisi. The said act completed on stage in the repeated revival period of Kutaisi (M. Lortkipanidze).

The advancement of Kutaisi into a capital has been saliently manifested in recent archaeological data. By that time, the construction of the western defensive wall was completed. The towers and piers of the walls were repaired and reconstructed. A new annex, an audience chamber, was added to the 5th c. tower, having later undergone further reconstructions.

The construction of a new royal palace has been particularly noteworthy. It was rectangular in shape: 21m in length, 18,5m in width, its total area covering

400 sq. m. In its southern part, there were two audience chambers connected with other rooms with two long corridors The palace had vaulted and arched doors and windows, and a floor covered with brick stabs. The building had been in use since the late 8th c. till the second half of the 10th c. Two Byzantine coins were discovered in the first destruction layer.

The tradition of brick palace construction had still been present in the period of developed feudalism. Geguti castle has been a brilliant example of it where there was a royal hunting house in the 8th c.

The complex of the royal palace included remnants of the bath, having reached our days rather damaged, however, it is obvious that it belonged to the baths of enfilade types with a hypocaustic system. The four remaining sections have been the following: 1. a fire section; 2. a boiler-room; 3. a bath; 4. a cloak-room. The bath has been built of well-squared stones and of the same kind of bricks having been used in the construction of the above mentioned palace. The way and technique of the construction has been one and same at both places. It has been noteworthy that a new water-main, made of clay pipes, running from the foot of Tetramitsa Hill, and specially built in that period, had been connected with the palace complex. One branch of the water-main turned towards the mile-stone and supplied the ceramic workshop. The remnant of the latter were discovered between the milestone and the audience chamber. The cultural layers have revealed excellent Georgian ceramics: household things (huge wine jars, jugs, amphorae), tableware (pots, bowls), kitchen utensils (pots, etc.).

9. After the accession of Bagrat III to the throne, a new and another significant stage started in the urban life of Kutaisi. When Bagrat Bagrationi was taken to Abkhazia and crowned, Kutaisi became the capital of the United Kingdom of Kartli, Meskheti and Abkhazia, i.e. the capital of Georgia.

In that period, a new stone palace was erected on the site of the brick palace, on the highest place of the citadel, occupying the area of 6oo sq. m. The building has been rectangular in shape, bending from the south to the north. Its walls have been built of well-squared, preciously processed stones. Later, the Bagrationi palace underwent reconstructions repeatedly. Early in the 11th-12th cc., an annex, with open balconies on the side of the church, was added to the north, protruding from the general plan; Later, Imeretian kings made a large wine cellar there, built new royal chambers and placed the part of the palace under the walls of the citadel. The Bagrationi royal complex included a bath-house with four sections (a round calolipher (dimensions: 7x5mm)) and a royal court church; however, the Cathedral of Kutaisi has been the crown of the Georgian architecture, having been built by Bagrat II in 1003 and destroyed by Turks in 1698. The research and restoration of Bagrati Cathedral is already completed. The residential area included the monastery complex in Gelati, Geguti Castle, a prince's palace in Kakhianouri, Mtsvanekvavila, Motsameta, etc.

სურათების აღწერილობა

1. საქართველოს რუკა
2. სქემატური გეგმა
3. დიუბუასეული გეგმა (1833 წ.)
4. გიორგი წერეთელი
5. მ. ასლანიკაშვილი, ო. ლორთქიფანიძე, ტიმ სევერინი, ო.ლანჩავა
6. კაჟის იარაღები ქუთაისიდან (პალეოლითი)
7. კაჟის იარაღები ქუთაისიდან (მეზოლითი)
8. თეთრამიწას კოლექცია
9. თეთრი მღვიმეს კოლექცია
10. კაჟის შუბისპირები ქუთაისიდან
10ა. კაჟის იარაღები მაღლაკიდან
10ბ. ქვის ცული (არქიელის გორა)
11. ძვ.წ. XVI-XV სს. კერამიკა ქვედა ჰორიზონტის კულტურული ფენიდან
12. ძვ.წ. XVI-XV სს. კერამიკა ქვედა ჰორიზონტის კულტურული ფენიდან
13. კოლხური ცული დიმის კოლექციიდან
13ა. ბრინჯაოს ცული ქვიშარიდან II ათასწლეულის შუახანები
14. გოდოგნის განძი
15. კოლხური ცული ფარცხანაყანევიდან
16. გორას განძი
17. ოფშკვითის განძი
18. საქარას განძი
19. აღმოსავლურ-ქართული ცული ზემო სიმონეთის განძიდან
20. ზემო სიმონეთის განძი
21. დღნორისას განძის ნაწილი
22. გურნას განძი
23. კოლხური ცულები ქუთაისის მხარის ცალკეული ადგილებიდან
24. ბრინჯაოს ინვენტარი ხონის რაიონიდან
25. ნოღას კოლექცია
26. ირმის გამოსახულებიანი ცული ქუთაისიდან (ძვ. წ. IX – VIII სს.)
26ა. მწვანეყვავილას ცული ვერტიკალური სატარე ხვრელით
27. არქიელის გორა
28. გაბაშვილის გორა (ხედი სამხრეთიდან)
29. გაბაშვილის გორა (ხედი აღმოსავლეთიდან)
30. გაბაშვილის გორა (ტოპოგეგმა)
31. პატრიკეთის გორა (ტოპოგეგმა)
31ა. უძველესი ურბანისტული სამოსახლო ,,არქიელის გორაზე''
31ბ. უძველესი ურბანისტული სამოსახლო ,,გაბაშვილის გორაზე''
31გ. ,,გაბაშვილის გორა'', ხელოვნურ არხში ჩალექილი კულტურული ფენა
31დ. ადრეანტიკური ხანის კერამიკა ხელოვნური არხიდან (I ფენა)
31ე. გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკა ხელოვნური არხიდან (II ფენა)

32. *მამაკაცის ითიფალური ქანდაკება (ბრინჯაო, ძვ. წ. VIII ს.)*
33. *გაბაშვილის გორა ქვისსაძირკვლიანი ნაგებობის ნაშთი*
34. *რიყის ქვით მოკირწყლული ეზო (გაბაშვილის გორა)*
35. *არქიელის გორა, ბათქაშების კომპაქტური ყრილი*
36. *წინარეანტიკური ხანის ბათქაშებიანი ფენა*
37. *ბათქაშებიანი ფენა ძელების ანაბეჭდებით*
38. *ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ქვის საძირკვლიანი ნაგებობის გეგმა (არქიელის გორა)*
39. *ხარის მინიატურული ქანდაკება (ბრინჯაო, მაღლაკი)*
40. *ხარის მინიატურული ქანდაკება დღნორისადან*
41. *ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი, ქოთნის პირ-ყელი*
42. *ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის კოლხური კერამიკა*
43. *ძველი კოლხური კერამიკის ორნამენტის ნიმუშები*
44. *თიხის კოჭობი და საწაფები*
45. *თიხის ჭურჭლის ზოომორფული ყურები*
46. *ზოომორფული ყურები*
47. *ჭურჭლის ზოომორფული ყურის ფორმები*
48. *ვერძის თავის ქანდაკება (გაბაშვილის გორა)*
48ა. *თიხის ქანდაკების ნაწილი (ძვ. წ. VIII ს.)*
49. *ელექტრუმის მძივი ფარცხანაყანევიდან (ძვ. წ. VIII-VII სს.)*
50. *წინარეანტიკური ხანის კერამიკა ქუთაისიდან*
51. *ადრერკინის ხანის კერამიკა ქუთაისიდან*
52. *კოლხური კერამიკის პირ-ბაკოს ფრაგმენტები, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი*
53. *სამარილე და ფიალა (ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი)*
54. *წინარეანტიკური ხანის თიხის ჭურჭელი კანელურებიანი ზედაპირით*
55. *წინარეანტიკური ხანის ქოთნების ფრაგმენტები*
56. *სქელკედლიანი ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი კანელურებიანი ზედაპირით*
57. *ისრისპირი ძვ. წ. VIII ს.*
58. *სამშენებლო ქვაბული „ვაკე ქუთაისი”*
59. *კოლხური ამფორის პირ-ყელი (ძვ. წ. IV ს.)*
60. *ქოთნის ფრაგმენტები (ძვ. წ. V ს.)*
61. *დოქების ფრაგმენტები (ძვ. წ. V ს.)*
62. *ვიწროყელიანი დერგის ფრაგმენტი (ძვ. წ. V ს.)*
63. *დერგის პირ-ყელის ფრაგმენტი (ძვ. წ. V ს.)*
64. *ფართოპირიანი დერგის პირ-ბაკო*
65. *თიხის საბეჭდავები ქუთაისიდან*
66. *ადრეანტიკური ხანის კოლხური სასმისები*
67. *ყურმილიანი დოქი (ძვ. წ. VI ს.)*
68. *ადრეანტიკური ფენა პრეპარაციის შემდეგ*
69. *კრამიტით გადახურული ორმოსამარხი*
70. *პითოსი ქედებიანი ზედაპირით (ძვ. წ. VI-V სს.)*
71. *დერგების ფრაგმენტები (ძვ. წ. V ს.)*

72. ადრეანტიკური ხანის ძვ. წ. V საუკუნის ქოთნები
73. ქოთნის ფრაგმენტები (ძვ. წ. V ს.)
74. მათარა მაღლაკის ქვევრსამარხიდან (ძვ. წ. IV ს.)
75. ძვ. წ. V ს. სამარხეული ინვენტარი ზესტაფონიდან
76. სიტულას ფრაგმენტები
77. რკინის ლაგამი
78. საომარი ცული
79. აკინაკი
80. ასხმულა
81. ცხენის სამკერდე ზარაკი
82. თიხის საქშენი მილის ფრაგმენტები, ცულის ყალიბი და რკინის ზოდები
83. რკინის წარმოების ნაშთები სოფ. რიონიდან
84. ლითონწარმოების ნაშთები „ნიკალადან"
85. ლითონწარმოების ნაშთები „ნიკალადან"
86. მინისა და სარდიონის მძივი ფარცხანაყანევიდან (ძვ. წ. III ს.)
87. ქალის მინიატურული ქანდაკება გეგუთიდან (ბრინჯაო, ძვ. წ. V ს.)
87ა. კოლხური დიდდრაქმა (ძვ.წ. V ს.)
88. შემთხვევით აღმოჩენილი იმპორტული კერამიკა ბაგრატის ტაძრიდან
89. ატიკური წითელფიგურული ლეკითოსი და შავლაკიანი ლარნაკი
90. ლეკითოსი მესხეთის ქვევრსამარხიდან (ძვ. წ. III ს.)
91. მინის საცრემლე და გუტუსი (არქიელის გორა)
92. კანთაროსის ფორმის რუხკეციანი თასი წითელხევიდან
93. ქვევრსამარხი (წყალტუბოს მუზეუმი)
94. მესხეთის ქვევრსამარხის ინვენტარი
95. ქვევრის პირ-ყელი ქუთაისის ქვევრსამარხიდან (ძვ. წ. III ს.)
96. დოქები ქვევრსამარხებიდან (წყალტუბო)
97. ხელადა მესხეთის ქვევრსამარხიდან (ძვ. წ. III ს.)
98. ხელადა
99. დერგი. (მესხეთის ქვევრსამარხის ინვენტარი)
100. ლარნაკი ფარცხანაყანევიდან
101. ლარნაკი (წყალტუბოს მუზეუმი)
102. ბრინჯაოს ზარაკები (ძვ. წ. IV-III სს.)
103. კრამიტი (ძვ. წ. III ს.)
104. ორმოსამარხის ინვენტარი „ნიკალადან"
105. დოქი და კოკურა გვიანანტიკური ხანი ფენიდან (ბაგრატის ტაძარი)
106. ჭრაქი (გორდიდან)
107. ჭრაქი
108. სამშენებლო კერამიკის გამოსაწვავი ქურა (ახ. წ. II-III ს.ს.)
109. ქურის ინტერიერიდან ამოღებული კერამიკის ფრაგმენტები
110. ქურის ინტერიერიდან ამოღებული ქვევრის ფრაგმენტი
111. აფსაროსი (გონიოს ციხე)
112. ციხისძირი
113. პიტიუნტი
114. რუკა ცუკერმანის მიხედვით

115. *როდოპოლისი (ვ. ჯაფარიძის მიხედვით)*
116. *სარაპანისი*
117. *არქეოპოლის – ნოქალაქევის გეგმა (პ. ზაქარაია)*
118. *დიდღვაბუნას (გორდის) ციხე*
119. *რუკა*
120. *არქიელის გორა შიდაციხე*
121. *„ცოტა კარი" და წყალგაყვანილობის გეგმა (IV ს.)*
122. *„ცოტა კარი"*
123. *„ცოტა კარი" (დეტალი)*
124. *წყლის რეზერვუარის ნაშთები ციტადელში*
125. *საცხოვრებლის ნაშთები (IV ს.)*
126. *ქუთაისის ციხის გეგმა (IV ს.)*
127. *დიდი ბაზილიკა (გეგმა)*
128. *სანათლავის სარიტუალო ღვარსადენი (IV ს.)*
129. *საკარე ზღურბლის ნაშთი*
130. *სიგნინიანი საკარე ზღურბლი*
131. *ბაზილიკის კედლის ფრაგმენტი (IV ს.)*
132. *წყობის ხასიათი (IV ს.)*
133. *ადრექრისტიანული ხანის ანტეფიქსი*
134. *ადრექრისტიანული ხანის დერგის ფრაგმენტი (ახ. წ. აღ. IVს.)*
135. *სამლოცველო სახლის ზღურბლიანი კედელი (IV ს.)*
136. *სამეფო სასახლე (IV ს.)*
137. *IV საუკუნის სამეფო სასახლის აქსონომეტრია*
138. *ქვევრები (IV-VI სს.)*
139. *ქოცოები და ქოთნები (IV – VI სს.*
140. *დერგები*
141. *ორყურა დერგი (III – IV სს.)*
142. *ამფორები (IV – V სს.)*
143. *ამფორები (V – VII სს.)*
144. *ამფორათა ფრაგმენტები დამახასიათებელი ნიშნებით*
145. *ქოთანი (IV ს.)*
146. *ჩაიდნისებური ქოთანი*
147. *დოქი (IVს.)*
148. *დოქები (IV-VI ს.)*
149. *სამტუჩა ხელადა (IV ს.)*
150. *ხელადები (IV ს.)*
151. *მწვანედ მოჭიქული კოჭობი*
152. *ლუთერი (IV ს.)*
152 *ა. სფერულტანიანი დოქები ძაბრისებური პირ-ყელით (IV-III ს.ს.)*
153. *ჭრაქები*
154. *წითელლაკიანი კერამიკა*
155. *ბადია*
156. *აგურის იატაკი*
157. *კრამიტები (სოლენი)*

158. *კრამიტები (კალიპტერი)*
159. *მინისა და რკინის ნაწარმი (IV – V სს.)*
160. *ციხექალაქის გეგმა (V – VIII სს.)*
161. *კონწოლის კოშკი*
162. *იზოდომური წყობა*
163. *გოდლედებიანი ზღუდე (VI ს.)*
164. *გოდლედებიანი ზღუდის დეტალი*
165. *დედაბურჯი (V – VI სს.)*
166. *წმინდა გიორგის ეკლესია ციტადელში*
167. *შიდაციხის ბაზილიკის ნაშთები*
168. *კედლის წყობის ხასიათი (V – VI სს.)*
169. *აფსიდის ნაშთები*
170. *ორაფსიდიანი ეკლესია (VI ს.)*
171. *ორაფსიდიანი ეკლესიის გეგმა*
172. *აბანო (V – VI სს.)*
173. *ჰიპოკაუსტის ნაშთები*
173.ა. *აბანოს უბანი (კომპლექსის საერთო ხედი)*
174. *ქვევრები (V – VI სს.)*
175. *ამფორა (V ს.)*
176. *დოქი (V – VI სს.)*
177. *დოქი*
178. *დოქი*
179. *დოქები (V – VI სს.)*
180. *თიხის საბეჭდავები ჯვრის გამოსახულებით (V ს.)*
181. *ბიზანტიური და სასანური მონეტები (VI-VII ს.ს.)*
182. *სარკოფაგი*
183. *მოწამეთა (უქიმერიონი) საერთო ხედი*
184. *სიტუაციური გეგმა*
185. *ტოპოგეგმა*
186. *წყობის ხასიათი უქიმერიონის (მოწამეთა) ციხეზე (VI ს.)*
187. *კოშკის ინტერიერის ფარაგმენტი*
188. *ბოლნური ჯვარი (VI ს.)*
189. *კრიპტაში შესასვლელი*
190. *კედლის ფრაგმენტი თაღიანი შესასვლელით*
191. *წყლის რეზერვუარი ქვდა სიმაგრეში*
192. *ნგრევის ფენა დასავლეთის ზღუდის გასწვრივ*
193. *მეორე ბაზილიკა („ქუთათისის საყდარი," VII ს.)*
194. *„ქუთათისის საყდრის" ჩრდილოეთის კედლის ცოკოლი (შუაში)*
195. *„ქუთათისის საყდრის" სამხრეთი კედლის ცოკოლი*
196. *მეორე ბაზილიკის ქვის იატაკის ნაშთები*
197. *ანტეფიქსი ასომთავრული წარწერით (VII ს.)*
198. *აგურის კედლებიანი სამარხი (VIII ს.)*
199. *დიდი დარბაზის საფეხურიანი ცოკოლი (IX ს.)*
200. *დიდი დარბაზის ინტერიერი (დეტალი)*

201. სამეფო სასახლე (VIII ს.)
202. აგური სასახლის აღმოსავლეთი კედლის ქვის ცოკოლი (VIII ს.)
203. აბანოს ნაშთები (VIII ს.)
204. კოშკურა ნაგებობის საფეხურებიანი ცოკოლი
205. კოშკურა ნაგებობის დასავლეთი კედელი
206. კოშკურა, ცოკოლის სამხრეთ – აღმოსავლეთი კუთხე
207. მკლავებიანი ბაზილიკის კედლის ნაშთები
208. მკლავებიანი ბაზილიკის ჰორიზონტალური სტრუქტურა
209. მკლავებიანი ბაზილიკის გეგმა
210. არქეოლოგიური ფენების გეგმა (ბაგრატის ტაძარი)
211. ქვევრი (VIII ს.)
212. ამფორა (VIII ს.)
213. ქოთნები (VIII – IX სს.)
214. დოქი (IX – X სს.)
215. დოქი (IX – X სს.)
216. დოქი (IX – X სს.)
217. ვიწროყელიანი ხელადა (IX – X სს.)
218. მოჭიქული ჯამი (IX ს.)
219. სასაკმევლე (VII – VIII სს.)
220. სამარხის კონსტრუქციის ზედა ნაწილი
221. სამარხი კამერა
222. კირხსნარის ქვეშ
222.ა სამარხის დეტალი (ინვენტარით)
223. დაკრძალვის პოზა
224. დაკრძალვის ანალოგიური პოზა მამაკაცის სამარხიდან
225. ოქროს სასაფეთქლეები
226. ფირუზისთვლიანი ბეჭედი
227. ლალისთვლიანი ბეჭედი
228. შედგენილი სამაჯური
229. სამაჯური
230. ოქროს სამაჯური
231. ვერცხლის სამაჯური
232. შავი მინის სამაჯური
233. ფერადი მინის სამაჯური
234. საკიდები ტიხრული მინანქრით
235. პირამიდისებური ოქროს კილიტები
236. ტოპოგეგმა
237. ქუთაისის ღვთისმშობლის (პალიასტომის) ხატი
238. ბაგრატის ტაძარი. 1910 წელი
239. მოზაიკა (XI ს.)
240. სტრატიგრაფია ბაგრატის ტაძრის ინტერიერში შესაბამისი იატაკის დონეებით
241. №1 აკლდამა ტაძრის სამკვეთლოში (XI ს.)
242. №2 აკლდამა ტაძრის სადიაკვნეში (XI ს.)

243. მინის ლამპართა ნაშთები
244. ბრინჯაოს ჭურჭლის პირ-ბაკო
245. ტაძრის სადიაკვნეს თავზე ნაპოვნი არქტეფაქტები
246. მოჭიქულ ანტეფიქსები ასომთავრული წარწერით
246ა. კირის გამოსაწვავი ქურა
247. მშვილდოსნის რელიეფური გამოსახულება
248. ბაგრატიონთა სასახლის სავარაუდო გეგმა (X – XI სს.)
249. ბაგრატიონთა სასახლის აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტი (X – XI სს.)
250. აბანოს ნაშთები (X – XI სს.)
251. საკანალიზაციო არხი (ღვარსადენი)
252. ამფორები (XI – XII სს.)
253. კათხები (X-XI სს.)
254. დოქები (X – XI სს.)
255. დოქი (X – XI სს.)
256. სამტუჩა დოქი (XI ს.)
257. სარიტუალო დანიშნულების ჭურჭლის ფრაგმენტი
258. ბრინჯაოს სანათლავი (XI ს.)
259. მოჭიქული ჯამი (XII – XIII სს.)
260. მოჭიქული ჯამი (XII – XIII სს.)
261. მაცხოვრის ხატი მოწამეთადან (XII ს.)
262. საწინამძღვრო ჯვარი მოწამეთადან (XI ს.)
263. ოქროს ბარძიმი (X ს.)
264. ტონდო წმ. მამაის გამოსახულებით გელათიდან (XI ს.)
265. მწვანეყვავილა
266. გელათის მონასტერი
267. „საბას საყდარი''
268. „დავითის კონცხი"
269. აკადემიის ინტერიერი სატრაპეზოს მერხებით
270. თაღოვანი გალერეა
271. თაღოვანი გალერეა XIII-XIV ს.ს.
272. გეგუთის (ციხე-დარბაზის დეტალი)

DESCRIPTIONS OF PICTURES

1. *Map of Georgia*
2. *A schematic plan*
3. *Dubois' plan (1833)*
4. *Giorge Tsereteli*
5. *M. Aslanikashvili, O. Lortkiphanidze, Tim Severin, O. Lanchava*
6. *Flint tools from Kutaisi (Paleolith)*
7. *Flint tools from Kutaisi (Stone Age)*
8. *Collection from Tetramitsa*
9. *Collection from Tetri Mgvime (White Cave)*
10. *Flint tools from Kutaisi*

10a. *Fint tools from Maglaki*

10b. *Stone axe. (Arqieli Hill)*

11. *Ceramics from down horizontal cultural layer. XVI-XV cc B. C.*
12. *Ceramics from down horizontal cultural layer. XVI-XV cc B. C.*
13. *Bronze Axe from Dimi collection*

13a. *Bronze axe from Kvishari. Middle centuries of II millennium B.C.*

14. *Treasure from Godogani*
15. *Colchic axe from Partskanakanevi*
16. *Treasure from Gora.*
17. *Treasure from Opshkviti.*
18. *Treasure from Sakara.*
19. *Eastern-Georgian axe from Zemo-Simoneti treasure.*
20. *Treasure from Zemo-Simoneti.*
21. *Treasure part from Dgnorisa.*
22. *Treasure from Gurna.*
23. *Colchic axes from several places of Kutaisi*
24. *Bronze inventory from Khoni region.*
25. *Collection from Nogha.*
26. *An axe with an imprint of a deer from Kutaisi (IX-VIII cc. BC)*

26a. *Axe from Mtsvanekvavila with vertical socket.*

27. *Archieli's (Archbishop's) Hill*
28. *Gabashvili's Hill (a view from the South)*
29. *Gabashvili's Hill (a view from the East)*
30. *Gabashvili's Hill (topo-plan)*
31. *Patriketi Hill (topo-plan)*

31a . *Ancient urban settlement in "Archieli's Hill"*

31b. *Ancient urban settlement in "Gabashvili's Hill"*

31c. *"Gabashvili's Hill", cultural layer washed inside off artificial channel.*

31d. *Early antic period ceramics from artificial channel (I layer)*

31e. *Late bronze age ceramics from artificial channel (II layer)*

32. *A man's ithyphallic statue (bronze; 8th c. BC)*
33. *Gabashvili's Hill; remnant of a construction with a stone fundament*
34. *A cobbled yard (Gabashvili's Hill)*
35. *Archieli's Hill; compact heap of plasters*
36. *Plastered layer of the Pre-Antiquity Period*
37. *Plastered layer with log prints*
38. *Plan of stone basis.Beginning of I millennium B.C. (Archieli's Hill).*
39. *A bull's miniature statue (bronze; Maglaki)*
40. *A bull's miniature statue from Dgnorisa*
41. *Beginning of I millennium B.C., fragments of the neck of a pot.*
42. *Colchic ceramics from beginning I millennium B.C.*
43. *Samples of ancient Colchic ceramics ornaments.*
44. *Clay small pot and suspension brackets*
45. *Zoomorphic handles of a dish*
46. *Zoomorphic handles.*
47. *Forms of zoomorphic earthenware handles*
48. *Statue of a ram's head (Gabashvili hill)*

48a. *Fragment of clay statue. VIII c B.C.*

49. *Electrum bead from Partskhanakanevi (8th-7th cc. BC)*
50. *Pre-Antiquity ceramics from Kutaisi*
51. *Pre-Iron Age ceramics from Kutaisi*
52. *Ceramic material of the early 1st millennium BC*
53. *A salt-cellar and a phial (early 1st millennium BC)*
54. *Pre-Antiquity clay dish with a cannelure surface*
55. *Fragments of pots of the Pre-Antiquity Period*
56. *Upper fragment of thick earthenware with cannelure surface.*
57. *Arrowhead. VIII. c. B. C.*
58. *Construction cave. City Kutaisi. (Plain Kutaisi).*
59. *Upper part of a Colchic amphora (4th c. BC)*
60. *Fragments of a pot (5th c. BC)*
61. *Fragments of jars (5th c. BC)*
62. *A Fragment of a narrow-necked pitcher (5th c. BC)*
63. *A mouse and a neck fragment of a pitcher. (V c B.C.)*
64. *A mouse of wide-necked pitcher.*
65. *Clay prints from Kutaisi*
66. *Colchic drinking vessels of the Early Antiquity Period*
67. *A tube-handled jar (6th c. BC)*
68. *An Early Antiquity layer after the preparation*
69. *A tiled hole burial*
70. *Pythos with a sloped surface (6th-5th cc. BC)*
71. *Pitchers: fragments (5th c. BC)*
72. *Earthenware from early- Antic period. V c. B.C.*
73. *Fragments of clay pots.*
74. *A flask from Maglaki pitcher burial. (IV c B.C.)*

75. *Burial inventory from Zestaponi. Vc B.C.*
76. *Fragments of situlae*
77. *Iron bridle.*
78. *Fighting axe.*
79. *Scythian dagger _ Akinaki.*
80. *Fragment of harness details.*
81. *Horse breast bell.*
82. *Fragments of metal foundry clay pipes. Form of an axe and iron ingot.*
83. *Remains of Iron producing from village Rioni.*
84. *Remains of metallurgy from "Nikala*
85. *Remains of metallurgy from "Nikala"*
86. *Glass and cornelian beads from Partskanakanevi.*
87. *A woman's miniature statue from Geguti (bronze; 5th c. BC)*
87a. *Cholchis money (Didrahma). (Vc B.C.)*
88. *Accidental discovered imported ceramics from Bagrati Cathedral.*
89. *Arctic red-figured Lekithos and black varnished vase.*
90. *Lekithos from the Meskheti jug-burial. (III c B.C.)*
91. *Glass tear-pot and guttus from Archieli's Hill*
92. *Cantharos-shaped gray bowl from Tsitekhevi*
93. *Jug burial (Tskaltubo Museum)*
94. *Inventory of the Meskheti jug burial*
95. *A neck of a jug from the Kutaisi jug burial (3rd c. BC)*
96. *Jars from jug burials (Tskaltubo)*
97. *A jug from the Meskheti jug burial (3rd c. BC)*
98. *A jug (from Kutaisi Museum)*
99. *A pitcher (from the inventory of the Meskheti jug burial)*
100. *A vase from Partskanakanevi.*
101. *A vase (Tskaltubo Museum)*
102. *Bronze bells (4th-3rd cc. BC)*
103. *A tile (3rd c. BC)*
104. *Inventory of the hole burial from "Nikala*
105. *Jug and Jar from late antic period. (Bagrati Cathedral).*
106. *A wick lamp (from Gordi)*
107. *A wick lamp (from Kutaisi Museum*
108. *Burn furnace for building ceramics. (II-III cc A.D).*
109. *Fragments of ceramics taken from furnace interior.*
110. *Fragment of pitcher taken from furnace interior.*
111. *Aphsaros (Gonio Fortress)*
112. *Tsikhisdziri*
113. *Pitiunt*
114. *A map according to Zuckerman.*
115. *Rodopolis (according to V. Japaridze)*
116. *Sarapanis*
117. *A plan of Achaeopolis - Nokalakevi. (P. Zakaraia)*

118. *Didgvabuna (Gordi) Fortress*
119. *A map*
120. *Archieli's Hill; inner fortress*
121. *"Minor Gate" and a water=supplies plan (4th c.)*
122. *"Minor Gate"*
123. *"Minor Gate" (a detail)*
124. *Relics of a water reservoir in the Citadel*
125. *Dwelling relics (4th c.)*
126. *A plan of Kutaisi Fortress (4th c.)*
127. *Great basilica (a plan)*
128. *Ritual chute of the baptistery. (IVc) A relic of a parlor*
129. *Remains of parlol.*
130. *A parlor with insignia*
131. *Basilica wall relic (4th c.)*
132. *Character of the structure (4th c.)*
133. *An antefix of the Early Christian Period.*
134. *Early-Christianity pitcher fragments (IV c A.D.)*
135. *A parlor wall of a prayer house*
136. *Royal palace (4th c. BC)*
137. *Axonometry of King Palace IVc.*
138. *Pitchers*
139. *Bigger jars and pots (4th-6th cc.)*
140. *Earthenware jugs (4th-6th cc.)*
141. *A bi-handled pitcher (3rd-4th cc.)*
142. *Amphorae (4th-5th cc.)*
143. *Amphorae (5th-7th cc.)*
144. *Amphorae fragments with characteristic signs*
145. *A pot (4th c.)*
146. *A kettle-like pot*
147. *A Jar. IV c.*
148. *Jars. (IV-VI cc B.C.)*
149. *A jug with a triple mouth (4th c.)*
150. *Jugs (4th c.)*
151. *Green-glazed small pot*
152. *Luther (4th c.)*

152a. *Spherical shaped jugs with funnel upper part (IV-III cc)*

153. *Wick-lamps.*
154. *Red-varnished ceramics*
155. *A basin*
156. *Brick floor*
157. *Tiles (solen)*
158. *Tiles (calypter)*
159. *Glassware and iron produce (4th-5th cc.)*
160. *A plan of the city-fortress (5th-6th cc.)*

161. *Kontsoli tower*
162. *Isodomic structure (5th c.)*
163. *A wall with counter-force (6th c.)*
164. *A detail of a wall with counter-force*
165. *A milestone (5th-6th cc.)*
166. *St. George Church in the citadel*
167. *Relics of the basilica on the inner fortress*
168. *Wall's Character of the structure (V-VI cc).*
169. *Apse relics*
170. *A bi-apsidis church (6th c.)*
171. *A plan of a bi-apsidis church*
172. *A bath (5th-6th cc.)*
173. *Hypocaust relics*
173a. *Bath quarter. (Common view of the complex)*
174. *Earthenware wine jars (5th-6th cc.)*
175. *An amphora (5th c.)*
176. *A jar (5th-6th cc.)*
177. *A jar*
178. *A jar (6th cc.)*
179. *Jars (5th-6th cc.)*
180. *A clay print with a cross (5th c.)*
181. *Byzantian and Sassanian coins (VI-VII cc).*
182. *Sarcophagus.*
183. *Motsameta (Uqimerioni) Common view.*
184. *Situation plan.*
185. *A topo-plan.*
186. *Character of the structure in Uqimerioni (Motsameta) fortress.*
187. *Fragment of tower interior.*
188. *Bolnisi's Cross (6th c.)*
189. *Entrance in the Crypt.*
190. *Fragment of the wall with arch entrance.*
191. *Water reservoir in downer fortress*
192. *Destruction layer along the western wall*
193. *Second Basilica ("Kutatisis Sakdari",VIIc)*
194. *Northern wall of «Kutatisi Sakdari» (Church) (in the middle)*
195. *«Kutatisi Sakdari» (Church) (a fragment of the southern wall)*
196. *Remains of second Basilica stone floor.*
197. *An antefix with an inscription in Georgian Capital script (7th c.)*
198. *A burial with brick walls (8th c.)*
199. *Great hall (9th c.)*
200. *Great hall interior (a detail)*
201. *Royal palace (8th c.)*
202. *A stone socle of the eastern wall of the brick palace (8th c.)*
203. *Bath relics (8th c.)*

204. *A stepped socle of the towered construction*
205. *Western wall of the towered construction*
206. *South-eastern angle of the socle of the towered construction*
207. *Remains of armed Basilica wall.*
208. *Horizontal structure of armed Basilica.*
209. *Plan of armed Basilica.*
210. *Plan of archaeological layers (Bagrati Cathedral)*
211. *A wine jar (8th c.)*
212. *An amphora (8th c.)*
213. *Pots (8th-9th cc.)*
214. *A jar (9th-10th cc.)*
215. *A jar (9th-10th cc.)*
216. *A jar (9th-10th cc.)*
217. *A narrow-necked jug (9th-10th cc.)*
218. *A glazed bowl (9th c.)*
219. *A bowl for incense (7th-8th cc.)*
220. *Upper part of grave's construction.*
221. *Camera of the burial.*
222. *Under the lime mortar.*
222a. *Detail of the burial (with inventory).*
223. *Pose of the burial.*
224. *Analogical pose from a male burial.*
225. *Golden temple pendants.*
226. *Turquoise - eyed finger-ring.*
227. *Ruby - eyed finger-ring.*
228. *Combined bracelet.*
229. *Bracelet.*
230. *Golden Bracelet.*
231. *Silver Bracelet.*
232. *Black glassed bracelet.*
233. *Colored glassed bracelet.*
234. *Pendant with cloisonné enamel.*
235. *Pyramid formed golden buttons.*
236. *A topo-plan.*
237. *Holy Virgin's (Paliastomi) icon of Kutaisi*
238. *Bagrat's Cathedral; 1910*
239. *Mosaic (11th c.)*
240. *Stratigraphy in Bagrat's Cathedral interior with corresponding floor layers*
241. *Crypt No1 in the northern part of Bagrat's Cathedral (11th c.)*
242. *Crypt No2 in the southern part of Bagrat's Cathedral (11th c.)*
243. *Relics of glass lanterns*
244. *A mouth of a bronze dish*
245. *Artifacts from southern part of Cathedral.*
246. *Glassed antefixes with Capitol Letters inscription.*

246a. Burn furnace for lime.
247. Reliefic image of Sagittarius.
248. An assumed plan of the Bagrations' Palace (10th-11th cc.)
249. A fragment of the eastern wall of the Bagrations' Palace (10th-11th cc.)
250. Bath relics (10th-11th cc.)
251. Sewerage canal
252. Amphorae (11th-12th cc.)
253. Mugs (10th-11th cc.)
254. Jars (10th-11th cc.)
255. A jar (10th-11th cc.)
256. A jar with a triple mouth (11th c.)
257. A fragment of a dish for ritual purposes
258. A bronze basin for baptizing (11th c.)
259. A glazed bowl (12th-13th cc.)
260. A glazed bowl (12th-13th cc.)
261. Cross Superior from Motsameta (11th c.)
262. Savior's icon (from Motsameta) (12th c.
263. A golden chalice (10th c.)
264. Tondo with an imprint of St. Mamai from Gelati (11th c)
265. Mtsvanekvavila
266. Gelati Monastery
267. Saba's Temple.
268. David's Hill.
269. Interior of academy with dining desks.
270. Gallery with arches.
271. Gallery with arches XII-XIV cc.
272. Geguti (a detail of the castle)

შემოკლებათა განმარტებანი
A B R E V I A T I O N S

- **ენიმკი** – ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
- **თსუ-ის შრომები** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
- **იიშ** – აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები
- **მსკა** – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის
- **აკც** – არქეოლოგიის კვლევის ცენტრი
- **აძ** – არქეოლოგიური ძიებანი
- **იბერია-კოლხეთი** – საქართველოს ეროვნული მუზეუმი. საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვ-ლევანი
- **მსე** – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
- **სას** – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები
- **სდსძ** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები
- **სმამ** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქე-ოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია
- **სსმაე** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები
- **სსმმ** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
- **სხსმ** – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
- **ქსუ-ს შრომები** – ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
- **ქსიმ** – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები
- **ქწკ** – ქართული წარწერების კორპუსი
- **ძიებანი** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენ-ტრის ჟურნალი
- **სინ** – საქართველოს ისტორიის ნარკვევები
- **ქც** – ქართლის ცხოვრება
- **ძმ** – ძეგლის მეგობარი
- **АГСП** – Античные города Севернего Причерноморья
- **АО** – Археологические открытия
- **АС** – Археологический сборник
- **АСГЭ** – Археологический сборник Государственного Эрмитажа
- **ВДИ** – Вестник древней истории
- **ЗОАО** – Записки Одесского археологического обшества
- **ИАК** – Известия императорской археологической комисии
- **ИГАИМК** – Известия Государственной Академии истории материальной культуры
- **КСИА** – Краткие сообшения Института археологии АН СССР

- **КСИИМК** – Краткие сообшения Института истории материальной культуры
- **МАК** – Материалы по археологии Кавказа
- **МИА** – Материалы Института археологии
- **НЭ** – Нумизматика и эпиграфика
- **ПАИ** – Полевые археологические исследования
- **СА** – Саветская Археология
- **САИ** – Свод археологических источников

სარჩევი

წინათქმა 3
შესავალი 5
ქუთაისის ქვეყანა: (ისტორიის გეოგრაფიული ფონი) 5
ა) არქეოლოგიური შესწავლის მიმოხილვა 9
ბ) წერილობითი წყაროები 14
გ) ისტორიოგრაფიული მიმოხილვა 17
შენიშვნები 20

I თავი – უძველესი დროიდან ძვ. წ. VIII საუკუნემდე 28

1. პირველმოსახლენი 28
2. მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა 29
3. ძველი ლითონების ხანაში 33
4. კოლხური სახელმწიფოებრიობის სათავეებთან 39
5. უძველესი სამოსახლოები 41
6. ურბანისტული პროცესების გარიჟრაჟზე 45
7. სახელწოდებისათვის 50

შენიშვნები 52

II თავი – ძველი კოლხეთის სატაძრო და პოლიტიკური ცენტრი 57

1. ქუთაისი ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში 57
   ა) სამშენებლო საქმე 58
   ბ) ეკონომიკური ვითარება ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში 63
   გ) ლითონწარმოება 64
   დ) მეთუნეობა 65

შენიშვნები 71

III თავი – ქუთაისი ანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI–I სს.) 74

1. ადრეანტიკური ხანის ძეგლები 74
   - ახალი აღმოჩენები 75
2. ხელოსნობა ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში 80
   - მეთუნეობა 80
   - სამზარეულო კერამიკა 83
   - ლითონწარმოება 86
3. ელინისტური ხანის ძეგლები 91
   - ქვევრსამარხები 93
4. ქუთაისი გვიანანტიკურ ხანაში 104

შენიშვნები 108

IV თავი – ეგრის–ლაზიკის ციხე–ქალაქები და ბიზანტია–ირანის გეოპოლიტიკური ინტერესები კოლხეთში (ზოგადი ისტორიოგრაფიული მიმოხილვა) 118

1. ზღვისპირა ციხე-ქალაქები 118
2. ეგრისის შიდა ქალაქები 137

შენიშვნები 156

V თავი – ქუთაისი IV საუკუნეში 170

1. დაგეგმარება. სასიმაგრო სისტემა. წყალმომარაგება. 170
2. საკულტო და საერო ხუროთმოძღვრება 174

• დიდი ბაზილიკა 175
• „სამლოცველო სახლი” (?) 180
• „სამეფო სასახლე” (ციხე-დარბაზი) 181
• წყალმომარაგება 182
3. არქეოლოგიური მასალები (კერამიკა, მინა, რკინა) 182
შენიშვნები 193

VI თავი – ქუთაისი V–VI საუკუნეებში 197

1. თავდაცვითი სისტემა 197
2. საკულტო ხუროთმოძღვრული ძეგლები 201
• შიდაციხის ბაზილიკა 201
3. „დიდი ომიანობა” და ქუთაისი 204
4. ახალი საკულტო ნაგებობანი 205
5. აბანოს კომპლექსი 206
6. არქეოლოგიური მასალა: კერამიკა, ნუმიზმატიკური მონაცემები 211
• სამზარეულო კერამიკა: 215
• წითელლაკიანი კერამიკა და მათი მინაბაძები 217
7. ბიზანტიური წყაროების „კოტაის” – „მოხირისისა” და „უქიმერიონის” ლოკალიზაციის საკითხი არქეოლოგიურ მონაცემებთან მიმართებაში 223
შენიშვნები 233

VII თავი – ქუთაისი VII–VIII საუკუნეებში 239

• „ქუთათისის საყდარი” 242
• სასიმაგრო სისტემის განახლება 246
• კერამიკული სახელოსნო 247
• სამეფო სასახლის კომპლექსი 248
• ახალი ნაგებობები 251
• მკლავებიანი ბაზილიკა (VIII-IX სს.) 252
• არქეოლოგიური მასალა: კერამიკა, ნუმიზმატიკური მონაცემები 255
• სამზარეულო კერამიკა 257
• სამშენებლო კერამიკა 260
• ქალის მდიდრული სამარხი „ქუთათისის საყდრიდან” 263
შენიშვნები 268

VIII თავი – ქუთაისი IX–XI საუკუნეებში 272

• ბაგრატიონთა სამეფო სასახლე 282
• სამეურნეო-ეკონომიკური ვითარება IX – XI სს. 285
ქუთაისის უბნები და გარეუბნები X - XI საუკუნეებში 289
• მწვანეყვავილა 289
• მოწამეთა 290
• სამონასტრო კომპლექსი გელათში 291
• გეგუთი 294
შენიშვნები 296

სურათების აღწერილობა 313

DESCRIPTIONS OF PICTURES 320

შემოკლებათა განმარტებანი – abreviations 327

ომარ ლანჩავა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი;

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი;

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორი;

ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენების კავალერი;

ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

რედაქტორი:
ნიკოლოზ ანთიძე – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ირმა დოლიძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

გამოსაცემად მოამზადა:
ნონა ქარციძე - ისტორიის დოქტორი
ნინო ვაჩეიშვილი - ხელოვნებათმცოდნე

კომპიუტერული დიზაინი:
ნოდარ ცაგარეიშვილი

რეცენზენტები:
გურამ გრიგოლია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ზურაბ ბრაგვაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

დაბეჭდილია „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში“
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №5

© 2015 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
თაბუკაშვილის ქ. №5, 0105 თბილისი
© National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
Tabukashvili str. №5, 0105 Tbilisi
www.heritagesites.ge